



116 /  
1896 / 2<sub>v3</sub>


# საქართველო

თვიური ჟურნალი

წელიწადი შესაბამე

**№ III**

**მარტი, 1896**



ტფილისი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციაში ინახულია

1896

# მ მ ა მ ბ ე

თვიური ქურონალი

წელიწადი მესამე

№ III

მარტი, 1896

05568


436



ტფილისი

საქართველოს საბჭოთაო ენობის საქართველო

1896



Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 апрѣля 1896 г.

საქართველოს  
საქმიანობა

საქართველოს  
საქმიანობა



შ ი ნ ა რ ს ი

I	გამარჯვებული ნიკო.—მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა (დასასრული)	86 1
II	ზოგო მიჰვარდა.—ლექსი დ. ნანოჭმინდელისა	27
III	იულიოს კაისარი.—ხუთ-მოქმედებიანი დრამა უილიამ შექსპირისა, თარგ. ინგლისურიდან იგ. შაჩაბლისა (დასასრული)	29
IV	ნაკადი.—ლექსი ცახელისა	59
V	ცეცხლითა და მახვილითა.—ნაწილი მესამე.—რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გ. ყ—ძისა (გაგრძე- ლება).	70
VI	ჰუმბოლტი...—საიდგომო ეტიუდი შ. ანტონიო- რელისა	127
VII	ვეფხისტყაოსნის შალგი აღზიდები.—XIII, XIV, XV, XVI და XVII. ალ. ს.—შვილისა	1
VIII	რძე.—VI.—ყველი.—პროფესორის გ. ჰეტნაშვილისა (გაგრძელება).	28
IX	სპარსეთი და იმპერიის ძარბოვლები.—II. თეიანა—დე- დაქალაქი სპარსეთისა—თოფხანის მოედანი.—ძველი და ახალი ქალაქი.—დამოკიდებულება ევროპელთა და სპარსელთა შორის.—ბასტა.—ტახტი მარმარილოსი.—სასახლე შაჰისა.— სასახლე ნაიბ სალთანისი.—სასახლე ამინ სულთანისა.—რაფიელ ხან ენაკოლოფიანი და თავადი სულეიმან ხან სომხეთისა.—სი- კვდილით დასჯა.—სომეხთა ეკლესიები და საფლავი შარვანო- ვისა.—საფლავი ალექსანდრე ბატონიშვილის ქალის ელისაბე- დისა.—ამბავი სამსონ ხან მაკანკოვისა, ალექსანდრე ბატონი- შვილის სიძისა.—ძველი შაჰისა.—ჩვენი ნაცნობი ქარიზა.—შაჰ- აბდულ აზიმში წასვლა და ერთი შემთხვევა.—უცნაური ქართვე- ლი ბიჭი.—დოქმან თაფე.—შაჰის დაბრუნება სააგარაჟო აღგი- ლებიდან.—ილიუმიინაცია. ლადო ანაშვილისა.	49

X ბარიელ ეპისკოპოსის მიწერ-მოწერა. . . . . 107

XI სიტყვები თქმული ბაბრიელ ეპისკოპოსის კუბოჯი . 107

XII სალიტერატურო მიმოსილვა.—„ფირალი დავლაძე“. —საქმე შინაარსი არ არის.—ერთი ჩვენი საჭირ-ბოროტო საგანი.—ახალი ტიპი.—ერთიანი შთაბეჭდილება.—ეგ. ნინოშვილის მემკვიდრე.—მშვენიერი ქართული.—ფარ-ხმალის დაყრა.—ერთი ძველი სალიტერატურო ეპიზოდი.—განკიცხულნი მოჩხუბარიძე და ილია ჭავჭავაძე.—გადასხვაფერება მოპირის-პირეს აზრისა.—ხელ-ჯოხიანი უსტაბაში ლიტერატურაში.—რისთვის იღვწოდნენ?—Pro domo sua.—განდიდებისა თუ ენის ქავილი?—„ივერიის“ ბიბლიოგრაფი.—„ცოდვასა შინა გვშვა დედამან ჩვენმან“. — გრ. ყაფშიძისა . . . . . 121

XIII უცხოეთის მიმოსლვა.—ეროვნული მოძრაობა ავსტრო-უნგრეთის იმპერიაში.—სტარო-ჩეხნი და მათი მეთაური დოკტორი რიგერი.—მლადო-ჩეხნი.—ჩეხიის ახალი, პროგრესული მოძრაობა და „მესამე დასი“. —საეტნოგრაფიო გამოფენა პრაგაში.—გალიცია, მისი აღორძინება და სწავლა-განათლების საქმე.—ხორვატია და სტარჩევიჩი . . . . . 141

XIV აჩქარებული მსჯელობა.—იაკობ სამონიძისა . 165

## გაგარჯვებული ნიჟო

მ თ ს რ ა ბ ა

✕ \*)

ნიკო ბერიშვილი ლიზას ცხენიდან ჩამოვარდნის შემდეგ შინ დაბრუნდა. საშინელმა სევდამ და სინანულმა შეიპყრო მისი არსება. რას ვშვრები, გონებას რად ვკარგავ, რის იმედი მაქვს? ვის ეკნაჭება ჩემი მფარველობა, ჩემი ზრუნვა! აი ეხლა ცკინალამ მოგკალ ჩემის უცნაურის გულ-მხურვალეებით. გულ-მხურვალეებით!.. ვითომ გულ-მხურვალეებით?! განა მე რომ არ შემეყვარებოდა ლიზა, განა ის ეგოისტური გრძნობა, რომ ის ჩემი უნდა იყოს და არა სხვისა, არ არის მიზეზი, რომ ასე გულ-მხურვალედ ვიქცევი? დიალ, დიალ, კარგად ვგრძნობ, რომ ვძალადობ, მინდა სხვას გამოვგლიჯო ის, რაც მე არ მეკუთვნის, დიალ არ მეკუთვნის!! ძლიერ კარგად ვიცი, ძლიერ კარგად ვხედავ ყველაფერს, მაგრამ უძლური ვარ, უძლური... ძალა არა მაქვს გულიდან ამოვიგლიჯო ის, რაც ჩემი არ არის და ვითომ ვლიბერალობ, ვითომ მინდა კრავს მგლის კლანჭები ავაცილო, უმანკოება დავიცვა! ოჰ, წუთი-სოფელი! რად უცარავ კაცს ხელს, რად უვლენ იმისთანა დაბრკოლებას, რომელიც უშლის თავისი კეთილი განძრახვანი აასრულოს? მთელი ორი წელიწადი ესულდგმულობდი იმითი, რომ ჩემ პატარა მოწაფეებს თვალს ვუხედიდი. გულის კანკალით ვეგებებოდი ყოველ იმათ წარჩინებას, ყოველ იმათ წინ წადგმულ ნაბიჯს, შე-

\*) «მოამბე», № II.

ვილოდენ თუ არა ზბარაჟსა. საუკეთესო დრო კი ხელიდან მეცლებოდა; ეხლა ვაჭარნი დადიან აქეთ-იქით თავიანთ სავაჭრო საქონელითა. პან ბუკოვსკი ამბობს, რომ მე ვიცი და მაგ ვაჭრებ-მაო. ხოლო მე სხვა იმედი მაქვს ღვთის მოწყალებისა. ამინ!“

პან ზაგლობამ წაიკითხა წიგნი და თავისს ამხანაგებს შეხედა. ისინი მღუმარებდნენ; ბოლოს ვერშულმა სთქვა:

— განა არ ვიცოდით, რომ იქით წავიდოდა.

— ახლა რაღა ვქნათ? — იკითხა ვოლოდიევსკიმ.

— რაღა ვქნათ? — სთქვა ზაგლობამ და მხრები შეიშმუშნა.

— ახლა რაღა საჭიროა წასვლა. ვაჭრებს რომ გაჰყოლია, ეგ კარგია; შეიძლებს ყველგან თვალი მიაგლ-მოაგლოს და ექვი კი არავის ააღებინოს. ეხლა ყოველი ყაზახი მდიდარია, ალა-ალა ხომ არ იყო, ნახევარ რესპუბლიკა გაძარცვეს. ცუდი საქმე კი დაგვემართებოდა, პან მიხალ, იამბოლს იქითა. სქშეტუსკი შაველაა ვლახელივით და ადვილად შეუძლიან მოისომხოს თავი. შენ კი მაშინვე ყველა გიცნობდა მაგ შენ ქერა-ქერეჭა უღლვა-შებზედა. ტეტიური ტანისამოსიც რომ ჩაგვეცვა, მაინც ხერხად ვერ ვიქნებოდით... ეჰ, ღმერთმა ხელი მოუმართოს! ჩვენ სრულიად საჭირონი არა ვართ იქა, თუმცა ძალიან კი ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან, შევეწიო ჩემს საწყალ კნიაჟნას განთავისუფლებას. მაინც დიდი ამაგი კი დავდეთ სქშეტუსკის, მით რომ ბოგუნნი დაჰჩებეთ. ასე რომ არ მომხდარიყო, ვეჭვობ, რომ სქშეტუსკის არა დამართოდა-რა.

ვოლოდიევსკი ძალიან უკმაყოფილოდ დარჩა. იმედი ჰქონდა, გზაში იქნება ბევრი რამ სისხლის ასაღელვებელი საქმე გამოვსცადოვო. ახლა კი უნდა მჯდარიყო ზბარაჟში და ვინ იცის, რაედენს ხანს უნდა ყოფილიყო ასე მოწყენილი და დაღონებული.

— მოდი ერთი კამენცამდე მაინც წავიდეთ, გავისეირნოთ, — უთხრა პან ზაგლობას.

— რა უნდა გავაკეთოთ მერე იქა და ან რად უნდა გავწიოთ ხარჯი? — უპასუხა ზაგლობამ. — სულ ერთია, იქაც უნდა ჩავრჩეთ სადმე და დავსოკოიანდეთ; მეტი ღონე არ არის, უნდა ვისხდეთ, ვიცადოთ და ვიცადოთ. სქშეტუსკი ჯერ კიდევ დიდ

— ნუ ილანძღები, იასონ! ნიკო ეხლა ჩვენზედ ძლიერ შორს არის და გედარ გვიყარაულებს, — გულის ტკივილითა და თვალეებში ცრემლებით სთქვა ღიზამ და იასონს გახსნილი პაკეტი მიაწოდა. წაიკითხე და სწორედა სთქვი: შეგიძლიან გაზომო, თვალი ჩააწვდინო იმ გულის სიღრმეს, რომელსაც ნიკო ისე ცხივლად ჰხატავს თავის წერილში?!

„ბატონო ღიზა! — კითხულობდა იასონ ნიკოს წერილს. — მე ხვალ აღრიან მივალ, ბრძანებისამებრ, ტფილისს. ვტოვებ აქ იმას, რაც საუკეთესო საუნჯეა კაცისათვის — ჩემ გულს (და, ვაიმე, იქნება გონებასაც). ეხლა თქვენ ბედნიერი ხართ და ძნელად წარმოიდგენთ ჩემის უბედურების სიდიდეს, მაგრამ თუ როდისმე გეწვიათ დაუბატოებელი სტუმარი — უბედურება, მომიგონეთ, შემიბრალეთ... მომიკითხეთ, მიბრძანეთ და გაახლებით. გაახლებით, როგორც ერთგული ღალა, როგორც გულდამწვარი დედა, როგორც სულიერი მოძღვარი და ვეცდები წყლული დაგიმშვიდო, თვალზედ ცრემლი მოგწმინდო, შენს გულს თუ არ სიხარული, სითბო და სიმშვიდე მაინც მივანიჭო. დიად, ბატონო ღიზა, იცოდეთ და გახსოვდეთ, რომ თქვენ გყავთ მეგობარი, რომელიც დაივაწყებს თავის მომაკვდინებელს ჭრილობას თქვენგან მინიჭებულს და მხოლოდ თქვენის ტკივილის დასამებლად-ღა იზრუნებს. მაპატიეთ, რომ თქვენს მომავალ უბედურებაზედ ვლაპარაკობ ასე დაჟინებით; ეს აზრი ისე ძძიმედ მაწევს გულზედ, ისეთის სავსებით მეხატება თავის აუცილებლობით, რომ ვბედავ და გთხოვ, მომიგონო გაჭირვების დროს. ჩემი აღრესი იციო. მამი-ჩემის სოფელში დავბრუნდები. გაახლებთ რჩვეულ წიგნებს, რომლებს მოწყალებითაც მე გონება შევიმაგრე. ეცადეთ, შეეჩვიოთ კითხვას. გარწმუნებთ, ეს დიდი ნუგეში იქნება თქვენთვის. მაღალის აზრების კაცებთან დაახლოვება ხელს არ შეუწყობს იმ უზნეობა-გაბრწინლების ზედ-გავლენას, რომელთა მსახერხლად გარემოებისა და შემთხვევის წყალობით თქვენ აუცილებლად შეიქნებით.

— რას გაჩემდი, იასონ? რატომ არ მანუგეშებ, ჩემო საყვარელო! რომ იცოდე, რა რივად მომიკლა გული მაგ წერი-





ღმა, რა ნაირად დააბნელა ჩემი ოცნებანი, ჩემი გატაცება... ნიკოს ცრუმორწმუნოება ჩემს მომავალზედ მეც თითქმის აუცილებლად მიმაჩნია... ვინ იცის, რითი გათავდება ჩვენი ტრფილება, ჩვენი შეცოდება... რას მოიტანს გარემოება. შენ რომ ნიკოს ალაგას ყოფილიყავ, ჰპოვებდი ამოდენა ღმობიერებას გულისასა? არ გადამაგდებდი, როგორც ჩვარს, გამოუსადეგარ ნივთს? არ მამარიდებდი შენ ბრწყინვალე პირისახეს? მანუგეშებდი?—ჩაცინებით ჰკითხა ღიზამ გაჩუმებულს იასონს.

— რაებს ამბობ, ქალო! რა შავ ფიქრებს მისცემიხარ მაშინ, როდესაც ჩვენი ბედნიერება სიმწიფეში და გაძლიერებაში შედის? მეც დამაღონა ნიკოს წერილმა, მაგრამ მხოლოდ პირად იმის შესახებ, საწყალი, ეხლა კი მეტრალეება, ეხლა კი მესმის, რა ცეცხლშიც ყოფილა. ნეტა ერთი კიდევ მენახა. რა მიაბევეინებდა ისე საჩქაროდ?

— უთუოდ ძალა დაატანეს, თორემ გამოსათხოვებლად მაინც მოვიდოდა, — ამოოხვრით სთქვა ღიზამ.

— ვინ? რა ძალა? რა მოხდა? — გაოცებით ჰკითხა იასონმა.

— როგორ, განა არ გავიგია, რომ გუშინ ბრძანება მოსვლია, საჩქაროდ დაანებე სკოლას თავი და წამოდიო? ეს სულ მამი-შენის ოინებია. ნიკომ ალავერდშივე სთქვა, მე აქ აღარ მბოგინებნო.

— მერე, მამა-ჩემს ნიკოსთან საჩხუბარი რა ჰქონდა? გაძევებას რას ერჩოდა?

— მამა-შენი წუწკი, მყრალი მოხუცია! — თავ-დაუჭერლობით წამოიძახა ღიზამ. — იმას უნდოდა ჩემი შერცხვენა და ნიკომ ვაჟაკურად მომაშურა და სამაგალითოდაც დასაჯა, ურცხვ პირზედ ლაფი გადაასხა.

— ჰმ, ეხლა კი მესმის! მაშ, დედა-ჩემი მართალია! უთუოდ იერიშს ახლა ჩემზედ მოიტანს, მაგრამ ვნახოთ, რას დამაკლებს.

— ოჰ, იასონ! რა მომელის, რა? შესძლებ ჩემს დაცვას, ჩემს შელახულ სახელის აღდგენას?..

— შეილო, გოგია არის, ფეხი უნდა გინახოს, — გააწყვეტინა მართამ თავის შემოსვლით ლიზას საუბარი და ისონი გაჭირვებიდან დაიხსნა.

ლუარსაბ ჯამბადრუკიანი მთელი ოთხი თვე დარჩა ტფილისში. თუმცა იმისი გული გატაცებით მიიწეოდა კახეთს, სადაც ისონის წყალობით ლიზა სიფრთხეში ეგულებოდა, მაგრამ, რაკი საქმე დაიწყო, შუაგზაზედ აღარ უნდოდა გაჩერება. რაკი ბერიშვილის გაძევება ისე ადვილად და დაუბრკოლებლივ მოახერხა, ეხლა უფრო თამამად შეუდგა ისონის დაბანაკებას. ითხოვა ყველგან, საცა კი თხოვნა შეიძლებოდა და სად არ შეეძლო ლუარსაბს თხოვნა? სად არ იღებდნენ იმას ალერსით და პატივისცემით! ათიოდე ალაგს აუთქვეს ისონის განწესება, მაგრამ ლუარსაბი არჩევანში იყო, არ უნდოდა არც მწვადი დაეწვა და არც შამფური; თუმცა ისონის გზიდან ჩამოცლა ძლიერ ეჩქარებოდა ლუარსაბს, მაგრამ ამ სიჩქარეში არც იმას ივიწყებდა, რომ ისონი ჩემი პირმო ერთადერთი შეილიაო და ცდილობდა რიგიანი ადგილი ეშოვნა მისთვის,

თავადი მხოლოდ საშობაოდ დაბრუნდა ლეკიკარში და მუყაითად შეუდგა იმის გამოძიებას, თუ რა მოხდა იმის იქ არყოფნაში. მამბეზლარნი და შიკრიკნი მალე იბოვა თავის აუარებელ მოსამსახურეთა შორის და რამდენსამე დღეზედ დაწვრილებით შეიტყო ისონისა და ლიზას ამბავი: „ფეხ-მძიმედაც კი თურმე გახლავთ“, ჩასტუტუნებდა სხვათა შორის ისონის ბებერი გამდელი.

— მართლა?!. ოჰ, ეგ საშინელებაა, გადამეტებული თავხედობაა, ეგ... — სიბრაზით და მწუხარებით გალურჯებული წამოხტა ლუარსაბი და შუბლზედ ცივი ოფლი მოიწმინდა. — ოჰ, მოიცადონ, ჰნახავენ, თუ როგორ ჩავაშხამებ, როგორ გავქელოვ მე იმათ, როგორ დავარდევ მათს უწმინდურს კავშირს, როგორ ბოლოს მოვუღებ იმათს პირუტყვულ ენებათა ღელვას! — გიჟივით დარბოდა ლუარსაბი ოთახში და დარბლებსა ჰყრი-



და; ხან-და-ხან თავში ხელებს წაივლებდა და მზად იყო თავი კედლისთვის მიეხლია.—ოჰ, რა ვქენ? რად დავანებე უგუნურს მხეცს? რატომ არ ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა? მაგრამ ახია, ახია ჩემზედ... ოჰ, რომ შემეძლოს, ჩემის ხელით დავგლეჯდი ორთავეს... მაგრამ... რა ვუყო...—ბებერი თინა, კარებთან მიყუჟული, მთლად კანკალებდა; რას მოიფიქრებდა, თუ იმის გაზრდილის „ცულლუტობა“ თვით „ცულლუტს“ დიდს ბატონს ასე განარისხებდა.—დალოცვილი,—ტუტუნებდა თავის თავად,—განა ეს პირველია ან შვილისაგან და ან მამისაგან? რა მოეჩვენა, რაზედ გადაიროა? რაღა ვქნა, საქმე როგორ გავასწორო? წავალ, ქალბატონს შეეჩვივებ, ეგების იმან დაამშვიდოს.

ქეთევანი წინდაწინვე ჰგრძნობდა მომავალ ელვა-ქექვას, მრისხანე ქარ-ცეცხლს, მაგრამ რა. ექმნა, რა საშუალებისათვის მიემართნა?! ყოველთვის ღვთის განგებაზედ დამყარებულმა, ეხლაც ლოცვა-ვედრებას მიჰპართა და გულის წუხილით იწყო ლოდინი აუცილებელის უბედურებისა. მოლოდინიც დიდხანს არ დასჭირდა.

ახალწლის წინა ღღეს ლუარსაბმა მოიხმო მზარეული და განკარგულება მისცა, რომ ზეგისთვის მზად ყოფილიყო ყოველივე სანოვაგე, რაც დიდს ნადიმს დასჭირდებოდა. „სამოც სულამდე იქნებიან, გესმის! სუყველაფერი უხვად და გემრიელი უნდა იყოს. მარნის კარებთან რომ დიდი ქვევრია, ის აახდენინე, მინდა ვნახო, ხომ არ გაფუჭებულა წითელი ღვინო. რა ხუმრობაა, ღვინო რო დამიწუნოს ვინმე! თელავიდანაც მოვლენ მთავრობის წარმომადგენლნი, „უეზდის ნაჩაღნიკი,“ მარშალი და სხვ.

— ყველაფერი მზად იქნება, შენი ჭირიმე, პირველი ხომ არ არის ჩემთვის დიდი წვეულება, სამოცი კია არა, ჩემო ხელმწიფევე, სამასსაც გასძღოლია თქვენი ნიკოია და ახლა რაღა ღმერთი გაუწყრება, — ტრაბახითა სთქვა ნიკოია მზარეულმა და დაბლა თავის დაკვრით გავიდა გარედ.

ამავე ოთახში ქეთევანიც იჯდა, მაგრამ ლუარსაბმა მზარეულის ბრძანების დროს ცოლს ზედაც არ შეჰხედა, თითქოს ტუმრებს გამასპინძლებას უმასპინძლოდ ეპირებოდა.



— რა ამბავია? რა მიზეზით აპირობ ნადიმს? — ხმის კალით შეეკითხა ქეთევანი ქმარს. — მე კი არ უნდა ვიცოდე, მე კი არ უნდა შევემზადა?

— ახლა ხომ იცი, მოემზადე, ვინ გიშლის, ორი დღე გაქვს წინა და განა შენი სამზადისი მაგაზე ბევრს ხანს მოითხოვს? — მკვახედ უთხრა ლუარსაბმა ცოლსა და გასასვლელად მოემზადა.

— ლუარსაბ, ნუკი გამიწყრები და შენ როგორღაც გუნებაზედ ვერა ხარ. სტუმრებს იწვევ, ნადიმს ემზადები და შენ კი ისე ხარ განრისხებული, ისეთი უღმობელი შეხედულება გაქვს, თითქო ეგ სტუმრობა შენთვის ძლიერ შემადრწუნებელი, ნაძალადევი იყოს?

— იქნება ეგრეც არის! ვინ იცის, ვნახოთ.

— რას აპირობ, რას? მითხარი, შენი ღეთის გულისათვის, მითხარი, ჩემო ლუარსაბ? ამაზე მეტი აღარ შემიძლიან, გული რაღაც უბედურებას მეუბნება, იასონს რას უპირებ, რად უწყრები? რად დაანებე თავი ამ ოთხ თვეს, თუ კი...

— კმარა, კმარა! თუ მე დავანებე თავი, შენ სადღა იყავი? დედა არა ხარ, ვერ ააცდენდი შენ შვილს ფათერაკს?... მაგრამ რა, შენ რა მოგეთხოვება! შენ მხოლოდ ილოცე და იწუწუნე... — გულის გამგმირის დაცინვით უთხრა ქეთევანს ლუარსაბმა და ოთახიდან გავიდა.

XI

ახალწლის მეორე დღეს აუარებელი სტუმარი მოვიდა ჯამბაღრუკიანისას. ეკიპაჟი ეკიპაჟს მოსდევდა, ცხენოსანთ ჯგუფი ცხენოსანთ ჯგუფსა. სადღესასწაულოდ დართული ქალები ცქრიალით დადიოდნენ დიდ დარბაზში და გაკვირვებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „ნეტა რა არის მიზეზი დღევანდელი წვეულებისა?“ თუმცა ლუარსაბის სახლი უჩვევი არ იყო ღვინისა და ნადიმს, მაგრამ სხვა დროს მიზეზი წვეულებისა ან დღეობა იყო რომელიმე ოჯახის წევრისა, ან სოფლის ეკ-



ლესიის დღესასწაული, ან სხვა რამ პატივ-სადები მიზეზი ამ-  
ლევდა საბაბს სახლისპატრონს გულუბხვ მასპინძლობისას, მაგა-  
ლითად, იშვიათის, დიდის, ღირსეულის სტუმრის წვევა. დღეს  
კი რა იყო მიზეზი, არავინ იცოდა.

— იქნება შვილის ნიშნობა ჰქონდეს? ჰხედავ, „უჩიტელ-  
ნიცაც“ როგორ აღელვებულთა, მაგრამ ის რა ფერი აძევს ბი-  
რისახეზედ?

— ეგ ყოვლად შეუძლებელია! ლუარსაბი თავის დღეში  
მაგის ნებას არ მისცემს თავის შვილს და, თუ ლიზაც აქ არის  
დღეს, ეგ მხოლოდ იმისთვის, რომ ბებერს დღეს საარშიყო  
საგნად ეგ ქალი ჰყავს არჩეული; იქნება მამამ არცკი იცის, მა-  
გის აქ არ ყოფნაში, შვილიმა როგორ გაიმარჯვა, — ოხუნჯობ-  
დნენ ხნიერი ქალები, რომელნიც იასონს დიდ დანაშაულად  
უთვლიდნენ ვილაცა გომბიოს უკან დევნას და დიდ-გვარიან  
და შთამომავლობით წარჩინებულ ქალების უყურადღებობას.  
ლიზა მართლაც საშინელ ფერზედ იყო; თავისი თავი ამ  
ბრწყინვალე საზოგადოებაში მეტ ბარგად მიაჩნდა და თან ვერ  
წარმოედგინა ლუარსაბის თავხედობის შემდეგ ალავერდში, რო-  
გორ-ღა შევიძელ აქ მოსვლაო. თავის თავს განუწყვეტლად  
ეკითხებოდა: „რად მოველ, რად? მაგრამ გული რაღასაც  
მეუბნებოდა, მიწვევდა, ცნობის მოყვარეობით ავსებდა ჩემს  
არსებას: ნეტა რად მომიწვიეს, რა აზრი აქვს ჩემს აქ ყოფ-  
ნას! ვითომ აქ იციან მე და იასონის დაახლოვება? ან იქნება  
ადვილად დაეთანხმონ თავის შვილის სურვილს, დღესვე გადა-  
სწყვიტონ ჩემი ბედი?.. იასონი კი მარწმუნებს, დედა-ჩემი ჩემ-  
სკენ არისო. ოჰ, ღმერთო, მე კი მთლად მაცახცახებს, მუხლი  
მეკვეთება, გული საშინლად შემომკვნესის. სამი დღეა იასონი  
არ მინახავს, ნეტა რა არის მიზეზი, შიშით და ეჭვიანობით  
მთლად დავილიე, ყოველი მოთმინება დავკარგე, კინალამ კა-  
ცი არ გაუფრგზავნე. აი ეხლაც აქ უფრო იმის სანახავად, ამ-  
ბის გამოსაკითხავად მოველ. მაგრამ როგორ ვნახო, დიდი და  
პატარა სულ თვალს მადევნებენ. ვინ იცის, მთელს ქვეყანას  
ჩვენზედ აქვთ განგანში! დედა-ჩემიც საქმეს მაჭირებს, გაფრთ-

ხილდი, ხალხის სალაპარაკოდ ნუ იხდი თავსაო. გლებ-კაცებიც კი გკიცხვენ და გემუქრებიანო.“ რა ვქნა, რა ვუყო, თუ კი ღონე არა მაქვს, თუკი მხოლოდ ის არის ჩემი ცხოვრების ვარსკვლავი, თუკი უიმისოდ ჩემი სიცოცხლე შეუძლებელია! ან რად უნდა მოვერიდო, განა ის ჩემი საქრძო არ არის?... განა ფიცი არა აქვს მოცემული, განა სიყვარული ნებას არ გვაძლევს ერთმანეთს თავს შემოვფეხლოთ? მაგრამ იასონი სად არის? რატომ არა სჩანს, რატომ არ მომეგება?—ამ საშინელ ტანჯვასა და თრთოლვაში იყო საწყალი ლიზა, როდესაც ქეთევანმა სტუმრები სასადილო ოთახში მიიწვია.

ვრცელ, კარგად მოწყობილ ოთახში სამპირად იდგა სტოლები, სუფრა მდიდრულად იყო გაშლილი, აუარებელი სასმელსაქმელი, ძვირფას ქურქელთან შეხამებული, სასიამოვნოდ ჰმოქმედებდა სტუმრებზედ. რაც კი შეეხებათ მასპინძლებს, ვერ იტყოდით, რომ სასიამოვნო შეხედულება ჰქონოდა მათ დღერემის პირი-სახეს: მამაც, შვილიც და დედაც ჩვეულებრივის მასპინძლურის მხიარულების მაგიერ, რაღაც ფიქრებით იყვნენ გატაცებულნი და ამათ შემაყურალი სტუმარნი მხიარულების მაგიერად მგლოვიარეებით გამოიყურებოდნენ. არც ხმა, არც ჩვეულებრივი ქართული სუფრის ღალინი და სიმღერა, არც მემუსიკეთა საკრავთა ჟღერა, მხოლოდ ყველანი გულიანად შეექცეოდნენ დიდის გემოვნებით მომზადებულ საჭმელებს, ხმა არსაიდან მოისმოდა, აქა-იქ ჩუმჩუმად თუ იტყოდნენ ერთ-ორ სიტყვას.

შუა სადილზედ ლუარსაბმა უბძანა მოსამსახურებს მოეტანათ ის ოცი ბოთლი რჩეულის ღვინისა, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევისთვის ჰქონდა ხოლმე შენახული და ღვინის მოტანის უმაღლ მიჰმართა სტუმრებს: „ბატონებო, უექველია, გნებავთ შეიტყოთ დღევანდელის წვეულების მიზეზი და მასთან ჩვენის პირ-ქუშობის, მოწყენილობის მიზეზიცა?—ეხლავე მოგახსენებთ: ჩვენი შვილი იასონ, ჩვენი ერთად-ერთი ნუგეში და ბედნიერება ხვალ დილით მიეპკზავრება რუსეთს, სადაც სამსახურში უნდა შევიდეს. რასაკვირვე-



ლია, ადვილად წარმოიდგენთ ამის გამო ჩვენს ტანჯვას, ჩვენს მწუხარების სიღიადეს... მაგრამ განა არ მოგეხსენებათ, ყმაწვილი კაცი ცხოვრებისთვის უნდა მოემზადოს. გავიდეს, გამოვიდეს, ჰნახოს ქვეყანა და თითონაც ქვეყანას ეჩვენოს. იასონს შესწევს გვარიშვილობა, სიმდიდრე და თვალ-ტანადობა, იმისთვის რომ საზოგადო ასპარეზზედ გამოვიდეს, სანუკველი ალაგი დაიკავოს. სირცხვილი იქნებოდა ჩემთვის, რომ ხელი არ გამემართნა, გზა არ მიმეცა მისთვის თავის გამოსაჩენად. მე ველოდი და ჩემმა ლოდინმა ტყუილად არ ჩაიარა: იასონ დანიშნულია „უეზდის ნაჩაღნიკის“ თანაშემწედ სტავროპოლში და აი დღეს მე მოგიწვიეთ, რომ გზა დაულოცოთ და იმის სადღეგრძელო დაგვილიოთ“.

— „ურა, ურა! გზა მშვიდობისა და წარჩინებისა!— მოისმა ხმა-მაღალი გრიალი დიდის ხნის სიჩუით შეწუხებულ სტუმართა.— ურა! ურა!“

საშინლად იმოქმედა ლუარსაბის სიტყვებმა ორს დედა-კაცზედ, რომელნიც ერთი-მეორის პირდაპირ ისხდნენ: ქეთევან გულ-შეწუხებული კედელს გადაესვენა, ლიზას კი სახე დევლრიცა, თვალები გადმოუბრუნდა და პირ-დაღებული, ხელებ-გაშლილი მიაჩერდა იასონს და თითქო იმისგან მოელოდა პასუხს, აუცილებელ პასუხს მამის გადაწყვეტილებაზედ, მაგრამ იასონმა თავი ჩაჰკიდა, უსუსურს მუნჯობას მიეცა. ლიზა მიხვდა, ჩემი საქმე გათავებულიაო და გონება-დაკარგული ზეზედ წამოხტა: „როგორ?.. რა ბძანეთ?.. ხვალ უნდა წავიდეს? ხვალ?..— და აქ ისეთი ხარხარი ასტეხა, რომ შიშის ზარმა მოიცვა მთელი საზოგადოება, ყველანი ფეხზედ წამოხტნენ, ყველანი ცდილობდნენ საცოდავის დამშვიდებას, მაგრამ ყოველი ცდა ამაო შეიქნა: ლიზა ხარხარებდა და თან ხელები ემანჭებოდა, პირისახე საშინლად ებრიცებოდა, ეგრიხებოდა; მთელ იმის სხეულს თრთოლა და ცახცახი გაჰქონდა; შემდეგ ტირილს მოჰყვა და ისეთი შესაზარი და გულის გამგმირი იყო ეს სიცილ-ტირილი, ეს საშინელი ისტერიით შეპყრობილი ახალგაზდა ქალი, რომ ბევრმა ვერ შესძლო ყურება და აქეთ-იქით გაიფანტნენ.

ნახევარ საათის ტანჯვის შემდეგ ღიზა დაშოშმინდა და თვალეზ-დახუჭული, ღონე-მიხდილი, მკვდარივით გაქიმული, ჩასდეს ურემში და დედას მიაყენეს კარებზედა.

ნიკო ბერიშვილი ლუარსაბის დაბეზლების შემდეგ, სამოსწავლო მთავრობამ სრულიად გამორიცხა მასწავლებელთა რიცხვიდან; ამგვარად ახალგაზდა კაცს მოესპო ის გზა მოქმედებისა, რომელიც აძლევდა საზრდოს იმის სულიერს მისწრაფებას და თან აკმაყოფილებდა იმის მცირე ცხოვრების მოთხოვნილებას. ბერიშვილი იძულებული იყო ხელი აეღო საპედაგოგიო ასპარეზზედ, იმ ასპარეზზედ, რომელიც მის ბუნებას, მის მიდრეკილებას, მის ზნეობრივ პრინციპებს შეესაბამებოდა და რომლისათვისაც მზად იყო მთელი თავისი ძალ-ღონე, მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა.

მოხუცებული დედ-მამა, წვრილი, აღზრდას მოკლებული და-ძმა მძიმე ტვირთად აწვა ნიკოს სვინიდის და ძალას ატანდა მუშაობისათვის ხელი მიეყო. მაგრამ რა ექმნა, რა საქმე დაეწყო? რა საქმისთვის იყო მომზადებული? მაშინ, როდესაც მთელი მისი არსება მიიწვედა საზოგადო საქმის დასახმარებლად, ხალხში ნათელის გასავრცელებლად, ეს ხელ-შეკრული უსაქმოდ, უმოძრაოდ ცოცხალ-მკვდარივით მცონარებდა.

ბევრის ფიქრისა და ზნეობრივის ტანჯვის შემდეგ ნიკომ გადასწყვიტა მღვდლობისთვის მოეკიდნა ხელი. თუმცა სარწმუნოებრივი გრძნობა ხელს არ უწყობდა ამ დიდსა და წმინდა საქმეს შესდგომოდა, მაგრამ სრულის გულ-წრფელობით ნუგეშობდა მით, რომ სამაგიეროდ რელიგიურის რწენისა, ჰქონდა მადლი, ზნეობრივი ძალა, ძალა კაცთა სამსახურისა, რომ თამამად შეეძლო მოძღვრების ჯვარი აეღო ხელში და შესდგომოდა ამ მძიმესა, ფრიად ვრცელსა და სავალდებულო საქმეს.

ნიკოს აფერხებდა მხოლოდ მეორე აუცილებელი პირობა სულიერის მოძღვრობისა—აუცილებელი შეუღლება ვისთანმე. ეს აზრი მთლად სწამლავდა იმის გულს და გონებას. „როგორ,





მაშინ როდესაც ჩემს გულში საუკუნოდ აღიბეჭდა სახე და სახელი ერთისა, როგორ შევითვისო და შევისისხლხორცო მეორე? ეკლესიის კანონები შემიძლიან აღვასრულო იმ იმედით და რწმენით, რომ ხალხს ვემსახურები, მის სულიერს მოთხოვნილებას საზრდოს ვაძლევ, ქრისტიანობის მაღალ იდეალს ვუქადაგებ, ვასწავლი, მაგრამ ცოლ-ქმრობის მძიმე უღელი როგორ ვზიდო, როდესაც ცოლთან არ მაკავშირებს სიყვარული, ეს ერთად ერთი ქვა-კუთხედი ცოლ-ქმრობის საიდუმლოებისა?

ეს მღელვარება და სულის ქენჯნა გაუორკვეცდა ნიკო ბერი-შვილს მაშინ, როდესაც მამის სამწყსოს მოახლოებით, სოფელ ლილიფარიანში, განთავისუფლდა მღვდლის ალაგი და შესაძლო იყო ნიკოს, როგორც სემენარიაში კურს-დასრულებულს, ადვილად მიეღო ის ადგილი. იმ მრევლში ნამყოფს მღვდელს დარჩა მხოლოდ ერთი ქალი და ჩვეულებისამებრ ახლადგანწყესებულს სამღვდლოს უთუოდ უნდა შეერთო ცოლად.

— შეილო, ნუ ჰხუჭავ თვალებს კარზედ მომდგარ ბედზედ! — ტირილით ემუდარებოდა დედა ნიკოს. — ყველა, შენს მეტი, აღტაცებით მიეგებებოდა მაგ ხვედრს და შენ კი უარს ამბობ! რისთვის? რა გაქვს მიზეზი? სხვა არა იყოს — რა, საცოლლე მაინც როგორ არ იზიდავს შენს გულს. რა ქალია, რა ზრდილი, რა მშვენიერი, რა ოჯახის პატრონი! ძველის-ძველად ნაგები და მომართული ოჯახი, ყოველის ღვთის მოწყალებით სავსე და ნაკურთხი!

— თუ ამ შემთხვევას დაჰკარგავ, — უმატებდა მამა მწუხარებით, — ყელს გამოსჭრი შენ თავსაც და შენ წვრილ და-ძმასაც. ხომ მხედავ, გავტყდი, მეტი აღარ შემიძლიან! შენ აღზრდას მოვახმარე მთელი ჩემი ძალ-ღონე, ჩემი ნაწვავ-ნადაგი ორიოდე გროში, იმ იმედით, რომ შემდეგ შენ გეპატრონებინა ოჯახისთვის და შენ კი ისევ კისერზედ...

— ოჰ, კმარა, კმარა, მამა-ჩემო! — გააწყვეტინა ნიკომ მამის საყვედური და, სასოწარკვეთილებით სავსე, გავარდა გარედ.

## XII

ბნელი, გაზაფხულის სურნელოვანებით გაჟენთილი საღამო იყო. ნიკო თავ-ჩაღუნული, შავს ფიქრებში წასული და საშინელის ზნეობრივის ბრძოლით წელში მოხრილი, ბოლოს სცემდა პატარა, ტკბილად მოლუკლუკე რუს პირას. ხანდახან შესდგებოდა, შეჰხედავდა ჩაბნელებულ ცას და ამოიკვნესებდა: „ოჰ ღმერთო, ღმერთო! ძალა მომეც ჩემის ხვედრის ტარებისა, ძალა მომეც, რომ არ დავეცე, არ ვუღალატო ჩემ მოვალეობას, ჩემს კაცურ დანიშნულებას.... რა ვქნა, რა ვქნა? ნუთუ შესაძლებელია ყოველივე, რაც იყო, დავივიწყო და ჩვეულებრივს, თელილს გზას გავუდგე? ნუ თუ ცხოვრების კომედიას ერთი მსახიობიცი მივუმატო? ვეკუროთხო, ცოლი შევიერთო, სხვის სავსე ოჯახს დავებატრონო, გავძღე, ვიფუფუნო, ჩავიძინო?... არა, არა, მე იმდენი ძალა არა მაქვს, რომ წარსული გულიდან ამოვიგლიჯო... უღონო ვარ... თუმცა მოვალეობა მავალებს, თუმცა სხვა უჩემო, როგორც დედა-ჩემი ამბობს... მაგრამ არა, არა და არა! ვარჩევ თავი გავინადგურო, სიცოცხლე მოვისპო! „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიო“, სთქვა სახელოვანმა რუსთველმა. მაგრამ რა არის სახელოვანი სიკვდილი? მეკუთვნის მე თუ არა?

— ყმაწვილო, აი რაღაც წერილია შენთან.— შეაწყვეტინა ფიქრები ნიკოს რკინის-გზის სადგურიდან მოსულმა გლეხმა.

— წერილი ჩემთან? შესაძლებელია?— და თან გულმა ისეთის ძრიელებით შემოჰკვნესა, რომ კინალამ გადაიქცა.— ნუ თუ ლიზა მიხმობს?— ელვასავით გაუბრძინა თავში.— ნუ თუ ის უბედური უკვე მიტოვებულია?....

დიდ ხანს ატრიალა ნიკომ წერილი ხელში, თითქო წაუკითხავად უნდა გაეგო მისი შინაარსი და თითქო მიხვდა კიდევ, მიხვდა და თვალ-ცრემლიანი, ნელის ნაბიჯით სახლისაკენ წავიდა.

„ბატონო ნიკო! რად გწერ ამ წერილს, მეც თითონ ვიცი. რა უფლება მაქვს თავს შემოგახვიო ის, რაც მე მკლავს, რაც მე თავზარსა შცემს და საფლავის კარამდე მიწვევს?— არავითარი! მაგრამ მაინც ჩემი სული თხოულობს უკანასკნელად მოველაპარაკო, აღსარება ვუთხრა, ჩემი სულის გოდება განუთხიარო ვისმე და ვის, თუ არ ისევ შენ?! ჩემო ნამდვილო მეგობარო, ჩემო ძმაო, ჩემო ერთად ერთო ჭირისუფალო! „დამიძახე და მოვალ, მოგივლი, გულს მიგიკრავ, როგორც მშობელი და წყლულს დაგიამებო“,—მწერდი შენ უკანასკნელად და ის წერილი ერთად-ერთი ნათელი წერტილი იყო ჩემს ბნელ, უდროვოდ მოსპობილ ცხოვრებაში“.

„ყოველი შენი წინასწარმეტყველება ასრულდა: დავკარგე ის, რის შემდეგაც სიცოცხლე აღარ შეიძლება და, როდესაც შენ ამ წერილს მიიღებ, უბედური ღიზა დედამიწაზედ ცოცხალთა შორის აღარც კი იქნება“.

„ლუარსაბმა წამართვა საყვარელი, ლუკმა პური და ერთად-ერთი ნავთ-სადგური უბედურის ყმაწვილი ქალისათვის ამ წუთი-სოფელში—მშობელი დედა: მშობელმა ვერ აიტანა თავის პირმშოს შეურაცხება და თავი ანაცვალა იმის სახელს. მაგრამ დამაგვირგვინებელი ჩემის უბედურებისა კოშკიკარგლების საქციელი იყო: ლუარსაბისგან გახელგებულნი თავს დამესხნენ, თავს ლაფი დამასხეს და სკოლის კარი დამიკეტეს“.

„ლუარსაბი დამოშმანდა და, როდესაც განადგურებული მნახა, მიწასთან გასწორებული, ვიპოე აყენება მოინდომა, თავისებური ნუგეში-მცა, აღმიტქვა ყოველგვარი ბედნიერება, ფუფუნება, ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და ამ ახირებულმა, სიგიჟემდე მისულმა თავ-ხედმა მოხუცმა უფრო ამჩქარებინა ჩემი გადაწყვეტილება, რაც შეიძლება მალე მომესპო შეგინებული სიცოცხლე“.

„იასონი უგზო-უკვლოდ დაიკარგა“.

„ასე, ჩემო ტკბილო მეგობარო, დავრჩი ქვეყნად შერცხვენილი, უარყოფილი, უპატრონო და ზნეობრივ შემუსვრილი. რისთვის-ღა უნდა ვიცოცხლო? იქნება იმისთვის, რომ მე,



უბადრუკი, შენს ლმობიერ გულს შემოგვეკედლო? — არასოდეს მშვიდობით. ჩემს გულში ერთი გრძნობა-ღა დარჩა, გრძნობა უზომო პატივისცემისა შენდამი და ეს პატივისცემა მავალებს, პატიოსნურად გამოვესალმო წუთი-სოფელს. შენს დიდის შრომით და სიყვარულით შექენილ წიგნებს გიბრუნებ. ზოგი ერთი წაფიკითხე, მაგრამ გვიან-ღა იყო, ნუგეში ჩემისთანათვის აღარსად არის! მათი მიღება შეგიძლიან საზოგადო ბიბლიოთეკაში, იქ ვტოვებ შენის აღრესით“.

„P. S. მართლა, თქვენ სოფელზედ ახლო, ს. ლილიფარიანში სცხოვრობენ თავადნი ამირხანაძეები. თუ შემთხვევა მოგვეცეთ, გადაეცით, რომ მათი ქალი მართა კოშკაძისა ქალითურთ ისევე ამოშლილნი არიან ცხოვრების სიიდან, როგორც მაგათ ჰყავდათ ამოშლილი თავიანთ გულიდან. ინუგეშონ, არ ვამტყუნებ, ყოველი დანაშაული დასჯილი უნდა იყოს. ასე ამოხს, მე მგონი, ცხოვრების ფილოსოფია“.

«ღიზა».

— გუშინ თუ გუშინ-წინ თქვენ მოგაბარათ ვინმემ წიგნები ნიკო ბერი-შვილის გადასაცემად? — ამ სიტყვებით მიჰმართა საზოგადო ბიბლიოთეკის მმართველ ქალს ნიკომ.

იმის სიტყვები ისეთის მღელვარებით იყო ნათქვამი, მისი გაწეწილი თმა, დაუბანელი პირისაზე და ბელეშად ჩაცმული ტანისამოსი ისეთს სურათს წარმოადგენდა, რომ ქალს შემცდარი ეგონა, შიშით ფეხზედ წამოხტა, უკან-უკან დაიწია და საჩქაროდ მიუღო:

— დიაღ, დიაღ! მე მომბარა. აი წიგნებიცა.

— თითონ ამათი მომტანი რალა იქნა, ხომ არ იცით? თქვენის ღვთის გულისათვის, მიმასწავლეთ... იქნება გითხრათ თავისი ბინა, თავისი განზრახვა? ნუ დამიმალავთ... რა დემართა? მითხარიო?!

— დაბძანდით, ბატონო, დამშვიდდით! ნუ ჰღელავთ აგრე. აი წყალი ჩაყლაპეთ, — ლმობიერად ამშვიდებდა ქალი მთლად ათთრთოლებულ ნიკოს.

— არ შემიძლიან, უნდა მოვძებნო! ვაი თუ დავიგვიანე და რალა ვქნა? რალა? — დაფანტულივით გაიძახოდა ნიკო.



— დამშვიდდით, დამშვიდდით, მე შემძლიან გასწავლოთ იმისი ბინა, მხოლოდ დამშვიდდით, გული გაიმაგრეთ.

— მოკვდა, მოკვდა?—ისეთის ხმით შეჰკივლა ნიკომ, რომ, კაცს ეგონებოდა, სულიც თან ამოატანაო, და ფერ-მიხდილი დაეცა სკამზედ.

— ნუ გეშინიანთ, ცოცხალია.—საჩქაროდ მიატანა ყმაწვილმა ქალმა.—გამაგრდით, ღონე მოიკრიბეთ, იმედს ნუ ჰკარგავთ. იმას მხოლოდ პატრონი უჭირს და თქვენ კაი დროს მიეპატრონეთ.

— მადლობა ღმერთსა, მადლობა ჩემს გამჩენს!—შვებით ამოისუნთქა ნიკომ და ოცდაოთხის საათის განმავლობაში, ღიზას წერილის მიღების შემდეგ, პირველად მოვიდა გონს და ტანსაცმელზედ დაიხედა: გახუნებული, ლაქებით სავსე პიჯაკი, ქუჩუყიანი პერანგი, მტვრით სავსე ქუდი, ტალახით მოსვრილი ჩექმები ვერაფრად იამა და სირცხვილის აღმურმა გადაჰკრა.

— გუშინ დამ ღიზას წერილი მივიღე და, როგორც ვიყავ, ისე გავარდი სტანციაზედ; გზაში, მე მგონი, ტალახი იყო, მთლად ამოვსვრილვარ,—ბოღიშის მოხდით უთხრა ნიკომ ქალს და თან სთხოვა მალე ეცნობებინა ღიზას ბინა.

— ღიზა კომუნიკაციის ჩემთან სწავლობდა ზავედენიაში. დიდი ხანი არ მენახა, გუშინ-წინ შემოვიდა ბიბლიოთეკაში და თქვენი წიგნები მოიტანა; ისე აღელვებული იყო, ისე არეულად ლაპარაკობდა, ისე ჩქარობდა და მოუსვენრად მოძრაობდა, რომ ძალიან გამაკვირვა, მაგრამ მინამ გამოვიკითხავდი რასმე, საჩქაროდ გავიდა. გამოეუღდექი, მინდოდა დამებრუნებინა, დამემშვიდებინა, მაგრამ უკანაც არ მოიხედა. მეორე დღეს გაზეთში, პოლიციის ცნობათა შორის, ამოვიკითხე: „გუშინ, საღამო ჟამს, მტკვრის ხიდიდან წყალში გადავარდა ყმაწვილი ქალი, მაგრამ მენავეები ყოჩაღად მოიქცნენ და დარჩობას გადაარჩინეს“. მე მაშინვე საავადმყოფოსკენ გავექანე. გულმა მიგრძნო, რომ წყალში გადავარდნილი უთუოდ ღიზა იქნებოდა და არც მოვსტყუვდი. თვალეზ-დახუჭული, გაქიმული იწვა საავადმყოფოს საწოლზე და მოუსვენრად სუნთქავდა.

ხელი შევახე, ოდნავ გაახილა თვალები და ისევ მალე დახუჭა. უთუოდ მიცნო, ხმა კი არ გამცა და დახუჭულ თვალებიდან ორი დიდი ცრემლი გამოვარდა და მარგალიტივით გაფითრულ ლოყებზედ ჩამოგორდა.

— ლიზა, მითხარი რამე? რა გიშველო, რა გინდა, ვინ გინდა ჰნახო? სად არიან შენი პატრონები, დედა?—ჩავეკითხე გულის წუხილით. იმან მხოლოდ ოდნავ თავი გააქნია და მღუღარების ნაკადულმა მოუმატა დენას იმის ფერ-მკრთალ პირისახეზედ.

— საშიშოა იმისი მდგომარეობა? ექიმები რას ამბობენ?— გაფითრებით დაეკითხა ნიკო ქალს.

— არა, ამბობენ, რამდონისამე დღის შემდეგ სრულიად განთავისუფლდება, თუ ზნეობრივ დამშვიდდებაო...

— საწყალი, საწყალი მსხვერპლი უგუნურებისა!—მწუხარებით ამოიკენესა ნიკომ, მღელვარება ველარ შეიკავა და ტირილი დაიწყო. დიდ ხანს ქვითინებდა და ამის ქვითინი შესახარო იყო: დიდის ხნით შეკავებულმა გულის ბალღამმა პირი გაიხსნა და ნაკადულად გამოსქდა.


— დამშვიდდით, ბატონო, დამშვიდდით,—ეხვეწებოდა ბიბლიოთეკის მცველი ქალი ნიკოს.—თქვენი დამშვიდება და პატრონობა საჭიროა ლიზასთვის!

— დიად, მე მრცხვენიან ჩემის სისუსტისა, მაგრამ დავილაღე, ველარ შევსძელ... მაპატივეთ.—მადლობით ხელი ჩამოართვა ნიკომ ქალს და საჩქაროდ გამოვიდა ბიბლიოთეკიდან.

ეპილოგი.

(იასონის წერილი დედასთან)

„დედა-ჩემო, რომ იცოდე, რა რიგად დამარცხებულია ჩემი თავ-მოყვარეობა, რა რიგად დასჯილია ჩემი სიყმაწვილის დანაშაული? ვიცი, რომ შენ ყველაზე სასტიკო მსჯელო ხარ ჩემი და სამართლიანად დაინახავ ჩემს სასჯელს, მაგრამ ვის





გავუზიარო შენს მეტს, ვის ვუთხრა ის, რამაც ჩემი წარსული, ჩემსავე თვალში ზიზღით აავსო და შავი და ბნელი მიაყენა!

„ათის წლის რუსეთში განდევნის შემდეგ, მამა-ჩემის მოწყალეობით ძლივს მეღირსა საქართველოში დაბრუნება და ჩემ სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა. ვფიქრობდი, რაკი ქართლამდის მოვალწიე, ჩემ საყვარელ კახეთამდინაც დიდი მანძილი აღარ დამრჩენია-მეთქი და მალე ჩემ დედა ქალაქში გავიმართავ სამფლობელოს „უეზდის ნაჩალნიკისასა“-მეთქი. ეს იყო ჩემი სატრფიალო აზრი, ამაზე ზევით არ მიდიოდა ჩემის დიდების სურვილი, მაგრამ ერთმა გარემოებამ სული თავზედ ბალანი ამიშალა და იმ ფუჭს, ზიზილ-პიპილებით შემკულ ხარისხს სრულიად ფერი დაუკარგა.

„მე სულ ორის თვის გამწესებული არ ვიყავ აქ უეზდის მმართველად, როდესაც ჩემის მთავრობისაგან წერილი მივიღე; წერილი კერძო იყო და მიბრძანებდნენ: „გთხოვთ საიდუმლოდ, არა ოფიციალურად, გამოიძიოთ და ნამდვილად შეიტყოთ, თუ რა ამბავია სოფელ ლილიფარიანშიო.“ მე ეს მონდობილება საჩქაროდ ავასრულე, გავიმძღვარე წინ ამ სოფლის მკოდნე პოლიციის მოხელე და ერთ კვირა დღეს მივედი ლილიფარიანშის მამასახლისთან.

„არ შემიძლიან დაწვრილებით არ გაუწყო ამ სოფლის გარემოება, რადგან ყოველი კუთხე, ყოველი ქვა-ქვაზედ დადებული შენობა, გზა-კვალი, წყალი, ეკლესია ზედ ატარებენ იმათს ზედგავლენას, რომელთ მოქმედებაც მე უნდა გამეცნო და, როგორც დამნაშავენი, უნდა გამემხილებინა.

„როგორც გითხარ, კვირა დღე იყო. შემოდგომის მზე ტკბილად ანათებდა დედა-მიწას, ახლად ამოსული ჯეჯილები გზის ორივე მხარეს მშვენებრად ბიბინებდნენ; არც ერთი ცოცხალი ქმნილება, არც ერთი მგზავრი არ მოჩანდა დიდ მინდორზედ, ცაც და დედა-მიწაც გაყუჩებული იყო, სრულიად განსვენებას მისცემოდა ბუნება. უნებლიედ მეც დამიმორჩილა ამ თბილმა, ნათელმა, მყუდრო გარემოებამ და ოცნებას მივეცი და ვერ შევნიშნე, თუ როგორ მიფუხლოვდი სოფელს.

ათი საათი იქნებოდა, როდესაც ლილიფარიანში მიველ და გავი-  
 ვებული დავრჩი მისის გარეგნობით: არსად, გარდა სამზღვარ-  
 გარეთისა, არ შევხვედრივარ ამისთანა სუფთა და კაპწია სო-  
 ფელს; ორ-პირად ჩამომწკრივებულს სოფლის სახლებს, გზის  
 აქეთ-იქით, წინ ორიოდ-სამი ხე უმშვენებდა ეზოებს, რაც სა-  
 ქართველოში იშვიათია და ქართლში ხომ სანთლით არ მოი-  
 ძებნება. თვით გზა გატკეცილი იყო და ორთავე მხრივ ღრმად  
 ამოჭრილ არხებში ანკარა რუები მოუდიოდა. სოფელი მთლად  
 ცარიელი იყო, მამასახლისის სახლის კარები გადმორაზული  
 დამხვდა, სოფელში ქაქანებად არავინ მოსჩანდა. აქეთ-იქით  
 მივხედე და ერთ სახლის წინ დავინახე ერთი მოკუნტული  
 ბებერი დედაკაცი, რომელიც მზის სხივებზედ გვერდებს ითბო-  
 ბდა და თან პატარა ბავშვების თამაშობას თვალ-ყურს ადევ-  
 ნებდა.

— დედი, — დავეკითხე იმას, — რად აყრილა მთელი სოფე-  
 ლი? ნუ თუ შენის მეტი მცხოვრები არავინ არის ამ სოფელში?

— ააა? — წაილულლულა ძალზედ დაყრუებულმა ბებერმა.

— ხალხი სად არის? მამასახლისი? — დავიყვირე მე და,  
 ცოტა არ იყოს, „ნაჩაღნიკური“ გული ყელში მომებჯინა,  
 რომ ჩვეულებრივ გლეხ-კაცობა არ მომეგება.

— ხალხი? მამასახლისი? საყდარში, შვილო, საყდარში!  
 კვირა დღეს სხვაგან სად იქნებიან. საყდარში არიან ყველანი,  
 დღეს ნიკოლოზ ღვდელი ქადაგებას იტყვის და ყველანი იქ  
 არიან. მარტო მე ბედკრული დავრჩი შინ, ყრუ ვარ და ბავშვე-  
 ბი მომაბარეს.

„ჩაფარი მაშინვე დაფაცურდა, უნდოდა გაქცეულიყო სა-  
 ყდრისკენ და მათრახით მოეღალა ჩემ თავვანის საცემლად  
 უგუნური გლეხკაცობა, მაგრამ მე შევაყენე, რაღაც ჩემებურ-  
 მა თავაზიანობამ შემიპყრო და თვითონ გავსწიე ეკლესიისაკენ,  
 რომელიც მალა ფერდობზედ მდებარეობს და ძირს მის კალ-  
 თებს ქვეშ გაშლილს სოფელს გადმოპყურებს, თითქო მფარ-  
 ველობას უწევსო. ეკლესიაში შეველ და იქვე კარებთან სვეტს  
 ამოვეფარე. საყდარი სავსე იყო სადღესასწაულოდ ჩაცმულ





გლესკაცობით. ტრაპეზის წინ პატარა, გამხდარი, ოღნავ ქალარა-შერთული მღვდელი იდგა და აღტაცებით უხსნიდა გატაცებულ მსმენელთ იმას, თუ რა არის ქრისტეს უდიდესი მცნება: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.“

„მქადაგებლის პაწია თვალეზი ისეთის ცეცხლით იყო სავსე, მისი ლამაზი კი არა, მაგრამ მარილიანი სახე, ისეთის გრძნობით იყო აგზნებული, მის ტკბილს, მუსიკალურს ხმას ისეთი ლმობიერებით სავსე ძალა ჰქონდა, რომ მეც კი დამიმორჩილა, გულის სიღრმემდი ჩამწვდა და იქ რაღაც მიძინებული, დიდის ხნის უქმობით დაჩლოუნებული რელიგიური გულწრფელობა გამიღვიძა.“

„ქადაგება გათავდა და ეკლესიის ჩარდახიდან მოისმა მშენიერი მწყობრი, ანგელოზებრივი გალობა. მლოცველთ მოწიწებით მუხლი მოიყარეს და სასოებით სავსე თვალნი მიაპყრეს აღსავლის კარებს, საიდანაც მღვდელი და მთავარი ბარძიმ-ვეშხუმით გამოდიოდნენ. მე გაოცებული ვიყავ. ვინ ასწავლა ქართველ კაცს ლოცვა, რა მანქანებამ დაუბრუნა ეკლესიას? — იცი ვინ, დედა-ჩემო, იცი ვინ იყო ის კურთხეული მოძღვარი, ის სულიერი მამა, ის ლმობიერების გამღვიძებელი ქართველ გლესის დიდის ხნით ლოცვას გადაჩვეულ გულში? — ის იყო ჩვენი ძველი ნაცნობი, შენი საყვარელი და ნაქები ნიკო ბერიშვილი. და აი იმან აქ ეკლესიაში თავის ძლიერებით პირველად დამამარცხა და თვალი გადამავლებინ ჩემს წარსულზედ.“

„მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ამ გაოცებისა და სახტად დარჩენისა, რაც მე შემდეგ ვნახე.“

„წირვა გამოვიდა, ხალხი ჩუმად, წყნარად, ფიქრ-აღბეჭდილ სახით ნელ-ნელა გამოდიოდა საყდრიდან და სოფლისაკენ მიემართებოდა. ეკლესიის სვეტს უფრო გაუთხილებით მოვეფარე, რომ ჩემის მუნდირით და ჩემის ხარისხით არ დამერღვია საზოგადო მყუდროება და მხოლოდ ერთის საათის შემდეგ წირვის გამოსვლისა, მამასახლისის თანამგზავრობით მივედი ბერიშვილთან.“

„ბერიშვილი სდგას, დედა-ჩემო, იმისთანა სასახლეში, რომელთანაც ჩვენი ნაქები დარბაზები თავის სოროებად გეჩვენება. მაგრამ კი არ იფიქრო, რომ ეს სასახლეს გაედიდკაცებინოს, სიმდიდრესა და ფუფუნების შეეპყრას! არა. ეს ისევ ის ნიკოა და ისევ ის ტყავი ასხია. თავ-დაბალი, სადა, ზრდილი და კაცთ-მოყვარე, მხოლოდ სათნოება მოჰმატებია, რადგან ყოველი თავის აზრი შეუსრულებია და საბრძოლველად აღარა დარჩენია-რა.

„რასაკვირველია, ყველა ამ გარემოებამ ხელ-ფეხი შემიკრა და ნიკოს წინ ისე წავდექ, როგორც ცოდვილი შენდობის სათხოვნელად და არა ისე, როგორც მონდობილი მქონდა, ვით იუდა გამცემი და გამკიცხველი.

„დიდის მორიდებითა და გაფთხილებით ვუამბე ჩემის მოსვლის მიზეზი და აფუხსენი ჩემი გაკვირება, რომ გხედავ მღვდლად-მეთქი, მაშინ როდესაც, როგორც მახსოვს, სასულიერო მოღვაწეობა არასოდეს არ გქონია საგნად ცხოვრებისა-მეთქი.

— მართალია, — ამოოხვრით მომიგო იმან, — მე სხვა გზით მინდოდა მიმეხწია საწადელისათვის, მაგრამ გარემოებამ მაიძულა ჯვართა და სახარებით ხელში შეესდგომოდი ჩემის განძრახვის აღსრულებას და არ ვემდური წუთი-სოფელს, მივალწიე სასუფეველს და განა სულ ერთი არ არის, რა გზითაც მივალწიე? მაგრამ წამობძანდით, მე ყოველსავე გაჩვენებთ და, თუ დაინახავთ რასმე ჩვენს საქციელში გასაკიცხავს, გაჰკიცხეთ; ებთქვენის სურვილისა და გადაწყვეტილებისათვის მიმინდვია.

ჩვენ გავედით მოძღვრის ოთახიდან გრძელ ტალანში და შევედით დიდ დარბაზში, რომელიც სამოსწავლო სკამებით იყო სავსე და ზედ რამდენიმე ახალგაზდა გლეხის დედაკაცი სწერდა რვეულებზედ; იმათ თავს ადგა შავებით ჩაცმული ქალი და წერას თვალ-ყურს ადევნებდა; ჩვენ შესვლაზედ ის კარებისაკენ ზურგ-შემოქცეული იყო და, როდესაც ხმაურობაზედ მოიხედა, მე გველ-ნაკბენივით შევყვირე და, როგორც მოჩვენების დანახვაზედ, უნებლიედ პირჯვარი გადავიწერე. ის, ის კი მთლად გაშეშდა, მხოლოდ მარჯვენა ხელი გულისაკენ გაივლო და მა-



გრა მოიჭირა მკერდზედ. ოჰ, რა მშვენიერი იყო იმ დროს, რომ იცოდე, დედა-ჩემო! მისი დიდრონი ჰქყვრიალა თვალები, რომელიც უწინ კაცს სწავდა თვისის სხივებით, ეხლა მხოლოდ ღმობიერებით ანათებდა; მისი თეთრ-წითლად გაღაჟლებული სახე ეხლა მარმარილოდან ნაკვეთს ქანდაკებს წარმოადგენდა. სადათ გადავარცნილი შავი თმა უჩენდა მშვენიერ გადაშლილ შუბლს, იმ სპეტაკ შუბლს, რომელიც წინად პაწაწა კულულებით ჰქონდა დაფარული. შავი კაბა, თეთრი საყელო-სამაჯურებით წმინდანის შეხედულებას აძლევდა და უნებლიედ იწვევდა რაღაც პატრვისცემას მის მიმართ. რამდენსამე წუთს ესე ვიდექით ერთმანეთის პირდაპირ მე და ლიზა, დიად, ლიზა, დედა-ჩემო, ის ლიზა, რომელიც ცოცხალთა შორის აღარ მეგულებოდა და რომლის აჩრდილი მოსვენებას არ აძლევდა ჩემ სვინიდისს ათის წლის განმავლობაში.

ბოლოს ნიკომ დაარღვია ეს მომაკვდავი მღუმარება:

— ელისაბედ, თავადი ჯანზადრუკიანი, როგორც მოხელე, როგორც მცველი საზოგადო წესიერებისა, მოსულა ჩვენსას განსახილველად იმისი, თუ რას ვმოღვაწეობთ მე და შენ და ჩვენი მოღვაწეობა ხომ არ არღვევს საზოგადო მშვიდობიანობას.

— შვილიც მამის ხელობას შესდგომია? დაბეზლების ასპარეზი სჩანს მემკვიდრეობად გადაჰქცევიათ ბრწყინვალე თავადთა ჯანზადრუკიანებს!— გულის გამგმირის დაცინვით სთქვა ლიზამ და სახე მძულვარებით მოვლრიცა.

„თავში სისხლი ამივარდა, სირცხვილის ოფლმა დამახხა, მზად ვიყავ დედამიწაში ჩავმძვრალიყავ, მეწყევლა ჩემის გაჩენის დღე, მაგრამ რას გავაწყობდი? განა ღირსი, არ ვიყავ იმისთანა გარდაწყვეტილებისა?“

— ელისაბედ! შენ ივიწყებ, რომ ყოველი კაცი მოვალეა აასრულოს თავის მოვალეობა, ბატონი „ნაჩალნიკი“ მხოლოდ თავის მოვალეობას ასრულებს, — ღმობიერად უთხრა ნიკომ ცოლს და მერე მე მომმართა: — აი, ბატონო, ეს დიდი და საუკეთესო ოთახი ჩვენ დაუთმეთ სასოფლო სკოლას. აქვე გვაქვს

მოთავსებული პატარა სასოფლო ბიბლიოთეკა. კვირაობით კი ჩემი მეუღლე აქ ასწავლის, როგორც თქვენც ჰხედავთ, ამ ახლად მოყვანილ პატარძლებს, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან, კვირაში ორჯელ საღამოობით ჭრა და კერვასაც.

— რატო მართო პატარძლებს?— შეგვეკითხე მე ნიკოს.

— სხვებმა ყველამ იციან წერა-კითხვა და ჭრა-კერვაც.

— მთელ სოფელში?

— დიად! ჩვენ ბევრი დრო გვქონდა ამ ათ წელიწადში ამ ადვილი საქმის აღსასრულებლად. ახლაც ყურს ეუფდებთ, და რომ არ დაივიწყონ, წიგნების კითხვას ვაჩვენებთ ნელ-ნელა.

შემდეგ ნიკომ გამიყვანა მეორე ოთახში, სადაც გამართული იყო ჩარხები, ქანდარეები და სხვა-და-სხვა სააბრაშუმო იარაღი და მითხრა: აქ, ბატონო, ჩვენ ვამზადებთ აბრაშუმს და ვასწავლით მის შემუშავებას გლეხის ქალებს.

მესამე ოთახში მიჩვენა პატარა აფთიაქი, ამ ოთახის ერთ მხარეს შირმის უკან ორი სუფთად გაშლილი ლოგინი იყო; მე ამან ძლიერ გამაკვირვა.— ეს საწოლები იმ შემთხვევისთვისა გვაქვს,— მითხრა მოძღვარმა,— თუ დიდ ოჯახში გადამდები ავადმყოფობით გახდება ვინმე, ჩვენი სახლი სოფელზედ კარგა მოშორებით არის და ბევრჯელ ამ განცალკევებით, სოფელი გადავარჩინეთ განსაცდელს. მეც და ჩემი ცოლიც ცოტა ოდნად მიხვედრილი ვართ ექიმობას და, მანამ შეძლება ნებას მისცემს გლეხ-კაცობას თავისი საკუთარი ექიმი იყოლიონ, ჩვენ ვაძლევთ ცოტა-ოდენს შემწეობას.

მერე მაჩვენა დიდი ქვითკირის ბელელი, სადაც ინახებოდა საზოგადო პური, მერე მარანი, მშვენივრად მოწყობილი ყურძნის საწურავი მანქანით, საქაჯავით და სხვ.

— ყველა ეს აქაურის გლეხებისა არის,— მიხსნიდა ნიკოლოზ მღვდელი.— საზოგადო ზვრიდან შემოსული ღვინო და საზოგადო მაღაზიის პური სრულიად ჰფარავს სასოფლო ხარჯს, სახელმწიფო გადასახადს, გზების შეკეთებას და კიდევ რჩება იმდენი, რომ ვინახოთ თანხის შესავროვებლად, რომლის სარგებლითაც შეგვეძლება ვიყოლიოთ საკუთარი ექიმი, გაეი-



ჩინოთ რიგიანი საქონელი, შევიძინოთ ზოგიერთი სამეურნეო იარაღი და, თუ საჭიროდ დავინახავთ, მამულებსაც შევისყიდით მეზობელ თავადებისაგან.

— „საზოგადო ვენახი“ რას ჰქვია? თუ უკაცრაოდ არ ვიყვე, ამიხსენით,—დევეკითხე მე.

— ამ შვიდი-რვა წლის წინად ჩემმა ცოლმა აჩუქა აქაურებს ოც და ათი დღის მიწა, ერთი ფერდობის კალთებზედ, მზის გულად, იმ პირობით, რომ სოფელს შემოეღობნა და თავის მუშით და შრომით გაეშენებინა ვენახი. რასაკვირველია, სოფელი დასთანხმდა და აგერ ოთხი-ხუთი წელიწადია ჩინებულნი მოსავალი მოსდით კიდევ. ვენახის გაშენების სასწავლებლად ჩვენ მხოლოდ მცოდნე მებაღე მოვეუწვიეთ და იმის შემწეობით ის საზოგადო ვენახი დღეს ჩინებულის ვაზით არის სავსე და სამაგალითო მევენახეობის წესით ნაგები და შემუშავებული. აგრედვე ღვინის დაყენება პირველში გვასწავლა იმავე მცოდნე მებაღემ და ახლა კი თითონ გლეხებიდან არჩეული და სწავლული მებაღისგან გაწოთენილი მებაღეობს და აწარმოებს, როგორც ვენახს, ისე ღვინის დაყენების საქმეს.

— თქვენ იმ ვენახიდან კულუხს არ იღებთ?

— არა. მხოლოდ მაშინებისა და მარნის მოწყობაში დახარჯულ ფულს, ცოტ-ცოტაობით გვიხდიან შემოსავლიდან. გარდა ამისა,—განაგრძო ნიკომ,—გლეხებს აქეთ საზოგადო მინდორიც სახნავად; ისიც ოც და ათის დღისაა და ისიც ნაჩუქებია ჩემის ცოლისაგან. მთელი სოფელი ჰხნავს იმას, ანოცივრებს და, როგორც მარჯვენა თვალს, ისრე ულოლიებს. წელს კერძო მამულებიდან დღიურზედ საშუალო რიცხვით თორმეტი კოდი გამოვიდა და საზოგადო მინდვრიდან კი ოც და ხუთს გადააჭარბა. ეს ბედელი სავსეა ჭერამდინ და მხოლოდ მაშინ გავყიდით, როდესაც მომავალის წლის მოსავლის პირს დავინახავთ.

— ახლა კი, მე მგონი, ყოველივე აგიხსენით,—წყნარად მითხრა ნიკომ.—რასაც დაასკვნით, ეგ თქვენ ხელთ არის.

— დიდად გმადლობთ,—დაბლა თავის დაკვრით ვუთხარი მე.—მხოლოდ ორიოდ რამეს კიდევ გკითხავთ.

(რასაკვირველია, დედა ჩემო, მიხედები, რომ ჩემი გამოცდილება კითხვა პირად ჩემ ცნობის მოყვარეობას შეეხებოდა და არა ჩემზედ მონდობილ გამოძიებას).

— ვინ განაგებს ყველა მაგ საქმეს, ვინ ჰხელმძღვანელობს ყველა მაგ დაწყობილებას?

რასაკვირველია, ჯერ მე და ჩემი ცოლი და შემდეგისათვის კი ვამზადებთ თვით მცხოვრებთაგან, გამგებელთ. ჩვენ ყოველ წელიწადს ვგზავნი: ქალაქში უკეთესის ნიჭის ყმაწვილებს და შემდეგში ისინი დაიჭერენ ჩვენ ალაგს. აი, მალე მოგვივლენ რამდენიმე ჩინებულად მომზადებული ხელოსნები, ამ სოფლის შვილნი და იმათი დახმარებით წავუმატებთ კიდევ ერთ საქმეს: დავაარსებთ სახელოსნოს, სადაც სოფ. სკოლაში დამთავრებულები გადავლენ სახელოსნოში ხელობის შესასწავლად.

— ხარჯი, ხარჯი ყველა მაგ დაწყობილებისა საიდან მოდის, რა წყარო გაქვთ, რა სიმდიდრე?

— ხარჯი? — განა არ მოგეხსენებათ, რომ ჩემს ცოლს დარჩა თავის პაპისა კარგა რიგიანი მემკვიდრეობა? ის მემკვიდრეობა ჩვენ ისე მივიღეთ, როგორც ღვთის განგებით მოვლენილი წყალობა და საშუალება სიკეთის დასათესად და ისე ვიხმართ, როგორც ზეციერ მამას ვსიამოვნება და ჩვენ ბუნებრივს და ზნეობრივს მოთხოვნილებას შეესაბამება.

— ნუ თუ პირადი ცხოვრება შესწირეთ საზოგადოს? ნუ თუ კაცი მოკვდა თქვენში და მხოლოდ აზრი-ღა მფლობელობს?

— სრულიადაც არა. ყველას თავისებურად ესმის სიცოცხლე, ჩვენ მხოლოდ ამგვარი სიცოცხლე ავარჩიეთ და ჩვენებურად დიდი ბედნიერებიცა ვართ.

— ლიზაც თანაგიგრძნობთ? თუ მხოლოდ ემორჩილება თავის ხვედრს? — ამის თქმაზედ საშინლად გავწითლდი, შუბლზედ ოფლი წამომადგა. რა უფლება მქონდა ასეთი რამ მეკითხნა? მაგრამ გული ვერ დამეჯერებინა, ვერ წარმომედგინა ლიზას ამგვარი შეცვლა.

ნიკო გაფითრდა და თითქო იუარა პასუხის მოცემა, მაგრამ ერთს წამს შემდეგ დამშვიდდა და ლმობიერად მიპასუხა:

ელისაბედი არის სული ყოველის საქმისა და იმგვარის გატაცებით მიისწრაფის წინ, როგორითაც მხოლოდ დედა-კაცს შეუძლიან. ის სწუხს მხოლოდ იმას, რომ ცოდნა და გარემოება ნებას არ აძლევს ყოველგან ბედნიერება და კმაყოფილება გააუფლოს, ყველა ნაკლი შეავსოს, ყველგან უკვდავების წყარო აღინოს!

— რამ შესცვალა აგრე, რამ აქცია დედა-კაცი მოცქეულად? — შეესძახე მე.

— უბედურებამ! — მოკლედ მითხრა ნიკომ და მისი პატარა თვალები ცრემლებით აივსო. მე დედა-მიწამდე დავიხარე, რომ ჩემი შერცხვენილი პირისახე არ მეჩვენებინა მისთვის და გავშორდი საოცარ მღვდელს. მის მეუღლის ნახვა კი ვეღარ გავბედე, თუმცა მზად ვიყავ ხელზედ მოვხვევოდი და მის წინ შენანების ნიშნად მუხლი მომედრიკნა“.

«შენი იასონ».

„P. S. „მამა-შენი ლოგინად არის, დიდი ხნის სიცოცხლე აღარა აქვსო“ — მწერ შენ და, ჩემდა სამარცხვინოდ, ეგ გარემოება არ მალეღვებს, პირიქით, მას შემდეგ, რაც ზემოდ აღვიწერე, ჩემი აზრი განუყრელად ულოლიებს ამ იმედს, რომ მალე ჩემი სახლი ჩემ საკუთრებად შეიქნება და მამი-ჩემის ბატონობის ქვეშ აღარ დამჭირდება ჩვეულებრივი მონური მოძრაობა და შენის დახმარებით, ჩემო ტანჯულო მშობელო, და ნიკო ბერიშვილის ლოცვა-კურთხევით ჩემი მოქცევაც შესაძლებელი შეიქნება!“

„უბედურებამაო“, — სთქვა ნიკომ, — ნუ თუ მხოლოდ უბედურებას შეუძლიან კაცს ბედნიერების გზა აპოვნინოს?“

«იასონ».

ქმ. გაბაშვილისა

ქართული — ში!  
 კავშირი — ში!

## მომომ მიყვარდა

გოგო მიყვარდა ღამისი,  
იმისი სულის ჭირიძე,  
ჭრმად არ მინდომა, გათხოვდა  
და მომარბიდა ჰირი მე.

რად დამდო წენი ქალა-მზემ,  
მოკოულებივარ რაზედა,  
სიღამისითა თუ არ ვარ  
მე უმჯობესი სხვაზედა?

არა, ყველაფრით სრული ვარ,  
ხინჯს ვერ დამდებდა სრულად,  
ჩემს თავსა თვითონ მოკეპვარ  
უზრდელად და მტრულად!..

ერეკლე ბატონს ებძანა  
ფშაკ-სეკსურ ჯართა შეკრება,  
მე ქალას ჭეჭრეტა მინდოდა  
და ავად გავხდი განკება.

არ წაკეღ ჯარში, შინ დავრჩი,  
წავიდნენ ჩემნი ძმნია  
და მამაცობის მათისა  
ყველგან ისმოდა ხმანია!



ამაჲე მკონი წუნსა მდებს,  
 ამაჲე შემომწერამია,  
 თუწმე კაჲკატის ფას-მდები  
 მტკრთან შებმა და ღმია!..

დ. ნინოშვილი

1895 წ.





# იულიუს კეისარი

## მეოთხე მოქმედება

### სურათი I

რომი. ოთახი ანტონიოსის სასახლეში.

ანტონიოს, ოქტავიოს და ლეპიდოს მაგიდასთან სხედან.

ანტონიოს. მას ეს სულ უნდა დაისტონენ, ვინც სიაშია.

ოქტავიოს. ლეპიდ, შენი ძმაც უნდა მოკვდეს, სომ თანახმა ხარ?

ლეპიდოს. მე თანახმა ვარ.

ოქტავიოს. ანტონიოს, ჩანიშნე ისიც.

ლეპიდოს. იმ პირობით ვი, ანტონიოს, რომ ჰუბლიოსსაც

ნუღარ ვაცოცხლებთ, შენს დის-წულსა.

ანტონიოს. ნუღარ ვაცოცხლებთ.

სწორედ ამ ნიშნით, ჰხედავ, მე მას შესაიკვდილოდ ესჯი.

ლეპიდოს, წადი შენ ესლავე კეისარის სახლში

და მის ანდერძი მოიტანე. გასინჯვა უნდა,

თუ რაც მეტია იმ ანდერძში როგორ მოკვამლოთ.

ლეპიდოს. აქვე დამსვდებით?

ანტონიოს. ანუ აქვე, ან კაპიტოლში.—

(ლეპიდოს გადის.)

\*) „მოამბე“, № II.

ოჲ, მეტი-მეტი უღირსი რამ, უფრო კაცია,  
 ვარგა მისაგზავნ-მოსაგზავნად, სხვა კი არაფრად,  
 და ქვეყანას რომ სამ წილად ვყოფთ, წარმოადგინე,  
 კბ ბრევი უნდა მთელ მესამედს დაკმატრონო!

**ოქტავიოს.** თუ მაგ აზრისა იყავ, როცა ვარდგენდით სიას,  
 ზოგთ სასიკვდილად ვსჯიდით, ზოგთა განსადგენელად,  
 ხმას რად აძლეუდი?

**ანტონიოს.** ოქტავიოს, მე შენსედ უფრო  
 მრავალი წელი მიცხოვრია: თუმც ეს ღირსება  
 აკვიდეთ მაგ კაცს, მით ჩვენ თითონ განვთავისუფლდით  
 ბერის სამძიმო ტვირთისაგან. დავესხნათ, ჰიდილს,  
 ვით ვირმა ოქრო, იმ გზით, სითკენ ჩვენ თვით გავიგდებთ,  
 ვაით, სენეშით და ოფლის ღვრითა; როცა მიიტანს  
 ჩვენგან დანიშნულს აღაგს, მაშინ მოვსხნათ ის ბარგი  
 და თავისუფლად დეე სმოკოს ყურის ბარტყენით.

**ოქტავიოს.** შენი ნებაა, მაგრამ უნდა მართალი ითქვას,  
 იგი მამატი, გამოცდილი მეომარია.

**ანტონიოს.** მაგაში ჩემი ცხენიც უკან არ ჩამოაჩნება  
 და სწორედ მისთვის ვაძლეე საზრდოს. მე მას ვასწავლი  
 შებმას, უგრძივ გაჩერებას, მოტრიალებას,  
 ან მედგრად მისვლას; ერთის სიტყვით, მის მოძრაობას  
 წინამძღვრობს მხოლოდ ჩემი ჭკუა და ლეზიდოსიც,  
 რომ დაუუკვირდეთ, კეთია; უნდა ლაგამი  
 ამოსდო პირში, წინ გაიგდო, უხელმძღვანელო.  
 ტვინ-თხელა აჩის, ხას-უფრალთ საზრდოებს მხოლოდ,  
 სხვისგან ნაცრეთი ხელ-ახალი ჭკონია ბედგრულს  
 და მით აძაყობს. ლაპარაკი არ ღირს მაგასედ,  
 იგი უგრძნობო საგანია.—აჲ, ოქტავიოს,  
 დიდი აშხავი მსურს გაუწყო: თურმე კასიოს  
 და ბრუტოს ლაშქრად გამოსულან და ჯარებს ჭკრეფენ.  
 უნდა საჩქაროდ შევეშალოთ ხელი როგორმე,  
 უნდა შევიკრათ კავშირითა და ჩვენთ მეგობართ  
 თავი სულ ერთად მოვეყაროთ; ნურას დავზოგავთ,

თუ რამე ღონე გავგახნია. წავიდეთ, დავსდეთ,  
 გავწიოთ ბჭობა, ან ფარული როგორ შევიტეოთ,  
 ან ცხად განსაცდელს როგორ გავცეთ მარჯვედ ვასუსი.  
 აქტავიოს. აგრე მოვიტეოთ, თორემ მტერი ბევრი გვარტყა  
 და გვისისინებს ყოველ მხრიდან; ზოგი გვიღიმის,  
 მაგრამ ვინ იცის ამ ღიმილ ქვეშ რა გესღს გვიმზადებს.  
 (გაღიან.)

## სურათი II

ბანაკი სარდლის ახლო. ბრუტოსის კარვის კარმიდამო.

(დაფლეთის ხმა. შემოდინ ბრუტოს, ლუცილიოს, ტინიოს და  
 ჯარის-კაცნი. მათ წინ შინდაროს შეხედება. ლუციოს მოშორებით  
 მოსჩანს.)

ბრუტოს. დადეგ, გაჩერდი!

ლუცილიოს.

ნიშანი სთქვი, გაჩერდი, დადეგ!

ბრუტოს. შენ ხომ არ იცი, კასიოს ჯერ კიდევ შორს არის?

ლუცილიოს. არა, ახლდა, აგრე მოდის აქ შინდაროსი,

რომ თვის ბატონის მაგეობად საღამო გიძღვანს.

(შინდაროს ბრუტოსს წერილს აძლევს.)

ბრუტოს. ძეგობრულ წერილს მწერს.—შინდაროს, შენმა ბატონმა

მიხეხი მომიტა სამდურავის. არ ვიცი, თითონ

გამოიწყვალა, თუ სულ-ქვეითთ უნდა დაბრალდეს,

მაგრამ ნეტავი რაც მოხდა, ის არ მომსდაროეო.

ახლო თუ არის, მაღე განსავ და ვასუსს მოკთხოვ.

შინდაროს. ეტვი არა მჭკს, დარწმუნდები, რომ იგი ისევე

პატიოსნებით და ღირსებით აღსავსე არის.

ბრუტოს. რც ვინმე ეტვობს.—ლუცილიოს, სათქმელი რამ მჭკს:

როგორ მიგიღო კასიოსმა, შემატეობინე.

ლუცილიოს. პატივისცემით და თავანით, თუმიც ამ მიღებს

ჩვეულებრივი სისარული არ ეტეობოდა  
 გამაწვეული ტებილ მეგობართ ერთად შესვედრით.

**ბრუტოს.** და ტებილ მეგობრის გაგრილებას ნიშნავს ეგ სიტყვა.  
 იცოდე, ჩემო ლუცილიოს, რას სიყვარული  
 სუსტდება, ჭჭრება, ამ სისუსტის ძალვას ცდილობენ  
 ძალ-დატანებულ თავაწითა და ცრუ ალერსით.  
 სულის სიწრფელეს ეშმაკობა არ ეჭირვება  
 და ცბიერნი კი ჭკვანან თავლად ცხარე ბედაურს,  
 თავმოწონებით თვის ღირსების გამომჩვენებელს,  
 რომელსაც რაკი მხედრის მწვავე დეწი მოსკდება,  
 დამბუნდება, ჯაგლაგოვით ჩამოჭყრის ყურებს.  
 ჯარიც სომ მოსდევს?

**ლუცილიოს.** დიად, მოსდევს. ამდამ ზოგი,  
 მცირე ნაწილი შიგ საზღვისში დაიბანაკებს,  
 დანარჩენი კი თან მოჭყავს მას მთელ მხედრობითურთ.  
 (მარშის ხმა.)

**ბრუტოს.** სუ, აგერ, მოდის! მიიკვებოთ ნელის ნაბიჯით.  
 (კასიოს ჯარით შემოდის.)

**კასიოს.** გაჩერდი!

**ბრუტოს.** დადეგ! გადაეცით ჯარს ეს ბძანება.

**გარედან ხმები.** გაჩერდი, დადეგ!

**კასიოს.** ბრუტოს, ძმაო, სახელგანთნო,  
 შენ მე საშინლად მასწეინე.

**ბრუტოს.** თქვენ საკვით, ღმერთნო,  
 მე მტრის წყენასაც კერიდები, ძმას რად გაწეინდი!

**კასიოს.** ეგ გულ-ცივობა ჭფანავს სწორედ ჩემთვის ბერ საწეინს.  
 რაკი ასრეა...

**ბრუტოს.** სჯობს, დამშვიდდე და სამედურავი  
 თუ გაქვს რაიმე, დაბლა მიიხრა. ერთმანეთს კიცილობთ,  
 არ არის კარგი, აქ კიხსუბოთ ჩვენ მხედრობის წინ,  
 რომელთ ერთობის მაგალითი უნდა ვუჩვენოთ  
 და სხვა არა-რა. უბძანე ჯარს ჰატარა მიდგეს,  
 მოდი ჩემს კარავს, იქ ამისსენ, რასაც მეძღურო

და მეც მოგისმენ.

კასიოს.

ზინდარ, უთხარ ჩვენთა სარდალთა,  
 ჯარი იქითკენ მიაყენონ.

ბრუტოს.

ლუციოს, მიდი  
 და შენც აგრე ჰქმენ. ჩვენს კარავში ნურგინ შემოვა,  
 ვიდრე ბჭობას არ გაჯათავებთ. ლუცილიოსი  
 და ტიცინიოსს დარჯუებად კარებთან დადგენ.  
 (ვალიან.)

### სურათი III

#### ბრუტოსის კარავი.

(შემოდინ ბრუტოს და კასიოს.)

კასიოს.

აი შენ რითი შეურაცხ-მყავ: ლუციოს ჰელა  
 დასჯეკინე სამარცხენოდ მსოფოდ იმისთვის,  
 რომ ვითომ ქრთამებს იღებდაო სარდისეულთაგან,  
 და არ ათხვე ჩემს წერილებს სრულიად უჭრი,  
 რომელითაც მე მას, ვით ჩემს ნაცნობს, კესარჩლებოდი.

ბრუტოს.

მაგგვარ საქმეში გარეკით თვით შენივე თავი  
 შენ შეურაცხ-ჰყავ.

კასიოს.

ესეთ უმისა კარავა განა,  
 რომ უოკელ მცირე დანაშაულს სასჯელს ვუჩენდეთ?

ბრუტოს.

ვიდეკ აი რა უნდა გითხრა: შენც ბეგრს გვიცნავენ,  
 ამბობენ, ვითომ ხელ-მრუდეობ და უღირსს ვირებს  
 თანამდებობა-ღირსებასა ფუულით ურიგებ.

კასიოს.

მე ხელ-ვმრუდეობ! ოჰ, იცი, რომ ბრუტოსი გქვიან,  
 თორემ ღმერთთ ვფიცავ, მაგ სიტყვასთან გაჯათავებდი.

ბრუტოს.

და კასიოსის სახელი ვი სწმენდავს შენს ბიწსა,  
 ისე რომ თითონ სასჯელიც ვი კელარას ჰხდება.

კასიოს.

რაო, სასჯელი!

ბრუტოს.

მოიგონე მარტის იდები,  
 ის მოიგონე, ვით გაგწირეთ სიმართლისათვის  
 ჩვენ თითონ დიდი იულიოს. ვინ იქნებოდა  
 ისე საზიზღი, ხელი ესლუ უამმისესოდ!  
 და ესლა უნდა ჩვენთაგანმა, რომელთ განგებირეთ  
 ზირველი კაცი ჭეყანასკედ მხოლოდ იმისთვის,  
 რომ ტაცვა-გლეჯას მთავრველებდა, ჩვენ უნდა-მეთქი  
 მოჭრთამეობით შევარცხვინათ ჩვენი სახელი  
 და ეს ღირსება თავ-მომწონედ შეძინებული  
 უნდა გავტყალეთ ერთ მუჭა ფუჭ საზიზღ ოქროსკედ!  
 ის მიჩვენინან ძაღლი ვიყო, მთავრეს შევეფიფდე,  
 ვიდრე მაგკვარი რომაელი.

კასიოს.

მე ნუ შეეფ ბრუტოს,  
 კელარ მოგიტემენ! გაკიწულება, მეტ ვაჟკაცი ვარ,  
 რაბებში შენსკედ გამონდელი და უკეთ ვინა  
 ღირსეულ კანთა გამომჩვენა.

ბრუტოს.

სტუეი, კასიოს!

კასიოს.

აბა, აბ ვტყუი.

ბრუტოს.

სტუეი-მეთქი.

კასიოს.

დამესხენ, ბრუტოს!

ღამის გონება დამეთანტოს. შენს თავს უფრთხილდი,  
 ნუღარ მაქეჭებ.

ბრუტოს.

დაიკარგე, იქით, უღირსო!

კასიოს.

რა, ეს რა მესმის!

ბრუტოს.

გამიგონე, ღამნარკვი მსურს.  
 ვითომ გგონია, შეკუშინდე შენს გაცლოვებას!  
 ანუ გიყვივით თვალთა ბრიალს?

კასიოს.

რა, დმერთნო, დმერთნო,

უნდა ეს ყველა ავიტანო!

ბრუტოს.

და გადგე მეტიც,  
 ვიდრე ეგ ზვავი გული შუა აბ გავისკდება.  
 წადი, შენს მონებს დაენახვე როგორა ბრახობ,  
 ისინი მანტ შეაშინე. მე ვი ვერ შემძრავ

და კერძ მკისრებს, რომ თვალ-წარბში შემოგუყურებდე,  
გეფინებოდე ფიანდაზად გულ-მოსულის ყამსა.  
ისევე შენ უნდა მონულა მაგ ბრახას გესლი,  
თუნდაც გაგხეთქოს, რადგან დღეის იქით, იცოდე,  
როცა მოჭყეობ აგრე ბურტუნს, მე თავს შევიჭრებ  
და სსსსსსსსსსსს სს მუყოფი.

კასიოს. მამ მანდამდისაც  
მივიდა საქმე!

ბრუტოს. უკეთესი გაყვანი ვარ!  
ხარემა ვნადოთ, დაამტკიცე შენი ტრახასი;  
არ მეწყინება ჭეშმარიტად, უკეთესისგან  
მაგალითს მანც სომ ავიღებ.

კასიოს. არა გრცხენიან?!  
ცდილობ ჩემს წყენას ყოველის გზით: მე როდი მითქვამს,

რომ უკეთესი გაყვანი ვარ, კთქვი, გამოცდილი  
კარ-მეთქი უფრო; აბა, ბრუტოს, ასე არ იყო?

ბრუტოს. რა მენაღვლებს, რაც უნდა სთქვას!

კასიოს. თვით კეისარიც  
კერ გაბუდავდა აგრე წყენას ჩემსას.

ბრუტოს. გახუმიდი!  
შენ კი, შენ თითქო გაბუდავდი მის აღვლებას!

კასიოს. კერ გაბუდავდი?

ბრუტოს. კერა-მეთქი.

კასიოს. ვითომ რატომას?

ბრუტოს. თავს დაწოგავდი და იმიტომ.

კასიოს. რა, ჩემს შენდამი  
სიყვარულს მაგდენს ნუ ენდობი, თორემ ვაი თუ

ისეთი რამ ვქმნა, რაიც ბოლას მევე ვინანო.

ბრუტოს. შენ რაც ჭქმენ, ჯერ ის შეინანე. არა, კასიოს,  
კერ შემაშინებ მაგ მუჭარით: ზატიოსნების  
ვაჭკ-ვაკმანით ვარ შეჭურვილი და ევ ყოყონი  
ისე ქარვიით მივლის გკერდსა, რომ კერც კი ვამხნევ.  
რქნო დამჭირდა, ვანი მისთვის მოკვდავნი შენთან



და შენ უარს მითხარ. რა ვქნა, არ შემიძლიან  
 სვეტა-შეძენა უღირსის გზით. ვფიცავ თვით ზედს,  
 ამ გულის დატრას წვრილ-წვრილ ფულად უფრო ვარჩევდი,  
 ვარჩევდი-მეთქი მთლად ამ სისხლის დრაქმებად ქრევას,  
 კიდრე გლეხთაგან უსამართლოდ გამომეწმია  
 მათ დაკარგებულ სელებითა ნაწვავ-ნაშოკნი.  
 უარს მითხარ ფულზედ, რაინ ლეგიონთათვის  
 დასარბობლად მჭირდებოდა. ეგ ეკადრება  
 განა კასიოსს? ან მე ამგვარს ზასუსს მოგტემდი?  
 თუ მარტო ბრეტოს გაძენწდება ისე რადისძე,  
 რომ თვის მეგობართ დაუჭიროს ფუჭი ღითონი,  
 მასინ, რა ღმერთნო, ნატურ-ნატურ დაფლითონ იგი  
 მესთა ისრებმა!

კასიოს.

მე ფული არ დამიტყრია.

ბრეტოს. სტყუი.

კასიოს.

არ ვსტყუი. მთლად უჭკუო ყოფილა იგი,  
 ვინც ეგ ზასუსი მოგიტანა. რად მიკლავ ამ გულს!  
 მეგობრის ცოდო მეგობარმა უნდა დამაღოს  
 და შენ კი უფრო აზვიადებ, თუ რამ ნაკლი მჭირს.

ბრეტოს.

ავი არაფერს არ ვამბობდი, კიდრე ჩემსედვე  
 არ გამოვცადა.

კასიოს.

სიყვარული არა ვაქვს ჩემი.

ბრეტოს.

მართლაც არ მიუვარს, რაც კი შენში სწუნარია.

კასიოს.

ჩემში წუნს ვერც კი შეამჩნევდა მეგობრის თვალი.

ბრეტოს.

არ შეამჩნევდა მხოლოდ იგი, ვინც ზირ-მოთხეობს,  
 თუნდა ოღმიშის მთის ოდნად ეგ წუნი მოსჩანდეს.

კასიოს.

რა, მოდით ჩქარა, ანტონიას, შენც, რატავიას,  
 ამოიყარეთ კასიოსზედ მარტო ეგ ჯავრი,  
 რადგან სიცოცხლე მას მოსწეინდა. რადად იცოცხლოს  
 შებულებულმა საყვარელის მეგობრისაგან,  
 გამოლანძღულმა მონასავით, მმისგან გამობილმა,  
 როს ყოველ მის ნაკლს ყურს უგდებენ გაფაციცებით,  
 სახსოვარ წიგნში სწერენ, სიტყვით იმეორებენ



მსუგან პირში მოსასწავლად! ტირილი მმართვეს,  
 ტირილი, ვიდრე სულს თვალთაგან არ გამოკვირებს!  
 აი ხანჯალი, აი ჩემი შიშველი მკერდიც,  
 აქ მიცემს გული თვით პლეტოსის ძვირფას მადანსედ  
 უძვირფასესი და საუნჯე მჯობი ოქროსი, —  
 წაიღე იგი, თუ შენ მართლა რომელი ხარ,  
 მე გაძლევ ამ გულს, მე რომელმაც ოქრო არ მოგეტ.  
 დამკარ ისე, ვით კეისარსა, რადგან იმ წუთშიც,  
 როს უმეტესად გძულდა იგი, მანც გიყვარდა,  
 როგორც კასიოს თავის დღეში არ გუყვარებია.

**ბრუტოს.** ჩააგე ქაჩქაშს ეტ ხანჯალი და ჯვარობით ვი  
 თავი გაიწთე რამდენიც გსურს, არ მენაღვლება.  
 შენ, კვინებ, ბატკანს ნათესავად მოხვდება, რომელს  
 ჯვარი ედება ისე, როგორც გაყის ქვას ტეტსლი:  
 წამს აფეთქდება, მეორე წამს ისეც ტივია.

**კასიოს.** განა ამისთვის ეს სიტყვებს შეუინარჩუნე,  
 რომ სასაცილოდ გამაგეთოს ბრუტოსმა ძაშინ,  
 როდესაც სეგდა გულს მაწიება და სისხლი მიდღუღს!

**ბრუტოს.** და მეც მიდღუღდა იგი, როცა აგრე მოგაქვე.

**კასიოს.** როგორ, შენ თითონ აღიარებ? მაშ მომეც ხელი.

**ბრუტოს.** აი ხელიც და გულიც მასთან.

**კასიოს.** ოჰ, ჩემო ბრუტოს!

**ბრუტოს.** რა ამბავია?

**კასიოს.** არ გიყვარვარ განა იმდენად,  
 რომ მომიტომინო ეს სიტყვად, თავ-დაგვიწყება  
 დედი ჩემისგან სისხლთან ერთად გადმოტყეული?

**ბრუტოს.** რატომაც არა; დავიხსომებ მაშ დღეის იქით,  
 რომ როდესაც შენ შენს ძმას ბრუტოსს წააკიდე, ი  
 უნდა დედა-შენს დავაბრალე და შენ დაგეხსნა.

**ზოკტი.** (ვარედან) სარდლებთან შესკვლა მინდა-მეთქი, ჭკედავთ, ჩსუბო-  
 და მართლ იმით დატოვება არ შეიძლება. [ხე]

**ლუციუს.** (ვარედან) კერ მოგტემ ნებას იქ შესულისას.

**ზოკტი.** მოლოდინ სიკვდილი

თუ შემიკრავს გზას.

(შემოდის ზოკტი. უკან ლუცილიოს და ტიტინიოს მოხდევინ.)



- კასიოს. აქ რა გინდა, რისთვის მოსულხარ?
- ზოეტი. რას ჩადით მაგას, ჯარბ-უფროსონ, არა გრცხვენიათ? უნდა გიყვარდეთ მეკობრულად თქვენ ერთმანეთი, ეს დამიჯერეთ, მიცხოვრია მე თქვენზე მეტი.
- კასიოს. ეს ბრევიტი ვითომ ლექსებსა სთხზავს, ზოეტი არის.
- ბრუტოს. გადი აქედან, დაიკარგე, უზრდელო, მხერც!
- კასიოს. ნუ გაუწერები, ჩვეულებად სჭირს ეგე მაგას.
- ბრუტოს. თავის დრო-ყაში რომ იცოდეს, მეც მოუეთმენდი, მაგრამ რამეთოსან რა ხელი აქვთ მაგ მასხარებს!— წადი, ძმობილო.
- კასიოს. კარგი, გასწი, გადი აქედან.  
(ზოეტი გადის.)
- ბრუტოს. ლუცილიოს და ტიცინიოს, უფროსთ უთხარით, ამდამ აქვე მოუმზადონ ჯარებს სადგური.
- კასიოს. მერე დაბრუნდით და მესადაც თან მოიყვანეთ; ესლავე მოდით.  
(ლუცილიოს და ტიცინიოს გადიან.)
- ბრუტოს. მამიტანე ღვინო, ლუციოს.
- კასიოს. არ ვიცოდი, რომ კვრე ცხარე, გულ-ფიცხი იყავ.
- ბრუტოს. ბევრი ვარაში მაწუხებს მე, ჩემო კასიოს.
- კასიოს. მას რადად გინდა ფილსოფოსთ სწავლა-მომღვრება, თუ კი წყენასაც ვერ აიტან?
- ბრუტოს. ოჰ, დამერწმუნე, საწყინარს ჩემზედ უკეთესად ვერვინ აიტანს,— ჩემი ზოცრია აღარა მყავს.
- კასიოს. რაო, ზოცრია!
- ბრუტოს. დიაღ, მომკვლარა.
- კასიოს. ვით გადავრჩი მას მე თვით სიკვდილს, რომს მაგ ფოფაში წაბუკიდე! ოჰ, საშინელი, აუტანელი ამბავია! რითი მომკვლარა?
- ბრუტოს. ვერ გაუძლია ჩემთან გაყრა და რა უტყვის გამღიერება ანტონიოს-ოქტავიოსი,— ესეც გაუწევს მის სიკვდილის ამბავთან ერთად—

ჭკვასკედ შემდგარა, მარტო თავი დაუგულის  
და ნაკვერჩხლები გადაუღვანავს.

კასიოს.

მაგით მომკვდარა?

ბრუტოს. დიაღ, ამითი.

კასიოს.

ჯოი, ღმერთნო, ყოვლად ძლიერნო!

ბრუტოს. მასზედ ნუ მეტყევი ნულარაიერს, — მომეცია ღვინო. —

კასიოს, ყოველ ჩვენ შორის შიგთოს ამით ვანულებ.

კასიოს. ამ გულისაგ სწუურის, ხმა კასტეს შინს დიდებულ სურვილს. —

ჭიქა პირთამდე ღვინით სავსე მომეც ღუწიოს,  
თუმიტა ბრუტოსის სიყვარულსა სმით კერ დავიცნობ.  
(სვამს.)

ბრუტოს. რად არ შემოხვალ, ტიტინიოს? —

(ტიტინიოს და მესალა შემოდინან.)

მესალა შენი

ნახვა მისარის. ახა სანთელს გარს შემოუგუსდეთ  
და ჩვენს საჭირსა საქმეებზედ რამ მოვისაზროთ.

კასიოს.

ზორცია, მკვდარი უნდა იყოს!

ბრუტოს.

ნულარას იტყევი. —

მესალა, ესლა მომივიდა მე წერილები;

მატყობინებენ, აქტაგიოსს და ანტონიოსს  
დიდი ღაშკარი შეუფრიათ ჩვენთან საბრძოლად  
და ფილიპისკენ წამოსულან.

მესალა.

ჩემს წერილებშიც

ეგებ სწერია.

ბრუტოს.

სხვაც კიდევ სომ არა არის-რა?

მესალა.

გამოუციათ სამთ კანონი გათასსირების,  
აქტაგიოსსა, ანტონიოსს და ლეპიდოსსა,  
და მით სიკვდილით დასჯა ასის სენატორისთვის  
გადუწიკვითათ.

ბრუტოს.

მანდ კი ცოტა განსხვავებაა:

სამოც და ათი სენატორი სწერია ჩემში  
მათის ბრძანებით დასრცილი; ერთი მათგანი  
არის ციცერო.

კასიოს.

ციცერონა.

მესალა.

დიაღ, ციცეროც



იმაკ კანონით დაუსჯიათ.—ბრუტოს, ცოდვისგან  
წერილი არა მოგსკვლია-რა?

ბრუტოს.

არა, მესალა.

მესალა. ან სხვის წერილში არაფერი სწერია მასზედ.

ბრუტოს. არა, სრულიად არაფერი.

მესალა.

უცნაურია.

ბრუტოს. რისთვისა მკითხავ? შენში მასზედ სწერია რამე?

მესალა. არც იქ სწერია.

ბრუტოს.

სწორე სთქვი, ვით რომაელს ჭებრობს.

მესალა. მაშ შენც რაც გითხრა, აიტანე ვით რომაელმა:

იგი სიკვდილით უცნაურით მომკვდა რა თურმე.

ბრუტოს. მშვიდობა მის სულს, ჩვენც, მესალა, დავისოცებით  
და რაკი ვინც, რომ სიკვდილი ელდა ერთ დროს,  
მოთმენით ვიტან დღეს ამ ამბავს.

მესალა.

სწორედ დიდებულს

ზირს აგრე შეენის დანაკარგის დიდის ატანა.

კასიოს.

მეც თქვენებრ მტკიცედ ვარ შექმნილი, მაგრამ ვი აგრე  
ვერ აიტანდა მაგვარ ამბავს ჩემი ბუნება.

ბრუტოს.

კამარა, შეუდგეთ ჩვენ ჩვენს საქმეს. აბა, რას იტყვით,  
წავიდეთ ესლა ფილიპისკენ?

კასიოს.

არ ვარჩევ წასვლას.

ბრუტოს.

საბუთი გვითხარ.

კასიოს.

გვონებ სჯობდეს მტერმა თვით გვეპნოს;

დეენაში საგზალს გამოილეგს, დაიქანტება

და ჩვენ ვი ჩვენთვის აქ ვიქნებით დამშვიდებულნი,  
მზანი, ძალ-ღონე მოკრეფილნი მათ დასასკედრად.

ბრუტოს.

კარგმა საბუთმა გზა უკეთესს უნდა დაუთმოს:  
მცხოვრებნი ამ ჩვენ ხანაკას და ფილიპის შორის

ნამძალდეკად მოგემსრებენ, რადგან სურსათის

მოკრეფამ მეტად შეაწუსა. თუ ამ ქვეყნებზედ

გადმოიარა მტერმა, მაშინ უკუკელია,

მათში ჯარს მოჭკრეფს, წაქეზდება, მოიცილს ღონეს

და ახალ ძალით თავს დაგვესმის. მაგრამ თუ ჩვენვე



მივალთ ფილიპის, ამ მხარეს ზურგს უკან დაგივდებით, მაშინ მოკუსნობთ სასსარს ასე მოქმედებისას.

კასიოს. მეც მომიძინე ესლა, ძმაო.

ბრუტოს.

გთხოვ დამაცადო.—

ესეც შენიშნეთ, მეგობრები სადაც კი გვევადა, ყველამ თავი აქ მოიყარა; რაიც შეგვეძლო ჯარის მოკრეფა, მოვაგროვეთ და ჩვენი საქმე მომწითებულნი არის ესლა, როდესაც ჩვენს მტერს უოველ დღე და ჟამ ემატება ძალი და ღონე. ჩვენ მწვერვალზედ ვართ, დაქანებას ვაპირებთ თავივე. ვაცთ ბედის ჩარხი ზღვის ტალღების მიმოქრევას ჭკავს: თუ ზე-ამავალს პირს მოექცენ, სომ წარიმატებ, მაგრამ თუ ასედი, მაშინ შენის ცხოვრების გზაზედ წინ განსაცდელი, ყველგან საფრესე გადგელობება. ესლა თამამად ზღვის ტალღებში ჩვენ დაგნურაობთ, ხელს ნუ შევიშლით, მიუყვით მათეე მდინარებისა და ნუ დაგვარგავთ ამ შემთხვევას გამარჯვებისას.

კასიოს. მას ეგრე იყოს, ბრძანე წასვლა და ფილიპისთან დაკუსვდეთ მტერსა.

ბრუტოს.

ჭხუდავთ, ვიდრე ვლანარეობდით, დაღამებულა კარგა ძალზედ. კოხნებ ბუნებას ჩვენსას არ აწყენს მოსვენება და ნურც დაუჭერთ. აქეს ვიდრე ვისმე რამ სათქმელი?

კასიოს.

აღარა გვაქვს-რა.

ღამე მშვიდობის. სვალ სამგზავრად ადრინა ვდგეთ.

ბრუტოს.

ლუციოს, მომეც საღამური ტანისამოსი.— მშვიდობის ღამე მოგცეს ღმერთმა, ჩემო მესალა, შენც, ტიცინიოს.—საყვარელა ძმაო, კასიოს, ღამე მშვიდობის, მოსვენებით იმყოფებოდე.

კასიოს.

მეირფასო ძმაო, ეს საღამო ცუდად დაიწყო, ნულარ გვენარს კვლავ რამე შეფოთი ჩვენ შორის.

ბრუტოს.

აწ სომ დაკმშვიდდით.

კასიოს.

მოსვენებას ვისურვებ შენთვის.

ბრუტოს. შენთვისაც, ძმაო.

ტიციან. და მეს.

ჩვენც გისურვებთ მშვიდობის ღამეს.

ბრუტოს. ყველას მშვიდობა. —

(გაღიან კასიუს, ტიციანიუს და მესაღა. შემოდის ლუციუს; ხელში სალამური ტანისამოსი უჭირავს.)

მომეც აქ კვ ტანისამოსი.

შენი საკრავი სადღა არის?

ლუციუს.

კარავში გასვლას.

ბრუტოს.

ძინარესავით ღაზარაკობ, მაგრამ რა ვუყოთ, ბევრი იფსინოვლე, საცოდავო, მოგეტყუება. კლავდიუსს და სხვებს დაუძახე ჩემთა მსახურთა, აქ ჩემს კარავში მიხდა დაწვენ.

ლუციუს.

კლავდიუს, კარო!

(ვარო და კლავდიუს შემოდინ.)

ვარო.

შენ გვიბრძანებდი?

ბრუტოს.

უმწიკვლოდ, აქ დაძინეთ; იქნება მალე გადავიძება დამჭირდეს თქვენი, რომ კასიუსთან მიმეგზავნათ.

ვარო.

სეზე გასვლდებით და მოკრულდით შენს ბრძანებასა.

ბრუტოს.

არა, არ მიხდა, დაწვეით ისევ, იქნება რომ არცევი მიგვზავნათ. — ჰსედავ, ლუციუს, წელან რომ წიგნს ვეძებდი, თურმე აგერ ჯობეში ჩამიღვია.

(ვარო და კლავდიუს წვებიან.)

ლუციუს.

აკი, ბატონო, მოგასხენე, რომ ჩემთვის კვ არ გიბრძანებია.

ბრუტოს.

გულ-მავიწეი ვარ, მომიტყუე, ჩემო ლუციუს. ვერ შეიძაგრებ ძილისაგან ცოტა სანს თავსა, არ შეგიძლიან ერთი ორჯერ ჩამოგვკრას სიმებს?

ლუციუს.

ესლავე, თუ კი სურვილი გაქვს.

ბრუტოს.

დაიღაცა მსურს, მაგრამ გაწუხებ, ძალს კატან შენს მოძრეილებას.

ლუციუს. ეს მორჩილება ვაღადა მძევს, ბატონო ჩემო.

ბრუტუს. მე თვით არ უნდა დაგაკალო, რაიც არ ძალ-გამს.  
უმაწვილ კანთათვის მოსვენება საჭირო არის.

ლუციუს. ავი კიდევაც მეძინა მე.

ბრუტუს. კარგად გიჟნია.

აღარ გაფხინებ დიდხანს, ისევე სჯობს დაძინო.  
თუ გი ვინცნებ, შენს სამსახურს არ დავივიწყებ.

(ლუციუს უკრავს და მღერის, მაგრამ ბოლოს ჩაეძინება.)

ეს მოსვენების კილო არის. უწყალო ძილო!  
რად გამიბრუნე მე ეს ბავშვი ტვბილად დამკვერელი  
მაგ ტუქიასავით მძიმე კვერთხით!—ღამე მშვიდობის.  
არ გაგაღვიძებ, ჩემო კარგო, არ ავამოთებ,  
მაგრამ თვლემის დროს ეს საკრავი რომ არ გაგიტუდეს,  
აჭა, მოგატყვი; მოისვენე, მიეტ ძილს თავი.—  
აბა, ესლა ეს წიგნი ვნახათ. აკერ ფურცელი  
გადაკვეტილი; სჩანს აქამდე წამიკითხია.

(შემოდის კეისარის აჩრდილი.)

სანთელი როგორ ცუდად ბუტავს! ეს ვილა მოდის?  
აღბად თვალები დამისუსტდა და მიტომ ვსედავ  
მე ამ საზარელს სანსაჯსა. აქ მოდის ჩემთან.  
მიტხარ, ღმერთი ხარ, ანგელონი, თუ ტარტარონი?  
ვინა ხარ-მეთქი, რომ უანულად მიქცეო სისხლი  
და ამბურძენე შიშით ეს თმა? სთქვი, ვინ ხარ, რა ხარ.

აჩრდილი. ბრუტუს, იცოდე, მე ბორცოტი სული ვარ შენი.

ბრუტუს. რისთვის მოსულხარ?

აჩრდილი. მსურს, გითხრა, რომ ფილიპის ახლო  
მნასავ შენ კიდევ.

ბრუტუს. როგორ, კიდევ უნდა გნახო შენ!

აჩრდილი. დიაღ, ფილიპის ახლო-მეთქი.

ბრუტუს. მაშ კარგი, გნახავ.

(აჩრდილი გადის.)

ძლივს გავიმავრე გული და შენ ესლა მიდისარ.  
ბორცოტი სული, შენთან კიდევ სიტყვის თქმა მწადდა.—



ეი, ლუციოს, გაიღვიძე. ვარა, კლავდიოს!  
 კლავდიოს-მეთქი!

ლუციოს. სიმი სტუეის, ბატონო ჩემო.

ბრუტოს. ამას ჭგონია, კიდევ უგრავს.—ლუციოს ადგე!

ლუციოს. ბატონო ჩემო!

ბრუტოს. რად ჭყვიროდი, სიზმარი ნახე?

ლუციოს. მე არ მახსოვს, რომ დამეყვიროს.

ბრუტოს. ყვიროდი-მეთქი,  
 რა მოგეზმანა?

ლუციოს. არაფერი მომზმანებია.

ბრუტოს. მაშ ისევ ისე დაიძინე.—ეი, კლავდიოს!

(ვარა) არ გაიღვიძებ?

ვარა. რას მიბრძანებ!

კლავდიოს. ბატონო ჩემო!

ბრუტოს. რისთვის ყვიროდით ისე ძიღში?

ვარა და კლავდიოს. ჩვენა ყვიროდით?

ბრუტოს. ჭო, სწორედ თქვენა, სიზმარში სომ არა ნახეთ-რა?

ვარა. მე არაფერი არ მინახავს, ბატონო ჩემო.

კლავდიოს. არც მე მინახავს.

ბრუტოს. მოიგითხეთ, წადით, კასიოს,  
 უთხარით, ადრე აჭყაროს მან თავის ღაშკარო  
 და ჩვენს მიკუეებით.

ვარა და კლავდიოს. გიანჯებით, ბატონო ჩემო.

(გაღიან.)

# მესყოფე მოქმედება

## სურათი I

### დაცემული ადგილი ფილიპის ახლო

(შემოდინან ოქტავიოს და ანტონიოს თავიანთ ჯარებით.)

**ოქტავიოს.** რასაც კელოდი, ანტონიოს, სწორედ ის მოხდა.  
შენ სთქვი, რომ მტერი მალეობიდან არ ჩამოვარ, არ მოშორდება მთა-გორაკებს, მაგრამ გამტყუნდი: მათი ჯარები აქ არიან ფილიპის ახლო და გვიპირებენ სრძელას მიზნულ-მიუტეველად.

**ანტონიოს.** აბა, რას ამბობ! სხვაა მათი გულის-ზასუნის, რადაც მოიქცნენ აგრე, მესმის: იმათა სწადდათ სულ სხვა მხარისკენ გამგზავრება და თუ აქ გაჩნდნენ, იმის სურვილით მოსდით, თავი მხნედ დაგვისასონ და დაგვარწმუნონ, კითომ არას გვეპოებიან; მაგრამ ეკ ეგრე როდი არის.—(შემოდის შიკრიკი.)

**შიკრიკი.** მოემზადენით, ჯართ უფროსებო, მწუბრად მოდის მტერი ჩვენზედა, წინ საომარი უფროალებს თამამად დროშა და საჭირთა, რომ ეხლავე შეუდგეთ საქმეს.

**ანტონიოს.** მაშ, ოქტავიოს, შენი ჯარი ნელის ნაბაჯით ამ მინდვრის მარცხნივ წაიყვანე.



ოქტავიოს.

მე მარჯვნივ წავალ,

მარცხსნივ შენ წადი.

ანტონიოს.

ესლა რა დროს ცილობა არის!

ოქტავიოს. არ გეცდილები. მარჯვნივ წასვლა მსურს-მეთქი, გამბობ.

(მუსიკა მარშს უკრავს. მეორე მხრიდან მოისმის დაფ-დაფის ხმა. შემოდინან ბრუტოს, კასიოს და მისი ჯარი; ლუცილიოს, ტიცინიოს, მესალა და სხვანი.)

ბრუტოს. ღაპანაკი სურთ, რაკი შედგენ.

კასიოს.

მაშ ჩვენც წინ წავდგეთ

სალაპანაკოდ.—ტიცინიოს, შესდგეს ღაპანაკი.

ოქტავიოს. ხომ არ განიშნოთ, ანტონიოს, ბრძოლის დაწყება?

ანტონიოს. არა, ჯერ ამით დავაწყადოთ, წინ წავდგეთ, აბა.

მათ სარდლებს რაღაც აქვთ სათქმელი.

ოქტავიოს.

ნულარ დაიძვრით

ჯეროვან ნიშნის მიტეპამდე.

ბრუტოს.

ჯეროდ სიტუებები,

მერე კვეთება, ესე, ჩემო მამულის-შვილნო?

ოქტავიოს. თანხა ვართ, მაგრამ არა მისთვის, ვითომ ვარჩევდეთ თქვენებრ სიტუებების მიმოსრულას.

ბრუტოს.

ოჰ, ოქტავიოს,

ავად კვეთებას ბეერთა სჯობს კარგი სიტუებები.

ანტონიოს.

ავი კვეთება შენი ავი შეჭკავში სიტუებით

და როს კეისარს გულს უზობდი, ენით შესძახე,

იცოცხლეს დიდ ხანს კეისარმა, იფლეგრძელესო!

კასიოს.

ჯერ არ გვიცდია, ანტონიოს, ვით კვეთები,

მაგრამ სიტუებებით თვითონ ჭიბლას ფუტკრისთვის თაფლი

შენ მოგიპანაკუს, დავიგდია უსაზრდოოდა.

ანტონიოს.

არა უნესტროდა.

ბრუტოს.

უნესტროდაც, თითქმის უხმოდაც.

დაისაკუთრე მის ბზუილი და ბზუი განკებ,

მოიმარჯვებდე ვიდრე ნესტარს.

ანტონიოს.

ოჰ, ავანაკნო.

თქვენ როდი ჭქმენით ავრე, როცა თქვენი ხანჯლები

ერთი-ერთმანეთს შეეჯახნენ კეისრის გულთან.  
კბილებს იკრეჭდით მაიმუნებო და ლაქერობდით,  
უმისავით წელში ისრებოდით, ულოკდით ფეხთა  
და ამ დროს კასკად, იმ წვეუელმა წვეწკ ქოფაკსავით  
კისერში ჩაჭკრა უკანდას. ოჰ, შიშმომთენენ!

კასიოს. ჩვენ ვართ შიშმომთენე! — ბრუტოს, ეს სომე შენი ბრალაა:  
რომ დაგეჯვრას კასიოსთვის, კედარ შესძლებდა  
მაგისი ენა ესრედ ჩვენსა შეურაცხებას.

ოქტავიოს. კარგია, კარგი, საქმე ვნახათ. თუ ლაშაჩაკმა  
ასე გაგვწურა ოფელში, მაშინ რაღა იქნება,  
როცა ეს ოფელი წითელ სისხლად გადაიქცევა.  
აქ შემომხედეთ, ამ ხმაღს კიდებ ორგულთ საყლეტად  
და როდის ჩავა ისევე ქარქაშს, როგორ გგონიათ?  
ან მაშინ, როცა ოც და ცამეტ კეისრის წელულის  
სამაგიეროს გადავიხდი, ან მუხანათნი  
როცა მეორე კეისარსაც ხმაღს ააგებენ.

ბრუტოს. შენ არ მოკვდები, კეისარო, მუხანათთ სელით,  
თუ მუხანათნი შენთანვე არ მოგიყვანია.

ოქტავიოს. მეც იმედი მაქვს: იმისთვის კი არ ვაგჩენილვარ,  
ბრუტოსის ხმაღმა მომაკვდინოს.

ბრუტოს. უმაწვილო კაცო,

საუგეტესოც რომ იყო შენს გვარტომობაში,  
ვერს დროს უფრო სახელოვნად ვერ მოკვდებოდი.

კასიოს. და არც ღირსია მაკ სიკვდილისთვის-ნება ბავშივი  
კავშირ-შეკრული მოქეიფე არამხადასთან.

ანტონიოს. კასიოს, ჩუმად იყო, გიჯობს. ჩუმად, ბებერო!

ოქტავიოს. აქ რაღას ვდგავართ, ანტონიოს. — მუხანათებო,  
საომრად გითხროკთ, შიკ კბილებში გესვრით ამ ძახილს.  
თუ დღეს გახედვით ჩვენთან ბრძოლას, მობრძანდით მიხდვ-  
თუ ვერა, როცა მოინელებთ შიშსა და ძრწოლას. [რად,  
(ოქტავიოსს, ანტონიოსს და იმათი ჯარნი ვადიან.)

კასიოს. იქროლე ქარო, აზვირთდი ზღვავე, გემო იტურე!  
დადგა ავღარო და ყოველივე ბედსედ ჰკიდას.

ბრუტოს. სათქმელი რამ მაქვს, ლუცილიოს, აქეთკენ მოდი.

ლუცილიოს. ბრძანე.

(ბრუტოს და ლუცილიოს ცალკე ჩუმად ლაპარაკობენ.)

კასიოს.

მესალა.

მესალა.

რას მიბრძანებ, ჩემო სარდალო?

კასიოს.

დღეს სწორედ ჩემის დაბადების დღეს, მესალა. აქ მომავლად შენი ხელი და მოწმად იყავ, რომ როგორც ერთხელ ზომიერად, ისე მე ვარ დღეს იმულებული მთელი ჩვენი თავისუფლებას მხოლოდ ერთ ბრძოლას დავაძეარო ჩემს უნებურად. კაიკურისის სწავლას, იცო, მე მტკიცედ ვაძეგ, მაგრამ ესლავ კი შევიტყველავ აზრი და მკურავ ცოტათი მაინც მოჩვენება წინასწარ ნიშნით. სარდალიდან რომ მოვდიოდით, ჩვენს მოწინავე დროშებზედ რა დიდროვანი აწვივი დაჯდა და ჩვენ ჯარის-კაცთ ხელით უხვად იკვებებოდან; აქამდე მოგვეყენენ, ფილიპამდე. მაგრამ დღეს დილით ვნახეთ, რომ სადღაც გაფრენიდან და მათ მაგივრად თავს დაგვეურებენ, დაგვიჩხავიან ძერა-ყორანნი, ვით განმზადებულს სააღაფოს. იმათი ჩრდილი გადაჭრავიან შავ-ბედითან ჩვენს ჯარის რაშებებს, თითქო მის ნიშნად, აქ სიკვდილი წილად გვსდებათო. ნუ გწამს ეგები.

მესალა.

კასიოს.

მაინც ვეკვლავ მე როდი მკურავ, რადგანაც ისევე სულით მხნე ვარ და მზა, რომ ყოველს განსაცდელს შედგრად წინ დავუხვდე.

ბრუტოს.

ქო, ლუცილიოს.

კასიოს.

ძვირფასო ბრუტოს, დღეს ჩვენ დიქრთნი მწვალობლებად ნეტავი ასე ტვბილად ვიყოთ სიბერემდისაც. [ტყუავს, მაგრამ რადგანაც კაცის საქმე ცვალებადია, სჯობს, რომ უარესს მოველოდეთ. თუ კი გვაჯობეს, უკანასკნელი უნდა იყოს ეს ლაპარაკი მე და შენ შორის. მაშინ რა ვქნათ?

ბრუტოს.

სწორედ იმავე

მიუყუები სწავლა-მომღვრებასა, რომლის ძალითაც  
კვიცნავდი კატოს, თავი როგორ მოიკლა-მეთქი.  
მე მიმანნია სილანჩოდ და სიმცირ-სიმდაბლედ  
მომავლის შიშით შემოკლება ბედით ნარკუნის  
სინტონის უამის; მოთმინებით აღვიჭურვები  
და გეღადები უმაღლეს ძალთ განგება-სურვილს.

კასიოს.

მამ თუ დავმარცხდით, დასთანხმდები, რომ მტრის ტრიუმფ-  
დასამშვენებლად გაგატარონ რომის ქუჩაზე? [ფის

ბრუტოს.

არა, კასიოს, არა-მეთქი, მაგას ნუ ჭივიჭობ,  
კეთილ-შობილად რომაელად, ბრუტოს როდისმე  
ბორკილით რომში მიიყვანონ. არ დაიმცირებს  
ის მანდაძე თავს, და სწორედ დღეს უნდა დასრულდეს  
მარტის იღებში დაწვებული. ეს აღარ ვიცი,  
თუ კვლავ როდისმე ერთმანეთსა ვნახავთ მე და შენ  
და სჯობს ამიტომ სამუდამოდ გამოგეთხოვო.  
აჲ, სამუდამად! ძვირფასო ძმაგ. თუ კიდევ შეგხვდით,  
გატკეპლიძება ამ ამბავზე და თუ კვლავ,  
უკანასკნელი მისაღება იუოს ეს ჩვენი.

კასიოს.

მშვიდობით, ბრუტოს, სამუდამოდ! იყავ მშვიდობით.  
თუ კიდევ შეგხვდით, ჰერს ღიმილი მოგვიკვ მარტლაც  
და თუ კვლავ, საუკუნოდ გაყრად ეს დარჩეს.

ბრუტოს.

აბა, წავიდეთ! აჲ, ნეტა ვი შესაძლებელი  
იუოს შეტყობა, ეს დღე თუ ვით დაბოლოვდება;  
მაგრამ ბოლოც ხომ მალე მოვა და მის შედეგი  
გამოცხადდება.—ნუ ვაყვანებთ, წავიდეთ ჩქარა! (გაღიან.)

### სურათი II

იგივე ალაგი. ბრძოლის მინდორი.

(ომის ხმაურობაა. შემოდინ ბრუტოს და მესაფა.)

ბრუტოს.

გასწი, მესაფა, გაეშურე და ეს ბრძანება  
ძეარე მხარის ლეგიონებს გადაეცე ჩქარა.

უნდა ერთბაშად მიესიონ; აქედან ვატყობ,  
 რატავიოისის ჯარი მეტად ანუელის  
 და უეცარი იერიში სრულად განახნებს.  
 თავზედ დაესხან სწრაფად მტერსა! გასწი, მესალა!

### სურათი III

იგივე ალაგი. მინდვრის მეორე მხარე.

(ამის ხმაურობაა. შემოდინ კასიოს და ტინიოს.)

**კასიოს.** ნახე, გაიქცნენ, ტინიოს, ის საზიზღარნი,  
 მე თვით მოსისხლე მტრად გავუხდი ჩემთა ჯარის-განთ.  
 აი ეს დროშა გამოეტაცე ამ სელით მოკლეულს  
 ლახარ მედროშეს, რომელმაც მტერს ზურგა უჩვენა.

**ტინიოს.** ბრუტოს აჩაბდა, მეტად ადრე გასცა ბრძანება,  
 გული მოიცა, რაკი ნახა, რომ რატავიოსის  
 თითქო სჯობნიდა. სელი მიჰყო წარცვას მის ჯარმა  
 და ჩვენ კი იმ დროს ანტონიოს გარს შემოგვეტყა.

(შემოდის ზინდაროს.)

**ზინდაროს.** გაიქცე ჩქარა, ჩქარა-მეთქი, ბატონო ჩემო,  
 შენს კარკებშია ანტონიოს, ჩქარა, კასიოს!

**კასიოს.** სერი შორს არის. — ტინიოს, ერთი შესხედე,  
 ის ცუცხელი ჩემის კარკებიდან მოხანს, მგონია?

**ტინიოს.** დიაღ, აგრეს.

**კასიოს.** ტინიოს, თუ კი გიყვარვარ,  
 შეჯექ ჩემს ცხენზედ, გაუყარე გვერდში დეგები,  
 გაფრინდი აიმ რაზმებისკენ, წამს აქვე გახნდი  
 და ეს მაცნობე, მოყვრისა, თუ მტრის ის ჯარი.

**ტინიოს.** ესლავე წავალ, ელვასავით მივირბ-მოვირბენ. (გაღის.)

**კასიოს.** ადი, ზინდაროს, იმ გორაკზედ და ერთი ნახე, —  
 მე ხომ ბეტი ვარ, შორ მანძილზედ არ მიტრის თვალი —

როგორ მოვიღოს ტიტინიუს სომარ კელსა;  
 უკელა მაცნობე.—(პინდაროს ვორაზე აღის.)

მე შირკულად ამოვისუნთქე  
 დღეკანდელ დღესა; დრომ თვისი წირე შემოიფარგლას  
 და სად დავიწყე, იქვე უნდა დაკაბოლყოკო:  
 ჩემი სიტყვების სარბიელი დღეს დასრულდება.—  
 რა ამბავია?

**შინდაროს.** (მალლიდან) ოჰ, ბატონო!

**კასიოს.**

რა, რა იყო?

**შინდაროს.** (მალლიდანვე) უკან მოსდევენ ტიტინიუსს ცხენიანები...  
 თავებს არ ზოგვენ... ტიტინიუს, აწ გი მშვიდობით...  
 ზოგნი ჩამოსდენ ცხენებიდან... ისიც ჩამოდის...  
 ოჰ, ხელი სტაცეს!—(მარისმის კიჟინის ხმა.)

სინარულის გაყინა გესმის?

**კასიოს.**

კარგი, ჩამოდი, დაანებე ყურებს თავი.—  
 სირცხვილი ესეთ სილახრესა! მე ცოცხალი ვარ  
 და უკეთეს ჩემს მეგობარს ვი თვალ-წინ მართმევენ! —

(**შინდაროს** ჩამოდის.)

აქ მოდი, ძმაო, ზართიაში ტუვედ შეგიზყარ შენ  
 და დაგაფიცე, რომ უარი არ გაგებუნა,  
 რაც უნდა მეთქვას. შეასრულე აწ შენი ფიცა;  
 თავისუფლება მომიცია, მხოლოდ ეს ხმალი,  
 რომელს ეღირსა გატარება კეისრის გვამში,  
 ამ გულში დამეც. უარის თქმის ნება არა გაქვს.  
 მოჭკიდე ხელი ტარს და რაცა ზირისანესედ  
 ხელები ასე ავაფარო, მტეიცედ გამგმირე.  
 ოჰ, კეისარო, შენი ჯვარი ამოიფარა  
 სწორედ შენმავე მკვლელმა ხმალმა.—(კვდება.)

**შინდაროს.**

განკითავისუფლდი?

თუმც არ მინდოდა მე ესეთი თავისუფლება,  
 ჩემს ნებასედ რომ ყოფილიყო. წავალ, კასიოს,  
 გადავიკარგები ამ ქვეყნიდან ისეთს მხარეში,  
 სიდან ვერც ერთი რომელი ჩემსედ ვერწას სცნობს.

(გადის. შემოდინ ტიტინიუს და მესალა.)



**მესაღა.** ბაზდობარად ვართ, ტიტინოს: ოქტავიოსი ბრუტოსის ჯარმა დაამარცხა და სამაგებროდ გაუმარჯვნია კასიოსზედ ანტონიოსსა.

**ტიტინოს.** სანუგეშოა ეგ ამბავი კასიოსათვის.

**მესაღა.** საით დასტოვე?

**ტიტინოს** ის დაკოვოე აქ ამ მალეობზედ შეწესებულნი მეტის-მეტად. თან ჭყავდა მარტო მის ყმა ზინდაროს.

**მესაღა.** აქ მიწაზედ კასიოს არ წევს?

**ტიტინოს.** ვაიმე ბედგრულს! მას სიცოცხლე აღარ ეტეობა.

**მესაღა** როგორ, ის არის?

**ტიტინოს.** ოჰ, მესაღა! იყო კი, მაგრამ აწ ის კასიოს აღარ არის. მსუე ჩამკალა, როგორც შენ ჭქრები გარს აღისფრად სხივ-შემოსილი, ისე მოსურილი წითელ სისხლით განჭქრას კასიოს. ჩადგა რომის მსუ, დღე მოგვესპო, გარდასწყდა ბედი, აწ გარს სიფათი შემოგვრტემია და ზნელი ნისლი! ჭგონებია, რომ რაც მომანდა, ცუდად დასრულდა და ამ შეცდომას მოუღია იმისთვის ბოლო.

**მესაღა.** ჭო, სწორედ ეგრე ჭგონებია და მას მოუკლავს. ოჰ, ცდომილებავ! საზიზღარო სუკდის ნაყოფო, რისთვის უხატავ, რაც არ არის აღამიანის მიმნდობს გონებს?! შენ სანქაროდ იცი ჩასსკვა, მაგრამ კი შობა ბედნიერი არ გელირსება და ჭკლავ შენს დედას, თვით შენსავე ჩამსასკელ-მშობელს.

**ტიტინოს.** კი, ზინდაროს, შენ სადღა ხარ? აქ მო, ზინდაროს.

**მესაღა.** მოსძებნე იგი, ტიტინოს; მე კი ბრუტოსთან წავალ და სმენას განუგემირავ მწარე მოთხრობით; განუგემირავ-მეთქი, რადგან ვიცი, რომ ამ ამბავსა მიიღებს ისე, ვით მჭრელ ფოლადს, დაშსამულს ისარს.

**ტიტინოს.** კარგი, წადი და მე ზინდაროსს მოვსძებნი სადმე. —  
(**მესაღა** გადის.)

რისთვის გამგზავნე, ოჰ, კასიოს, მამაცო მამაცო!

მე ხომ მეგობართ შენთა შეგხვდი, რომელთ გვირგვინი

გამარჯვებისა მოსართმევად შენდა თავს დამდეს.  
 კერ გაიგონე მათი კიჟინა? ოჰ, მე უბედურს!  
 თურმე სსჯავრავად ზიხსნია ყოველიფერი.  
 მანც აიღე, თავს დაიდგი შენ ეს გვირგვინი,  
 შენმა ბრუტოსმა მიბრძანა, რომ ასე მოვიქნე  
 და მეც ვასრულებ მის ბრძანებას.—მოდი აქ, ბრუტოს,  
 მოდი და ნახე, ვით მიყვარდა მე კასიოსი.  
 ღმერთო, ნუ მიწყენთ... ეს სკედრია რომაელისა...  
 იმისი ხმალი, აჰა, ჩემს გულს მიესალმოს...

(კვდება.—ომის ხმაურობაა. შემოდინ შესალა, ბრუტოს, ანაღ-  
 გაზდა კატო, სტრატო, ვალუშნიოს და ლუცილიოს.)

ბრუტოს. აბა, სად არის იმის გვამი, სადა, შესალა?

შესალა. აგერა იქა, ტიციანიოს თავზე დასტირის.

ბრუტოს. ტიციანიოსი გულ-აღმა წიკს.

კატო. ისიც მკვდარია!

ბრუტოს. ოჰ, იულიოს კეისარო, კვლავ ძლიერი ხარ.

თავს დაგვტრიალებს შენი სული და ჩვენეც ხმლებით  
 ჩვენსაც გულ-მურცელს გააწილვინებს.

(კიდევ ომის ხმაურობაა.)

კატო. ოჰ, ტიციანიოს!

ჭსკდავთ, გვირგვინი თავს დაუდგამს მკვდარ კასიოსთვის.

ბრუტოს. არის-ღა ორი ამათ მსგავსი ჩვენის ქვეყნის მე!

უკანასკნელა რომაელა, მშვიდობით იყავ!

კვლავ რომი ვეღარ ეღიარება შენებრივ შვილსა.—

მე მეტი მმართებს, მეგობრებო, ცრემლების დაღვრა  
 მიცვალებულის გამსუგად და თქვენ ცოტასა ჭსკდავთ.—

გლავისთვის კიდევ ვიპოვი დროს, ჩემო კასიოს!—

თასოს გაგზავნეთ ამის გვამი, აქ კერ დავმარხავთ,  
 რომ ჯარებს სიმსნე არ მოუხსნათ. მოდი აქ, კატო,  
 შენც ლუცილიოს, ნუღარ ვდგავართ, ბრძოლად გავიდეთ.

აბა, ლახუა და ფლავიოს ჯარს წაუძღვით!

სამი საათი არის კიდევ დაღამებადე,

რომაელებო, ერთხელ უნდა კვლავ ბედი ვცადეთ. (გაღიან.)

## სურათი IV

იგივე ადგილი. საომარ მინდვრის მეორე მხარე.

(ომის ხმაურობაა. შემოდინან ორივე ლაშკრის მეთაურნი და იბრძვიან; მასუკან ბრუტოს, ახალგაზდა კატო, ლუცილიუს და სხვანი.)

ბრუტოს. ნუ შეშინდებით, ძმებო, მადლს გეჭირათ თავი!

კატო. ბუში ვუწოდოთ, ვინც შეშინდეს. ვინ მოსკვლთ ჩემთან! ჩემი სახელი არის კატო, იცოდეთ ყველამ, და მარკოზ კატოს შვილი ვარ მე, მტარკვლთა მტერი, ჩემის სამშობლოს მეგობარი. შვილი ვარ-მეთქი, მარკოზ კატოსი, გეუურებთ!—(ჩაერევა მტრის რაზმში.)

ბრუტოს. მე ვარ ბრუტოსი, მარკოზ ბრუტოსი, ჩემის ქვეყნის ერთგული შვილი. გაიგეთ ყველამ, ბრუტოს მქვიან, მარკოზ ბრუტოსი!

(ჩაერევა აგრეთვე მტრის რაზმში და თან გაჰყვება. კატოს დამარცხებენ და ჰკვლენ.)

ლუცილიუს. ჭახუკო კატო, შენც მკვლარი ხარ, კეთილშობილთ მამაცად მოკვდი ისე, როგორც ტიციანიუსი [შტოკ!] და ვით კატოს შვილს, შენ ზატივი დიხსი შეგფერის.

1 ჯარის-კაცი. დაშნებდი, თორემ გავათავუ!

ლუცილიუს. მე დაგნებდები

იმ პირობით, რომ ესლავ მოძვლას. აჭა, ეს ფულიც მაგიერად გქმნდეს. მოჭკალ ბრუტოს და ისახელე.

1 ჯარის-კაცი. ამას ნუ მოკვლავთ, ნუ, დიდებულ ტყვედ წავიყვანათ!

2 ჯარის-კაცი. გზა, გზა მოგვეცით, ანტონიუსს შეატყობინეთ, რომ შევიპყროთ ჩვენ ბრუტოსი!

1 ჯარის-კაცი. წავალ, ვანობებ, მაგრამ სარდალი თითონ მოდის.—(შემოდის ანტონიუს.)

ბატონო ჩემო,

ბრუტუს ტყვედა გვეყვს, თვით ბრუტუსი.

ანტონიუს.

ახა, სად არის?

ლუცილიუს. იგი უვნებლად იმყოფება. ოჰ, დამერწმუნე, რომ ვერა მტერი ბრუტუსს ცოცხალს სულთ ვერ ჩაივ დებს. აშორონ ღმერთთა ეგ სიბრძნეილი მის დიდებულ სულს. ცოცხალსა ნახვით, თუ მკვდას, ის თავს არ უღალატებს და ბრუტუსადვე ყოველ დრო-ყამს დარჩება ისევ.

ანტონიუს. ბრუტუს არ არის, ეს ძმობილო, მაგრამ მერწმუნე, მასზედ ნაკლები ფასი არ სძევს. უფროსილადი ამას, კარგად მოეპყარ; მე ასეთნი მეგობრად მყავდეს, ის მიბრუნებინა მტრად ყოლასა. წადით ესლა კი, შეიტყუთ ბრუტუს ცოცხალსა, თუ მკვდარია, და ოქტავიუსის კარავში ეგ ვეკლას გვანბნებთ.

სურბათი V

იგივე ალაგი. საომარ მინდვრის მეორე მხარე.

(შემოდინ ბრუტუს, დარდანიუს, კლიტუს, სტრატონ და გოლუმნიუს.)

ბრუტუს. მოდით, საბჭალო მეგობრების ნაშინო, აქ დავსხდეთ, აი ამ კლდეზედ დავისვენოთ.

კლიტუს. სტაცილიუსმა მასხალა შორით დაგვანახვა, მაგრამ თითონ კი აღარ დაბრუნდა; ან მოჭკლაგდნენ, ან შეიპყრობდნენ.

ბრუტუს. აქ დავუქე, კლიტოს. საკვდილზედ-ლა ლაპარაკობენ ესლა ყოველგან; ვეკლას იგი აღვას ენახედ. მინდა რამ გითხრა. (უჩურობს.)

კლიტოს. მე მიბრძანებ მაგას, ბატონო? არა, არასდროს, თუნდ რომ მომცენ მოელი ქვეყანა.

ბრუტუს. მას ჩემად იყავ.

კლიტოს.

თავის მოკვლას კამჯობინებდა

ეკეთსა საქმეს!

ბრუტოს.

დარდანიოს, დამიგდე უური. (უჩურობულებს.)

დარდანიოს. ეგ მე უნდა კქნა?

კლიტოს.

დარდანიოს!

დარდანიოს.

ოჰ, კლიტოს, კლიტოს!

კლიტოს. რაღაცა გთხოვა შენ ბრუტოსმა ძნელად საქმნელი.

დარდანიოს. მთხოვა, რომ მოკვლა! ჰსედავ, როგორ ფიქრმა წაიღო.

კლიტოს. სეგდით აქვსო საწყაუდი ძვირფას ქმნილებას

და გადმოსეთქმს ღამის თოვლთა.

ბრუტოს.

აქეთკენ მოდი,

სათქმელი რამ მატქს, ვოლუმიანოს.

ვოლუმიანოს.

ბრძნე და გისმენ.

ბრუტოს. აი რა გითხრა, ვოლუმიანოს, კეისრის სული

ორჯერ ზედიზედ ბნელი ღამით გამოემეცხადა:

ერთსელ სარდისში, წუსელის კი აქ, ფილიპისთან

და კატეობ ჩემის აღსასრულის საათმა დაჰქრა.

ვოლუმიანოს. მაგას რად ბრძნებ?

ბრუტოს.

დამიჯერე, აგრეს-მეთქი.

ხომ ჰსედავ, ჩემო მეგობარო, ამ ქვეყნის ტრიალს:

უფესგრულის პირას მიგვიყვანა აგერა მტერმა

(ომის ხმაურობაა.)

და სჯობს თვით ჩავსტეთ ამ უფესგრულში, ვიდრემდე მათგან

ჩაურას ველადოთ. ვოლუმიანოს, ხომ გასსოვს, როგორ

მე და შენ ერთად დაჯდოდით სასწავლებელში;

იმ ჩვენის ძეგლის მეგობრობის სასულითა გთხოვ,

მოჰკვიდე სული ამ ხმაღის ტარს, რომ ზედ ავეგო.

ვოლუმიანოს. ეგ რა მეგობრის შესაფერი საქმე იქნება!

(კიდევ ხმაურობა ისმის.)

კლიტოს. გაქცევის დროა, ნუ გაუფრებთ, ბატონო ჩემო.

ბრუტოს. მშვიდობით! ეველას გესაღმებთ, შენც, ვოლუმიანოს,

ოჰ, შენცა სტრატო, ამ ბოლეს დროს ძილად ქვეულ-

ეს მანუგეშებს, მეგობრებო, ჩემ სიტონსელში

ჩემთვის არავის არასდროს არ უღალატნია.  
 დაგმარცხდი, მაგრამ ამითი მეტს სასჯელს შეეძიქნ,  
 ვიდრემდე მათის სამარცხვინო გამარჯვებითა  
 ოქტავიოს და ანტონიოს. მაშ გესალმებით  
 ყველას საერთოდ. დაასრულა ბრუტოსის ენამ  
 ამბავი თავის ცხოვრებისა. თვალთ შეფარება  
 დამის მწუკდადი, ჩემ ძეგებსა სურთ აწ მოსკვნება,  
 ისიც ბეგრია, რაიც დღემდე წვალებს ნასეს.

(ხმაურობა და ყვირილი: «წადით, გაიქცით!»)

კლიტოს.  
 ბრუტოს.

წადი, ბატონო, თავს უშველე.  
 წადით და მოგდეკო.

(გადიან კლიტოს, დარდანიოს და გოლუმნიოს.)

აქ დარჩი, სტრატო, შენს ბატონთან. შენ სომ ყოველთვის  
 მოაჩილი იყავ, რიგიანი, ჰატიოსანი.

მაშ დაიჭირე ეს სმალი და იქით მიბრუნდი,  
 მსურს ზედ ავეგო, სომ თანხმა ხარ?

სტრატო.

ბატონო ჩემო,  
 ჯერედ მომეცი შენი სელი. ოჰ, ოჰ, მშვიდობით!

ბრუტოს.

მშვიდობით, სტრატო!—კეისარო ესლა დამშვიდდი,  
 მე შენი მოკვლას ბეგრად უფრო მეძნელებოდა,

(აეგება თავის ხმაღზედ და კვდება. ომის გაყრის ხმა ისმის. შემოდინ  
 ოქტავიოს, ანტონიოს, მესალა, ლუცილიოს და ჯარი.)

ოქტავიოს. ვინ არის ესა?

მესალა.

ეგ ბრუტოსის მსახური არის.—  
 სადა ბრძანდება, სტრატო, ესლა შენი ბატონი?

სტრატო.

თავისუფალი არის იგი; არა შენებრ ყმა;  
 გამარჯვებულნი თუ დასწვენ მას, სხვას კერას უზმენ,  
 რადგან ბრუტოსმა თავის თავი თვით დაამარცხა  
 და არ დაუთმო მტერს სასელი იმის მოკვლისა.

ლუცილიოს.

მოსალოდნელი იყო ეგე.—გმადლობ შენ, ბრუტოს,  
 რომ ლუცილიოსს გაუმართლე იმის ნათქვამი.

ოქტავიოს.

ვინც მსახურებდა ბრუტოსს, ყველას ჩემთან ავიყვან.  
 მითხარ, გსურს ჩემი სამსახური?

სტრატო.

მსურს, თუ შესაძლებელია

ნებას მიბოძებს.

ოქტავიოს. გთხოვ, მესადა, არ დაუშალო.

მესადა. ეს მითხარ, სტრატო, როგორ მოკვდა შენი ბატონი?

სტრატო. მე ხელში სმალი მეჭირა და ის ზედ აუგო.

მესადა. ოქტავიოს, ეს შენთან გყავდეს, მას ბრუტოსისთვის უკანასკნელი სამსახური გაუწევია.

ანტონიოს. ის სულდილობით ყველა შეთქმულთ აღემატოდა, სხვებმა რაცა ჭქმნეს, ჭქმნეს ძლიერის კეისრის შურით და მხოლოდ იმას ქვეყნის საქმე ასულდგმულელებდა; სურდა კეთილის დათვისა და მისთვის შეითქვა.

ცხოვრება მისი იყო წმინდა, სუფთა, ანკარა, შესამბუღლი საუცხოოდ, ისე რომ თვითონ ბუნებას უნდა გამოეხატა და ეთქვა

ყველას სასმენად: ჭეშმარიტი გარე ეს იყო.

ოქტავიოს. ჩვენც მოწიწებით მოკვებულათ მას ღირსებისამებრ,

დაკრძალეთ იგი ვეროკანის წესის აგებით:


ღამე მის გვამი ჩემს კარავში უნდა ესვენოს,

როგორც შეჭურის პატრიციუმულ, დიდებულ მხედარს.

უბრძანეთ ბრძოლა გაათავონ და ჩვენც წავიდეთ,

ამ ბედნიერის დღის ნაყოფი გავინაწილოთ. (გადიან.)

ი. მანახელი



# ნ ა კ ა დ ი

ვუძღვნი პატივცემულ მწერალ ქალს ეკ. გაბაშვილისას.

## I

დრო დადგა გულის დამთრობი  
ახალი გაზაფხულია,  
მინდორი საკერძოვანი  
უვაკილით დაქარგულია,  
ბუფბული ბუჩქში კისკისებს,  
ველს ატვობს ჭანგთა უღერთა,  
მეც მისკენ მიწვევს, რომ დავსტვებ  
ტურფა ბუნების რქერთა.  
მივალ და მივალ ბუჩქებში,  
ავდივარ სერით სერსედა,  
ვხედავ, ეს ტვბილი ქვეყანა  
ლახლახებს ათას ფერსედა,  
ჭანგი ჭანგს მოსდევს საამო,  
ხმა ხმაზედ უკეთესია;  
მეც მსურს სულ ხმებად გადიქვს,  
რა გრძნობაც გულში სთესია.  
მივალ და მივალ სერ და სერ,  
ფხიზლობს და ჭხარობს გონება.  
რას ნახავს ისეთს ამ ველში,  
რომ მას არ მოეწონება!  
გულში ზღვა დგება სიამის,  
და ვსტვებუნი აღმა ფრენითა,



კვრძნობ თითქოს კელიც ხმასა მცემს  
 ზღამიანის ენითა.

ესედაჲ ფოთლებით მოსილან  
 სეები ღამაზ-შტოვანნი,  
 დანაჯარდობენ ზეცაში  
 ფრინველნი ჭეროვანნი.  
 ფუტკარი მანდვრად ზუზუნებს,  
 ყვაილებს ახმრებს ნელ-ნელა,  
 ტბილ სურნელებით დამთვრალა  
 და ძირს ფართსალებს ჰეპელა.  
 მალა ავტქერი—ცა ბრწეინავს,  
 ფირუნი ღაჟვარდოვანი,  
 ზედ დღის მნათობი მიცურავს,  
 თან მისდებს სხივთა გროვანი;  
 მერთალად ქათქათებს ჭერი,  
 თვალ-გული თვრება ტქერითა,  
 ვინ არს, ეს ნახოს, არ დასტებს  
 თავისის ბედის წერითა!...  
 მივალ, შექტერი ამ სურათს,  
 ამ ტბილს და სანეტაროსა,  
 მინდა ვეწვიო აქავე  
 ახლოს ჩემ ნაცნობ წყაროსა:  
 მკვირცხლად სცემს იგი მიწიდან  
 კისკასის ნაკადულითა,  
 ველსა და მინდვრებს შორით შორს  
 აზობს და აზობს გულითა.  
 მკერდს უღობს მიწას გაგვალულს,  
 ძალს აძლევს ბაღასს გამქრალსა,  
 სულს უდგამს ცხოველ-მცენარეს  
 და შებლს უგრილებს მაშვრალსა.  
 გულ-მკერდს იქარვავს ყვაილით,  
 ირთება, როგორც ქალწული,  
 დღისით დარაჟობს მზის სხივი,

დამით თავს დაჭმედებს ბუფბუფი.  
 მივდივარ მისკენ ტყე და ტყე,  
 თავს ვუსობ ტოტებს დასრილსა,  
 გორის ძირს ჩაკულ, შუქრდი:  
 სახე ერგალა ადგილსა.  
 თავს წაკადეჭი მიდამოს  
 უფერულს, სამწუნაროსა,  
 წყალი სდგას, მაგრამ შამხნარი  
 ზედ მოსდებია წყაროსა.  
 მიდუმებულა, მიმკვდარა,  
 კვლავ სტემს მკვირცხლად ზეკითა,  
 რღნავ მოყონავს უძღური,  
 ყონავს და მოდის წყევითა.  
 ამტურებია ქვეყნა,  
 კვლურთ უთელავთ ფეხითა,  
 არ დაუნდვია ქვეშ სოფელს,  
 ცასაც უმესავს მესითა.  
 ყოველი ჭირი მმუსრავი  
 ურთს და იმავ დროს სწევია,  
 გაფრცქვნია კიდე-ნაზირი,  
 სათავეც ჩამოჭტევია....  
 სულთ მომიკლას მის ნახვამ,  
 ხმა მომცა გულმაც დრენითა:  
 ვაგინე რა და ქვეყნა  
 მე გესლანის ენითა!  
 დაკვავქ მის ნაზირს მის ბედის  
 საგლგოლად, სამწუნაროდ;  
 ვნახე: მცირ-მცირე ნაკადი  
 აქა-იქ მიიზაროდა.  
 სიცოცხლის ძარღვი შევნიშნე  
 და ეს გამიხდა ღხენადა.  
 თავს დაკანქვრდი დაკადმით,  
 სულ გადვიქვრი სძენადა:

## II

შესვდნენ ერთს ნაკადს ფოთლები,  
 სთქვეს: «გზა შეუუკრათ ნაკადს:  
 საითკენ მიდის, რას აზრობს,  
 რა სურს, ან ვისგან რა სწადსო?!  
 აქ დედა-წყარო ჭირს ებრძვის,  
 ჭეხს არღვეს ცრემლთა ფრქვევითო,  
 ებ კი შორდება, ძალს აკლებს  
 და მიწის სადღაც ქვევითო!..»  
 და თრთოლა იწეეს ფოთლებმა,  
 შეიწყნენ ვეკლა წამოყდა,  
 ერთად შეგრუნდნენ, შეჯგუფდნენ,  
 ნაკადს დაუდგნენ გზასყდა.  
 — გზა დამიცადეთ, გამიშვიო! —  
 უძახის ფოთლებს ნაკადი:  
 — მინდა ამ ადგილს გაუშორდე  
 და ავისრულო საწადი!  
 აქ გული აღარ მიდგება:  
 დაობდა დედა-წყარო,  
 რასაც სიტონსლე არა აქვს,  
 ის როგორ შევიყვარო!?  
 ჭეპოთ მდინარე გუგუნებს,  
 ჭეჭუნს, ასაზრდოებს ველებსო,  
 ძირს უხალისებს ბუჩქნარებს  
 და ხეებს ძველის-ძველებსო.  
 დღეს, თუ ხვალ არის — მისი ვარ,  
 აქ რაღა გავაკეთოო!?  
 სჯობს ესღაკ მისკენ გავსწიო  
 და გულში ჩაკეწეთოო!..»  
 — უკან დაბრუნდი, ნუ მისვალ —  
 ეკედრებიან ფოთლები:

— რა წესი არის გაგკომოდე  
 და აქ დაგვეარო ობლები?  
 შენს წყაროს შენვე მიხედე,  
 გულის მკურნალ წამლად ეცხეო,  
 გადიდდი, იზარდ-იმატე,  
 შლამ-სავსი გადარეცხეო.  
 ეგ ბეგრჯულ იყო შავ დღეში,  
 ბეგრჯულ უმუსრავს მტრებსაო,  
 ბეგრჯულ სძენია ამ მთა-ბარს  
 მაგის ამგვარი კენესაო;  
 მაგრამ ახალის ნაკადით  
 შეესილა ისევე, ზრდილასო,  
 გადიდებულა, გაშლილას,  
 ვერცხლივით გაწმენდილასო!»  
 ამით რჩევედ დათანხმდა,  
 უკან დაბრუნდი ნაკადი  
 და მიეგება მშობლურად  
 მას წყარო, ჭირის ნაცადი.

III

მოდის მეორე ნაკადი,  
 მოწვეთამს ქვიდან-ქვასედა,  
 წინ ბუნქი სვდება, გზას უკრავს  
 და კითხვას აძლევს წამსედა:  
 — «საით მიდინარ, ძმობილო?...»  
 — ქვემოთკენ — ისმის ზასუნის: —  
 — მინდა წავიდე, დაესტოვო  
 ეს მხარე საგლოვ-საწუხის.  
 ქვემოთ მდინარე მოშხუვის,  
 გააქვთ გრილი ტალღების,  
 მოდის, მოჭენავს, უხვად რწყავს  
 შორს ჭალა-მინდორ-ბაღებსა.

უკელა მის ძალას ეშიშვის,  
 შემზარავია მტერისა;  
 მინდა წავიდე, ვინილო  
 სასე იმ ბედნიერისა!»  
 — უკან დაბრუნდი, ნუ მისვალ! —  
 ჩუჩუნებებს ბუჩქი დასრილი:  
 — შენს დედა-წყაროს ნუ სწირავ,  
 იწამე მაგის აზრდილი!  
 კვლავ უიძოდოდ ნუ უტქერ,  
 ნუ სთვლი შენ მაგას მკვდარადო,  
 ებ ცოცხალია, კეთილო,  
 თუმც კი კვდარსა ჭტავს თვალადო.  
 დრო-ყამი შესცვლის მაგის ფერს  
 და დაყენებს დონესო,  
 გამოუბრუნებს ძველ დღეებს  
 მისცემს ძალას და ღონესო.  
 კვლავ იამყებს ძლიერი,  
 ვით წინედ ამაყობდაო...  
 კვდარი რომ იეოს, რად არ გწამს,  
 რომ კერც შენ წამოგშობდაო!  
 უკან დაბრუნდი, ნუ მისვალ,  
 ეს რჩევა გამიგონეო:  
 შენს მშობელს უფრო სჭირია  
 შენი ძალა და ღონეო.  
 ხელი შეუწეე შენს წყაროს,  
 შეიტკბე, შეიყვარეო;  
 ასდუღდი! მისი შლამ-ხავსი  
 ნაპირზედ ამღვარეო!»  
 შედგა ნაკადი ერთ-წამას,  
 მოიღწენება მტებარადა,  
 შემდეგ აგორდა, დაბრუნდა,  
 წყაროს შეერთო წყნარადა.

IV

მოდის მესამე ნაკადი,  
 მოყონავს საცოდვადს,  
 მას წინა ხვდება ქვა-ლოდი  
 ამბობის საკითხავადს:  
 — საით მიდინარ, კეთილო,  
 სით მიგამგზავრებს შაკბედი?!  
 — ქვემოდ, რეკვენო, სომ მხედავ! —  
 ამბობს ნაკადი თავსედი:  
 — ქვემოდ მიგდივარ, ვავისეენ,  
 აზრს დავადექი დიადსო:  
 მინდა, რომ წყარო მშობელი  
 ხელით დავგლიჯო წყვდიადსო.  
 რადღა დირს მაგის საცოდხლე?!  
 წარბეულია შლამითო,  
 ბედს ზურგი შეუქტევი  
 და დღე შესტელია ღამითო.  
 დგას და გლოვით შესტქერის  
 თვის გაცვრცნილს კიდე-ნაპირსო,  
 მას კვლარ აზრობს და ფიქრობს,  
 თუ რით გაჭკურნავს რა ჭირსო!  
 აზრმა მაგონა წამალი,  
 რომ შევეწიო მწესარსო:  
 მინდა ეს წყარო შეეერთო  
 ქვემოდ მდინარეს მქესარსო!..»  
 — სტდები, გაბრუნდი, საბრალავ! —  
 მას ეუბნება ქვა-ლოდი:  
 — აქ რომ მიწაზე არ სჩანსარ,  
 ქვემოდ სად მიხანხალბდი?!  
 ღრმა და დიდაა მდინარე! —  
 რა მის მკერდს დავწავები,

გუფს გახსნის, ჭკეძოდ ჩაგიტანს  
 და შავ უფსკრულში გაჭრები;  
 შემდეგ ველარვინ ველარ სტონს  
 აქ შენზედ მართალ-დასტური:  
 ვინ იყავ, როგორ ცხოვრებდი  
 და სადა გქონდა სედგური!  
 უკან დაბრუნდი, ნაკადო!  
 დასტორე ფიქრი შემცდარი:  
 იგი მდინარეც სხვა-და-სხვა  
 წყაროსგან არის შემდგარი;  
 მაგრამ მათ ზვირთებს სხვა გვარი  
 კისკის-ჩუხჩუხი გაჭქონდათ  
 და მღორ ტალღებში თავისი  
 სისწრაფელ-სიცხორულე ჩაჭქონდათ.  
 არ შესცდე, გირჩევე, ნაკადო!  
 დამთანხმდი, დამეე ნებასა:  
 თანასწორობით სჯობაა,  
 მონობით შეუთებასა!  
 ჯერ აქ შეივსე ძალ-ღონით,  
 გაჭქევე ველ მინდორებს ზოლად,  
 შემდეგ შეეწეე მდინარე!  
 შენც სხვათა თანასწორადა...  
 შედექ, შეჩერდი, ნაკადო!  
 ვერ წასვალ სუსტი შორესა:  
 მრავალს შესვლება ამ გზაზე  
 რიყს და ღობე-ყორესა;  
 სადმე გაჭრები, ასცდება  
 მომავალს სანეტაროსა:  
 იქ ვერ მისწვდები მდინარეს,  
 აქ დააკლდები წყაროსა!...»  
 —არაო!— ამბობს ნაკადი:  
 —მე შენი არაა მჯერაო!  
 დღესა, თუ ხვალ—მე მაინც

ვარ იმ მდინარის წერალ.  
 რა ჭკუა არის, სელ-ასლა  
 მისთვის ვიტყვო თავიო,  
 რომ აღვადგინო როგორმე  
 ეს წყარო საცოდავია.  
 შენ უბნური ხარ!.. არ გესმის  
 ფიქრი და აზრი ჩემიო...  
 ჩამოდე! ქვემოდ მივდივარ,  
 მდინარეს მივეცემიო!..»  
 და მიდის ქვემოდ ნაკადი,  
 მიწვეთს, მიუბნავს საწყალო;  
 მიდის და მისგან გადავლილ  
 გზასზედ არ რჩება მას კვალი.  
 აშრობს ქვიშნარი დღე-ნაკელულს,  
 სვამს მიწა გახურებულს...  
 სუსტობს... მცირდება თან-და-თან  
 უძლურ წვეთების კრებულს...  
 ლოდის ძირს შედგა, შეხრდა,  
 კელარ გადავიდა მასზედა,  
 დახედა მწკვავად მზის სხივმა,  
 გააქრო შუა გზასზედა...  
 შეკწუხდა: გულში მეწეინა  
 გაქრობა საცოდავისა!  
 ესთქვი: საჭიროა ყველასთვის  
 შეგნება თავის თავისა;  
 საგნის გასინჯვა ყოველ მხრივ  
 ჭმარებებს კაცს, ჭკუის მქონესა:  
 დამნაშავეს, ვინც უქმად  
 დაჯიკარგავს თავის ღონესა!—



ძლიერ-და მოკვასწარ ამის თქმა,  
 უნებ შეგნება წყაროსა;



გაკვირდი: ფერი ეტკალს  
 მის სახეს, სამგლოვიაროსა:  
 შიგ დაბადნენ აქა-იქ  
 ნაკადნი ახალ-ახალი,  
 დასინჯეს წყაროს სათავე,  
 ქარ-მესით ნაკვამ ნახალი.  
 ერთად, შეწუბით შეჯგუფდნენ,  
 არ გადაჭკვეთეს ნაპირი,  
 ჩაბრუნდნენ ფსკერში, რომ წყაროს  
 უკურნონ გული ნატარი;  
 იქ იმოქმედეს, იზარდნენ  
 თვალთათვის შეუმჩნეველად,  
 იმატეს, ნელ-ნელ გადადნენ,  
 შეიქნენ ტალღა-მჭკველად;  
 ამოიბუნენ, ამაღლდნენ  
 და გახდნენ საშიშ-საზარო...  
 გუნტქერ და კელარ ვიჭურბე:  
 დიდ ზღვა-მორეკად სდგას წყარო!  
 გუნტქერ... აკვირებს ჩემს ჭკუას  
 ეს საქმე გაუგებარი...  
 უცბად ხმა გახდა! აგრგვინდა,  
 ასტედა, შეირყა მთა-ბარი:  
 ამოსქდა წყარო მიწიდან,  
 შემუსრა, სძლია მან ჭირი,  
 შორეს გადასტა ბუდიდან,  
 მორეცხა კიდე-ნაპირი!  
 გაქანდა ქვემოდ ამაყად,  
 მკვირცხლი, კისკასად მდინარე,  
 გამოაღვიძა ბუჩქნარი,  
 ასძრა მიდამო მდინარე.  
 მინდორს გაუევა გაგვალუღს,  
 გადავლო ერთის წამითა,  
 გული გაუგოს მწუერვალღი

და გამოყენთა ნამითა.  
 ჭკემოდ ჩუსჩუსით დაეშვა,  
 აბინდა კერცხლის ზოლდა,  
 მკერდით შეჭკვეთა მდინარე  
 და გაჭყე ერთ წამს ორდა.  
 ბინა დაიდო მას გულში,  
 გაანო წყალი გან-და-გან,  
 გაისმა მისი ჩრხრიალი,  
 განსხვავებული სხვათაგან.  
 ღონე მიჭმეტა სხვის ტალღებს,  
 აამჩქევარა ცქვიტადა,  
 შიგ დაჩხა თვალის საზინოდ,  
 ბუნების მარგალიტადა!  
 და მომაგონდა მე კვალად  
 ამ წყაროს მწარი წარსული,  
 ის შეგუდარე ამ წამებს  
 და დატება გული და სული.  
 კგლავდი მხოლოდ-ღა ჩემ თვალ-წინ  
 გამჭრალ მესამე ნაკადსა:  
 იგი კერ მისწვდა კერც ამ ბედს,  
 კერც თავის ნაკვესნ-ნაქადსა.

ცანელი





# შეხსლითა და მახვილითა

რომანი

## გენდოკ სენკევიჩისა

ნაწილი მესამე

### XI\*)

გავიდა რამდენიმე კვირა. თავად-აზნაურობა თან-და-თან უფრო მეტი იკრიბებოდა არჩევნებისათვის. ქალაქის მცხოვრებთა რიცხვმა ერთი-ორად იმატა. თავად-აზნაურობასთან ერთად მრავლად მოდიოდნენ ვაჭარნიცა ქვეყნის ყოველ კუთხიდან, დაწყებული შორეულ სპარსეთიდან ზღვას იქით მდებარე ინგლისამდე. ერის-ნება მოედანზედ სენატისათვის აგებული იყო ხის შენობა, ხოლო მის გარშემო თეთრად გადაპენტილიყო ათასობით კარეები. არავინ იცოდა, ორს კანდიდატში რომელი იქმნებოდა არჩეული, ბატონიშვილი კაზიმირი, კარდინალი თუ კარლოს ფერდინანდი, ეპისკოპოსი პლოცკისა. გულ-ხელ-დაკრეფილი არც ერთი დასი არ იყო. ათასობით პამფლეტები და დაბეჭდილი ფურცლები აუწყებდა ქვეყანას ორისავე კანდიდატის ღირსება-ნაკლულეფანებას. კარლოსის მხარე ეჭირა, როგორც ვიცით, თავადს ერემიას, რომელიც ძლიერი იყო მით, რომ ძლიერ უყვარდა შლიახტას, ხოლო ბოლოსა და ბოლოს შლიახტაზედ იყო დამოკიდებული ყოველივე; მაგრამ კაზიმირსაც ნაკლებად არა ჰყავდა მომხრენი. იმისი მხარე ეჭირათ დიდებულებს, კანცლერსა, პრიმასსა, მაგნატების უმრავ-

\*) «მოამბე» № II, 1896 წ.

ლესობას; მაგნატებშივე ერთა თავადი დომინიკ ზასლაესკი, მურავი სანდომირისა, ყოვლად ძლიერი კაცი არა თუ მთლად რესპუბლიკაში, არამედ ევროპაშიაც, ისეთი კაცი, რომელსაც ყოველ წუთს შეეძლო თვისის აღურაცხველის სიმდიდრის წყალობით თვის კანდიდატისაკენ გადაეხარა სასწორი გამარჯვებისა.

მაინც კაზიმირის მომხრენი არა ერთხელ ჩავარდებოდნენ ხოლმე მწარე ექვსა და საგონებელში. შლიახტა უფრო-და-უფრო მოდიოდ და მოდიოდა ქალაქში, ხოლო შლიახტა მონიბლული ვისნევეცკის სახელით, სულ მთლად ბატონიშვილის კარლოსის მხარეზედ იდგა. ბატონიშვილი კარლოსი გულ-უხვი კაცი იყო, მამულის შვილობის გრძნობით გატაცებული, რომელმაც რამდენისამე ხნის წინად ისე შესწირა დიდ-ძალი ფული ახალის ჯარის მოსაგროვებლად, რომ ერთს არ შეეყოყმანებულა. კაზიმირიც დიდის სიამოვნებით მიჰბაძავდა იმის მაგალითს და სიძუნწე კი არ აბრკოლებდა ამ საქმეში, არამედ ნამეტანი გულ-უხვობა, რის გამოც კაზიმირს მუდამ ფული აკლდა ხოლმე. ძმები ერთმანეთს კვალში უდგნენ და აღარა სცხრებოდნენ. შიკრიკნი ყოველ-დღე დაჰფრინავდნენ ნებორენტსა და იაბლონას შორის. კაზიმირი აფიცებდა კარლოსს, უფროსობის პატივისცემითა და ძმურის სიყვარულის სახელით დამითმე მე ტახტიო; ხოლო ეპისკოპოსი თავისას არ იშლიდა და სწერდა პასუხად, წესი არ არის უარ-ვყოფდე მოსალოდნელ ბედნიერებასაო, ხოლო დრო გადიოდი, თვე-ნახევრის ვადა თავდებოდა და მასთანავე ახლოვდებოდა ყაზახთა გრგეინვა და გრივალი. მოვიდა ამბავი, რომ ხმელნიცკიმ მიანება თავი ლევის გარშემო დგომასა, ზამოსტიეს ახლოს დადგა და დღე და დამ იერიში მიაქვს და ცდილობს შეჰმუსროს რესპუბლიკის ეს უკანასკნელი საფანეცაო.

ამბობდნენ აგრედვე, რომ იმ დეპუტატებს გარდა, რომელნიც ხმელნიცკიმ გაჰზავნა ვარშავას და დააბარა, შეატყობინეთ, რომ მე, როგორც პოლონელი შლიახტიჩი, ვაძლევ ჩემს ხმას კაზიმირსაო, ქალაქში ცოტანი არ იყენენ ყაზახთა უფ-



როსნი, ტანისამოსს გამოცვლილნიო. მოსულან ვითომ და იმი-  
ტომ რომ ჩვენც შლიახტა ვართო და არაფრით, ლაპარაკი-  
თაც კი არ განირჩეოდნენ დანარჩენ ამომრჩეველთაგან, რო-  
მელნიც მოსულიყვნენ სხვა სარუსეთო ქვეყნებიდან. ზოგნი მო-  
სულიყვნენ ცარიელის ცნობის-მოყვარეობის მიზეზით, ხოლო  
ზოგნი იმ აზრით, რომ იქნება გავიგოთ, რას აპირობს რესპუ-  
ბლიკაო. ნამდვილად კი, იმიერ-ჭორომეთის უფროსთა შორის  
ცოტა არ იყვნენ გაყაზახებულნი შლიახტიჩნი, ცოტაოდნად  
ლათინურის მცოდნენიც კი, მაშინ როდესაც მეცნიერება სა-  
ზოგადოდ ნაკლებად ჰყვოდა შორეულ განაპირა ქვეყნებში  
და ისეთი თავადებიცა, როგორნიც იყვნენ კურცევიჩები, ბე-  
ვრში ჩამორჩებოდნენ უკან ზოგიერთს ატამანსა.

ასეთი მითქმა-მოთქმა და თან ის ხმები, რომ ხმელნიცკი  
და თათარ-ყაზახთა წინა რაზმნი უკვე ახლო არიანო და თი-  
თქმის ვისლასთან მოვიდნენო, ძალიან აშფოთებდა საზოგადოე-  
ბას და აჩენდა სხვა-და-სხვა გვარს უწესიებას. საკმაო იყო  
ექვი აელოთ ვისზედმე, რომ ყაზახთა მომხრეო და ასეთს სა-  
ცოდაფს, ვიდრე თავის გამართლებას მოასწრებდა, სულ ერ-  
თიანად დაჰფლეთდნენ. ამ სახით, შესაძლო იყო სრულიად  
უბრალონიც დაღუპულიყვნენ; მიუკერძოებლობა არჩევანებისა  
წამ და უწუმ ირღვეოდა, მეტადრე მაშინდელ მოარულივით  
მოდებულ ლოთობის გამო. და თუ უკეთესნი კაცნი, მამულის-  
მოყვარეობით გამობარნი, მის დაცემისათვის შეწუხებულნი,  
განწირულებას ეძლეოდნენ გარშემო გამეფებულ უწესოებისა  
და უმზგავსოების გამო, მაშინდელნი მოლხინე-მოქეიფენი და  
ჩხუბის-გადაკიდების მოყვარულნი ძალიან კარგს გუნებაზედ  
იყვნენ და არაფრისა აღარ ერიდებოდათ.

რალა თქმა უნდა, რომ ამ უკანასკნელთა დასში დიდი ამ-  
ბავი ჰქონდა პან ზაგლობას. პან ზაგლობა ძლიერი იყო მათ  
შორის მით, რომ რაინდული სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, მო-  
უკვლელი წყურვილი ჰქონდა ქეიფისა და სმისა, შეეძლო მო-  
ურიდებლივ ეტყუა და ისეთის სიმტკიცით ელაპარაკნა, რო-  
მელსაც ვერაფერი ვერ შეარყევდა. ათასში ერთხელ იმასაც კი

შემოაწვებოდა ხოლმე დარდები; მაშინ პან ზაგლობა ჩაიკეტებოდა ხოლმე ოთახში ან კარავში და კარში აღარ გამოდიოდა, ხოლო თუ გამოვიდოდა, ძალიან ცუდს გუნებაზედ იყო: კაცი ღვთის-წყალობას ველარ ეტყოდა. ამისთანა ყოფაში მხოლოდ პან მიხალი თუ ესიამოვნებოდა, რადგან შეეძლო იმისთვის გაეზიარებინა თვისი გრძნობა და მწუხარება პან სქშეტუსკისა და იმ „საცოდავის“ ბედის გამო. „მიეატოვეთ ის საცოდავი ქალი, — სწუხდა პან ზაგლობა, — როგორც იუდამ ისე დაეტოვეთ ბოროტის აღამიანის ხელში. ტყუილად თავის გამართლებას ნუ დაიწყებთ, ვინ იცის, რა ყოფაშია ახლა ის საცოდავი, ჰა?“

ამაოდ ამტკიცებდა პან მიხალი, პილავეცის ამბავი რომ არ მომხდარიყო, დაფუწყებდით ძებნას იმ „საცოდავს“, მაგრამ ახლა შეუძლებელი-ღაა, ახლა ჩვენა და იმას შუა მხედრობაა ხმელნიცკისაო. შლიახტიჩი მაინც თავისას არ იშლიდა და უფრო ცუდს გუნებაზედა დგებოდა.

მაგრამ ასეთი ყოფა პან ზაგლობასი დიდ ხანს არ გასტანდა ხოლმე. ჩვეულებრივ მალე გადიყრიდა ხოლმე დარდს და, მაშინ თითქო სულ ერთად უნდა აინახლაუროს, რაც დრო დაჰკარგა ტყუილ-უბრალოდაო, ქეიფობდა და სვამდა უფრო მეტს, ვიდრე წინად, დროს ატარებდა მიკიტანხანებში, საშინელს ლოთიბაშებში. პან მიხალსაც გვერდიდან არ იშორებდა და სულ მუდამ თან დაჰყავდა.

პან მიხალი ნამდვილი ჯარის-კაცი და აფიცერი იყო და სრულიად არა ჰქონდა ის ზნეობრივი დიდებულება, რომელიც მიჰფინა სქშეტუსკის მის მიერ გამოვლილმა ტანჯვა-მწუხარებამ. თვისი მოვალეობა რესპუბლიკის მიმართ და მისი შესრულება ძალიან ადვილი საქმე ეგონა. ჰხოცავდა ყველას, ვისაც უბრძანებდნენ და სხვა არაფრის დარდი არა ჰქონდა. საზოგადო საქმეებისა არა ეყურებოდა-რა. მზად იყო ეგლოვნა ყოველი დამარცხება მისიანებისა, ხოლო ფიქრადაც არ მოხდიოდა, რომ შფოთვა და მღელვარება შლიახტისა ყოველ დამარცხებაზედ უარესი იყო. ერთის სიტყვით, ვოლოდიევსკი



თავ-ქარიანი ყმაწვილი კაცი იყო და, რაკი ერთხელ მოხვნი ხელი სატახტო ქალაქის ცხოვრების დუდილომა, სულ შიგ ჩაყურყუმელავდა და აღარა შორდებოდა პან ზაგლობას, რომელიც სწორედ ამისთანა ცხოვრებისათვის იყო გაჩენილი. ვოლოდივესკი დახეტიალობდა იმასთან ერთად შლიახტიჩებ შორისაც, რომელთაც პან ზაგლობა უამბობდა სმაში ყოვლადუცნაურს ამბებს და ამ სახით შოულობდა მომხრეებს ბატონიშვილ კარლოსისათვის. შლიახტიჩებთან ერთად სვამდა პან ზაგლობა და იმათთანვე ერთად ფხიზლდებოდა და კვლავ თვრებოდა. მთელი ქალაქი ფეხ-ქვეშ ამოიდეს ზაგლობამა და ვოლოდივესკიმ. ყველგან იყვნენ—საარჩევანო შოედანზედაც, დუქნებშიაც, ქალაქ გარეშე მიკიტან-ხანებშიაც. აღარ დარჩათ ისეთი ყურე-კუნჭული, სადაც იმათ თავი არ შეეყოთ. ნებორენტსა და იაბლონაშიაც იყვნენ; ესწრებოდნენ ყოველ-გვარ წვეულებასა და სადილებზედ; ყოველგან იყვნენ და ყველაფერში მონაწილეობას იღებდნენ. პან მიხალს სულ ხელები ექავებოდა და უნდოდა თავი გამოეჩინა რითიმე და მასთან ერთად დაემტკიცებინა, რომ უკრაინის შლიახტა ყოველ სხვა შლიახტას სჯობიან, როგორც თავადის ჯარის-კაცნი ყველა ჯარის-კაცებზედ უკეთესნი არიანო.

ასე გავიდა თითქმის ექვსი კვირა და საზოგადო საქმეც საკმაოდ გამოირკვა. ბრძოლამ კანდიდატ ძმათა შორის, მათ მომხრეთა ხრიკებმა, საარჩევანო ციებ-ცხელებამა და გულისთქმათა აღტყინებამ,—ყოვლად უნაყოფოდ ჩაიარა. ყველასთვის ცხადი შეიქმნა, რომ უთუოდ იან კაზიმირი იქმნება ამორჩეულიო, რომ ბატონიშვილმა უარ-ჰყო თვისი კანდიდატურაო. საკვირველება ის იყო, რომ ხმელნიცკის მნიშვნელობამ ახლა უფრო იმატა: იმედოვნებდნენ, რომ ხმელნიცკი მოაჩილებას გამოუცხადებს მისის სურვილით არჩეულს მეფესაო. ეს იმედი საკმაოდ გამართლდა კიდევ. სამაგიეროდ ვისნევეცკი, რომელსაც კატონივით სულ ისა ჰქონდა ამოჩემებული, რომ იმიერ-ჰორომეთის კართაგენი უნდა გაცამტვერდესო, ასე საქმის დატრიალებამ ძალიან მეტის-მეტად დაალონა. ახლა გაი-

მარჯვენებს სამშვიდობო პოლიტიკა, ახლა დაუწყებენ ხმელნი-  
 ცკის მოლაპარაკებასაო. თავადმა იცოდა, რომ ეს მოლაპარაკე-  
 ბა ამაოდ ჩაივლიდა, ან არა და—მაღე თვით გარემოების  
 ძალით ისევ ისე გაბათილდებოდა. ჰხედავდა, რომ მომავალში  
 ისევ ომიანობა ატყდებოდა და მოუსვენრობით უცემდა გული,  
 რადგან ძნელი სათქმელი იყო, როგორ და ვის სასარგებლოდ  
 გათავდებოდა ასეთი ომიანობა. ზავის ჩამოგდების შემდეგ ხმელ-  
 ნიცი უფრო გაძლიერდება, რესპუბლიკა უფრო დასუსტდე-  
 ბაო. და ან ვინ-ღა წაუძღვება წინ რესპუბლიკის მხედრობას  
 ისეთ გაძლიერებულ და განდიდებულ მხედართ-მთავრის წინა-  
 აღმდეგ, როგორიც არის ხმელნიციკო? მერე კელავ დამარ-  
 ცხება, კელავ აკლება ჩვენის ჯარებისა და ესე ყოველივე ხომ  
 სულ ნიათს გამოუღვეს რესპუბლიკასაო. თავადი ამაო იმედით  
 არ ატყუებდა თავს; კარგად იცოდა, რომ, რაკი მხურვალე  
 მომხრე ვარ ბატონიშვილის კარლოსისა, კვერთხს მე არ ჩა-  
 მბარებენო. კაზიმირმა, მართალია, აღუთქვა ძმას, წყალობით  
 ავაგებ შენს მომხრეებსაო. კაზიმირი დიდ-სულღვანი კაცი  
 იყო, მაგრამ ისიც კანცლერის პოლიტიკას ადგა. ვინმე სხვა  
 ჩაიბარებს კვერთხს, და არა მეო და ვაი რესპუბლიკას, თუ ის  
 ახალი სარდალი ხმელნიციკიზედ უფრო გამოცდილი არ აღმო-  
 ჩნდებაო. ეს ფიქრი საშინლად უგმირავდა გულს ერემიას; სამ-  
 შობლოს მომავალიც მწარედ აფიქრებდა და ის აუტანელი  
 გრძნობაც აწუხებდა, რომელიც გულს უკლავს კაცს მაშინ,  
 როცა ჰხედავს, რომ ჩემი ღვაწლი და დამსახურება არაფრით  
 არ არის დაჯილდოვებული, უმადურობას მიწევნ, უსამართლოდ  
 მეპყრობიან და რომ, ვინც არა მგონია, ცხვირს მაღლა აიწვეს  
 ჩემს დანახვაწუდ ქედ-მაღლობითაო. თავადი ერემია ვისნევეც-  
 კი არ იქმნებოდა, რომ გულ-ზვიადიც არა ყოფილიყო. ჰგრძნო-  
 ბდა, საკმაო ძალა მაქვს, კვერთხი მე მეპყრას ხელშიო, დავი-  
 მსახურე ასეთი ღირსებაო და ამიტომ ერთი-ორად უფრო იტან-  
 ჯებოდა.

აფიცერთა შორის ხმა იყო გავრცელებული, რომ თავა-  
 დი არჩევანების გათავებას მოუცდის და მხოლოდ მაშინ წავა





ვარშავიდანაო, მაგრამ ეს მართალი არ იყო. თავადი არამც თუ ვარშავიდან არ წავიდა, არამედ ბატონიშვილი კაზიმირიც კი ინახულა ნებორენტში, საცა მეფემ დიდის თავაზიანობით მიიღო ერემია და შემდეგ კვლავ ქალაქს დაბრუნდა. საჭირო იყო ფული ეშოვა სადმე ჯარისათვის და თავადიც ამ ზრუნვას შეუდგა. ამისთანავე კარლოსის ხარჯით შესდგა რამდენიმე ახალი პოლკი დრაგუნთა და ქვეითის ჯარისა. ზოგნი უკვე გაემართნენ რუსეთისაკენ, ხოლო დანარჩენნი მალე აპირობდნენ წასვლასა. თავადმა გაჰზავნა ყველგან სამხედრო საქმეში გამოცდილი თვისი აფიცრები და დაავალა ყოველივე მოამზადეთ და წესსა და რიგში მოიყვანეთო. კუშელი და ვერშული, მაგალითად, უკვე გაჰზავნა; მოვიდა ახლა რიგი ვოლოდიევსკისაცა. ერთხელ ისიც დაიბარა თავადმა.

— თქვენ ზაბოროვს წახვალთ, — უთხრა ერემიამ. — იქ ცხენებია, ახალ პოლკისათვის არის დანიშნული. გაშინჯეთ, დაარჩიეთ კარგები, მიეცით ფული და გამოჰზავნეთ.

პან ვოლოდიევსკი მხნედ შეუდგა საქმეს, მიიღო ფული თავადის ბარათით და იმავე დღეს პან ზაგლობასთან ერთად გაუდგა ზაბოროვის გზას. თან ახლდათ ათი ჯარის-კაცი, რომელნიც მისდევდნენ ფულის ყუთით დატვირთულ ურემს. ჩვენი მგზავრები ნელა მიდიოდნენ, რადგან გზაზედ კაცი ვერ აუქცევდა მომავალ შლიახტასა და პოლშელებს, სახლები ახლომახლო სფლებში გაქედლი იყო ვარშავიდან წამოსულ მგზავრებით. ამისთანა ვიწროობასა და არეულობაში ძნელია კაცი ასცდეს ხათაბალასა და ჩვენი ნაცნობნიც ბოლოს მაინც წააწყდნენ ხიფათსა.

მიუახლოვდნენ ბაბიცას. ვოლოდიევსკიმ დაინახა დუქანთან რამდენიმე შლიახტიჩი, რომელნიც ის იყო წასვლას ეპირებოდნენ. ერთმა მათ შორის ხმა-ამოუღებლივ ჰკრა ქუსლი ცხენსა და იერიშით გაექანა პან მიხალისაკენ.

— ჰო, თქვენა ბრძანდებით! — შესძახა ამ კაცმა. — მემალეზოდით, მაგრამ ახლა კი გიპოვნეთ; ახლა ხელიდან ვეღარ წამიხვალთ. ეჭვი, ამხანაგნო, ერთს წუთას მომიცადეთ! ცოტა რამ

მინდა ვუთხრა ამ ჩაგვერა აფიცერს და ჩემი სურვილია მო-  
 წმედ დამესწროთ.

ზან ვოლოდიევსკიმ კმაყოფილებით გაიღიმა: იცნო, რომ  
 ის ბატონი ზან ხარლამპი იყო.

— ღმერთია მოწამე, რომ არ გემალებოდით, — სთქვა მან, —  
 თვითონ მე გეძებდით, რადგან მინდოდა მეკითხნა, კიდეც მი-  
 ჯავრდებით-მეთქი თუ არა, მაგრამ, საუბედუროდ, ვერსად ვერ  
 შეგხვდით.

— ზან მიხალ! სამსახურის გამო ვართ ჩვენ წამოსულნი! —  
 წასჩურჩულა ზაგლობამა.

— ვიცი, — ჩურჩულითვე უპასუხა ვოლოდიევსკიმ.

— მაშ, აბა, მობრძანდით! — ცხარობდა ხარლამპი. — ყმა-  
 წვილებო, ამ ყმაწვილს დავპირდი, ყურებს დაგაჭრი-მეთქი და  
 დაგაჭრი კიდეც, ვაი არა მაქვს! ორსავე, ვაი არა მაქვს! მო-  
 წმენი იყავით, ყმაწვილებო, ხოლო თქვენ... ვილაცა ბრძანდე-  
 ბით, არ ვიცი თქვენი სახელწოდება. აბა, გამოდით!

— ამ საათში არ შემიძლიან, — უპასუხა ვოლოდიევსკიმ, —  
 ორს დღეს მოითმინეთ.

— როგორ თუ არ შეგიძლიან? შე მხდალო შენა! კად-  
 ნიერი ლაპარაკი კი იცის და ახლა, რაკი ხმალზედ მიდგა სა-  
 ქმე, უკან უკან იწევს.

— ეხლა არ შემიძლიან ხმალში გამოსვლა. მაგრამ გაძ-  
 ლევთ სიტყვას, რომ სამ-ოთხ დღეს შემდეგ, შევასრულებ თუ  
 არა მონდობილებას, საცა დამინიშნავთ, იქ გამოვცხადდები. თუ  
 ეს დაპირება არ გაკმაყოფილებთ, ვუბრძანებ ჩემს ჯარის-კა-  
 ცებს, რომ ეხლავე თოფები დაგიშინონ. ირჩიეთ, რაც გინდო-  
 დეთ, და მომშორდით თავიდან, თქვენთან სალაპარაკოთ არა  
 მცალიან.

ზან ხარლამპი დაფიქრდა პატრასა.

— მაშ, კარგი. ოთხ დღეს შემდეგ იყოს. შაბათს, ლიპ-  
 კოვას დუქანთან ვიქნები და ახლა კი გასწით, ღმერთმა მშვი-  
 დობა მოგცეთ.

ოთხ დღეს შემდეგ ვოლოდიევსკი, ზაგლობა და კუშელი  
 დუქანში ისხდნენ ლიპკოვას.



— რაო, მუშტარი ბევრი გყავს?—ეკითხებოდა მელქქე ყურის პან ზაგლობა.

— სად არის. მხოლოდ ერთი პანია ეხლა აქა. აიქ ოთახ-ში ზის. მდიდარი პანია, მხლებლები ბევრი ახლავს, ცხენები ბლომადა ჰყავს.

— საიდან მოვიდა, არ იცი?

— რა მოგახსენოთ, მგონია, შორიდან უნდა იყოს მოსული, ვისლას იქითა მხრიდან. ცხენები ძალიან დაჰლაღვიათ.

— იქნება ხარლამპია,—სთქვა ზაგლობამ და მივიდა ოთახის ჩაკეტილ კარებთან.

— შეიძლება შემოვიდეთ?—იკითხა პან ზაგლობამ.

— ვინა ხარ მანდა?—მოისმა ხმა ოთახ შიგნიდან.

— თქვენები ვართ, შინაურები.—და პან ზაგლობამ შეაღო ოდნავ კარი.— თქვენის ნება-დართვით... იქნება უდროვოდ გახელით!—დასძინა მან და მიათვალიერ-მოათვალიერა ოთახი, მაგრამ უცბად უკან დაიწია, თითქო რაღაც საშინელება დაინახაო. სახე შეშინებული ჰქონდა და მთლად განცვიფრებული იყო, პირი ნახევრად ღია დარჩენოდა, ზოლო თვალებს გაოგნებულივით ახამხამებდა და ისე შესცქეროდა კუმელსა და ვოლოდიევსკის.

— რა დაგემართათ?—შეეკითხა ვოლოდიევსკი.

— ღვთის გულისათვის, ჩუმად ილაპარაკეთ! — დაიწყო ზაგლობამ და თან სული ყელში ებჯინებოდა.—იქ ბოგუნია! ორივე აფიცერი უცბად ფეხზედ წამოხტნენ.

— ხომ არ გაგიყდი, ჭკუაზედ მოდი! ვინ არისო, ვის ამბობ?

— ბოგუნი! ბოგუნი!

— შეუძლებელია!

— ღმერთს გეფიცებით და ყოვლად წმინდა სახარებასა!

— მერე რაღაზედ შეგშინებიათ აგრე? თუ მართლა ის არის იქა, მაშ ღმერთს მადლობა უნდა შევსწიროთ, რომ ხელში ჩაგივარდათ ის ავაზაკი. მაშ დამშვიდდით. მართლა დარწმუნებული კი ხართ, რომ სწორედ ის არის?

— დარწმუნებული ვარო! დავინახე, რომ ტანისამოსს იცვლიდა.

ვოლოდიეცკის სულ თვალებმა დაუწყყო ბჭყერიალი.

— შენ, ეი, ურია!—ჩუმაღ წარმოსთქვა მან,—იმ ოთახს სხვა კარები ხომ არა აქვს?

— არა, მარტო აქეთა კარები აქვს.

— კუშელ, წადი ფანჯარას უყარაუღე!—გასცა ბრძანება მიხალმა.—ახლა კი, ველარ წაგვივა ხელიდან.

კუშელი ხმა ამოუღებლივ გავარდა ოთახიდან.

— რა დაგემართათ, გონს მოდით!—ამწვიდებდა ზაგლობას პატარა რაინდი.—უბედურება იმას დასტრიალებს თავს და არა თქვენ. აბა, თქვენ რას დაგაკლებთ? არაფერს.

— არა, მხოლოდ გაცემამ შემიგუბა სული,—მოჰყვა თავის გამართლებას პან ზაგლობა. გულში კი იფიქრა; „მართლაცა და მე რისა მეშინიან? პან მიხალ ჩემთან არის, თუ შიშია, ისევ ბოგუნს ეშინოდეს!

და, შეიკრა რა შუბლი, ხელი გაივლო ხმლის ვადასა.

— პან მიხალ, ის აქედან არ უნდა წავიდეს.

— ის კია მერე? არა მჯერა, რომ იყოს. რა საქმე აქვს მაგას აქა?

— ხმელნიცკის გამოუგზავნია ჯაშუშადა. ნამდვილად ასეა. მოითმინეთ, პან მიხალ. შევიპყრათ და პირობა დავუდლოთ: ან კნიაჟნა მოგვეცი, ან არა-და—მართლ-მსაჯულებას მიგცემთ ხელში-თქო.

— ოლონდ კნიაჟნა კი მოგვეცეს და ჯანაბას მაგისი თავი.

— ეგ არის, ცოტანი ხომ არა ვართ: ჩვენ ორნი და კუშელი მესამე? როგორც ცოფიანი, ისე გამოიღებს თავს და დაიწყებს ბრძოლას, ამას გარდა კაცებიც ახლავს.

— ხარლამ მოვა ორის ამხანაგითა და მაშინ ექვსნი ვიქნებით! კმარა!.. უშუ...

კარი გაიღო და ოთახში ბოგუნი შემოვიდა.

წინად ვერ იცნო, ვერ გაარჩია ზაგლობა, ხოლო ახლა რომ შეხედა, აღმური ავარდა სახეზედ, ხელი ათრთოლებით ხმაღს გაიკრა. მაგრამ ბოგუნი ისევ მალე მოვიდა გონსა.



ზაგლობა უყურებდა ბოგუნსა და ხმას არ იღებდა; ატამანიცა მდუმარებდა. ის კაცნი, რომელთაც ბედი ასე ხშირად ამყოფებდა ხოლმე ერთად, ისე იკატუნებდნენ თავს, თითქო ერთმანეთს არ ვიცნობთო.

— ურიავ! — შესძახა ბოლოს ბოგუნმა დახლიდარს, — შორს არის აქედან ზაბოროვო?

— შორს არ არის, — უპასუხა ურიამ. — ახლავე გნებავთ წასვლა?

— ჰო, ახლავე მინდა.

და ბოგუნი გაემართა იმ კარებისაკენ, რომელიც ტალანში კადიოდა.

— მოითმინეთ! — გრგვინვასავით გაისმა ხმა ზაგლობასი.

ატამანი შესდგა უცებ გაშეშებულღვით, მობრუნდა და ისე დაუწყო ცქერა ზაგლობასა თვისის ბუღა და საშინელის თვალებითა, თითქო უნდა გააქროს ეხლავეო.

— რა გნებავთ ჩემგან? — მოკლედა ჰკითხა მან.

— მე მგონია, რომ ოდესმე ჩვენ ერთმანეთს ვიცნობდით. თქვენ არ იყავით, რომ ქორწილში გნახეთ სოფლადა?

— ჰოო, მახსოვს, — ზიზღით გააბტყელა სიტყვა ყაზახმა და კვლავ დაიდო ხელი ხმლის ვადაზედა.

— სხვა, როგორა ბრძანდებით? — განაგრძო გამოკითხვა ზაგლობამ. — ისე სისწრაფით წახვედით მაშინ იმ სოფლიდან, რომ ვერცკი მოვასწარი გამოგთხოვებოდით.

— ძალიან საწყინოდ დაგრჩათ მერე, რომ არ გამომეთხოვეთ?

— რასაკვირველია. ჩვენი კამპანია გადიდდა. (აქ პან ზაგლობამ ვოლოდიევსკიზედ მიუთითა). აი ეს რაინდი მოვიდა მაშინ ჩვენთან. ძალიან უნდოდა თქვენი გაცნობა დაახლოვებით.

— კმარა! — შესძახა პან მიხალმა და წამოდგა ზეზედ. — მოლალატევ, შემიპყრიხარ ტყედ!

— რა უფლება გაქვთ? — ჰკითხა ატამანმა და თავმოძვონედ მოიღერა კისერი.

— მემამოხე ბრძანდებით, მტერი რესპუბლიკისა, ჯაშუში და იმ უფლებითა.

— თქვენ ვილა ბრძანდებით?

— საჭირო არ არის მოგახსენოთ, მე ვინცა ვარ, ხოლო ჩემის ხელიდან ვერსად წახვალთ.

— ვნახოთ, აბა,—სთქვა ბოგუნმა,—მეც არ ვიტყვოდი, ვინა ვარ, რომ ხმაღში გამოგეთხოვეთ, როგორც რაინდს რაინდი, გარნა, რაკი შეპყრობას მექადებით, ვიტყვი ვინცა ვარ: აი წერილი იმიერ ქორამელის გეტქანისა ბატონიშვილ კაზიმირთან. ახლაც შემიპყრობთ?—ბოგუნმა ბოროტებითა და საშინელის დაცინვით შეჰხედა ვოლოდიევსკის. ის სულ დაიბნა და ზაგლობას უყურებდა, აბა შენ რას იტყვი ამაზედაო. ჩამოვარდა ჟამი სამიჟო მდუმარებისა.

— ჰო,—რახან ეგრეა,—სთქვა ზაგლობამ,—ძნელია თქვენი შეპყრობა. რაკი ელჩი ბრძანებულხართ, შეპყრობა არ შეგვიძლიან, ხოლო ამ რაინდთან ხმაღში გასვლას არ გირჩევთ: ერთხელაც გაექეცით და...

სისხლი თავში აუვარდა ბოგუნს და სულ მთლად გაუქარხლდა სახე; ეს არის ეხლა იცნო ვოლოდიევსკი. სირცხვილმა და შებღალულმა თავმოყვარეობამ დასწვა უშიშარი ატამანი. გაქცვის მოგონებამ სულ ცეცხლი მოუკიდა, ისე შერცხვა. ერთად-ერთი ლაქა ეს იყო იმის სახელისა და დიდებისათვის, რომელიც ყველაფერზე მეტად უყვარდა, რომელიც თვით სიცოცხლეს ერჩინა.

ხოლო უწყალო ზაგლობა წინანდელისავე გულ-დამშვიდებით განაგრძობდა.

— ქუდიც კი დაჰკარგეთ გზაში, ისე რომ ამ რაინდმა შეგიწყალათ და სიცოცხლე მოგანიჭათ. ფუჰ! ბატონო ყაზახო, დიაცის სახე გქონიათ და გულიც აგრედვე დედაკაცური. ძალიან გმირობა გამოიჩინეთ მოხუცებულ კნენასთანა და პატარა ბავშვებთანა? ხოლო ეხლა, როცა ნამდვილი რაინდი სდგას თქვენს წინაშე, ოთხად იკაკვებით! თქვენი საქმეა წერილები ატაროთ აქეთ-იქით, გასათხოვარი ქალები იტაცოთ და არა ლაშქრად იაროთ. აი ახლაცა, ხმალი ახსენეთ დიდის გაბედულებითა და სულ იმიტომ კი, რომ წერილი თურმე მი-



გაქვთ. როგორღა უნდა გეომოთ, წერილს ამოჭფარებინართ და მაგითი იფარავთ თავსა, და აბა, ერთი გვიბრძანეთ პასუხი, ბატონო ყაზახო, ჰა? ხმელი ყოჩალი ყაზახია, კრივანოსიცა, გარნა ყაზახთა შორის ლაჩარნიც ცოტანი არ არიან.

ბოგუნნი სწრაფად ეცა პან ზაგლობას, ხოლო პან ზაგლობა სწრაფადვე ამოეფარა ვოლოდიევსკის ზურგთ უკანა, ისე რომ რაინდნი პირის-პირ დაუდგნენ ერთმანერთს.

— იმიტომ კი არ გავიქეცი, რომ შემეშინდა, — სთქვა ბოგუნმა, — არამედ იმიტომ, რომ ჩემი ხალხი გადამერჩინა ამოწყვეტასა.

— არ ვიცი მიზეზი თქვენის ლტოლვისა, ხოლო ვხედავდი კი, რომ ივლტოდით.

— ყოველთვის მზადა ვარ თქვენდა სამსახურად.

— ხმალში მითხოვთ? — ჰკითხა ვოლოდიევსკიმ თვალაშოკიყვითა.

— თქვენ მოსცხეთ ჩირქი ჩემს სახელს, თქვენ შემარცხინეთ და ამიტომ თქვენი სისხლი მწყურია.

— თანახმა ვარ.

— Volenti non fit injuria, — დასძინა ზაგლობამ. — მაგრამ წერილს ვინ-ღა მიუტანს მეფესა?

— თქვენ მაგას ნუ სწუხართ, ეგ ჩემი საქმეა.

— მაშ, იბრძოდეთ, რა მენალვლება, რახან სხვაფრივ არ შეიძლება, — სთქვა ზაგლობამ. — თუ ბედმა თქვენ გაგიღიმათ, პან ატამანო, იცოდეთ, რომ ამ რაინდის ალაგს მე დავიჭერ მერე. ახლა კი, პან მიხალ, მოდით აქ ერთს წუთას, მინდა გითხრათ რამე.

მეგობარნი გავიდნენ ოთახიდან და დაუძახეს კუშელსაც, რომელიც ფანჯარასთან დარაჯობდა.

— აი რა უნდა გითხრათ, — დაიწყო ზაგლობამ, — ჩენი საქმე ცუდად არის. წერილი აქვს მართლა ბატონიშვილთან; რომ მოგვკლათ სისხლის სამართალში მიგვცემენ. სამართალი ჩვენ ამას არ შეგვარჩენს. მერე ან უნდა მალევე მოგვყვით, ან თავადი თუ დავგიფარავს, თორემ ვერ მოგვივა კარგი საქმე.

მაგის ხელიდან გაშვებაც კი არ არის კარგი. ერთად-ერთი ღონისძიება ეს არის, რომ ის საწყალი ქალი გავანთავისუფლოთ როგორმე. თუ ეგ ცოცხალი აღარ იქნება, იმის მოძებნაც გაადვილდება. ცხადია, თვით ღმერთსა სურს, შეეწიოს სქშეტუსკისა. იფიქრეთ, როგორ მოვიქცეთ.

— თქვენ თვითონ ვერას მოიფიქრებთ?—ჰკითხა კუშელმა.

— მე ეგ მოვიფიქრე, რომ თვითონ იმან გამოგვიწვია ხმალში. ჩემი აზრი ის არის, რომ ხარლამპს მოვუცადოთ. მე ვტვირთულობ ყოველსავე, ის დაგვითმობს თავის პირველობის უფლებას და, თუ საჭირო იქნება, გვიმოწმებს კიდევცა, რომ გამოგვიწვიეს და იძულებულნი ვიყავით თავი დაგვეცვა. ბოგუნისგან კი ისიც კარგად უნდა გავიგოთ, სადა ჰყავს ის ქალი დამალული. თუ მაგან ფეხები გაქიმა, სულ ერთი იქნება, შესაძლოა სთქვას, სადაცა ჰყავს, ოღონდ კი მოვახერხოთ როგორმე. არ იტყვის კიდევ და ჯანაბას მაგისი თავი. საჭიროა მხოლოდ ყოველივე გონივრულად გავმართოთ და დრო არ დავკარგოთ. ვოჰიმე, ლამის თავი გამისკდეს!

— ვინ უნდა ებრძოლოს იმას?—ჰკითხი კუშელმა.

— ჯერ პან მიხალი, მერე მე.

— მესამე მე ვიქნები.

— ეგ არ შეიძლება,—სთქვა პან მიხალმა,—მე უნდა ვებრძოლო მარტო და ამით გათავდეს. თუ მომკლავს იმისი ბედი იქნება, ადგეს და წავიდეს თავისთვის.

— ოჰ, მე კიდევ გამოვიწვიე,—წარმოსთქვა პან ზაგლობამ,—მაგრამ თუ თქვენ სხვაფრივ გადასწყვეტავთ, ყმაწვილებო, მეტი ღონე არ არის, უნდა დაგმორჩილდეთ?

ბოგუნი იჯდა ღუქანში და სვამდა თაფლს შექცევითა. სრულიად დამშვიდებული იყო.

— მოგვითმინეთ,—მიჰმართა ბოგუნს ღუქანში შესულმა ზაგლობამ,—ერთი დიდი საქმე გვაქვს თქვენთან და გვინდა მოგელაპარაკოთ. ეს რაინდი რომ გამოიწვიეთ ხმალში, კარგი და პატიოსანი; გარნა თქვენ უნდა იცოდეთ, რომ რაკი ელჩის მავალეობითა ხართ მოსილი, მით კანონი მფარველობას გაგი-





წევთ, იმიტომ რომ ნადირებში კი არ მოსულხართ აქ, არამედ განათლებულს ქვეყანაში ხართ. ჩვენ ისე ვერ დაგთანხმდებით ხმალში გამოსვლას, თუ მოწმეთა წინაშე არ გაიმეორებთ, რომ ნება-ყოფლობით გინდათ ჩვენთან ბრძოლა, აქ მოვა რამდენიმე შლიახტიჩი, რომელთანაც გვინდა აგრედვე ვიბრძოლოთ ხმალში გასვლითა; აი იმათ წინაშე გაიმეორეთ, რასაც გთხოვთ, ხოლო ჩვენ გაძლევთ რაინდულს სიტყვას, რომ თუ ბედმა არ გიმტყუნათ და ჰან ვოლოდივესკისთან ბრძოლაში გაგემარჯვათ, შეგიძლიანთ დაუბრკოლებლივ წახვიდეთ თქვენს გზაზედა, თუ ჩემთან ბრძოლაში გამოსვლას აღარ მოინდომებთ.

— თანახმა ვარ, — სთქვა ბოგუნმა. — ვუბრძანებ ჩემს კაცებს, რომ წერილი იმათ წაიღონ, თუ მე ამიტყდა რამე და თქვენს მოწმებთანაც გამოვაცხადებ, მე გამოვიწვიე ეს ხალხი ხმალში-მეთქი, ხოლო თუ გავიმარჯვე მაგ რაინდთან, მაშინ მზადა ვარ თქვენდა სამსახურადაც.

ბოგუნმა პირდაპირ შეხედა ზაგლობას თვალებში, ზაგლობა ცოტა არ იყოს შეკრთა და ჩაახველა.

— მეც თანახმა ვარ. ჯერ ჩემი შეგირდი გაიცანით და მერე მე. მაგრამ, ჰო, ამას თავი დავანებოთ, სხვა უფრო საყურადღებო საგანს მივაქციოთ ყურადღება. მოემართავთ თქვენს სვინილისს, არა როგორც ყაზახისას, არამედ როგორც რაინდისას. თქვენ გაიტაცეთ ენაჟნა ელენე კურცვეიჩი, ჩვენის ამხანაგის დანიშნული და სადღაცა გყავთ ტყვეობაში. ახლა თქვენ ხმალში გადიხართ, სახიფათო საქმეში შესდიხართ და შესაძლოა სიკვდილი არ აგცდეთ; ჰკითხეთ თქვენს თავს, რა მოელის ამ შემთხვევაში საცოდავს ყმაწვილს ქალს? დავიჯერო გაიმეტებთ გასაუბედურებლად და შესარცხვენად? ნუ თუ სიკვდილ შემდეგაც არ ჩამოეხსნებით იმ საცოდავს?

ჰან ზაგლობას სიტყვები ისეთის ღაღადებით იყო წარმოთქმული, რომელიც იმას არა სჩვეოდა. ბოგუნი გაფითრდა.

— რა გნებავთ ჩემგან? — იკითხა ყაზახმა.

— გვითხარით, სად არის დატოვებული, რომ ვინიცობაა სიკვდილი გიწერიათ დღეს, შეგვეძლოს ყიპოვით ის ქალი და

მივგვაროთ თავის დანიშნულს. ღმერთი შეიწყალებს ამისათვის თქვენს სულს.

ატამანმა თავი თვისი დააპყრო ხელებსა და ღრმად ჩაფიქრდა.

სამივე ამხანაგი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს იმის მოძრავეს სახეს, რომელსაც ისეთი მწვავე მწუხარება დაეტყუო უცბად, თითქო ეს სახე თავის დღეში არ დაუბრანქია და არ დაუსახიჩრებია არც რისხვასა და არც გაბრაზებასაო, თითქო ეს კაცი გაჩენილია მხოლოდ სიყვარულისა და მწუხარებისათვისაო. მღუმარებამ დიდ ხანს გასტანა, ბოლოს ზაგლობამ დაიწყო ათრთოლებულის ხმით:

— თუ შეურაცხვეთ, ღმერთმა დაგსაჯოთ, ხოლო ქალს იმის ღონე მაინც მიეცით, რომ მონასტერში შეაფაროს თავი...

ბოგუნმა შეჰხედა თვისის დაწყლიანებულის, მწუხარე თვალებითა.

— თუ შეურაცხვევ? არ ვიცი, როგორ იცით სიყვარული თქვენ, პანებმა, შლიახტამ და რაინდებმა, ხოლო მე ყაზახი ვარ, მე დავიფარე ის ქალი ბარში სიკვდილისა და შერცხვენისაგან, ხოლო შემდეგ დავმალე უდაბნოში და იქ ისე ეუფრხილდებოდი, როგორც ჩემის თვალის ჩინს, თითოც არ დამიკარებია, დაჩოქილი ვიყავ მის წინაშე და მუხლს ვიყრიდი, როგორც ხატის წინა. მიბრძანა წადიო, მეც წამოვედი და მასუკან აღარ მიხახავს.

— ღმერთი მადლად ჩაგითვლით მაგას საშინელსა დღესა განკითხვისასა! — სთქვა ზაგლობამ და ამოისუნთქა თავისუფლად. მაგრამ საცა არის, შიში ხომ არა მოელის-რა? იქ კრივანოსია, თათრები არიან!

კრივანოსი კამენცს ახლოს არის და მე გამომგზავნა ხმელნიცკისთან, წავიდე თუ არა კუდაკისკენაო; ახლა, აღბად, წასულიც არის. ხოლო საცა ისა სცხოვრობს, იქ არც ყაზახნი არიან, არც ლიახები და არც თათრები; არავითარი შიში არ მოელის.

— მაშ, სად არის?



— გამიგონეთ, ბატონო შლიახტიჩებო! დეე თქვენს სიტყვაზედ იყოს და გეტყვით, საცა არის ის ქალი; ვუბრძანებ კიდევ, რომ ჩაგაბარონ, მაგრამ სამაგიეროდ, უნდა რაინდული სიტყვა მომცეთ, რომ ვინიცობაა მე გავიმარჯვო, თავს დაანებებთ იმ ქალს და ძებნას აღარ დაუწყებთ. თქვენ სიტყვა მომცით თქვენ მაგიერადაცა და სქშეტუსკის მაგიერადაცა და მეც გეტყვით, საცა არის.

მეგობრებმა ერთმანერთს შეჰხედეს.

— ჩვენ ეგ არ შეგვიძლიან!—სთქვა პან ზაგლობამ.

— დიადაც, არ შეგვიძლიან!— წამთიძახეს ერთად კუშელი-მა და ვოლოდიევსკიმ.

— არა?—ჰკითხა ბოგუნმა და წარბები შეეკუმუნა, ხოლო თვალებმა ნაპერწკლების სროლა დაუწყეს.—რატომ არ შეგიძლიანთ, პან ლიახნო?

— პან სქშეტუსკი აქ არ არის და ამას გარდა, იცოდეთ, არც ერთი ჩვენგანი ხელს არ აიღებს იმის ძებნაზედ, თუნდა ქვესკნელში დაჰმალოთ.

— მაშ, თქვენც ბარემ ასრე დაგეწყით ჩინჩი: შენ, ყაზახო, სული მოგვეცი, ხოლო ჩვენ ხმლით შეგამკობთ, ამისათვისაო! მაგრამ ვერა, მაგას ვერ მოესწრებით! რაო, თქვენ გგონიათ, იქნება, რომ ჩემი ყაზახური ხმალი ფოლადისა არ არის? რაო, მე რა, მძოვრი ვარ და უკვე ყვავ-ყორანი თავს დამტრიალებენ? რად გგონიათ, რომ მე უნდა გავქრე, მოკვდეთ და არა თქვენა? თქვენ ჩემი სისხლი გწყურიანთ, მე თქვენი! ვნახოთ ვისი დაინთხევა.

— მაშ არ გვეტყვით?

— როგორ არა, მოგახსენებთ, სიკვდილის ღირსნი ხართ თქვენ ყველანი!

— სიკვდილის ღირსი უნა ხარ! ახია უნზედ, ნაქერ-ნაქერ აგკუწოს კაცმა.

— აბა, სცადეთ,—სთქვა ატამანმა და წამოდგა ზეზედ. კუშელი და ვოლოდიევსკიც წამოცვინდნენ. მტრებმა ერთმანერთს თვალები გადუბრიალეს და შეუბრძოლებლივ არ გა-

თავდებოდა საქმე, რომ ზაგლობას ფანჯარაში არ გაეხედნა და არ ეთქვა, ხარლამპი და მისნი მოწმენი მოვიდნენო.

მართლაც, პატარა ხანს უკან ოთახში შემოვიდა როტმი-სტრი და თან შემოჰყვა ორი ამხანაგი, ბატონი სელიცკები. ჩვეულებრივის სალამ-ქალამის შემდეგ ზაგლობამ გაიხმო ისინი ცალკე და მოუყვა საქმის გარემოებას.

ისეთის მჭერმეტყველობით დაუწყო ლაპარაკი, რომ მალე დააჯერა, განსაკუთრებით უფრო დაიყოლია მით, რომ უთხრა, პან ვოლოდიევესკი მხოლოდ მცირეს ხნითა გთხოვთ საქმე გადასდოთო და ყაზახთან ბრძოლის შემდეგ მზად არის ებრძოლოს ხარლამპსო. ლიტველმა დასთმო თვისი უფლება პირველობისა.

ამასობაში ბოგუნი თავისიანებთან წავიდა და დაბრუნდა ესაუღ იალეშენკოთი, რომელსაც გამოუცხადა, რომ ორი შლიახტიჩი გამოვიწვიე ხმალში და მერე ისევე გაიმეორა ხარლამპისა და სელიცკების თანადასწრებით.

— ჩვენის მხრით გაძლევთ სიტყვას,— სთქვა ვოლოდიევესკიმ,— რომ თქვენ თუ გაიმარჯვებთ ჩემთან ბრძოლაში, მხოლოდ თქვენს ნება-ყოფლობაზედ იქმნება დამოკიდებული, ინდომებთ თუ არა პან ზაგლობასთან ბრძოლასა. ყოველ შემთხვევაში თქვენ აღარავინ გამოგიწვივებთ ხმალში, აღარავინ დაგესხმით თავს. ამ სიტყვას გაძლევთ და ვსთხოვ ახლად მოსულებსაც ასევე მოიქცნენ.

— ვფიცავთ და გაძლევთ სიტყვას,— წარმოსთქვა ლაღდებით ხარლამპმა.

ბოგუნმა მისცა ილიაშენკოს წერილი, მეფესთან მოწერილი და უთხრა:

— ამ წერილს მეფეს მიართმევ და, თუ აგიტყდეს რაზე, მოახსენებ იმასაცა და ხმელნიცკისაც, რომ ეგ მოხდა ჩემის ნება-ყოფლობით და რომ ამ საქმეში არავითარი ლალატი არა ყოფილა.

ზაგლობამ, რომელსაც არა გამოჰპარვია—რა, შეამჩნია, რომ ილიაშენკოს გაკლდევებულს და მოღრუბლულს სახეს არავი-

თარი მოუსვენრობა არ შეეტყო; მაშასადამე, მტკიცედ ენდობა და იმედი აქვს თვისის ატამანისაო.

ახლა ბოგუნმა ქედ-მალლობით მიჰმართა შლიახტიჩს:

— აბა, ვნახოთ, ვის უწერია სიკვდილი და ვის სიცოცხლეო. ახლა შეგვიძლიან წავიდეთ.

— დროა, დრო! — დაეთანხმნენ იქ მყოფნი და გაივლეს ხელი ხმლებზედა.

ყველანი გამოვიდნენ დუქნიდან და გაემართნენ პატარა წყალისაკენ, რომელიც მაღალ ლელიანებ-შორის მიმდინარეობდა. გაცრიაგებული შემოდგომის დღე იყო, საესე სევდანადველის ამშლელ შვენებითა. მზე მშვიდის, ალერსიანის ნათელით აშუქებდა გაცრცვნილ ხის ტოტებს და მარჯვენა კილის ყვითელ ქვიშრობს. მოპირისპირენი და მათნი მოწმენი სწორედ ამ ქვიშრობისკენ მიდიოდნენ.

— აიქა, — გაიწოდა თითი ზაგლობაჲ.

ყველანი დასთანხმდნენ ხმა-ამოუღებლივ.

ზაგლობა თან და თან უფრო მოუსვენრობდა, ბოლოს მიუახლოვდა შეუმჩნევლად ვოლოდიევსკის.

— პან მიხალ, — წასჩურჩულა ზაგლობაჲ

— რა იყო?

— ღვთის გულისათვის, პან მიხალ, ეცადეთ! ახლა თქვენს ხელშია ბედი სქშეტუსკისა, თავისუფლება კნიაჟნასი, თქვენი საკუთარი სიცოცხლეცა და... ჩემიცა. იმიტომა რომა, ჯვარი კი გწერიათ, თქვენ რომ აგიტყდეთ რამე, მე რაღას გავაწყობ მაგ ავაზაკთან?

— რაღაზედ გამოიწვიეთ მაშა?

— წამომცდა სიტყვა, მე თქვენი იმედი მქონდა, პან მიხალ. მოხუცი კაცი ვარ და, მაგას გარდა, ნათაზი მაქვს, მალე ვიღლები, ხოლო ეგ მხეცი ისეთია, რომ, რაც უნდა იტუნოს, მაგისთვის არაფერია. ხუმრობა მაგასთან ძნელია.

— ვეცდები.

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე, მხოლოდ გულ-დამშვიდებით იყავით.

— კარგი, კარგი.

ამ დროს მათთან მივიდა ერთ-ერთი სელიცკი.

— რა კაკა ბრძანდება ეგ თქვენი ყაზახი?— ჩუბურჩულითა ჰკითხა, — ისე გვედიდება, თითქო ტოლნიც არ ვიყვნეთ მაგისი, ცხვირი მალლა მიაქვს. ოჰ, ჩემა მზემა! ალბად, მაგის დედას შლიახტიჩხედ თუ დარჩენია თვალი ოდესმე.

— ეგ კი არა, — სთქვა ზაგლობამა, — უფრო დასაჯერებელია, რომ რომელსამე შლიახტიჩის შევარდნია გული მაგის დედაზედ.

— მეც ვგრე მგონია, — სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— შესდექით! — დაიღრიალა უცებ ბოგუნმა.

— შესდექით, შესდექით!

ყველანი შესდგნენ, ვოლოდიევსკი და ბოგუნნი ერთმანერთის პირის-პირ დადგნენ, შლიახტა ნამგალივით გარს შემოერტყა იმათა.

ვოლოდიევსკი გამოცდილებას არ იყო მოკლებული ამისთანა საქმეში და უპირველეს ყოვლისა გასინჯა ფეხით ნიდაგი, საკმაოდ მაგარია თუ არა ქვიშრობი ადგილიო, მერე მიმოიხედა გარშემო, რა ადგილ-მდებარეობა აქვს აქაურობასაო. ცხადად ეტყობოდა, რომ ვოლოდიევსკი დიდის ყურადღებით ეკიდებოდა წინამდებარე ბრძოლასა. ესეც უნდა ყოფილიყო. უნდა შებრძოლებოდა რაინდს, რომელიც სახელ-განთქმული იყო მთელს უკრაინაში, რომლის საქებრადაც ყველგან ლექსები და შაირები იყო გამოთქმული, ვისი სახელიც ჰქუხდა მთელს რუსეთში თვით ყარიმამდე. ჰან მიხალმა, ერთმა უბრალო დრაგუნთა პორუჩიკმა, იცოდა, რომ ან სახელოვანი გამარჯვება მომეღის, ან არა ნაკლებ სახელოვანი სიკვდილიო და ამიტომ ცდილობდა თანასწორი ყოფილიყო თვისის მოპირისპირესი. იქნება ეს იყო მიზეზი, რომ სახე მისი დაფიქრიანდა მეტად, იმდენად დაფიქრიანდა, რომ ჰან ზაგლობას შეეშინდა და გულში გაივლო: „სულის სიმშვიდესა ჰკარგავს! ჯერ ამას გაუთავებს საქმესა და მერე მე“!



ბოლოს, გასინჯა-რა ყოველის მხრით ნიადაგი და ადგილი, დაიწყო ჯუბის ლილების გახსნა.

— ცივა, — სთქვა მან, — მაგრამ სულერთია, გავთბებით. ბოგუნმაც იმის მაგალითს მიჰმართა. მოპირისპირეთ გაიხადეს ზედა-ტანის ტანისამოსი და პერანგის ამარანი-ლა დარჩნენ.

ყოვლად ჩაგვერა და თითქმის სულ არაფერი არა სჩანდა-რა პან მიხალი ამოდენა ზორბა და ლონიერ ატამანთანა. მოწმენი მოუსვენრობით შესცქეროდნენ ყაზახის განიერს მკერდს, რკინასავით მაგარს ძარღვებს და სხვილს გამკლავებულს მაჯებს. ასე ევრანათ, რომ წიწილა გამოსულა და უნდა შეებრძოლოს ძლიერს მინდვრის ქორსაო. ნესტოები ფართედ დაჰბეროდა ბოგუნს, თითქო სისხლის სუნი დაიცესო, წარბები შესქმუნდა. დააბღვირა გაბოროტებით სავსე თვალები მოპირის-პირეს და დაუწყა ლოდინი ბრძანებას.

პან ეოლოდიევსკიმ გულ-დადებით გაუსინჯა ფხა თავის ხმაღს, გადისვა ხელი ოდნავ თაფლა პატარა უღვაშებზედ და მოიმართა საბრძოლველად.

— კარვა კი მოჰხვდება მაგასა, — წასჩურჩულა ხარლამშმა თავის ამხანაგს.

ბოლოს მოისმა ათრთოლებული ხმა ზაგლობასი:

— ღმერთო და ბედო! დაიწყეთ!

## XII

ხმლებმა იელვეს, ფოლადი ფოლადს მოჰხვდა და წკრიალი გაისმა. ადგილი ბრძოლისა უცბად შეიცვალა, რადგან ისეთის გაშმაგებით შეუტია ბოგუნმა ეოლოდიევსკის, რომ პატარა აფიცერმა უკან დაიწია რამდენისამე ნაბიჯით, ხოლო მას მიჰყენენ მოწმენიკა. ისეთის სისწრაფით იქნევდა ბოგუნი ხმაღს, რომ მოწმენი თვალს ვერ ასწრობდნენ; პან მიხალს მხოლოდ ღმერთი-ლა თუ დაიხსნიდა აუცილებელის სიკვდილის პრჰყალებისაგან. ერთს შემოქნევას მეორე მოსდევდა,

ფოლადი შუილით აპობდა ჰაერს. ატამანი უფრო და უფრო შმაგობდა, ომის ეშხით ითრობოდა და როგორც გრივალი, ისე მიაქროლებდა წინ პატარა რაინდსა. ვოლოდიევსკი სულ უკან-უკან იწევდა და მხოლოდ იგერიებდა მოტევებულს ბოგუნსა: მისი წინ-გაწვდილი მარჯვენა ხელი გაშეშებულივით იყო დარჩენილი და მხოლოდ მაჯა-თითები ტრიალებდა და ევლებოდა რკალივით პატარა წრეს წრეზედა ესეთის სისწრაფით, თითქო ელვააო და მით აბათილებდა ბოგუნის ხმლის ძლიერს შემოქნევა-ცემასა. პან მიხალი თვალს არ აშორებდა ყაზახის სახეს და ამ გაცეცხლებულ ომში სრულად გულდამშვიდებული იყო; მხოლოდ ლოყები აუწითლდა იდნავ.

პან ზაგლობამ დაჰხუჭა თვალები და ესმოდა მხოლოდ წკრიალი ხმლის ხმალზედ შემოკვრისა.

„ჯერ კიდევ იგერებს!“ — გაივლო გულში ზაგლობამ.

— ჯერ კიდევ ახერხებს მოგერებას! — წაიტუტუნა ხარლამშმა.

— ერთი ნაბიჯი კიდევ და ვოლოდიევსკი ქვიშრობში ჩაიფლება, — ნელის ხმითვე დასძინა კუშელმა.

ზაგლობამ კვლავ გაახილა თვალები.

ვოლოდიევსკი, მართლაც, სულ რამდენსამე ნაბიჯზედ-ღა იყო წყლის ნაპირამდე, მაგრამ, ეტყობოდა, ჯერ კიდევ არ იყო დაქრილი, მხოლოდ სიწითლე ლოყებზედ უფრო მოჰმატებოდა, ხოლო შუბლზედ რამდენიმე წვეთს ოფლს დაესხა.

ზაგლობას გულმა იმედით დაუწყო ცემა.

„პან მიხალმაც იცის ხომ მოხმარება ხმლისა, — იფიქრა მან. — ბოგუნიც, ალბად, დაიღალა“.

ბოგუნი უფრო გაფითრდა, დასველებული შავი თმის კულულები მიჰკროდა გაოფლიანებულს შუბლზედ, მაგრამ ვოლოდიევსკის უნარი მოგერებისა უფრო აძლიერებდა იმის გაშმაგებას. ყაზახის თეთრს კბილებს სულ ელვა გაჰქონდა სიბრაზით, ხოლო გვერდი უღელავდა და ატამანი მძიმედ სუნთქავდა.

ვოლოდიევსკი თვალს არ აშორებდა და იგერიებდა ყაზახს.





უცხად, სწორედ წყლის ნაპირას, მოიკუნტა, თითქო კატაა (დამსწრეთ ასე ეგონათ, ეს არის წაქცევას აპირობსო), დაიხარა, ჩაქუქდა და თვალის დახამხამებაზე გადახტა წინ კამარა-შეკვრითა, პირდაპირ ბოგუნისაკენ.

— იერიში მიიტანა!—დაიძახა პან ზაგლობამ.

სწორედ ასეც იყო: ახლა ატამანმა დაიწყო უკან-უკან წევა, ხოლო პატარა რაინდმა, რაკი გაიგო რაც ძალ-ღონე ჰქონდა მოპირისპირეს, ისეთის ძლიერებით შეუტია ყაზახსა, რომ მოწმეთ სული გაკმინდეს და თავიანთ გულის ბაგა-ბუგი თვითვე ესმოდათ. ცხადი იყო, რომ ვოლოდიევსკი გაცხარდა, პატარა მისი თვალები სულ ცეცხლსა ჰყრიდა; ხან ჩაქუქდებოდა, ხან კვლავ წამოხტებოდა, ყოველ წუთს იცვლიდა თავის მდგომარეობას, წრედ უვლიდა გარშემო ბოგუნს და ძალას ატანდა ეტრიალნა ერთს ალაგას.

— ოჰ, რა ფეხტ-მეისტერია?—იძახოდა ზაგლობა.

— ჩაჰკვდები!—წამოიძახა უცებ ბოგუნმა.

— ჩაჰკვდები!—მისცა ბანი პასუხად ვოლოდიევსკიმ.

აქ ატამანმა ისეთის ხერხით, რომელიც მხოლოდ ხმლის მხმარებელთა ოსტატობის მცოდნეთ იციან, გადიგლო ხმალი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში და ისეთის საშინელებით მოუქნია, რომ პან მიხალი, თითქო მეხი დაეცაო, ისე დაეცა დედა-მიწაზედ.

— იესო, მარიამ!—აღმოხდა გულიდან ზაგლობას.

ხოლო პან მიხალი განგებ დაეცა, რომ ბოგუნის ხმალს მარტო ჰაერი გაერღვია. მაშინ პატარა რაინდმა იხტუნა გარეულ კატასავით და დასცა ხმალი ყაზახს შიგ გულში.

ბოგუნი დატორტმანდა, ერთი ნაბიჯი წინ გადასდგა, შეიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე და უკანასკნელად კიდევ შემოუქნია ხმალი. პან ვოლოდიევსკიმ ადვილად აუკრა ხმალი, დასჭრა თავში და ხმალი გაუვარდა ბოგუნს დასუსტებულ ხელიდან. ყაზახი დაეცა პირქვე ქვიშაზედ, რომელიც მაშინვე წითლად შეიღება სისხლითა.

ილიაშენკო ღრიალით მივარდა ატამანის გვამს. მოწმენი ისე გაშრენენ, რომ რამდენსამე წუთს ხმა ვერ ამოიღეს; ჰან მიხალსაც კრიჭა შეეკრა და მღუპარებდა. ორისავე ხელით დაეყრდნო ხმაღს და ძლივს სულს ითქვამდა.

ზაგლობამ პირველმა დაარღვია ღუმილი.

— ჰან მიხალ, მოდი მოგეხვიო, — წარმოსთქვა მან აღელვებულის ხმითა.

მაშინ დაიწყო ყველამ ლაპარაკი, თითქო ანიშნა ვინმემო. მეტადრე დიდ აღტაცებაში იყო ჰან ხარლამპი.

— სწორედ არ ველოდი! — დაიძახა იმანა. — ახლა ჩემი რიგია, რომ მხდალობა არავინ მიკიჟინოს. თუმცა ვიცი, რომ თქვენ მეც დამჩეხავთ, მაგრამ მაინც მომილოცნია, მომილოცნია!

— დაანებებდეთ თავსა, ისა სჯობიან, — ჩაერია ზაგლობა, — მით უმეტეს, რომ საიმისო მიზეზი არა გაქვთ — რა ბრძოლისათვის.

— არ იქნება, არა! აქ ჩემ სახელს შეეხება საქმე, ხოლო სახელი ყველაფერზე ძვირფასია ჩემთვის, თვით სიცოცხლეზედაც კი.

— თქვენ სიცოცხლეს არავინ არ ემუქრება, — სთქვა ვოლოდიევსკიმ, — სჯობიან დავანებოთ მაგ ლაპარაკს თავი. მართალი გითხრათ, სიზმარშიც არ მშმანებია თქვენი რაყიფი გავმხდარვიყავ.

— რას ბრძანებთ?

— გაძლევთ სიტყვას.

— თუ აგრეა... და ჰან ხალამპმა გაშალა მკლავები.

წელანდელნი მტერნი მეგობრულად გადაეხვივნენ ერთმანერთს.

ამასობაში ილიაშენკომ პირადმა გადააბრუნა გვამი ატამანისა და ქვითინით სინჯავდა, იქნება სიცოხლის ნიშნები რამ კიდევ ვუპოვნოვო. ბოგუნეი სულ შედედებულ სისხლით იყო მოსვრილი, მაგრამ მაინც კიდევ სუნთქავდა ოღნავ. ფეხები ოღნავ შეუთრთოლდებოდა ხოლმე სულთ-ბრძოლის გამო, ხო-



ლო დამანქული თითები ხელისა გამწარებით ფხაქნიდა რობიანს ნიადაგსა. ზაგლობამ შეხედა და ხელი გააქნია.

— გათავდა, — სთქვა შლიახტიჩმა, — ეთხოვება წუთი-სოფელს.

— კარგი რაინდი კი იყო, — წაიტუტუნა ვოლოდიევსკიმ და თავი ბოგუნისაკენ მიიღრიჯა.

— ჰო, მე ცოტა რამ არ ვიცი მაგის ამბავისა, — სთქვა ზაგლობამ.

ილიაშენკოს უნდოდა წაელო საცოდავი ატამანი, მაგრამ იძულებული იყო თავი დაენებებინა ამ განზრახვისათვის. ულონო მოხუცისათვის ძნელი იყო ამოდენა მომზღველულ ბუმბერაზის წამოკიდება და წაღება. დუქნამდე კარგა მანძილი იყო, ხოლო ბოგუნს შეიძლებოდა გზაში ამოსვლოდა სული. ესაუღლს იმის მეტი ღონე არა ჰქონდა, რომ მიემართნა შლიახტისათვის და შემწეობა ეთხოვნა.

— ჰანებო, — შეევედრა ილიაშენკო აზნაურის-შვილებსა და აღაპურო მალლა თვალები, — დაავალეთ თქვენს ღმერთსა და მიშველეთ! ნუ ინებებთ, რომ აქ მოკვდეს ძალღივითა. მე მოხუცი ვარ, ვერ მოვერევი, ჩენი კაცებიც კი შორს არიან...

შლიახტიჩებმა ერთმანერთს გადახედეს. აღარავის ახსოვდა ახლა მძულვარება თვისი ბოგუნის მიმართ.

— დიაღაც არ შეიძლება აქ დავსტოვოთ ძალღივითა, — სთქვა პირველადვე ზაგლობამ. — რაღაი ვებრძოლეთ, სჩანს, მაშ, ტეტია აღარა ყოფილა, არამედ მხედარი და მეომარი, რომელსაც შეველა უნდა. ყმაწვილებო, აბა ვინ მიშველის, რომ ერთად წავილოთ.

— მე, — სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— აი ამ ჩემს ნაბადზედ დავაწვინოთ და ისე წავილოთ, — დასძინა ხარლამშმა.

ერთს წუთს შემდეგ ბოგუნის უკვე ნაბადზედ იყო გაშოტილი. ნაბადს დაავლეს ხელი ოთხ-კუთხივ ზაგლობამ, ვოლოდიევსკიმ, კუშელმა და ილიაშენკომ და ამ სახით, ხარლამშისა და სელიცკების თან გაყოლებით, გაემართნენ დუქნისაკენ.

— სიცოცხლის ძალა ჭარბადა ჰქონია, — ბქობდა და მსჯელობდა გზა-და-გზა ზაგლობა, — ჯერ კიდევ ინძრევა. ღმერთო, შენი ჭირიმე! წინად რომ ეთქვა ვისმე ჩემთვის, იქნება უვლილდე კიდევო ბოგუნსაო, საწყენად მივიღებდი და ვეტყოდი, ეგ სადაური ხუმრობაა-მეთქი. გული ჩვილი მაქვს, ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ დაჯერებით მაინც არ დავიჯერებდი ასეთს თქმას, როგორც ვხედავ, წყლულებსაც მე შევუხვევ. იმედია, ამ სოფლად ჩვენ ერთმანერთს აღარ შევხვდებით, მაშ, ესე მაინც იყოს, რომ იმ სოფლად მადლობით მომიგონოს.

— თქვენა გგონიათ, რომ არას გზით აღარ გადარჩება? — ჰკითხა ხარლამშმა.

— ესა? მაგის სიცოცხლეში ერთ ძველ ჩექმასაც აღარ გავიღებ. სჩანს, ამისი ბედის საწერელი ეს იყო; თუნდა რომ გაჰმარჯვებოდა და ეჯობნა ვოლოდიევსკისთვის, სულერთია, შე ველარ გადმირჩებოდა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ უჩემოდაც გათავდა საქმე; უამისოდაც თავი მომაბეზრეს საყვედურით, რომ უწყალოდ ხოცავ ყველას, ვინც ხმალში გამოდის შენთანაო. მაშ რა ვუყო, როგორ მოვიქცე, როცა შეურაცხყოფას გამიბედავს ვინმე?.. ერთი შეჰხედეთ... წყეულმა პირი ჰქნა ისევ. გაიქეცით საჩქაროდ დუქანში, პან ხარლამშ და უბრძანეთ ურიას, რომ პური და აბლაბუდა დაამზადოს. ეს არას უშველის ამ საცოდავს, მაგრამ ქრისტეანე მოვალეა შეუხვიოს წყლულნი ქრისტეანეს. აბა, ჩქარა, პან ხარლამშო!

პან ხარლამში გაიქცა საჩქაროზედა და, როცა ატამანი შეასვენეს დუქნის ოთახში, ზაგლობა მაშინვე შეუდგა თავისს საქმესა. შეაყენა სისხლის დენა, შეუხვია წყლულები დაჭრილსა და მერე მიუბრუნდა ილიაშენკოსა:

— შენ აქ საჭირო არა ხარ, მოხუცო, — უთხრა ზაგლობამ. — გასწი საჩქაროზედ ზაბოროვსა, სთხოვე იქ, რომ წარგადგინონ მეფის წინაშე, მძარტვე იმას წერილი და უამბე ყოველივე, როგორც იყო, როგორცა ჰნახე შენის თვალითა. არ კი იტყუო, თორემ მაშინვე გავიგებ, მეფის კარის კაცი ვარ და, ვუბრძანებ, რომ მაშინვე თავი მოგკვეთონ. ხმელნიცკისაც



ჩემ მაგიერ მოკითხვა მოახსენე: ისიც მიცნობს; მე და ის — მე გობრები ვართ. შენს ატამანს ჩვენ დავმარხავთ, როგორც ეკადრება, შენ კი შენი საქმე გააკეთე. დუქან-დუქან ნუ დაიწყებ წოწიალსა იმიტომ რომ მოგკლავენ სადმე უმაღლ, ვიდრე იტყოდე, ვანცა ხარ. აბა, გასწი! ღმერთი იყოს შენი შემწე და მფარველი!

— ნება მიბოძეთ, ბატონო, დავრჩე, ვიდრე სულს განუტევებდეს.

— გასწი-მეთქი, შენ გეუბნებიან, — შეუტია მრისხანედ ზაგლობამ, — თუ არა და, ცუდად იქნება შენი საქმე! არ კი დაგავიწყდეს ხმელნიცკის ჩემ მაგიერ მოკითხვა მოახსენო.

ილიაშენკომ დაბლა თავი დაუკრა და წავიდა, ხოლო ზაგლობამ მიჰმართა ხარლამპსა და სთქვა:

— განგებ გავგზავნე ეგ ყაზახი ჯერ იმიტომ რომ მაგას აქ საქმე აღარა აქვს-რა და მერე იმიტომ რომ, თუ მართლა ეგ მიაღრჩეს სადმე (რაიცა აღვიღად შესაძლებელია), მაშინ ყოველივე ჩვენ დაგვბრალდება. ზასლავსკისა და კანცლერის კუდები და დამქაშები პირველნი ასტეხენ ერთს დადანსა და ვაი-ვაგლახსა, რომ მთავარისა და ერისთავის კაცებმა უღმერთოდ ამოსწყვიტეს მთლად ყაზახთა საელჩოვო. ხოლო თუ კაცი ჭკუით მოიქცევა, ყოველთვის შეიძლება უსიამოვნება თავიდან აიცილოს. ისე ნუ მოვიქცევით, რომ იმ კალამ-წრიბინაებმა ცოცხლივ გამოგვხრან, ხოლო თქვენ, ყმაწვილებო, გვიმოწმებთ, თქვენის მხრით, რასაკვირველია, როგორც იყო მთლად საქმე და როგორც გამოგვიწვია ამ კაცმა ხმაღში. უნდა უბრძანო კიდევ აქაურს მამასახლისს, რომ დაასაფლავოს ეს ყაზახი. აქ არავინ იცის, ვინც არის ესა, ეგონებათ, შლიახტიჩიაო და წესიერად დაჰმარხავენ. ჩვენ კი, პან მიხალ, აბა, დროა, გზას გაეუღგეთ, თავადსაც ანგარიში უნდა მივცეთ ახლა.

ბოგუნის ხრიალმა და ხრიალით სულის მობრუნებამ გააწყვეტინა ლაპარაკი პან ზაგლობას.

— გზას ეძებს ამისი სული ამოსასვლელად, — სთქვა შლიახტიჩმა. — აგერ ახლა თვალთ უბნელდება ამ საცოდავს და მისი სული ფათურით წავა იმ სოფლად. მაგრამ რაღაი ჩვენი სა-

წყალი ქალი არ გაუუბედურებია, ღმერთმა სასუფეველი დას-  
მკვიდროს, ამინ! წავიდეთ, ჰან მიხალ, სულითა და გულით შე-  
მინდვია ამისათვის ყოველი მისი დანაშაული, თუმცა სულ ქვეშ  
რომ ვსთქვა, მე უფრო მეტი უსიამოვნება მივაყენე, ვიდრე  
იმან მომაყენა მე. მაგრამ ახლა ყოველივე გათავდა. მშვიდო-  
ბით ბრძანდებოდეთ, ყმაწვილებო! ძალიან მესიამოვნა თქვენ-  
სთანა სახელოვან რაინდების გაცნობა. ნუ დაივიწყებთ მხო-  
ლოდ გვიმოწმით, თუ ვინიცობაა საქირო იყოს.

### XIII

თავადმა ერემიამ საკმაოდ გულ-გრილად მიიღო ამბავი  
ბოგუნის დამარცხებისა, როცა გაიგო მეტადრე, რომ რაინდნი  
არა-ჩემის ჯარისანი მხად არიან უმოწმონ ჩემს რაინდებს, პირ-  
ველად ბოგუნმა გამოითხოვა ხმალში ვოლოდივესკიო. ეს ამ-  
ბავი რომ ცოტა წინად მომხდარიყო და არა მაშინ, როცა  
უკვე გამოცხადებულ იქმნა იან კაზიმირი მეფედ, ბრძოლა კან-  
დიდატებისა რომ გათავებული არა ყოფილიყო, ერემიას მო-  
წინააღმდეგენი კანცლერისა და თავად დომინიკის მოთავეო-  
ბით, ამ გარემოებას ხელზედ დაიხვევდნენ და აღარავითარი მო-  
წმობა აღარ იქმნებოდა შეწყნარებული. მაგრამ, რაკი კარ-  
ლოსმა პირველობა კაზიმირს დაუთმო და თავი დაანება ბრძო-  
ლას, ყველას სხვა საზრუნავი ჰქონდა ახლა და ბოგუნის ის-  
ტორიას სახიფათო შედეგი აღარა მოჰყვა-რა.

მარტო ერთს ხმელნიცკის შეეძლო გაეზვიადებინა ეს სა-  
ქმე და ერთი ამბავი დაეწია, აი რაოდენად უსამართლოა შლია-  
ხტაო, მაგრამ თავადმა სწორედ ივარაუდა, რომ იმიერ-ჭორო-  
მეთის გეტმანი თვისის ელჩის სიკვდილის ამბავს თვით მეფესა-  
გან მიიღებს და ველარ გაუბედავს ექვს, მეფემ ტყუილი ამბა-  
ვი მაცნობაო.

თავდი უფრო იმასა ჰზრუნავდა, რომ ამ ამბავმა აღიაქო-  
თი არა მოახდინოს-რა პოლიტიკაშიო. მეორე მხრით თავადს  
გაახსენდა სქმეტუსკი და იმის სიხარულს სამზღვარი აღარა



ჰქონდა: ახლა კნიაჟნა ელენეს პოვნა ბევრად უფრო ადვილი იქნებაო. ახლა შეიძლება ვიპოვოთ, წავიკითხოთ, ვისაცა ჰყავს, გამოვისყიდოთო, ხოლო თავადი არაფერს არ დაჰზოგავდა, ოღონდ კი დაებრუნებინა ბედნიერება თავისს საყვარელ რაინდისათვის.

პან ვოლოდიევესკი შიშითა და კრძალვით სავსე მივიდა თავადთან; მხდალი კაცი არ იყო ვოლოდიევესკი, მაგრამ ძალიან ეშინოდა მთავრის შეკრულ კოპებისა. ხოლო დიდი იყო განცვიფრება და სიხარული მისი, როცა თავადმა მოისმინა იმისი ნაამბობი, დაფიქრდა პატარა ხანს, ბოლოს წაიძრო თითიდან ძვირფასი ბეჭედი და უთხრა:

— თქვენი სიფრთხილე სწორედ ძალიან მომწონს; აგრე რომ არ მოვქცეულიყავით, ვინ იცის, რა ამბავი ატეხილიყო სემის კრებაზედ. თუ კნიაჟნა გამოჩნდა და ვიპოვნეთ სადმე, სქმეტუსკი თქვენგან იქნება გადარჩენილი სიკვდილსა. ჭორად მესმოდა, რომ თქვენ, პან ვოლოდიევესკი, იმ ყბედივით, რომელიც ვერ ახერხებს ენა მოიკვნიტოს, როცა საჭიროა, ვერ მოგინებრხებიათ ხმალი ქარქაშში გქონდეთ ჩაგებული დრომდე; ამისათვის, სწორედ გითხრათ, ღირსი ხართ სასჯელისა. ხოლო რადგან ახლა თავი გამოგიდვიათ მეგობრისათვის, ჩვენთა სადროშოთა სახელისათვის და დაგიძლევიათ ისეთი სახელ-განთქმული რაინდი, სხვა აღარა დამრჩენია-რა იმის მეტი, რომ მოგცეთ ეს ბეჭედი; იქონიეთ სახსოვრად და მაგ დღის მოსავონებლად. ვიცოდი, რომ ყოჩალი ჯარის კაცი იყავით და კარგად იცით ხმარება ხმლისა, ხოლო ახლა ვხედავ, რომ ყოველად ჩინებულმა მემხლემაც თქვენგან უნდა ისწავლოს მისი კარგი ხმარება.

— ესა, ბატონო? — ჩაერია ზავლობა ლაპარაკში. — ესა, ბატონო, ეშმაკს გააგდებინებს რქებს მესამე შემოქნევაზედ. თუ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ბრძანებთ ოდესმე ჩემის თავის მოკვეთას, გთხოვთ ეს დანიშნოთ ჯალათად; ნუგეშად ის მაინც მექნება მაშინ, რომ უცბად წავალ საიქიოს.

თავადმა კმაყოფილებით ვაიღიმა და ჰკითხა:

— შეგხვედრია ვინმე თქვენი ბადალი მეხმლე?

— ერთხელ სქშეტუსკიმ ოღნავ გამკაწრა ხმლითა და მეც აგრედვე ცოტათი გავკენწლე... ეს მაშინ გახლდათ, თქვენო ბრწყინვალეზავ, როცა ამისათვის ორივენი დაგვაპატიმრეთ. პან პოდბიპენტასაც დავეძლიე იქნება, რადკან მეტის-მეტი ღონიერია, აგრედვე კუშელსაც, უფრო კარგი მხედველობა რომ ჰქონოდა.

— ნუ დაუჯერებთ, თავადო!—წამოიძახა ზაგლობამ.—მაგას ვერაფერ აჯობებს.

— ბოგუნი დიდ ხანს გაუმაგრდა?

— იმასთან საქმის დაჭერა ძნელია. მარცხენა ხელითაც იბრძვის.

— იცი, რა გითხრა, პან ვოლოდივესკი?—სთქვა ხუმრობით თავადმა.—წადით ერთი ზამოსტიეში, გამოითხოვეთ ხმალი-ში ხმელნიცკი და ერთის შემოკვრით დაიხსენით რესპუბლიკა მოსალოდნელ უბედურებისაგან.

— თუ მიბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, გიახლებით, ოღონდ გამოვიდეს კი ხმელნიცკი ჩემთან საბრძოლველად.

— ჩვენ ვხუმრობთ,—განაგრძო თავადმა,—ხოლო ქვეყანა იღუპება! მაგრამ ზამოსტიეს კი მაინც უნდა წახვიდეთ მართლა. ამბავი მომივიდა ყაზახთა ბანაკიდან, გამოცხადდება თუ არა არჩევა მეფედ ბატონიშვილის კაზიმირისა, ხმელნიცკი აშლის ალყად შემორტყმულს ჯარებს და რუსეთისაკენ დაიწვესო. ასე მოიქცევა, შესაძლოა, იმიტომ რომ ერთგულება დაუმტკიცოს მეფეს, ან იმიტომ, რომ შიში აქვს, ვაი თუ ზამოსტიეში ჩემი ძლიერება სულ გაცამტყერდესო. მაშ, თქვენ წახვალთ სქშეტუსკისთან და აუწყებთ, რაც მოჰხდა,—ადგეს და დაუწყოს ძებნა კნიაჟნას. უთხარით, რომ აირჩიოს ჩემ სადროშოებში, რამდენი კაციც უნდა მხლებლად და ისე გაუდგეს გზას, მაგას გარდა, წერილსაც მივწერ. საზოგადოდ, დიდს გასაცემს გავცემდი, ოღონდ კი ის სიამოვნება მეგრძნო, რომ იმ კაცმა თავის ბედნიერებას მიაღწია.





— თქვენო ბრწყინვალეობავ, მუდამ მამობას გვიწვედით და გვიწვეთ დღესაც, — სთქვა ვოლოდიევსკიმ: — და ჩვენც სიკვდილამდე თქვენი ერთგული ყმები ვიქნებით.

— არ ვიცი, იქნება შიმშილიც გეწეროთ ჩემს სამსახურში ყოფნითა, — უპასუხა თავადმა, — უკეთუ ჩემი სამფლობელო დნებრ გაღმა აკლებულ იქნა, ხოლო ვიდრე მაქვს რამე, ყოველივე ჩემი თქვენია.

— ოჰ, ბატონო! — წამოიძახა პან მიხალმა. — ჩვენი მცირე შეძლება მუდამ თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს.

— ჩემიცა ბატონო! — სთქვა ზაგლობამ.

— არა, ჯერ-ჯერობით საჭირო არ არის, — აღერსიანადა სთქვა თავადმა. — მე მაინც იმედი მაქვს, რომ თუ ვინიცობაა სრულიად გავლარიბდი, რესპუბლიკას გაახსენდება ჩემი შეძლები.

თავადმა რა იცოდა, რომ ეს სიტყვები მისი წინასწარმეტყველება იყო. რამდენისამე წლის შემდეგ რესპუბლიკამ იმის ერთად-ერთს შვილს ჩააბარა თვისი ძვირფასა განძი — გვირგვინი, ხოლო იმ დროს ერემიას აუარებელი ქონება და შეძლება მართლაც სულ გაცამტვერებული იყო.

— გადავრჩით საფრთხესა და ეს იყო, — სთქვა ზაგლობამ, როცა ისა დე ვოლოდიევსკი გამოვიდნენ თავადის სახლიდან. ახლა უნდა მოგილოცო სწორედ. აბა მაჩვენე ერთი ეგ შენი ბეჭედი. მე და ჩემმა ღმერთმა, სულ ცოტა, ასი ბაჯალლო მაინცა ჰღირს, ძვირფასი ქვა უზის შიგა. ერთი შეემუშტრე ხვალ ვისმე სომეხსა. მაგის ფულით კარგს ქეიფს გავწევთ. ჰო, ჩემმა მზემ! შენ როგორა გგონია, პან მიხალ? ხომ იცი, ჯარის კაცის წესი: დღესა ვარ, ხვალ აღარა... ხოლო აქედან ის უნდა დაფასკვნათ, რომ ხვალის იმედი ტყუილადა გვაქვს. კაცის სიცოცხლე ხან-მოკლეა, პან მიხალ. ყველაზედ საყურადღებო ის არის, რომ ამიერიდან თავადი აღარ დაგივიწყებს. ერთი ათად მეტს გასცემდა, ოღონდ კი ბოგუნის თავი სქშეტუსკისათვის ჩაეგდო ხალში, თქვენ კი ყოველივე ეს მოახერხეთ. შეგიძლიან დიდის წყალობის იმედი იქონიო, დამიჯერე. ცო-

ტა სოფლები დაურიგებია თავადს თავისს რაინდებისათვის? დაურიგებია კი ირა, უჩუქებია კიდეცა. ბეჭედი! ბეჭედი კიდევ რა არის? შენც დიდი წყალობა მოგელის, ხოლო ბოლოს იქნება აილოს თავადმა და თავისს ნათესავ ქალზედ ჯვარიც გადაწეროს.

პან მიხალი შეხტა კიდეცა სიხარულითა.

— საიდან იცი, მერე, რომ...

— რაო?

— მე ის უნდა მეთქვა, ეგ რა უცნაური აზრი მოგივიდა ფიქრადა-მეთქი. შესაძლოა განა მაგისთანა რამ ამბავი მოჰხდეს?

— რატომ, რატომ? შლიახტიჩი არა ხარ განა? განა ერთი შლიახტიჩი ტოლი და სწორი არ არის მეორესი? ცოტანი ჰყავს ყოველს მაგნატს ნათესავი ქალები, რომლებსაც თავის საუკეთესო აზნაურშვილებს ურიგებს ცოლებად? ან ასე შორს რად მივდივართ: სენჩელი სუფჩინსკი ვისნევეცკების რომელღაც შორეულს ნათესავს ქალზეა ჯვარ-დაწერილი. ყველანი ძმები ვართ, პან მიხალ, ძმები, თუმცა ერთნი მეორეს ვემსახურებით, ყველანი წარმომდგარვართ იაფეტისგან და ერთ-ერთისაგან გავირჩევით მხოლოდ შეძლებითა და ნამსახურობა-სახელით... ხოლო ყოველს ამას შეიძენს კაცი, თუ ჰკუთითა და მოხერხებით მოიქცევა. დილაც, ზოგიერთ ქვეყნებში თვით აზნაურთა შორისაც არის ხოლმე დიდი გარჩევა... მაგრამ რაო, ის რა აზნაურშვილობაა მერე? ძაღლებს შორის, კიდევ ჰო, ჰო, არის გარჩევა: ძაღლი ზოგი ქოფაკია, ზოგი მეძებარი, მწვეარი, გარნა, იცოდეთ, პან მიხალ, რომ აზნაურთა შორის შეუძლებელია ისეთი გარჩევა იყოს; აგრე რომ იყოს, ჩვენ ხომ მაშინ ძაღლის შვილები ვიქნებოდით და არა შლიახტა, ხოლო ღმერთი არ ინებებს, რომ ეგრე დაამციროს ესდენ ღირსეული წოდება!

— მართალს ამბობთ, — დაეთანხმა ვოლოდიევესკი, — მაგრამ ვისნევეცკები ხომ თითქმის მეფის შთამომავლობაა.

— ახლა, განა ვითომ თქვენ კი, პან მიხალ, არ შეიძლება არჩეულ იქმნათ მეფედ? მე პირველი მოგცემდი თეთრ კენ-



ქსა პან ზიგმუნტ კორშეესკისა არ იყოს, რომელიც ამბობდა, თეთრს კენქს ჩემს თავსვე მიეცემ, თუ კამათლების მღერაში არ გავებო. ჩვენში ხომ, მადლობა შემოქმედსა, ყოველივე in liberis suffragiis არის და მხოლოდ ჩვენი სიღარიბე გვებრკოლებს და არა ჩამომავლობა.

პან მიხალმა თანაგრძნობით ამოიოხრა, ნიშნად თანხმობისა.

— რას იზამ? გაგვალარიბეს და გაგვალატაკეს სულ ერთიანად და უნდა სულ გადავშენდეთ, თუ რესპუბლიკა არ იზრუნებს ჩვენთვისა. გასაკვირველი-ღაა, განა, თუ კაცი, თვისის ბუნებით, თავ-დაჭერილი და ფხიზელი მეტს სასმელს დაუწყებს სმას ამისთანა ყოფაში? წავიდეთ, პან მიხალ, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ, იქნება, პატარა დარდი გადაგვეყაროს,

მივიდნენ ძველ ადგილამდე\*), დასხდნენ ტავერნაში და დაიწყეს სმა. ლაპარაკი ჩამოუვარდათ, რასაკვირველია, იმდღევანდელ ამბების გამო.

— თუ ხმელნიცკი, მართლა, წავა ზამოსტიიდან და ომიანობა გათავდება, კნიაჟნა მაშინ უთუოდ ჩვენია, — სტქვა ზაგლობამ.

— ჩვენ უნდა სქშეტუსკისთან გავეჩქაროთ, ახლა კი თავს ნულარ დავანებებთ, ვიღრე კნიაჟნას არ იპოვის.

— დილაღ, ეხლავ წავიდეთ. ეს არის მხოლოდ, რომ ამ ჟამად შეუძლებელია ზამოსტიემდე მიადწიოს კაცმა.

— ერთი-ორი დღე აქეთ იყოს, თუ იქით, არაფერია, ოლონდ ბოლოს გვიშველოს ღმერთმა.

ზაგლობამ უცბად გადაჰკრა თავისი ჭიქა სასმელი.

— გვიშველოს, გვიშველოს... იცი, პან მიხალ, რას გეტყვი?

— რასა?

— ბოგუნი ჩაჰბარდა პატრონს.

ვოლოდივესკიმ გაკვირვებით შეჰხედა მოსაუბრეს.

— თუ არ მე, სხვამ ვინ უნდა იცოდეს ეგა?

\*) მოედანია ვარშავაში.

— ღმერთმა გაგაბედნიეროს ამ საქმისათვის! შენც იცი და მეცა; ვნახე, როგორც იბრძოდით, ეხლა რომ გიყურებ, სულ ეს უნდა ვიმეორო, იმიტომ რომ ხან და ხან ასე მგონია, ვითომ ყოველად სასიხარულო სიზმარი მესიზმრა-მეთქი. რაოდენი მწუხარება დაჰლია, რა ნასკვი გაჰკვეთა შენმა ხმალმა! ოი, შენ და შენს... დაიჯერებ, თუ არა, მინდა ვსთქვა რაღაცა და რა ვსთქვა, მეც არ ვიცი! მოდი ერთი ჩემს ახლოს, ვეღარ მომიტყენია! მოდი, ერთხელ კიდევ გადაგკოცნო! ბოგუნი აღარ არის, წავიდა, გაჰქრა, ვითარცა კვამლი! მოიკლა სიკვდილითა, ამიერ და უკუნისამდე, ამინ!

ზაგლობა გადაეხვია ვოლოდიევსკის.

— ჩვენ არ დავსწრებივართ იმის სიკვდილსა, — სთქვა ვოლოდიევსკიმ და ჩამოჯდა თავის სკამზედა, — რა სერიი იქნება, რომ ისევე გაცოცხლდეს?!

— რას ამბობ, ერთი, თუ ღმერთი გწამს! — შეშფოთდა ზაგლობა. — ხვალ დილით ლიპკოვს მინდოდა წასვლა იმის დასამარხავად. დიდის ამბითაც მივაბარებ მიწას, ოღონდ კი მოკვდეს.

— რაზედ უნდა წახვიდე? თუ დაჭრილია, ხომ ვეღარ დასჭრი კიდევ სასიკვდილოდ, ხოლო ხმლით დაჭრილს სულ აგრე სჩვევია: ვინც მაშინვე არ განუტყევებს სულს, ის მომეტებულ შემთხვევაში რჩება, ხმალი ტყვია არ არის.

— არა, არა, ეგ შეუძლებელია! სულთ მობრძავი იყო, როცა ჩვენ იქიდან წამოვედით. ღმერთმანი, შეუძლებელია. მე თვითონ ვნახე იმისი ქრილობანი... გულის ფიცარი სულ გაჩხილი ჰქონდა. დავანებოთ იმას თავი. ჩვენ უნდა სქმეტუსკისთან გავეშუროთ, ვანუგეშოთ, შემწეობა აღმოვუჩინოთ, თორემ ჯავრით მოკვდება.

— ან ბერად შესდგება; თვითონ მითხრა.

— რა გასაკვირველია. მეც რომ იმის ალაგს ვყოფილიყავ, ბერად შევიმოსებოდი. არ შემხვედრია მაგაზედ ღირსეული რაინდი, გარნა არც მინახავს ვინმე ეგრე უბედური. ოჰ, დიდი მწუხარება მიაყენა ღმერთმა, დიდი!



— კარგია ერთი!— დაიწყო, ცოტა არ იყო, შეზარხო მებულმა ვოლოდიევსკიმ, — ისეც ლამის ტირილი მომივიდეს.

— მე კი არ მომივა ტირილი? ისეთი რაინდი, ისეთი მეომარი... ის ქალი... შენ არ იცნობ... საწყალი ჩემი ქალი!

პან ზაგლობამ ქვითინი დაიწყო, ვოლოდიევსკიმ იმის მაგალითს მიჰბაძა. დიდ ხანს ისხდნენ ასე მეგობრები და ნელ-ნელა წრუპავდნენ სასმელს ჭიქით. ბოლოს ზაგლობამ დაჰკრა მუშტი სტოლსა.

— პან მიხალ, რასა ვტირით ნეტავი? ბოგუნი მკვდარია!

— მართალია, — სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— უნდა ვიმხიარულოთ. სულელები ვიქნებით, რომ ის ქალი ვერ მოვძებნოთ.

— გაეწიოთ!

და პან მიხალი წამოდგა ზეზედ.

— დავლიოთ! — გაუსწორა სიტყვა პან ზაგლობამ. — ღმერთი მოწყალეა, იმათ შვილებსაც მოვნათლავთ მალე... სულ კი იმიტომ რომ ბოგუნი მოვკალით.

— კარგ ყოფაში იქნება საიქიოს! — დაათავა ვოლოდიევსკიმ და ის კი ველარ შეჰნიშნა, რომ ზაგლობა თვითონაც წილს იღებდა ბოგუნის მოკვლაში და იზიარებდა თავის ამხანაგის სახელს.

#### XIV

ძლივს ვარშავის საკათედრო ტაძარში გაისმა გრგვინვა: Te Deum laudamus — „მეფე აღვიდა ტახტზედა,“ ზარბაზნებმა გრილი დაიწყო, ატყდა ზარების მხიარული რეკა-წკარუნი და იმედმა ნელ-ნელა დაიჭირა ადგილი განწირულებისა. ძლივს, როგორც იყო, წარვიდა დრო უმეფობისა, დრო უთანხმოებისა და მოუსვენრობისა, დრო მით უფრო საშიში რესპუბლიკისათვის, რომ მტერმაც მაშინ გაიმარჯვა ზედიზედა. ვინც აქამდე თრთოდა და კანკალებდა, ვაი თუ რა მოგვევლინოსო, ის ახლა თავისუფლად სუნთქავდა. ბევრს ეგონა, რომ უმაგალითო შინაუ-

რი შუიტი და აღრეულობა სამუდამოდ გათავდა და ახლად ამორჩეულს მეფეს ისლა დარჩენია მხოლოდ, რომ განიკითხოს დამნაშავენიო. ამ იმედს ფრთას ასხავდა ცოტაოდნად ხმელნიცკის ქცევაცა. ის ყაზახნი, რომელნიც ზამოსტიეს იერიშით აღებას ჰფიქრობდნენ, ხმა-მალლა აცხადებდნენ ახლა, რომ იან კაზიმირის მომხრენი ვართო. ხმელნიცკისაგან წერილი მოვიდა, ყოვლად ერთგული ქვეშევრდომი ვარ მეფისა და გთხოვთ წყალობას ჩემთვისა და იმიერ ჭორომეთის ჯარისათვისაო. ყველამ იცოდა, რომ მეფე თანხმა იყო კანცლერ ოსოლინსკის პოლიტიკისა და სწადდა ბევრი რამ დასათმობი დაეთმო ყაზახთათვის. როგორც პილავეცის ომის წინად ყველა მოელოდა ბრძოლას, ისე ახლა ყველას იმედი ჰქონდა მშვიდობიანობისა. ყველა იმედოვნებდა, რომ ამდენის ვაივაგლახის შემდეგ რესპუბლიკა მოისვენებს და გაიმთელებს თვისთა წყლულთა ამ ახალს მეფობაშიო.

ბოლოს გაემართა ვარშავიდან ხმელნიცკისთან სნიაროვსკი და შემდეგ მალე გავარდა სასიხარულო ხმა, რომ ყაზახნი უკან ბრუნდებიან ზამოსტიედან, უკრაინისაკენ მიდიან და იქ დაუწყებენ ლოდინს მეფის ბრძანებას და კომისიას, რომელიც განიხილავს მათს საჩივარსაო. კაცს ეგონებოდა, რომ ეს არის დაღლილსა და დაქანცულს ქვეყანას საშინელ გრიგალს შემდეგ გაუთენდება დღე მშვიდობისა და სიხარულისაო.

მართალია, შავ-უკულმა ნიშნებიც ცოტა არ იყო, მაგრამ რაკი სამხიარულო გარემოებას ბევრსა ჰხედავდნენ, არავინ ყურადღებას არ აქცევდა იმ მოშავებებულს ნიშნებსა. მეფე წაბრძანდა ჩენსტოხოვოს და იქ მადლობა შესწირა ყოვლად წმიდა ქალწულსა არჩევისათვის, ხოლო იქიდან გაემართა კრაკოვს გვირგვინის კურთხევისათვის. იმას გაჰყვენ ყველა დიდებულნი და უმაღლესნი მოხელენი. ვარშავა დაცარიელდა; იქ დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვის მამულებიც აიკლო მტერმა და აგრედვე ისინიცა, რომელთაც არ იცოდნენ სად წასულიყვნენ. თავადი ერემია, როგორც სენატორი რესპუბლიკისა თან უნდა წაჰყოლოდა მეფეს, ხოლო ვოლოდივესკი და ზაგლობა ღრავუნთა



ერთის სადროშოთი გაეშურნენ ზამოსტიეს, სქშეტუსკი გავანა-  
როთ ბოგუნის ამბითა და მერე ყველამ ერთად დავიწყეთ კნი-  
ჟნას ძებნაო.

ჰან ზაგლობამ, ცოტა არ იყოს, სინანულით დასტოვა ვარ-  
შავა: იქ იმოდენა თავად-აზნაურობა იყო შეკრებილი, ცხოვრე-  
ბა სდულდა და გადმოდიოდა არჩევანების გამო, გამუდმებული  
ქეიფი და დროს ტარება იყო და ყოველ ამის გამო ისე სცუ-  
რავდა სიამოვნებაში, როგორც კამეჩი მორვეში. ნუგეშად ისლა  
ჰქონდა, რომ ახლა ისეე მხნე ცხოვრებას ვუბრუნდები და ამის-  
თანა ცხოვრებაში ჩემი ნიჭი უფრო მეტს შნოს გამოიჩინს და  
წესიერად გადიშლებოა. ესეც რომ არა ყოფილიყო, ჰან ზა-  
გლობამ იფიქრა, სატახტო ქალაქში ცხოვრება, ცოტა არ იყოს,  
საშიშიაო და აი როგორ გაუზიარა ეს ფიქრი ვოლოდიევს-  
კის:

— მართალია, ჰან მიხალ, ვარშავაში ბევრი სასახელო საქ-  
მე მოვიქმედეთ, მაგრამ, ღმერთმა კი ნუ ჰქმნას, და კიდევ რომ  
დიდ ხანს დავრჩენილიყავით იქა, სულ გავნებიერდებოდით, რო-  
გორც განებიერდა ერთი ვილაც კართაგინელი კაპუსის ლაჟვარდ  
ცის-ქვეშ ყოფნითა. ახლა ქალები?... ოჰ, ყველაზედ საშიში ეს  
ქალები იყო. ვის არ მოსტეხენ ისინი კისერსა და, იცი, რა  
გითხრა, იმათზედ ცვალებადი: ალარა არის-რა. კაცს რომ სი-  
ბერისკენა ჰქონდეს ფეხი გაშვერილი, ისინი მაინც თავისკენ  
ეწევიან...

— ეჰ, ნეტა რა სისულელესა როშავ შენცა! — გააწყვეტი-  
ნა სიტყვა ვოლოდიევსკიმ.

— მეც სულ მაგასა ვფიქრობ, რომ დროა დავდინჯდე-  
მეთქი, მაგრამ ვგრძნობ, სისხლი ჯერ კიდევ მიდულს ძარღვებ-  
ში. შენ უფრო დამჯდარის ბუნების კაცი ხარ, რა გიშავს! მა-  
გრამ დავანებოთ ამას თავი. ახლა სულ სხვა ცხოვრებას უნდა  
შევეუდგეთ. ცოტა არ იყოს, მომეწყინა ახლა, რაკი ომი და  
ბრძოლა აღარ არის. ჩვენი პოლკი ჩინებულად არის შეიარა-  
ღებული, ხოლო ზამოსტიეს გარშემო ჭინჭველასავით ირევიან  
სხვა-და-სხვა ბრბონი ავაზაკთა, მაშასადამე, შეიძლება კაცმა

გული გადააყოლოს. ამას გარდა, სქშეტუსკისაცა ვნახავთ, იმ ლიტველ წეროსა, იმ სვიის ასაყვან სარსა, პან ლონგინუსსაცა. რამდენი ხანია ერთმანერთი აღარ გვინახავს!

— ახლა ძალიან გინდა მისი ნახვა და, როცა ჰნახავ კი, მოსვენებას აღარ აძლევ.

— ეისი ბრაღია? ისე სიტყვას არ იტყვის, რომ ყურნი არ დაეაღდეს სმენლისა. გაჭიანურებით ხომ ისე აჭიანურებს, რომ სულს ამოართმევს ადამიანსა! ყოველივე ძალა მკლავებში მოჭგროვებია, თავში კი არაფერი უყრია. თუ ვისმე მკლავები მოჰხვია, წავიდა იმისი საქმე საუკუნოდ და ამასთან მთელს რესპუბლიკაში იმისთანა ბავშვი არ მოიძებნება, რომ იმის გასულელება არ შეიძლოს. გაგონილა, რომ იმისთანა შეძლების კაცი ისეთი ტუტუცი იყოს?!

— განა აგრე შეძლებულია?

— ისა? მე რომ პირველად გავიცანი, სარტყელი სულ ბაჯალლოთი ჰქონდა საესე. რამდენი იყო, არ ვიცი, ბევრი კი ჰქონდა ძალიან. მერე მოჰყვა და ჩამოთვალა თავისი სოფლები: თავგი-წელა, ძაღლი-წელა, ვიღვიზკი, სისუციანი... ვინ დაიხსომებდა ამ წარმართ სახელებსა! ნახევარ-მაზრა სულ იმისი ყოფილა. ბატვინელებში პოდბიპენტას გვარი დიდს პატივ-ღებაშია.

— არ აზვიადებ ვითომ იმის მამულების რაოდენობას?

— სრულიადაც არა. მე იმასვე ვიმეორებ, რაც იმისაგან გამიგონია, ხოლო პოდბიპენტას თავის სიცოცხლეში ტყუილი არ უთქვამს, იმიტომ რომ იმდენად ტუტუცია, ტყუილის თქმასაც ვერ მოახერხებს.

— ჰმ, მაშ ანნა დიდი ქალბატონი იქნება. მაგაზედ კი ვერას გზით ვერ დაგეთანხმები, რომ ვითომ ლონგინუსი ტუტუცი იყოს: დამჯდარი კაცია, გულადი, თუ საჭიროა, იმაზედ ჰკვიანურს ვერაფერ რას გირჩევს, ხოლო მჭევრ-მეტყველობის შნო თუ არა აქვს, რა ვუყოთ; ყველას ხომ ღმერთმა ისეთი ენა არ მისცა, როგორც შენ. მეტი ლაპარაკი რა საჭიროა, რაინდია ნამდვილი და შენც, ვიცი, ძალიან გიყვარს.



— ოჰ, ცეცხლია იმასთან ერთად ყოფნა, — წაიტუტუნა ზაგლობამ. — ერთად-ერთი ჩემი ნუგეში ის არის, რომ პანნა ანნას დაეუწყებ არშიყოზას.

— არ გირჩევ. მშვიდობიანი კაცია, მაგრამ იმის მოთმინებასაც სამზღვარი აქვს.

— აქვს და ჰქონდეს. სულ ყურებს დავაჭრი, აი, როგორც პან ღუნჩევსკის დავაჭერი.

— ჩემს მოსისხლე მტერს არ ვუჩრჩევდი, პან ლონგინუსს ჩხუბი აუტეხე-მეთქი.

• — კარგი, კარგი, სულ ერთია. ერთი ჩქარა კი ვნახოთ ოღონდა-და!

პან ზაგლობას სურვილი უფრო უმაღლესად ასრულდა, ვიდრე თვითონ მოელოდა. საბურთალოზედ ვოლოდიევსკიმ გადასწყვიტა ჩამომხდარიყო და ცხენები დაესვენებინა. ვინ ასწერს ორივე მეგობრის განცვიფრებას იმ დროს, როცა ესენი შევიდნენ თუ არა ბაკების ბნელ დერეფანში, თვით პან პოდბიპენტას კი წააწყდნენ.

— ღმერთო ჩემო! — გაუხარდა ზაგლობას: — რამდენი ხანია ერთმანეთი აღარ გვინახავს: ყაზახებმა არ მოგკლეს ზამოსტიეში?

— სად მიდიხართ? — ჰკითხა ვოლოდიევსკიმ.

— ვარშავას, თავადთან.

— თავადი ვარშავაში არ არის; კრაკოვს წავიდა მეფესთან ერთად დაგვირგვინებაზედ.

— მე კი პან ვეიგერმა გამომგზავნა, წადი ვარშავას, წერილი მიართვი თავადს და სთხოვე გვიბრძანოს, საით წავიდეთ თქვენის ჯარითაო. ღვთის მადლით, ეგ ჯარები ზამოსტიეში საჭირო აღარ არის.

— საჭირო აღარ არის თქვენი იქ წასვლა, ჩვენ თვითონ დაგვაბარა, როგორც უნდა მოიქცეთ.

პან ლონგინუსი დაღონდა. ვარაუდობდა, მეფის კარსა ვნახავ და უფრო იმ ერთის სულიერის ყურებით დავსტკბებიო. ზაგლობამ მრავალ-მნიშვნელობით თვალი უყუა ვოლოდიევსკის.



— მაშ, კრავოს წავალ, — სთქვა ცოტაოდენის დაფიქრების შემდეგ ლიტველმა. — ნაბრძანები მაქვს, წერილი წაიღეო და მეც წავიღებ... თქვენ საით-ღა აპირობთ?

— ზამოსტიეს მივდივართ, სქშეტუსკისთან.

— პორუჩიკი ზამოსტიეში აღარ არის.

— ერიჰა! მაშ სად არის?

— სადღაც ხოროშჩინს ახლოა, ავაზაკთა ბრბოს ებრძვის. ხმელნიცკი წავიდა, მაგრამ იმისი პოლკოვნიკები მოუსვენრობენ გზაში. ვალეცის უფროსმა გაჰგზავნა მათ წინააღმდეგ პანიაკუბ რეგოვსკი...

— სქშეტუსკიცა?

— ისიცა; მხოლოდ ცალ-ცალკე კი იბრძვიან.

ზაგლობამ მოატანინა ბლომად ლუდი და მოუჯდა სტოლს ვოლოდიევსკისთანა და პან ლონგინუსთან ერთად.

— თქვენ კი, პან პოდბიპენტა, ჯერ არ იცით, ყოვლად საყურადღებო და სასიამოვნო ამბავი, — დაიწყო ზაგლობამ, — მე და პან მიხალმა ბოგუნს ანდერძი ავუყვით.

ლიტველს ისე გაეხარდა, რომ კინალამ ერთს არშინზედ შეხტა დაჯდომილა.

— ჩემო ძვირფასო, ნუ თუ მართალია?

— ისევე მართალია, როგორც ის, რომ ახლა ჩვენა გვხვდავ.

— მაშ ორივემ მოჰკალით, ჰა?

— მაშ.

— ახალი ამბავიც ამასა ჰქვიან! ღმერთო, ღმერთო! — და პან ლონგინუსმა დაიწყო სიხარულით ტაშის კვრა. — თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ ორივემაო. როგორ ორივემ?

— ჯერ მე შემოვუარე გარშემო ისე, რომ ხმალში გამოგვიწვია, გეყურება? მერე პან მიხალი გავიდა პირველად ხმალში და ისე გაჰხადა, როგორც სააღდგომო გოჭი.

— თქვენ კი არ ებრძოლეთ?

— ჰმ, ებრძოლეთ? — იწყინა ზაგლობამ, — მოდი და ახლა ამას ელაპარაკე. მგონია, სისხლი გამოგიშვებინებია ამ ცოტა



ხანში, რომ თქვენი უნარი მოსაზრებისა აგრე უკან-უკან წასულა. როგორ, თქვენ გგონიათ, ვითომ უსულო გვამს დავუწყებდი ბრძოლას, ან უკვე წაქცეულსა და დაცემულს მოვეუყვებოდი თოფ-დამბაჩის დახლასა?

— თქვენ არა სთქვით ორივემაო...

პან ზაგლობამ მხრები შეიშმუშნა.

— ამ კაცთან ლაპარაკი წმინდანსაც მოთმინებას დაუკარგავს. პან მიხალ, ბოგუნმა განა ჩვენ ორივენი არ გამოგვიწვია ხმალში?

— ორივენი, — კვერი დაუკრა ვოლოდიევსკიმ.

— ახლა ხომ მიხვდით.

— დაე, აგრე იყოს, — დაეთანხმა ლონგინუსიცა. — პან სქშეტუსკიც ეძებდა ბოგუნს ზამოსტიეს, მაგრამ იქ არსად იყო.

— როგორ, სქშეტუსკი ეძებდა?

— როგორც ვხედავ, ყოველივე თავიდან უნდა გიამბოთ, დალაგებით. როგორც იცით, ჩვენ ზამოსტიეში დავჩით, ხოლო თქვენ ვარშავას წახვედით. ყაზახების ლოდინი დიდ ხანს არ დაგვეჭირვებია, მალე კალიასავით შემოესიენენ ზამოსტიეს ლგოვიდან. მაგრამ ჩვენს თავადს ისე ჰქონდა ის მხარე გამაგრებული, რომ ორ წელიწადს მდგარიყვნენ, მაინც ვერას დააკლებდნენ, ჩვენ გვეგონა, სულ არ მოიტანენ იერიშსაო და ძალიან ეწუხდით, იმიტომ რომ იმედი გვქონდა, დავამარცხებდით. ხოლო რადგან ყაზახებთან ერთად თათრებიც იყვნენ, ამიტომ მეც ძრიელა ვწუხდი. სულ იმის იმედში ვიყავი, რომ მოწყალე ღმერთი მომივლენს საიდანმე იმ სამს თავსა-მეთქი.

— ღმერთს შენ ერთი თავი სთხოვე, ერთი, მხოლოდ ჭკუით კი იყოს სავსე, — გააწყვეტინა სიტყვა ზაგლობამ,

— შენ კიდევ ისეთივე ხარ... შენსას არ იშლი... ყურსაც არ გათხოვებ... გვეგონა, იერიშს არ მოიტანენო, მაგრამ სულ სხვაფერივ კი წავიდა საქმე: სულელმა ყაზახებმა მაშინვე დაიწყეს სიმაგრეთა აგება და მოგვესიენენ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხმელნიცკის არ უნდოდა ესა, გარნა ჩარნოტამ აღარ მოუსვენა, მხდალი ხარ, მოლალატეო. ხმელნიცკიც დაეთანხმა და პი-

რველადვე ჩარნოტა მოგვაგდო ზედა. რა ამბავი იყო, ჩემო ძვირფასო, კაცი ვერ იტყვის ენითა. გარშემო აღარა სჩანდა—რა, ისე ჩამოხნელდა თოფი-წამლის კვამლისაგან. პირველში გულადად შემოკვიტიეს, ამოავსეს თბრილები და ამოფოფხდნენ კედლებზედ, მაგრამ ისე გაეუხადეთ საქმე, რომ კედლებსაც მოშორდნენ და თავიანთ სიმაგრეებსაც გაექცნენ, მაშინ გავუცვივდით და ისე ამოვჟლიტეთ, როგორც ხბორები.

ვოლოდივესკიმ ხელების ფშვნეტა დაიწყო.

— უჰ, რა მწყინს, რომ მე ვერ დავესწარი მაგ ბედნიერს დღეს!—აღტაცებითა სთქვა იმანა.

— მეც კი გამოვდგებოდი იქა.—გულ-დამშვიდებულის სიმტკიცითა სთქვა ზაგლობამ.

— ყველაზედ მეტად თავი ისახელეს პან სქშეტუსკიმა და პან იაკუბ რეგოვსკიმ: ორნივე კარგნი რაინდნი არიან, თუმცა ერთმანეთს კი მტრულად ეკიდებიან. უფრო პან რეგოვსკია წინააღმდეგი სქშეტუსკისა და უსათუოდ ხმალში გამოითხოვდა, რომ პან ვეიგერს სასტიკად არ აღეკრძალნა დუელი: ვინც ხმალში გავა, სიკვდილით იქმნება დასჯილიო, გასცა ბრძანება. პირველში ვერ მივხვდით, რა მიზეზი იყო მათის უსიამოვნებისა, რად ჰკავდათ ერთმანეთი ათვალწუნებულნი და მხოლოდ ბოლოს გავიგეთ, რომ პან რეგოვსკი ნათესავი თურმეა პან ლაშჩისა, რომელიც, ხომ გახსოვთ, თავადმა პოლკიდან დაითხოვა, სქშეტუსკის ჩხუბი რად აუტეხეო. ეს არის მიზეზი, რომ რეგოვსკი გაბუტებულია თავადის წინააღმდეგ, ვეჯავრებით ჩვენც და უბღვერის მეტადრე პორუჩიკს სქშეტუსკისა; ესევე იყო მიზეზი, რომ ორნივე თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, აბა რომელი უფრო გამარჯვებით იბრძოლებსო და ამ სახით ორივემ დიდი სახელი და დიდება შეიმოსეს. ორნივე პირველობდნენ დამხდურთა შორისაცა და მაშინაც, როცა ციხეს თავს ვანებებდით და თავს ვესხმოდით მტერს. ბოლოს ხმელნიცკის მოსწყინდა წამ და უწუმ იერიშის მოტანა და წესიერად შემოართყა ალყა ჩვენს სიმაგრეს. თან სხვა-და-სხვა ცბიერობასაც არ ერიდებოდა, რომ როგორმე აეღო ქალაქი.



გადარეული კაცია, მაგრამ თან ისეთიც არის, რომაელები რომ იტყოდნენ *obscurus*. იმას ეგონა, რომ ვეიგერი ნემენციაო (ეტყობა არც კი გაუგონია, რომ ზღვის პირად არიან ერისთავ-მოურავნი ამ გვარის კაცთა შორის) და მოსწერა წერილი, უღალატე შენს მთავრობას, რისთვის მაკლავ თავსა, უცხოელი კაცი ხარო. პან ვეიგერმა მისწერა ვინც იყო და რა საქებული გზაც აერჩია ხმელნიცკის მის შესაცდენად. უნდოდა წერილი რომელისამე შესამჩნევის კაცისათვის გაეტანებინა და არა საყვირის-დამკვრელისათვის, მაგრამ არავინ მოინდომა წასვლა იმ ბანაკში, საცა ყოველს გვარს ვიგინდარასა და ავაზაკს მოეყარა თავი. ზოგმა რა მიზეზი მოიღო, ზოგმა რა და აი აქ იწყება ფრიად საინტერესო ამბავი... ყურს უგდებთ თუ არა ჩემს ლაპარაკსა?

— როგორ არა, როგორ არა.

— წერილის წაღება გეტმანთან მე ვიტვირთე და, როცა მივედი, მთვრალი კი დამხვდა. აეად მიმიღო ძალიან, კვერთხის დარტყმასაც კი მემუქრებოდა, როცა წერილი წაიკითხა, ხოლო მე მორჩილებით შევავედრე სული ჩემი ღმერთსა და ვფიქრობდი გულში: „ერთი ხელი მახელი და მუშტით გაგინაქყამ მაგ გაბუებულ თავსა-მეთქი“. მაშ, რა მექნა, ჩემნო ძვირფასნო, ჰა?

— მშვენიერი ფიქრი მოგსვლია აზრად!— ცოტა არ იყოს ღმობიერის გრძნობით წარმოსთქვა ზაგლობამ.

— განრისხებული მოიწევდა ჩემკენა, მაგრამ პოლკოვნიკები ნებას არ აძლევდნენ და წინ ელობებოდნენ,— განაგრძო პან ლონგინუსმა.— მეტადრე ერთი ყმაწვილი კაცი, ისეთი გაბედული, რომ წაავლებდა ხოლმე ხელს გეტმანსა და უკან გადასჩეხავდა ხოლმე. ვუცქერი დი ვამბობ, რა ვქნა, ვინ არის, რომ ასე მესარჩლება-მეთქი და თან მიკვირს იმისი გამბედაობა... აღმოჩნდა, რომ ბოგუნი კია თურმე.

— ბოგუნი?— შესძახეს ერთად ვოლოდიევსკიმა და ზაგლობამ.



— სწორედ ისა. ვიცანი, იმიტომ რომ რაზლოგში ვნახე ერთხელა; იმანაც მიცნო. გავიგონე, როცა ხმელნიცკის უთხრა: „ეგ კაცი ჩემი ნაცნობიაო“. ახლა ხმელნიცკიმ მიახალა სისწრაფით, როგორც ეს სჩვევიათ გადაკრულებს: „რახან შენი ნაცნობია, შეილო, აიღე და ორმოც და ათი ტალერი მიეცი, ხოლო მე პასუხს მივცემ“. მომცა კიდევ პასუხი, ხოლო ფულის შესახებ მე ვუთხარი, ეგ ფული თქვენის გაიდუკებისათვის შეინახე-მეთქი, რადგან თავადის აფიცერს არ ეკადრება და არც არა უჭირს-რა, რომ ფეშქაშები მიიღოს-მეთქი. საკმაოდ თავაზით გამომაცილეს გეტმანის კარავიდან, მაგრამ გამოვედი თუ არა, ბოგუნი დამეწია: „ჩვენ რაზლოგში გავიცანით ერთმანეთიო“. — „სწორედ აგრე გახლავთ-მეთქი, მხოლოდ მაშინ არ მეგონა, ჩემო კარგო, რომ ამ ბანაკში გნახავდი-მეთქი“. ახლა იმანა: „ჩემი ნებით არ მომივიდა, უბედურებამ ჩამაგლო ამ ყოფაშიო“. ვუთხარი სხვათა შორის, იარმოლინცში რომ კუდით ქვა ვასროლინეთ. „არ ვიცოდით, ვინ იყავითო, — მითხრა, — მერე ხელშიც ვიყავ დაჭრილი, ჩემს კაცებს კი ეგონათ, რომ თვით ერემია დაგვესხა თავსაო“. ჩვენც არ ვიცოდით (მე ვეუბნევი), თორემ სქშეტუსკის რომ სცოდნოდა, თქვენ იყავით, ერთ-ერთი თქვენგანი დღეს მზე-დაბნელებული იქნებოდა.

— სწორედ აგრეც იქნებოდა უსათუოდ. იმან რაღა სთქვა მაგაზედა? — ჰკითხა ვოლოდიევიკიმ.

— უცბად გადასხვაფერა ლაპარაკი. მიამბო, რომ კრივანოსმა წერილები გამატანა ხმელნიცკისთან, რომელიც მაშინ ღვოვს ახლოს იყოვო, ცოტაოდენს დაისვენებო, ხმელნიცკი აღარ მიშვებდა უკანა, უფრო დიდის საქმისათვის გამომადგებო. ბოლოს მეკითხება: „სად არის პან სქშეტუსკიო?“ ხოლო როცა ვუპასუხე, ზამოსტიეშია-მეთქი, დაუმატა: „იქნება შევხვდეთ როდისმე ერთმანეთსაო“. — და გამომეთხოვა.

— მე მგონია, რომ მაგ ამბავს შემდეგ ვაჭვავინა ხმელნიცკიმ ვარშავას ბოგუნი და წერილები გაატანა, — სთქვა ზაგლობამ.



— სწორედ აგრეა, მაგრამ მოითმინეთ. მე დავბრუნდი უკან და ვუამბე ყოველივე ვეიგერს. შუალამე მოტანებული იყო თითქმის. მეორე დღეს კვლავ იერიში მოიტანეს, უფრო გამძვინვარებით, ვიდრე პირველად. ველარ მოვიცალე, რომ ჰან სქშეტუსკი მენახა და მხოლოდ მესამე დღეს ვუამბე, ბოგუნნი ვნახე, ველაპარაკე-მეთქი. ამ დროს შეგვესწრო ბევრი სხვა აფიცრები და მათ შორის რეგოვსკიცა. იმან მოჰკრა ყური ჩვენს ლაპარაკს და დაიწყო დაცინვითა: „ეცი, რომ მაგ საქმეში ქალია გარეული; თუ ისეთი რაინდი ბრძანდებით, როგორც ამბობენ თქვენსას, ბოგუნნი თქვენს ხელთ არის: გამოიწვიეთ ხმალში და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ის ისეთი თავზედ ხელ-აღებულია, უარს არ იტყვის, ხოლო ჩვენ ციხის კედლებიდან დავსტკბებით საინტერესო სანახაობით. მაგრამ თქვენსას, ვისნევეცკის ჯარის-კაცებისას უფრო ბევრს კარგს ლაპარაკობენ, ვიდრე ნამდვილადა ხართ“. ჰან სქშეტუსკიმ ისეთ ნაირად შეუბღვირა ამ დროს რეგოვსკის, რომ მაშინვე ხმა ჩაიწყვიტა იმანა. „აგრე გგონიათ? კარგი და პატიოსანი! მხოლოდ არ ვიცი, ვაჰბედავთ თუ არა თქვენ, რომელიც აგრე ექვობთ ჩვენს გულადობას, რომ წახვიდეთ ყაზახთა ბანაკში და ჩემ მაგიერ გამოითხოვოთ ბოგუნნი ხმალში“. რეგოვსკი ეუბნევა; „რატომ არ წავალ, მაგრამ მე თქვენი ძმა არა ვარ და ბიძაშვილი და ამიტომაც არ წავალ“. რეგოვსკი ამაზედ ყველამ მასხარად აიგდო; ეს იმან იწყინა, გულში მოჰხვდა და მეორე დღეს მართლა წავიდა ყაზახთა ბანაკში, მაგრამ ბოგუნნი იქ აღარ დახვედროდა. აღბად ხმელნიცკიმ გაჰგზავნა მართლა ბოგუნნი და ამ დროს თქვენ შეგხვედრიათ და მოგიკლავთ.

— სწორედ აგრე უნდა ყოფილიყო, — სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— ერთი ეს გვითხარი, — ჰკითხა ზაგლობამ, — სად ვიპოვნით ახლა სქშეტუსკის? უნდა ვიპოვოთ, საცა იქნება, რომ ერთად წავადეთ კნიაჟნას სამებრადა.

— ზამოსტიეში ადვილად იპოვით; ყველა იცნობს იქა. იმანა და რეგოვსკიმ სულ თავზედ კაკალი ამტვრიეს ყაზახთა

პოლკოვნიკს კალინას. შემდეგ კიდევ მარტო სქშეტუსკიმ ორ-  
ჯელ ამოსწყვიტა თათართა ბრბონი.

— ხმელნიცკი რაღაიო, ჩუმად არის?

— ხმელნიცკი იმათ არ ესარჩლება; ის ამბობს, რომ თა-  
თრები ჩემის ბრძანების წინააღმდეგ იქცევიან და თარემობას  
თავს არ ანებებენო. ასე რომ არა სთქვას, მაშ ვინ დაუჯერებს,  
რომ ვითომ მოარჩილია მეფისა.

— რა საძაგლობაა ეს ლუდი? — სთქვა ზაგლობამ.

— ლიუბლინს იქით გზად გაივლით ისეთს მხარეში, რო-  
მელიც სულ აკლებულია, — განაგრძო ლიტველმა. — ყაზახთა სა-  
თარეშო რაზმნი ლიუბლინზედ შორსაც წასულან, თათრები  
ატყვევებდნენ ხალხს და რამდენი შეიპყრეს ზამოსტიესი და  
ღრუბემოვს ახლო, მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის. რამდე-  
ნიმე ათასი ტყვე წაართვა სქშეტუსკიმ და ქალაქში გაჰგზავნა  
დასაბინავებლად. ძალიან მხნეობს იქა; თავისი თავი სულ აღარ  
ახსოვს.

ჰან ლონგინუსმა ამოიოხრა და თავი ძირს დაჰხარა.

— მე მგონია, რომ ღმერთი უსათუოდ ანუგემებს სქშე-  
ტუსკისა და დაუბრუნებს დაკარგულს ბედნიერებას, იმიტომ  
რომ დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ რაინდს. ამ ჩვენს დროში,  
როცა ბიწიერება და თავ-მოყვარეობა გამეფებულა, როცა თი-  
თოეული მხოლოდ თავისათვის ჰფიქრობს, ის მზად არის ყო-  
ველივე გასწიროს სამშობლოსათვის. ჩემო სასურველნო, განა  
არ შეეძლო აქამდე თუნდა თხუთმეტჯერ დასთხოვებოდა თა-  
ვადს, წასულიყო კნიაჟნას საძებრად, მაგრამ იმან კი არც ერ-  
თხელ არ დასტოვა სამსახური. გულში ატარებს თავის მწუხარ-  
ებას და ერთს წუთს არ აძლევს თავის-თავს მოსვენებასა.

— რომელია სულითა, მაგას რაღა ლაპარაკი უნდა! —  
ამოიოხრა ზაგლობამ.

— იმის მაგალითს უნდა მივბაძოთ ჩვენცა სწორედ.

— მეტადრე თქვენ, ჰან პოდბიპენტა. ომში თქვენ სამ-  
შობლოს დიდებას კი არ ეძებთ, არამედ რაღაც სამ ტუტუც  
თავსა.





— ღმერთი ჰხედავს ჩემს გულსა! — წარმოსთქვა ლაღღებით პან ლონგინუსმა და აღმართა თვალნი ცად მიმართ.

— სქშეტუსკი ღმერმა დააჯილდოვა მით, რომ სიცოცხლე მოუსწრაფა ბოგუნსა, — სთქვა ზაგლობამ, — და კიდევ მით, რომ მცირეოდენი მშვიდობა მოუვლინა რესპუბლიკას. ეხლა იმისთვისაც დადგა ღრო, როცა შეუძლიან ცოტაოდნად თავის საკუთარ საქმისათვისაც იზრუნოს.

— თქვენც წაჰყვებით სქშეტუსკისა? — იკითხა ლიტველმა.

— განა თქვენ კი არა ჰფიქრობთ?

— დიდის სიხარულით წავეყვებოდი, მაგრამ ამ წერილებს რაღა ვუყო? ერთი ვალეცკის უფროსისაა მეფესთან მიწერილი, ხოლო მეორე — თავადთან, მესამეც თავადთან არის, სქშეტუსკი სთხოვს, ცოტახანს დამითხოვეო.

— ჩვენ დავგაბარა, უთხარით, რომ დამითხოვნიაო.

— კარგი, მაგრამ მაინც ამ წერილებს რა მოვუხერხო?

— უნდა წახვიდეთ კრაკოვს, სხვაფრივ შეუძლებელია. მაინც გულ-ახლით უნდა გითხრა, რომ შენი მკლავები ძალიან გამოგვადგებოდა ჩვენს საქმეში, მაგრამ სხვაფრივ კი თქვენ არაფრისთვის არ ვარგინართ. იქ რომ წავალთ, დიდი ყურ-მახვილობა უნდა გამოვიჩინოთ. უპირველეს ყოვლისა, ყაზახურად უნდა ჩავიცვათ, მოვიტეტიათ თავი, თქვენ კი ისე ეჩხირებით კაცს თვალში თქვენის უზარ-მაზარის ტანითა, რომ ყველა იმას იკითხავს, ვინ არის ეს ამოდენა ალაწოდა, სად გაიზარდა მაგოდენა ყაზახიო? არა, არა! თქვენ კრაკოვს წადით და ჩვენ, როგორც იქნება, უთქვენოდაც გავუძღვებით საქმეს.

— მეც ეგრე მგონია, — სთქვა ვოლოდივესკიმ.

— მაშ, მე წავალ, — გადასწყვიტა პან პოდბიპენტამ. — ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგკეთ და გაგამარჯვებინოთ. იცით კი, სადა ჰყავთ დამალული ის ქალი?

— ბოგუნმა არ გვითხრა. ვიცით მხოლოდ ის, რასაც მოვკარა ყური ჩემს ტყვეობაში და ესეც საკმარისია ჩვენთვის.

— მაშ, როგორ იზოვით?

— ჩემი გოგრა რაღას აკეთებს? ამაზედ მეტს გაჭირვებაში ვყოფილვარ. ეხლა ჩვენი საქმე ის არის, რომ ჩქარა ვიპოვოთ სქშეტუსკი.

— ზამოსტიეში იკითხეთ. პან ვეიგერმა უნდა იცოდეს: მიწერ-მოწერაში არიან ერთმანეთთან. მაშ, მშვიდობით, ღმერთსა ვსთხოვ თქვენს გამარჯვებასა!

— ღმერთმა უნც გაგიმარჯვოს, — სთქვა ზაგლობამ. — როცა თავადის სახლში იქნებით, მოიკითხეთ ჩემ მაგიერ პან ხარლამპი.

— ეგ ვილაა?

— ლიტველია; კალმით დახატულის სილამაზის კაცია. კნენას სეფე-ქალნი სულ გადარეულნი არიან იმისათვის.

პან ლონგინუსი ათრთოლდა.

— აბა, მშვიდობით! რა საძაგელი ლუდი ყოფილა ამ გასავერანებელ საბურთალოზედ, — დააბოლოვა თვისი ლაპარაკი პან ზაგლობამ და თან თვალი გადაუკრა ვოლოდიევსკის პან პოდბიპენტაზედ.

## XV

პან ლონგინუსი ღრმად გულ-დაწყლულებული წავიდა კრაკოვს, ხოლო შხამიანმა ზაგლობამა და ვოლოდიევსკიმ გასწიეს ზამოსტიეს, საცა მხოლოდ ერთს დღეს შეემთხვათ დარჩენა. ციხის უფროსმა აუწყა, რომ დიდი ხანია სქშეტუსკის ამბავი აღარა გამიგია-რა და მგონია მისი ჯარი ზბარაჟისაკენ უნდა იყოს წასულიო. ეს მოსაზრება მით უფრო ჭკუას ახლო იყო, რომ, თუ თავ-დასხმა იყო, ზბარაჟს, როგორც ვისნევეცკების საკუთარს მამულს, უფრო დაესხმოდნენ თავადის მძვინვარე მტერნი. პან ვოლოდიევსკისა და ზაგლობას დიდი დაძნელი გზა გადაეშალათ თვალ-წინ, მაგრამ მეტი ღონე სხვა არა იყო-რა, — სულ ერთია, ადრე იქნება თუ გვიან, ხომ უნდა წავიდეთ კნიაჟნას საძებრადო, და ჩვენი რაინდნიც გაუდგნენ გზას. ჩამოხდებოდნენ ხოლმე მაშინ, როცა საჭირო იყო და-



სვენება, ან და გაფანტვა ავაზაკთა სხვა-და-სხვა ბრბოსი, რომელნიც ჯერ ისევ მრავლად დაწოწილობდნენ იმ მხარეში.

იქაურობა სულ გაოხრებული იყო. ხან-და-ხან მთელი დღე ისე გავიდოდა, რომ ერთს აღამიანს ვერ შეჭხვდებოდნენ. ქალაქები მინგრეულ-მონგრეული იყო, სოფლები გადამწვარი და იავარ-ქმნილი, ხალხი ამოწყვეტილი და ან ტყვედ-წყაყვანილი; გზა-გზა ჰხედავდნენ მხოლოდ დახოცილთა გვამებს, დაქცეულს სახლებს, საყდრებს და ძაღლებს, რომელთაც გაჰქონდათ ყმუილი ნანგრევთა-შორის. ვინც გადარჩენილიყო თათართა შემოსევას, ტყეში გახიზნულიყო და იქ იმალებოდა ხშირ ტევრებში, იყინებოდა სიცივით, კვდებოდა შიმშილით და ვერ ჰხედავდა გარედ თავის გამოყოფას, რადგან არა სჯეროდა, რომ ღვთის-რისხვა გადაივლიდაო. ვოლოდიევსკი იძულებული იყო ხის ქერქი და ან გატრუსული ჩალა ექმია ცხენებისათვის. ოქტომბრის მიწურული იყო, ზამთარი ახლოვდებოდა, ზამთარი ცივი და იმდენად უფრო სასტიკი, რამდენადაც შარშანდელი იყო თბილი. დედამიწა უკვე იყინებოდა, თოვლმა გადაათეთრა მინდორ-ველი, ხოლო წყლის ნაპირებს დილ-დილაობით ჰყინავდა. მშრალობა იყო, გაცხარებული სხივები მზისა სითბოს ვეღარა ჰფენდენ დედა-მიწას შეადლისასაც კი, ხოლო დილასალამოს ცის კიდურ-დასავალი წითლად იმოსებოდა, რაიცა ჰნიშნავდა, რომ მალე ცივი და სასტიკი ზამთარი გამეფდებოდა.

ომიანობისა და შიმშილობის შემდეგ მოსალოდნელი იყო მოვლინება კაცობრიობის მესამე მტერისა, რომელიც არის ყინვა-ტეხვრა, მაგრამ ხალხი ამ მტერს მოუთმენლად ელოდებოდა: ყოველს მოლაპარაკებაზედ აღრე მოუღლებს ეგ ბოლოს ომიანობასაო. ჰან ვოლოდიევსკი დარწმუნებული იყო, რომ მალე შემეძლება წავიდე კნიაჟნას საძებრადაო. უმთავრესი დაბრკოლება, ომი, მოშორებული იყო ახლა.

— არა მწამს ხმელნიცკის გულ-წრფელობა, — იმეორებდა მალ-მალა. — ცბიერი მელაა, იცის, რომ ყაზახნი უძლოურნი არიან, თუ საფრები არ გაიკეთეს და მინდვრად ომში ვერ გაუძლებენ ჩვენს პოლკებსა. ახლა ადგებიან და საზამთრო ბი-

ნებზედ წავლენ, ხოლო საქონელს მინდვრად ატარებენ. თრებისთვისაც საჭიროა ტყვენი თავიანთ ქვეყანაში გაჰყვანონ. თუ ზამთარი ცივი დაგვიდგა, გაზაფხულამდე, სანამ ჟიჟო არ გაჩნდება, მოსვენებულები ვიქნებით.

— შეიძლება; მაგრამ ჩვენ მაგდენი დრო არც დაგვკირდება. ღმერთი მოწყალეა, იქნება აღებაშიაც გავაჩალოთ სქშეტუსკის ქორწილი.

— ნეტავი ეხლა არ აგვცდეს სადმე და!..

— თან სამი სადროშოს ჯარი ჰყავს. ხუმრობა ხომ არ არის, სად წავა, რომ ვერ ვიპოვოთ. ნევსი ხომ არ არის, რომ ბულულში ველარ ვიპოვოთ. შეიძლება ზბარაჟს ახლო წავაწყდეთ სადმე, თუ პატარა შეავგიანეს იქ ავაზაკებმა.

— წავაწყდებით კი სადმე, მაგრამ ამბავი რომ გავგვეგო რაჟე იმისი, კარგი იქნებოდა ძრიელ.

ამბავის გაგება კი აგრე აღვილი არ იყო. სოფლები ჰხედავდნენ, რომ ხან ვისი სადროშოა ჯარი გაივლიდა, ხან ვისი; ხან სადა ჰქონდათ ომი და ბრძოლა ამ დროშებს, ხან სადა, მაგრამ ვისი ჯარი იყო, რეგოვსკისა თუ სქშეტუსკისა, ამისი არა იცოდნენ-რა. ამიტომ ჩვენს მეგობრებს სულ თავზედ ბაღანი ჰქონდათ აშლილი და ვერა მოეფიქრებინათ-რა. ახლა სწორედ ამ დროსვე მოჰკრეს ყური, რომ ყაზახნი რამდენჯერმე დამარცხდნენ ლიტველ ჯარებთან ბრძოლაშიო. იმ გამარჯვებისათვის, რომელიც ხმელნიცკიმ შეიმოსა სახასო ჯარების დამარცხებით, ახლა სამაგიეროს უხდიდნენ ლიტველნი. მოიკლა პოლუმესიაცი, ხნიერი და გამოცდილი სპასალარი, აგრედვე ნადირი ნებაბა, აგრედვე ქშეჩოვსკი, რომელმაც მემბოხეთა შორის უფროსობა და დიდება კი არ იშოვა, არამედ მარგილზედ ჩამოცმის ღირსი შეიქმნა. კაცს ეგონებოდა, რომ შურის ძიების ღმერთი ჩაერია საქმეში და იმან გადუხადა სამაგიერო იმ ნემენცების სისხლისათვის, რომელიც ქშეჩოვსკიმ დაჰღვარა დნებრის ნაპირად, ფლიკისა და ვესნერის სისხლისათვის. ქშეჩოვსკი ჩაუვარდა ხელში რაძივილის ნემენცთა რაზმს და, მძიმედ-დაჭრილი, მარგილზედ იქმნა ჩამოცმული. მთელი



დღე კიდევ იტანჯა ასე საზარლად დასჯილი, ვიდრე განუტე-  
ვებდა თვისს შავ-ბნელ სულსა. ასეთი აღსასრული ხვდა წი-  
ლად იმას, ვისაც შეეძლო თვისის გულადობითა და სამამაცო  
ზნეთა ცოდნით მეორე სტეფანე ხმელეთისკი შექმნილიყო, სი-  
მდიდრისა და დიდება-პატივის წყურვილს რომ არ დაეყენები-  
ნა ლალატისა, ფიცის-გატეხისა და კაცის-კვლის გზაზედა.

ქშეჩოვსკისა, პოლუმესიაცსა და ნებაბთან ერთად დასდო  
თავი ბრძოლის ველზედ ოცი ათასმა ყაზახმა. მათ შორის მრავ-  
ალი ჩაირჩო პრიპეტის ჭაობებში. შიშის ზარმა გრიგალივით  
გაღურბინა თავზედ ჭირვეულს და თავ-წასულს უკრაინას. ყვე-  
ლას ეგონა, რომ დიდებულ გამარჯვებასა და ძლიერა-მოსილო-  
ბის შემდეგ, შემდეგ ყვითელ წყლებისა, კორსუნისა, პილავეცი-  
სა დაღვა დრო საშინელ დამარცხებისა, იმგვარ დამარცხები-  
სა, რომელიც იწვნიეს ყაზახებმა სოლონიცსა და კუბეეკსა.  
თვით ხმელნიცკი, თუმცა დიდების მწვერვალზედ იღვა, უფრო  
ძლიერი იყო ამ დროს, ვიდრე ოდესმე სხვა დროს, შეშინდა,  
როცა გაიგო ამბავი თვისის მეგობრის ქშეჩოვსკის სიკვდილისა  
და კვლავ მიჰმართა მკითხავენს მომავალის ბედის გასაგებად. მკი-  
თხავი და კუდიანი დედა-ბერნი სხვა-და-სხვას უწინასწარმეტყვე-  
ლებდნენ: ზოგი ეუბნეოდა დიდს ომებს გადიხდი, დიდს გამარ-  
ჯვებას შეეყრებიო, ზოგი—დიდად დამარცხდებიო. იმისას კი  
ვერას მკითხაობდნენ, თვით შენ რა დაგემართებაო.

ცალკე ზამთარი, ცალკე დამარცხება ქშეჩოვსკისა ხან-  
გრძლივის მშვიდობიანობის იმედს აძლიერდა ყველას. ქვეყანა  
თითქო მშვიდდებოდა, დაცარიელებული სოფლები ცოტ-ცოტ-  
ტაობით ივსებოდა კვლავ ხალხითა, იმედი ეფინებოდა შემკრ-  
თალოთა გულს.

ამავე იმედით მოცულნი ჩვენი მეგობარნი ხანგრძლივისა  
და ძნელის მგზავრობის შემდეგ მშვიდობით მივიდნენ ზბარაჟს  
და მაშინვე წავიდნენ ციხის უფროსთან, რომელიც, მათდა სა-  
სიამოვნოდ, ვერშული კი აღმოჩნდა.

— სქშეტუსკი სადღაა?—ჰკითხა პირველადვე ზაგლობამ.

— ის აქ არ არის.

— თქვენ განაგებთ ამ ციხეს?

— დიად, პირველად სქმეტუსკი უფროსობდა, ხოლო, როცა წავიდა, მე ჩამაბარა ციხე თავის დაბრუნებამდე.

— მე როდის-ღა დავბრუნდებიო?

— არა უთქვამს-რა, იმიტომ რომ თითონაც არ იცოდა. გამოთხოვებისას ეს მითხრა მხოლოდ: „თუ მოვიდეს ვინმე, უთხარით, რომ მომიცადოსო“.

— დიდი ხანია, რაც აქედან წავიდა?—ჰკითხა პან მიხალმა.

— ათი დღე იქნება.

— პან მიხალ!—სთქვა ზაგლობამ,—პატარა გვაჭამოს-რა-მე პან ვერშულმა. როცა მუცელი ცარიელია, რა ელაპარაკება კაცსა. ვახშმად დავსხდეთ და მაშინ მოვილაპარაკოთ.

— დიდის სიამოვნებით მოგართმევთ ყველაფერს, მით უმეტეს, რომ მეც ეს ეს არის ვახშმის ჭმას ევბირებოდი. ამას გარდა, ეხლა უფროსობა ეკუთვნის პან ვოლოდიევსკის, როგორც უფროსს აფიცერს. მაშასადამე, პან მიხალს შეუძლიან იბრძანებლოს აქ, როგორც თავისი სურვილია.

— არა, პან კრიშტოფ, უფროსობა ისევ თქვენა გქონდეთ,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.—თქვენ ჩემზედ უფროსი ხართ ხნით და, ეგეც რომ არ იყოს, მე ჩქარა უნდა წავიდე აქედან.

მალე სუფრაც გაშალეს. პან ზაგლობამ მოიკლა შიმშილი ცოტადნად ორის ჯამის გადაღებით და ჰკითხა ვერშულსა:

— თქვენ როგორა გგონიათ, საით წავიდოდა სქმეტუსკი? ვერშულმა დაითხოვა მსახური, რომელნიც თავს აღგენ ვახშმად მსხდომთა და დაიწყო, რასაც ჰფიქრობდა და სადაც უნდა წასულიყო სქმეტუსკი იმის აზრით.

— მიხვედრილი კი ვარ, მაგრამ სქმეტუსკი საიდუმლოსავითა ჰმაღავდა და ამიტომ დავითხოვე მხლებელ თავ-მდგომნი. რაკი თავისუფალი დრო ჩაიგდო ხელში და ჩვენ აქ გაზაფხულამდე უსაქმოდ ვიქნებოდით, ადგა და წავიდა, აღბად იმიტომ რომ კნიაჟნა გაანთავასუფლოს და ბოგუნს წაართვას როგორმე.



— ბოგუნი ცოცხალი აღარ არის, საიქიოს გიახლბათ, —  
სთქვა ზაგლობამ.

— როგორა მერე?

პან ზაგლობა მოჰყვა და მესამედ თუ მეოთხედ ჩამოარა-  
კრაკა მისთვის სასიამოვნო ამბავი. ვერშულიც პან ლონგინუ-  
სისავით სახტად დარჩა და გონს ვერ მოსულიყო გაკვირვები-  
საგან.

— თუ აგრეა, სქშეტუსკის ძალიან გაუადვილდება საქმე, —  
სთქვა ვერშულმა.

— საქმე ის არის, იპოვნის თუ არა კნიაჟნას. კაცები  
ბლომად წაიყვანა თანა?

— ძალიან ჭკვიანურად მოქცეულა, ამიტომ რომ მაგის-  
თანა საქმეში ეშმაკობით თუ გახდება რასმე კაცი. კამენცამდე  
კი შეიძლებოდა პატარა რაზმი წაეყვანა და ისე წასულიყო,  
ხოლო უშოცსა და მოგილოვს აღბად ყაზახება ღვანან; იქ  
კაი საზამთრო ბინებია, გარნა იამპოლში თვით ბუნაგია მათი.  
თუ იქ წასელა უნდა კაცსა, ან მთელი დივიზია უნდა წაიყვა-  
ნოს, ან მარტო უნდა წავიდეს კაცი.

— მერე თქვენ საიდან იცით, რომ სქშეტუსკი იქით წა-  
ვიდოდა? — ჰკითხა ვერშულმა.

— იამპოლს იქით არის დამალული კნიაჟნა, სქშეტუსკი-  
მაც იცის ესა, ხოლო იქით ისეთი ხევ-ხუვია, კლდის ენში და  
ნაპრალი, იმდენი ჭაობი და ლელიანები, რომ იქაური ადგი-  
ლებიც რომ კარგად იცოდნენ, მაინც ძნელია იქამდე მიხწევა,  
ხოლო თუ არ იცი, ხომ უფრო ძნელია და ძნელი. ჩვენც რომ  
იმასთანა ვყოფილიყავით, იქნება საქმე უკედ წასულიყო, გარ-  
ნა მარტოკა... ვეჭვობ, მოახერხოს რამე... არ ვიცი, შემთხვევა  
რამ თუ უჩვენებს გზა-კვალსა, იმიტო რომ იქ ისიც ხომ არ  
შეიძლება რომ იკითხოს და იწვლილოს რამე კაცმა.

— მაშ გინდოდათ, რომ თქვენც წაჰყოლიყავით თანა?

— გვინდოდა მაშა! ახლა რაღა ვქნათ, პან მიხალ? იმის  
გზას გამოვუდგეთ ჩვენცა, თუ არა?

— რასაც უნ გადასწყვეტავ, მეც თანახმა ვიქნები.

— ჰმ... ათი დღეა რაც წავიდა... ვერ მივეწვევით... საქმე კიდევ ის არის, ამბავი დაუტოვებია, მომიცადონო, ვინ იცის რომელ გზას დაადგა. შეიძლება პლისკიროვისა და ბარისაკენ წავიდა, საითაც ძველი გზა მიდის, შეიძლება კამენეცპოდოლსკის გზასაც გაუდგა. ძნელი გამოსაცნობია.

— ნურც ეს დაგავიწყდება, — სთქვა ვერშულმა, — რომ მე მგონია ეგრე არ შემიძლიან დარწმუნებითა ვსთქვა, რომ კნიაჟნას საძებნელად წავიდა-მეთქი.

— კიდევ ეგ არის და! კიდევ ეგ არის! მერე რაღა ვქნათ, რომ, ვსთქვათ, მხოლოდ იმიტომ წავიდა, იქნება ჯაშუში სადმე შევიპყრავოღ მერე ისევ დაბრუნდეს ზბარაჟსა? მერე იცოდა ხომ, რომ ერთად უნდა წავსულიყავით და შეიძლება მოლოდინიცა აქვს ჩვენი. წადი და გადაწყვიტე.

— მე გირჩევდით, რომ ათიოდე დღე მოგეცადნათ.

— ეგ არაფერს გვიშველის, ან უნდა მოვიცადოთ, ან სულ აღარ უნდა ვუცადოთ.

— მე კი მგონია, რომ სულ არ უნდა მოვუცადოთ. რას დავკარგავთ, რომ ხვალ დილითვე გავემგზავროთ. პან სქმეტუსკი ვერ იპოვნის კნიაჟნას, იქნება ღმერთმა ჩვენ გვიშველოს, — სთქვა პან ვოლოდიევიკიმ.

— იცი რა გითხრა, პან მიხალ, აქ აგრე დაუფიქრებლად არ შეიძლება მოვიქცეთ, — სთქვა ზაგლობამ, — შენ ყმაწვილი კაცი ხარ, ჩხუბისა და დავიდარაბის ატეხა კიდევ გწყურიან, ჩვენ კი შავით შეიძლება საშიშ მდგომარეობაში ჩავცვინდეთ: თუ ცალკე ჩვენ დავუწყეთ ძებნა, ცალკე იმანა, შეიძლება იქაურებმა ეჭვი აიღონ. ყაზახები ეშმაკები არიან და ეშინიანთ, რომ მათი იღუმალის ფიქრი და ოინი არაფერ არ გაიგოს. შეიძლება იმათ ფაშასთანა აქვთ დაჭერილი რამ საქმე, ხოტიმის ახლობელ ფაშასთან, ან დნესტრის გაღმა მხარ თათრებთან. თუ ვინიცობაა ომი ატყდა შემდეგში, ეშმაკმა იცის იმათი თავი! ამ შემთხვევაში უცხო კაცებს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ. ძალიან ადვილია კაცმა თავის თავი გასცეს და მერე?





— მით უმეტეს, რომ შესაძლოა სქშეტუსკიც ისეთ ყოფა-  
ში ჩავარდეს, რომ, სხვის დაუხმარებლად, საშველი აღარა  
იყვეს-რა.

— ეგეც მართალია.

ზაგლობა დიდს საგონებელში ჩავარდა. ბოლოს გამოერ-  
კვა ფიქრებსა და სთქვა:

— ყოველივე ავწონ-დავწონე და წასვლა გადავწყვიტე.  
ვოლოდიევსკიმ თავისუფლად ამოისუნთქა.

— როდის წავიდეთ მერე?

— სამიოდე დღე დავისვენოთ, რომ ძალ-ლონე მოვიკრი-  
ბოთ.

მეორე დღესვე ორი ჩვენი მეგობარი შეუდგნენ სამგზავ-  
რო მზადებას. ამ დროს უცბად სრულიად მოულოდნელად  
მოვიდა სქშეტუსკის პატი ყმაწვილი ყაზახი, ციგა და მოუ-  
ტანა ვერშულს წიგნი. ზაგლობამ და ვოლოდიევსკიმ რომ გა-  
იგეს ეს ამბავი, მაშინვე ციხის უფროსთან გაეშურნენ. აი  
სქშეტუსკი რას იწერებოდა:

„მე ეხლა კამენცში ვარ და ეგორლიკს მივდივარ ვაჭარ  
სომხებთან ერთად, ეს სომხები პან ბუკოვსკიმ გამაცნო. იმათ  
ფირმანი აქვთ ყაზახებისა და თათრებისა, შეგიძლიანთ აკკერ-  
მანამდე წახვიდეთო. ჩვენ წავალთ უშიცს, მოგილიოვს და იამ-  
პოლს, თან სავაჭრო საქონელი გვექნება და ყველგან პატარ-  
პატარა ხანს დავრჩებით; იქნება ღმერთმა გვიშველოს და ვი-  
პოვნოთ ის, რასაც ვეძებთ. ჩემს მეგობრებს, ვოლოდიევსკის  
და ზაგლობას უთხარი, რომ ზბარაჟში მომიცადონ, თუ სხვა სა-  
ქმე არა აქვთ-რა. იმ გზით, რომლითაც მე დავდივარ, ბევრს  
არ შეუძლიან სიარული, იმიტომ რომ მეტის-მეტი ეჭვიანები  
არიან ის ყაზახები, რომლებთაც დაუხამთრებიათ ეგორლიკში.  
რაც მე ერთი გავაკეთებ, ჩვენ სამნი ერთად ვერ მოვახერხებ-  
დით, ხოლო მე, თუ საჭირო იქნება, სომხად მოვაჩვენებ თავ-  
სა. მადლობა გადაუხადეთ ჩემდა შველად მზად ყოფისათვის,  
მაგრამ მე იმათი მოცდა აღარ შემეძლო: თვითეული დღე ლო-  
დინისა უფრო და უფრო მეტად მტანჯავდა. არ ვიცოდი, მო-



ვიდოდენ თუ არა ზბარაჟსა. საუკეთესო დრო კი ხელიდან მეცლებოდა; ეხლა ვაჟარნი დადიან აქეთ-იქით თავიანთ სავაჟრო საქონელითა. პან ბუკოვსკი ამბობს, რომ მე ვიცი და მაგ ვაჟრებ-მაო. ხოლო მე სხვა იმედი მაქვს ღვთის მოწყალებისა. ამინ!“

პან ზაგლობამ წაიკითხა წიგნი და თავისს ამხანაგებს შეხედა. ისინი მდუმარებდნენ; ბოლოს ვერშულმა სთქვა:

— განა არ ვიცოდით, რომ იქით წავიდოდა.

— ახლა რაღა ვქნათ? — იკითხა ვოლოდიევსკიმ.

— რაღა ვქნათ? — სთქვა ზაგლობამ და მხრები შეიშმუნა.

— ახლა რაღა საჭიროა წასვლა. ვაჟრებს რომ გაჰყოლია, ეგ კარგია; შეიძლებს ყველგან თვალი მიაგლ-მოაგლოს და ექვი კი არავის ააღებინოს. ეხლა ყოველი ყაზახი მდიდარია, ალა-ალა ხომ არ იყო, ნახევარ რესპუბლიკა გაძარცვეს. ცუდი საქმე კი დაგვემართებოდა, პან მიხალ, იამპოლს იქითა. სქშეტუსკი შაველაა ვლახელივით და ადვილად შეუძლიან მოისომხოს თავი. შენ კი მაშინვე ყველა გიცნობდა მაგ შენ ქერა-ქერეჭა უღვაშებზედა. ტეტიური ტანისამოსიც რომ ჩაგვეცვა, მაინც ხერხად ვერ ვიქნებოდით... ეჰ, ღმერთმა ხელი მოუმართოს! ჩვენ სრულიად საჭირონი არა ვართ იქა, თუმცა ძალიან კი ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან, შევეწიო ჩემს საწყალ კნიაჟნას განთავისუფლებას. მაინც დიდი ამაგიკი დავდეთ სქშეტუსკის, მით რომ ბოგუნნი დაეჩხეთ. ასე რომ არ მომხდარიყო, ვეჭვობ, რომ სქშეტუსკის არა დამართოდა-რა.

ვოლოდიევსკი ძალიან უკმაყოფილოდ დარჩა. იმედი ჰქონდა, გზაში იქნება ბევრი რამ სისხლის ასალეღვევებელი საქმე გამოვსცადოვო. ახლა კი უნდა მჯდარიყო ზბარაჟში და ვინ იცის, რაედენს ხანს უნდა ყოფილიყო ასე მოწყენილი და დაღონებული.

— მოდი ერთი კამენტამდე მაინც წავიდეთ, ჯავისეირნოთ, — უთხრა პან ზაგლობას.

— რა უნდა გავაკეთოთ მერე იქა და ან რად უნდა გავწიოთ ხარჯი? — უბასუხა ზაგლობამ. — სულ ერთია, იქაც უნდა ჩავრჩეთ სადმე და დავსოკოიანდეთ; მეტი ღონე არ არის, უნდა ვისხდეთ, ვიცადოთ და ვიცადოთ. სქშეტუსკი ჯერ კიდევ დიდ



ხანს ვერ დაბრუნდება. ხვალ ეკლესიაში წავიდეთ, ღმერთს შევეხვეწოთ მისთვის. ბოგუნი ჩავჩებეთ—ეს არის პირველი საქმე. უბძანეთ, პან მიხალ, ცხენებს იარაღი მოხადონ; ლოდინის მეტი არა დაგვრჩენია—რა.

მართლაც, მესამე დღიდანვე დადგა ჩვენი მეგობრებისათვის მოსაწყენი დრო ლოდინისა, რომელსაც არც ბოლო უჩნდა და არც დასასრული. ვერც ლოთობითა, ვერც კამათლის მღერითა ვერ გაატარებდნენ მხიარულად დროს. მერე ახლა სასტიკი ზამთარიც დადგა. თოვლი დასდო ზბარაჟის გარშემო, ნადირი და გარეული ფრინველი სოფელს მოეტანა და იქ ეძებდა საზამთრო ბინას. გავიდა დეკემბერი, იანვარი და თებერვალი, ხოლო სქშეტუსკის შესახებ არავითარი ამბავი არა ისმოდა—რა.

პან ვოლოდიევსკი ტარნოპოლს წავიდა, იქნება შევემთხვე საფათერაკო ვაჟკაცობის გამოსაჩენ საქმესაო. ზაგლობამ ჩიჩვირი ჩამოუშვა და იყო დაღვრემილი: ეჰ, დავბერდი ახლა კი, დავჩაჩანაკდიო!

გვ. ე—მე

(შემდეგი იქნება)



## ჭეშმარიტად!...

(საიდღგომო ეტიუდი)

«... მეც... მეც უარი ვსთქვი!... მეც უარ გვაჲ მუუიუეა!...» სი-  
მწარით გაიძახდა ჰეტრე მოციქული და მიწასკდ გართობილი ცრემ-  
ლით ნიადგეს ალბობდა. თვალ-წინ ნათლად ესტებოდა მასწავლე-  
ბელის ნაწი, მის-უსტებული, მაგრამ ღვთაებრივის ძალით მოცული  
სასე. ისანი სტემდნენ, ჰგეემდნენ, თავსკდ ეკლის გვირგვინს ადგა-  
მდნენ, მაგრამ ქრისტე კი ყოველივე ამას უსიტყვოდ იტანდა, თავს  
არ იცვავდა. საყუადურიც კი არ უთქვამს იმათთვის. სამაგიეროდ  
ღმერთს აკედრებდა: «მუენდე უთალო, რამეთუ არა უწეიან, რასაც  
ჰმოქმედობენო»...

— საზაზღრები!...— წამოიძახა ჰეტრე მოციქულმა და წელში  
აიძართა, როდესაც თვალ-წინ წარმოუდგა თვალბ-ახეული ქრისტე:  
რომელსაც «უერბიძალსა» ტემით სან ერთი კეითსება და სან მეორე,  
«გვიწინასწარმეტყუელბდ ჩუწნ, ქრისტე, ვინა გცა შენ?...»

— სულ უგანასკნელს არ მოექტეოდნენ კერე, კერე მასსარად  
არ აიგდებდნენ და არ დამცირებდნენ და იძას კი, თითქოს ბაღლიაო,  
თვალბი აუხვიეს და სიცილით, ხარსარით კეითსებოდნენ: «გამოი-  
ცან, ვინა გცემსო!»

ის საზაზღარი, დამცირებელი სიცილი ებრაელთა ესლაც ყუ-  
რბეში მოესმა და სსეულში გველსავით ჩაკლავანა, რამაც საშინელი  
ხსკლეტა და წვა მიაყენა და გონება აურია.

— აას!...— სსეულის გრესა-წრესით წამოიკენესა და ჭადარა  
თხელ თმას ორივე ხელბით დაებღაუჭა.

გამოსწია რაც ძალი და ღონე ჰქონდა და საჩქაროდ ორსაკე  
ხელბეში თითო ბლუჯა თმა შეჭრია.



— იმ დროს მე იქ ვიდექი, ვუცქერდი ამ დამცირებს და მიმს მაგაერად, რომ მიკშეელებოდი, თავი იმის გვერდით მომეკლა, იმის მოწაფეობაზედ უარს ვამბობდი, ხა, ხა, ხა!... — ტირილსეუდ უარესი მწარე საჩხარა დაიწყო ჰეტრე მოცაქულმა, თითებს კი იმტერეკდა, იკენეტდა და თმით იწრესდა.

— ვიუფიყოლო! — იქვე მასლახლად ფრთის შემოკვრით შე-  
ჭეიულა მამაღმა.

— ჰას!... გახუმიდი, გახუმიდი!... შენი მოგონება არა მჭირია, გახუმიდი!... მე მახსოვს ჩემი უარ-ყოფა, მახსოვს!.. უარს არ ვყოფ, არა, არა და არა! მე იმისი მოწაფე ვარ, გეუფრებათ?! — ფეხსეუდ წა-  
მოჭრით დაუწყო მამლებს ტეკა, მაგრამ მამლები მანინე უიოდნენ. მთელი ქალაქის მამლები ერთმანეთ ამცნობდნენ განთიადის მოას-  
ლოკებს და ჰეტრე მოცაქულის სასტიკ ბრძანებას ვუარადლებას არ აჭეკვდნენ.

— სად არიან სხვა მოწაფენი, სადა?!... ვეკლანი მოჭმოოდნენ, ვეკლამ თავი მიანება. ის ჰგეემეს, ჰწარს აცეკეს და მოჭკეკეს და ჩვენ კი მივიმაღენით, გაკიფანტენით!... სად არიან, სადა?!... რითა ვართ ჩვენ იუდასეუდ მეტი, რითა!... ჰას, ჰას!...

თითქოს სული ესუთებაო, ისეღა სრიალებდა და თან რაც ძალი და ღონე ჰჭონდა იქ მდგომ ხეს ებღაუჭებოდა და თავისკენ ჰსრიადა...

— ჰასს!... — უეცროვ მოიღო სემ ჰასანი, და ჰეტრე მოცაქუ-  
ლი გუფდაღმა გადაიჭრა.

მისწულა ხმაურობა. მამლებმა ვივილი შესწევიტეს და თავი ისეკ ძილს მისცეს; ხის ჰასუნსეუდ ახლო-მასლო დაბუდებულნი ფრინველნი გამოკნმაურნენ ერთმანეთს და, რაკი განსაცდელი არა დაინახეს-რა, ისეკ ჩაიძვრინეს ვასერე და ძილს მიეცნენ.

ჰეტრე კი ისეკ გულ-აღმა იწვა და შესცქეროდა ცის სიგრესს, სადაც ურიცხვი ვარსკვლავნი დასცქეროდნენ მიძინებულ ქალაქს და ცელქად მიიღტოდნენ ღამის გუმავისკენ, რომელიც, თითქოს მო-  
სწეენია მიძინებულ ქალაქისკენ ცქერაო, ღიბანიის მთებს საძილედ ეფარებოდა და ქალაქში გაფანტულ მერთალ სხივებს თავისკენ იწვე-  
და. მდინარე იორდანე-ღა მისუოდა და არღეკვდა ქალაქ იერუსალიმის მუედროებს...

— ღმერთო, — უცნობი წამოჯდა პეტრე მოციქული და ხელე-  
ბის ახერხებით მისუსტებულის ხმით წამოიძახა: — ჭკეუანა ისევე ისეა,  
არაფერი ცუდილება არ მოხდა!... განა შესაძლებელია, მე შენი ჯვარს  
აღვიკვამ, მოჭკელს და შენ კი არ გამოიხსენს, მზე, მთვარე, ვარსკვ-  
ლავები და დედ-მიწა ერთმანეთში არ აურთი, არ ატლუფებს?! მოჭკელს  
ის, ის!... ახ!... შუბლი შეიჭმუნს, ორივე ხელისგულები საფეთქ-  
ლებს მაგრად მიაჭირა და ისე გაშტერებით ძირს დაიწყო ტქერა.

მდინარე კი მისუდა და იღუძვად ეწვეებოდა უურს. მო-  
ჭკენდა ბრბოს ყიყინი, სიცილი: «ჯვარს ატვით, თვალთმაქცია,  
თვალთმაქცია!.. ღმერთობს ჩემბს, მოჭკალით!.. თუ ღმერთია, ისნსა  
თავი თვისი!...»

მთვარეც მიიძალა, შეისრუტა სხივები და ქალაქი წყვლიაღმა  
მოიგვია.

— ტყუილია, ტყუილია!.. ის ღმერთი იყო, ღმერთი, ღმერთი  
ჭეშმარიტი!.. — უხასუნს ამ ბრბოს ყიყინს და, თითქმის უნდა შეე-  
ბოძლოს ბრბოსა და გახუმლოს, ადგუნებულის თვალებით ფეხ-  
ზედ წამოიჭრა.

— სტყუი!.. ეგ თვალთ-მაქცი არ არის!.. — მუშტებ წინ გა-  
შეკრილი ტანის რხევით ვიწროდა პეტრე მოციქული, მაგრამ ბრბოს  
ხმა, სიცილი არა სწუდებოდა...

ქრისტე?

ქრისტეც იქა სდგას, ტანჯული, ნაკვეთი, კვლის გვირგვინით.  
დადგრემილ-დაქანცულად, უიმედოდ გამომჰკრეტი, თითქმის პეტრეს  
შეკლას ესგეუბაო.

— რაბბუნია!.. \*) — ცრემლთა ღვარტელის გადმოსუთქით წამოი-  
ძახა პეტრე მოციქულმა და ხელე-გაწვდილმა მუსლი მოიდრიაკა.

— შენ თვალთ-მაქცი არა ხარ, არა!.. მე მთელი სამი წელი-  
წადი შენს გვერდით ვიყავი, ეკელა შენი საიდუმლო ვიცოდი და მე  
სიყალბე არა შემიმჩნევია-რა!..

\*) ებრაული სიტყვაა: მოძღვარს პნიშნავს.



— შუუუ... ხა, ხა, ხა, ხა!..—მიშეოდ-მისუდა მდინარე და ბზბოს სიცილს ახმენდა ჰეტრე მოციქულს.

— თვალთმაქცი იმის თვალთმაქცია, რომ ყველა მოატყუოს, ძალის მასლობელიც...—მოესმოდა ჰეტრეს ეს სიტყვები და ლანკარით გულს უსეზავდნენ.

ჰეტრე მოციქული სტირის, ცრემლს აფრქვევს და ვი ან იცის, რა მიხეხით. ეტკვი შეეპანა და ლამის არის ეს ეტკვი რწმენად გარდაქცეს...

— ნუ თუ ის გავტყუებდა, გვხიბლავდა თავის ქცევით და უფკლავე ტყუილი იყო!—ეკითხებოდა თავის თავსა, მაგრამ უსუსს თითონვე ვერ იძლეოდა.

— ტყუილი იყო, მაშ არა?! თვალთმაქცობდა!..—მდინარეს ვი გადაჭრილი უსუსი მოქცნდა..

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რასათვის დამიტოვე მე?!\*)— შემოესმა ქრისტეს უკანასკნელი სასოწარკვეთილებით სავსე სიტყვები.

— გუურებს, რაგვარ სასოწარკვეთილებით არის წარმოთქმული?!. განა ღმერთი მგისთანა სასოწარკვეთილებას მიეცემს?!. მერე ყოვლად შემძლებელი!..—მოესმა ჰეტრე მოციქულს ხმა.

— არა, არა ის ღმერთია, ღმერთი ჭეშმარიტი!..—გულის კენესით წარმოსთქვა ჰეტრე მოციქულმა და თესვად წამოღვია...

— შენ რაც უნდა სთქვი და ის ვი თვალთმაქცი იყო. რაც სელ-ფებს მიუღწერსმეს, მაშინ-ღა მიაგონდა ღმერთი. მანამდის ვი უფიქრობდა და გაიბნოდა: «მე მე ღვთისა ვარ». თუ ღვთის მე იყო, რად არის ახლა დაკრძალული საფლავში. ღმერთს საფლავში რა უნდა, უგუნურო!..— ისევ ის ხმა არწმუნებდა ჰეტრე მოციქულს.

— თვალთმაქცი ძმობას, სიყვარულს არ იჭადაგებდა...

— თვალთმაქცი ყველაფერს ჩაიდენს და იტყვის, რომ თავის თვალთმაქცობა გაიყვანოს.—გააწვეკტინა სიტყვა იღუმაღმა ხმამ ჰეტრე მოციქულს.

\*) მათეს სახ. თ. 27 მუხ. 46. ქრისტემ ქალღმერთად წარმოსთქვა: „ილი, ილი, ლამა საბაქთანია?!“ ამისთვის დასცინეს ებრაელთ: ილიას უძახის საშუელილო.

— ტყუილია, ტყუილია!.. ის თუ მე ღვთისა ან იყო, მაშინ ღმერთი ან არსებობს, ანა და ანა!.. განუმი, განუმი, შენ ეშმაგი ხარ, მადღური!.. ის ღმერთი ან არის?.. მე მრწამს, ის ღმერთის და თუ ტყუილია, მაშინ... მაშინ... ახ... რიფსტვის ვარ ცოცხალი?!. რაღად მინდა სიცოცხლე?!. ქვეყანაზე რაღა დამჩხება?!

სასწარვეკეთილებით წარმოსთქვა და თვალებზედ ხელის გული მიიჭირა, რომ თვალების ტვივით გულის წვა გაქარვებინა...

უკვე ირავრავა. ფრინველთ მოკრეს ყვილ-ხვილი და ერთმანეთს უღოცავდნენ განთიადს. ჯერ კი გაფრენა ვერ გაბედნათ, რადგანაც გარვევით ვერ წხედავდნენ არე-მარეს...

— ზეტრე, ქრისტე აღსდგა!...— მოესმა იმ დროს ნანობი ხმა.

— ჭეშმარიტად!... მარია!.. შენ?!..— დახვევით გაიძახოდა ზეტრე მოციქული და მარია მავდალინელს მხურვალედ ჭკოცნიდა.

იმის სინარულს საზღვარი ან ჭკონდა. მარია მავდალინელის სიტყვებმა უცნაურ დაუბრუნეს ის, რაც ამ რამდენიმე წამის წინ ერყოდა. ერყოდა კი ანა, კიდევან შეერვა და სიცოცხლეს ზიზღით შეჭხედა.

იმას დაუბრუნდა რწმენა და რწმენა ხომ ზეტრე მოციქულისთვის სიცოცხლეს შეაღებდა. ჯვარს აცვით, გააზეთ შუასედა, ლუგმალუგმა აგუწოთ, დანქლითოთ! ყოველივე ამას ღიმილით მიეგებება ესლა. იმას სწამს, რომ ანა მოტყუებული, რომ ის ღმერთისა, ღმერთი ჭეშმარიტი!...

ამისთვის იყო, რომ მარია მავდალინელს ან მოერიდა და ისე მხურვალედ, თითქმის გაგაყებით შეეკარებულსავით, გულს ჩაიკრა და ალგზნებით გოცნა დაუწყო, რამაც მარია მავდალინელი განცვიფრებაში მოიყვანა.

— ზეტრე!— ძლივსლა მოასერსა მავდალინელმა ხმის ამოდება და ხელიდან გაუსხლტა.


— ჭა!... მარია!?!...

— განა იცოდი ქრისტეს აღდგომა, რომ «ჭეშმარიტად» მიზსუსე?!— უგან სკვით დაკითხა მარია მავდალინელი, რომ ზეტრე მოციქული გონს მოეყვანა.



— არა! მატყამ ის სომ ღმერთთა, ღმერთთა ჭეშმარიტი და უაპკე-  
 ლად უნდა აღმსდგარიყო. — უბასუსა ზეტრე მოციქულმა და ქრისტეს  
 საფლავისკენ გაეშურა, რომ დათრგუნებულ საფლავის გვერდით თა-  
 ყვანი ეტა მაცხოვრისთვის.

**შ. არაკვისზარელი**



## „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი აღგილები

### XIII \*)

აუთანდილ უამბობს ტარეღს თავის ვინაობას და მოსკლის მიწეყსსა და ბოლოს დასძენს (გვ. 62):

297. „ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაჰბინდა;  
 „დამიგდია სამსახური, იგი იქმნას, რაცა გინდა;  
 „იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერცა მინა მინდა,—  
 „შენ გაიხლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა“.

298. ტარეღლ უთხრა: „მე შენი გული აწ მემხურვალეების;  
 „მიკვირს, თუ ნაცვლად მაგისად შენ ჩემი რა გევალები!  
 „მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალები;  
 „შენ საყვარელსა გაგყარო, ესე რად გენაცვალეების“!

299. „წამოსულხარ ჩემად ძებნად, პატრონისა სამსახურად;  
 „ღმერთმან ჰქმნა და გიპოვნივარ, შენცა ცდილხარ მამაკურად;  
 „მაგრა ჩემი რა გიამბო, გამოგჭრილვარ ასრე თუ რად!  
 „მე თუ ვიტყვი, დამწვავს ცეცხლი ცხელი, შემექმს ალად, მურად“.

საუცხოვრას ეს ტარეღის და აუთანდილის საუბარი, რომლისაც, უადგილობისა გამო, მხოლოდ ბოლო გადმოკწერე აქ. ამიტომ ვთხოვ მკითხველს გადაკითხოს ეს საუბარი თავიდან ბოლომდის (მე-283 ხანიდან მე 299-მდე, გვ. 59—63), რომ უკეთ დაინსომოს მისი კილო.

ორი ჭაბუკი გმირი ეკამათება ერთმანერთს დიდსულოვნობას და გულის სიტურეუშა, ხოლო აუთანდილ მოიგებს ტარეღის გულს თავის ერთგულებითა და თავდადებით,—თვით თავის სა-

\*) «მოიბე», 1895 წ. № XI და XII.



ტრფოს უარყოფის ტარიელისათვის, აღონდ მას «ეასლოს სიკე-  
დილამდის, ამის მეტი არა უნდა!» რითი გადუნადოს ტარიელმა  
ასადს მეგობარს, რომლის «გუფი აწ ემსურვალუბის» მისი თავ-  
გამწირაობა და ერთგულება, — «თუ სავარელსა განჯაროს, ესე რად  
უნაცვალუბის»? ნუ თუ ამის სანაცვლოდ ტარიელმა მხოლოდ თავისი  
ამბავი უნდა უამბოს? არა, ტარიელმა კარგად იცის მეგობარის ერთ-  
გულობის და თავგამოდების ფასი, რომ მის მუქათვად თავისი ამბავი  
ამბაროს. თავის ამბავს დაიდაც ეტყვის, სოლო შატრონისა სამსა-  
სურისა» და «მამაცურის ცდასათვის», და ამისათვის რომ სამებაჩი  
აუსრულდეს, ეტყვის, თუმცა «დასწავს ცეტსლა ცსელი, შეიქმს ალად,  
მურად». ეს უგანასკნელი ტარიელის სიტყვა თითქმის სავუდურადან  
კერ ჩათვლება, ეს მხოლოდ სულთქმას სეგდიანის გულისა.

პეტროსნებითა და ღირსებით აღსავსე ტარიელის პასუხის  
შედეგ, რას უნდა მოკლადეთ, თუ არა იმისა, რომ გმირი პარ-  
დაპირ გადავა თავის ამბის თხრობასუ. მაგრამ ასეთი მარტოვი და  
ბუნებით ქცევა გმირისა მწიგნობრების ჭკუაში კერ მოთავსდებოდა,  
მათის აზრით, ტარიელს მის თავგადასავალის სამბობლად კიდევ  
რადან მომზადება უნდა, და ამისათვის ჩაურთეს ტექსტს შიდი  
ფაღბი ხანა მე-300—306. ამით შორის მე-301 და 302 ხანა სუ-  
რათების «გეფისის-ტუასნის» გამოცემიდან, — დაიღამც სამართლი-  
ანად, — განდევნილია; ამიტომ მათი სიუაღბის დამტკიცება მეტი-და  
იქნება და ჩვენ პირდაპირ მე-300, 303, 304, 305 და 306 ხა-  
ნების გარჩევას შეკუდგეთ.

ტარიელმა რა სთქვა, ჩემი ამბის თხრობა «შემიქმს ალად, მურად»,  
ვიდაც მწიგნობარი უმატებს (გვ. 63):

300. ამას დავმუნდა ტარიელ დამწვარი, დაალებული;  
ასმათს უბრძანა: „მას აქეთ შენ ხარ ჩემთანა ხლებული;  
„რად არა იცი, უწამლო არს ლები ესე ლებული!  
„კვლავ ესე ყმა მწვავს მტირალი, ცრემლითა დავალებული“.

ამ ხანის აზრით გამოდის, ვითომც ტარიელ თავს იმართლე-  
ბდეს ასმათის წინ თავის ამბის მბობისათვის: ეს უმარვილი გა-



დაძვირდება, მითხარ შენი ამბავი; მაინც სომ უწამლოა ჩემი «აგ-  
ბი», და ბარემეტ კეტევი, უარესი რაღა დამემართება. მაგრამ რი-  
სთვის ეუბნება ტარიელ მაგებს? არსაიდან არა სხანს, რომ ასმით  
უშლიდეს ტარიელს, შენს ამბავს ნუ ეტყევი ავთანდილსა? მის  
აქეთ, რაც ორნი გმიწნი შეიყარნენ, ქალი მათს საუბარში არ გა-  
რეკია და ხმა არ ამოუღია, გარდა იმ «სიტყვისა საკვირველისა»  
(282 ს.), რომელიც ისიც ეპილოგი გამოდგა. ასმით არც უშლის ტა-  
რიელსა და არც აქეზებს, შენი ამბავი უამბეო, ამიტომაც ტარიე-  
ლის «ბძანება» უსაგნო და გაუგებარე ჰასუსთა კითხვისა, რომე-  
ლიც არავის არ წარმოუთქვამს.

ამს გარდა მე-300 ხანაში ზოგიერთი გამოსახვა მოიპოვება,  
რომელიც ზოემის ტექსტს არ ეთანხმება.—მე-299 ხანაში ტარიელ  
ამბობს: «მე თუ ვიტყვი (ჩემს ამბავს), დამწავს ცეცხლი ცხელი,  
შემიქმს ალად, მურად», აქ ვი ვერ არაფერი უამბნია, და უკვე «დამ-  
წვარა და დააღებულა». თქვენ წარმოიდგინეთ, ამბის თქმის შემდეგ  
რაღა უნდა დაემართოს... წარმცა თქმა ენით! უკანასკნელ ლექსში  
ტარიელ ამბობს: «გვლავ ესე უმა მწკავს მტირალი» და სსკ. ეს  
«მტირალი»—ამწარა სიცრუეა. გადავიკითხოთ ავთანდილის და ტა-  
რიელის შეყრა და საუბარი მე-281 ხანიდან მე-300-მდე, და ნა-  
საკეთ, რომ მას შემდეგ, რაც გმიწნი, შეყრისათხავე, «ერთმანერთსა  
აუტირდეს» (281 ს.), ისინი გულისანად და მსნედ ლაშაჩაკობენ და  
ავთანდილს ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია, რადგან სატირელი  
არა ჰქონდა-რა.

სტილი მე-300 ხანისა არაფრით არა ჰგავს რუსთველისეულ-  
სა და პირიქით გვიმტკიცებს ამ ხანის სიყალბეს. ლექსი «მას  
აქეთ (რას აქეთ?) შენ ხარ ჩემთანა ხლებული; რად არა იცი, უწამ-  
ლო არს ლები ესე ლებულა» კანონიერი ქართული არ არის და  
სომხურ ლაშაჩაკსა ჰგავს. ერთობ მე-300 ხანა უფრო ორთაქალის  
მუსამბახსა ჰგავს, ვინემც რუსთაველის ლექსს: ეს «შენ ხარ ჩემ-  
თანა ხლებული» და «ლები ესე ლებული» განა არ მოგაკანებსთ  
კინტოურ ჰეოსის «ბაღში შეველ, ვარდი ვნახე მთლად გაღებული»  
და სსკვ ამ გვარებსა?

303. ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა, ანუ თუ დაცა იღოს,  
 „ზხამსო მისთვის სიკვდილსა და ჰირსა თავი არ დაჰრიდოს,  
 „ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!  
 „შენ ისმენდი, მე გაიმბობ, რალა გინდა წამეკიდოს“.

ტარბიელისაგან თავის ამბის მბობა, ამ ხანის სიტყვით, ერთი  
 საშინელი რამ მსხვერპლი და თავის-შეწირვა უნდა იყოს. კაცმა  
 თავის ძმობილისათვის თავი სიკვდილსა და ჭირსა არ უნდა დარი-  
 დოსო და ამ სენტენციის დასამტკიცებლად ტარბიელ თავის ამბავს  
 უამბობს ავთანდილს. ოღონდ ამან შეიტყუოს მისი ამბავი, ტარბი-  
 ელს კი რაც უნდა წაეკიდოს. ვინ იცის რა მოუვიდეს ამისაგან ტარ-  
 ბიელს? იქნება მოკვდეს კიდეც?... საზარელ ყოფაში ჩაკარდა სა-  
 ცოდავი ავთანდილ: «ზატრონისა სამსახურად» სამი წელიწადი ექება  
 კეფხას-ტყაოსანი, ღმერთმან ჭქნა და იზოკა თავისი სამებარი; ზი-  
 რველს დანახვასთანავე ისრე შეუყვარდა უცნო მოყმე, რომ თინა-  
 თინიც დაავიწყდა და ტარბიელს სიკვდილამდის ჭლამის კახლოს,—  
 და ესრედ შეყვარებული მეგობარა და ძმობილი გვირი უნდა მო-  
 კლას მის ამბის თქმეუნიებით!... ძმობა და მეგობრობა კი არა,  
 ერთი ბეწო ზდილობაც რომ ჭქონდეს თინათინის მიჯნურს, ტარ-  
 ბიელის მაგ სიტყვების შემდეგ, ცხენზედ უნდა შეკვდეს და არა-  
 ბეთში გაჩდისკეწოს.

მე-303 ხანის დამწერს არ ესმის, რომ ავთანდილისათვის  
 ტარბიელის სიტყვა საყუედურია.—როგორ იკადრებს ლომ-გვირი  
 ტარბიელ, რომ თავისი მოკალეობის ასრულებს,—თუ თავის ამბის  
 მბობა მოკალეობად მიანხია,—მეგობარს წაყუედროს? თავის წარ-  
 სულის თხრობა თუ ტარბიელისათვის დასტურ ჭირია და ცუცხლი,  
 მაგის წაყუედრებით მის თავის-შეწირვას ფასი ეკარგება და მსხვერ-  
 პლად კი არ ჩამოერთმევა, არამედ ბაზრულ სიკეთედ: ხომ სედავ  
 შენის ხათრისთვის რასა ვშერებოდა და ჭა, გახსოვდესო!..

რაოდნად ჭშორავს ეს ტარბიელის დაზარატი მის ზატოელსანს  
 ზასუსს მე-299 ხანაში მოყვანილს! იქ ტარბიელ თავის ამბის მბო-  
 ბას თითქმის არაფრად აგდებს ავთანდილის ღვაწლის შედარებით,  
 თუმცა თავის ამბის თქმით მას გული დაედაგვის. უკანასკნელი მი-  
 სი სიტყვები, როგორც ზემოდ ვთქვი, საყუედური კი არ არის,

აწმედ რხვარა, რომელიც უთუოდ და უნებლიედ უნდა წასცდომოდ ტარიელს თავისი სწავლის მოგონებით. მე-303 სანაში კი ტარიელისთვის თავისი ამბის მოხაზა რაღაც სულთაბრძოლას, სასიკვდილოდ მომზადება: ტარიელ ცდილობს ჩააგონოს ავთანდილს, რომ ეგ არა მხოლოდ მისი თხოვნის ასრულებას, აწმედ ძმობისა და მეგობრობისათვის თავის-შეწირვა. და ეს უგუნვი გასვლიანობა დამყარებულია იმ საუკუნო ღირსების ქოქიქითვე, ვითომც ძმობაში ერთის ცხობა მეორის წაწმედებზე იყოს დამოკიდებული.

შეუძლებელია, რომ ტარიელმა კერძო მსადალობით და სულმცირლობით უარყუოს თავისი პირვანდელი სიტყვა. კერძო რუსთაველს მაწირება მაგვარი მუსთლობა მისი საყვარელ გმირისა, რომ ჯერ აღძრას მის გულში პატიოსანა გრძობა თავის მეგობრობისათვის, მერე კი აწმედინოს თავისი განწმედება.



სასიკვდილოდ მომზადებულ ტარიელ, რა თავის გამწმედობას ავთანდილს შეაგნებინებს და წააყვადრებს, სულ-მეორედ ასმათს მიუბრუნდება (გვ. 63).

304. ასმათს უთხრა: „მოდი, მოჯე, თანა წყალი მოიტანე,  
„დაბნედილსა მაპურებდი, გული მითა გარდამბანე;  
„მკვდარი მნახო, დამიტრე, სულ-თქმა გაათანისთანე,  
„მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე“.

ამის დამწმედს, რასაკვირველია, უნდოდა ტარიელის საცოდაობის გამოსახვით ჩვენს გულში თანაგრძობა და საბრალული აღქმა, მაგრამ ზომიერებას გადაცილებულმა საცოდაობამ სასაცილოს მიაღწია... თქვენ წარმოიდგინეთ ვინმე მგლოვიანე, რომელიც გლოვის წინ თავის მოსამსახურეს არიგებდა: «ბიჭო, აქ იდექ წყალითაო, თუ გულს შემომეყაროს, მომასხია!» — დაიჯერებთ, რომ მისი მწმედება გულწრფელია? განა არ იტყვით, რომ ეგ უკეთური პრანსკვა და ფარისკვლობა? მაშ ვით-ღა შევმართოთ გულთამხილავ რუსთაველს ასეთი სიბრუნე და უცოდინარობა მწმედების გამოსახვისა?!... ან რად შეეფერება თავ-განწირულ ტარიელს ასეთი თავის თავისთვის ზრუნვა-ფუფუნება — «დაბნედილსა მაპურებდი, გული მითა გარდამბანე!?!...»



შედეგში, თავის ამბის მბობის დროს, ტარიელ, მართლაც, რამდენჯერმე დაბნდება და ასმათ მას წყაღს აზკურებს და სუელს უბრუნებს, მაგრამ ნუ თუ დასაჯერებელია, ვითომ ტარიელ წინადაკე ფიქრობდეს და ურვიდეს იმაზედ, რომ გულ-შემოყრისას ასმათ დროზედ მიემკვლეს და ამისთვის არიგებდეს, წყალი სელად გქონდესო?

«მკვდარი მნახო, დამიტირე, სულ-თქმა გაათანისთანე, მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე», — სომ გაიგეთ, მკითხველო? ტარიელ სასიკვდილოდ ემზადება და თავის ანდერძს დაწვრილებით ასმათს ეუბნება. მაგრამ ასმათს და აუთანდილს არა ესმისთ-რა, გულ-გრილად სსედან და სმასაც არ გასცემენ. რას ჩანავდა სულთამსუთავსავით ეს გულ-ქვა აუთანდილ ამ საცოდავ ემსწვილს? რაზედ ჭკლავს თავის მეგობარს, რომელსაც ეს-იყო სიკვდილამდე ერთგულობა და სიუვარული აღუთქვა? ხომ სედავს, რომ მისის სურვილის ასრულებით ტარიელ სიკვდილის კარს მიადგა, რაღად უნდა ათქმეინოს მისი ამბავი? ან ეს ასმათ რას უყურებს: თუ ვერ დააშლევინებს, ერთი ნუგეში მაინც სცეს თავის «სიტუვითა სავკირველითა!»

ასეთი ყაღბის-მქნელის ჭკუა-მოკლეობა, რომ მისგანვე მოგონებულს მდგომარეობას ვერ მისეღომია და ვერ მორეკია. ვერ აუწონია თუ რა შედეგი აუცილებლად უნდა მოსდევდეს ტარიელის ყოფასა, და რომ მავ მდგომარეობაში ტარიელის მიტოვება შეუძლებელია, თვით გონებისა და ბუნების წინააღმდეგო. მას კიდასი იქნება ეგ როტა თუ არ უგუნურის მწიგნობარისა, რომელსაც დაძმიანის გულისა და გრძობისა არა გაეკება-რა, ხოლო, რუსთაკელის საუბედუროდ, «ლექითა სეკა» უსწავლია და მით ჩვენ უნდა გაგვაბრიყოს.

ტარიელის ზრანჭკა ამითი არა თავდება. რა ასმათ, კოკით, გვერდთ მოისკა და დააროგა: თუ დაუბნდე, მაზკურებდი და თუ მოკვდე, დამიტირე და დაძმარსყო (გვ. 63 და 64),

305. ღილ-ჩახხნილი საამბობლად დასჯდა, მხარნი ამოჰყარა;  
 ვითა მზე სჯდა მიღრუბლებით, ღილ-ზან შუქი არ დაჰყარა;  
 ვერ გაახენა სასაუბროდ მან ბაგენი გამყარა;  
 მერმე სულ-ჰთქმნა, დაიზარნა, ცხელნი ცრემლნი გარდმოჰყარნა.



306. მოსთქვამს: „ჰაი, საყვარელო, ჩემო, ჩემთვის დაკარგულო,  
 „იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო;  
 „ვინ მოგკვეთა, არა ვიცი, ხეო, ედემს დანერგულო!  
 „ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა, გულო ასჯერ დადაგულო!“

ძალიან ცდილობს მელექსე ტარიელის ცოდვით დაგვწვას, მაგრამ თავის ცოდვილებით მხოლოდ მწარე ღიმილს მოგვგვრის. რომ ტარიელის დიდ მწუხარებაზედ ეჭვი აღარა გვქონდეს, მელექსემ იგი დიდ-ჩახსნილი საამბობლად დასვა და «მხარნი ამოაყრე-ვინა», თითქო ნაქირაკები წარის-მოქმედი იყოს, რომელიც გლოვის წარმოდგენისათვის ემზადება: ჯერ სახე მოღრუბლულია ზის ჩუმიად, მერე ამოიხსრებს, დაიძახებს, სტირის და მოსთქვამს, — ერთის სიტყვით, არც ერთი გარეგანი ნიშანი მწუხარებისა არ ავლავს.

მაგრამ თვით ამ თავალ-სახინო ნიშნების გამოსასვლელად მელექსეს მოუხერხებლობა ატყვია. «ვითა მზე სჯდა მოღრუბლებით, დიდ-ხან შუქი არ დაჭყარანა». — მოღრუბლებული მზე ტურფა სასუსე ითქმის მწუხარებისგან დაღრეჟილზედ, და მისგან შუქის დაყრა, შუქის მოყენა — გაღიუმესა და გაცინვაზედ. ახლა მიჭყევით მელექსის აზრს: «დიდ-ხან შუქი არ დაჭყარან და სსუ., მერმე სუულ-ჭტქმნა, დაიხანა, ცხელნი ცრემლნი გადმოჭყარანა». თუ ეგრე არ არის, რომ დიდის-ღა უნდა ველოდეთ მისგან შუქის დაყრას?..

ნუ თუ ეს მოსწრებული ზოეტური შედარება რუსთველისაა? ტარიელის «მოთქმა», მე-306 სსაში, ერთი რამ მოულოდნელობაა, რომელიც გაშტერებულს აუთანდილს თავს უნდა დაეცეს. ვინ საყვარელი? რა საყვარელი? აქამდის არც ტარიელს და არც ახმათს საყვარელი ჯერ არ უხსენებიათ, იმის გარდა, რომ ტარიელმა ერთხელ სთქვა: «მით ვტიროდი, მომეგონა მე გლას ჩემი წამწეკე-ღელი» (291 ს. 61 გვ.). ახლა, რა ტარიელ დაკარგულ საყვარელს დასტირის, აუთანდილ ადვილად მისვდება, რომ მისი ამბავი უბედური მიჯნურის ამბავია; ამის იქით ტარიელის ამბავს ინტერესი თითქმის დაეკარგა და ტარიელს ცოტა-ღა რამ დაჩხა საამბობლად. «მოთქმის» სტენაშია, როგორც ტარიელისაგან ანდერძის თქმის დროს აუთანდილის და ახმათის მონაწილეობა არ არის აღნიშნული. რას



შერებთან ესენი, ვიდრე ტარიელ მოსთქვამს? საგანებელია, სხედან და სულ-განახულინი პირში შესტყვიან და ერთმანეთს თვალთანიშნებენ: «ხედავ თუ ეს მამაცხონებულნი რა ტვილი სმებს ამბობსო?!»..

მართლაც-და, ამის მეტი არა ეთქმისთ-რა, რადგან ტარიელის მოთქმა საზანდრულ ჩაკანებსა მოგვაცხადებს. არა მგონია, რომ მან «მოთქმაზე» უფროსი და უფროსი რამ მოაზრებოდეს ქართულს პრინციპში. არამც თუ რუსთაველის გმირებს არ შეუძლიათ კვლავ ტლანქად და მდაბიოდ თავიანთი სატროფონი, გრ. მარბულიანის ლოპიანა და მკერვალი ბეჟანა უფრო შრომანად ამკობენ თავიანთი საყვარლებს. «ჭაი, საყვარელი, ჩემო, ჩემთვის დაკარგული, იმედო და სიცოცხლე, გონება, სული, გული... თითქო ბაზახანის პრიკაშივი დასტიროდეს «თავის გულსა». «ვინ მოგვკეთა, არა ვინც, ხეო, კდემს დანერგული», — ცოცხალი ტუულია, რადგან ტარიელმა კარგად იცის ვინც არის მისი სატროფონი დამკარგული.

ჩვენგან გარჩეულ სანებთან (300—306) სჩანს, რომ მათს დამწერს ტარიელის სიტყვა მე-298 და მე-299 ხანებში კერძოდ ვერ გაუგია და ამის გამო ტარიელისაგან თავის ამბის მბობისთვის ნამეტანი მნიშვნელობა მიუყვება, ვინც თვით გმირი ხონიკებდეს. ყალბის-მქნელის აზრით, ტარიელმა თავის ამბის მბობით ვითომც მაგობრი უნდა გადაუხადოს ავთანდილს მის ერთგულებასა და თავდადებისათვის; და რადგანაც ტარიელის გადასახადი ღირსი უნდა იყოს ავთანდილის თავის-შეშინებისა, მამასადაც, ამბის მბობაც უნდა გამოყვანილიყოს ერთ დიდ ღვაწლად და მხელ საქმედ. ამიტომაც ცოდილობს ყალბის-მქნელი, რათა გამოგვიხატოს საშინელი ტანჯვა ტარიელისა თავის წინსულის მოგონების წინ. მაგრამ ძლიერ გრძობის გამოსახვაში მწერალს დიდი სიფრთხილე უმართეს, რომ სამზღვარს არ გადასცილდეს და მისი დიდებული სურათი სამასხარო არ გახადოს, — რადგან სასაცილო დიდებულის მოსამზღვრეა. ყალბის-მქნელს, მის უნიჭობისა და მოუხერხებლობის გამო, თავისიც დაემართა: მეტის გადაჭარბებით და გასვიად-

ბით ტარეელის დიდი მწესარება სასაცილო გამოვიდა, გმირი სულ-  
მოკლეობას და ქალაქნობას იჩენს, ტანჯვისა და სიკვდილის წინა  
ჭკრთის და უგემურად იზრანსება და იტყუასება.

ტარეელ თავის ამბის საამბობლად თითქო სასიკვდილოდ  
ემზადება, და სცენა მისის გადაჭარბებული მწესარებისა მით უფ-  
რო დაუჯერებელია და ნამდვილას არამისჯავსი, რომ არც ასმით და  
არც აკონდილ მასში არ ერევიან, არამედ გულ-გრილად უნძქერენ  
ტარეელის სულთა-ბრძოლას. ამას გარდა ტარეელის ნამეტანი მო-  
მზადება თავის ამბის საამბობლად ცუდს შთაბეჭდილებას ასობს  
მკითხველის გულს. თუ ტარეელის საამბობის წაგითხვას შემდეგ  
მოვიგონებთ გლეჯის სცენას, რომელიც მის მიუძღვის, უთუოდ  
შევაძინებთ, რომ ტარეელის საურავი არ გამართლდა და გულში  
უნებლად ვიფიქრებთ: «ეჰ, მადლობა ღმერთს, კარგად მოწინა! მარ-  
თალია, რამდენჯერმე გულს შემოეყარა, მაგრამ არც ისე სასიფათო  
ყოფილა იმისთვის თავის ამბის თქმა, როგორც წინადადება»...

მე-300—306 ხანებში გამოსახული ეპიკური მოულოდნელის  
და ლოგიკის წესით არ წარმოსდგება მის წინამძვალისაგან. აკონ-  
დილის და ტარეელის საურავი არაფრით არ მოასწავებს ამგვარ  
დამთავრებას. ორთა გმირთა საურავის კილო ერთობ მსხე და ცო-  
ცხალია, თითქმის მხარულიც, და მხლოდ ზოგჯერ (მე-283, 292  
და 299 ხან.) გვერით ისმის ნოტა სეკიანის, როდესაც ტარეელს  
თავის წარსული აგონდება. ასეთი კილო ნამდვილად შეესაბამება ტა-  
რეელის სულის მდგომარეობას: მას ანაზღად ეწვია მოუძე «ტანად  
სარო და ზირად მსე; მამაცად მსჯავსი გმირისა», მისსაკეთ მიჯნური  
და მამასადამე მისი გულშემატკივარი; დანახვისთანავე ამ გმირმა აღუ-  
თქვა მას ერთგულება და სიკვდილამდე სამსახური; «ღვთივ ზეცით  
განაწირმა» ჭპოვს თავისი შემწე და,—ვინ იცის,—იქნება თავისი მსხე-  
ლიც. რასაკვირველია, ამისთანა მოძმისა და მეგობრის შოკან ტარეელს  
გულს გაუმსხელებდა და მის გადაწვეტილ იქნა ფრთები შეესამე-  
ბოდა. ამ მდგომარეობაში, რაც უნდა ცეცხლი ედებოდეს ტარეელს  
მის ამბის თქმითა, ის აკონდილში მანც თავის თანამგომლობელსა  
და გულშემატკივარ მოძმესა ჭხედავს და ამიტომ მის წინ თავის  
გულის გადაშლას იმდონად სასარელი არ იქნებოდა, რომ კვ მე-

გაბრის თხროვის ასრულებას მისთვის «წაწყედას» ედარებოდეს და ასმათს «სამარის გათხრას» უანდერძებდეს.

სიყალბე მე-300—306 ხანების ეპიზოდისა, სსკათა შორის, მის კილოდანაცა სხანს. ყალბის-მქნელი თითქო ცდილობს ჩაგვანგონოს, მოეწინააღმდეგოს, ესლავ ერთი რამ საშინელესა მოსდებოა. ესეთი კილო არ ერთთვის წინამავალ სტენის კილოს. ორთა გმირთა შეერისა და მათშორის ძმობის შეკერის მხარული სტენა ყალბის-მქნელის ხელში ერთბაშად იცვლება: განმხსენებელი ტარელ წუწუნებს სასოწარკვეთილი და გულ-მილეუელი, მისი ტკბილი საუბარი გლოვად და ვაგებად გადაიქცა; და გულშემატეიკარი მოძმე აკთანდილ თავის მეგობრის სულთამსუთავად განდა, რომელმაც განუკითხავად სული უნდა ამოხადოს მის ამბის თქმეკინებით.

#### XIV

თავის ამბის თხრობაში ტარელ თავის ერმწვილობის დროს აკთანდილს ესრედ უამბობს (გვ. 67):

316. „მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად, „საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად, „ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად; „მოვიწიფე, დავემზავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად.

317. „ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა ჩემგან ამბობა ცილისა: „ხუთისა წლისა შევიქმენ, მზგავსი ვარდისა შლილისა, „ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკლა, მართ ვითა სირისა; „არა ჰგაოდის ფარსადანს მისი არა სმა შვილისა.

318. „ასმათ, შენცა ხარ მოწამე ჩემისა ფერ-მიხდილისა,— „მზესა მე ვჯობდი შევენებით, ვით ბინდა ეამი დილისა; „იტყოდეს ჩემნი მნახავნი: „მზგავსია ედემს ზრდილისა“, „აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა.

319. „მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი“,— ესე რა სთქვა, ყმამან სულ-ჰთქმნა, ცრემლით ჰბრძანა: „შობა ქალი“, დაბნელდას მიეწურა, ასმათ ასხა გულსა წყალი; სთქვა: „მაშინვე მზესა ჰგვანდა, აწ მედების ვისთვის ალი“!

სრულთა ლაშქართა და ქვეყანათა სახატრონოდ გაზრდილი, ხელმწიფეთა ქტეკა-ქმნათად ბრძენთაგან ჩასწავლი, ამირბანი, ინდოთ მეფე, გიორი ტარიელ მოახლე ასმათს იმოწმებს თავის სიტყვის დასამტვირცებლად: «ასმათ, მითხრობდი, რატა სტნა ჩემგა ამბობა ცილისა!» ამას იქით ტარიელის ამბის სინამდვილის შესამოწმებლად ასმათ არის დაუენებული, და თუ ავთანდილს მის ნამბობში ეუცხოვა რამე, ამ კონტროლორს უნდა მიმართოს: თუ უდასტურა—ხომ რა კარგი, თუ არა და... სტყუის ამირბანი!

ეს ნამეტანი სიფრთხილე და წინ-დახედულობა ტარიელის უნებლიედ ეჭვს უნდა აღძრავდეს ავთანდილის გულში მის სიმართლეზე, მით უმეტეს, რომ თვით მოწამეც სანდო არ არის. ტარიელ ამ შემთხვევაში იმ სახანჯლო მელასა ჭკაკს, რომელმაც თავისი გუდი მოწმად მოიყვანა... მაგრამ ვინაა ის უნდა გამოიყენოს ტარიელმა ასმათის მოწმობა?—იმში რომ, ტარიელ «ხუთისა წლისა შეიქმნა მზგავსი კარდისა შლილისა» და «ჭირად არ უხნდა ლომისა მოკლას, მართ ვითა სირისა». კარდის მზგავსება უმოწმოდაც დასაჯერებელია, თუმცა ეგ თავის-ქება მეტია, მას შემდეგ, რაც ტარიელმა უკვე სთქვა «დაკემზგავსე მხესა თვალად» (316 ხ.); და რაინა შეეხება ხუთის წლის ბავშვისაგან ლომისა ჩიტისავით მოკლას,—ეგ კი უშუკრი სიტყუა და ტრბახობა, და ასმათის მოწმობა აქ კერძას უშუკლის. ან რა საჭიროა ვისიმე მოწმობა, თუ ტყუილს მოკლე ფეხი აქვს და თვით ტარიელ ამტყუნებს თავის სიტყვას?—რამდენიმე ხანის ქვემოთ (325 ხ. 68 გვ.) ტარიელ გვიამბობს, რომ იგი «ვით კატასა ჭხოცდა ლომსა», მხოლოდ ხუთის წლისა კი არა, არამედ როდესაც «შეეძლო შესულა ომსა».

გვინებ, ეს ერთი საბუთიც კმარა მე-317 ხანის სიყაღბის სამხილვებლად. საფიქრებელია, რომ რუსთაველი ეგრე წინ-დაუხედავად და ქარიანად არ ათქმევინებდა თავის გმირს უშუკრს ტრბახობას, რომელიც ხელმწიფეთა ქტეკა-ქმნას ჩასწავლს არ შეშენის; და თუ შესცდა და ათქმევინა,—თავის პირითვე არ გაამტყუნებდა.

თითქო ეს ერთი სიტყუე არა გვეოფნიდა, რომ სსვა კილაც მწიგნობარმა თავისებურადა დაუმატა და პოემის ტექსტს კიდევ ერთი ყაღბი ხანა, მე-318, ჩააკერა.



ასმათ, მე-317 ხანაში ტარიელის სიტყურთვის და ღონიერების მოწმად მოყვანილი, ახლა მის «ფერ-მისდილას მოწმად დგება. ტარიელმა წელან სთქვა: «დავემზგავსე მესეს თვალად». ყალბის-მქნელის აზრით, ამ სიტყვების გმირისაგან თქმა უბრალო თავის დამდაბლებას. რა ბძანებაა მისი მზგავსება?.. «მესეს მე ვვობდი შეენებით, ვით ბინდსა ყაძი დილისა!» ან კიდევ, როგორ მოგწონთ, მკითხველო, ეს ვაჟ-ბატონი, რომელიც თავის აწინდელ ფერ-მისდილობას სუთის წლის ყმაწვილას სილამაზეს ადარებს?—ესლა სომ მსედავ რა ვარო, სუთის წლისა უნდა გენახე რა ღამაზი ბიჭი ვიყავიო! «აწ მამინდლისა ჩემისა სასე ვარ ოდენ ჩრდილისა»... რომელი უფრო ნამეტანია აქა: სობრევე თუ სასუფელე?

მანც რა დაყენებაა ტარიელისაგან თავის ღონიერებისა და მშენიერების ქება? სომ ხასა და მუდამ უკვირს ავთანდილს ტარიელის მზეობა, შირში აქო კიდევ: «სახე სარ მისისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა, რადგან ვერ შეგცვლის ჰატოეი ეგზომთა ცრემლთა დენისა» (296 ხ. 62 გვ.); მასი ღონეც ხასა, და მოაგონა ტარიელს, როდესაც მან როსტეკან მეფის მონანი დაუსოცა, «ყველაკასა მათრანათა თავი უხლმთ გარდაჭკეკთა» (287 ხ. 60 გ.გ); და რამდენიმე დღის წინად «ქურდი ვნახე, რომე თქვენთვის სიტყვა რამე გაემკვასნა; მათრანათა ჩამოგუგდო, ერთი მკვდართა დაგესანა» (290 ხ. 61 გვ.). ერთის თქმითაც ავთანდილ ადვილად მისვლებოდა, რომ ამისთანა ძალისა და შეენების მქონი ყმაწვილობითვე დილაძე ღამაზი და ღონიერი უნდა ყოფილიყო, —მამ რაღად უნდა ტარიელს ამ საგანზე მეტის-მეტი ღაზარაკი? სიტყვის ფასის მცოდნე რუსთაველი წარამარად არ ათქმევინებდა ტარიელს თავის თავის ქებას. მოწინა რა გმირი თავის ზრდაზე ღაზარაკს და დაჟმატა: «მოვიწიფე, დავემზგავსე მესეს თვალად, ღომისა ნაკეთად», —მოწინა და გათავდა. ამხედ მეტი თავის თვალადობისა და ღონიერებაზე გმირს არა ეთქმას-რა, თუ არ უნდა ურიგო კვხინად ჩამოურთვას.

ამას გარდა მე-317 და 318 ხანების ჩამატებით ტარიელის ამბავს ეძლევა უცნაური აზრი. მე-316 ხანაში ტარიელ გვიამბობს თავის ყმაწვილობას, აღზრდას და სწავლას და ბოლოს დაასკვნის: «მოვიწიფე, დავემზგავსე...» და სხვ. ეს «მოვიწიფე» რომელს ხანს

ვეფხისტყაოსნის სიყრმისას? ბუნების წესისამებრ ვაჟი ერთობ უფრო გვიან მოდის ასაკს, ვინემც ქალი. და თუ ინდოეთს და სხვა თბილ ქვეყნებში ქალი ათი-თერთმეტის წლისა «მომწიფებულა», ვაჟი მხოლოდ თოთხმეტ-თხუთმეტს წელში მიაღწევს სრულ-წლოვანობას. ტარიელის მოთხრობა სრულად ეთანხმება ამ ფაქტს: მე-325 ხანში (გვ. 68) გმირო გვიამბობს: «იგი (ნესტან-დარეჯანი) ასრე მოაწიფა, მე შემემლო შესულა ომსა;... მამსავე ხელთა მიმცეს, რა შევიქმენ ამა ზომსა», —საგონებელია, რომ ეს მოხდა მაშინ, როდესაც ნესტან-დარეჯანი იყო არა ნაკლებ რვა-ცხრა წლისა და ტარიელ—ცამეტ-თოთხმეტისა. აქედან ხვანს, რომ ტარიელის სიტყვა «მოვიწიფე» (მე-316 ხანში) საზოგადოდ არის ნათქვამი, როგორც დასვენა მის აღზრდისა და სწავლის ამბისა, და მისი ასაკს მოსკლავ არ მიუძღვის იმ დროს, როდესაც ის «ხუთისა წლისა იყო, დაორსულდა დედოფალი», არამედ სხვა დროს, რადგან თავისისა და ნესტან-დარეჯანის ზრდის ამბავს გმირო ხელმეორედ დაუბრუნდება და დაწვრილებით, თითქმის წლითი-წლად, გვიამბობს. ასრედ, მე-316 ხანს საზოგადო მიმხილვას ტარიელის სიყრმისას ასაკს მოსკლავდევ და შემდეგი მისი მოთხრობა ამასობაში მოხდება.

ესრე არ კსმით ტარიელის სიტყვა «მოვიწიფე» მე-317 და 318 ხანების დამწერით. რა ხანეს, რომ ეს სიტყვა მიუძღვის ლექსს «მე ხუთისა წლისა ვიყავი, დაორსულდა დედოფალი», გადაწვიტეს, რომ ტარიელ მეხუთე წელს მოაწიფა და წარმოგვიდგენენ ხუთის წლის ბავშვს ვაკვარცად და სრულ-წლოვანად, და იძახიან: «ხუთისა წლისა შევიქმენ მგზავსი ვარდისა შლილისა, ჭირად არ მიხნდის ლომისა შიკლა მართ ვითა სირისა»; «იტყოდეს ჩემნი მხანავნი: «მგზავსი ედემს ზრდილისა»... როგორც ზემოდ ვხანსეთ, ესრეთი გამოსახვა ხუთის წლის ტარიელისა არ ეთანხმება არც კაცის ბუნებას და არც თვით გმირის შემდეგს მოთხრობას.

სტილს მე-317 და 318 ხანებისას მე-316 ხანისასთან შედარებით იგივე განსხვავება ეტეობა, რომელზედაც მე არა ერთხელ მომიხსენებია მკითხველისათვის. მე-316 ხანის სტილი რუსთაველის ხელოვნების მაგალითად ჩაითვლება: ცოტა სიტყვით ბევრის



გამოთქმა.—მართლაც ამ ერთ ხანადან ვინობთ ტარიელისა და შეუ-  
დგოდროვანის ურთიერთობას, მის აღზრდას, სწავლას და მის შე-  
სდგულობას, რომელსაც მოიწიოვს. ჩვენს თვალ-წინ დგას ცნობილი  
გამოსახული ნაქეთი სეფის-წილისა, მოემე შეუდგოდროვანის  
შვილად შეგვარებული, სრულთა ლაშქართა და ქვეყანათა სახატარ-  
ნოდ აღზრდილი, ბრძენთაგან სელმწიფეთა ქტევას ნასწავლი, მსე-  
სავით მშეენიერი და ღომისავით ღონიერი. ამ ღომის ლეკვიდან გა-  
მოვა ინდოთ მეფე, სრული მიჯნური, გმირი ტარიელი.

სულ სხვა გვარისაა მე-317 და 318 ხანების სტილი: აქ სა-  
ტიკების სიმრავლეა და აზრის ცოტობა. რაც რუსთაველმა ერთის  
ლექსით გამოთქვა ტარიელის თვალდობასა და ძლიერებაზედ, აქ  
ორს ხანაშია გათსელებული და გათქვეფილი, მაგრამ სურათს ამ  
მრავალ სიტყვაობით მანც არა ემატება-რა. შედარების, ყაღბის-  
მქნელთ ჩვეულებისამებრ, გადაჭარბებულნი არიან: მე-317 ხანის ლე-  
ქსი—«ჭინად არ მიხნდის ღომისა მოკლა, მართ ვითა სირისა»  
(დალოცვილს, თუ რითმა გაუჭირდა, «ვირისა» ეთქვა მანცა... რაც  
უნდა იყოს მსენა!),—რომელითაც ავტორი ჭამოდა სუთის წლის  
ტარიელის ღონიერება გამოეხატა, უნებლიედ გვეჩვენებდა თავისის  
სიბრძევეთ. აგრედვე უდაგილოა მე-318 ხანის ლექსი—«იტყოდეს  
ჩემნი მნახანი: მგზავსია ედემს ზრდილისა». ესეთი შედარება სუ-  
თის წლის ბავშვს არ შეეფერება.—«ედემს ზრდილი» ტანადანსა  
და მოყვანილს კანზე ითქმის და არა სუთის წლის ემაწვილზე.  
რუსთაველი ტარიელს «ედემს ზრდილს» მხოლოდ მაშინ დაად-  
რებს, რომელსაც ის თსუთმეტის წლისა შეიქნება (ისილე მე-329  
ხანა, გვ. 59).

## XV

თავის აღზრდის ამბავს ტარიელ ესრედ დაასრულებს (გვ. 69):

329. თსუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდილა, ვითა შვილსა:  
დღისით ვიყვი მის წინაშე, გამიშვებდის არცა ძილსა;  
ძალად ღომსა, თვალად მზესა, ტანად ვგვანდი ედემს ზრდილსა;  
სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა.

330. მოჰსრის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემმან სრეულმან;  
მერმე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქეულმან,  
შევიდი, შევქმნი ნადიმი, ნიადაგ ლხინთა ჩვეულმან;  
აწ საწუთროსა გამყარა პირმან ბროლ-ბადანშეულმან.

ამ ორი ხანის შედარებიდანა სჩანს, რომ მეორე პირველსა ჭბამაკს და ცდილობს გადაეცემა შუაგულს და განმარტოს. ორი პირველი ლექსი მე-330 ხანისა არასა გვაუწიებს გარდა იმისა, რაც პოეტმა სთქვა მე-329 ხანის უკანასკნელ ლექსში. მაგრამ თქმაც არის და თქმაცა. როდესაც გვირბი ამბობს: «სროლასა და ასხარესა აქებდიან ჩემგან ქმნილსა», — აქ კოსტად აზრის გამოთქმის გარდა, თავის დამდაბლება და მორცხუობაცა სჩანს, და სხვის პირით თავისი ქება უფრო აშკენებს გვირს ჩვენს თავლში. ხოლო ლექსი «მოსრის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემმან სრეულმან», თუცა აზრით ბევრად არ განისხვავება პოეტის ნათქვამისაგან, მაგრამ ამგვარ გამოთქმით თავით მთქმელის ხასიათიც იცვლება. ყალბის-მქნელის ლექსით ისტება უგუნური მკვეხარა და უსაზნოდ სიხსლის-მღვრელი, რომელიც იმასაც კერ მიმსგდარა, რომ კარგი სროლასა და კარგი ნადირობა ბევრი მხეცის ხოცვას არა ჭქვანს. — რა იცის მწიგნობარმა ნადირობის ლაზათი?!...

მესამე ლექსი მე-330 ხანისა თავისებური თხზულებაა ყალბის-მქნელისა. «შევიდი, შევქმნი ნადიმი, ნიადაგ ლხინთა ჩვეულმან», ათქმევინებს იგი ტარიელს, რათა გამოგვისტოს ვითომც მისი მხიარული და ნეტარებითი ცხოვრება, მაგრამ ეს ლექსი, მე-329 ხანის შემოწმებით, ცრუდება. ვერ ერთი რომ, როდის მოასწრობდა «ნიადაგ ლხინთა» შეჩვევას თხუთმეტის წლის ჭაბუკი? და მერე სადღა ჭქმნდა დრო მუდამ ნადიმების «შექმნისათვის» მაგ «ნიადაგ ლხინთა ჩვეულსა», თუ დღისით იყო მეუფის წინაშე, რომელიც არ უშვებდა «არცა ძილსა?» — იქნება მეუფისთან ერთად ქეიფსა სწევდნენ?!..

უკანასკნელი ლექსი თავლია მე-300 ხანისა: «აწ საწუთროსა გამყარა პირმან ბროლ-ბადანშეულმან!» — ნეტა, ესმოდან ამ ლექსის დამწერს, ტარიელს რა ათქმევინა? თუ ჩამოკაცდით მე-330 ხანის მის სიტყვა-გაზმულობას და მის აზრს დაგაკვირდებით, გამოვა, რომ ტარიელ





ავთანდილს უამბობს: ჩემი ყმაწვილობა ძალიან მსიარულად გავატარე, განდირობდი, გბურთაობდი და მუდამ ღხინში ვიყავი; ასეა კი, ჭნუდავ, ჩემმა საყვარელმა რა ჭირში ჩამაგდო?... რა უნდა იფიქროს ამასჯედ ავთანდილმა, თუ ტარეელისათვის გული შესტკევა, თუ არ ის რომ: აფსუს, რა ბიჭი წაასდინა იმ შეხვეწებულმა ნესტან-და-რეკვანმა, და მერე რა ცხოვრებას მოაკლო?!

საყვარლის წყევდრება მსიარულ ცხოვრების დაკარგვისათვის გრ. ორბელიანის ღოზიანას და ალექსანდრე ონიგოვს თუ მიეტყუება, რადგან მაგ ჯუჟის საღვს დაიღაც «ნიადაც ღხინთა ჩუუუსა», — აბანოში თუ ორთაჭალას, — არა სცალიან რომ «მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს», — ეგ მატათი ხელობა არ არის, სიუკარული მათთვის ერთი რამ ხათბაღას, რომელიც ღხინს უშლის და დაკარგებს უკარგავს; ტარეელს კი როგორ ეკადრება ასეთი უმადურობა და სიბრიყვე, რომ თავის სატრფოს «საწუთროს გაყრას» აყუადრებდეს? რაღას გვიჩადა რუსთაველი თავის «წინასიტყუაობაში» (მე-11 და 13 ს.), ვითომც სრული მიჯნური ის არის, ვისაც საყვარლისათვის «ჭირი ღხინად უხნდეს, მისთვის ცუცხლსა მოადებდეს», და ვითომც «კარგი მიჯნური იგია, ვან იქმს სოფლისა თმობასა?» — მისი საყვარელი გმირი, სრული მიჯნური ტარეელ კი ნანობს დაკარგულს განცხრომით ცხოვრებას და თავის მოყვარეს აყუადრებს, შენის გულისათვის ქეიფს მოკრდომ.

მე-330 ხანის სტილია დუნე და მოშლილია. ყაღბის მქნელს არ შეტრცხვა და რუსთაველის მომარჯუებულს ლექსს, — «სროლასა და ასპარესსა აქებდინ ჩემგან ქმნილსა», — დაუმატა თავისებური გაზტყულებული: «მოჭსრას მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემმან სრეულმან; მერე ვებურთი მოკდანს, მინდორით შემოქცეულმან»... თითქო «მხეცნი» არა ვმარდა და «ნადირნიც» ძალიან საჭირო იყო, ან ბურთაობა უთუოდ «მინდორით შემოქცეულმან» უნდა გამართოს? ისიც ცხადია, რომ «ისარმან ჩემმან სრეულმან», თავის სრულ დაბოლოებებით, მხოლოდ ლექსის შესავსებლად არის ჩართული. თუ ეს ორი ნაჯღაზნი ლექსი რუსთაველისაა, ნეტა, რამ აიძულა თავისი ზირკვლად თქმული ღამაზი ლექსი უგემურ გამოვრებით დაედუსტრების?

მიჯნურობისაგან დასწრელებული ტარიელ, რა ცოტად მოსჯობდა, რათა სიყვარული არ დაიწიოს, ცდილობს ჩვეულებრივი ცხოვრება, დაწახნობა დაიწყო. მეფისაგან მის აშბის შესატყობლად მოგზავნილ კაცს ეუბნება, რომ ხვალ ხელმწიფეს კვასლებაო (გვ. 76—77).

365. დარბაზს მივე, მეფე ჰბრძანებს: „ამის მეტსა ნუ იქმ აბა!“ ცხენსა შემსვა უკაპარტო, წელთა არა არ შემება; შესჯდა, ქორნი მოუტევენა, დურაჯები დაინაბა, მშვილდოსნები გასაგანნა, იტყოდინა: „შაბა, შაბა!“

367. ვეცდებოდი, არა მცალდა სევდისაგან თავის კრძალვად, ვიგონებდი, ცეცხლი უფრო მედებოდა გულსა ალვად; ჩემნი სწორნი წავიტანენ, ჩემსა დავჯე, მთქვიან ალად; შევექმენ სმა და ნადიმობა, პატიყთა და კირთა მალვად.

საკადმოყოფარს ტარიელს მეფე ამხნეებს, ალერსით თავს ეკლება და უნდა ნადირობით გაართოს თავისი საყვარელი ამირბარი, რომელსაც გაცხარებულ ნადირობაშიც მიჯნურობის აღი გულს უწევს და უღონებს. რომ მის სკედაინობის მიზეზზე ეჭვი არ შეიტანონ და მიჯნურობას არ მიხედნენ, ტარიელს თან მიჰყავს თავისი ტოლნი და ჰმართავს ნადიმობას, «პატიყთა და ჭირთა მალვად». ეს აზრი ცხადად სჩანს ზემოყვანილ ხანებიდან, რომელთა მოთხრობა ბუნებითად მიმდინარეობს; ყოველი მოვლენა ამ მოთხრობისა თავის რიგზე წარმოდგება და მათ შორის ლოგიკური, მიზეზობითი კავშირია გაყრილი. ხოლო ანკარა და მარტოვი მოთხრობა ტექსტისა შერყენა ვიღაც მწიგნობარმა ერთი ხანის ჩამატებით.—მან არ იკმარა ტარიელისაგან «შექმნილი სმა და ნადიმობა» და მეფესაც ნადიმი გადახდევინა:

366. შინა დავსხედით ნადიმად მას დღესა მინდორს რებულნი; მომღერალნი და მუტრიბნი არ იყვნენ სულ-დაღებულნი; მეფემან გასცა მრავალი თვალი, დარიბად ქებულნი; აუვსებელნი არ დარჩნენ მას დღესა მათნი ხლებულნი.

ამ ხანის უგემურობასა და სიტლანქეს როგორმე გაუძლეობდით და იქნება მისი სიყვალბე შეუმჩნეველი დაჩენილიყო, თუ თავ-



ვის ადგილზე სადმე შემოგვპარვოდა, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ეს აზოკრიფი მე-365 და 367 ხანებშია ჩასმული მოთხრობას სწავლავს და გაუგებლად ჰქნდა. გაუგებლობა ზიკვლის სიტყვითვე იწვება. ტარიელ მითომც გვიამბობს: «შინა დაკსკვლით ნადიმად... სად «შინა?» ტარიელ არა ჰქვს ერთმანერთში თავის სახლსა და მეუღის დაბრახსა, და ვეკვან თავის სახლს «შინას» კახის და მეუღის სახლს — დაბრახს (იხ. მე-347, 351, 352, 355, 359, 365 და სხვ.). აქ გი თითქო ნადიმი ტარიელის სახლშია, მეუგე მისწინდობს. შემდეგ, მე-367 ხანში, ტარიელ გვიამბობს: «ქემნი სწორნი წავიტანენ, ჩემსა დაკვკე.» — გამოდის, რომ მეუღის ნადიმობიდან, ან ამ ნადიმის გათავებით შემდეგ, ტარიელმა თავისი სწორნი თან წავიყვანა და თავის სახლში ხელ-ახლად ნადიმი გამართა. თუ ესრეა, მაშ დიდი უზღველობა მოსკვლია ამირბარს, რომ ხელმწიფის ნადიმი არ იმართა და შინ «ახალი სუფრის» გაშალა! ტარიელ და მისნი «სწორნი» ისე იქცევიან, თითქო ბიჭ-ბუჭები იყვნენ, რომელნიც დაბრახსებთან ღვინის კრიდებიან, და მეუღის ნადიმით ეშში შესუფნი ცალკე კამპანად საქაიფოდ დამსხდარან.

ზოკმას მოთხრობიდან სჩანს, რომ ტარიელს სიყვარული ჰქვას და ღვინი არ ესალისება, და თუ «შექმნა სძა და ნადიმობა», მხლელად «ზატყთა და ჭირთა ძალვად»; ამისათვის დღეში ზედიზედ ორი ნადიმის გამართვა საჭირო არ არის, — ერთიც კმარა ეჭვის ასაცილებლად, თუ არ უნდა რომ მსუნაგობა და ღოთობა დასჩემდეს. ამიტომ უფრო სათაქრებელია და ჭკუასთან ახლო, რომ ტარიელმა თავისი სწორნი «წავიტანა» თავის სახლში სანადიმოდ ნადიმობის შემდეგ და არა მეუღის ნადიმის შემდეგ. ესრეთი ქცევა ტარიელისა უფრო ბუნებითია და მის მიხანის შესაბამა: მორჩენილი ამირბარი მეუგეს სანადიმოდ ახლდა და მერე თავისი სწორნი სანადიმოდ მიიწვია, — ცხადია, რომ ამირბარმა თავისი ჩუუგებრივი ცხოვრება დაიწყო და შექცევა, მამასადამე ეჭვიც არავის ექნება, რომ მას, უბრალო ავადმყოფობის გარდა, უცხო რამე დამართოდეს.

საყვალბე მე-366 ხანისა მასის სტილითაც იმსილება, თუ შეკვარებით ამ მხრით მე-365 ან 367 ხანას. ეს გაჭიმული ფრანკე-

ბი: «შინა დაგსსედით ნადიმად მას დღესა მინდოვს რებუღნი», ან «მომღერალნი და მუტრბინი არ იყვნენ სულ-დაღებუღნი», ნუ თუ იმავე კაცის ნათქვამია, ვინც ჩოქურთმასაკით გამომჰყვით: «ქმნი სწორნი წავიტანენ, ჩემსა დაგვე, მთქვიან ალვად, შექქემენ სმა და ნადიმობა ვ:ტიეთა და ჭირთა მალვად?»

ლექსის შესავსებლად აზრით ღარიბა მწიგნობარი მეტს სიტყვებსა სმარობს: «მას დღესა მინდოვს რებუღნი», «მომღერალნი და მუტრბინი», «თვალნი ღარიბად ქებუღნი», «მას დღესა მათნი სლებუღნი»; იმავე განზრახვით ნასმარაა უკუთქმითი ფორმა: «არ იყვნენ სულ-დაღებუღნი» და «აუკსებუღნი არ დარჩნენ». მაგრამ ეს სრიკები მწიგნობარს ვერას ჰშეკლავს, და მისა სიტყვადავი აზრი მაინც ლაყდაყებს ფართო ბუღში.

XVII

ტარიელის ნადიმობის დროს მასთან მალვით მოვე ასმათ და ნესტან-დადეჯანის წიგნს მიაართმევს (გვ. 79—80):

373. წიგნი ვნახე, მისი იყო, ვისი მდაგავს ცეცხლი გულსა;  
 მოეწერა მზისა შუქსა: „ნუ დაიჩნევ, ღომო, წყლულსა;  
 „მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები, მაგრა ბნელა ცული მძულსა;  
 „აწ ასმათი მოგახსენებს ყველაკასა, ჩემგან თქმულსა.

374. „ბედითი ბნელა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?  
 „სჯობს, სიყვარულსა უჩვენე საქმენი საგმირონია;  
 „ბატეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი საზარაჯონია.  
 „აწ მათი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია.

375. „შენგან ჩემისა ქმრობისა წინასაც ვიყავ მდომია,  
 „მაგრამ აქამდი საუბრად კვლა ჟამი არ მომხდომია;  
 „ძულან ხელ-ქმნილსა გიჭვრეტდი კუბოსა შიგან მჯდომია.  
 „მანდა ყველაი მასმია, რაცა შენ გარდაგხდომია.

376. „მართლა გითხრობ, მოისმინე, ესე, რაცა მოგახსენე:  
 „წა, შეები ბატაველთა, თავი კარგად გამაჩვენე;  
 „ვიჯობს, ცუდად ნულარა სტირ, ვარდი კვლამცა რად დასტენე!  
 „მზემან მეტი რალა გიყოს, აჰა, ბნელი გაგითენე“.



ნესტან-დარეჯანის პირველი წიგნი თვით სრული და მძკენ-ერებით უკლები პოემა არის, პატარა ზესთა-თსზულება (chef d'oeuvre). მარტო ეს წიგნიც კმარა რუსთველისაგან მიჯნურობის ცოდნისა და მის გულთა-მხილავობის საჩვენებლად. რომელი მხარე სიყვარულისა, ან რომელი მოძრაობა გამიჯნურობულის გულისა არ გამომსჭვირს ამ რამდენიმე ლექსიდან, და რა სიწრფელით და სინამდვილით იხატება მასში ეს რთული და აწიზი გრძნობა!

პირველი სიტყვა, რომლითაც მიმართავს პირველად ნესტან-დარეჯან თავისს საყვარელს, — «ნუ დაინეკ, ღამო, წყლულსა», — თავლ-წინ წარმოგვიდგენს მომრცხვსა და სრულით ტურთავ ქალს, პირველად გამიჯნურობულსა, რომელსაც ეშინიან თავისი გრძნობის გამოვლენებისა. «მე შენი ვარ, ნუ მოჭკედეები», — ეშურება გასაცრის და წადილი აუსრულდეს თავის საყვარელს; მხოლოდ ამ სიტყვის ღოდინით იტანჯებოდა და ილეოდა ტარიელ, და რა წიგნში ჩაიხედა, მხოლოდ ამ სიტყვას ეძებდა. «მაგრა ბნედა ცუდი მძულსა», დაიწეებს ნესტან-დარეჯან და შესწეეეტს თავის სიტყვას... «აწ ასმითი მოგახსენებს ყეელაგასა, ჩემგან თქმულსა», — უცნაური ხასიათი სჭირს მიჯნურსა: ბერი სათქმელი აქვს მოყვრისათვის, მაგრამ, რა თავის საყვარელს შეეურება ან მასთან წიგნის წერას დაიწეებს, აზრები ევანტება, ენა დაებმის და კერძა მოუსერსებია. ჩვენმა სანდო მეგობარმა სმირად უფრო დაწერილებით იცის ჩვენი გრძნობა, ვინემ ჩვენმა სატროდომ. აქაც ეტეობა, რომ უფლის-წულს ბერი რამ გაუნდვია ასმითისათვის, რის თქმსაც თვითონ ამირბარს ვერ უბედავს.

«ბედათი ბნედა, სიკედილი, რა მიჯნურობა გგონია? სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია», — განზრდობს ნესტან-დარეჯან თავის შეწეეეტილ აზრს. ესეთია მარადის მიჯნურობის იდეალი ქალისა; მის ჭსურს მოქმედებადი სიყვარული და მიჯნური მხნე და მამანი, რომელმაც თავისი სიყვარული საგმირო საქმით უნდა დაუმტეიცოს და არა რხვრით და კენესით; მის ჭსურს, რომ მიჯნური მისთვის სასიქადულდო იყოს და «არ ავი უხნდეს მიზეზი მისისა ცრემლთა დენისა» (მე-488 ს., კვ. 107). ეს ქადილობა საყვარლის მამანობით და ქეელობით რომელს გამიჯნურობულ ქალს

არ უნატრია და რამდენა გვირობა (და უფრო მეტი სასულელე) არ ჩაუდენია კაცობრიობას ამ ნატურის ასასრულებლად?.. ნესტან და-რეკვან უნიშნებს კიდევ თავის მაჟნურს საგმირო საქმეს, რომლი-თაც მან უნდა ასახელოს მისი სატროფო: «სატაეთს მეოთენი ყველა-ნი ჩვენნი სასარაჯონია, აწ მათი ჯავახნი ჩვენსედა ჩვენგან არ და-სათმონაა». ნაზი და გულ-ჩხვილი სატროფო უეცრად ფერს იცვლის და უფლებას-მოყვარე დედოფლად წარმოგვიადგება, პარკულად გნობთ მის სასიათსა ამაყსა და «ნებოქსა», რომელიც შემდეგ გამოცხად-დება მის საქმომ სვარაზიმის მოკვლის ამბავში.

მუქარის ხმა განრისხებულ დედოფლისა, სააშავო წიგნში შემოაჩუქლი, მაშინვე სწუდება; მგრკინავა ნოტა დანთქმის ტებილ გალობაში ტროფობისას: «შენგან ჩემისა ქმრობისა წინასაც ვიყავ მდომია, მაგრამ აქამდე კვლავ უძი არ მომხდომია». ვისაც სიყვარუ-ლი გამოუდგია და გადახდილ სენისთვის გულ-დამშვიდებით თვა-ლი გადაუვლია, უთუოდ შეამჩნევდა, რომ ამ გრძნობას ერთი უცნაური ხასიათიც სჭირს: რაც უნდა ახლად დაზადებული იყოს სიყვარული, მანაც ცდილობს სიძველე დაიქმოს, თითქმის ამით უფ-რო დიდი ფასი დაეუბოდეს მიჯნურის თვალში და უაღრესი ძლიერება მიატოვოდეს. რა მიჯნური თავის სატროფოს სიყვარულში გა-მოტყუდობით გულ-დაიჯერებს, აუცილებელია არა ჭკათხოს: «როდის შეგიყვარდით?» და რა ნექტარია მის დადაგულ გულისათვის, რო-დესაც სატროფო უზანუხებს: «ყოველთვის მიყვარდიო, რამწამ და-გინახე, მაშინვე ვიგრძენ უცხო და ტბალი გულის სუთვას», და სხვა ამასთანები. თუმცა ეს სიტყვა თითქმის ყოველთვის ტყუი-ლია, მაგრამ სიყვარულში საუცხოვრეს ის არის, რომ მთქმელსა და მსმენელსაც კვ ტბალი ტყუილი სჯერათ... ნესტან-დარეკვანიც არ მოსცდება, რომ არ უთხრას თავის მიჯნურს ეს სანატრელი სიტყვა, რომელიც მისთვის მით უფრო საამოა, რომ მეფის ასულის სიყვარ-ულისა აქამდის არ იცოდა-რა. «ძულან სელ-ქმნილსა გიჭერეტი დი-კუბოსა შავან მჯდომია. მანდა ყველაი მასმია, რაცა შენ გარდა-გხდომია» — ანუგეშებს, დასასრულ, ტაროელს მისი სატროფო, და ეს თანაგრძნობის და გულ-შემატკივრობის სიტყვა ტაროელს გარ-დახდილ ტანჯვის გამქარებელია და მისის წყლულის მალამო.



ესრედ თავდება, ან უკეთ ვთქვათ—უნდა გათავებულყოფილ, ხეს-  
ტან-დარეჯანის წიგნი, ერთი რუსთაველის ჩინებულ ქმნილებათა-  
განი, რომელსაც ახნეკია უაღრესი სიტუირფისა და სისრულის ბე-  
ჭედი გენიალურ შემოქმედობისა. ეს წიგნი წყაროა და დასაბამი,  
საიდანაც წარმოსდინდება შემდეგი მოკლენანი ტარიელის და ნესტან-  
დარეჯანის სიყვარულისა, აქ არის პოემის ნასკვი, და მას იგივე  
მნიშვნელობა აქვს, რაც ტემას მუსიკალურ თხზულებაში. სტილი  
წიგნისა კლასიკურად მარტივია, ნათელი და ტურფა. ნამდვილი და  
ღრმა გრძნობა ღამის სიტყვებს არ დაეძებს, არამედ ისწრაფის  
მოყვასს სულს გამოეცხადოს, ამიტომაც ნესტან-დარეჯანის წიგნი  
სიტყვა-კანშიულობას მოკლებულია და მასში ერთად-ერთი მეტაფო-  
რა მოიძიება: «ნუ დაინეკ, ღომო, წყლულსა». სიყვარულის აღსა-  
რება ბუნებითად, თავისთავად და უნებლედ გამოივითქს გამოყვარე-  
ბულ გულიდან; მას არ ესაჭიროება მრავალ-სიტყვაობა და პირვე-  
რობა, რომ სიყვარულს თავი მოაწონოს და მისი გული მოიგოს,  
არამედ გულ-და-გულ ესაუბრება.

რადენი მნიშვნელობა აქვს აღმინის გრძნობის გამოთქმაში  
სტილს, ცხადად გამოჩნდება, თუ ნესტან-დარეჯანის პირველ წიგნს  
შეკადრებთ ფატმანის წიგნს, ავთანდილთან პირველად მიწერილსა  
(გვ. 242):

1079. ჰე, მზეო, ღმერთსა ვინადგან მზედ სწადლი დასაბადებლად,  
მით შენგან მოშორებულთა ლხინაი, არ კირთა მწადებლად,  
ახლოს შემყრელთა დამწველად, მათად ცეცხლისა მადებლად,—  
მნათობთა შენი შეხედვა ტბილად უჩნს, დასაქადებლად.

1080. შენ გტრფიალობენ მკვრეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდე-  
ვარდი ხარ, მიკვირს ბულბულნი რად არა შენზედ ჰკრთებიან! [ბიან;  
შენი შევენება ყვაილთა აჭკნობს და ჩემიც კენებიან;  
სრულად დამწვარვარ, თუ მზისა შექნი არ მომესწრებიან. და სსკ.

დასტურ, ღამისა ეს ფატმანის სააშვიკო წიგნი და მისი სტი-  
ლი მსუბუქი, მოკანშიული და სელოკუნური სრულიად ეთანსმება სა-  
თუნის სიყვარულს. რაც უნდა მართული იყოს ეგ გრძნობა პოე-  
ტურ მეტაფორებით, მაინც კერ შეაჯდენს მკითხველს თავის თვი-  
სებაზედ; რჩეულ სიტყვაობაში ცხადად გამოსჭვირს სარტიელი სი-

უარყოფი ავტორის ვაჭრის ცოლისა, რომელიც არა სჯერდებოდა თავის ქმარს, «მჭლესა და თვალად ნასისა». ნესტან-დარეჯანის წიგნის სტილიც უტუუვრად შეესაბამება მის გმნობას, და თუმცა უფლისწული გულ-ანდილად ეუბნება თავის მიჯნურს: «მე შენი ვარო» და «შენგან ჩემისა ქმრობისა წინასაც ვიყავ მდომია», მაგრამ ვერაინ მაინც ეჭვს ვერ შეიტანს მის გულ-წოფელ და უმანკო სიყვარულზედ. უფლის-წულის და კაცარის ცოლის წიგნების სტილებს შორის ისეთი განსხვავებაა, რომ ნესტან-დარეჯანის მიჯნურობა ფატმანის ენით გამოთქმული სიცრუევედ და ფარისუკვლობად გამოვიდოდა, და ფატმანის აშოკობა ნესტან-დარეჯანის ენით გამოთქმული — ურცხვობად. თვითეულ სტილით ისტება არა მხოლოდ სსკა-და-სსკაობა ამ ორი ქალის სიყვარულისა, არამედ თვითელი მათი ხასიათი და თვისება. ამასვედ არის ნათქვამი საფრანკეთში: სტილი თვით ადამიანიაო.

მაგრამ სტილიც საუბარში შორს წამიტაცა.

როგორც ზემოდ მოვასსენე მკითხველს, ნესტან-დარეჯანის წიგნი სრული და უნაკლო ზოეტური თხზულებაა. შეუძლებელია რაიმე მიკმატოს მას, რაც ნესტან-დარეჯანისაგანა ითქვას, და ამიტომაც ეს წიგნი მე-375 ხანით უნდა გათავებულიყო. მაგრამ მას მოსდევს კიდევ მე-376 ხანა, რომელიც ჭლამის ნათქვამს რაღაც დაუმატოს.

«მართლაც გითხრობ, მოისმინე, ესე, რაცა მოვასსენე», იწყებს მე-376 ხანა. ამ ლექსის წაკითხვისთანავე აუცილებელია, არ ვიკითხო: რა საჭიროა ეს შეგონებითი, იმელებითი და ძაღდატანებითი სიტყვები? რა სთქვა ნესტან-დარეჯანმა აქამდას ისეთი რამ დაუჯერებელი და შეუძლებელი, რომ ცდილობს კიდევ დააწმუნოს თავისი მიჯნური, ჩემი ნათქვამი ტყუილია არ არისო? რა საბაბი აქვს, ვითომც ტარიელ მის გრძნობაზე ეჭვს შეიტანს? თუ ჭკონია, რაც სათქმელი ჭქონდა ვერ გამოთქვა, — ანმათ ხომ აქ არის, რომელიც ამიბარს «მოახსენებს ეველასასა მისგან თქმულსა?» როგორ მიჯნურს წამ-და-უწუმ ფიცი უყვარს, მაგრამ ნესტან-დარეჯანის სიტყვა არც ფიცისა ჭკავს. მამ რაღა უნდა ჩაგონოს ნესტან-დარეჯანმა? თუ ტარიელს სიყვარული უნდა გაუმტკიცოს, — მისი სააშოკო წიგნი თვით ამის საბუთია, და თუ სატყულებთან შეხება უნდა აიძუ-





ლას, ეგერ მეტია, რადგან ომი ამიბარის სელობას და მარჯ-  
ლეობა.

«წა, შეები ხატაკელთა, თავი კარგად გამხევენ», — უბრძანებს  
კითომ ნესტან-დარეჯან თავის მიჯნურს. პირველი ნახევარი ამ ლექ-  
სისა მოხარულია მე-411 ხანიდან (გვ. 90); ხოლო მეორე ნახევარი  
გამეორებას იმ აზრისა, რომელიც ზემოდ ითქვა მე-374 ხანაში:  
«სჯობს, საყვარელსა უხევენ სქემნი სავაძრინია.» მაგრამ თვით  
ის ლექსიც, რომელიც უეჭველად რუსთაველისაა, — «წა, შეები ხატა-  
კელთა», — ნესტან-დარეჯანის წიგნში უდროოდ და უადგილოდ არის  
შემოტანილი და მე-376 ხანის სიყვადბეს ამხნეებს. — ძნელი დასა-  
ჯერებელია, რომ თავის მიჯნურს სატროფომ პირველს წიგნივე  
ეგრედ ბრძანება გაუბედოს, რადგან მისის სიყვარულის საბუთი, გარ-  
და «ბედითი ბნედისა», ჯერ არა აქვს-რას, სულ სსკა მნიშვნელობა  
აქვს უფლის-წულის გადაკრით ლაზარაკს მე-374 ხანაში: «ხატაკოს  
მეოფნი უკელანი ჩვენნი სახარაჯონია, აწ მათი ჯაგრნი ჩვენსედა  
ჩვენგან არ დასათმონია.» — ამით ნესტან-დარეჯან თავის საყვარელს  
ანიშნებს, აჭა, ომის საბაბი და შენი გამოჩენისთვის შემთხვევა, და  
ასლა შენ იცი და შენმა გაყვარებად, თუ გინდა სიყვარული დამიმტკი-  
ცო! თუმცა ნესტან-დარეჯანის სიტყვაში პირდაპირი ბრძანება არ  
არის, მაგრამ ვინ არ მისგდება, რომ ამას იქით ტარიელისთვის  
ხატაკოში საომრად წასვლა აუცილებელია? თქვენ წარმოიდგინეთ  
ტარიელ, რომელიც მკ სიტყვასედ ყურს მოაფრუბდეს, თავს მო-  
სულელებდეს, კითომც სატროფოს სიტყვას ვერ მისგება?!...

ნესტან-დარეჯანის გაწვევა ხატაკელებთან საომრად, მე-374 ხა-  
ნაში მოყვანილი, დიდად უფრო თავაზიანია და საყვარელთა ურთი-  
ერთობის უფრო შესაფერი, ვინემც პირდაპირი ბრძანება, — წა, შეები  
ხატაკელთა. მკ სიტყვას უბრძანებს ნესტან-დარეჯან თავის საყვარ-  
ელს, ხოლო თავის დროზე (მე-411 ს. 90 გვ.), როდესაც ლაშ-  
ქარნი მოგროვილია და ტარიელ სკალ საომრად მიდის ხატაკოს. მი-  
ნამ ვი, რაც ნესტან-დარეჯანმა მე-374 ხანაში ომის შესახებ ანიშ-  
ნა, სრულებით ვმარა ტარიელისთვის, თუ ის მართლად გმირია და  
უფლის-წული უყვარს. თუ არა-და მისი ბრძანება ვერცა გზით ვერ  
აძიულებს ამიბარის ხატაკოზე გალაშქრებას, რადგან წასვლა, თუ

არ წასვლა მის ნებაზედ ჰქიდა. — გინ შეიტყობს უფლის-წულის ბრძანებას ან ამირბარის უარსა, ეგ ხომ მათი საიადუძლავა. რომ ტარიელს ბერი ჩაგონება და ბრძანება არ უნდა, და რომ ადვილად მისვდა სატროფოს სიტყვას, მის ზასუსიდანა სჩანს, სადაც გმირი ძლივს თუ იხსენიებს სატაეთზედ გალაშქრებას: «რაცაღაა სამსახურსა, ვტუეო, თუღა ვერიადები». (379 ს., გვ. 81).

მესამე ლექსი მე-376 ხანისა, — «გიჟობს, ცუდად ნუღარა სტირ, ვარდი კვლამცა რად დასტენე», — იმავე აზრს შეიტავს, რაც მე-374 ხანის ლექსშია გამოთქმული: «ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჰხურობა გგონის?» და სსვ. და არჩას უმატებს იმ ნესტან-დარეჯანის გულშემატვიკირობასა და ნუგეშისცემას, რომლითაც ტარიელის ცრემლი უნდა შესწროს (იხ. 375 ს.).

უჩანასკნელი ლექსი, — «მზემან მეტი რაღა გიყოს, აჭა ბნელი გაგიოთენე», — ახარებულა თავსედობაა ხორჩი ქალას მხრით. რად აღარებს თავის თავსა მხესა და რად იკვეხნის საუკარლის წინ ბნელი გაგიოთენო, როდესაც ვერ არ იცის, ვის ან რას აღარებს ტარიელ იმის თავს? იქნება ტარიელის თვალში ის მხოლოდ მოკარება, — რას ჩემულობს წინასწარ მზეობას? მერე რაღა უნდა თქვას თავიომწონე უფლის-წულმა, როდესაც თავის მაჰხურისაგან ზასუსად მიუჯ: «მთვარეო, შენმცა მზე ვით მოგებია?» (387 ს., გვ. 81)... შესამდებელია, ვითომც რუსთაველს ეგრეთი შეცდომა მოსვლადეს, რომ სატროფო თავის წიგნში თავის თავს მზედ ჰსასაჯდეს, მიჰხური ვი ზასუსად მას მთვარეს აღარებდეს?

ლექსი «მზემან მეტი რაღა გიყოს, აჭა, ბნელი გაგიოთენე» თავის თავად უმნო არ არის და თავის დროზედ ხმალებული იქნება ლამაზ და ეფექტიან მიტაფორად ჩათვლილიყო. თუ, ვსთქვათ, ტარიელ თავის სატროფოს გულგრილობას აუკვდრიდეს და სთხოვდეს, ვით მოდრუბლულ მხეს, შუქი მომაფინეო, და თუ ამის ზასუსად სატროფო თავის გულის-თქმას გამოუცხადებს, მაშინ უადვილო არ იქნება თუ მოყვრისაგან ხმალებული შედარება ისეუთოს და სთქვას: მზემან მეტი რაღა გიყოს, აჭა, ბნელი გაგიოთენე. — ესეთი სიტყვის შებრუნება და აღმც მოსწრებულ ზასუსად ჩამოერთმეოდა ნესტან-დარეჯანს, ხოლო რადგან ვერ ტარიელისაგან მას არც წიგნი მო-



სკლავი, არც შირად თავის სიყვარული გაუხიარებია და არც მის მხედ ქსანჯეს ის თუ მთვარედ, უფლის-წულისაგან თავის თავის-ქება უგემურ კვებნადა რჩება.

მე-376 ხანის კილო, ერთობ თავმომწონი და თავხედა, არ შეეფერება ნესტან-დარეჯანის წიგნსა სიყვარლისადმი შირველად მიწერილს, არც თვით ქალის ხასიათსა და მისის გრძნობის თავისუფალს. ნესტან-დარეჯან ქარიანი ელწვია ქალი არ არის, რომელიც თავის მიჯნურს მხოლოდ იმისთვის ეარძიებდა, რომ თავისი გავლენა კაცს უხეუნოს და თავისი ყანი გაუგოდეს. ის თუმცა დიდი ინდოთ მეფის ასკლავი, ამჟამად და ნებური, მაგრამ თავისი ქალობა არ ავიწყდება და ბუნებითად მორცხვია. შირველს დანახვასზე, თუმცა ამას წინ თავისი სიყვარული ისე გულგაშლილად წიგნით აცნობდა, ნესტან-დარეჯან მორცხვობით ტარიელს «ვერას უთხრობს», რადგან «სირცხვილი აქვს სურბისა, მერმე თავსა ჭკობდალავს ლალი». (394 ხ. 85 გვ.); მეორედ: ტარიელისაგან «შირსა იფარვიდა, აისკდის წამის ჭერეტად» (406 ხ. 89 გვ.), რადგან «ჭხამს მისგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა». შემდეგ შაჰმის ტექსტში შეხედებით არა ერთხელ ნესტან-დარეჯანისაგან თავის ქებას, მაგალითად: «მხემან გაყრითა დავაჭენე, ვითა ყვავილი ბარისა» (408 ხ. 89 გვ.) და «ერთი ასეთი ცოცხალსა სხვა ღამე არ გაგთენოდეს» (491 ხ. 108 გვ.), მაგრამ ასეთი თავის ქება უადგილო აღარ არის მას შემდეგ, რაც უფლის-წულმა თავის მიჯნურის სიყვარული უკვე გამოხატა და ამირბარმა სატროფოს გავლენის ძლიერება გადახდილის ომით დაამტკიცა.

ესრედ, შეკნებით სრული წიგნი ნესტან-დარეჯანისა შირვენილია ყალბის დამატებით, რომელიც უკვე თქმულის გამოარებისა და რეტრის გარდა თავის თავზედ ტრანსპარენტად თავს გაპაუზრებს. ყალბის-მქნელს ნესტან-დარეჯანის წიგნი ეცოტავა და ჭკონია, რომ დიდ გრძნობის გამოხატვად წიგნიც დიდი უნდა, იმას კი კერძო მიმხედვარა, რომ ძლიერი და ღრმა გრძნობა ყუბდი არ არის. ადვილი წარმოსადგენია, რა უზომო სიხარული უნდა სწევოდა ტარიელს სატროფოსაგან წიგნის მიღებით, და რა ძლიერი სიყვარულის აღი უნდა აღვხეხულიყო მის დატანჯულ გულში, როდესაც უფლის-

წულმა თავისი სიყვარული გაუზიარა, მაგრამ რასა სწერს ზასუსად თავის სატრფოს? (გვ. 81).

378 «..... მთვარეო, შენმცა მზე ვით მოგერია?

«მე ღმერთმან იგი ნუ მომცეს, რაც არა შენი ფერია,  
«სიზმრად მგონია დარჩომა, ჩემი ვერ დამიჯერია.»

და რა დასწერა ეს საშიოდე ლექსი, ტარეელ იძულებულია გამოტყდეს: «მე ზასუსა ამის მეტსა ვერ მივხვდები...» რაც სათქმელი აქვს, იმას ახმათის ზირით შეუთვლის,—ისიც საშიოდე ლექსი და მოჩნა.

ად. ს.—შვილი



# რ ძ მ

VI\*)

## ყ ვ ე ლ ი

ბევრგვარი ყველია ცნობილი; მათი სახელები შეიძლება ასობით და ათასობით ჩამოვთვალოთ. ყოველგვარი ყველის მასალა რძის ხაჭოა, მაშასადამე, ერთი და იგივე აზოტური ნივთიერება. ყველამ კარგა იცის, რომ თუ რძე დიდის ხნით არის გაშვებული, ის დამჟავდება, შედედდება და ხაჭოს გამოიცილის; ამასვე ვხედავთ, თუ რძეს რომელიმე სიმჟავე მიეუმატეთ. ამგვარადვე მოქმედობს ერთგვარი ნივთიერება, რომელსაც დვრიტას ეძახიან (კვეთი, მაჭკი, ურჩხი) და რომელიც უხვად მოიპოვება ძუძუმწოვარა ხბორების, ბატკნების და გოჭების მეოთხე კუჭში. ყოველ ამ შემთხვევაში შეკვეთილი რძე დროს განმავლობით, ან გათბობით და ან დაჭრით ორად ნაწილდება: ძირს ილექება ხაჭო და მასზედ გროვდება შრატ (სველი). გამოცლილი ხაჭო ანუ ნაკვეთი შეიცავს რძის უმეტესს ნაწილ აზოტურ ნივთიერებას, რომელსაც შერეული აქვს მეტი ნაწილი ერბოსი და ცოტაოდენი შაქარი და მინერალური ნივთიერება; შრატში კი რჩება ცოტაოდენი ნაწილი შაქრისა, აგრევე ცოტაოდენი ნაწილი აზოტური ნივთიერებისა (ალბუმინი), ცოტაოდენი ერბო და მარილები. აქედან ცხადია, რომ ნაკვეთში მოთავსებული იქნება მეტი ნაწილი იმ საზრდო და სასარგებლო ნივთიერებათა, რომლებიც რძეში არიან; მაშასადამე, ნაკვეთი თითქმის იგივე რძე არის, რომელსაც წყალი აქვს გამოცლილი.

\*) «მოამბე», № I.

თუმცა რძე, როგორც ვიცით, ძალიან კარგი საზრდოა, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი ხნით ვერ შეინახება უვნებლად, მალე გაფუჭდება და დაჰკარგავს ყოველ ღირსებას. ამის წინააღმდეგ ნაკვეთი კი, სხვა-და-სხვა გვარად შემუშავებული, უვნებლად შეინახება დიდ ხანს და თუ ცვლილება ხდება რამე მასში, ეს ცვლილება მას ღირსებას უმატებს და უფრო ადვილად მოსანელებელი და ნოყიერი ხდება.

აქედან ცხადია, რომ რძის ყველად გადაკეთებაც სარჩევი და სასარგებლო უნდა იყოს, მეტადრე იმ ადგილებში, სადაც მისი რძედვე ან ერბოდ მოხმარება რამე გარემოების გამო მოსახერხებელი არ არის.

როგორც ვსთქვით, ყველი მრავალგვარია და მათი მოსამზადებელი მასალა კი ერთად-ერთი რძის ხაჭოა. მაშ ყველების სხვა-და-სხვა გვარობა დამოკიდებული უნდა იყოს არა მასალის სხვა-და-სხვა გვარობაზე, არამედ და მხოლოდ ამ მასალის სხვა-და-სხვა გვარად შემუშავებაზე. ამასთან, რადგანაც სხვა-და-სხვა ყველს სხვა-და-სხვა დამუშავება სჭირს და ხან ამ დამუშავებული მასალის სხვა-და-სხვა გარემოებაში შენახვა, ამისათვის ძნელია ყოველგვარი ყველის აწერა. მაგრამ რადგანაც ყოველგვარი ყველის მასალა ერთი და იგივეა და ამასთან ყოველგვარი ყველის მომწიფებაში დაახლოვებით თითქმის ერთგვარი ცვლილება ხდება, ამისათვის უფრო კარგი იქნება, თუ ჩვენ A) ჯერ გავსინჯავთ ყველის მომზადების საზოგადო საფუძველს და B) შემდეგ ცალ-ცალკე გავარჩევთ ყველის წარმომადგენელ უმთავრესს ტიპებს და მათ შორის განთქმულებს თავიანთის ღირსებით.

### A) ყველის მომზადების საზოგადო საფუძველი

როგორც წინადაცა ვსთქვით, მრავალ ნივთიერებით შეიძლება რაქ ჩავკვეთოთ, შევადგდეთ: სიმეხვე, ალკოგოლი, ზოგიერთი მცენარეების წვენი, მაგ. ლელვის ხის რძე, ხაჭიქო-



რას ყვაფილები, მეაუნა და სხვანი; ამგვარადვე მოქმედობს დვრიტაც, მაგრამ დვრიტით გამოცლილი ხაჭო ბევრად განირჩევა ზემოდ მოყვანილ ნივთიერების მომზადებულისაგან; ამისგამო ამ ორგვარ ნივთიერებათაგან შეკვეთილი ხაჭო ერთგვარ ყველს არ იძლევა. ამას ისიც უნდა დაფუძნოთ, როგორც სიმეაფენი, ისე სხვა ამგვარივე ნივთიერებანი, დვრიტის გარდა, მომზადებულს ყველს აძლევენ თავის გემოს და მათი მოქმედებაც ყოველთვის ერთგვარი და ერთის ძალისა არ არის, ამ გარემოებათა გამო ყველის მრეწველობაში მხოლოდ დვრიტაა გავრცელებული. მაშ პირველად ამ ნივთიერების გამოკვლევას შევუდგებით.

### 1) დვრიტა

დვრიტა ანუ კეთი ბლომად მოიზოვება ხბორების და ბატკნების მეოთხე კუჭში და განსაკუთრებით როცა ეს ცხოველნი მარტო რძით იკვებებიან. ყველის მომზადებაში ამ დვრიტის შემწეობით რძის შეკვეთა უმთავრეს და საინტერესო ოპერაციას შეადგენს. ამ ნივთიერების მოქმედებით შესაფერტემპერატურაზე სრულიად მტკნარი რძე სქელდება და იკვეთება რამდენიმე წუთის განმავლობაში. ასე შეკვეთილი რძე შეხედულობით სრულიად ნაზს მარმარილოს მიემსგავსება და, იმის მიუხედავად, რომ ძალიან რბილია და ჩვილი, ხელის შეხებით იმშვხრევა და შრატს იცლის. ამასთან შესანიშნავი ის არის, რომ ამ გარემოებაში რძის რეაქცია სრულიად არ იცვლება, ასე რომ დვრიტის მეოხებით სრულიად მტკნარი რძე იკვეთება.

თუმცა დვრიტის ხმარება დიდი ხანია გავრცელებულია, ბევრად წინად ქრისტესშობისა, მაგრამ მისი თვისება კი დიდ ხანს გამოუკვლეველი იყო. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროში შეუდგნენ მის გამოკვლევას. სწავლულებთაგან ზოგნი იმას ფიქრობენ, რომ დვრიტა ხაჭოზე პირდაპირ მოქმედობს ერთგვარი ნივთიერებით, რომელიც ცხოველების კუჭში მზადდება;

ზოგნი კი სრულიად ამის წინააღმდეგნი არიან და უარს  
ფენ დვრიტის პირდაპირ ხაჭოზე მოქმედებას და რძის შეკვე-  
თის მიზეზად მიაჩნიათ რძის შაქრის განაწილება, აქედან რძის  
სიმჟავის გაჩენა და ამ სიმჟავის იმგვარადვე მოქმედობა, რო-  
გორც ჩვეულებრივ გარემოებაში რძის დამჟავების დროს. ეს  
უკანასკნელი რწმუნება ამ ბოლოს დროს სრულიად უარყო-  
ფილია, რადგანაც მრავალის სწავლულებისგან და მრავალის  
გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ დვრიტა იმისთანა რძე-  
საც ჰკვეთავს, რომელიც სრულიად არ შეიცავს შაქარს, იმის-  
თანა ხაჭოს, რომელსაც მთლად გამოცლილი აქვს შაქარი.  
მაშ უნდა დავერწმუნოთ იმ სწავლულებს, რომლებიც ამტკი-  
ცებენ დვრიტის პირდაპირ ხაჭოზე მოქმედობას და ამით მისი  
თვისების შეცვლას. როგორც ვიცით, ხაჭო რძეში მთლად გა-  
ხსნილი არ არის, არამედ უფრო გაქლენთილია შრატით, და-  
ბუბკებული სახამებელივით. დვრიტა სრულიად აცლის ამ შრატს  
და ხაჭო ილექება, სქელდება და მაგრდება.

აქ ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის: დვრიტა ქიმიურად  
მოქმედობს ხაჭოზე, თუ როგორმე სხვაგვარად? როგორც ვი-  
ცით, ყოველ ქიმიურ მოვლენაში, ყოველ ქიმიურ მოქმედება-  
ში ერთმანეთზე მომქმედი სხეულები სრულიად იცვლებიან,  
ერთმანეთს ეკავშირებიან, ერთმანეთში ინთქებიან და ყოველ-  
თვის შეწონილი ურთი-ერთი რაოდენობით. დვრიტის მოქმე-  
დებაში ჩვენ ამას ვერა ვხედავთ; მართალია, ხაჭო იცვლება და  
დვრიტაც ჰკარგავს თავის ძალას და მაშასადამე არსებობას, მა-  
გრამ ის კი ძნელია დამტკიცდეს, რომ დვრიტა ამ გარემოება-  
ში მონაწილეობას იღებდეს ხაჭოსთან შეწონილი რაოდენო-  
ბით; დვრიტის მოქმედება და ძალა სულ სხვათვისებისაა, ვი-  
ნემ ქიმიური მოქმედება და ძალა: დვრიტის რაოდენობა ძლიერ  
მცირეა მისგან შეკვეთილი რძის რაოდენობაზე, მისი მოქმე-  
დება თითქმის გაუსაზღვრელია და ამით მისი მოქმედება უფრო  
მიემსგავსება დუდიჯის დედას მოქმედებას, ფერმენტის მოქმე-  
დებას. თუ ამ უკანასკნელ შეხედულობას მივიღებთ, მაშინ უნ-  
და ვიფიქროთ, რომ ხაჭოს ანუ რძის შეკვეთა დუდიჯა და





თითონ ღვრიტა—დუდილის დედა, ფერმენტი. ეს შეხედულება იმით მტკიცდება, რომ ის გარეგანი პირობანი, რომელთა შორისაც რძე იკვეთება, ძალიან ჰგვანან დუდილის გარემოებას და პირობებს. აქაც, როგორც ყოველ დუდილში, მომქმედი ნივთიერების რაოდენობა ძლიერ მცირედია მისგან გამოწვეულ მოქმედებასთან შედარებით და ეს მოქმედებაც ექვემდებარება სხვა-და-სხვა გარეგან პირობებს — ტემპერატურას, დროს და სხვანი.

როგორც ვიცით, დუდილის გამომწვევი ფერმენტები ორგვარნი არიან: ან ცხოველი ფერმენტი (ცხოველი არსება) და ან ქიმიური. ცხოველი ფერმენტები, როგორც ვიცით, ეკუთვნიან მცენარეთა ანუ ცხოველთა სამეფოს და ქიმიური ფერმენტები კი წარმოსდგებიან ცხოველთა არსებათა ორგანიზმისგან, მათგან არიან მომზადებულნი. მოვიგონოთ ინგერტანი, რომელსაც შაქრის დუდილის დედა ამზადებს და რომელიც ქარხლის შაქარს სცელის და აქცევს ყურძნის შაქრად. ალბად ამგვარივე უნდა იყოს ის ფერმენტიც, რომელიც ღვრიტაშია და რომელიც რძის ხაჭოზე მოქმედობს და სცელის მის თვისებას. ყოველი ქიმიური ფერმენტი ქიმიური სხეულია და ხშირად უფრო აზოტური.

ღვრიტის მოქმედებით რძის შეკვეთის ხასიათი და პროცესისი შეისწავლეს ბევრმა სწავლულებმა და მათი გამოკვლევადან ცხადად აღმოჩნდა შემდეგი საზოგადო მოვლენა: ამ შეკვეთის დროს ხაჭოში რჩება რამოდენიმე ნაწილი იმ ფორფორის-სიმყავის კირის მარილისა, რომელიც რძეში მოიპოვება და რომ ამ მარილს დიდი მნიშვნელობა აქვს მომზადებული ყველის თვისებაში. რამდენადაც ცოტაა ეს მარილი ხაჭოში, იმდენად ყველი რბილია, წებოვანი და ისეთი შეხედულობა აქვს, თითქოს ქონით იყოს გაჟღენთილი; ამის წინააღმდეგ რამდენადაც ეს მარილი ბევრია. შეკვეთილ ხაჭოში, იმდენად ყველს კარგი შეხედულობა და თვისება აქვს. თუ ხაჭო შეკვეთილია სიმყავეთა ზედ-მოქმედებით, მაშინ იმაში ძალიან ცოტა რჩება ეს მარილი და ამის გამო ყველიც კარგი არ არის,



როგორც, მაგალითებზე, ჩვენებური დომხალი. თუ სხვა-და-სხვა ხნის რძეს შევკვეთთ ღვრიტის შემწეობით, მაშინ ხაჭოში სხვა-და-სხვა რაოდენობას ვნახავთ ამ მარილისას და რამდენადაც ხნიერია რძე ანუ რამდენადაც უფრო დამყავებულია, იმდენად ცოტა იქნება ამ მარილის რაოდენობა. გამერსტენმა აიღო სრულიად მტკნარად შენახული რძე, აგრედვე იმისთანაც, რომელიც 24 საათით იყო გაშვებული ჩვეულებრივ გარემოებაში და კიდევ იმისთანაც, რომელსაც მიმატებული ჰქონდა დამყავებული შრატის და ესეც შენახული 24 საათით და სამივე ნიმუშს მიუმატა საჭირო ღვრიტა და შეადედა ერთგვარ გარემოებაში. შემდეგ ამისა სამივე რძიდან მომზადებულ დელამოტში გამოიკვლია კირისა და ფორფორის სიმყავის რაოდენობა და აქედან აი რა აღმოჩნდა:

კირის რაოდენობა: ფორფორის სიმე. რაოდენობა:

მტკნარი რძიდან	{	4,35	3,35
მომზადებულ დელამოტში.		4,46	3,60
		4,58	3,72
24 საათით შენახულ რძიდან. . . . .		3,60	2,56
მეყვე შრატ-შერეული რძიდან. . . . .		1,50	2,30

როგორც ვხედავთ, მტკნარი რძიდან მომზადებულ დელამოტში უფრო ბლომად არის ფორფორის-სიმყავის კირის მარილი, ვინემ დამყავებული რძიდან მომზადებულში.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ რამდენადაც ღვრიტით მომზადებული დელამოტი დიდ ხანს დარჩება შრატში, იმდენად დარბილდება და აგრედვე რამდენადაც დამყავებული იქნება შრატი, იმდენად შემცირებული იქნება მარილის რაოდენობა დელამოტში.

როცა ცოტად გამზარ რძეს ღვრიტას მიუმატებენ, მაშინ რამდენიმე ხნის შემდეგ ეს რძე გასქელდება და შეიკვეთება, გამაგრდება. ახლა შეიძლება ჭურჭელი გადავაბრუნოთ და რძე მაინც არ გადმოისხმება. თუ ახლა ამ შეკვეთილ რძეს დავსქრით, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ხაჭო გაყდენთილია



შრატით, რომელიც ჯერ სრულებით არა სჩანს და ახლა კი გამოეცლება. თუ მიკროსკოპით გამოვიკვლევთ ამ შეკვეთის პროცესს, მაშინ ჩვენ ვნახავთ შემდეგს: დაეახათ ცოტად მომთბარ ქიქის ფირფიტზე ერთი წვეთი რძე და ამას მოვუმატოთ ნემსის წვერით ცოტაოდენი დვრიტა და მიკროსკოპს შევუდგათ, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ რძის წვეთი მაშინვე ჩაქვირითავდება, გამოჩნდება მრავალი წვრილმანი გამაგრებული ნაწილები გამჭვირვალე სიჩხინტეში და რძეს ბაბთის სახე მიეცემა. ეს მოვლენა ერთბაშად არა ხდება, ამას რამდენიმე დრო უნდება და იმდენად უფრო ბევრი, რამდენიც ცოტაა მიმატებული დვრიტა.

იმის დასამტკიცებლად, რომ შრატი ერთბაშად არ ეცლება შეკვეთილ ხაჭოს, ლეხემ მოახდინა შემდეგი გამოცდილება: შეკვეთილი რძე პარკში იყო ჩასხმული და ჩადებული რამე ქურჭელში ისე, რომ პარკი შიგ გამოინადენ შრატშივე ყოფილიყო. ყოველ ნახევარ საათის შემდეგი პარკი იყო ამოღებული და ერთი წუთის შემდეგ, როცა დასველებულ პარკს შრატი გამოეცლებოდა, მთელი შრატი აწონილი იყო. შეკვეთილი იყო ერთი ლიტრი რძე და აი რამდენი შრატი გამოეცალა:

პირველი ნახევარი საათის შემდეგ შრატის წონა იყო	435	გრამი.
მეორე	560	"
მესამე	600	"
მეოთხე	625	"

აქედან ცხადია, რომ შეკვეთილ ხაჭოს პირველ ნახევარ საათში უფრო ბევრი შრატი ეცლება და შემდეგ თანდათან მცირდება იმის რაოდენობა. მაშ დელამოტი ანუ შეკვეთილი რძე ღრუბელს მიემსგავსება, რომელიც გაყდენთილია შრატით და რომელსაც ეს შრატი თანდათან ეცლება, რადგანაც ხაჭო იკრიფება, იკუმშება და მისი ტანი მცირდება.

ახლა გავსინჯოთ, როგორ მოქმედობენ რძის შეკვეთაზე და აქედან მომზადებულ დელამოტზე სხვა-და-სხვა გარემოებანი:

ა) დვრიტის რაოდენობის ზედგაკლესა. ამ მოვლენის ხანისათი ბევრად იცვლება მიცემული დვრიტის რაოდენობის დაგვარად; თუ შესაკვეთად ბევრი დვრიტაა მიცემული, მაშინ შეკვეთილი ხაჭო მშრალია და შრატს ადვილად იშორებს; თუ ამის წინააღმდეგ დვრიტის რაოდენობა მცირეა, მაშინ რძე დიდ ხანს იკვეთება და ამ გარემოებაში შეკვეთილს ხაჭოს შრატის ნელ-ნელა და ძნელად ეცლება, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ამ ორივე შემთხვევაში შესაკვეთი რძის ტემპერატურა ერთი იყოს. რძის შეკვეთის ხანას დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობაში; ჩქარა თუ ნელად შეიკვეთა რძე, ამის მიხედვით, დელამოტსაც სხვა-და-სხვა თვისება ექნება. მრავალი მეცნიერების გამოკვლევებიდან ცხადადა სჩანს, რომ ერთსა და იმავე ტემპერატურაზე და ერთი და იმავე დვრიტის ხმარებით, შეკვეთის ხანა უკუ პროპორციონალურია დვრიტის რაოდენობისა, თუ, რასაკვირველია, ერთი და იმავე რაოდენობის რძე არის შეკვეთილი. მაგ. თუ რომელიმე რაოდენობა დვრიტისა, ესთქვათ 1 კ. ს., შეკვეთს ერთ ლიტრ რძეს ნახევარ საათის განმავლობაში, მაშინ 2 კ. ს. ამავე რაოდენობის რძეს უეჭველად შეკვეთს 15 წუთის განმავლობაში. აქედან წარმოსდგება ის საზოგადო კანონი, რომ რძის შეკვეთის ხანა ერთსა და იმავე ტემპერატურაზე, გამრავლებული დვრიტის რაოდენობით უკუკლესას ექნება.

თუ დვრიტის რაოდენობა 1 კ. ს. ერთი ლიტრი რძე 30 წ. შეიკვეთება  
 2 კ. ს. " " " 15 წ. "  
 3 კ. ს. " " " 10 წ. "  
 და სხვანი.

მაშ გავამრავლოთ დვრიტის რაოდენობა შეკვეთის ხანის რაოდენობით და ჩვენ დავრწმუნდებით ამ კანონის სიმართლეში:

$$\begin{aligned}
 1 \times 30 &= 30 \\
 2 \times 15 &= 30 \\
 3 \times 10 &= 30 \\
 4 \times 7,5 &= 30 \\
 5 \times 6 &= 30
 \end{aligned}$$



მაშ რამდენადაც დვრიტა ბევრია აღებული, იმდენად ცოტა დრო უნდება რძის შეკვეთას. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ეს კანონი მართალია და უტყუარი მხოლოდ ერთგვარ მიჯნებთა შორის; თუ დვრიტა ან ძალიან ცოტაა ხმარებული და ან ძალიან ბევრი, მაშინ ამ კანონს სიმტკიცე ეკარგება. თუ დვრიტა ძალიან ცოტა არის მიცემული, მაშინ რძე დიდ ხანს არ შეიკვეთება და ხან სრულიად შეუცვლელი დარჩება, რაც დამტკიცებულია დიუკლოს გამოცდილებით. აგრედვე თუ დვრიტა ძალიან გადამეტებულია, მაშინ რძე ცხადად არ იკვეთება, მხოლოდ სქელდება. ამ ორივე შემთხვევაში, როგორც ზევითაცა ვსთქვით, კანონი უტყუარი არ არის.

თუ ახლა რძის შეკვეთის ხანის მაგივრად თვითონ რძის რაოდენობას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ აღმოჩნდება იგივე საზოგადო კანონი, რომელიც შეიძლება შემდეგის სიტყვებით გამოვხატოთ: „შეკვეთილი რძის რაოდენობა ურპროპორციანაა ღურობის რაოდენობისა,“ თუ, რასაკვირველია, სხვა გარემოება ერთგვარია; რამდენადაც მეტი დვრიტაა ხმარებული, იმდენად ბევრი რძე შეიკვეთება ერთს და იმავე ხანში და ერთსა და იმავე ტემპერატურაზე; მაგ. თუ 1 კ. ს. დვრიტა შეჰკვეთს 10 ლიტრ რძეს, მაშინ 2 კ. ს. დვრიტისა შეჰკვეთს 20 ლიტრს.

ამ ორივე კანონის დასამტკიცებლად სოქსლეტმა მოახდინა ვრცელი და საფუძვლიანი გამოკვლევა. იმან მოამზადა ისეთი დვრიტა, რომლის 1 კ. ს. ჰკვეთდა 10,000 კ. ს. რძეს 40 წუთის განმავლობაში და 35<sup>0</sup> ტემპერატურაზე და ამ დვრიტით გამოიკვლია ის დამოკიდებულება, რაიცა სუფევს ამის რაოდენობისა და რძის შეკვეთის ხანის შორის და ან რძის რაოდენობისა და დვრიტის რაოდენობის შორის. სოქსლეტის გამოკვლევებიდან ცხადად აღმოჩნდა, რომ თუ ამ რაოდენობათა დამოკიდებულება შეცვლილი იყო ან რძის შემცირებით, ან დვრიტის გამრავლებით, მაშინ შეკვეთის ხანაც იცვლებოდა; თუ დვრიტის რაოდენობა ორად იყო გამრავლებული, მაშინ რძე ორჯერ უფრო ადრე იკვეთებოდა. აი შედეგი ამ გამოკვლევისა:



ნახმარი დვრიტ- რაოდენობა	რძის რაოდენ- ობა.	რძის და დვრიტ. დამოკიდებულება.	შეკვეთის ხანი.
0,02 კ. ს.	200 კ. ს.	1 : 10,000 —	40 წუთი წამი.
0,02 ”	180 ”	1 : 9,000 —	36 — —
0,02 ”	160 ”	1 : 8,000 —	32 — 30 —
0,03 ”	210 ”	1 : 7,000 —	28 — —
0,03 ”	180 ”	1 : 6,000 —	24 — 30 —
0,03 ”	150 ”	1 : 5,000 —	20 — —
0,04 ”	200 ”	1 : 5,000 —	20 — —
0,04 ”	400 ”	1 : 10,000 —	40 — —
0,04 ”	160 ”	1 : 4,000 —	16 — 30
0,06 ”	180 ”	1 : 3,000 —	12 — —
0,10 ”	200 ”	1 : 2,000 —	8 — 15 —
0,20 ”	200 ”	1 : 1,000 —	4 — 16 —
0,30 ”	150 ”	1 : 5,000 —	2 — 6 —

აქედან ცხადია, რომ ერთსა და იმავე ტემპერატურაზე და ერთი და იგივე რაოდენობის რძის შეკვეთის ხანი დამოკიდებულია დვრიტის რაოდენობაზე და ისე რომ, რამდენადაც დვრიტა ბევრია მიცემული, იმდენად მალე შეიკვეთება რძე და ან თუ შეკვეთის ხანა ერთი და იგივეა, მაშინ იმდენად ბევრი რძე შეიკვეთება, რამდენადაც ბევრია დვრიტა. თუ დვრიტის რაოდენობა ერთი და იგივეა, მაშინ რამდენადაც ცოტა იქნება რძე, იმდენად მალე შეიკვეთება. როგორც ვნახეთ, სოქს-ლეტის დვრიტის ერთი ნაწილი ჰკვეთს 10,000 ნაწილ რძეს 40 წუთში; თუ ამის მაგივრად ორ ნაწილ დვრიტას ავიღებთ, მაშინ იმავე რძის შეკვეთას ორჯელ უფრო მცირე დრო მოუწდება  $\frac{40}{2} = 20$  წუთი. ამასვე ვნახეთ, თუ დვრიტის გამრავლების მაგივრად შესაკვეთი რძის რაოდენობას შევამცირებთ, მაგ. 10,000 ნაწილის მაგივრად ამის ნახევარს ავიღებთ—5,000; ეს რძეც იმავე ოც წუთში შეიკვეთება.

ბ) ტემპერატურის ზედგავლენა. დვრიტის მოქმედება ძალიან იცვლება ტემპერატურის ზედგავლენით და ამით უხვად სარგებლობენ მრეწველობაში სხვა-და-სხვა გვარი ყველის მოსამზა-



დებლად. ცხელი რძიდან მომზადებული დელამოტი სულ სხვა გვარია, ვინემ ცივი რძიდან. აგრედვე სხვა-და-სხვა იქნება რძის შეკვეთის ხანაც. თუ ტემპერატურის ზედგავლენას ჩვენ გავსინჯავთ რძის შეკვეთის ხანის მხრით, მაშინ აქაც დავრწმუნდებით, რომ ერთგვარ მიჯნებთა შორის (პრაქტიკაში მიღებულით) რამდენადაც რძის ტემპერატურა მაღალია, იმდენად მალე შეიკვეთება რძე და თუ შეკვეთის ხანა ერთი და იგივეა, მაშინ იმდენიც ცოტა დვრიტა მოუხდება. ეს კანონი დაახლოვებით უტყუარია 18—40° ტემპერატურის მიჯნებთა შორის. თუ რძის ტემპერატურა 18°-ზე დაბალია, მაშინ დვრიტის მოქმედება ძალიან არის შეფერხებული, თითქმის გამქრალია და მოსპობილი; 10—15°-ზე დაბალ ტემპერატურაზე რაც უნდა ბევრი დვრიტა იყოს მიმატებული, რძე მაინც შეუცვლელი რჩება, არ შეიკვეთება, 40°-ზე ქვეით და განსაკუთრებით 35—38° შორის დვრიტას დიდი და უპირატესი ძალა აქვს; 40°-ზე ზევით კი მისი ძალი ერთბაშად მცირდება და 55—60°-ზე დვრიტა სრულგვარადაა აღარ მოქმედობს. ნორმალურ მიჯნებთა შორის კი რამდენადაც ბევრია მიტეული დვრიტა, იმდენად დაბალი უნდა იყოს შესაკვეთი რძის ტემპერატურა.

ტემპერატურის ზედგავლენის ასახსნელად მაერმა მოახდინა მრავალი გამოკვლევა, რომელთა შედეგიც აქ მოგვყავს:

რძის და დვრიტის რაოდენობათა ურთიერთი დამოკიდებულება.	შესაკვეთი რძის ტემპერატურა.	რძის შეკვეთის ხანა წუთობით.
1: 5,000	23,°	178 წუთში შეიკვეთა.
—	29,°	80 —
—	33,°	65 —
—	38,°	52 —
—	44,°	არ შეიკვეთა
—	50°	არ შეიკვეთა

მეორე გამოცდილებაში ამავე სწავლულმა აიღო სხვა დამოკიდებულება დვრიტისა და რძის რაოდენობათა შორის,

მაგ. 1 : 2,500, მაშასადამე დვრიტის რაოდენობა ორჯელმეტ-  
ტი იყო წინანდელზე:

რძის ტემპერატურა.	შეკვეთის ხანი.
42,° <sub>6</sub>	35 წუთში შეიკვეთა.
40,° <sub>6</sub>	23,5 — —
38,° <sub>1</sub>	23 — —
35,° <sub>2</sub>	25 — —
33,° <sub>2</sub>	37 — —

აქედან ცხადია, რომ ყველაზე შესაფერი ტემპერატურა 38—40° არის და ყოველ გვარი გადაცილება, რომელისამე მხრით ამ მიჯნებზე, ამცირებს დვრიტის ძალას, ესე იგი როგორც ამაღლება, ისე დადაბლება ტემპერატურისა შესამჩნევად უშლის დვრიტის მოქმედებას და ხან, როცა მიჯნებზე ძალიან გადაცილებულია, სრულიად სპობს.—აქ ისიც არის შესანიშნავი, რომ ტემპერატურის ამაღლება ერთბაშად ამცირებს დვრიტის ძალას და დადაბლება კი, თუმცა აგრედვე ამცირებს, მაგრამ ისე ერთბაშად არა, არამედ ცოტ-ცოტაობით, ნელ-ნელა და ხარისხეულად.

ტემპერატურის და დვრიტის რაოდენობის ზედ-გავლენა რძის შეკვეთაზე, ეს ორი საზოგადო კანონი ჩვენ შეგვიძლიან ერთად შევათანხმოთ, შევავერთოთ და ერთი ფორმულით გამოვხატოთ, როგორც ლეზე გვიჩვენებს.

ასოთი x დავნიშნოთ რძის შეკვეთის ხანი.  
 — p — დვრიტის რაოდენობა  
 და — t — ტემპერატურა რძისა.

შედგების ხანი (x) იმდენად დიდი იქნება, რამდენადაც დვრიტა ცოტაა და ტემპერატურა დაბალია; მაშასადამე  $x = \frac{k}{pt}$ ; ასო k ამ ფორმულაში ნიშნავს კონსტანტს, იმ ერთ-გვარ დამოკიდებულებას, რომელიც დრო-ტემპერატურის და რძის რაოდენობათა შორის სუფევს.

ეს ფორმულა, ცოტად გადაკეთებული, ჩვენ შეგვიძლიან ძალიან სარგებლიანად მოვიხმაროთ შესაკვეთი რძის რაოდენ-





ნობის შესატყობად, თუ ჩვენ წინააღმდეგ ვიცით დერიტის რაოდენობა და დენიშნოთ ასოთი  $y$ ; თუ გვინდა შევიტყუოთ რომელსამე ტემპერატურაზე და რომელიმე ხნით რამდენი რძე შეიკვეთება, მაშინ ამის გამოხატვა შეიძლება ასე

$$xt = Ky.$$

ამ ფორმულით ჩვენ ადვილად შევიძლებთ ყოველ შემთხვევაში ვიპოვოთ როგორც დერიტის რაოდენობა, ისე შესაკვეთი რძისაც; მაგ. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ გვაქვს კარგი დერიტა, რომლის ერთ ნაწილსაც შეუძლიან  $35^{\circ}$ -ზე 10,000 ნაწილი რძე შეკვეთოს 40 წუთის განმავლობაში და ან 1000 ნაწილისა 4 წუთში და გვინდა შევიტყუოთ იმ რძის რაოდენობა, რომელსაც შეკვეთს ეს დერიტა  $26^{\circ}$ -ზე და ხუთი საათის (300 წუთი) განმავლობაში. თუ დერიტა  $35^{\circ}$ -ზე 40 წუთის განმავლობაში ჰკვეთს ( $xt$ ), მაშ ეს 35 (ტემპერატურა) 40-ით (შეკვეთის ხანი) გამრავლებული უნდა უდრიდეს რძის რაოდენობას, გამრავლებულს კონსტანტით ( $Ky$ ):  $40 \times 35 = 10,000 k$ . აქედან

$$k = \frac{1400}{10,000} = 0,14$$

ამ ნაპოვნი კონსტანტით ვისარგებლოთ და ვიპოვოთ შესაკვეთი რძის რაოდენობა აღნიშნულ პირობებში: 300 (შეკვეთის ხანი)  $\times$  26 (ტემპერატურა)  $= 10,000 k$ ; რადგანაც  $k = 0,14$ , ამისთვის რძის რაოდენობა ( $y$ ) შემდეგი იქნება:

$$y = \frac{26 \times 300}{k} = \frac{26 \times 300 \times 100}{14} = 55,815.$$

აქედან ცხადია, რომ ამ პირობებში ერთი ნაწილი დერიტისა შეკვეთს 55,815 რძეს. მაშ ასე ლიტრი რძის (100,000) შესაკვეთად დაახლოვებით ორი ნაწილი დერიტა მოუხდება.

ავიღოთ მეორე მაგალითი, რომელშიაც რძის ტემპერატურა  $36^{\circ}$ -ია და ხანი საათ-ნახევარი (90 წუთი);

$$\text{აქ } y = \frac{36 \times 90 \times 100}{14} = \text{ითქმის } 23,000.$$

ავიღოთ კიდევ მესამე მაგალითი, როცა რძის ტემპერატურა  $20^{\circ}$ -ია და შეკვეთის ხანა 24 საათი უნდა იყოს:

$$y = \frac{20 \times 1440 \times 100}{14} = 200,000.$$

ამავე გვარად შეგვიძლიან დვრიტის რაოდენობის პოვნაც, თუ ჩვენ გვაქვს შესაკვეთად რამოდენიმე რძე: მაგ. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ გვაქვს 300 ლიტრი რძე და გვინდა, რომ ის შეიკვეთოს 36°-ზე საათ-ნახევრის განმავლობაში. რადგანაც ამ გარემოებაში დვრიტის ძალა იქნება 1:23,000, როგორც ზემოთ-მოყვანილი მეორე მაგალითი გვიჩვენებს, ამისათვის 300 ლიტრი რძის შესაკვეთად საჭირო იქნება

$$\frac{300,000}{23,000} = 13-14 \text{ კ. ს. დვრიტისა.}—$$

ვისაც კი უნდა, რომ ყოველ შემთხვევაში ერთგვარი ყველი მოამზადოს, იმისთვის ყოველთვის საჭიროა შეიტყოს სახმარებელი დვრიტის ძალა, სულ ერთია ნაყიდი იქნება თუ შინ მომზადებული ეს დვრიტა. ამისათვის გამოცდილებით უნდა შეიტყონ რძის შეკვეთის ხანი თითონ იმავე რძეზე, რომლისაგანაც ყველს ამზადებენ. ამისათვის აიღებენ თიხის ჭურჭელს, ვსთქვით ქოთანს, რომელშიაც ერთი ან ორი ლიტრი რძე ჩადის და ჩასდგამენ ხის ფიცრების ყუთში, რომელსაც სახურავი აქვს. ამ ქოთანში ჩაასხამენ ერთს ან ორ ლიტრ რძეს, რომელიც თბილი უნდა იყოს. რამდენიმე ხნით შესვენების შემდეგ ამ რძის ტემპერატურას შეიტყობენ კარგი ტერმომეტრით, რომლითაც ამასთანავე რძესაც აურევენ. როცა ტემპერატურა ერთ ხარისხზე კარგა ხნით შეფერხდება და ერთგვარია, მაშინ მიუმატებენ 1 კ. ს. დვრიტას, რომელიც მიმატების წინად წმინდა და თბილი წყლით უნდა იყოს დანელებული. ახლა ქოთანს თავის ხუფს დაამხოვენ და ყუთსაც დახურავენ და შეასვენებენ. დრო გამოშვებით გასინჯავენ რძის მდგომარეობას და როცა შეიკვეთება, ამ ხანსაც დანიშნავენ. წარმოვიდგინოთ, რომ რძის რაოდენობა ერთი ლიტრი იყოს და 30° ტემპერატურა ჰქონდა და 5 წუთის განმავლობაში შეიკვეთა. მაშინ ამ დვრიტის ძალა იქნება, როგორც ზემოდ

მოყვანილი ფორმულიდან სჩანს  $\frac{40 \times 35}{5 \times 30} \times 1000 = 9000$ ; და-



ახლოვებით ეს იქნება ამ დვრიტის ძალა, ე. ი. ამ გარემოებაში იმის 1 ნაწილს შეედლება 9000 ნაწილი რძე შეკვეთოს.

თუ დვრიტა ნორმალურია და მის 1 ნაწილს შეუძლიან  $35^{\circ}$ -ზე შეკვეთოს რძის 10,000 ნაწილი 40 წუთის განმავლობაში, მაშინ ძალიან კარგი იქნება წინადავე იყოს გამოანგარიშებული საჭირო დვრიტის რაოდენობა სხვა-და-სხვა ტემპერატურაზე და ანუ რძის რაოდენობა, რომელიც შეიკვეთება სხვა-და-სხვა ტემპერატურაზე ერთი და იმავე დვრიტის რაოდენობით. როცა ეს წინადავეა გამოანგარიშებული, მაშინ საჭირო-და იქნება მხოლოდ ტემპერატურის შეტყობა, რომელიც ცხადად უჩვენებს რამოდენი დვრიტა უნდა მიემატოს შესაკვეთ რძეს.

ავილოთ, მაგალითებრ, იმისთანა ყველის მზომადება. როცა რძე უნდა შეიკვეთოს  $30-34^{\circ}$  შორის და სამი საათის განმავლობაში. თუ ჩვენ გვაქვს იმისთანა ძრიელი დვრიტა, რომელსაც  $35^{\circ}$ -ზე და 40 წუთის განმავლობაში შეუძლიან შეკვეთოს 10,000 რძე, მაშინ ამ რძის რაოდენობა

$30^{\circ}$ -ზე იქნება	$\frac{30}{35}$	$10,000=8,600$
$31^{\circ}$ — —	$\frac{31}{35}$	$10,000=8,850$
$32^{\circ}$ — —	$\frac{32}{35}$	$10,000=9,150$
$33^{\circ}$ — —	$\frac{33}{35}$	$10,000=9,400$
$34^{\circ}$ — —	$\frac{34}{35}$	$10,000=9,700.$

თუ დვრიტის ძალა 1:10,00 არ არის, არამედ სხვა რომელიმე, მაგ. 1: 9,000, ან 1: 5,000, მაშინ აქ ნაპოვნი რიცხვები უნდა გამრავლდეს 0,9 და 0,5-ით.

გ) რძისა და მისი ხაჭოს თვისების ზედ-გაკლენა. რძის და მის ხაჭოს მდგომარეობასაც კარგა შესამჩნევად შეუძლიან დვრიტის მოქმედება ან გააძლიეროს და ან შეასუსტოს. ამ მხრით ყურადღების ღირსია პირველად რძის რეაქცია. თუ რძეს სიმჟავის რეაქცია ატყვია, მაშინ დვრიტა ძლიერ მოქმედობს

და ამის წინააღმდეგ, თუ რძეს ტუტის რეაქცია აქვს, მაშინ ღვრიტის ძალა სუსტდება და ნეიტრალი რეაქციის დროს კი მისი მოქმედება ნორმალურია. ერთი სწავლულის კაპელერის გამოკვლევა გვიმტკიცებს, რომ თუ რძეს სუსტი ტუტის რეაქცია აქვს, მაშინ ეს რძე ერთსა და იმავე ხანში და ერთი და იმავე ღვრიტის რაოდენობით შეიკვეთება 37°-ზე; თუ ამის წინააღმდეგ რძეს ცოტაოდენი სიმჟავის რეაქცია აქვს, მაშინ ის შეიკვეთება 20°-ზე და თუ რეაქცია ნეიტრალია, მაშინ მის შესაკვეთად საჭიროა 28°.

მეორე სწავლულმა დე-ვევემ (Vevey) ამავე მხარის გამოსაკვლევად მოახდინა შემდეგი გამოცდილება: ერთი და იგივე ძროხის რძე ერთ დროს მოწველილი სამ ნაწილად გაჰყო და ერთს მათგანს მიუმატა ცოტაოდენი დამჟავებელი შრატის, მეორეს—ცოტაოდენი ტუტი და მესამეს კი არაფერი და სამივეს მისცა ერთი რაოდენობის ღვრიტა ერთსა და იმავე ტემპერატურაზე, რომელიც 35° იყო. აი შედეგი:

წმინდა რძე შეიკვეთა	24	წუთში.
მევე შრატ მიმატებული (8%)	13	—
ტუტე მიმატებული (1/4%)	720	—

აქედან ცხადია, რომ რამდენადაც რძე დამჟავებულია, იმდენად ცოტა ღვრიტის მიცემა დასჭირდება ერთსა და იმავე დროს შესაკვეთად, ანუ იმდენად ბევრი რძე შეიკვეთება, თუ ღვრიტის რაოდენობა ერთი და იგივეა. საყურადღებოა აგრედვე კირის მარილის რაოდენობაც რძეში; როგორც უკვე ვიცით, თუ ეს მარილი აკლია რძეს, მაშინ რძე კარგად არ იკვეთება; თუ კარგი ღვრიტის მიმატების შემდეგ რძე არ შეიკვეთა და ან კარგად არ შეიკვეთა, მაშინ ამის მიზეზი უნდა მოვძებნოთ ამ მარილის ნაკლებეფანებაში და ამის გასასწორებლად საჭიროა ძროხებს მიეცეთ ეს მარილი.

წყლისა და ხაჭოს რაოდენობაც მოქმედობს რძის შეკვეთაზე; თუ რძეს ნახევრად წყალს შევურევთ და შემდეგ ღვრიტას მივცემთ, მაშინ რძე სრულიად აღარ შეიკვეთება. ცოტაოდენი წყლის მიმატებაც აგვიანებს ღვრიტის მოქმედებას; ამ



მხრით საინტერესოა მაიერის გამოცდილება, რომლის შედეგად აქ მოგვყავს:

შეკვეთის ხანი:

წმინდა, უწყლო რძე	25	წუთში	ზეიკვეთა.
5% წყალი ჰქონდა მიმატ.	30	—	—
10 — — — —	36 <sub>8</sub>	—	—
20 — — — —	73 <sub>8</sub>	—	—

წყლით დანელებული რძის დაგვიანებული შეკვეთის მიზეზი უნდა მიეწეროს არა დვრიტის სისუსტეს, არამედ იმ გარემოებას, რომ ამით მცირდება ხაჭოს რაოდენობა და შეკვეთისათვის საჭირო კირის მარილისა. ეს რომ მართალია, იმით მტკიცდება, რომ თუ წყლის მიმატებასთან კირის მარილიც მიემატა, მაშინ აღარ დაგვიანდება მისი შეკვეთა.

რძის ძალიან გაცხელება ანუ აღუღებაც ამცირებს დვრიტის ძალას და ხან სრულიადაც სპობს. რამდენადაც დიდი ხნით იყო ნადული რძე და რამდენადაც გვიან აქვს მიმატებული დვრიტა, იმდენად ძნელდება და იგვიანებს მისი შეკვეთა. ნადული რძიდან მომზადებული ნაკვეთი ბევრად განირჩევა უმი რძის ნაკვეთისაგან: ნადული რძის ნაკვეთი ერთგვარი არ არის, ძალიან ფხვიერია და მისგან გამოცლილი შრატი წმინდა და გამჭვირვალე არ არის, არამედ მღვრივე და მოთეთრო.

აუღულარი რძის ნაკვეთი კი უფრო ერთგვარია, უფრო მაგარია და შეხედულობით კარგ და წმინდა მარმარილოს მიემსგავსება; მისგან გამონადენი შრატიც წმინდა და გამჭვირვალეა.

საზოგადოდ ამ ზემოდ მოხსენებულ გარემოებათა ზედგავლენას და მათ ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველის მომზადებაში; ვისაც უნდა, რომ ყოველ გარემოებაში ერთგვარი და ერთი ღირსების ყველი მოამზადდეს, იმან უეჭველად მხედველობაში უნდა იქონიოს ყველა ის გარემოება, რომელიც აძლიერებს თუ ამცირებს დვრიტის მოქმედების ძალას, რადგანაც ამ ძალაზეა დამოკიდებული შეკვეთილი ხაჭოს თვისება და მდგომარეობა და ამას ხომ უმთავრესი ადგილი უჭირავს ყვე-

ლის ღირსებაში. საზოგადოდ მიღებულია, რომ მაგარი ყველის მოსამზადებლად საჭიროა რძეს ჰქონდეს  $35-40^{\circ}$  ტემპერატურა, ღვრიტა ბლომად უნდა მიემატოს და რძესაც ცოტაოდნად მჟავე რეაქცია უნდა ჰქონდეს. ამის წინააღმდეგ რბილი ყველის მოსამზადებლად კი საჭიროა რძე სრულიად მტკნარი იყოს, ღვრიტის რაოდენობა მცირე იყოს და დაბალ ტემპერატურაზე მიეცეს. ერთი სიტყვით, ბევრი ღვრიტა მალე ჰკვეთს რძეს და ნაკვეთი მშრალი და მაგარია; ღვრიტის სიმცირე კი რძეს კარგად ვერა ჰკვეთს და ნაკვეთს შრავი ცუდად ეცლება. ერთი და იმავე რაოდენობის ღვრიტა, ერთსა და იმავე ტემპერატურაზე მომჟავო რძიდან უფრო მაგარ ნაკვეთს ამზადებს, ვინემ მტკნარი რძიდან. თუ საჭიროა ორივე გვარი რძიდან ერთგვარი ნაკვეთის მომზადება, მაშინ მომჟავო რძეს უფრო ცოტა ღვრიტა უნდა მიეცეს და დაბალ ტემპერატურაზე; თუ მტკნარი რძეა, მაშინ ტემპერატურა უფრო მაღალი უნდა იყოს და ღვრიტაც მომატებული.

მაშ ცხადია, რომ რძის ერთსა და იმავე ხანში შესაკვეთად, საჭიროა სახეში ვიქონიოთ ტემპერატურის და რძის თვისების გარდა, თითონ ღვრიტის ძალაც და ამის გამო ყოველ შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ იმისთანა ღვრიტა, რომლის ძალაც შეუტყველი რჩება დიდის ხნობით.

ძველად ყველგან და, ჩვენში ეხლაც, შინ მომზადებულ ღვრიტას ხმარობდნენ. ამის მოსამზადებლად იღებდნენ ხბოს ან ბატკნის გამშრალ კუჭს, სჭრიდნენ წვრილ ნაწილებად და რამდენიმე ხნით სდებდნენ ან დამჟავებულ შრავში და ან წყალში, რომელსაც ძმარი ჰქონდა მიმატებული. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ შრავს ხმარობდნენ როგორც დედას რძის შესაკვეთად. ამგვარი საშუალებით შეუძლებელი იყო ყოველთვის ერთგვარი და ერთის ძალის ღვრიტის მომზადება, რის მიზეზიც უფრო იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ კუჭში ერთი რაოდენობის ფერმენტი არ არის; ამას გარდა ისიც მოსალოდნელია, რომ შინ მომზადებული ღვრიტა წმინდა არ არის და ამისგამო ხშირადაც ცუდად მოქმედობს ყველის მომწიფე-



ბაზედ. ამისგამო დიდი ხანია, რაც ხელოვნური დვრიტის მომზადება დაიწყეს; ამას პირველად 1874 წელს მიჰყო ხელი დანიაში განხენმა და ახლა ამგვარად მომზადებული დვრიტა ძალიან არის გავრცელებული ყოველ რიგიანად მოწყობილ ყველის ქარხნებში.

ხელოვნურად მომზადებულ დვრიტის ხმარებას ის უპირატესობა აქვს, რომ ყოველთვის ერთის ძალისა არის და ერთგვარად მოქმედობს, რადგანაც მომზადებულია რამდონიმე ათასის ხბოს კუჭიდან. ეს გარემოება შეათანასწორებს სხვადასხვა კუჭების ურთიერთობას და ამის გამო ყველის გამკეთებელს ნებას აძლევს ყოველთვის ერთგვარად და ერთ პირობებში იმუშაოს და ამისავე გამო ყოველთვის ერთგვარი და ღირსეული ყველი მოამზადოს. ამას გარდა, რადგანაც ხელოვნურად მომზადებული დვრიტა უფრო წმინდაა, სუფთად არის შენახული და არავითარი მავნე უცხო ნივთიერება არა აქვს შერეული, ამისაგამო ყველის მუშაობა უფრო რიგიანად მიდის და შიში არ არის დაზიანებისა, რაც ხშირი მოვლენაა შინ მომზადებული დვრიტით მუშაობის დროს.

სოქსლეტის სიტყვით აი როგორ ამზადებენ ქარხნებში კარგს და ერთი ძალის დვრიტას: ამისათვის ხმარობენ რაც შეიძლება ახალგაზდა ხბორების გამშრალ და გამხმარ კუჭებს, რომლებიც უნდა გაიბეროს და სწრაფად გაშრეს ჰაერში. გაუმშრალი და გაუმხმარი კუჭების ხმარება იმისთვის არ არის კარგი, რომ ბევრი ლორწო აქვთ და ეს ძალიან უშლის ამით მომზადებული დვრიტის გაწურვას; გამშრალი და გამხმარი კუჭების ლორწო ვეღარ იხსნება წყალში და ამისათვის გაწურვას ალარ უშლის. რამდენადაც დიდ ხანს არის შენახული გამშრალი კუჭები, იმდენად მუქი იქნება მათგან მომზადებული დვრიტა, თუმცა კი ეს სრულიად არ ავნებს მის ძალას. საზოგადოდ ურჩევენ, რომ სამ თვეზედ ნაკლებად არ უნდა იყოს შენახული გამხმარი კუჭი. წყალში დაღობის წინად უნდა მოსკრან თავ-ბოლო, რომლებშიაც ფერმენტი ცოტაა და ლორწოს კი ბევრს შეიცავენ. იმის შესახებ, თუ როგორ უნ-

და ამოცალოს კუჭებს შიგ მყოფი ფერმენტი, სოქსლეტი და სალობად ურჩევს მარილ-წყალს, რომელშიაც მარილის რაოდენობა უნდა იყოს 3—6% და ან ცოტა მეტი. მუჟე შრატი ან ძმარი საჩრევი არ არის, რადგანაც ამით ძლიერი ღვრიტა ვერ მომზადდება, არც გადამეტებული მარილი არის კარგი.

მრეწველობაში გაერცელებულია იმისთანა ღვრიტა, რომლის ერთ ნაწილსაც შეუძლიან 10,000 ნაწილი რძე შეკვეთოს და აი ამას როგორ ამზადებენ: აიღებენ რამდენსამე ას კუჭს, გამშრალს და გამხმარს, რომლებიც არა ნაკლებ სამი თვისა უნდა იყვნენ მომზადებულნი, თაე-ბოლოს მოაჭრიან და გადაჰყრიან; დანარჩენი წვრილად უნდა დაიჭრას და ყოველ 100 გრამზე უმატებენ ერთ ლიტრ წყალს, რომელშიაც გახსნილია 50 გრამი მარილი და 40 გრამი ბორის სიმუჟე; კარგად შენჯღრევენ და დასდგამენ ოთახის ჩვეულებრივ ტემპერატურაზე. ხუთი დღის შემდეგ კიდევ მიუმატებენ იმოდენსავე მარილს (50 გრამი ყოველ ლიტრ წყალზე) და ამის შემდეგ გასწურავენ ქალაღში; ეს ძალიან ნელა იწურება, ასე რომ თითო ლიტრის გასწურვას უნდება ერთი და ხან ორი დღე. ერთი ლიტრის ღვრიტის გამოწურის შემდეგ ფილტრი უნდა გამოიცვალოს, რადგანაც უფრო ძნელდება გასწურვა მის პირზე ლორწოს მოფენის მიზეზით. ერთი ლიტრი ნახმარი წყლიდან გამოდის 800 კ. ს. ღვრიტა, რომლის ძალაც დასაწყისში 1 : 18,000 არის. პირველი ორის თვის განმავლობაში ასე მომზადებული ღვრიტა ჰკარგავს 30% თავის ძალისას და ამისგამო ვისაც უნდა იქონიოს ნორმალური ღვრიტა, ესე იგი 1:10,000, იმან ყოველ 800 კ. ს. უნდა მიუმატოს 200 კ. ს. 10% მარილწყალი. ორის თვის შემდეგ ამ ღვრიტას სწორედ ისეთი ძალა ექნება, რომ მის 1 კ. ს. შეეძლება შეკვეთოს 10,000 კ. ს. ანუ 10 ლიტრი რძე.

ამგვარად მომზადებული ღვრიტა დიდ ხანს შეინახება, რამდენიმე წლით და მისი მოქმედების ძალა თითქმის სრულებით არ შეიცვლება; ეს ღვრიტა საკმაოდ წმინდაც არის; მართალია, მარილი და ბორის სიმუჟე ურევია, მაგრამ ეს ნივთიერებანი



დელამოტში არ დარჩებიან, არამედ შრატში გადავლენ და თუ მაინც-და-მაინც ცოტაოდენი შერჩა, ეს ისე ცოტა იქნება, რომ არავითარ ვნებას არ მისცემს. თითონ შრატის ხმარებაც საქონლის საკვებად არ იქნება მავნებელი, რადგანაც თითო მილიონ შრატზე მხოლოდ 4 ბორის სიმყავე იქნება ( $\frac{4}{1000000}$ ) და ეს ხომ ძლივს შესამჩნევია და მაშასადამე არავითარი ვნების მოტანა არ შეუძლიან.

რასაკვირველია, შესაძლებელია უფრო ძრიელი დვრიტის მომზადება, თუ ერთსა და იმავე მარილ-წყალში ორჯელ ან სამჯერ დავალბობთ, ასე რომ ერთ ლიტრში დგება 300 გრ. სამჯერ გამოცვლით სოქსლექტმა ისეთი დვრიტა მოამზადა, რომელსაც ორი თვის შემდეგ შერჩა 1 : 30000 ძალა. გარდა ამისა ვაჭრობაში არის გავრცელებული მშრალი დვრიტა ან ფხვიერი და ან პატარ-პატარა კვერებად. ამ დვრიტას ძრიელი ძალა აქვს და სხვა-და-სხვა ქარხანა სხვა-და-სხვა ძალისას ამზადებს. მაგ. ვიტტეს ქარხანის მშრალ დვრიტას ისეთი ძალა აქვს, რომ იმის ერთ გრამს შეუძლიან 250,000 გრამი რძე შეკვეთოს; ბლუმენტალის ქარხანა ბერლინში და ბატერისა ბრესლაველში ამზადებენ ისეთ მშრალ დვრიტას, რომლის ძალაც უდრის 1 : 100,000. ამ მშრალ დვრიტას ის უპირატესობა აქვს, რომ თითქმის სრულიად წმინდაა და მისი ძალა მუდმივ შეუცვლელი რჩება; ამას გარდა ისიც ღირსია ყურადღებისა, რომ უფრო ადვილი გასაგზავნია. ამგვარ დვრიტას წონით ხმარობენ; რომელსამე საჭირო წონას თბილ წყალში გახსნიან და გამთბარ რძეს მიუმატებენ.

## გ. პეტრიაშვილი

(შემდეგი იქნება)

# სპარსეთი და იტალიის ქართველები

(მეზავრის წერილები)

## II

### თეირანი — დედა-ქალაქი სპარსეთისა

თეირანის მოედანი. — ძველი და ახალი ქალაქი. — დამოკიდებულება ევროპელთა და სპარსელთა შორის. — ბასტა. — ტახტი მარმარილოსი. — სასახლე შაჰისა. — სასახლე ნიზ სალთანისი. — სასახლე ამინ სულთანისი. — რაფიელ ხან ენაკლოფიანი და თავადი სულეიმან ხან სომხეთისა. — სიკვდილით დასჯა. — სომეხთა ეკლესიები და საფლავი შარვანოვისა. — საფლავი ალექსანდრე ბატონიშვილის ქალის ელისაბედისა. — ამბავი სამსონ ხან მაკანკოვისა, ალექსანდრე ბატონიშვილის სიძისა. — ძველი შაჰისა. — ჩვენი ნაცნობი ქარიზა. — შაჰბადულ აზიმში წასვლა და ერთი შემთხვევა. — უცნაური ქართველი ბიჭი. — დოქმან თავე. — შაჰის დაბრუნება სააგარაკო ადგილებიდან. — ილლიუმიანაია.

თეირანი კაი მოზრდილი ქალაქია, მცხოვრებთა რიცხვით ტფილისზედ ცოტა პატარაა, თუმცა ადგილი კი ბევრად ტფილისზედ მეტი უჭირავს. ლამაზი სანახავია მეტის-მეტად მისი მიდამო, როდესაც კაცი შორიდან თეირანს უახლოვდება. პატარ-პატარა სოფლები და აგარაკები აქვს შემომწყრივებული გარს, ყოველ მხრიდან და ნამეტნავად აღმოსავლეთის მხრივ, მთის ძირში, სადაც თეირანის მთელი დიდკაცობა გაიხიზნება ხოლმე ზაფხულობით.

სამაგიეროდ ვერაფერ შთაბეჭდილებას ახდენს თვით ქალაქი, რადგან შორიდან არ მოჩანს ფერად-ფერადად მოღვარე გუმბათები და მაღალ-მაღალი შენობები, როგორც ეს არის ხოლმე რომელიმე ევროპული ქალაქის მიახლოვების

\*) „მოამბე“, № II.

დროს. მიზეზი ამისი, რასაკვირველია, ის არის, რომ ერთი ან ორ-სართულიანი შენობები იციან და ისინიც სრულიად ჩამალულებია ბაღებსა და ხეივნებში. ქალაქს გარშემო შემოვლებული აქვს კაი დიდი თხრილი და თხრილს შიგნიდანაც სკირა ანუ ტალახის გალავანი, თავისის მრავალი ჭიის კარებებით, რომელთა შორის ბევრი ძალიან ლამაზია და შნოიანი.

შიგ შუა ქალაქში ერთი დიდი მოედანია, სახელად „თოფხანის მოედანს“ ეძახიან. შუაზედ ამ მოედანს აუზი აქვს, აუზის გარეშემო ევროპულად გამართული ყვავილის კვლები და პატარ-პატარა ხეები; ოთხივე მხარეს სდგას ოთხი ფანტასტიური ქორტი (სტატუია); კუთხეებში მალლად, თლილი ქვის ძირებზედ შეყენებულია ოთხი დიდი ზარბაზანი, რომლებსაც ოთხივე მხარეს, მგლებივით პირდაპირენილებს, გაუშვერიათ ტუჩები. გარშემო ყველა ამას ოთხ-კუთხად შემოვლებული აქვს ძველი რუსული ხიშტიანი (შტიკიანი) თოფების ღობე. მოედანი კაი მოზრდილია და ოთხ-კუთხი სანახაობა აქვს. გარს შემოვლებული აქვს შენობები. სულ სხვა-და-სხვა სახელმწიფო სამსახურებისა და უფრო მომეტებული სამხედრო. ყველა შენობაზედ, ყოველივე კარების ზემოდან გამოყვანილია უშველებელი სახელმწიფო ღერბი სპარსეთისა, ლომისა და მზისა, ფერადის წამლებით შეღებილი. ამ შენობებში უფრო თვალსაჩინოა სპარსეთის სახელმწიფო ბანკი ინგლისელებისა, ნახევრად ევროპული შენობა, ლამაზის საროთით<sup>1)</sup> შემკული. მოედანში შემოდის ექვსი ძალიან გრძელი და განიერი ქუჩები და ამისთვის მოედანს სიმეტრიულადა აქვს დატანებული ექვსი ძალიან ლამაზი ალაყაფის კარი სხვა-და-სხვანაირად მოხატული ფერადის მარქაცით. აქვე იყრება ოთხი ცხენის რკინის გზა, რომელიც ჯვარედინად შემოდის მოედანში ოთხი სხვა-და-სხვა მხრიდან.

მოედანი დაფენილია ქვით. აქ გამოდის სასეირნოდ თეი-რანის ხალხი. აქვე ირევიან წერილი ხელ-და-ხელი მოვაჭრენი.

<sup>1)</sup> საროთი—ჩუქურთმა (მოზაიკა).

ზოგს ტაბაკით კაკლის კუჭუჭი დააქვს, ყინულში გაცივებულნი; ზოგს აქვე გაუჩენია მასმორით (მაყლით) ცეცხლი, სტრუსავს ზედ ნედლი სიმინდის ტაროებსა და ღრიალებს, რაც ძალი და ღონე აქვს; აქვე ფილოსოფოსივით სდგას კონდიტერი, რომელსაც გაუშლიათავისი „სამფეხი“ და დაუდგავს ზედ დიდი მრგვალის სინით თავისი ხმელი ხილი, რომელთა შორის ყველაზედ მეტია დახალული და გაშავებული გოგრის თესლი და მუხუდო; ზოგი ხელით მოათრუალებს სამთვლიან კასრებს და შესთავაზებს გამვლელ-გამომვლელს მზრალსა (მაროენას). ზოგს ჩვენებური კინტოსავით თავზედ შეუდგავს გრძელი ხონჩა ანუ მრგვალი ტაბაკი და მოსთქვამს ლექსად ქებას მოხარული კარტოფილისას. ვირიანებისა ხომ თვლა არ არის, ბუზებივით ირვეიან: რიგისა კიტრსა ჰყიდის, რიგისა წვრილ საქმელ გოგრას, რიგისა შაქრის ჭარხალს,—რა ხილი სთქვას კაცმა, რასანოვავე, რომ სულ ვირით არ დაეზიდებოდნენ კარ და კარ. ვირზედა აქვთ გადაკიდებული ერთი განიერი და დაბალი საცალო, რომელსაც აავსებენ ხილით და თავს ისე მოუბამენ და შეუკოკოლავენ, რომ ორივე მხარე გაერთებულია ვირის ზურგზედ და ლამაზი სანახავია.

ეს ზოედანი ჩაითვლება შუაგულ ადგილად თეირანისა. ამის ქვემოდ ძველი ქალაქია და ამის ზევით ახალი. სამს ქუჩას მიჰყავს აქედან ძველ ქალაქში, სამს ახალში. ცხენის ორი რკინის გზა მიდის ძველი ქალაქისკენ, ორი ახლისაკენ; ახალი ქალაქი ბევრ რამეში მოაგონებს ევროპულ ქალაქს და ძველი ქალაქი კი ნამდვილი აზიაა.

ახალ ქალაქში ქუჩები სწორეა და განიერი, ქუჩის პირებში ჩაყოლებულია ყველგან ხეები. სახლებს ცოტა-ცოტაობით ამსგავსებენ ევროპულს. ქუჩის პირებში აღებენ და აკეთებენ სათითაო მაღაზიებს. სახლის პირი გამოაქვთ ქუჩაზედ და ქუჩის პირიდგან ატანენ კარ-ფანჯარასა და დერეფნებს. ამ ნაწილში საყურადღებოა უფრო ორი ქუჩა: ერთია „ლალაზარისა“ და მეორე „ჰალლადოვლესი“; ორივე თოფხანის მოედანში შედიან აღმოსავლეთის მხრიდან. პირველზედ ძალიან



ბევრი ხალხი დასეირნობს და მეორე მთლად ევროპულად უნდა ჩაითვალოს. აქ, თოფხანის მოედნიდან მოყოლებული ჯერ მაღაზიებია ევროპელებისა და სომხებისა და მერე მოსდევს სულ საელჩოები. ყველა საელჩო თითქმის ამ ქუჩაზეა გარდა რუსისა, რომელიც აზიურ ნაწილშია. ევროპული მაღაზიები სხვაგანაც ბევრია: არის ძველ ნაწილებში, ქარვასლებში, ლალაზარისა და სხვა ქუჩებზე. ერთი მათგანი, მაღაზია ტოკასი, ლალაზარის ქუჩაზედ საუკეთესო მაღაზიად ჩაითვლება ყველა ევროპულ ქალაქებშიაც.

ორივე ქუჩა და აგრედვე თოფხანის მოედანი განათებულია გაზით და ისე ახლო-ახლო სხედს ეს გაზის შანდნები, ნამეტნავ ლალაზარის ქუჩაზედ, რომ კაცს ილლიუმინაცია ეგონება, თუმცა ხშირად ისე უბედურად ბეუტავს, რასაკვირველია, მოიჯარადრეს წყალობით, რომ ქონის ჭრაქებს ამჯობინებს კაცი. შესრულდება ახლა ცხრა საათი თუ არა, მოსდევს ერთი თავიდან კაცი და აქრობს ფარნებს და დგება სწორედ ჯოჯოხეთის უკუმეთი მთელს თეირანში.

სრულიად სხვაა ძველი ქალაქი. აქ ქუჩა ბევრად ვიწროა ევროპულზედ და სრულიად უსწორ-მასწორო; ზედ შუა ქუჩაზედ გაჭრილია არხი წყლისთვის და არხის ორივე პირზედ ჩაყოლებულია ხეები, წყლის დასაჩრდილებლად. ამის გამო ქუჩა უფრო ვიწროვდება და აქეთ-იქით მხოლოდ საცალ-ფეხობილიკი-და რჩება. სახლებს ქუჩისაკენ ზურგები აქვთ მიქცეული და პირი კი შიგნით ეზოსკენ შებრუნებული; არც ერთი სპარსელი არ დაატანს სახლს ქუჩის პირიდან კარ-ფანჯარას.

ეს ჩვეულება ასახსნელია იმითი, რომ ამათ ქალები შეკეტილში ჰყავთ დაკრძალულები და ქუჩის ცრუსა და მავნეს ხომ, რასაკვირველია, უფრო მოერიდებიან. რომ ეინმემ კიდევ გაზბედოს ასეთი საქმე, ნამეტნავ პატარა ქალაქებში, მეზობლები უჩივლებენ, — ის იქიდან გვზვერავს და გვითვალყურებსო. ერთი სწორედ ასეთი შემთხვევა მოხდა ისპაანში, ჩემს იქყოფნის დროს და, წარმოიდგინეთ, ეს შემთხვევა იყო სომხებში, იმათს ჯულფაში. ესევეა აგრედვე მიზეზი მისი, რომ

მთელს ირანში სახლი ერთ სართულიანი იციან. ვინმე რომ მაღალი სართული დადგას, მეზობლობა ნებას არ მისცემს: შენ მანდედან ყველა ეზოებში გადაიყურები და ჩვენი დედაკაცები თავის სახლ-კარშიაც კი ვერ გამოდიანო.

ბაზარს აქაურს ადვილად წარმოიდგენს ჩვენებური კაცი, ვისაც კარგადა აქვს ნანახი და გასინჯული ავლაბრის ქარვასლები, თუმცა დიდი განსხვავებაცაა მათ შორის. აქ ერთი ქარვასლა მისდევს მეორეს, მეორე მიბმულია მესამეზედ და მიდიხარ ასე დაუსრულებლად გაღერეიებში; არ იცი, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. აქ ყველა მხარეს ჩამწკრივებულნი არიან მოვაჭრენი და ხელოსნები. ერთი რომ ლამაზი კოხტა ევროპული მაღაზიაა, გვერდით ჭუჭყიანი და მყრალი დუქანია გამართული. ერთში რომ აბრაშუმეულს უზომავენ მუშტარს, მეორეში კბილით ჯღანს ექიდებიან; აქა ზის ყველანაირი მოვაჭრე; აქვე არიან ხელოსნები და არახუნებენ კვერით სხვა-და-სხვა სამუშაოს; აქვე სხედან სეუდნი—ნოტარიუსნი; აქვე არიან საქმელების მომხარშავნი; აქ არიან მისანნი და მერამლენი, აქ არიან ზარაფნი; დილით ბინდამდის ხალხი ჭინჭველასავითა ფუტფუტებს—რიგისა მიდის, რიგისა მოდის, რიგისა ვაჭრობს; ზოგი მღერის, ზოგი ყორანსა კითხულობს და ილოცება, ზოგი გალობს, მოწყალებას თხოულობს. აქა ჰნახავთ მოხელეებს, საქმეზედ მიეშურებიან; აქვე შეგხვდებით თეთრი ვირი, ოქრომკედით ნაკერი, ხავერდის ფაღონით შეკაზმული, რომელზედაც აღმხედრებულა კოხტა სპარსელი და სადარბაზოდ მიეშურება თავის მხლებლებით; აქვე მოუდის მვაქლეშის ერთი ან ორი აკიდებული აქლემი, თორე ხშირად მთელი ქარვანაც; მოდის და მოათამაშებს ჯოხს ხელოში კოხტა-პრეწია ევროპელი მაღალი ცილინდრით და ლაიკის თათმანებით. მოსდევს უკან მევირე და მოერეკება ტალახითა და ავურით დასაპალნებულ ვირებს; გვერდში იქვე კალიასავით მიჰსევიან მაღაზიას პირბადე ჩამოფარებული და მუთაქასავით ჩადრში გამოხვეული ქალები; მოახლოებითა ზის სეიდლა, გაუშლია წინ სურათი ალის წამებისა და გრძელი ჯო-



ხით უჩვენებს და უხსნის ხალხს მათ მნიშვნელობას. მის გარეშე შემოაგაოცებული ხალხი ჩაცუცქებულან და სულგანაბულნი შეჰყურებენ ხან სურათსა და ხან სეიედს; აქვე მოუდის ჩავლადარს ჯორ-ვირები ჩეოთი და ჰოროლით, საიდგანაც შიგ-მსხდომ დედა-კაცებს გადაუწევიათ ცოტათი პირ-ბადე და ცალი თვალით, ჩუმ-ჩუმად ათვალეირებენ ამვლელ-ჩამვლელებს; აქვე მოდის გადახდილი კალიასკა შაჰის ცოლებით, რომელსაც გარს აუარებელი ამაღა ახლავს და ხალხს განზედ აყენებენ, რომ არავინ გაბედოს და არ შეხედოს მათს მშვენიერებას.

თეირანში მოსვლის უმაღვე, მე გადავწყვიტე, რომ სასტუმროში უნდა მეცხოვრა, რადგან ენა არ მეყურებოდა. აქ კი შესაძლებელი იყო, ვინმე შემხვედროდა ისეთი, რომელსაც ან ქართული ან რუსული ენა სცოდნოდა. ჩემი მოლოდინი გამართლდა თვით სასტუმროს პატრონი ცოტ-ცოტაობით ამტვრევდა რუსულს; აქვე სცხოვრობდა ერთი ახალგაზნა რუსი ერთ კერძო რუსის ბანკში მოსამსახურე და რუსულს გარდა, არავითარი ენა არ ეყურებოდა.

დღეს თეირანში ორი სასტუმროა: ერთი ის, სადაც მე ჩამოვხდი და რომელსაც ალბერტის სასტუმროს ეძახიან, ლლაზარის ქუჩაზედ და მეორეც ინგლისელებისა, ჰალლაღოვლეს ქუჩაზედ. ორივე უხვიროებია ძალიან, თუმცა რაც ღონეა ისევე მეორე სჯობია და ორივეზედ კი უკეთესია ანზალიის სასტუმრო. დღეს თეირანი დიდი ქალაქია, საკმარისადა ჰყავს წამსვლელ-მომსვლელი და დიდ ნაკლულევენებად უნდა ჩავთვალოს, რომ ერთი რიგიანი სასტუმრო არ მოეპოვება.

ჯერ არც კი დამესვენა, ჩემთან შემოვიდა ერთი უცნობი, აღ—ე თ—ძე შ—ლი. რუსულად ლაპარაკობდა. მთხოვა: რუსეთს მივალ, თქვენ, როგორც ახლად მოსულს, რუსის ფული გექნებათ და, თუ შეიძლებოდეს, მომიყიდეთო. აქედან გამოველაპარაკენით ერთმანეთს და აღმოჩნდა, რომ მთის ინჟინერი ყოფილიყო, ექვსი წელიწადი საქართველოში ეცხოვრა, ხოდაშენში (კახეთს) მამულებიც შეეძინა და ბევრი საზოგადო

ნაცნობები დამისახელა, ნამეტნავ კახეთში. ცოლი ქუთაისში შეერთო (ქართველი ქალი არა) კაი ქართულის მცოდნე, თითონაც ორი-სამი სიტყვა იცოდა. მერე ყოველისფერი გაეყიდნა და ცოლ-შვილით აქეთ წამოსულიყო. ეხლა აქა ჰყიდდა კიდევ ყველაფერს და მოსკოვს მიდიოდა, იქ რაღაც სამსახური ეშოვა. რაც სიჩქარის გამო ვერ გაეყიდნა, ლატარიაში ჩაევდო. ფული ბევრი მოეგროვებინა. ლატარიის შემდეგ ვახშამი გაემართათ და მეორე ღამეც ზედ მოებათ. მე ავად ვიყავი, ვერ ვეწვიე და როგორც სასტუმროს პატრონისაგან გავიგე, ის, ლატარიაში აღებული ფული, იქვე მიეფლანგა. როდესაც შემდეგ ჩემს სანახავად შემოვიდა, მე ვუსაყვედურე: მართალია, ამ შუა სპარსეთში ძალიან მიამა, როდესაც თქვენი მრავალჯამიერის ხმა შემომესმა, მაგრამ რა იყო, ის იმოდენა ფული რაზე გაჰფლანგე-მეთქი. იმან მიპასუხა: ყველას რო გაუკვირდეს, შენ არ უნდა გაგკვირებოდოდა, როგორც ბუნებით ქართველს,—მე ხომ თქვენი შეგირდი ვიყავიო. ეხლა მე ეხედავ, რომ შენ ექვს წელიწადში შენი მასწავლებლებისათვისაც გადაგიქარბებია, ძალიან ნიჭიერი შეგირდი გამომდგარხარ-მეთქი.

ამის შემდეგ ხშირად დაიარებოდა ჩემთან, ვიდრე თეირანიდან გავიდოდა და ვსაუბრობდით სხვა-და-სხვა საგნებზედ. ერთხელ, როდესაც მე ვკითხე, რად დაანებე კახეთს თავი, რატომ იქვე არ დაჰსახლდი-მეთქი. იმან ასეთი პასუხი მომცა: იმისთვის, რომ ცხოვრება მინდოდაო და გაიღიმა. კახეთი მშვენიერი ქვეყანაა, ძალიანაც მიყვარს, მაგრამ იმისი სიმშვენიერე მე კუჭს ვერ გამიძღობდა. იქ, იქაურები ვინც არიან, ისინიც კარგი მომზადებულები არიან, იმათ თითონაც გასჭირებიათ თავის დარჩენა და აქ კი მე „მეფე ვარ ბრმათა შორისაო“ და კიდევ გაიცინა.

ეს იმისი სიტყვები, ჩემის აზრით, მრავალმნიშვნელოვანია. მართლაც-და, ვინც კი აქ ევროპელია, სულ ისეთი, რომელსაც თავის ქვეყანაში ვერ შესძლებია ლუკმა პურის მოპოვება. მოდის აქ, ამ სიმორცხედ, გადმოიკარგება და რაც უკადრისია იმასაც იკადრებს, ოღონდ თავი დაიჩინოს—და ანუ, თუ დღე





გამოუდარებს, ბევრიც შეაგროვოს, რომ შემდეგში თავ-მოწონებით გაბრუნდეს ისევ თავის ქაეყანაში და უკანასკნელი დღეები სიტკბოებით გაატაროს. რას იტყვის კაცი უსინდისო საქმეს, რომ უფრო მომეტებულად იმათი ხელიდან არ გამოდიოდეს. ყველა ხელზე მოსამსახურე, ყველა მეკოფოე, ყველა ქუჩის მაწანწალა ამისთანა შორ ქვეყანაში და გაუნათლებელ ხალხში მიეშურება. რა უნდა შეიტანონ ამისთანა ყარტალ-ყურტალებმა რიგიანი და გამოსადეგი რამ იმ უცხო ხალხში? რასაკვირველია, ყოველივე ის, რაც ნაკლულევანებას შეადგენს ევროპული ცივილიზაციისას, რაც დასაწუნი და გასაკიცხი მხარეები აქვს მას. აქედან წარმოსდგება სიძულილი სპარსელი ხალხისა „ჭარანგისადმი“, როგორც ისინი უწოდებენ ევროპელთ; ეს არის უპირველესი მიზეზი, რომ, როგორც აზიაში ბევრგან, ისე სხვა ქვეყნებში ევროპელებს კარი გამოუხშეს. რა ჰქმნან, რომ ასე არ მოიქცნენ? სად იყო ერთი ისეთი შემთხვევა, რომ ევროპელთ, უანგაროდ, სხვა ხალხთათვის სასიკეთო რამ განეზრახათ და ამ განზრახვის შესრულებამდე ეს გუნდი და გუნდი სალახანათა და მაწანწალათა უწინარეს არ შეჰსეოდეს იმ ქვეყანას კალიასავით? სად იყო ერთი ისეთი შემთხვევა, რომ ევროპელმა ფეხი შესდგა გაუნათლებელ ქვეყანაში და ვიდრე იმათ თავის ცივილიზაციას მიაწვდიდა, თვით იმავე ცივილიზაციას არ ამოაჭამა ხალხი? რას ჰმოწმობს ვანდიმენების ქვეყანა? რას ასწავლის მთელი ავსტრალია და ამერიკა თავისის განათლებული მენიკელებითა და პერეულებით? რა მაგალითია უფრო კარგა მომზადებულის და ძველად დიდის განათლების შექონის აზრის სხვა-და-სხვა ერთა, მოყოლებული ინდოეთიდან? მერე თვითონვე მიჰყვებიან და უგუნურებაში ამტყუენებენ: კარებ დაკეტილში სხედან, ევროპის ცივილიზაციის უკვდავებას არ ეწაფებიანო. ხალხს თავისი ალლო აქვს, რომლითაც ის ყოველთვის ხელმძღვანელობს. რა ჰქმნას? უნდა დეეწაფოს, მაგრამ რად უნდა, თუ კი ჰკრძნობს, რომ ის უკვდავება პირად მისთვის პირველი მომაკვდინებელი იქმნება. ნუ თუ გასამტყუნარია, რომ ხალხი თავისის ხელით თავს არ იკლავს!

ეს მაგონებს ერთ პატარა ქართულ ლექსს: „ცხვარს ყვავები დაჰსეოდა, არწივმა მათ ზარი დასცა; ცხვარმა მადლობა შესწირა, მან კი სარჩოდ წარიტაცა“. უკაცრავად მკითხველთან, რომ ჩვენ აქ ცოტა სიტყვა გავაჭიანურეთ, მაგრამ ეს მოგვაგონა სპარსელებისა და „ფარანგების“ ერთმანეთში დამოკიდებულებამ. სპარსელს სძულს ჭირივით, თუმცა ეშინიან კიდევ იმისი. ისე არ გაივლის ქუჩაზედ ევროპელი, რომ დღესაც ხშირად ან მასხარად არ აიგდონ და ან თავსიცილი და კიჭინი არ დააყარონ, თორე ხანდისხან პატარ-პატარა კენჭსა და ჯიხებსაც მიაყოლებენ ხოლმე უკანიდან.

ჩემს ისპანში მყოფობის დროს ერთი ახალგაზდა ყმაწვილი, სახელმწიფო ბანკში მოსამსახურე, მიდენილიყო სამსახურში, თავიდან ფეხებამდე ევროპულად გამოწყობილი. ერთს ვილაკას, ერთი საჩაიედან ესროლა ზედ ქუჩაზედ ქვა უკანიდან და თავი გაეჩხნა. ყმაწვილი პირდაპირ ზილლი სულთანთან შესულიყო და ეჩივლა. ზილლი სულთანს იმავე წამს 60 იასაული გაეგზავნა და ის საჩაიე სრულიად ეეფორიაქებინა. მსროლელი დამალულიყო, დანარჩენები კი სულ დაეჭირათ და საპრობილეში ჩაეყარათ. მერე ზილლი სულთანს სამისათვის სამი თვით საპრობილე გადაეწყვიტა, ორისათვის საპრობილის გარდა ას-ასი სპარსელი თუმანი (200 მ.) ჯარიმა და მსროლელისთვის, ამეებს გარდა, ყურის ჩამოთლაც. იმ ქვის მსროლელს ერთი ახლო ნათესავი ვილაც დიდი კაცი აღმოსჩენოდა; ჰხლებოდა ზილლი სულთანს და ეთხოვნა: ის დამნაშავე ჩემი ნათესავია, ამ ჯერად აპატიე და, თუ მერე რაიმე დააშაოს, როგორც გენებოს, ისე დასაჯეო. ზილლი სულთანს ყურის მოჭრა ეპატიებინა და გამოეცხადებინა, რომ უკეთუ დღეის შემდეგ შენიშნული იქნება ვინმე, რომ ევროპელს ანუ ხომეხს რაიმე დაუშავა, სამი თვით ციხეში ჩაისმება, 100 თუმანი ჯარიმა გარდახდება და ყურიც ჩამოეთლებაო.

ტყუილად ინუგეშებდნენ ზოგნი თავს, რომ ეს ფანატისკოსობის ბრალიაო. მე საკმარისად დავეუახლოვედი ამ ხალხს, თუმცა არ შემიძლიან ეთქვა, რომ ზედმიწევნით ვიცნობ-მეთქი,



მაგრამ მაინც ის რქებიანი ფანატიკოსობა არსად შემომჩნევია. მართალია, არიან ფანატიკოსებიც, მაგრამ განა ამ ჩვენ კურთხეულსა და დალოცვილ ქვეყანაში კი არ არიან ფანატიკოსნი? რატომ ამ ფანატიკოსობას სხვა რჯულის ხალხთან არა ხმარობენ სპარსელები? რაღა სწორედ ქრისტიანი ევროპელისთვის გახდა ფანატიკოსი? ცოტა რჯულის ხალხი არის შიგ სპარსეთში? ამისი მიზეზი ეს არ არის, ნამდვილი მიზეზი ის გახლავთ, რაც მე ზეთ მოვიხსენიე.

მე ვნახე აქ, სასტუმროში ერთი ევროპელი, შთამომავლობით ირლანდიელი იყო, 50 წელიწადს გადასული იქნებოდა. ოსმალეთის ჯარში ემსახურნა, მაიორობა მიეცათ და გამოეგდოთ. იქიდან ერთს იმის მეგობარს მოეწვია თეირანში,—მოდი აქ, აქ ერთი ევროპელი ღენერალი მოკვდა, იმის ადგილს შენ მოგცემენო. საშინელი ლოთი იყო: იჯდა ამ დღით და ვისკისა თხოულობდა და როგორ გამოიბრუებოდა, სკამიდან ბრავა მოსძვრებოდა. გორავდა საზიზღრად იატაკზედ და ადგომის თავი არა ჰქონდა. ლოგინიდან გადმოვარდნისა ხომ ანგარიში აღარ იყო,—ლამეში, სულ რომ ცოტა, ერთი სამჯერ უნდა ჩამოვარდნილიყო. დეეცემოდა ძირს და შეინძრეოდა მთელი სასტუმრო. ჩვენ, მდგმურები გულდახეთქილები წამოვცვივდებოდით ზეზე და ის კი არხენადა გორავდა ძირს და იძახოდა: „სულეიმან! ვისკი.—სულეიმან, ვისკიო“!

როდესაც თეირანიდან ისპანისაკენ მივდიოდით, ერთგან გზაში ერთ სადგურზედ შემხვდა 4 ევროპელი.—ეზოში გამოსულიყვნენ: ერთი ქათამსა ჰბტყვნიდა, მეორე ხახვსა სჭრიდა, მესამეს წყალი მოჰქონდა და მეოთხე ქვაბსა ჰრეცხავდა. ოთხივე დატიტვლებულიყვნენ, მარტო ერთი პერანგის შემდეგის სინაბარა იყვნენ და თავზედაც ინგლისური დიდი ქუდები ჩამოეფხატათ. არ ვიტყვი იმათ სახეებს, საკმარისი იყო კაცს მარტო ფეხებზედ დეხედნა იმათთვის, გული ეერეოდა. განა ისინიც რომელიმე განათლებული ქვეყნის შვილნი იყვნენ? დამერწმუნეთ, რომ არა. ეს იყო ოთხი პირუტყვი, პირუტყვეულის

აღლოაი აღჭურვილი. და სად ან რად მიბრძანდებოდნენ, როგორა გგონიათ? ირანში, ველური ხალხის გასანათლებლად, — ცივილიზატორნი გახლდნენ. მაგრამ რა ჰქმნან იმ უბედურთ, რომ ისინიც კი, იმ თავისის თავგანწირულობითაც ვერას გახდნენ ამ ბარბაროს ხალხში. ნუ გეგონებათ, რომ ამას მე ჩემად ვიგონებდე. სწორედ ეს პასუხი მივიღე, როდესაც ერთ ევროპელს ვკითხავდი დაბრუნების მიზეზსა.

ეს იყო ყაზვინსა და თეირანს შუა, არ მახსოვს რომელ სადგურზე წამოვეწიენია. თეირნიდან რუსეთს მიდიოდნენ, ერთი ვირი ექირავნათ და ჯერ-ჯერითა სხდებოდნენ. რომ დამინახეს, მოვიდნენ სამივენი და თამბაქო მთხოვეს, — აქ სასყიდელი არსად არის და შემოგველიაო. მე ერთი ყუთი თამბაქო მივე და სამ-სამიც არაყი დავაღეინე და როდესაც გამოველაპარაკე სხვა-და-სხვა რამეზედ, ერთმა მათგანმა ასე მიპასუხა: ეს ისეთი ბარბაროსი ხალხია, რომ ამათში განათლებულს და განვითარებულს ხალს არ ეცხოვრება. თქვენ წარმოიდგინეთ, იქიდან აქ კაცი მოდის და იმის მაგიერ, რომ ის მადლობით მიიღონ, ცხოვრების გზას არ აძლევენ. დამერწმუნეთ, ესინი იმ გზაზედა დგანან, რომ თავის ღლეში არა ეშველებათ-რა, — ამათი საქმე მორჩომილიაო. და ზედ მეორემ დაურთო, — მაშ რა იქნება, როდესაც კაცი განათლებას არ მიცხვრათის და განათლებულს ხალხს გაურბისო და სხვა და სხვა. ვინ მოსთვლის, რამდენი უმადურება და უკმაყოფილება გამოაცხადეს. რა ამბავი უნდა ჩაიტანონ იმათ თავიანთ ქვეყნებში? რა აზრი უნდა შეადგინონ ამათის ლაპარაკიდან, მათმა მოწინავე ხალხმა, რომელნიც თავიანთ კაბინეთში სხედან და ამათთანაების ლაპარაკის მეტი არა ესმით-რა? რა გაეწყობა მოთმინების მეტი-მეთქი, დავანუგეშე, ჩვენ მაინც გული არ უნდა გავიტეხოთ და თავგანწირულებითა, უნდა ვემსახუროთ ცივილიზაციის გავრცელებას კაცობრიობის სასარგებლოდ და სანუგეშოდა-მეთქი და გავშორდი. არ ვიცი, რითი აიხსნება, მაგრამ მე თვითონ, მინამ სპარსეთში ვიყავი, ევროპელებთან გული არ მიდგებოდა და მულამ სპარსელებში ყოფნას ვამჯობინებდი.



სპარსეთში ენის უცოდინარობა ყველაფერში მამაკოლე-  
ბდა და უნდა უსათუოდ მოენე მეშოვნა. დავიჭირე მეც ერთი  
სომეხი ახალგაზდა ყმაწვილი, რომელსაც მოენობა უნდა გაე-  
წია ჩემთვის და სამსახურიც, რაც კი დამჭირდებოდა. ეხლა  
თავისუფლად შემეძლო ყველგან წასვლა-წამოსვლა და განვი-  
ზრახე დამეთვალეობინა ყოველივე, რაც თეირანში უფრო  
ღირს-შესანიშნავი იქნებოდა. პირველი იყო ამათში შაჰის „ამა-  
რატის“ დათვალეობა.

თოფხანის მოედნიდან ქვეით მხრივ ერთი ლამაზი ალა-  
ყაფის კარებია, საიდანაც იწყობა ერთი მოკლე, მაგრამ ძა-  
ლიან ლამაზი და განიერი ქუჩა. ეს ქუჩა მიდის მეფის სახლამ-  
დე, პირ-და-პირ კარის ბჭემდე. შერე იქ იყოფა ორ ძალიან  
წვრილ ქუჩად და უხვევს ორ მხარეს მეფის სასახლისას. ეს  
არის ბჭე, რომელსაც სპარსელები უწოდებენ „დარალმასს“  
(ალმასის კარს), ჩინებული სანახავია. მთლად ერთი წინაპირი  
შაჰის სახლისა ლამაზის ხელოვნებით არის გამოყვანილი სპარ-  
სულს გემოვნებაზე, სულ სარკით მოჭედილი. როგორც ეს,  
ისრევე გალავნის კარებები, მეჩეთის გუმბათები და მინარეთე-  
ბი და ბევრი ამგვარი სხვა საქმე არწმუნებს კაცს, რომ სპარ-  
სელს დღემდე, ამდენს განსაცდელში გამოვლილს, ზოგიერთი  
რამ ხელოვნება კიდევ არ დაუკარგავს.

ჩავყვიით აქედან ერთ გვერდის წვრილ ქუჩას და შევე-  
დით ერთ ბაღში. აქ ყველაზე უპირველესად თვალში მეცა  
ერთი საშინელი დიდი ზარბაზანი, რომელსაც გარემემო ხიშ-  
ტიანი თოფების ღობე ჰქონდა შემოვლებული. ეს, როგორც  
ვიამბეს, რომელიღაც მეფეს ეჩუქებინა შაჰისათვის და მას აქე-  
თია ესე სდგას აქ, ერთს ადგილს. როდესაც მის მნიშვნელო-  
ბაზედ ვეკითხებოდი, მითხრეს: ეს ადგილი „ბასტა“ არისო.  
და აი რა არის ბასტა ანუ რა და რა ადგილები ითვლება  
ბასტად.

სიტყვა ბასტა წარმოსდგება სიტყვიდან ბასთან—შეკვრა,  
დაკეტვა და ჰნიშნავს შეკრულს ანუ დაკეტილს. ყოველივე  
დამნაშავე და ბოროტ-მოქმედი კაცი, რომელსაცა სდევნის

ხალხი, მთავრობა და მართლ-მსაჯულება, უვნებელ იქმნება, უკეთეს ის მოასწორობს და თავს შეაფარებს ამ ზარბაზანს. მისი ხელის ხლება აღარავის შეეძლება, ვიდრე ის იქიდან არ გამოვა და მინამც, ავად თუ კარგად, რასმეს მოაგვარებს თავის საქმისთვის; სწორედ ისე, როგორც ეს ძველად იყო ურუმში. ამისთანა აღვივლად ითვლება აგრედვე მეჩითები, სომხების ვანქი ისპაანში, ყუმი მთლად, როგორც წმინდა ქალაქი, მეფის ბოსელი (ეს კი არ ვიცი რად?) და ზოგიერთი სხვა ადგილები.

ამ ზარბაზნის უკან იწყება ერთი უშველებელი აუზი; მე ამოდენა ჯერ არსად მენახა. აუზს უკან რამდენიმე ფეხი კიბეა ასასვლელი და იქიდან მისდევს ლამაზად ნაკეთები ბაღი. ამ ბაღში სდგას ტახტი მარმარილოსი. ეს წარმოადგენს ერთ კაი მოზრდილ შენობას, რომელსაც ამ შესავალი კარის მხრივ ერთი პირი წინა კედელი არა აქვს. გარედან კედლებს მარმარილოს ქობა აქვს შემოვლებული და მთლად კედელიც მარტაციტ არის გამშვენებული. შიგნიდან როგორც იატაკი, აგრედვე ქობა კედლებისა ამავე მარმარილოსია, ხოლო უფრო სუფთაა. წინ, ღია მხარეს შეყენებული აქვს ორი გრებილი სვეტი ამავე ქვისა. ამ სვეტებ შუა, ზედ შუაზედ გამართულია ტახტი. ტახტი სავარძელსა ჰგავს მოყვანილობით, მთლად მარმარილოსია. სულ ფიგურებად არის ნაქცევი და მარმარილოს ფიგურებზედვე შეყენებული. კედლები ოთახისა სულ სარკისაა. შიგა და შიგ სიმეტრიულად ატანია დიდრონი სარკეები და ფერადად ნახატი დიდრონი სურათები შემდეგ პირთა: 1, ნასრედდინი, დღევანდელი მბრძანებელი სპარსეთისა; 2, მამად შაჰი, მამა ამისი; 3, ვალიადი, ტახტის მემკვიდრე; 4, ჭათალი შაჰი, პაპა ნასრედდინისა; 5, გმირი რუსთემი; 6, ამირ თეიმური; 7, შაჰ-ისმაილი და 8, ნადირ შაჰი. შენობა იმოდრონად მალლა სდგას, რომ აქედან იატაკზედ მჯდომი კაცი, ზედ თავებზედ გადაჰყურებს ძირს, ეზოში მდგარ ხალხს. აქედანვე თვალწინ გადაეშლება კაცს ლამაზად მოვლილი პატარა ბაღი, სადაც იქვე, წინ გამართულია თეთრი მარმარილოს აუზი კვერცხივით მოყვანილობისა, სამის შადრევნით;



მის შემდეგ არის ერთი სხვა ძალიან გრძელი ქვის აუზი, სადაც 15 შადრევანი დაფთვალე და იმის უკანაც შემოსასვლელი კარი, რომელზედაც ფერადის მარტაცით არის გამოყვანილი ბრძოლა რუსთემ გმირისა დევთან. შაჰი ამ სასახლეში მოდის წელიწადში ერთხელ, მარტში (იმათ ახალი წლის დღეს); და მაშინ, როდესაც შაჰი დაბძანდება ტახტზედ, ტახტის ყველა ფიგურიდან დაიძვრის შადრევნები, რომლებიც ზედ შაჰის გვირგვინზედ ბრილიანტის მარცვლებივით სხვა-და-სხვა მხარეს ცვივიან. ძირს აუარებელი ხალხი სდგას, მისალოცად მოსული და იქვე სასახლის მგოსანნი მოსთქვამენ მის შესხმა-დიდებას.

აქვე, გვერდში არის კიდევ ერთი სხვა ოთახი, როგორც კაბინეთი იმ ერთი შემთხვევისათვის. მოჭედილია მთლად სურათებით. ყურადღებას იქცევს ამ სურათებში, შობა ქრისტესი სწორედ შაჰის სამწერლო მაგიდის ზემოდან და ლხინი ქრისტეს შობის გამო მის პირდაპირ, მეორე კედელზედ. აქვე არის დავით მეფე ურჯიათა და მეფე სოლომონ ბრძენი. დანარჩენი სურათები სულ სპარსეთის მეფეებისაა.

აქედან შევბრუნდით თვით იმის სადგომის სანახავად. სახლი ოთხ-კუთხია, ქარვასლის მაგვარ ფორმაზედ აშენებული. საზოგადოდ სულ ამნაირად აშენებენ მთელს ირანში სახლებს, სადაც გარემომო ოთახებია ხოლმე შემომწკრივებული, შუაში ბალი ანუ ცარიელი ეზო და ეზოს გულშიაც აუზი. აი ამის მაგვარი მოყვანილობა აქვს მეფის სადგომ სახლსაც. გარედან კედლებს მარმარილოს ქობა აქვს შემოვლებული, იმის ზევით მარტაცი და ამ მარტაცისა გამოყვანილია სხვა-და-სხვა გვარი სახეები, სურათები და ზოგვან მთელი მხატვრობა ისტორიულის შინაარსით.

ეს მეორედ ვიყავ წასული, მაგრამ შიგნიდან ვერც ეხლა დავიარეთ; თუმცა ამ ჯერად კაი გავლენიანი პირი მყვანდა თანა, მაგრამ ის, რომელსაც გასაღებები ჰბარებოდა, სადღაც ჯანდაბას წასულიყო.

აქ ზოგიერთი ოთახი სხვა-და-სხვა სამსახურებისათვის არის დანიშნული, აქვეა ერთგან მოთავსებული ხაზინა. არის ერთი

ოთახი სპეციალურად მხოლოდ სხვა-და-სხვა უცხო ფრინველ-თა შესანახავად და ერთიც დიდი განყოფილება მუზეისათვის, სადაც ინახება ყოველგვარი ძველის-ძველი ნივთები. აქვეა სამს სხვა-და-სხვა კუთხეში გამართული არანაერთი სახე-ლები, რომლებსაც უკანა და გვერდის კედლები ქვითკირისა აქვს და წინა კედლები ბალის მხარეს და სახურავები შუშისა. ამ სავალების იატაკი და ქობა თეთრი მარმარილოსია და იმის ზემოდან მარტაცი, სხვა-და-სხვა სახეებად გამოყვანილი. იატაკში, ზედ შუაზედ ჩამჯდარია ღრმად ლარი თეთრი მარმარი-ლოსივე და შიგ მუდამ მოჩხრიალებს ანკარა წყლის ნაკადუ-ლი, აქეთ-იქით მისდევს შიგ მარმარილოში ჩარგული დიდრო-ნი ხეები სხვა-და-სხვა გვარი ფორთოხალისა. აქვე ადგილ-ადგილ სდგას მარმარილოს სკამები, მარმარილოსავე ფიგურებზედ შე-ყენებული.

ბალი თუმცა პატარაა, მაგრამ კოხტაა და ძალიან ლამა-ზი. შუაზედ გამართულია აუზი და უვლის ყოველგან ამ ბაღს: ზოგან სრუტეს მაგვარად უერთებს ერთ ნაწილს მეორეს, ზო-გან ყურეების სანახაობა აქვს თავისის ნახევარ კუნძულებით. შიგა და შიგ ნამცეცა კუნძულებია ყვავილებით შემკული. ადგილ-ადგილ გაყვანილია სრუტეებზედ პაწია კოხტა ხიდები. მთლად ნაპირები ამ აუზისა შემომწკრივებულია ფერად-ფერა-დად შეღებილი პატარა ქორტებით. ზოგი მათგანი ისე დასამ-შვენებლადა სდგას, ზოგზედ ლიფლიფაა გაკეთებული და ზო-გზედ ყვავილის ქილები. ადგილ-ადგილ დიდრონი ქორტია (ირმისა, გედისა), ადგილ-ადგილ დაყოლებულია ლამაზი მარ-მარილოს შადრევნები. სდგას აქა-იქ ლიფლიფა ელექტრონისა და უფრო მომეტებული კი გაზისა.

სასახლე ნაიბ სალთანესი<sup>1)</sup> ორ-სართულიანი შენობაა. სდგას შიგ შუა ბაღში და სახლის აქეთ-იქით მხარეს ორი დი-დი აუზი აქვს. ბალი ძალიან დიდია და ევროპულად მოვლი-ლი. ძირის სართული სასახლის მიწის პირად არის. აქ გამარ-თულია ერთი დიდი ჯვარედინი დარბაზი. დარბაზი მთლად

1) შეილია შაჰისა.





სარკისაა, შიგ შუაში მარმარილოს აუზია, იატაკზედ დაბლა რამდენიმე საფეხურით. აუზის შუაში და გარშემო შადრევნებია. აუზის ზემოდან დაკიდებულია დიდი ბროლის ქალი ფერადის შუშებით. კედლებზედ ბევრი ბროლის კანდელიაბრებია აგრედვე ფერადის შუშებით და რალაცა ფანტასტიური რამ გამოდის ღამით, როდესაც კანდელიაბრებისა და ქალის ფერად-ფერადი სინათლე შეერთებული შადრევნების ბჭყვრიალთანა და დენასთან გადავ-გადმოვა სარკის კედლების შემწეობით.

მეორე სართული მუდმივი საცხოვრებელია. აქ ოთახები მთლად ევროპულად არის მოწყობილი გარდა ერთის დარბაზისა, რომელიც ევროპულიც არის და აზიურიც.

ქალაქის ერთს ნაპირში ბალია და სასახლე ამინ სულთანისა, მაგრამ ვიდრე მის სახლ-კარზე ვიტყვით რასმე, უმჯობესია გავაცნო მკითხველს, ვინ არის თვით ამინ სულთანი. ამინ სულთანი, იგივე სადრაზამი, კანცლერია სპარსეთისა და მარჯვენა ხელი შაჰისა. დღეს თუ ვინმე იხსენიება სპარსეთში—მხოლოდ ის. ისე აქვს დაყენებული საქმე, რომ რაც და როგორცა ჰსურს, ისე აკეთებს. უყვარს შაჰს ძალიან და დიდი პატივის მცემელიც არის იმისი. ასე რომ განგებ იმისთვის, რაც აქამდის არა ყოფილა, ახალ-ახალ ტიტულებს იგონებენო. უყვარს აგრედვე ხალს და მას მიაწერენ ბევრს მსხვილ-მსხვილ საქმეებს. ასრე, მაგალითად, მე გავიგონე თვით ხალხისაგან, რომ ქ. ყუმის უპირველესი ემამზადე ჰაზრათ მასსუმისა მას გაუმშვენიერებია და ახალი გუმბათი დაუგამს და აზბობენ, ეს გუმბათი ოქროსიაო; მასვე მიაწერენ და ძალიან აქებენ სპარსეთის სამზღვარზედ ერთ მისალოცავს, მაქა-მერდინში მიმავალ მლოცავთათვის აშენებულს. სახით ღამაზი კაცია. უფრო ახალგაზდებში ჩაითვლება,—დიდი სიმდიდრის პატრონია. ბალი იმისი არ არის ისე დიდი, როგორც ნაიბ სალთანესი, მაგრამ მოვლოლია უკეთესად, ვიდრე რომელიმე ბალი მთელ სპარსეთში. ისე შეწყობილი და შერჩეულია ერთმანეთში ყვაილები, ფერთა და მოხაზულობით, დახატულსა ჰგავს, ნამდვილი ევროპული გემოვნებია. მაინც ყოველის-

ფერი ევროპულადა აქვს გამართული და თითონაც ევროპულადა სცხვრობს. კაბინეთი იმისი, სასტუმრო, დარბაზი, საწოლი და თვით შენობა—სულ ევროპულია.

გავიცან ერთ დღეს რაფიელხან ენაკოლოფიანი და მირზა სულეიმან ხანი, თავადი სომხეთისა. რაფიელი ძლიერ ახალგაზდა კაცია და აფიცრად არის სპარსეთის სამსახურში, ხოლო მირზა სულეიმანი კაი მოხუცებული კაცია. ორივე ამათი საგვარეულო გადმოსულები არიან საქართველოდან, როგორც ესა ხიანს თვით მათის გვარებიდან და მომყავს აქ ორივე ამ საგვარეულოს ცნობები მათის საქართველოდან გამოსვლის დღიდან.

გამოსულან საქართველოდან სამნი ენაკოლოფაშვილები: ალაღარ ხანი, მანუჩარ ხანი და **მირზა** როსტამი და მოუყვანიათ თან აგრეთვე დისწული ერთი ალაღარ ხანისა, იუსუფ ბეგი, რომელსაც იმ დროს მამა მოჰკიდომია და ობლად დარჩენილა. ალაღარ ხანს ცოლი კი შეურთავს, მაგრამ შვილი არ მისცემია. მანუჩარ ხან გამაჰმადიანებულა და არ იციან, ძალით თუ ნებით დასაჭურისებული ყოფილა. მირზა როსტამს ჰყოლია ორი შვილი: სულეიმან ხან და მირზა გორგინ ხან, რომელიც გამაჰმადიანებულა. სულეიმანს ჰყოლია ორი ქალი და სამი ვაჟი, რომელთაგან ერთი ჩქარა მომკვდარა, მეორე ჯანგირ ხან უცოლშვილად გადაგებულა და მესამე, ნარიმან ხან დღეს ვენაშია სპარსეთის მოციქულად. ჰყავს ცოლი და ორი ქალი. ამგვარად ამ სამთაგან ენაკოლოფიანთ საგვარეულოს არც ერთი ვაჟი, როგორც წარმომადგენელი გვარისა აღარ შერჩენია და შტო ამათი სრულიად შეწყვეტილა.

დისწულს მათსას იუსუფ ხანს მისცემია ორი ვაჟი: ბაბახანი და ასლანხანი. ასლან ხანსა ჰყავს ეხლა ოთხი ქალი და ერთი ვაჟი, ფარვიზ ხანი, ხოლო ბაბახანს დარჩომია სამი ქალი და ორი ვაჟი: რაფიელ ხანი და მიქაელ ხანი.

ამ რაფიელმა მიაშობო, როდესაც პაპა-ჩემი, იუსუფ (იოსებ) მოსულა საქართველოდან, თან დიდძალი ქართველობა მოუყვანია, ზოგი, როგორც მოსამსახურეები და ზოგი, როგორც ხელოსნებიო. თვითონაც ერთი სომხური სიტყვა არა სცოდნია და, მე ვგონებ, ის ქართველი უნდა ყოფილიყოს და შემდეგ აქ გავსომხებულვართო, ასე მოუთხრობს დღეს იმ გადმოსახლებული იუსუფის შვილის-შვილი, რაფაელი.



ამათთან ერთად, ჩემის აზრით, ანუ იმავე ხანებში მოსულა მსჯელობა თველოდან აგრედვე მირზა დაუდ ხან სომხეთისა, რომელიც ყოფილა ძია მანუჩარხან ენაკლოფიანისა. ამას ჰყოლია სამი ვაჟი: მირზა იუსუფ ხანი, მირზა სულეიმან ხანი და მირზა პეტროს ხანი. ამათში მირზა პეტროს უტკოლშვილია, სცხოვრობს თეირანში, მირზა სულეიმანს ჰყოლია ერთი ვაჟი, მირზა გურგენ ხანი და მოჰკდომია, თითონ თეირანში სცხოვრობს; მირზა იუსუფ ხანს ჰყოლია ორი ქალი და ორი ვაჟი, რომელთაგან უფროსი, მირზა დიმიტრი ხან უშვილოდ გადაგებულა და მეორეს, მირზა თამაზ ხანს ჰყავს შვილები, თითონ დღეს მირფანჯია (სრული იარანალი) და თეირანში სცხოვრობს. აქაც, როგორცა ხედავთ, თავადი სომხეთსკის შტო ეხლა მარტო ამ თამაზ-ხანზეა დამყარებული.

ამათი გადმოსახლების შესახებ მირზა სულეიმან ხანმა მითხრა, რომ ერმოლოვის დროს წაშოსულა მამა-ჩემი საქართველოდანაო. იმანვე მიაშობო აგრედვე, რომ მამა იმისი, მირზა დოუთხანი დიდი მკოდნე ყოფილიყო ქართული ენისა, და ერმოლოვის თხოვნით რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენას შესდგომოდა. ისე რომ, როდესაც იმას გადაეწყვიტა სპარსეთს წამოსვლა, ერმოლოვი, თურმე, არ უშვებდა, ვიდრე დოუთხანი არ დაჰპირებოდა, რომ ჩქარა გავათავებ იქ ამ ლექსიკონს და იქიდან გაახლებთო.—მერე იმას დევსრულებინა კადეც ლექსიკონი, მაგრამ გამოგზავნით ველარ გამოეგზავნა, რადგან იმ დროს ერმოლოვი გადაეყვანათ საქართველოდან. ეხლა ეს ლექსიკონი აქვს მირფანჯს, მირზა თამაზ ხანს, მაგრამ ვერ მომიხდა მისი გადასინჯვა, რადგან ორჯელ ვიყავი ამ ამბების შეტყობის შემდეგ იმასთან და ვერც ერთხელ ვერ მივასწარ სახლში. მესამეზედ კიდევ, როცა თვით იმას დენიშნა დრო, მე ველარ მოვიცალე და მეორე დღეს უნდა თეირანიდანაც გავსულიყავი, დაცდა აღარ შეიძლებოდა.

ერთხელ მითხრა ერთმა ხანმა, დღეს უნდა ორი კაცი სიკვდილით დასაჯონ და, თუ გნებავთ, წავიდეთ სანახავადაო. მე ვუთხარ, მე ვერ ვუყურებ, წადი შენ ნახე და მერე ყველაფერი მიამბე-მეთქი. და იმანაც, როდესაც უკან დაბრუნდა, მიაშობო შემდეგი.—„მოიყვანეს ის ორივე დამნაშავე, ხელ-ფეხ შეკრული იმ დიდ ზარბაზანთან, გადააწვინეს იქვე, დედამიწა-

ზედ, გულაღმა, ჩაჰკიდა ცხვირის ნესტოებში ხელი ჯალათმა, გადუგრიხა ცხვარივით კისერი და გამოუსო ყელში თავისი თვალმარგალიტით შექედილი დანა. ჩააბეს მერე ფეხებში ორივეს თოკი და ისე თრევით მოატარეს ბაზრები და ზოგიერთი ქუჩები. თან ახლდა ამ საზიზლარი პროცესიის დროს რამდენიმე მეფის მოხელე და მანდატურნი, როგორც მცველნი, ადგილ-ადგილ აყენებდნენ, რომ მაგალითად დეენსომებინათ ხალხისთვის! მოგეხსენებათ, ყველას თავისი ცნობის-მოყვარე არ დაეღვია, და ამასაც აჰყოლოდა ბლომა ხალხი, მაგრამ ყველაზედ უფრო მეტი ასდევნებოდნენ სისხლის ლოკვით ძაღლები.

ამბობენ, ერთი მათგანი ქურდი იყო, სდევნიდნენ დასაქვრად და ამ დევნაში ერთი უბრალო პოლიციელი მოეკლოა, ხოლო მეორე ყოფილა მანდატური ნაიბ სალთანესი და ისე, შემთხვევით შემოჰკდომია ერთი მეფის მანდატურთაგანი; მაგრამ რადგან სიკვდილისათვის სიკვდილივით განსჯილი, ამისთვის ისიც უთუოდ სიკვდილით უნდა დაესაჯათო.

თეირანში ორი საყდარია სომხებისა. დავათვალიერე ორივე, რადგან გაგებული მქონდა აქვე, რომ აღექსანდრე ბატონი-შვილის საფლავი აქ, თეირანში ანუ იმის ახლო სოფელში სადმე უნდა ყოფილიყო. ერთი ამ საყდართაგანი, რომელიც უფრო ახალ უბანშია თეირანისა, არასფერს წარმოადგენს საიმისოს; ახლად არის აგებული ერთი ძველი პაწია საყდრის ალგას და, რასაკვირველია, არც ძველი და არც თუ ახალი საყურადღებო რამ იქ არა მოიპოვება-რა. მეორე საყდარი „შაჰ-აბდულ აზიმის“ უბანშია და ძალიან განაპირად არის ქალაქისა. აქ ყოფილან დასახლებულნი უწინ სომხები და დღეს კი ორიოდ-სამი კომლი-ღა დარჩომილა, დანარჩენი სომხობა სულ ქალაქის ახალ ნაწილში გადმოსულან. ამ საყდრის ეზოში საკმარისად ბევრი ძეგლებია: რუსისა, ფრანგისა, ნემეცისა და ყველა ქრისტიანი ხალხისა, ალბად, ვიდრე რუსისა თუ სხვა ქრისტიან ხალხის საყდრები დაარსდებოდა ქ. თეირანში. არის ბევრი ძალიან ძვირფასი და ლამაზი ძეგლები, მაგრამ ჩემი ყუ-



დღემა მიიქცია აქ ერთმა სადა ქვამ, რომელზედაც ძალიან სადა წარწერა იყო.— „Фотографъ В. В. Баркановъ. 1892 года“. საწყალი ბარკანოვი-მეთქი, ვთქვი ერთბაშად, რამწამს დავინახე იმისი საფლავი და ძალიანაც დამენანა. მართლაც-და, საწყალი! თქვენ წარმოიდგინეთ, პატრონი არავინა ჰყოლია, რომ დაბადების დღე მაინც წაეწერათ მის საფლავის ქვასზედ და მისი ფოტოგრაფიული სურათები კი რა დიდ-ძალია მოფენილი სპარსეთში. ისე სახლს ვერა ჰნახავს კაცი იქ საზოგადოდ და ნამეტნავ თეირანში, რომ ორი და სამი რამ იმისი გადაღებული ანუ იქაურივე და ანუ აქედან წაღებული, კედლებზედ არ იყოს ჩამოკანჭურებული. ერთი სომხის სახლში დავთვალე, სულ უკანასკნელი, ორმოცამდე იმისი გადაღებული სურათები, რომელთა შორის იყო: რუბინშტეინი, ზარუდნია, ტარტაკოვი, მედვედევი და თითქმის ყველა რუსის არტისტი ქალი და კაცი, რაც კი მას ოდესმე ტფილისში გადაეღო. როდესაც მე ვკითხე სახლის პატრონს, რად გინდა ეს სურათები, იცნობ განა მაგათა-მეთქი? მან მუასუხა: რად მინდა მაგათი ცნობა, რაში მეპრიანებიან: მოედანზედ გროვა-გროვად ჰყიდდნენ და მეც ვიყიდე რამდენიმე ცალი ოთახის დასამშვენებლად. ეინ იცის, ვინ და როგორ ეპყრობოდა მის ნაოხარს!

შევედით შიგ საყდარშიაც. აქ რამდენიმე უფრო წარჩინებულნი გვამნი არიან დასაფლავებულნი და ყოველი მათგანის საფლავის ქვა კედელშია დატანებული. მათ შორის ყველაზე მეტი ყურადღება მიიქცია ჩემი ერთმა თეთრმა მარმარილოს ქვამ, რომელიც ტრაპეზის გასწვრივ სამხრეთის უკანა კედელშია ჩასმული და ზედ ოქროს ვარაყით აქვს ლამაზი ზედწარწერა. მოგვყავს აქ უცვლელად თავისის შეცდომებით:— „Здѣсь погребено тѣло усопшей рабы Елизаветы: дочь царевича грузинскаго Александра греко-каѳолическаго исповѣданія, супруга сартишъ хана Самсонъ Яковлева сына Маканцова. Родился въ Эриванѣ 1811 года Юля 13 дня, а умеръ въ Тегеранѣ 1836 года 17 Сентября.“ აქედან, როგორცა ჰხედავთ, ქალი ალექსანდრე ბატონიშვილისა ელისაბედ აქა ყოფილა დასაფლავებული. ხალხო სად არის დასაფლავებული თვით ბა-

ტონიშვილი აღექსანდრე, ამახედ არა იციან-რა: ყველა იმ საყდარზედ მითითებდა, რომ ნამდვილად იქ არის დასაფლავებულიო, მაგრამ არ აღმოჩნდა. ზოგიერთმა გამოაცხადეს იქვი, რომ შეიძლება თავრიზში იყოს დასაფლავებულიო, მაგრამ რამდენადაც დღეს მე ეს სარწმუნოდ ვიცი, დასაფლავებულია ის მაზანდარანში. ასაფლავია ანუ თვით იმ სოფელში, რომელიც მას უწყალობა საცხოვრებლად შაჰმა და ანუ იმ სოფლის ახლო-მახლო ადგილებში, ვერ ვიტყვით კი სწორედ და გადაწყვეტით, რომელია ეს სოფელი და რა ჰქვიან მას სახელი, რადგან თვით ამით მთქმელთაც არ იცოდნენ იმ სოფლის სახელი და ადგილი. მაგრამ პოვნა მისი არ იქნება ისე ძნელი, უკეთუ ვინმე მოჰხვდება იმ მხარეს და მოინდომებს მის ნახვას.

ერთმა ხანმა მომიტანა სურათი აღექსანდრე ბატონიშვილისა, როდესაც მე მოვიკითხე მისი სახე, და აგრედვე ელისაბედის, მისი ქალისა და ირაკლისა, მისი ვაჟისა. ერეკლეს პატარაობის სურათი ქულაჯითა და ბუხრის ქუდით ხელით არის დახატული პეტერბურგის აკვარელის საღებავებით ერთი რუსის მხატვრისაგან. აღექსანდრე ბატონიშვილის სურათი რუსულის მაგვარი მუნდირით არის და ელისაბედისა ძველებური ქართული ქალის ჩაცმულობით. თუმცა სამივე ამ სურათების პირები გადავიღე მეც ფოტოგრაფიით, მაგრამ ისეთი საშინელი ქუჩკიანები იყო, რომ რიგიან წარმოდგენას ვერ შეადგენს მათით კაცი.

არის თვირანში ერთი ბალი, სადაც მშვენიერი სასახლე აქვს შაჰს საავარაკოდ გამართული. აქ არიან დახატულნი ყოველნი წარჩინებული პირნი სპარსეთისა და მათ შორის აღექსანდრე ბატონიშვილიც. ის პატარა სურათი, რომელიც მე მომიტანეს ხანებმა, იმ სასახლიდან იყო ფოტოგრაფიულად გადმოღებული და მეც მოვინდომე ახლად გადმომეღო იქიდან ფოტოგრაფიით, მაგრამ ჩემს იქ მყოფობის დროს შეუძლებელი იყო იქ აპარატის შეტანა და დამპირდნენ თვირანელები, რომ ჩვენ თითონ გადავადებინებთ და გამოგიგზავნითო.



ვინ იყო ეს მაკანცოვი, სამსონ ხან სართიფი, სიძე ალექსანდრე ბატონიშვილისა, მე ამაზედ საიმისო ცნობები ვერა შევეკრიბე-რა. გავიცან მის შვილი-შვილი, ისკანდერ ხანი, სიძე რაფიელ ხან ენაკლოფოვისა, მაგრამ იმისაგანაც იმდენი ვერა შევიტყე-რა. იმან თავის-თავისაც არა იცოდა-რა. როდესაცა ვკითხე, რა ხართ ეხლა, რა ეროვნებას აკუთვნებთ თქვენ თავსა-მეთქი, იმან ასეთი პასუხი მომცა: პაპა რუსი მყავდა, ბებია—ქართველი; მამა ისევ რუსი, დედა—ინგლისელი; ეხლა მე მართლმადიდებელი ვარ, სპარსეთში აღზრდილი, რუსულისა არა მესმისრა, ცოლი მყავს სომეხი, ნათესაობა აგრედვე ყველა სომეხები და რა ვარ მე თითონაც არ ვიცი და აბა თქვენა ბძანეთო.

გავიგე დარწმუნებით მხოლოდ ის, რომ ჯერ ისევ ახალგაზდა 22—25 წლისა, მაიორის ჩინითა ყოფილა. გასჩენია შემდეგ ერთი რალაც მიზეზი და რუსეთიდან გავარდნილა. ერთმა სპარსელმა მიამბო, რომ ის და ერთი ასლან ხანი ერთად მოვიდნენ სპარსეთს, რუსეთიდან გამოქცეულნიო. სამსონ ხანმა ჩქარა მიიღო სართიფობა, დიდს ჯარებს განაგებდა თავრიზში და ბევრი კაი საქმეებიც ჩაიდინაო, მხოლოდ რომელი იყო ის კაი საქმეები, თითონაც არ იცოდა. ზოგმა სთქვეს, რომ რუს-სპარსეთის ომის დროს მოსულა პირ-და-პირ თეირანშიო. ზოგმა მითხრა, რომ დავით ხან საგინაშვილი (ნაზე ფერეიდანი) იმას შეეგულიანებინა და იმასვე მიეყვანა თავრიზშიო და სხვა და სხვა...

მთხოვა ერთხელ ერთმა რუსის ვაჭარმა, წამობძანდით, ერთი ძეგლი მე უნდა გაჩვენოთო; მე თანხმობა გამოვუცხადე. წამოგვყვა კიდევ რამდენიმე ყმაწვილი კაცი და წავედით. გავედით ქალაქის ჩრდილოეთის მხრივ. აქ, გალაენის კარის პირ-და-პირ ნახევარ ვერსტის მანძილზედ იყო კაი მოზრდილი ბაღი და შიგაც რალაც შენობები მოჩანდა. ეს ის ბაღია შაჰისა, სადაც ჩვენ მივდიოდით. შევეყავით თუ არა თავი ბაღის კარებში, შეგვაყენა ერთმა ჯარის-კაცმა, რომ აქ სიარული აღკრძალულიაო. აკი წინად ყოველთვის დავდიოდით და არავინ რას

გვიწოდებდა, უთხრა რუსის ვაქარმა.—მართალია წინად დანადროდით, უბასუხა ჯარის-კაცმა, ისიც ვიცი, რომ მეც მაჩუქებთ რასმე, მაგრამ არ შეიძლება, ძალიან მკაცრი ბრძანება გვაქვსო. ჩვენც რა გაგვეწყობოდა, გამოვბრუნდით უკან.

ახლა იცით, რა ძეგლია ის, რის სანახავადაც ჩვენ მივდიოდით. ეს არის ძეგლი თვით ნასრეღინ შაჰისა. მართალია, ის ჯერ ცოცხალია, მაგრამ ეს საქმეს არას უშლის. არ ვიცი გავიგონიათ თუ არა, — ერთი საწყალი კაცი ყოფილა. უფიქრია, ვაჰ თუ, როცა მოგვკვდეს, კუბოც არავინ მალირსოსო და, შოდი, სანამ ერთი-ორი შაური მიგდია ჯიბეში, კუბოს გავაკეთებინებ და მზად მექმნებო. გაუკეთებინებია და აუყუდებია ოთახში. შაჰიც შორგამჭვრეტელი კაცია. უფიქრია, ვინ იცის, როცა მოგვკვდეს, ძეგლი არავინ მალირსოს; თუმცა მრავლადა მყავს შვილები, შვილიშვილები და შვილის შვილის შვილებიც კი, მაგრამ უმჯობესია ჩემი საქმის თადარიგი მევე დავიჭიროვო და სწორედ ასეც მოქცეულა. ერთ ჯერად, როდესაც პეტრეს ქალაქში ყოფილა, იქ პეტრე დიდის ძეგლი ძალიან მოსწონებია და როდესაც დაბრუნებულა, სწორედ იმისთანა ჩამოუხსნიებია. შაჰი ნამდვილი სიდიდისაა, აღმზღვრებული ცხენზედ. ძეგლი მთლად ყვითელი თითბერისაა და აქვე სპარსეთში გაკეთებული. დღემდე ბაღი ღია ყოფილა და ყველას ნება ჰქონია იქ სიარულისა. ეხლა, ალბად, გონს მოსულა შაჰი, რომ ამ საქმეზედ ბევრნი დასცინოდნენ და შესვლა აღუკრძალა.

იქიდან რომ დავბრუნდით, შემხვდა ქუჩაში ერთი ვიღაც შავწვერ-ულვაშა პერანგითა და ჩალის ქუდით და მომამხა: „კნიახს გაუმარჯოსო!“ მე ძალიან გამიკვირდა. აქ ქართველი არავინ მეგულდებოდა, გარდა ერთი თელაველ ახალგაზდა ყმაწვილი-კაცისა, გვარად ელიოზიშვილისა, რომელიც რუსის საელჩოში იყო მედავითნედ და რომელსაც უკვე კარგა ცნობილი. მე იმავე წამს ბიჭი დავადევნე უკან და შევეუთვალე, რომ დილაზედ მნახე-მეთქი. მინდოდა შემეტყო, რა ქართველია, რა ქარმა გადმოაგდო აქა და მეც მესიამოვნებოდა, ამდენი ხნის დანატრულებულს, ერთი-ორი სიტყვა გამეგონა ჩემს სამშობლო





ენაზედ. მომივიდა მეორე დილაზედ ჩემი მოწვეული სტუმარი. მიამბო თავისი თავ-გადასავალი და საინტერესოდ მიმჩნია გავუზიარო მკითხველსაც.

ის იყო კახელი, სოფელ უ—დან, გვარად თ—შვილი, ჯერ კიდევ ახალ-გაზდა. ჰყოლია ერთი ძმა, რომელსაც ის გეჰყრია, გაუყიდნია ყველაფერი, გამოსთხოვებია იქაურობას და წასულა ბედის საძებნელად. ამ ხანობაში მიდენილა ჯარით ლენერალი სკობელევი შუა აზიაში; გაუმართავს ამასაც რაღაც-რაღაცა სავაჭრო და დასდევნებია უკან. სკობელევს აულია დღევანდელი ასხაბადი და ბ. თ—შვილსაც გაუმართავს აქ თავისი სავაჭრო. რამდენიმე ხნის შემდეგ დაურიგებიათ მუქთად მიწები ახალი ქალაქის მოსაშენებლად და ბ. თ. შვილსაც მიუღია ერთი საკომლო ადგილი, ჰქონია აგრედვე ერთი ორასიოდე თუმანი ფული; ესეც ზედ მოუხმარებია და წამოუქიმავეს სახლი. მიუყვია იმ დროს ხელი სახარების კითხვისთვის და აქედან მხოლოდ ის გამოუტანია, რომ ხალხთა შორის უნდა სუფევდეს სიყვარული, სიყვარული და კვალად ისევ სიყვარულიო.<sup>1)</sup> გაუტაცნია ამ აზრს და უთქვამს: თავ-მთელმა და თავ-ცოცხალმა უნდა ვიპოვო, თუ კი სადმე არსებობს ისეთი ხალხი, რომელიც სწორედ სახარების სიტყვას ადგას და ნამდვილის სიყვარულითა სცხოვრობენ, რომ მეც იქ დავსახლდე, თუ არა და, თავი ცოცხალი არ მინდაო. რაღა ბევრი გავაქრელოთ, უფიქრია, უფიქრია და, როგორც გაუნათლებელ კაცს, გადაუწყვეტია: მთლად ეს სარწმუნოება, ეს სწავლა, ეს აზრები, აღორძინდა იერუსალიმის ქალაქს და იქიდან მოეფინა მთელს ქვეყანას და, მაშასადამე, თუ იქმნება სადმე ესეთი ერი, იქმნება მხოლოდ იქ, თუ არა—და, სხვაგან არსადაო. დამდგარა ამ აზრზედ, დაუკეტია ვაჭრობა, უშოვნია ძალის-ძალად სახლის მუშტარი, გაუყიდნია, გამოჰსალმებია იმ არე-მარეს და გასდგომია გზას. მისულა იერუსალიმს, უნახავს, რომ იქ, არა თუ ის სახარების სწავლაზედ დამყარებული, იდეალური ურთი-ერთ სიყვარული, არამედ თვით იმ სახარების

<sup>1)</sup> ვწერ სიტყვა-სიტყვით იმის ნალაპარაკებს.

სწავლა და ქრისტიანობა უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვაგან, ქვეაში არ მოჰსვლია. დაუკრავს ფეხი და უკანვე დაბრუნებულა.

მერე უთქვამს, მოდი ერთი, წავალ პეტრეს ქალაქში, ვნახავ, რა არისო და წასულა კიდევ. დიდი სურვილი ჰქონია, როგორც თვითონ მოგახსენებთ, სხვა-და-სხვა ქვეყნებისა და ხალხის ნახვისა. იქ მეორე-მესამე დღეს უტაცნია ხელი პოლიციას და წამოუბძანებიათ. „სრული ხუთი თვე მატარეს იმ დაწყევლილებმაო—სულ ციხიდან ციხეში მიკრავდნენ ხოლმე თავსაო“. ამბობს, რომ ბილეთიცა მქონდა, ფულიც და ვთხოვდი, გნებავთ დეპეშა დაჰკარით ჩემის ხარჯით, რომ სანდო კაცი ვარო, მაგრამ არავის-რა შეუწყნარებია. ტფილისში რომ მოუყვანიათ, აქ რკინის გზაზედ შესულა მოსამსახურედ. ამავე დროს მოჰკედლომია იმას ის ერთად ერთი ძმა და დაჰრჩომია ქვრივი ხუთის წვრილის ობლით. მაგრამ ამისთვის საიმისო კურადღება არ მიუქცევია და ახლა სპარსეთს მოუწოდომებია გასეირნება. მისულა ურუმს, რომელიც მას ისე საშინლად მოსწონს და აქებს, და იქიდანაც თავრიზს. იქ უმსახურნია ესე ხუთიოდ თვემდე და გამოუკრავს თეირნისაკენ. ეს სულ ორი თვეა თურმე, რაც აქ არის. სდგას ბიჭად ერთ რუსის ბეჰხალტერთან. ეხლა მას გასცხოვლებია იმ თავისი დაობლებული ძმისწულეების სიყვარული და სულ იმის ფიქრშია, თუ რა მოუხერხოს. ეგების ერთი სადმე მომცეს რუსის ხაზინამ ორმოციოდე დღიური მამული, რომ მიწის მუშაობას დავადგე და ობოლი ძმისწულეები გამოვზარდო როგორმეო, მეუბნებოდა მე. და თუ ესეც ვერ მოვახერხეო, დავკრავ მაშინ ფეხს და ინდოეთისკენ გადავიკარგები სადმე: გავხდები რასმეს და, ან მკვდარი და ან ცოცხალი, გამოვადგები ვისმე, ხომ რა კარგი, თუ არა-და, მაინც უსარგებლოდ ვიყავ ჩემიანებისთვის და მაინც. ერთგან სადმე ამომივა უბატრონოდ სული და არავის-რა ეცოდინება, ვითომც არცკი ვყოფილვარ ქვეყანაზედაო.

მეორე მოსვლაზედა მთხოვა, რომ ისპაანს მეც წამიყვანეო. ერთი სამ თუმანზე ხელი აიღე, მე ის მეყოფა, და ეგე-



ბის იქ, ქართველებში, გაეხლე რასმეო. მე ძალიან შორს დავუჭირე. მე იქ ისე უბრალოდ წაყვანა ვისიმე, და ნამეტნავ ქართველი კაცისა, ძალიან მერიდებოდა. მაშინ მე უნდა ვყოფილიყავ მოპასუხე ყოველი მისი სიტყვისა თუ ქცევისა და ერთი რამ ურიგო და უადგილო სიტყვით შეეძლო მას გაეფუჭებინა ჩემთვის ის საქმე, რისთვისაც ამ სიშორეზედ თავს მივიკლავდი. მით უმეტეს, რომ, როგორც თქვენც შეიტყობდით მისი თავგადასავალიდან, მეტის-მეტი უცნაური აღამიანი იყო. ვუთხარი, დამაცალე ერთი ათიოდე დღე, მე თვითონ არ ვიცი, როგორ და რანაირად მომიხდება წასვლა-მეთქი.

არ გასულა სამი-ოთხი დღე, კიდევ მოვიდა. მითხრა, სამსახურს თავი დავანებე და რას მირჩევ, როგორ მოვიქცე, საით წავიდეო? ეს დაკითხება იმას ნიშნავდა, რომ გავეო, წავიყვანდი ისპანს, თუ არა და მეც ვურჩიე: წადი, ჩემო ძმაო, ისევ ჩვენს ქვეყანაში, კიდევ ის გერჩიოს ყველასა-მეთქი. ბაქომდე როგორც იქნება მიალწევ, იქ რკინის გზის სამსახურში შედი, ხომ წინადაც ყოფილხარ? ცოტა რამ ფული მოაგროვე, და დაბრუნდი ისევ შენს უ—ში, იმისობას სხვა ადგილი ვერ გაგიწევს, ტყუილად ივლი ესე უპატრონოსავითა-მეთქი, და ისიც დამეთანხმა. თუმცა კი არ ვიცი დღემდე: აქეთა ჰქმნა მართლა პირი, თუ უფრო შორს სადმე გადიკარგა.

ათ ვერსზე ქ. თეირნიდან არის ერთი კარგი სოფელი „შაჰაბდულ აზამი“. ამ სოფელში დასაფლავებულია ერთი წმიდანი წამებული შაჰი, სახელად აბდულ აზამი, რომლის სახელიც გადუტანიათ შემდეგში თვით სოფელზედაც. საფლავზედ აშენებული აქვთ ერთი მშვენიერი ემამზადე ოქროს გუმბათით, როგორც თვითონ ამბობენ. ეს წმიდანი ძალიან მიჩნეულია სპარსეთში და დიდ-ძალი ხალხი დადის სალოცავად ყოველდღე. ამ მლოცავთათვის გაყვანილია თეირნიდან შაჰაბდულაზიმამდე რკინის გზა.

მოვინდომე ერთხელ იქ წასვლა. ამოვარჩიე ამისათვის პარასკევი დღე, იმათი კვირა, რომ ხალხი ბევრი იქნება და ამბებსა ვნახავ რასმე-მეთქი. წავიყვანე ჩემი ბიჭი, ჩავსხედით

ცხენის რკინის გზაში და წაყვით. კაცის თავზედ სამი შაი (კაპიკი) გამოგვართვეს და საშინელი დიდი მანძილი გაგვატარეს.

ვაგონი ცხენის რკინის გზისა გაყოფილია სამ ნაწილად. წინა და უკანა ნაწილებში ორ-ორი სკამია კაცებისათვის, ხოლო შუაში ორი სკამი თავ-და-თავ აფიცრულია ქალებისათვის. კაცს არ შეუძლიან გაიქაჭანოს იმ განყოფილებაში, როგორადაც ქალს არა აქვს ნება ფეხი შესდგას კაცების განყოფილებაში.

მე ავედი უკანა განყოფილებაში და ვარჩიე ფეხზედ დგომა, რადგან ასე უკედ შემეძლო აქეთ-იქით ყურება და ადგილების დათვალიერება. მოვიდა ერთი ახალგაზდა სპარსელი, მოგვიხია ბილეთები, ჩამოგვართვა ფული და გაბრუნდა. გავიარეთ ცოტა გზა, ამოხტა ერთი სხვა სპარსელი, მოახია ყველა ბილეთს თითო კუთხე დაუნიშნა წიგნში კონდუქტორს და წავიდა. ამოვიდა რამდენიმე ხნის უკან ახლა სხვა კონდუქტორი, მოახია იმანაც ბილეთს ერთი სხვა კუთხე, დაუნიშნა იმანაც წიგნში კონდუქტორს და წავიდა. მინამ ადგილას მიგვიყვანდნენ ორი კიდევ სხვა კონტროლიორი ამოვიდა, იმთაუც დაგვისინჯეს ბილეთები, კუთხეები კი აღარ მოუხევეათ და დაუნიშნეს წიგნში კონდუქტორებს. რომ ვიკითხე, ეს ამოდენა კონტროლიორები რა ამბავია-მეთქი, მიპასუხეს, დიდი ბოროტ-მოქმედებაა და იმისთვისაო. მე ძალიან გამიკვირდა, რადგან ეს ცხენის რკინის გზა იმავე ბელგიელი ანონიმური საზოგადოებისაა, რომლისაც ჩვენი და, სჩანს, თეირნის კონდუქტორები უფრო დიდი არტისტები ყოფილან, ვიდრე ტფილისისა, რომ იქ ოთხი-ხუთი კონტროლიორი ჰყავთ ხოლმე თითო გზაზედ და აქ კი ხანდისხან თითოსაც ვერ შეხვდება კაცი:

ვნახოთ, ჩვენ მხარეს ამოხტა ერთი პატარა ყმაწვილი, შთამომავლობით სეიედი, — თავზედ ლურჯი მაუდი ჰქონდა და ხვეული. ხელში ერთი პატარა ყუთი ეჭირა და ყუთშიაც ელაგა: ვაქი გაუხსნელი, დიდრონ ნაჭრებად, შჩოტკი წაღებისა,



სულ მაღალ გაცვეთილი, ძალა პირ-განიერი ქურჭლით, ერთი-ორი ჯღანი ტყავისა და ხის შპილკები. ორი განყოფილებაც დახურული ჰქონდა იმ ყუთს. თვითონ ბიჭს სულ მოსვრილი ჰქონდა მურით პირი, ხელები და ტანისამოსი. იპოვა იმ პატარა ბიჭმა იქ ერთ სკამზედ პატარა ადგილი, ჩაჯდა და მოიდგა ყუთი გვერდზე. ამოჰყვა ამას თან ის კონდუქტორი, რომელმაც ბილეთები მოგვიხია, მიაჭირა ფეხი-ფეხს, გაიძრო ფეხსაცმელი და მიაწოდა იმ პატარა სეიედს. ღმერთო ჩემო! რა სუნი დატრიალდა! დაგვნიდა კინალამ ყველანი, მერე რამოდენა ხალხი იყო ამ ბაქანზედ (პლატფორმაზედ). შიგა და შიგ კაი პატივსადები სპარსელებიც ისხდნენ, მაგრამ კრინტი არავის დაუძრავს, თითქო ეს ესე იყო საჭიროვო. იმ სეიედმაც ამოიღო ჯერ შჩოტკი და ჩვენ ცხვირ წინ გააყრევინა წალას მტვერი. მერე სადგისითა და ნემსით მიუჯღანა საპირე საპირესა. ახლა ამოიღო ხელით ძალა და გააშავა მიკერებული ჯღანი და თეთრი ძაფები. შემდეგ ამოიღო მუჭით ვაქსი, გაუსე-გამოუსევა ხელითვე წალას, გაჰკრა ჩოთქი და მოართვა. მოჰყვა ახლა, რასაკვირველია, მეორეს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, მივედით ჩვენც რკინის გზის სადგურზედ და გადავბტით ვაგონიდან.

რკინის გზის სადგურზედ დაგვხვდა ერთი ნაცნობი სპარსელი, იქაურივე მოსამსახურე და მითხრა:—დღეს ნუ წაბძანდები, დღეს ძალიან ბევრი ხალხი იქმნება და ხვალ მე თითონ გაიხლები და ყველაფერს გაჩვენებო. მე ვუთხარ, რომ დღეს განგებ მივდივარ, რადგან ბევრი ხალხი იქმნება, მეც ეგ მინდა ვნახო, თორე მეჩითს ხომ არც დღეს, არც უხალხოზაში მე არ გამასინჯებენ-ჰეთქი. კარგო, მითხრა იმანაც, ამართვა ორი პირველი კლასის ბილეთი, მომატარა სადღაც შორს და გამიყვანა ბაქანზედ. ხალხი სრულიად არავინ ჩანდა, მე ვიყავ და ჩემი ბიჭი. დაჰკრეს პირველი ზარი, კიდევ არავინ გამოჩენილა. მე ჩემი ადგილი დავიჭირე. დაჰკრეს მეორე—კარებმა ქრიალი მოიღო და ქვეყნის დედა-კაცები გამოიფინნენ. უჩვენეს ამათ თავისი ვაგონები და, უნდა გეყურებინათ, ეს, პირ-ბადე ჩამოფარებული და თავით ფეხებამდე მუთაქასავით ჩაღრში გამოხვე-

ული ხალხი რა ფაცა-ფუცით ეხვია ვაგონებს. ესენი რომ დასხდნენ, გააღეს ახლა სხვა კარი და გამოიყვანეს კაცები. ხალხი მართლა ბევრი უნდა მოგროვილიყო. ეხლა მეც შევფიქრიანდი. ვუთხარ ჩემ ბიჭს: მოდი ეხლა წავიდეთ კი, რადგან ბილეთები უკვე ნასყიდი გვაქვს, მაგრამ სოფლად ნულარ შევალთ და ისევ ამავე მატარებლით დავბრუნდეთ უკანა-მეთქი. „რადა, ბატონო! რისა გეფიქრებათ? მე ეს ადგილებიც და ეს ხალხიც ჩემი ხუთი თითივით ვიცი, წამოხდნით სოფელსაც დაგატარებთ, მეჩითსაც გარედან გაგასინჯებთ. ჩვენი ხმის გაცემი არავინ იქნებაო“. მივედით შაჰაბდულაზიმის სადგურზედ და ამოდენა ხალხი რომ ვაგონებიდან ჩამოვიდა და ჭინჭველასავით იქაურობას გუნდ-გუნდად მოეფინა, მე კიდევ ვავუშეორე ჩემ ბიჭს და ამანაც იგივე პასუხი მომცა.

წავედით სოფლად, შევედით გალანის კარებში და იქიდან პირ-და-პირ დახურული ბაზარი იწყობოდა. კვირა დღე იყო ამათი, იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი. ავეყვიტ ჩვენც ბაზარს. წინადან სამი პატარა ბიჭი მორბოდა; დაგვინახეს, გამოიშვირეს ჩვენკენ თითები და დაცინვით რაღაც შემოგვიკურთხეს. კაი რომ, არა მესმოდა-რა, მაგრამ ვერცარა ჩემმა მესროფმა გაიგო, თუ არ ვიცი, იქნებ, განგებისადაც არ შემეტყობინა. მერე, რამდენიც წავდგით წინ ფეხი, ხან ერთი მედუქნე, ხან მეორე, ხან ბრიყვულად ჩაგვიხველებდა, ხან ვითომ—დააცემინებდა,—მოგვეყენ აქეთ-იქიდან და ისეთი თავსიცილი დაგვაყარეს, თქვენი მოწონებული. მე წინადაცა მქონდა ვაგონილი ზოგიერთ ევროპელთაგან, რომ მათთვის უფრო ცუდი დღე დაუყენებიათ, რომ უამისოდ ძნელად გადარჩება ამათში კაცი და სრულის მოთმინებით აღჭურვილი მივდიოდით წინ, თან კი თავი ძირსა მქონდა ჩალუნული და არავის ვუყურებდი.

ერთბაშად თითქოს მიწიდან ამოვიდნენო, ჩვენ წინ ორმოცი ყმაწვილი გაჩნდა. დაგვინახეს თუ არა, მოჰყვენ რაღაცის ძახილს და თან ჰაერში ხელების ქნევით მოდიოდნენ. მე ესეც უბრალო მასხარად აგდებად ჩავთვალე, ვცდილობდი არა



შემემჩნია—რა და იმავე წელის ნაბიჯით მივაბიჯებდი. თუმცა, ნუ ბრძანებთ, გაუჩერებიათ ჩემი მესროფა და თითების ქნევიტა და მუქარით უთქვამთ, რომ ესლავე უკან გაბრუნდითო. მესროფას გული გაჰხეთქია, გამოქცეულა და მომძახის ყვირილით: „ბატონო, უკან დაბრუნდით!—არ გვიშვებენ... ბატონო! ბატონო! აღკრძალულია! არ გვიშვებენ, ბატონო...“ რო შეეხედე, ერთბაშად მეც შიშის აღმა ამკრა: თვალები გიქს მიუგავდა, ტუჩებში ფერი არა ჰქონდა, ცხვირის ნესტოები გასდიდებოდა და ციებიანსავით ქვევით ყბას ველარ იმაგრებდა. არ გვიშვებენ და, გაგბრუნდეთ ამ საათში-მეთქი.

ის პატარა ყმაწვილები იქავე ტრიალებდნენ და ერთი ღრიანცელი გაემართათ. გამოვბრუნდით ჩვენ და ისინიც აგვედევნენ,—ზოგი წინ მიგვიძლოდა, ზოგი უკანიდან მოგვდევდა და საზოგადო ხმაურობას არა სწყვეტავდნენ. მე, რასაკვირველია, ამ უსიამოვნო ამბლით სიარული მეჩოთირებოდა, მინდოდა გზა ამეხვია, მაგრამ მისაბრუნე არსადა სჩანდა. მაშინ მივუბრუნდი ერთ დარბაისელ მედუქნეს და განგებ ლაპარაკი დავუწყე, ვფიქრობდი, ეგებ მინამ ეს ყმაწვილები თავის-თავად დაიშალნენ-მეთქი.

— რად არის აღკრძალული აქ გავლა, ჩვენ ხომ მეჩითში არ შევდიოდით-მეთქი?

— აგერ აის ძეგლი რომ ძვეს,—დამანახვა ერთი ამაღლებული ადგილი,—იმის იქით არა-მუსულმანს არ შეუძლიან გავლაო, რადგან მერე ეს ქუჩა პირდაპირ შიგ მეჩითში შედისო.

— ჩვენ ეგ არ ვიცოდით, უკაცრავადა-მეთქი,—ბოდიში მოვიხადე.—კარგი ახლა, მაშ ჩემისთანა კაცს, რომ ესე გარედან უნდოდეს დათვალიერება, არ შეიძლება-მეთქი?

— რატომ, როცა გნებავთო, მხოლოდ მაგისტვის აი აქეთკენ სხვა გზა არისო და გამიშვირა იქით თითი.

მე დიდი მადლობა გადავუხადე. სანამ ის ყმაწვილებიც დაშლილიყვნენ. მე აღარც იქით, აღარც აქეთ არ გამიხვევია და გაწვიე პირდაპირ რკინის გზის სადგურისაკენ, თან ძალიან ვუსაყვედურე ჩემს „ნეტარ მესროფას“ (ასე ვუძახდი სახელს),

რომ თუ არა იცოდი-რა, რა ბელადივით მიმიძღოდი წინ და მარწმუნებდი, რომ ხმასაც არავინ გაგვცემსო. სადგურზედ რომ მივედით, ბაქანისაკენ გზა კლიტით იყო დაკეტილი და ძალაუნებურად ჩვენც იმ ოთახში უნდა დაგვეცადნა, სადაც ასობით სხვა სპარსელნი ისხდნენ.

პატარა ხანს უკან ჩვენს მხარეს, კაცების ოთახისაკენ მოდიოდა ერთი დედაკაცი. დაინახეს ჯარის-კაცებმა და ასტეხეს ერთი საშინელი ხმაურობა. დედაკაცმა ვერა გაიგორა. მაშინ გადმოხტა რამდენიმე ჯარის-კაცი დასტაცეს დედაკაცს ხელი და ცივ-ცივად გაარბენეს დედათა განყოფილებისაკენ. დღემდე მე ბევრჯელ მენახა ამისთანა ადგილებში რამდენიმე მეომარნი თოფებითა და ყოველის გაწყობილობით, მაგრამ არავისთვის მეკითხნა, თუ რად იყვნენ და რა მნიშვნელობა ჰქონდათ. ეხლა თავის-თავად ცხადი გახდა ჩემთვის და, იმედი მაქვს, თქვენც მიხვდებოდით მათს მნიშვნელობას.

გახსოვთ თუ არა ქარიმა? დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ის აქ დანავარდობდა და დიდი მეკობრის სახელი ჰქონდა. მთელი კავკასია შესძრა, ყველა თავისზედ აალაპარაკა. სადაც ის მიმინოსაგებ დაჰქროლავედა, ხალხი მწყერსავით განაბული სახლებში იმალებოდა, ყველა თრთოდა მის სახელის გაგონებაზედ. რა ჯარი, რა პოლიცია, რა ადმინისტრაცია არა სდევნიდა იმას დასაჭერად. გაზეთები ხო დღე მუდამ იმის საქმეებს იყო მონღომებული.

ასე ზარი დასცა ქარიმამ მთელ კავკასიას, მაგრამ ხალხი ისე არ უყურებდა მას, როგორც წუწკ მეკობრეს. ხალხს გულში თითქოს რაღაც სიმპატია ჰქონდა მისდამი: ხალხი მის საქმეებში თითქოს გმირობასა და რაღაც დიდ-სულოვნობას ხედავდა. ეშინოდა იმისი, ჟრუანტელი უვლიდა თავით-ფეხამდე მარტო იმისი სახელის გაგონებაზედ, მაგრამ თან გულში რაღაც პატივისცემაც ებადებოდა. სად არის ეხლა ეს ქარიმა? მოგვსვლია როდისმე ფიქრად ეს კითხვა?

ქარიმა, გაძევებული კავკასიიდან, შეჰფარებია სპარსეთის შაჰს. შაჰს ძალიან უყვარს გმირი ხალხი და დიდის მოწყალე-





ბით მიუღია. უბოძებია მისთვის ხანის წოდება და ღენერალი ჩაუყენებია თავის სამსახურში. დღესაც, როცა კი შაჰი მოჰკრავს სადმე მას თვალს, უთუოდ გამოელაპარაკება, ისე უყვარს. სცხოვრობს ეხლა თეირანში. იცნობს იმას ყველა, როგორც პატიოსან კაცს და არცარავინ ერიდება იმის მეგობრობას. თანა ჰყავს სამივე თავისი ძმები და ერთიც ბიძა. ჰყავს ორი ცოლი და ცხოვრობს თავისთვის ისე, როგორც ერთი და ორი სხვა გენერალი სპარსეთის სამსახურისა.

მე აქვე მქონდა ჭორივით გაგონილი, რომ ის სპარსეთის სამსახურში იყო და ეხლა, თეირანში მისვლისათანავე, მომაგონდა ქარიმა და მომინდა იმის ნახვა. ვთხოვე ერთ ნაცნობს ხანს, რომ თუ იცნობ ქარიმას, გამაცან, იმისი ნახვა მინდა-მეთქი. ბატონი ბძანდები, ქარიმას ვინ არ იცნობს, დღესვე გაჩვენებო, და იმას მართლა იმავე დღეს გარდაეცა ქარიმასათვის ჩემი გაცნობის სურვილი. ქარიმაც იმავე საღამოს გადამჯდარიყო ერთ მშვენიერ თეთრ ცხენზედ და ორის ძმით და თავისის ამალით მომადგა კარს, სასტუმროში. ჩინებული სანახაობის კაცია, როგორც სახით, აგრედვე მოყვანილობით: კახტა და ნებიერი. თან ერთი ისეთი რალაც მიმზიდველობა აქვს, რომ ვინც ნახოს, შეუყვარდება. მე ძალიან მიამა იმისი ნახვა და იმ საღამოს დიდ ხნობამდე აღარ გავუშვი. ის იყო და ის. დამიმეგობრდა ისე, რომ სულ უნდოდა ერთად ვყოფილიყავით და ხშირად მიწვევდა სახლში. მითხრა, რომ „შენი, ნახვა ძალიან მიამა, მე კავკასია ძალიან მიყვარს და ვისაც იქაურს ერთი თვალს მოგკრავ, ამეშლება ხოლმე იქაური მოგონებანიო. მე ქართველებისა დიდი პატივის-მცემელი ვარ ყოველთვის და ნამეტან ქართველი თავადების სიკეთეს თავის დღეში ვერ დავივიწყებთ, იმათ ჩვენზე ყოველთვის ამაგი ჰქონდათ. იმათი ზრუნვა ჩვენს ქვეყანას თავისდღეში არ მოჰკლებიაო.“ ემდურის რუსებს ძალიან, რომ „მე იმათ ძალად დამაყენეს ამ გზაზედ, მე ესეთი კაცი არ ვიყავიო.“ ჰფიცავს, „არც ერთხელ, არც ფულისათვის და არც სხვა რაიმე ინტერესისათვის არცერთი კაცი არ მომიკლავსო“, და ამას სხვებიც

ემოწმებიან. ამისი მომდევნო ძმა უფრო პირ-ქუშტი და გულ-  
 ღრძოა შეხედულებისაა. თვით ქარიმა ამბობს, რომ „მარ-  
 ტო ამას 400—500 კაცი ეყოლება მოკლულიო.“ მეორე ძმა  
 უფრო სულ ახალგაზდაა და ყველაზე ლამაზი სახისა. მეო-  
 თხე ძმა უფრო სულ ახალგაზდაა. ქარიმამ მითხრა იმაზე  
 ერთხელ, — „როდესაც ეს ჯერ ძალიან პატარა იყო, ბანზედ  
 აბობლებულიყო. მამას დაენახა და დაეძახნა: აბა, თუ ბიჭი  
 ხარ, მანდედან გადმოხტო. ამას ეთქვა, მოკვდებიო, მაგრამ  
 მამა გასჯავრებოდა და ებრძანებინა კიდევ, უთუოდ უნდა  
 გადმოხტეო: შენ თუ მოკვდები, შენს მაგიერი სხვა მეყოლე-  
 ბა და თუ მაგეთი ლაჩარი იქნები, არ მინდინარო და საწყა-  
 ლი პატარა ბიჭი ძალით გადმოეხტუნებინათო“. ჰყავს ერთი  
 თაქლედი (ნათლუხის ახლოა ეს სოფელი) ბიჭიც, რომელმაც  
 კარგად იცის ქართული. თვითონ ქარიმამა და იმისმა ძმებმა  
 კი სრულიად არ იციან, გარდა ორის სიტყვისა: „გამარჯობა“  
 და „თავადი“.

საყურადღებო იყო ერთი რითიმე, როდესაც მე იმან პირ-  
 ველი სადილი გამიმართა. შევდგი ეზოში ფეხი და მარჯვნივ  
 ერთ თავ-და-თავ ხალებით დაფენილ ღია ოთახში დავინახე  
 ერთი გრძელი მაგიდა და გარეშამო ოცამდე კაცი. დამინახეს,  
 წამოიშალნენ ყველანა და რე წინდებიანი მომეგებნენ. ქარი-  
 მამ გამაცნო ყველანი და მიმიწვია სუფრაზედ, რომელიც დიდი-  
 ხნის მომზადებული ჰქონდათ და ჩემს მოლოდინში ყოფილ-  
 ყვნენ. მაგიდაზედ ყველანაირი სასმელები და ადგილობრივი  
 ღვინოები იყო მშრალ საჭმელებით. შემოჰქონდათ გაუწყვეტ-  
 ლივ მწვადები, ჩვენებურად გაკეთებული. აქ რომ კარგა შევ-  
 ნაყრდით, მიგვიწვიეს მეორე ოთახში, სადაც იატაკზე დაფე-  
 ნილი იყო სუფრა და გაშლილი ნამდვილი სადილი, ესე იგი  
 ცხელი საჭმელები და ფლავი. როდესაც სადილი გავათავეთ,  
 მიგვიწვიეს ისევ წინანდელ ადგილას; მოჰყენენ ნელ-ნელა სმა-  
 სა და მასლაათს. აქ შევიტყე მე მხოლოდ, რომ ყველა, ვინც  
 აქ სტუმარი იყო, სულ რუსეთიდან გასული ხალხი იყო. მო-  
 მეტებულად განჯისა და ერევნის გუბერნიიდან. ყველა ისინი



დღეს შაჰის სამსახურში ითვლებიან და იქაურს დიდკაცობას შეადგენენ. იყენენ ისეთნიც, რომლებმაც რუსული ლაპარაკი იცოდნენ; იყენენ ბრინცები, რომლებიც სპარსეთიდან ყოფილან გაქვევებულნი, იყენენ გენერალნი, იყენენ კაი განათლებულე-ბიც და ერთი მათგანი უმაღლესი სწავლა დამთავრებულიც.

თეირნიდან ერთი ეჯის მანძილზედ არის ზოოლოგიური ბაღი, ამის გვერდზედაც ერთ მაღალ გორაკზედ, ზედ წვერზედ მისდევს ერთი ლამაზი სიგძის შენობა. ლამაზია ნამეტნავ შორიდან, ეს ყოფილა აგარაკსავით შენობა მეფის, უკეთუ ის ოდესმე კეთილ-ინებებს, თეირნიდან აგარაკად მიმავალი, აქ დასვენებას.

მოგონებაზე გეტყვით, თუ როგორ სცოდნია შაჰს აგარაკად ცხოვრება. გავა, ვთქვათ, თეირნიდან, გაივლის აა თხუთ-მეტ ვერსის მანძილს და ჩამოხტება. აქა აქვს სასახლეები, ბაღები და ყოველი მოწყობილობა. დარჩება აქ ერთი-ორი კვირა, აიყრება მერე ისევ და გადაინაცვლებს ადგილს, ესლა ცოტა უფრო იმაზე შორს, ცოტა იმაზე მაღლა. დარჩება აქაც რამდენიმე კვირა და გადაინაცვლებს კიდევ ადგილს. მისდევს ასე ცოტ-ცოტაობით და ყველაზე ცხელ დროს გაატარებს ხოლმე მახანდარანში. ასრევე სჩადის, როდესაც ბრუნდება უკან, თეირანისაკენ. ამისათვის იმას ყველგან გზებში სჭირდება სასახლეები, სადაც კი ის მოისურვებს ჩამოხტომას ან ცოტას ხნით, ან ბევრის ხნით, ან მარტო ამაღის სანაბარა და ანუ მთელის სახლობით, მოსამსახურეებითა, გამდლებით, პირისფარეშებით, მსლებლებით და მონებით, რომელთა საზოგადო რიცხვი დღეს, როგორც ამბობენ, 3000 სულიდან შესდგებაო. აქედან წარმოსდგება თვით იმ სასახლეების ესეთი საშინელი სხვა-და-სხვანაირობა: ზოგი პატარაა, ზოგი მეტის-მეტი დიდი, ზოგი უფრო უბრალო და ზოგი ძალიან ლამაზი და ყოველისფრით მოწყობილი. ერთი ამათგანია ის სასახლეც, ზევით რომ დავასახელეთ, ხოლო ნამდვილად როგორი დანიშნულება აქვს, ძნელი სათქმელია. სახელად „დოუშან თაფეს“ ეძახიან.

ამის გვერდზედ არის, როგორც ვთქვი, ზოოლოგიური ბაღი. ბაღი კაი მოზრდილია. შესავალშივე დგას ერთი დიდი მკვიდრი შენობა, რომელიც უჯრა-უჯრადაა დაყოფილი. აქა ჰყავთ ცხოველები, მაგრამ ძალიან ცოტა.—სულ იყო, როდესაც მე ვნახე, ორი ლომი, ორი დიდი ჯიქი, ორი ვეფხვი და რამდენიმე მაიმუნი და დათვი. გარჩევა ისა აქვს ევროპულ ზოოლოგიურ ბაღებთან, რომ აქ ეს ცხოველები თავისავე ჰავაში არიან და ისეთი ფხიზელი და მალხაზი სანახაობა აქვთ, თითქოს თავის ნებად მინდვრად არიან გაშვებულნიო. აქვე, ცოტა მოშორებით არის სამ-სართულიანი სახლი, სასახლე მეფისა. როცა ინებებს ის აქ მობრძანებას, ამ დარბაზებში განისვენებს. ღირსია ნახვისა ამ სახლში ძირის სართულის სარკის ოთახი. შუაზედ შედრევიანი აქვს და ევროპული ავეჯეულობით არის მოწყობილი. წინ ეზოში ერთი აუზია ყვავილებით მორთული და ამის ხევითაც მალლობზედ გამართულია მეორე ძალიან დიდი აუზი. გზა თეირანიდან ამ ბაღამდე და იმის იქითაც ათ ვერსამდე ძალიან კარგია. განივრად არის გაჭრილი, ორივე მხარეს არხები ჩამოუდის წყლით სავსე და არხის ორივე პირზედ ორ-ორ პირად ჩაყოლებულია საჩრდილობელი ხეები.

ერთ დღეს მითხრეს, შაჰი უნდა შემოვიდეს ხვალ ქალაქში, აგარაკიდანა ბრუნდებოა. მე გავაფრთხილე ჩემი ბიჭი და ვუთხარი, რომ ხვალ დილით ადრე სულ იმ ქუჩაზედ იყავ და როდესაც დრო იყოს, მოდი, შემატყობინე-მეთქი. მეორე დღეს, ასე, 12 საათი იქნებოდა, გაველ მეც ლალაზარის ქუჩაზედ, საიდანაც შაჰი უნდა შემობრძანებულყო. აქ ერთი სომხის დუქანში ვიშოვე ადგილი შიგ თოფხანის ჰიის კარის შესავალში.

ვნახოთ, გაჩნდა საიდანაც ერთი დაბალ-დაბალი, ახლად წვერ შემოხვეული, ყვიციანი ბიჭი და თვალი არ მომაშორა, ამხედა და ჩამხედა. როცა კარგა დამათვალიერა, ნელ-ნელა მომიახლოვდა და ბოლოს ჩემს გვერდზედ ჩაცუცქდა. წამავლო პატარახანს უკან წალის ჭვინტზედ ხელი და მკითხა: „კნიაზ-ჯან! ამ წაღებს ქალაქში აკერვინებო“? ეს კითხვა, რასაკვირ-



ველია, იმას ნიშნავდა, რომ გამოლაპარაკება უნდოდა. მეც ვუთხარ, დიალ, ქალაქში ვაკერვინებ, მაგრამ შენ ქართული საიდან იცი-მეთქი?

— როგორ თუ საიდან! დალოცვილო, მეც ქართველი ვარ.

— თუ ქართველი ხარ, აქ რას აკეთებ?

— აქ ხარაზადა ვარ, რა ეიცი, ესე მოხდა ჩემი საქმე.

— კარგი-და, შე კაი კაცო, თუ ხელობაც იცი, განა ხელობით იქ კი ვერ დაირჩენს კაცი თავს, აქ რა მოგარბენებდა. იმან ერთი უგემურად ჩაიცინა და მითხრა: „კი არ გამოვიქცე, გამომაქციესო“. აღმოჩნდა იმისი ლაპარაკიდან, რომ რალაც საქმეში რეულა, ციმბირში გაუგზავნიათ და ეს აქ გამოპარულა.

ამგვარი ხალხი აქ საზოგადოდ ბევრია, ვინც საიდან გამოიპარება, აქ მოიკიდებს ბინას. ესეც ისეთი თავისუფალი ქვეყანაა ამ მხრივ, რომ კაცი არ არის ჰკითხოს მომსვლელს თუ წამსვლელს, ვინა ხარ, ანუ რისთვის მოსდიხარო და სცხოვრობენ თავისათვის არხეინად; ისე არიან, როგორც შინ, როგორც თავის საკუთარ სახლში.

რასაკვირველია, არც გვარი მითხრა თავისი, არც სახელი და რამდენიც დავეკითხე, რა საქმეზედ იყავ გაგზავნილი-მეთქი, სწორე მასუხს არ მაძლევდა. მოჰყვებოდა და ჩამომითვლიდა მაშინდელ მეკობრეთ, რომელნიც იმის საქმეში რეულან, უნდოდა გადაკვრ-გადმოკვრით მივეხვედრებინე: „იცნობ ამასა და ამას, იცი რა საქმეზედ იყო გაგზავნილი? იცნობ მავანსა და მავანს, იცი რა საქმე ჩაიდინესო“?... ვუყურე, ვუყურე და მერე შეუტეე: თუ გინდა სწორეთა თქვი, თუ არა-და, რას მივდ-მოვდები-მეთქი. შენ ხომ არა გგონია, რომ მეც იმათი ამხანაგი ვიყავ და ციმბირიდანა ვარ გამოქცეული? აბა საიდან მეცოდინება-მეთქი. იმან ერთი გულიანად გადინხარხარა და მითხრა: „უკაცრადად, კნიაზო! მაგრამ სანამ თეირანში იქნები, მე შენ არ მოგშორდები; მიბრძანე, შენი სულის ჰირიმიე, რაცა გნებამდეს და მე შენი ყურ-მოჭრილი ყმა ვარ: ეგ არა-

ფერი რომ ეხლა გაგაჯავრე, ახლა ხვალა მნახეთ რა ბიჭი ვა-  
 რო“ და გადახტა და გაიქცა. როგორც მე იმას დავაკვირდი,  
 ის ქართველი არ იყო, უფრო თათარსა ჰგვანდა, საქართვე-  
 ლოში დაბადებულს.

მე ისევ ქუჩაზედ ვიყურებოდი, ხალხი ბუზივით ირეოდა.  
 ჯარები და მოხელეები ადიოდ-ჩამოდიოდნენ, ყველა ლაგდე-  
 ბოდა. არ გასულა სულ სამი წუთი, ამ დუქანში შემოვიდა  
 ერთი სხვა კაცი. დუქნის პატრონმა მისთავაზა სკამი და ჩემს  
 მახლობლად დაჯდა. შეხედულობით სპარსელსა არა ჰგვანდა:  
 რალაც მშვიდი, წყნარი და სასიამოვნო სახე ჰქონდა. ევრო-  
 პულად ეცვა და ქუდიც გარიბალდის ქუდის მაგვარი ეხურა.  
 ხნით 45 წელიწადს იქნებოდა მიღწეული. მცირე ხნის შემ-  
 დევ წამოდგა ადგილიდან და ბოდიშის მოხდით მომიახლოვ-  
 და. რუსულად ლაპარაკობდა.

— ეგ თქვენი ტანისამოსი ჩვენი ძველი ქართული ფორმა  
 არ გახლავთო?

დიდ-მეთქი და სანამ მე შევეკითხებოდი, საიდან თქვენი  
 ძველი ქართული-მეთქი, იმან ზედვე დააყოლა:

— გუშინ მოგკარით პირველად თვალი. მე და ერთი ჩე-  
 მი ოსმალელი ამხანაგი მოვდიოდით და კიდევ გამოვიშვირე  
 თქვენსკენ თითი! იმას დავანახვე და ვუთხარ, რომ ეგ ჩვენი  
 ძველებური ტანისამოსია.

აქედან შეჰყვა ჩვენი ლაპარაკი, საიდანაც მე ვიცან, რომ  
 ის ქართველია, ოსმალეთის მოხარჯე და სტამბოლში სცხოვ-  
 რობს. სარწმუნოებით მუსულმანია და ოსმალეთის მთავრობი-  
 საგან წამსახურობისათვის დაჯილდოებული. იმერეთისაკენ შე-  
 მოუვლია ორჯელ-სამჯერ, როგორც ქართველს. ყოფილა ტფი-  
 ლისში გამოძიებაზედ ოსმალეთის მთავრობისაგან გამოგზავნი-  
 ლი, როგორც რუსული ენის მცოდნე, როდესაც აქ, მტკვრის  
 პირის კუჩაზედ მოკლეს ოსმალეთის კონსული. ყოფილა აგრე-  
 დვე სამსახურისა გამო დანიშნული პეტერბურგს, სადაც რუ-  
 სის მთავრობისაგანაც ერთი ჯილდო მიუღია. მიაშბო აგრე-  
 დვე, რომ იქ, ჩვენში ქართველობა კარგა დაწინაურებული



არიან, თუმცა ცოტა-ლა მოსდგამთ მხოტ ქართველობისაო. დიდად მიღებულია სხვათა შორის პრინცი (ბატონიშვილი) და დიანი, ყორჩიბაშიო და ერთიკ კიდევ ვილაც თავადი, რომელსაც უფრო მეტად აქებდა და რომლისაც მე გვარი დამავიწყდა. როდესაც მე იმას თავის შთამომავლობაზედ დაველაპარაკე, გაბედვით ვერას ამბობდა: ხან სიტყვებსა ჰყლაპავდა, ხან ლაპარაკის საგანსა სცვლიდა. სთქვა, რომ ამ 150 წლის წინად ჩვენი წინაპარი ხელმწიფის ტოლი (თუ მოადგილე) კაცი ყოფილა, მთელი მცხეთა იმათა ჰკუთვნებიათო... ბოლოს რაღაცა უსიამოვნობა გამოჰრეოდათ, დევნა დეეწყით, დეეკრა იმასაც ფეხი და ოსმალეთში გადავარდნილიყო. როდესაც გვარი ვკითხე, თქმა აუ უნდოდა და ასე მიპასუხა: მაშინდელი მე აღარ მახსოვს და ეხლა ოსმალეთში კიდევ გვარების ტარება არ ვიცითო და თან კი ჩუმად წამომჩურჩულა სახელი—ერეკლე ხანო.

ამ დროს ხალხში ძალიან ხმაურობა ასტეხეს: შაჰი მოდის, შაჰი მოდისო! მე ჩამოვართვი ხელი ერეკლე ხანს, მივე ჩემი აღრესი და სულითა და გულითა ვთხოვე, რომ სანამ აქა ვარ, ძალიან ხშირ-ხშირად შემომიარეთ, ან ავს ვიტყვიო, ან კარგს; თქვენც მარტო ხართ, მეც, თქვენც უცხო ყოფილხართ აქ და მე ხომ სულ გამოვყრუვდი მარტოობითა-მეთქი.

ამის შემდეგ ორჯელ მოსულიყო და არც ერთხელ შინ არ დავხვდი და ისე გაველი თეირნიდან, რომ მხოლოდ ერთხელ შემხვდა ქუჩაზედ. როდესაც უკან დაბრუნებაზე თეირანში მოველ, პირველი ამას შევეჯახე. დიდად გაუხარდა: გამაჩერა, მომიკითხა და მომიყვა ლაპარაკს. — ეხლა სპარსეთის სამსახურში შეველ. ერთი კვირა პოლკოვნიკად ვიყავ და ერთი კვირის უკან შაჰმა გენერლობა მიწყალობა. ეხლა სულ აქა ვარ და რაც გნებავს დამავალეო. თანაც აღრესი მთხოვა, რომ ხვალვე მოვალ შენთანაო. მოსალაპარაკებელი საქმეები მაქვს: მე აქ დიდ ხანს ვერ გავჩერდები, მინდა ერთი სახლი ვიყიდო ან ბაქოს, ან ტფილისს და გადმოვსახლდეო. მე ძალიან დაღლილი ვიყავ, კარგა ვერ გამოველაპარაკე. აღრესიც

ვერ ვუთხარ, რადგან მე თვითონ არ ვიცოდი, სადა ჰქონდა სახლი ჩემს მეგობარს, რომელთანაც მე უნდა წამოემხტარიყავ. მაშინ იმან ერთი პაპიროზის მაღაზია მიუჩრა, იქა ვარ ხოლმე ხშირად, მაგრამ ვერც იმ პაპიროზის მაღაზიას მივაგენით და ვერც იმისი ნაცნობი ვინმე ვნახეთ, რადგან მე თვითონ კარგა არ ვიცოდი იმისი ადრესი და მარტო ერთის სახელით, როგორც ახალი კაცი, ძნელი საპოვნელი აღმოჩნდა.

ამ ჩვენს ლაპარაკში გამოჩნდა კიდევ კარეტა შაჰისა. კარეტა მთლად მოვარაყებულ იყო და სამი წყვილი ცხენი ება შიგ, წყვილ-წყვილად. კარეტას მოსდევდა ფორმის ტანისამოსით გამოწყობილი პოლიცია. შევიდა კარეტა თოფხანის მოედანში და პოლიცია ამ შესავალ კარებთან ქუჩის პირზედ დამწყრივდა.

ნუკი გვეგონებათ, რომ ეს პოლიცია რასმე აკეთებს. ესენი იდგნენ ისე, ფორმისათვის და მხოლოდ ადგილი ეჭირათ. სხვა დროს პოლიციის საქმეს სამხედრო ხალხი აკეთებს; უფრო მომეტებულად კი მანდატურნი. სხვა-და-სხვა მანდატურთ სხვა-და-სხვა ტანისამოსი აცვიათ, მაგრამ ყველას ხელთ ჯოხი უჭირავთ. ჯოხი სიგრძით არშინ-ნახევარი იქნება, თავი მსხვილი აქვს, როგორც ჩვენი მღვდლების ხელ-საბჯენ ჯოხსა და ეს ჯოხი მას მხარზედ აქვს გადებული. თვით ამ ჯოხებსაც სხვა-და-სხვა-ნაირი თავები აქვს: არის სულ უბრალო თავიანი, არის მოჭრელებული, არის შევერცხლილი, არის მოოქროვილიც. საკვირველი იყო, რომ იმ დღეს არც ეს მანდატურნი უგდებდნენ ყურს წესსა და რიგს, არც მეომარნი. თვით სპასალარმა მიაყენა გვერდზედ ერთ ჯერად ქუქყიანი ხალხი, რომელიც შიგ პირველ შესავალ ალაყათის კარებში მოგროვილიყო. საზოგადოდ არავითარი წესი და რიგი არა სუფევდა, გარდა იმ ერთი მტკაველი ალაგისა, სადაც თვით შაჰი მობრძანდებოდა: სად მეაქლემე გაარღვევდა ჯარის წყობას და გადაატარებდა თავის ქარვანას, სად ჩაღვადარი შეაყენებდა მომდინარე ჯარს და მიერეკებოდა აკიდებულ ჯორსა და ცხენს. ვინ იყო ყურის მგდებელი?





ხალხმა რომ კარეტა დაინახა, დაიძახა, — შაჰი ცხენით შემობძანდებოა. პროცესიაც თანდისთან მოგვიახლოვდა და აი გამოჩნდა კიდევ ერთი სპილო, კისერზედ კაცი აზის, კავიანი რკინის ჩანგალი უჭირავს ხელთ სპილოს დასამორჩილებლად. შორიდან ისე მოჩანს, თითქო სპილოს კისერზედ მუწუკი ამოჰსვლიაო. ამას მოსდევს მეორე სპილო, მეორეს მესამე და მეოთხე. მოდიან მძიმედ, წელის ნაბიჯით, ფილოსოფოსებსავეით და მოაპარტყუნებენ ტაბაკის ოდენა ყურებს. ეს არის ნიშანი შაჰის ძლიერებისა. ამათ მოსდევდნენ მეფის მანდატურნი. მერე რამდენიმე ცხენოსნები — მოხელენი და აფიცრები და, როგორც ეტყობოდა, ესენი სულ განკარგულების მიმცემნი და რიგის დამცველნი უნდი ყოფილიყვნენ. მერე გამოჩნდნენ ისევ მანდატურნი, მაგრამ ეხლა ძალიან ბევრნი და ჯარსავეთ რიგზედ დალაგებულნი. პირველების ჯოხები უბრალო თავიანები იყო, მეორეებისა მოჭრელებული და ბოლოს-და-ბოლოს ვერცხლის თავიანები. ესენი ქუჩის აქეთ-იქით პირებში მოდიოდნენ რამდენიმე წყებად და შუაში ცარიელი ადგილი ჰქონდათ დატოვებული. ამ დატოვებულ ადგილში, მანდატურთ შუა, უფრო ბოლოში მოდიოდა ერთი ცხენოსანი და მის შორი-ახლო ჯალაღანი. ცხენოსანი წარმოადგენდა ძველებურ მემარს, აბჯარ-ჩაჩქანით გამოწყობილს და ხელშიაც ნაჯახი ეჭირა მალლა აშვერილი. ცოტა არ იყოს, აუშნოიანებდა ეს ფიგურა პროცესიას და რაღაც ტეატრალურს მისხარაობას აგონებდა. შემდეგ მოდიოდა მანდატურთ-უხუცესი ოქროს თავიანი ჯოხით და იმის უკანაც თვით შაჰი. მშვენიერს ცხენზედ იჯდა და ღინჯად, მაგრამ ძალიან კოხტად მოჰყავდა ცხენი. სულ უბრალოდ იყო ჩაცმული. გვერდში ცოტა მოშორებით ახლდა ცხენითვე შვილი, ნაიბ სალთანე, თეირანის გუბერნატორი. უკან ახლდნენ ვინც კი ვინ დიდკაცობა იყო სპარსეთში სრულის მუნდირებით და ჯილდოებით შექედილნი: ამინ სულთანი, სპასალარი, ვეზირნი, გამგებენი, გენერალნი და სხვანი. არსადა სჩანდა მხოლოდ აზიზ სულთანი, რომელიც შაჰს განუშორებლივ გვერდსა ჰყავს ხო-

ღმე. არც ერთს თავი არ დაუკრავს, ისე ჩაიარა მეფემ ამოდენა ხალხში. ქუდის მოხდა და „გაუმარჯოს“ ძახილი ხომ სრულიად არ იცინა და ისე მუნჯად მიდიოდა მთელი პროცესია, თითქო მიცვალებულს მიასვენებენო. ამათ შემდეგ მიდიოდნენ ისევ მანდატურნი ლამაზი წითელი ტანისამოსით და ვერცხლის-თავიანი ჯოხებით. შემდეგ მუსიკა და შაჰის საყვარელი ცხენოსანი ჯარი, რომელიც, როგორც ამბობენ, სულ ქურთთავან არის შემდგარი, თავისის ადგილობრივის სპარსულის მორთულობით კაციან-ცხენიანად. შემდეგ კვალად მანდატურნი, მუზიკა და ყაზახის ჯარი, რომელსაც რუსის აფიცრები სწრთენიან. მერე კიდევ მანდატურნი, მუზიკა და ნაიბ სალთანეს ჯარი, თავისის მშვენიერის ტანისამოსით და თეთრის თათმნებით, რომელიც სულ სამოც კაცზედ მეტი არ იქნებოდა. მერე ისევ მუზიკა და ქვეითი ჯარი, რომელსაც ავსტრიის ჯარის ფორმა აცვია, და უკანასკნელად კიდევ მანდატურნი და ზარბაზნები (არტილერია).

ჩემი ყურადღება მიიქცია ამ პროცესიაში ორმა გარემოებათ. პირველი იყო ის, რომ ნაიბ სალთანეს ჯარის მუსიკა, სულ პატარა ყმაწვილებისაგან იყო შემდგარი და ზოგი მათგანი რვა-ცხრა წლისა ძლივს იქნებოდა. მეორე კიდევ ის, რომ შაჰის დასახვედრად გამოსულიყო ზოგი 10—11 წლის ყმაწვილი სრულის მუნდირით, პოლკოვნიკის ჩინით და ზოგი მათგანი ჯილდოებითაც. როდესაც მე ვიკითხე, ეს რას ჰნიშნავს მეთქი და მივუშვირე ხელი ერთ პაწია ყმაწვილზედ, მითხრეს მაგას მამა ჰყავდა მაგ ღირსებისა, დიდად დამსახურებული და როდესაც ის მოკვდა, შაჰმა იმისი ადგილი მაგას მისცა თავისის ჩინითა და ჯამაგირითა, რომ სახლობა უნუგეშოდ არ დაარჩომილიყო. რასაკვირველია, მაგას არაფერი შეუძლიან, მაგის მაგიერ საქმეებს სხვები ასრულებენ, მაგრამ სახელი კი ყველგან მაგისია და ეგვე უნდა დაუხვდეს შაჰსაო. ეს ჩვეულება, აღბად, ამითი აიხსნება, რომ როჭიკის<sup>1)</sup> მიცემა არ იცინა და რომ ულუკმა-პუროდ არ დასტოვონ დაობლებული ოჯახობა, ასე იქცევიან.

\*) როჭიკი—პენსია.



ჯარებში ყველაზედ უკეთესი იყო ქურთების რაზმი. მშვენიერი გმირული შეხედულობის ვაჟაკანი, თითქოს განგებ დაურჩევიათო. არა უჭირს—რა აგრედვე ყაზახის ჯარს და ნაიბ სალთანესას, მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც ვთქვით, სულ 60 კაცი ძლივს იქნება. რაიცა შეეხება ქვევითა ჯარს, სწორედ რალაც სამასხარო იყო, თოფის ჭერა არ იცოდნენ და სიარული, ისე მილახლახლახებდნენ, როგორც ბეჭებ-დამტვრეული ბატები.

დისციპლინა ხო—რა მოგახსენოთ. ერთს რომ მხარზედ ჰქონდა თოფი თასმით ჩამოკიდებული, მეორეს იღლიაში ამოეჩარა, მესამეს საბრესავით ზურგზედ მოედო და ხელები გეყარნა, ზოგი ისე ხელში ათამაშებდა, ზოგს თავდაყირა ეჭირა, ზოგს როგორ და ზოგს როგორ. ფეხის აყოლება სიარულში, ვგონებ, ერთმაც არ იცოდა. ერთი რომ მიდიოდა, მილილინებდა, მეორე გვერდით თავის ნაცნობს მიიყოლებდა და მიელაპარაკებოდა, მესამეს თოფი ამხანაგისათვის მიეცა, თითონ რიგობიდან გამოსულიყო და ვილაც ჩაღვადარს ესაუბრებოდა.

აქედან წარმოიღვინეთ ამათი დისციპლინა: აფიცებმა შენიშვნა მისცა ერთს სალდათს, თოფი სწორედ დაიჭირეო. ის მიუბრუნდა და შეტევით უპასუხა: ასე მეჭიროს თუ ისე, რა საქმე წახდება, ამის მეტს ველარასა ხედავო. ეს თოფი ჩემია, როგორც მინდა ისე დავიჭერო, და ჩაკმენდინა ხმა თავის უფროსს.

მოგახსენებენ ცოდვილი ხალხნი,—ვითომ, შაჰი არაფერ ხარჯს არა ჰზოგავს საზოგადოდ ჯარისათვის, მაგრამ იარანლები ფულებს ჯიბეში იღებენ და ჯარს არ ინახავენო. როდესაც საჭიროა შაჰის წინაშე ჯარის წარდგენა, მაშინ, იმ შემთხვევისათვის 5—10 კაპეკად მუშებს ქირაობენ, მუნდირს აცმევენ, თოფს აძლევენ ხელში და აბა რა ეცოდინება ხამ ხალხსაო. მე ამეების განხილვაში ვერ შევალ, რასაკვირველია, და არც თუ ჩემი საქმეა, მე მხოლოდ ის ვნახე, რომ ჯარს სპარსეთისას მხოლოდ სახელი ჰქვია ჯარისა და 100 კაცი,

ევროპულად გაწვრთნილი სულ კუდიტ ქვას ასროლინებს, მთელს ირანის არმიას თავისის არტილერიით გარდა ქურთთა ცხენოსანი ჯარისა.

მეორე დღეს სალამოს გამართეს შილინგი<sup>1)</sup> პატივად შაჰის მობრძანებისა. შაჰის სასახლის გვერდის კარის ბჰის წინ იყო გამართული ერთ პატარა მოედანზედ. დიდი სამზადისი ჰქონდათ: კედლებზედ ყველგან ხალები ჰქონდათ ჩამოკიდებული; რა მშვენიერი ქალები, ლამპრები, კანდელიაბრები იყო აქ ანთებული! რა შუშხუნები არ აუშვეს, რა ფეიერვერკები არ დაწვეს. სპარსელებს ეს ხელობა კარგა სცოდნიათ. უყვართ კიდევ ძალიან ამისთანა გასართობი. დიდ ძალი ხალხი იყო მოგროვილი, ნემსის ყურწი არ ჩავარდებოდა, როგორც იტყვიან.

პირდაპირ ერთ მაღალ დერეფანში შაჰის სასახლისა დიდ ძალი დედაკაცობა ისხდა და უფრო იმათზედ მეტი კიდევ ფეხზედა ტრიალებდა. აქვე შემოვიდა ერთ ჯერად შაჰი. მე ვიკითხე, ეს რას ჰნიშნავს, შაჰს სტუმრობა აქვს გამართული-მეთქი? «ეგ სულ ცოლები არიან და რაც მაგათ გამდელები, პირის-ფარეშები, მატრაკვეცები და სხვა ათასი მოახლეები ჰყვანან, ისინიც რო ჰნახო, მაშინ რაღას იტყვიო!» მიპასუხა ერთმა ჩემმა მეგობარმა.

ლადო ადნიაშვილი



<sup>1)</sup> შილინგი—საზოგადო მზიარულება, როგორც ილლიუმინაცია (ტორ-ვესტო).

## გაბრიელ ეზისკაზოსის მიწერ-მოწერა\*)

### I

გაბრიელ ეზისკაზოსის წერილი თ. გიორგი კოსტანტი-  
ნეს მის მუხრან-ბატონის მიმართ

მოწყალეო ბატონო

კნიაზო. გიორგი!

შენი წიგნი კგ-სა რქტომრიდან მე გვიან მივიღე, რადგან შე-  
ცდომით ადრესი გუჩიის ეზისკაზოსთან დაგეწერა, მაგრამ პირი  
მისი კარგა ხანია წამიკითხა კ<sup>რ</sup> გრ. დადინმა, ამ შენმა წიგნმა, კარგი  
ქართული ენით დაწერილმა, გაამტეუნა ზოგაერთნი შენი ბრძოლის  
წამკითხველნი, რომელნიც ამბობდნენ: უთუოთ მან თვითონაც კარგათ  
არ იცისო ის უბედური ქართული ენა, რომელსაც სსკათა შორის  
უწინასწარმეტყველას მოსპობა და გაქარგება. მე კი აქვე ბოდიში უნდა  
მოვიხადო, რომ ეს ჩემი ვასუსია არ არის ისეთი კარგი ენით და-  
წერილი, როგორც შენი წიგნი. ამასაც დაუმატებ: ვასუსის წერას  
შეუუღებო არა უსარგებლო ცილობის და ამაო თავისმოყვარებისა  
გამო, არამედ იმ განზრახვით, რომ იქნება ამ ჩემნი ურთიერთ შო-  
რის ხასით ჭეშმარიტება აისხნას უმჯობესად. მე მაქვს სასუში-  
ვის მივწერ ამ წიგნს. ვიცი წინათვე, რომ ის მალეად განათლებუ-  
ლი პირი, რომელსაც ამ წიგნს ვწერ, საწყენად არ მიიღებს ჩემს წე-  
რილს, თუძა-ლა იგი არ ეთანხმება მის აზრებს.

\*) აქ დაბეჭდილი წერილების ორიგინალები ჩვენ ხელში ვერ ჩავიგდეთ და პირებზე კი თარიღები, სამწუხაროდ, არ არის აღნიშნული.

მალაღს და ვრცელს მნიშვნელობას აძლევ ენას, როდესაც იტყვი: «ენა კანცისათვის და მეტადრე საზოგადოთ ხალხისათვის ის არის, რაც სული ხორცისათვის.» სხვა კისმესთან, არა ისე განათლებულთან და ლოლივის მცოდნესთან რომ მქონდეს ბასი აქ, მე ამ სახით გუზასუხებდი: თუ ენას ასე დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტესად ძნელია და შეუძლებელი ხალხისათვის მისი მოხშობა; მით უმეტესად უნდა ეცადოს ხალხი მისს შეკეთებას, გაგრძელებას, დამარხვას და არა დაკარგვას და აქვე მოვიყვანდი სამლო თონისაგან ამ სიტყვებს: «არ სარგებელი არის შეიძინოს კაცმა სოფელი ყოველი და სული მისი იზღვიოს; ანუ რა მისცეს კაცმა ნაცვლად სულისა მისისა?» მაგრამ ვიცი, რომ ამისთანა ზასუხი მე შენთან არ გამიჯა. შენ მასწავლე სიტყვას გამიწვევებ და მიზასუხებ: «თუ კი ბუნებითი წესი და კანონი არის, რომ მცირე ხალხის ენა მოასშოს და დიდი ხალხის გაგრძელებას, რაც გინდა იწუხოს და იზრუნოს ზირველმა, ბუნება მას წესზედ ვერ გადავა.» მართლაც, თუ ის არის, რომელსაც შენ ამტკიცებ ბრეშურაში—ბუნების კანონი არის, უსარგებლო იქნება ყოველი წინააღმდეგი ზრუნვა და ლაზარაგი. ბუნების წესი, ვით თვით ღმერთის წესი, სრულდება ჩვენდა დაუკითხავად. მისთვის სულ ერთია—მოგწონს თუ არა მისი კანონი. მაგრამ რით ამტკიცებ შენ, რომ ის მოკლეს (მცირე ხალხის ენის განქარება) არის ბუნებითი წესი? ამას შენ ბრეშურაში ამტკიცებ მარტო ლოლიკური თეორიით (теорією), მართლაც ღრმით მოსაზრებულა და ღონივრად გამოთქმულა თეორიით, მაგრამ მანც თეორიათ. იმ შენი თეორიის თავსაკიდური არის ეს არას: «სახელმწიფო არის და უნდა იყოს ერთი ორგანიზმი (одно органическое тѣло), ერთ ორგანიზმს ერთი სული უნდა ჰქონდეს, ენა სულია ორგანიზმისა, მასსადაც ერთი ენა უნდა იყოს სახელმწიფოში; წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო არ იქნება მალაღი და მკვიდრი. ეს არის თეორეტიკულია, შედარებით ანუ დამსგავსებით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ სახელმწიფო ორგანიზმი არის, მაგრამ ასო-სოფლ არ მიიღება ეს დამსგავსება. მართლაც, სახელმწიფო არის შეერთება მრავალთა განყოფილთა ორგანიზმთა, ესე იგი ადამიანთა. რაც გინ-



და მკიდრით და მაგრათ იყენენ ივინი შეერთებულნი ასე-სად ერთ ორგანიზმს ვერ შეადგენენ. პრაქტიკა, გამოცდილება ამტკიცებს, თუ არა ამ შენ თეორიას? შენ ჩემსე უკეთ იცი, რომ თეორია გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული, ფაქტებიდან უნდა იყოს გამოყვანილი და არა უკუღმა, ესე იგი ფაქტები თეორიიდან არ გამოიყვანება. მართალია, შენ წიგნში ვი მოიყვან რამეღთამე ფაქტებთა დასამტკიცებლად შენი თეორიისა (იმათ განვიხილავ ქვემოთ), მაგრამ ბრუნშურსში ფაქტები არ მოგყავს; მხოლოდ ამბობ: ისტორიული განხილვაჲ მეორე ნაწილში იქნება. თეორია, რაც გინდა ღრმა და საფუძვლიანი იყოს, კერძოდ ეს ვერ ასწინის მრავალ-ფეროვანსა, მრავალ კერძსა, დაუნტრომელად მოძრავსა, მუდამ ცვალებადსა კაცობრივს ისტორიულ ცხოვრებასა. ახლა გადავალ იმ ფაქტების განხილვასაზედა, რომელთა შენ მოიყვან წიგნში. მაგრამ წინაშარკულად ჩემი მხრით მოვიყვან აქ ერთ შესანიშნავს, სასოგადო ფაქტს: დედამიწის რურგზე, დასაბამიდან ქვეყნისა ვიდრე აქამოდე და ახლაც ჩვენ დროებაში, არ ყოფილა და არ არის ისეთი დიდი სასკელმწიფო, რომელსა შინა ყოველნი მცხოვრებნი ლაშარკობდნენ ერთი ენით: ყოველ დიდ-დიდ სასკელმწიფოში ყოველთვინ და ყოველგან, გარდა ერთი უმთავრესი სამმართველო ენისა, ყოფილან სხვა წვრილ-წვრილნი ენები; გარნა ეს გარემოება არაიერს არ უშლიდა და არც ახლა უშლის, ე. ი. მარტო ამ გარემოებას სასკელმწიფო არსად არ დაურღვევია, არც დაუსუსტებია. შენს წიგნში მოყვანილი ფაქტები, ჩემი შესედეით, არ ამტკიცებენ შენი ბრუნშურის თეორიას, არამედ იმის წინააღმდეგს. შევიცარბიას უჩვენებთ და იტყვიით, რომ აქ სამი ენა არისო, და ამისთვის აქ ერთი მკვიდრი სასკელმწიფო არ არისო. შევიცარბიას დაიდ მკვიდრი და მაგარი სასკელმწიფო არის. ანუ ფედერაციას და რესპუბლიკას შენ სასკელმწიფოდ არ სთვლი? ნუ თუ მარტო მონარქია არის მკვიდრი და მაგარი სასკელმწიფო და რესპუბლიკა არა? ვკონსე შევიცარბიისთანა განათლებული, მაგარი ერთობით და თანხმობით სასკე სასკელმწიფო არც ვი არის კერძაში.

მართალია, ავსტრია, რომელსაც შენ მოიყვან შემდგომ შევიცარბიისა მაგალითად, თითქმის შენს აზრს ამართლებს. ავსტრიაში



ჩემი თქლი, ანუ ენა: ნემეცური, მადიანური, სლავიანური ერთ-  
ნეთში უთანხმოდ და სამუდამოთ სტრუქტურებს; მაგრამ აქ ენების  
განსხვავება არაფერ შუაში არის, არამედ სხვათა ისტორიული მი-  
სეუნი და გარემოებანი. შემოსესებულები სამი თესლი მსლ-  
ბელ დროებაში შედგენდნენ სამთა მძლავრთა სახელმწიფოთა. მე-  
რძე სელაქებით, და არა ბუნებითა წესით, იქმნენ შეერთებულნი  
ერთ სელმწიფოს ქვეშე. საუბედუროდ მათთა, მართებლობა სწორი  
სამართლით (равноправно) არ ეუწობა ყოველ თესლებს: ნემეცები  
და მადიანები ავიწროებდნენ ჩესებს და სხვა სლავიანებს; ბოლოს  
ერთმანეთშიც აქვთ შური და ცდილობენ მოახლოონ უზიარტესობა  
(გეგემონია), ამ მიზეზებით და არა ენის განსხვავებით არის ავს-  
ტრიაში არეულობა და შოთი.

ისტორია, მართლდა, ისწავებს მრავალთა თესლთა და ენ-  
ბთა, რომელი თითქმის განქარდნენ ისტორიულ ასპარეზიდან, მა-  
გრამ რა იყო ამის მიზეზი? ძალადობა, მტრებისაგან შევიწროება,  
იძულება, ამოწვევა! თუ ამ სახით ენის მოხშობას უწოდებ შენ  
ისტორიულ კანონად და წესად, მაშინ წინააღმდეგს ვერაფერ დაგი-  
მტკიცებს. ამ სახით მოიხშო გალლების თესლი და ენა, რომელ-  
საც შენ ასწავებ წიგნში. გალლება ნასკვარი ამოწვევით და და-  
ფანტეს რომელიმე, ნასკვარი ფრანგებმა; მაგრამ ამბობენ, რომ  
ფრანციაში, ესე იგი ნორმანდიას ჰროვინციაში ასლაც არიან ნაშთ-  
ნი მათის თესლისა (გელტები), რომელთაც ენაც აქვთ შენასული  
მათი ძველით. რადგანაც ფრანციას შეესო სიტყვა, აჭა ერთი შესა-  
ნიშნავი ჩვენი საგანის ასახსნელად ფაქტი: სუვევლანი ამბობენ,  
რომ ფრანციასთან ერთ-გვაროვანი და ერთ-ენოვანი სახელმწიფო  
არ არისო ვეროვნაში; მაგრამ აქაც, სამხრეთის კერძო, ისპანიის სა-  
ზღვრებთან ასლაც ცხოვრობს ერთი ძველი იბერეთის დანარჩენი ხალხი,  
სახელად ბასკი, რომელიც ასლაც თავის ძველს ენას სმარობს, ასე  
რომ სასამართლოებში მათ ფრანციული მეთარგმანე უნდებათ. გა-  
შინჯე, რომ ვეროვნის პირველმა ენამ ვერ მოხშო ბასკების ველუ-  
რი, ძველი ენა, რომელსა სმარობს ერთი მუქა ხალხი, რაიათასა  
წლის განმავლობაში! რასაც შენ ამბობ მეორე ნაწილში შენის ბრ-  
შურისა იმაზედ, რომ მცირე ხალხისათვის მიუცილებელი საჭირო-





ება და სარგებლობა არისა შეერთება დიდ ხალხთან, მისი სწავლა, მისი ერთ მიღება განათლებისა—ეს ყოველი დიად ჰატი-  
 ოსანი და ჭეშმარიტია, თუ გინდა ბუნების წესი და კანონი არის.  
 ბუნებაში ყოველიფერი სუსტი და მცირე ეძიებს შეერთებას და გან-  
 ძლიერებას უღონიერების და უძლიერების შემწეობით; სხვა საბუ-  
 თი და დამტკიცება რომ არ იყოს ამ აზრისა, მარტო ჩვენ ქარ-  
 თველთა მგალითი და გარემოება ცხად-ჭეოფის ამას. ჩვენი ხალხი  
 და ქვეყანა რომ არ შესულიყო ძლიერი რუსეთის ხელმწიფის ხელ-  
 ში, ახლა ჩვენ შთანთქმულ ვიქნებოდით მაჰმადიანობის საბუნელიში,  
 ამის წინააღმდეგ ვინ იტყვის, გარდა ჭკუით დახედებულისა? და  
 თუ მართლა ბუნებას ისეთი წესი და კანონი აქვს, ღვთისაგან მი-  
 ცემული, რომ მცირე ხალხის ენა და თესლი უთუოდ უნდა შთან-  
 თქმულ იქნეს დიდი ხალხისაგან, კურთხეულ არს დიდი და მოწყა-  
 ლე ღმერთი, რომელმან არ დაანება ჩვენი ტომი შთანთქმად თა-  
 თობისა და უიზილბაშებისა, წყეულთა და შეჩვენებულთა (იმათ ეგო-  
 დენ სტანჯეს, აწვალეს და განრყენეს ჩვენი უბედურნი მამები, რომ  
 შემენდება მათი დაწყევლა!) დეე ისევე შთაჰინთქათ გრცელ რუსე-  
 თის ზღვაში! მაგრამ არა! შეერთება (слияние) სხვა არის, და შთან-  
 თქმა სხვა. ყოველისფერით შეიძლება შეერთდეს მცირე ხალხი დი-  
 დთან: სულით, გულით, აზრით, ინტერესებით; მაგრამ მისი ენის  
 მოსხობა არ შეიძლება, და არც არაფერს დააშაგებს, ანუ დაუშლის  
 ენა ამ ერთობას. შენ ამბობ, რომ მცირე ხალხი თავის ღარიბი  
 ენის საშვალბით ვერ მიაღებს ცივილიზაციას... განა არ შეიძლე-  
 ბა რომ დიდი ხალხის ერთ მიიღოს კაცმა სწავლა და განათლება  
 და მისი ენაც არ დაივიწყოს? რა დაგიძალა შენ ქართული ენის ცო-  
 დნამ? დიდი განათლება მანც მიგიღია რუსული, ფრანციული და  
 სხვა ენების საშუალებით, და შენი ენაც არ დაგიკარგავს. ამ სა-  
 ხიოთეე იქნევიან ყოველნი ჰიონი, დიდი განათლების მქობებულნი.  
 ხალხის ხალხთან ერთობა (слияние) მარტო ერთ არ მოხდება,  
 არც დაბრკოლდება; ამას გვიმტკიცებს ისტორია ცხადად. ენაზე  
 უდიდესნი არიან სხვანი კავშირნი, რომელნიც შეერთებენ უფრო  
 მაგრად ხალხთა და ტომთა: შინაგანი კაცის და ხალხის გრძნობა,  
 აზრი, სასიათი ენაზე უდიდესია; ენა არის მხრლად გამოძიქმე-

ლი, გარკვენი სხსე. თუ სიყვარული, ნდობა, ინტერესების ერთობა არ შეაკავშირებენ კაცს კაცთან, ხალხს ხალხთან, ენა იქ ვერაფერს იქს, და სუეველა ამაზე უდიდესი, გაუწვევტელი კავშირი ხალხთა შორის, ჩემი აზრით, არის სჯულის აღსარება. თუ ერთი სჯული და აღსარება აქვს ორ შეერთებულ ხალხს, ამაზე უმეტესი კავშირი სხვა აღარ იქნება მათ შორის.

შენი ბრძოლის აზრს, თუ უკაცრავად არ ვიქნები ამის თქმით, ის აწებს, რომ იგი არის გამოთქმული კატეღორიულად (КАТЕГОРИЧЕСКИ), ანუ აკსიომის მგზავსად (КАКЪ АКСИОМА), ე. ი. არა აქვს განსაზღვრება. აქსიომები მარტო მათემატიკაში არიან მისაღებნი, ისტორიაში და ფილოსოფიაში მხელად მოიხმევიან ისინი. მართლად, პირველად მცირე ხალხები სხვა-და-სხვა ნაირი არიან. მათშიც დიდი განსხვავება არის. ჩვენც, ქართველნი და სომეხნი მცირე ხალხნი ვართ ერთი მხრით;—მეორე მხრით—აფხაზნი, ოსნი, ლეკნი ანუ, ვთქვათ, რუსეთში—მორღვა, ჩრემისი და სხვანი—მცირე ხალხნი არიან; მაგრამ ნუ თუ ორივე ამ ღრუბზა (ГРУППА) ხალხზე ერთი და იგივე ითქმის შესასებ მათი ენისა? მეორე ღრუბზის ენები არიან უკიდურესად მართლად ღარიბნი, მათი ენით არც ერთი განუენებული (ОТВЛЕЧЕННАЯ) აზრი არ გამოითქმის; ანბანი და წიგნობრობა მათ არ აქვს, ლიტერატურა მით უმეტესად; თითქმის მამალ ჩვენს სეირიანად ვერ გადითარგმნება აფხაზურ ენაზე. ისტორიული თავის ცნობა (ИСТОРИЧЕСКОЕ САМОСОЗНАНИЕ) მათ არ აქვთ, ერთი სიტყვით, არც ერთი ელემენტი არა აქვს მათ ენას მეოფობისა, ანუ არსებობისა. ამისთანა ხალხებზე მარტო რომ გეთქვას ის აზრი შენი, მაშინ არ გაუძნელდებოდა ვიდევ კაცის გონებას მიღება მისი; მაგრამ ქართულს, სომხურს და ამით მსგავსთა ენათა ზედანა თუ გააკრცელეთ ის აზრი, მაშინ არავინ არ შეიწინარებს მას. ქართველის და სომეხების ენა თუ მცა მცირე ხალხის ენები არის, მაგრამ არა ღარიბთ; ამ ენებს აქვს მწიგნობრობა, ლიტერატურა, სამღთო წერილი და მრავალნი წმ. მამათა წერილნი ნათარგმნი; ამ ორ ენაზე ყოველი მენიერება და აზრი გამოითქმის; მათ აქვს ორი ათასი წლის მეტი ისტორია; ისინი იყენენ ოდესმე თვით მდგომარეი სხსელმწიფონი, ერთი სიტყვით, აქვთ მათ ყოველნი ელემენტნი არსებისა და



სიტყვებისა, ამისთვის მათი განქარვება მნელად საფიქრებელია, შეუძლებელია. მეორე განსაზღვრება ის უნდა მაგვრას შენი აზრისთვის, რომ შესაძლებელია და მრავალ გზის მომხდარა მცირე ხალხის ენის შეერთება, ანუ უმჯობესად, გადასვლა მისი ერთ გვარკანის, მაგრამ განსხვავებულის დიდი ხალხის ენასთან; მაგალითობ, მაღაროსიული ენის დიდი როსიულ ენასთან, მეგრულ ენის ქართულთან, და სსკა. მაგრამ ეს იქნება ენის გადაკეთება და გაკეთება და არა განქარვება. თვით ზოლშური, ბოლღარული, ჩესული, გალლიანური და სსკა სლავიანების ენები რომ გადაკეთდნენ რუსულ ენად ესეც გასაკვირებელი არ იქნება, მაგრამ მე დაწმუნებული ვარ, რომ ამისთანა მოკლენაც ძვირად მოხდება. უფრო შესაძლებელია და უფრო სშირად ამისი წინააღმდეგი მომხდარა, ე. ი. ერთი ძირი დედაენის მრავალ შტოებად განყოფა, გარნა რომ, სრულიად სსკა-და-სსკა გვარის ენა შეერთდეს, ანუ მცირე ხალხის სრულიად სსკა გვარის ენა რომ თავის-თავად, გარეშე ყოველის იძულებისა განქარდეს და მის მაგიერად სრულიად სსკა გვარის ენა რომ მიიღოს, რაც გინდ მცირე იყოს ხალხი, ეს შეუძლებელია. მომეტებული ცენტრალიზაცია როგორც ყოველგან მავნებელია, ისე ენებშიაც მომეტებული დეცენტრალიზაციაც არა არის კარგი; მაგრამ ასევე ეს სჯობია შირკელს, ე. ი. ცენტრალიზაციას. ამისთვის მე ვგონებ, მავნებელი იქნება ისიც, რომ ენები მცირე ხალხების სულ განქარდეს, და დიდი ხალხების დარჩეს. მესამე განსაზღვრება ის უნდა მაგვრას შენი აზრისთვის, რომ მცირე ხალხში ყოველნი დაწინაგებულნი შირნი, თავად-აზნაურნი, სამღვდელნი სშირად ივიწყებენ თავის ენას და დიდი ხალხის ენას მაიღებენ, და არა მთელი ხალხი მას-სით (массой). ან რა სახით შეიძლება ეს? აკადრთ ერთი სოფელი, მაგალითობ, დიდოში ანუ კულაში იმერეთში. აქ გლეხი კაცი და ქალი დაიხადება, სიტყვსლეს ატარებს თავის რჯასში თავის ენით, ათასში ერთხელ ვერ გაიგონებს სსკა ენას; რა სახით დაივიწყებს ის მის ენას? შკოლები მოაშლევინებენ მათ ენას? შკოლას სოფლის კარადეს ვერ იმოქმედებს ისე, რომ თავისი ენა დაივიწყოს. სსკა არის, როდესაც დამნაზიაში, აკადრიაში, უნივერსიტეტში ისწავლის კაცი, მასინ სშირად დაივიწყებენ თავის ენას; მაგრამ ამის-

თანა მღვდელი სასწავლებელი არაოდეს არ ყოფილა მთელი სალხისათვის  
სათვის განსნილი, არამედ ათასში ერთისთვის. მე მგონია, რომ  
რადგანაც შენ აურისტი ხარ და გონება ყოველთვის გართული  
გაქვს დიდ-დიდ სამოქალაქო საქმეებში, ამისათვის ნამეტარი ფიცი-  
სელი იდეალი (ИДЕАЛЪ) შეგიუენებიათ სახელმწიფო მკვიდრობაზე  
და სიმაგრეზე. ამ შემთხვევაში შენზედაც ითქმის ის ანდაზა, რომ  
მელსა ამობენ შენებრ ფიცსელ აურისტებს: pereat mundus, fiat  
justitia (ქვეყანა დაიქცეს, აღონდ სამართალი კი აღსრულდეს). ქვე-  
ყანა თუ დაიქცა, სამართალი გასთვის იქნება საჭირო. შენ ერთი  
მხრით ასე ამბობ: სუვეელა მცირე ენები განქარდეს, მხოლოდ  
(აღონდ) სახელმწიფო გამაგრდესო. მაგრამ საქმე ის არის, რომ  
ამით სახელმწიფო ვერ გამაგრდება. თუ გადავ უგაცრავად არ ვიქ-  
ნები ამის კითხვაზე, წაგიკითხავს თუ არა უცხო ფილოსოფოსის  
დჟონ სტიუარტი მილლის (Джонъ Стюартъ Милля) თხზუ-  
ლება თავისუფლებაზე (О СВОБОДѢ), მესამე თავი, სადაც ის უცხოდ  
ამტკიცებს, რომ ინდივიდუალობა (ИНДИВИДУАЛЬНОСТЬ), ესე იგი  
ყოველი საკუთარი, განმასხვავებელი თავისება, ხასიათი საჭი-  
რო არის ყოველ კაცის (მაშასადამე სალხისათვის) კეთილ დგომი-  
სათვის და ბედნიერებისათვის? სალხის ინდივიდუალობის უმთავრე-  
სი ელემენტი არის ენა. მაშასადამე, ისიც საჭირო არის სალხის  
ბედნიერებისათვის. თუ ეს ასე არის, მაშინ ენის გამოცემა არც  
მცირე სალხს არგებს, არც დიდი სალხისთვის, რომლის ენას მცირე  
სალხი მიიღებს, არის სასურველი. მცირე სალხი რომ შეერთ-  
დება დიდ სალხთან რაიმე მცირე მანინ თავისი საკუთარი კარგი  
ელემენტი უნდა შეიტანოს და დაუმატოს დიდ სალხს, წინააღმდეგ  
შემთხვევაში დიდ სალხს უსარგებლო ტვირთი დაედება კისერზე;  
როგორც რომ კარგ მუშა, მშრომელს რჯახს უშვილეს უღონო  
ზარმაცი კაცი, არაფერს სარგებლობას არ მისცემს გარდა მისა, რომ  
რჯახის ნაოულარ ჰერს შესჭამს. მცირე სალხი, მოკლებული თავ-  
ის ენასა, იქნება მოკლებული ყოველ ინდივიდუალური ხასიათითა  
და თვისებითა და უსარგებლო იქნება თავისთვინაც და სხვისთვი-  
ნაც, როგორცადაც კერძო პირი, არა მქონი პირადი თვით-მდგო-  
მარობისა (ЛИЧНАЯ САМОСТОЯТЕЛЬНОСТЬ), ვერაფერს კეთილს და სა-  
სარგებლო საქმეს ვერ იქმს.



ამ ჩვენ ურთიერთ შიშის მიწერ-მოწერას ვგონებ შენ არ აძლევ არავითარსა პოლიტიკურ მნიშვნელობასა, ვითარცა მეც არ ვსედავ მას შინა სხვა არაფერს, მხოლოდ ერთ სამეცნიერო ისტორიულ საგანზე ბაასსა. ახლა ისეთი დრო დადგა, რომ თვით უბრალო მეგობრულ ღაზარაკში ეპიებენ ზოგიერთნი შიშნი პოლიტიკურ განზრახვას, ამისთვის დაკოვალე საჭიროდ ამისა თქმა. ბოლოს ერთ ბოდიშს კიდევ მოვიხდით. გძელი წიგნით თავი მოგაწიენე; მაგრამ ისეთ საგანზე ვლახარაკობ, რომელიც შენ გიყვარს და რომელზე ბაასი არ მოგეწიენება. ამისთვის გაგებდე გძელი წიგნის მოწერა. უკატრავად ვარ აგრედვე, რომ ცუდი ხელთ-ნაწერი არის ეს ჩემი წიგნი.

შენი ერთგული, კეთილის და სიმთელის მსურველი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა.

## II

### თავ. გიორგი მუხრან-ბატონის წერილი გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ.

მივიღე შენი წიგნი; აქამომდე ვერ მოვიცალე მომეწერა ვასუხნი; ახლა ცოტა თავისუფალი ვარ, და მინდა ჩამოლახარაკება შენთან შიშ-ახსნით და გულ-ახსნით; ვიცი მოკეთე ხარ ჩემი, და სასწორით მეტყუი შენს აზრს, და აგრედვე ამ გვარისკე გრძნობით მიიღებ ჩემს მოხსენებას.

«გულსა შინა შენსა არა არს ზაკვა», ვიწუბ ამ სიტყვით; რასაცა სწერ, იმასა გრძნობ, მაშასადამე წრფელის გულთ მოკომენ და შეკისმინეცა მოწერალობა შენი, ნაყოფი წრფელისაკე გულისა. მაგრამ ნებას ვითხოვ, დროებით დავივიწყო, რომ ვსაუბრობ მაღალ-ხარისხოვან სულიერ მამასთან. განმარტება ამ ჩემის თხოვნისა საჭირო არ არის: ყოველა დაწესება ამ სოფლისა, თვით სასულიერო ხარისხი შენი არის სოფელიური, დიად სასარგებლოა საზოგადოებისათვის, დიად საჭირო, მაგრამ როდესაც ვატი მარტო წარსდგება თავის სვინიდის წინაშე, წარმოდგენილი

სამკვარო, მღვთიურის სამსკვაროსი, — მამინ უნდა დაუტკელო შენცა და მეც კაცობრიობითი ხარისხი, გადაესდვათ შესამოსი ჩვენი, და ვალაზარკათ პირუთხებლად.

აწა სარ თანხმა ჩემის აზრისა, რომელიც წარმოვსთქვი ჩემს ბრძოლასში. რასაკვირველია, მოკლე წიგნით არ შეიძლება გაგვარკვიოს საფუძველი უთანხმოებისა, და არც მე შევალ ვრცლად გამოვრკვივას ჩემის აზრებისა, რომელიც ჩემის გონებით ცხადად არის გამოყვანილი ბრძოლასში.

რა აზრი ძეგს ჩემს ბრძოლასში.

პირველად ეს აზრი, რომ ენა კაცისათვის და მეტადრე საზოგადოდ ხალხისათვის ის არის, რაც სული ხორცისათვის. ამასვედ მომატებული დაფასება ენის მნიშვნელობისა მგონი არ იქნება, — მამასადაძე როგორცდაც ერთ კვამში შეუძლებელი არის იდგეს ორი სული, ორი ენა მოუფიქრებელია ერთს მკვიდრს საზოგადოებაში.

ვიცი, შეიძლება ორ ხალხს ან რამდენიმე ხალხს ერთი მართებლობა ქჭონდესთ, დასაცველად მტრისაგან, ან სხვა საჭიროებისათვის, ვითარცა შვეიცარიის სახალხოსნო საზოგადოებას, (ფრანცუზის, ნემცის და იტალიანის კვარისას) ან ავსტრიის სხვა-დასხვა თესლის ხალხთ; ესე იგი ჭედეზატიონი მართებლობა; მაგრამ ეს ურნი არ შეადგენენ ერთს ხალხოსნობას, ამიტომ რომ ყველა ამ ერთა თავიანთი განსაკუთრებითი ენა, განათლება აქვსთ. მამასადაძე, ორ ენოვანი საზოგადოება, სასულმწიფო, ან უნდა შეთვისდნენ ერთის ამთგანის ენით, ან ორი განცალკეებითი საზოგადოება, სიმკვიდრისა მქონე, შეადგინონ.

ეს აზრი შეუვალა. თუ ამას დაეთანხმება კაცი, მამინ უნდა წრფელის გუფით აღიაროს და დაადგეს იმ გზასვედ, რომელიც ამ აზრს ეკუთვნის.

წარმოიდგინე, მაგალითად, ჩვენი საქართველოს ხალხი; თუ ჭეშმარიტია ეს პირველს პუნქტში მოხსენებული აზრი, ყოველი საქართველოს კაცი, ვინც მოიმედა განსაკუთრებითი მუობადობისა ქართველთ ხალხოსნობისა, ისრე უნდა უფურბდეს სხვა თესლის მართებლობას, და თვით ის მართებლობაც (ჭეშმარიტი აზრი არ უნდა იყოს არავისთვის საწყენი, ვითარცა მიუხილებელი საგანი)



როგორადაც დროებით წესს.—ვსთქვამთ ეს ჭეშმარიტი აზრი გზანიფინა სჩქეუნოდ და ეველამ იებაუდა. მიინიჭა ქართველთ ერმა სრული თავისუფლება. რა შეუდგება ამ ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული მდგომარეობას?

იმ ორს გუბერნიასში, სადაც არის დამკვიდრებული საქართველო, ერთი—არაან ზატარა ხალხნი თავის მიწაზედ აგრედვე დამკვიდრებულნი, თავიანთი ენის მქონე: მეგრულნი, აფხაზნი, ოსნი. რა ზსუსხს მისცემთ მათ, როდესაც ესენიც უეჭველად მოინდომებენ (ან უფრო სწორე იქნება ვსთქვამთ—მოანდომებენ მათნა წინამორბედნი ზატრიოტნი) გაცალკეებას თავიანთ საზოგადოებისას, რადგანაც აქვთ მათ თავიანთი განსაკუთრებითი ენა.

სხვა საფუძველს ვერ მოიპოვებ მათ ზსუსხად, თვინერ იმ საფუძვლისას, რომელიც წარმოვსთქვი ბროშურასში. უეჭველია, მაშინ შეიქნება ბროშურა ქართველთ ზატრიოტებისათვის თვით შეუკალი ჭეშმარიტება, და სხვათა ერისთვის—ცრუმეტუველება.

შენ, ვითარცა სასულიერო გვამს, გაქვს ერთი ზსუსხი—არ უნდა დაეშალოს არცა მცირედსა ერსა თავისი განსაკუთრებითი ცხოვრება; განაგრცონ და შეამონ თავიანთი ენა. დააკაფოფილება—ღა ქართველთ ზატრიოტთ ამ ზსუსხით? თუ აღუდგება მოთხრენილებას ამ წერილ ხალხთა, რა საფუძველზედ—ღა დაემარები შემდეგ, თვინერ ჩემგან წარმოთქმულს, ესე იგი რომელს ხალხსაც არ შეუძლიან თავიანთ ენაზედ სრული განათლება მიიღოს, ის ხალხი ოდესმე უეჭველად შეუდგება მოპოებას იმ ენისას, რომლითაც შეიცამს ამ ღონისძიებას.

ჩემგან მოგონილი ხომ არ არის ეს კანონი, და რად გაიკვირვე შენ, მცოდნემ ისტორიისამ. დაუტევეთ ძველი ისტორია, გარდააკლე თვალი კერძას; სადაც ასობით სხვა და სხვა ენის მქონე ერთი ცხოვრებადა, დღეს ის ქვეუნიბი მარტო ექვს დიდს ერს შეადგენს, ან ენას, ანუ ცივილიზაციას. ახლანდელ საფრანგეთში, გიზოს მოთხრობით, იდგა შვიდი მილიონი გალლები, დაუფოფილი რამდენსამე ერად; სად ჩინთქა მათი ენა? გალლები არ იყვნენ სრულებით განათლებულნი. ამ შვიდი მილიონის ენა დაიკარგა სრულებით, ოთხის საუგუნის განმავლობაში; დაიპურა ეს ხალხნი უმად-



ლესმა ენამ ლათინურმა. როდესაც დაეცა რომის იმპერიას, ქვეყნები განტალკვედნენ; ვეღურთა ხალხთა დაიძინავეს გაღლია, მოაკლდა ამ გაღლიაში მცხოვრებთ ხალხთ წყარო განათლებისა რომიდან, მაშინ ეს ლათინური ენაც დაეცა, აწყო მან ცოტ-ცოტად გადავითარება სხვა ახალ ენად, ასრე რომ მათე საუკუნეში აღარც ლათინურ ენას გვანდა და არც ემგზავსებოდა ჯერეთ ახლანდელს ფრანციტულს.

ეს მაგალითი არ ეკუთვნის მარტო საფრანგეთს, მთელს ევროპაში არ მოიპოვება ენა, რომ არ იყოს სრულებით ახალნაშენი, ამ უკანასკნელს რვა საუკუნის განმავლობაში.

თუ უკვე არა ეძიება ეს მაგალითები; რით ახსნი ამ საყუკელთავე ფაქტს, თუ არ იმ მიზეზებით, რომელიც არის ნახევრები ბრეშურაში.

არ გვგონოს წინადაუსედავად და ამაყურის გრძნობით მიეყავ ხელი ჩემს შრომას; ნუ აფასებ მას ფურცლების რიცხვით. ამგვარს უძაღლესს საგანს როგორ შევესებოდი, თუ არ ვაფუძნებდე ჩემს აზრს სხვათა წარმატებულთ მშრომელთ აზრზედაც. როდესაც მექნება შემთხვევა ზიარდის დაპარაკისა, მგონი შექმლო ყოველის კრწელის ფაქტებით დაეამტეიცო ჩემი აზრი.

ახლა კი შემოდინან გიპასუხო მტეიცედ მცხოვრის სიტყვით: «მართა, მართა, ზრუნავ და შეფთავ მრავლისათვის, ხოლო აქა ერთი არს სახმარ».

სწორე გზა ჰატარა თესლის ერისა არის — სულითადი დაკავშირება ძლიერ ხალხთან, რათა მოიპოვოს განათლება და მით იხსნას თავი თვისი სულიერისა და სარტიელის სიღარიბიდან. სულიერი დაკავშირება სდას მათის ენის განვითარებაში, მშრომელნი წარტატებინან იმ ენისაკენ, ვინაიდან არა ძალუძს ორთა უფალთა მონება.

თვით საქართველს ერი რით განძლიერდა, თავის წრეში, თუ არ ამ კანონის ძალით: წვრილნი ერნი შეითვისა მისმა უძლიერესმა ენამ: ყოველივე შემოხსენებულნი ერნი ილტოდნენ მის ენის მოპოებას, საბედნიეროდ თავიანთთვის. ამის გარდა რამდენნი სომეხნი დევნილნი სათათრო ქვეყნებში, შემოესახნენ საქართველს და შეაქმნენ სრულიად მკვიდრნი ქართველნი ენის გამო, რომელიც





მიიღეს მათ, ვითარცა ნამდვილთა შვილთა ქართველთ მიწა-წყლისა; აგრედვე ეშვილნენ სავსრთველს ერს და ენას ებრაელნი, თუმიცა ორთავე ამ თესლის ერთს აქენდათ წარწინებულად შემუშავებული ბუნებითი ენა თვისა. — ნუ ვიქმნიებთ ორთა სწავლათა; ვიმცნოთ სხსარების სიტყვა, «რომლითა სწავლთა მიუწყო შენ, მოგეწყოს შენცა».

მეორე აზრი ბრძოლისა ის არის, რომ ერთ სახელმწიფოში დადგენილ ხალხთ შორის, ანამც თუ არ უნდა იყოს გარჩევა დიდისა და ზატარას ერისა, ანამცდ მომატებული ზრუნვა უნდა მიახურას მართებლობამ მას ერს, რომელიც უფრო სავსრთებს, ამ ერის ენავე მოიხმაროს მათის განათლებისათვის, მინამდის განვითარდება ერთი ესე უძლიერის ერის ენაზედ. ნუ უკვე არის დენა ენისა, ძალადობით მის აღმოფხვრა.

მე კი არ ვთუშავ წერილს ენებს, დამთუშავი არის ბუნებითი და ისტორიული კანონი; მე მართლ ვამხელ აუცილებელიც მოსახლეობებს! რა ვცდებოდე ვადეც, ჩემი შენდომა განქარვდება თვით თავით თვისით, ანავის ავებს; და თუ ჭეშმარიტია, ვინ აღუკრძალავს გზას. — მოიგონე სიტყვა გამაღიფისა, თქმული ებრაელთ სამსჯავროში, რადესაც სდევნიდნენ მაცხოვარს.

მრავალნი ამისაც ამბობენ: თუმიცა ყოველივე ბრძოლის აზრი მართალია, მაინც მართალი უდროოდ თქმული, მანებელია. ვისთვის? — თუ მთქმელისათვის, დაე მან იზრუნოს თავის თავისათვის; მას არა ჭგონია, რომ სცხოვრებდეს დროსა, ოდეს მართლნი განწირულიყვნენ, ჯვარცმულიყვნენ; — და თუ საზოგადოებისათვის სწყხვან ეს ზიზნი წრფელის გულით ილტვიან!

ჩვენდა საუბედუროდ, რიტორიკას უფრო დიდი გავლენა აქვს, ვიდრე ლოლიკას.

ამავედავს რომ აქიმა უთხრას კვდიო, უგუნურობა, თუ სავსრთება არ მოითხოვს, განკარგულება რომ მიიღოს თავის სხსელეულობისადმი; და თუ ამ გვარი გარემოება მოითხოვს, თვით მამაკვდავსაც არ დაუფარვენ მომაველ უბედურებას.

თუ ჩემი აზრი — ზატარას ხალხის ენის დავარგვანად მართალია, ვის უნდა დავუმალო; მეგობარს კაცს რომ ვუთხრას, «ოცას



წელიწადს. ვერ იცნობრება», ნუ უკვე უნდა დამეძღუროს. მომგზავრეს წამთარში რომ ვუთხრა, თბილი საცემელი წაიღოს, ისიც უნდა დამეძღუროს.

ამ ლოდიკას რომ შევუდგეთ, მოციქულთ და წმინდა მამათა ცანკიციხათ; აწამც თუ ენა, ყოველი სინარული ამ ქვეყნისა, ყოველი წმინდა კავშირი, რაზედაც დაფუძნებულია თვითყოული ზირის ან საზოგადოების ცნობრება, უნდა დაეტოვებინა კაცს, რათა მოეპოვას სული, ცნობრება საუგუნო, — მათის მცნებით.

რუსთაველის ან იყოს: «დამეშალა, ვერ დაკულიდი, დამრჩებოდა უმეცრება».

ბერძი და ბერძი ითქმის ამ საგანზედ; აწა ერთი, რამდენიმე ბროშურს ან კმარის დასარღვეველად ყოველივე უცხო-უკვლად თქმულობისა. დასამტკიცებლად, რომ უდროად ან იყო ბროშურის გამცემს, მოვიყვან აქაურ სემინარიაში რაც მოხდა ამ ცოტა ხანს, როგორც გავიგონე და შენ უკვე გეცოდინება.

ქართული ენის კატიდრის მოფუშესო, ასე სთქვას. ვინც ჩემი ბროშურის აწრისა, ის უცოდნელად ჩააგდებს ამის მქნელს. ვისი განკარგულებით მოხდა ეს საქმე; უკვლავის ყოვლად უწმინდესის სინოდისა და მინისტრისა.

ქრისტიანობისა (უმეტესად მართ-მადიდებელის ეკლესიისა) და განათლების წინააღმდეგი მოქმედება — ვისაგან? სინოდისა და განათლების მინისტრისაგან.

ესევე მოქმედება ყოვლად წინააღმდეგია ჩემის ბროშურისა. ნუ უკვე უდროა განგრცელება სასაღბრად იმ აწრებისა, რომლის მნიშვნელობა ამ უმადლესს ზირთათვისაც ვერად ბნელია. შეიძლება ამ შემთხვევაში მოვიგონოთ სასარების სიტყვა, თუ ეს აწრები ჭეშმარიტია: «და ნათელი იგი ბნელსა შინა სწნდა და ბნელი იგი მას ვერ ეწია»; შეცდომილია უმადლესი სინოდი ამ საქმეში.

აწა, ყოვლად ჰატივეცემულთ და ჰატივ-საცემო მამათ, ჭეშმარიტება კეთილი საქმისათვის აწას დროს ან აწის მანებელი. რჩე-

კა სასოგადოებისადმი, რათა დადგეს ამ გზასად, რომლითაც შენ  
 ღირსეულმა და მე უღირსმა მოვიპოვეთ წარჩინებული ხარისხი, პა-  
 ტივი და განცხრობითი ცხორება, და კიდევ უმეტესი ამა ყოვლი-  
 სა—ნათელი ჩვენ ბნელთა შინა მყოფთა და რჩევა არ არის მკნე-  
 ბელი და არცა ნაყოფი ბოროტის განწმენვისა.



# ს ი ბ ყ ვ ი ბ ი

თქმული

## გაბრიელ მანისკოვსკის კუზოცხი

I

### გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლისა

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ შენ დღეს,  
ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ. ფსალ. დავ.

ღამპარო საქართველოს ეკლესიისათ, დიდება ქართველთათ,  
მოძღვარო ოქროპირო გაბრიელ!

ერთი ოდენ მოკაფეობა თანამსახურის ძღუდელთ-მთაგრის და  
სამეზობლო ეპარხიის უფროსისა მახუდვინებს მე მაკილო ჩემს თავ-  
ზე საშიში ზატვი ღამპარკისა იმ კათედრიდან, რომელიც განაშვე-  
ნე შენ ოც და თუთხმეტის წლის შენის მოციქულებრიგის ქდაგე-  
ბითა და მსახურებით. შენს სამშობლოს ქვეყანას, შენგან სულით  
და გულით შეეკარებულს საქართველოს, სამწუხაროდ შენდა და ჩვენ-  
და, ჯერ კიდევ შორს აქუს ის დრო, როდესაც იმას ექმნება ძალა  
განგონის ყოველს წამს ამ შენგან დაბლებულ კათედრიდან სძა  
მეორე გაბრიელისა.

განა, მოძღვარო ჩემო, მე არა ქდაგებსა და არა მოძღვრებსა  
გუდავ დღეს ამა კათედრიდან წინაშე საფლავისა შენისა, მე მხოლოდ  
ამა კათედრიდან მინდა თავყანის-გცე უკანასკნელის ძაღლობითა შენის  
წმინდა სამსახურისათვის.

პირველსა ძაღლობასა მოგიძვნი შენ, ღირსეულო მწყემსთ-  
მთაყარო, სამღვდელთა და საეკლესიო მსახურთაგან არა მხოლოდ



იმერეთისა, ანამდ გურიის-სამეგრელოს, აფხაზეთისა და ლეჩხუმ-სვანეთისა. შენ ხარ ჰირველი მღვდელთ-მთავარი ქართველთა, აღჭურვილი მალაღის სწავლითა და მეცნიერებითა, რომელმანცა ამ ძველს ჩვენს სამღვდელეობას დროთაგან დაჩაგრულს, შთაბერე სული ახალი და მიეცე აწინდელი ძალი სამოქალაქო ცნობებისა; შენ დაუტოვე მას ძველის ცნობებიდან და სპეკულაციო წესიდან ის, რაიცა ღირს იყო ცნობებისა, ვითარცა შემკვიდრობა ღირსია ძამათა, საქართველოს ძველთა სამღვდელთ მსახურთა და აღმოკვეთე იმის ცნობებიდან ყოველივე, რაიცა შეადგენდა ღვარძლსა, უსარგებლესა. შენი უკანასკნელი ფიქრი კეთუნოდა ამ სამღვდელეობას და მის კეთილ-დღეობას. თვალთა, ცრემლით აღსავსით ვინილე მე წიგნი, მიწერილი შენ მიერ მთავრობისადმი იმის წინადასახამ შენ შეგიბზერობდა საშინელი სენი. ამ წიგნში სთხოვდი შენ,—არა, სთხოვდი ცოტას,—ამ წიგნში ემუდარებოდი შენ მთავრობას, რომ მას უზრუნველ-ყოფ სამღვდელეობა იმერეთისა მომეტებულის საშვალბით სახელმწიფო ხაზინიდან, რომ ამ გვარად დაგეგვირგვინებია შენ შენი მათადმი მსახურება. ოხ! მწვემთ-მთავარო, სამღვდელეობასა ჩვენსა შენ არა ნიეთიერისა მხოლოდ შეწყვენითა დაადგი თავზე გვირგვინი და დღეს ეს სამღვდელეობა სვანეთის მწვერწალიდან დაწყებული აფხაზეთის შორეულს სამრეგლო კვლესიამდე მხურვალედ ილოცავს შენის სულის განსვენებასათვის და ამბობს: საუკუნოდ იყავნ ხსენება ჩვენის ძვირფასისა ვაბრეფისა.

მეორე მადლობა გშენის შენ, მოძღვარო, სამწყსოლსაგან, რამდენი სუსტი სარწმუნოება განამტკიცე შენ, რამდენი ურწმუნოსა განუნათლე გზა დამსკელისა, რამდენი ცრემლორწმუნოება აღმოფხვრა უვიცის ხალხის გულისაგან შენმა წინასწარმეტყველურმა სიტყვამ! რა ზნობითი ნაკლულებანება დაჩხა შენს სამწყსოში, რომელიც არა განგემსჯალოს შენ მსხვილის სიტყვითა? რა ღირსება იყო, რომელიც არა გექოს და არ გესწავებიახოს ხალხისათვის? შენ უთხარ ჩვენთა დედათა, რომ გესწავებია მათთვის შრომის მოყვარობა ეს დაუვიწარი სიტყვება: მე მითხრესო, რომ სადღაც ერთს შორეულს კვლესიამში არის დახატული ღვთის-მშობელი, რომელსაც თითისტარი უჭირავს ხელში და მუშაობსო, ნეტაი ჩე-



მის ბედნიერის თვალებით მენახს ეს ღვთაებრივი სურათი. თქმის ორმოც წელ შენ იყავ მოძღვარი უებრო იმერეთისა. სამოქალაქონი და სასულიერონი სასწავლებელნი ზრდიდენ და ზრდინსხალთა თაობათა, შენ მეტი საქმე ქმენ, მოძღვარო, შენ ხალხი აღზარდე. გიხაროდენ!

გმადლობს შენ ერი საქართველოსი, რომელიცა განაშენე შენ სახელითა შენითა. შენ იყავ სიქადული ქართველთა, პირველი ქართველი ამ საუკუნოისა, რომელმანცა დაანახე ქვეყანას ძალი საქართველოს შვილის გონებისა, რომლის საბრძნის მოყვარეობას და ქადაგებას თანასწორ გვიქმედენ ჩვენ ფრანგნი, გერმანიელნი, ინგლისელები, ესეიგი მთელი განათლებული ქვეყანა.

გმადლობს შენ ენაცა მშობლიური, ენა რომელიცა მდიდარ-ჭყავ შენ ქადაგებითა შენითა, ენა რომლისათვისაცა ებრძოდი შენ მედგრად იმ განუსჯელთა პირთა, რომელთაცა ენა პეტრიწისა, გიორგი მთაწმინდელისა და ამბროსი ქადაგებულისა უარ-ჭყევს, ვითარცა უვარგისი და გამოუდგარი მეცნიერებასათვის, შენ იყავ ერთად ერთი მალაღი საჩისისი მექონი ქართველი, რომელიც გამოე-სარჩლა ჩვენს ენას, როდესაც ერთმა დიდმა პირმა უქადაგა ამ ენას სიკვდილი, შენმა წუნმა აღუფრთოვანა სული საქართველოს და თვით მტერ-მოყვარეც დაგიძმარწილა შენ, როდესაც იგი გწორდა თავის პასუხში:

«გულსა შინა შენსა არა არს ზაკვა».

უმეტეს ყოვლისა გმადლობს შენ ეკვლესია ივერიისა, რომლისა საეკვლესიო წიგნები მდიდარ-ჭყავ შენ შენისა სიტყვითა და მოძღვრებითა. ისილეთ, ძმანო და დანო, აქა მგლოვარედ მდგომარენო, რას შეიძრავს სამწიგნობრო ივერიის ეკვლესიისა, რა წიგნებსა ივითხავს სამდგელო მსახურნი ყოველ დღიურს თვისსა მსახურებასა მას. ესენი არიან: სახარება, სამოციქულო, პარაკლიტნი, მარხვანი, სადღესასწაულო, ეპინი, დავითნი და გაბრიელის ქადაგება. ქადაგება გაბრიელისა სძევს ჩვენს ეკვლესიაში იქ, საცა ასვენა ქადაგება მოციქულთა, ამასე ზევით არ წავა პატივი არა ქართველისა, არა სორციელის კაცისა! საუკუნო გაივლის, რომ ხმა გაბრიელისა ვიდევ გაისმოდეს ეკვლესიისა შინა ივერიისა პირითა უბრალო მეფესაღმუნისათა.



გმადლობს შენ ჩემიცა ზირადი უღირსება. ლეთის განგებანს ენება მსვედროდა მე წილად უუჭადღება თქვენი მეუთებისა, ოდეს-ცა თქვენ ირჩევდით თანაშემწესა მმართველად ჭეონდიდის ეპარქიისა. მე მით ვარ ბედნიერ და მდიდარ, რომ შენი ჩემდამი განწყობილება ვერ შეარყია ვერცა დროებამ, ვერც ბოროტთა ენათა ძლიერებამ. ცხოვრების ეკლანს გზას, ნუგეშად განმამსწვევლად მე დამიჩნა უკანასკნელი შენი სიტყვები: მე შენთვის, უნებლად ჩემდა, ცბიერის შთაგონებით მსწყენინებეიეს, მამამიღობს მომიტყვეო!

დასასრულ უკანასკნელსა მადლობასა მოგიძღვნის შენ, მღუდელთ-მთავარო, ქველის მოქმედება. სიტყვით წმინდაო, საქმით წმინდაო, ცხოვრებით წმინდაო, შენ სიკვდილითაცა დაამოწმე შენი კეთილი კაცობა მით, რომელ სსკათა და სსკათა კეთილთა საქმეთა შესწირე ყოველი შენი ქონება.

ნეტარ სარ შენ, მოძღვარო, რამეთუ ადგილი განსასკენებელი მაგელის შენ.

## II

### თავ. ილია ჭავჭავაძისა

არ ვიცი ამდენს მშვენებრად თქმულ სიტყვებ შემდეგ რა მოგასწავლათ ისეთი, რომ თქვენთვის ახალი იყოს. თუნდ ეგრე არ იყოს, ზოგი იმისთანა კაცია, რომ, რაც გინდ ბეჭი ისურვოთ, ვერას იტყვიოთ, რადგანაც არა აქვს რა ღირსი თქმისა და ზოგი იმისთანა, რომ სათქმელი ზღვაა და ან უღონოდ ვგრძნობთ თავსა მისს თვალ-გადუწვდენელს კიდეებს ერთბაშად თვალი გადავაწვდინოთ მთლად და უგლებლივ, ან არ ვიციოთ რომელ მსრიდამ და ვუწყოთ უურება, რადგანაც ყოველ მსრიდამ დიდებული სინასკავია. ამისთანა იგი, რომელსაც დღეს დაუტოროთ.

დაიღ, ბატონებო, დღეს სამუდამოდ კეთსოვებით იმისთანა დიდ ბუნებოვანს კაცს, რომელსაც დემოთი მოუგელენს ხელმე ამ ცოდვილს ქვეყნას, რომ აღნიანმა მისის მისეღით და მსგავლითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხსიანთის გაწოთვნა და განმტკიცება. «ნეტავი იმისაო, ამბობს ერთი ძველად-ძველი ბრძენი:

ვინც არამც თუ ჩვენთან უფროსი გვწერის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის სსენებიათაცაო». აი ჩვენს წინაშე მდებარეა იგი მადლით მოსილი კაცი, რომლის მარტო სახელის სსენებაც კი გვწერის ჩვენ. საკმაოა კანმა გახსენოს მარტო სახელი გაბრიელ ენსკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაუფინოს, ვითარცა მზის შუქი.

თვითეული წამი მისის ცხოვრებისა მომდგრება, მაგალითია, ანდრძია ჩვენთვის და ჩვენს ქვეყნისათვის. ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მღვდლსახეობისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა. მე ამასვე ბეგრს არას ვიტყვი, რადგანაც ბეგრი უკვე ითქვა და ბეგრსაც კიდევ იტყვის შთამომავლობა, რომელიც ამ საისტორიო კაცს განავითხავს თავისის სამართლიანის განვითხვითა.

მე მსურს მხალღად აქ აღვნიშნო ერთი იმისთანა მხარე ამ დადებულ კაცისა, რომელშიც არის, ჩემის ფიქრით, სხვათა მრავალთა შორის ერთი მისი დიდი მნიშვნელობაცა. მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, — სჯერო, თუ სამღვდელო, — რომლის გულშიც მომეტებულია მშვიდობის-ყოფით, მომეტებულია და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად მიწვენილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად მოწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბეგრსა ჭკობიან, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურთიგებულნი და მოუთავსებულნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორავებისა და მოთავსებისა.

ქვეყანა, ბატონებო, საესეა ხილულითა და არა ხილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. ერთი ბრძნისა არ იყოს, «ზოგი საგანი, რომ თუ არ დაინახე, კერ იწმუნებ და ზოგი კი იმისთანა, თუ არ იწმუნე, კერ დაინახე». ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა-სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად ორისაც გზით და მით უფრო, რაც ადამიანი თვალ-ახილულია და გონება-გაღვიძებული. ნება-უნებლიედ ამ ორს სამთვლობელში დადის მოუსვენრად გონება და გული ადა-





მიანისა, რომ იზოგოს ბინა და იქ დადღეული სული შესკვნის  
ხალძე გულისა ძვრისაგან და მსოფლიო ღელვისაგან.

ამ ორს სამოფლობელოთა შორის შემაერთებელს ხიდსა სწინას  
მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთის-სოფელში,  
რომლითაც ასე სავსე იყო განსკვნებულნი მღვდელ-მთავარი და წ-  
მელიც, ჩემის თქმით, სხვა არა არის-რას, გარდა მეცნიერებისა და  
სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მოკიდებისა ერთმანეთის შე-  
უბღალავად და დაუმხნებლად. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარ-  
ტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრი,  
ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნების-მეტყველნი.

მთელი მოძღვრება აწ განსკვნებულის სახელოვანის მღვდელ-  
მთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იზოგით მაგალითს, რომ მეცნიე-  
რება გაწვიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება მეცნიერები-  
სათვის. ზირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერე-  
ბას სარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი  
ამაშია გამოსახული.

იგი ერთს თავისს ქადაგებაში სთხოვდა თავისს სამწესოს,  
რომელიც უოკელთვის სულ-გაკმენდით უსმენდა ხალძე, ეკედრენით  
ღმერთს, რომ მომტეს მე ძალა ჟეროვანად ეკმსახურო ეკვლესიასა,  
ესე იგი, თქვენს ცნობებსა, რადგან თვითიული თქვენგანი და  
ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკვლესია ღვთი-  
სა ჰქვიათ. ეს მისთვის ლიტონი სიტყვა არ იყო, სამღვთო წე-  
რილიდამ იზოგითხული და დაზეპირებული. ეს იყო მისი სიმკლავა,  
ეს იყო მისი განათლებული რწმენა, ეს იყო მისი გამეცნიერებული  
სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება, ეს იყო ის, რასაც  
სიბრძნეს ეძახიან და რის გარეშდ მსახურება თავისი მსახურებად არ  
მიანნდა, ღვაწლი-ღვაწლად, მადლი-მადლად, საქმე-საქმედ. არ არის  
არც ერთი მაგალითი, რომ სადმე და რაშიმე ესუსტოს ამ რწმე-  
ნისათვის, ზირიქით, თავისი ხანგრძლივი სამსახურო მარტო ამ  
რწმენას შესწირა და შეაღია. კაცთათვის მსახურება მსახურებას  
ღვთისათა, — ამას მარტო ღრმად გამეცნიერებული სარწმუნოება იტ-  
ყვის და ამისთანა სარწმუნოებისა იყო იგი, ვისიც სიბრძნე მარ-  
ტო ჩვენ არ გამტკიცებდეს.

რომ მარტო იგი ქება-დიდება შრომისა და გერჩენოდა, რომელიც მან გვიღაღადა ერთს თავის დაუვიწყარ ქადაგებაში, და სხვა არა-რა, ისიც საკმაო იქნებოდა, რომ მისი სასული ქვეყანას მოჭყენებოდა და ჩვენს გვეგობნო რა დიდებული და ბრძენი მღვდელ-მთავარი დაუკარგეთ. «მე თვითონ არ მინახავსო, აშობს იგი: ხოლო გამიგონია საწმინთო კაცთაგან, რომელ ერთს ძველ-ძველს კვლავსიაში კედელზედ არის დასატული ყოვლად წმინდა ღვთის-მშობელი და მის წინ ძვეს მატული, ხელში უჭირავს ტარი და ჭქსოვს მატულსა. ნეტამც ჩემის თვალთ მენახო!» ჭნატრულობს ამ საუცხოო სხტით აღტაცებული მღვდელ-მთავარი: «მაშინ მე გაპიცილობდი მეორეს კერძოს საღმრთოსა მისის ხასიათისასა და უდიდეს ხატისა და კრძალვას მისდამი იგრძნობდა გული ჩემო! რა კარგი რამ იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჭქონდეს წინაშე თვალთა ისრული სხტი ყოვლად წმინდისა, რომ ერთს კერძო მისა იდგეს და შესტქეროდეს მას სიყვარულის ღმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა, ხოლო თვით ხელთ ეწყრას მატული და ტარი და სახესა ზედა ღვთაებრივისა გამოყვანილი იყოს ის ღვთაებრივი სიწმიდე, სიმშვიდე და სიყვარული, თვალთა შინა მისთა ბრწყინვიდეს ის უფესრული გონიერებისა და კრძალულებისა, რომელიც წარტაცებენ კაცის გულსაო. ესრედი სხტი იქნებოდა ჭქმძარიტი დროშა, ანუ სიმკლფო, ესე იგი, ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისაო!»

ასე ათავებს სიტყვას ზეგარდმო შთაგონებით მღაღადებუდი მღვდელ-მთავარი. განა-ლა შეიძლება ამასე მეტად გაზატოისხება, ზე-აღწევა შრომისა და გამრჯელობისა, რომელიც ბეგრსა ვკვონია ვითომც წილად ხდომილია მარტო მღაბიოსიო.

საკმაოა ეს მოკლე, მაგრამ ღრმად გაბრძნობილი სიტყვა, მღვდელ-მთავრის ბაკეთაგან წარმოთქმული, რომ კაცმა წარმოიდგინოს მთელი სულოერი ახოვნება და სიბრძნე მისი, რომლის ბაკენი დღეს ჩვენთვის საზუდამოდ დასდუმდნენ ჩვენდა საუბედუროდ. ბეგრი რამ არის ნათქვამი შრომისა და გარჯვის გაზატოისხებისთვის, მაგრამ ამისთანა ქება-ქება შრომისა შესაძლოა მხოლოდ იმისათვის, რომლის ბაკითაც თვითონ ღმერთი მეტყველებს.



დავლ, ბატონებო, მისის ბავით სწორედ თვით ღმერთი შე-  
ტყველებდა და ვაი რომ დადუმდნენ იგი ბავები და ვინ იცის რა-  
დის-ღა გვადირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, როგორც დღეს წა-  
გვართვა. რომ მისმა კანთათვის თავ-დადებულ მსახურებამ, მისმა  
საქმეებმა უქმად არ ჩაიარა, რომ წითენა მისი, მისი ზნე-მალაღა  
მომღვრება არ დაჩხა სმად მლაღადებულად უდაზნოში, — ამას ამტკი-  
ცებს გლჳკა ამოდენა ერისა, რომელიც დღეს შემოხვევია ძვირფასს  
კუბოს, რომ უკანასკნელად ემთხვიოს იმა ბავეთა, რომლითაც იგი  
გვლოცავდა და გავწოთენიდა, იმ მადლიან მარჯვენას, რომლითაც  
იგი გვაკურთხებდა და რომელიც მუდამ გაწვდილი იყო დაკრძა-  
მილთა შემწეობისათვის და დაცემულის აღდგენისათვის.

დღეს ერი ცრემლს აფრქვევს მისთვის, ვინც მთელი თავისი  
სიღრცხლე იმის მსახურებაში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს  
თავლთაგან ცრემლი ნუგეშინის-ცემითა და მადლის ფენითა. რით  
იყო ასე ძლიერ სასულგანა ჩვენი მღვდელ-მთავარა, რომ გამოი-  
წვია ასეთი დიდი გლჳკა ერისა? ნუ თუ მარტო საბრძნითა? არა,  
საბრძნესთან ერთად რაი სიკეთე ვიდევ ქონდა მიმადლებული ღვ-  
თისაგან. ერთი ისა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და სიღრცე  
ამა ერისა, და, მამასადაძე, იცოდა, რა ტვიავლით ამტვიავნულოს,  
რა სისარულით ინუგეშოს და მეორე ისა, რომ მოციქულობდა ჩვე-  
ნის სამშობლო სიტყვითა, იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადი-  
დებთ ღმერთსა, ვბატონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვა-  
წვდით ერთმანეთსა საუკუნედად საუკუნემდე. ღმერთმაც ვერ გა-  
გზავნა მოციქულნი სხვა ქვეყნად, ვიდრე არ მოუვლინა ცოდნა იმ  
ქვეყნის ენისაო, ამობდა განსვენებული და ამიტომაც იგი ქრის-  
ტეს ვგართო სელში თავგამეტებით იდგა ჩვენას ენის მწედ და  
მიგარველად.

დიდ ხანს და დიდ ხანს იქნებთან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად,  
სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სასულის სსენება მისი ჩვენ-  
და საწოთნელად. ყოველივე ეს დიდ ხანს ვიდევ ისაქმებს ჩვენში.  
დიდ ხანს და დიდ ხანს ქართულს საბუთი ექმნება სთქვას, რაც მარ-  
ტო დიდ-ბუნებოვან კაცსუა თქმულია: მოკვდა და თვისის ანდერ-  
ძით აწ ისეუ საქმობს მკვდარიო.

მე რომ მისნი მადლით სავსე საქმენი და სიტყვანი მაგონდებიან, თვალ-წინ წარმომიდგება ხოლმე შარკანდელით მოსილი ახლად დაბადებული გაბრიელ და მგონია, რომ თავს წარმოსდგომის ახლად შობილს ყრმას ფრდებ-გაშლილი მთაგარ ინგელოზი, სიყვარულით დასტკეპრის და ლოცვა-გუთნსებით ეუბნება ამ ბრძენთაგან თქმულს: «პატარავ, როცა პირველად მოსდისარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარეშემო კი ყოველს სინარეულის ღიმილი მოსდის, ჰქმენ ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ კი ღიმილი მოგდიოდეს»... და ახლა, ჰქმენ ისე, რომ, როცა ქვეყანას ეთხოვს საუბუნოდ, ყველანი მის გარეშემო სტირნან. დიდება სახელსა მისსა! თუ დიდება სანატრელა, ახლა ისწავეთ გზანა დიდების შოვნისანი! ამისი მართალი გზა და ცხადი მაგალათი მთელი ცხოვრებაა ამ დიდებულ და მადლიან კაცისა. ტუულიად კი არ არის ნათქვამი: ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდ-გვაროდაც დიდია და ახლა იგი დიდი კაცი, რომელიც, ჩვენდა საუბუნოდ, დღეს კუბოშია ჩვენ წინ მდებარე.

## III

## ივანე რატვიშვილისა

ჰეშმარტო მწეემსო კეთილო! კემშიადობება დღეს საქართველო, მოგტირის ამერ-იმერი, სამღვდელი და ერის კაცი; უკანასკნელად ამბოცს ვეოფთ შენს წმიდა გვამს და გაფრქვეთ მღუღარე ცრემლსა, ხოლო რა აორკვებს ჩვენს მწუხარებასა და გულის სიმწარესა? ის საშინელი საგონებელი, რომ არ ვიცით, თუ ვინ უნდა აღვიდეს შენს სსიუ-მოფენილს კათედრაზე? ვინ უნდა დაჟდეს შენსა წმიდა საჯდომელსა? იქნება იგი ჩვენთვის მწეემსი კეთილი, თუ სასყიდლით დადგინებელი?

მწეემსო კეთილო, «შენ იცვნიდი შენთა და შენნიცა გიცვნიდენ შენ», სიყვარულითა მწეესიდი მათ და იგინიცა შემოგხაროდნენ და თავი მოსწონდათ შენით; ახლა კი ჩვენი სავალალო ის არის, რომ არიან სასყიდლით დადგინებულნი, რომელთაც სსეულის ბუ-



ნებაც უშლისთ და არც სული უთხრობსთ დასძლიონ იგი ბუნებას, იგი სისხლი, და სცნან თვისნი, სცნან გულითა წრფელითა და შეიყვარონ შენებურად!

მწვემსო კეთილს, შენ გკსმოდას ხმა ცხაკართა შენთა და ცხაკართაცა ესმოდათ შენი; გკსმოდას ხმა ცხაკართა კენესისა, ტკივილისა, და ხმა მათის სინარულისა; ჭირი მათი გაჩნდა ჭირად, სინარული—სინარულად; ცხაკარნიცა ისმენდნენ შენთა მშვენებით, და უგაწყართ «სიტყვათა და მოძღვრებათა», ისმენდნენ ღმობიერებით შენს სიტყვას, სავსეს სინცხაკელით, სიწრფელით, ამავე დროს სჭკრეტდნენ შენს სახეს, მადლით და სიწმიდით განათლებულს— შენი სმენით, შენი ჭკრეტით ნათლდებოდა მათი სული. ხდლო აწ, კავლას ჩვენ, რომ ვიცნობთ სასუიდელო და დგინებულთა, რომელთაც არც ესმით და არც სურთ, რომ ესმოდეს ხმა ცხაკართა თვისთა; ზირიქით, უგადრისდაც მიაჩნიათ, რომ ყური ათხკონ გულდადებით ცხაკართა ხმასა! ცხაკართა ბლაკილი რკორდა მიდწევს მათ ყურთამდე!?

კვლად ვიტყვი: მწვემსო კეთილს, შენ გიყვარდა გულით შენი სამწესო, მისთვის და შეუერ, მისთვის მიიღე ჭირი და შრომა მრავალი, მის განათლებას სწავლა-განათლების მოფენითა, მის ზნე-ამაღლებას, სულით განატიოსნებას შეაღე დღენი შენნი! ხოლო არა ესრეთ სასუიდელო და დგინებულნი, არა ესრეთ; არამედ ისილა ქვეყანამ სასუიდელო და დგინებულნი, რომელთაც, ნაცვლად სიყვარულისა, წყევს და შეხვენება მიაწოდეს მის სამწესოსა და მძულვარებითა მოიხსენეს სახელი მისი! შენ ესარჩლებოდი ცხაკართა შენთა განსაცდელის დროს და არ ანებებდი მათ მკელს წარსატაცებლად; ხოლო გამოსცადა ჩვენმა უბედურმა ქვეყანამ სასუიდელო-და-დგინებულნი, რომელნიცა თვით არიან მტაცებულნი და მკრეტულნი თვის ცხაკართა! დიად, შენ მწვემსი იყავ ჩვენი კეთილი და არა ჭკავდი სასუიდელო და დგინებულთა, არა ჭკავდი მათ შენი მტკიცე და წრფელი სულითა, მსურვალე გულითა, განვითარებულნი გონებითა, ძლიერი და შეუზოვარი სიტყვითა. ამ შენის სიტყვით ჩვენ შევნივრად გვიმოძღვრებდი სახარებისა მცნებათა, ხოლო ამავე შენის სიტყვით შეუზოვრად ამცნებდი მკაცრ სიმარტლესა ძლიერთა

ამა სოფლისათა; ეს უკანასკნელი ჰატივისტულით ისმენდნენ შენს სიტყვას—რადი ჰქონდათ შენი, დღეს კი მოგაკვლდა ეს შენი სარჩლი და მოგტირით გამწარებულნი. დმერთო, გვიხსენ ჩვენ სასუიღლით დადგინებულთაგან, გვიხსენ ჩვენ ორგულთა მწვემსთაგან!..

მშვიდობით, ჩვენა ღვთავ შემოსილთა მწვემს მთავარო! წარკვად მშვიდობით აქ, სადაცა სუფევს ნათელი მიუხრდილებელი და სიმამრთლე უძლეველი; დაეძვედრე იმ ბრწყინვალე კრებულში, რომელსაც შეადგენენ დიდებულნი ღვთავ შემოსილნი ძამანი ჩვენის ქვეყნისა და გვირგვინოსანნი მოწამენი. წარსდგე ზიზნათლად წინაშე ღვთისა დედისა, წინაშე ჩვენის მტრთა სწორ ნინასი და მისის წინამორბედის ანდრია ზირველწოდებულისა; მიუთხარ მათ შენებურის სიწრფეობით და სიმამრთლით, თუ ოგორ ემსახურე მათს კვლესიას, ვინ იყვნენ მტრნი მძინვარენი ამ კვლესიას და ოგორ ებრძოდი შენ მათ; მიუთხარ ყოველი და შევედრე ყოვლად წმიდა ქალწულსა, რომ საფარველი თვისი ჰატიოსანი კვლავ გადაჭყინოს თვის წილხდომილ ქვეყნას; გვექმენ შემწე, რომ მადლი და სიტხრველე იმ წმიდა ჯვარისა, რომლის ძალითაც წმიდა ქალწულმა ნინომ მიმკლთ ჩვენი ქვეყნა და გვანარა ქრისტი, იმ წმიდა ჯვარისა, რომლის ძალითაც ჩვენნი წინაზარნი კეთილ-მძლეობდნენ და სამოწამო გვირგვინით იმკობდნენ დიდებულადა, იგი მადლი, იგი სიტხრველე კვლავ მოკვლინოს ჩვენს ქვეყნას! იყავ მეოს და მავდრებელი ჩვენი წინაშე იმ გამოუცნობელის ყოვლად ძლიერებისა, რომელიც არის სათავუ სინათლისა და უკვდავებისა! ხოლო ჩვენ აქ, ყოველთვის ვიქნებით მტრთა და ერთგულად აღმასრულებელნი შენი წმიდა ხსენებისა ღონით, გურთხევით და სასოებითა.

## IV

## ზახველის გლეხის ალექსანდრე გორდელასძისა

დღეს მთელი ჩვენი ქვეყნა სტირის და გლეხობს ჩვენი ბრწყინვალე ვარსკვლავის ჩასვენებას—შენს მოშორებას; სტირის დიდი და ჰატარა, სტირის თავადი და გლეხი, მდიდარი და გლახაკი,



მეტნიერი და უმეტარი—სტირის სულ ყველა და მიზეზიც აქვთ ტარდისა; მაგრამ ამ საერთო ტირილში უფრო საერთო ტირილი და გლოვა გვიმართებს ჩვენ, შენი სოფლის შვილებს, შენს ბასკელებს. ჩვენს საწყაღს სოფელს ახკედრა ღმერთმა ამ 70 წლის წინად ბედნიერება მით, რომ იგი აირჩიე შენს სამშობლო კუთხედ. ჩვენს სოფელში გაასილე შენ შირველად ბედნიერა და მადლიანი თვალები. შირველად შენ ჩვენი სოფლის ტას შესედე, ამ სოფელში გაატარე შირველი დღენი შენის ზატარაობისა; აქ გაგობრწეინდა გულში შირველად ნაზერწვალა სიმართლისა, სათნოებისა და სიყვარულისა. ამ ნაზერწვალმა აქ დაიწყო შირველად ზრდა და შემდეგში შეიქნა დიდ ბრწეინვალე ვარსკვლავად, რომელიც გასდა მთელი ჩვენი ქვეყნის მანათობელი. მაგრამ შირველი სხივები ამ დიდი ვარსკვლავისა მანინ ჩვენს სოფელს მოხვდა და გაათბო იგი. შირველად აქედან დაიწყო შენი კანთ მოყვარეობითი ზრუნვა, საზოგადოდ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის და განსაკუთრებით შენი სოფლისათვის. ჯერ კიდევ სასწავლებელში იყავი, როდესაც დაიწყო ზრუნვა ამ სოფელზე მით, რომ გასცნე შირველად შენს ნათესავებს სწავლის სიკეთე და დღეს გურიის კერტ ერთი სოფელი კერ მოსთელის იმდენ უმადლეს სწავლა-დასრულებულს შვილებს, რამდენიც გვეყავს ბასკელებს შენის წყალობით საქართველოს ყოველ კუთხეში. ამ შირველ შენს სიკეთეს ჩვენს სოფელზე მოჭყვა მრავალი საზოგადო სიკეთე, რომელთა შორის აქ დავასახელებ მხოლოდ უმთავრესს მათგანს.

ამ ოც და ხუთი წლის წინად შენი სოფელი იყო ერთი უნაყოფო ღარიბ სოფელთაგანი გურიაში. მას არც რიგიანი ეკლესია ჰქონდა, არც სკოლა და სასმარ-წყაღსაც კი თითქმის მოკლებული იყო. დღეს კი შენის წყალობით ჩვენი სოფელი ყოველის მხრით დაწინაურებულ სოფლად ითვლება ჩვენში: მას აქვს შენი საკუთარი ხარჯით აგებული ტაძარი, აქვს ორ-კლასიანი სასწავლებელი ვრტული ბაღითურთ, რომელიც სამუდამოდ უზრუნველ-ყოფილია შენის წყალობით და რომელშიაც არა თუ მარტო ბასვის ასაღთარება იღებს შირველ-დაწყებითი სწავლასა, — მთელი გურიის სხვა-და-სხვა სოფლის შვილებიც კი იზრდებიან. შენისაკე უხვი შეწირულებით

დაარსებულა ჩვენში სასოფლო გამსესებელ-შემნახველი ამხანაგობა, რომელიც აკერ თექვსმეტი წელიწადია ხელს გვიწივს და თავიდან გვაძირებს უდიერ სარგებლას გადახდას; შენისავე შემწეობით მოიწყო და განაყოფიერდა ჩვენი უწყლო და მწირი ადგილები. ერთის სიტყვით, შენ იყავი, მოწყალე ბატონო, უღებელი წყარო ჩვენი კეთილ-დღეობისა.

მაგრამ ეველა ეს წყალობა რა არის იმ წნეობით გაკლენასთან, იმ სულეერ საზრდასთან, რომელიც ჩვენ შენგან გვეძლეოდა! შენი მობრძნება ჩვენში ბრწინვალე დღესასწაული იყო ჩვენთვის. ჩვენ, შენი ბასკელები, სწორედ იმ სახით წარმოვიდგინეთ ქვეყნად მყოფ მაცხოვარს, რა სახითაც შენ გსედავდით ჩვენ წინ მდგომარეს საქადაგებლად გამოსულს ჩვენი ეკლესიის გალავანში ცაცხვის ქვეშ სასე გაბრწინებულს, მადლითა და სიყვარულით სავსეს; შენი ანგელისებრივე სასე, შენი ცხოველს-მოთფელი სწავლა-დარიგება ამოუშლელად იბეჭდებოდა ამ დროს ჩვენს გულში; შენი სიტყვების მადლი და სათნოება გავიწივებდა ყოველს ქვეყნიურს ჭირსა და ბოროტებას; შენი სიანდლევე გვითბობდა სულს, გვიბატონსებდა გულს, რის გამოც ყოველი უბედური, ყოველი დამწერსებული ჩვენი სოფლისანი შენთან მოეშურებოდა ჩუგების მისალებად, და ამიტომაც იყო, რომ შენ ჩვენში ერთი საათი მოსვენებაც არ გქონდა. მუდამ გარს გესგოდით და ვსარგებლობდით შენის ანგელისებრივე გულ-კეთილობითა, შენი თავ-მდაბლობითა, შენი კაცთ-მოყვარეობითა! ვაი, თუ ჩვენს გარდაც სხვანიც ასე გაწესებდნენ, ჩვენო ძვირფასო ბატონო, და ამით თვითონ ჩვენ გაგხდით მიზეზი ჩვენისავე უბედურებისა, თვითონ ჩვენ მოგისწრაფეთ დაუფასებელი სიტყვებს! თუ ეს ასეა, ამიტომაც დაგესაჯა ღმერთმა ასე სასტიკად და წაგართვა ის ძვირფასი საუნჯე, რომლის მოხმარება ჩვენ ვერ შევიძლებით, ჩვენის უშეცრებისა გამო. მაგრამ, შენ ხომ, შენი სწავლი ბასკელების აზრით, უკვდავი არსება იყავი და ვინ წარმოვიდგინდა, რომ სიკვდილი შენ შეგესებოდა! შენს ბასკელებს დღესაც არ სჯერათ ეს საშინელი თავზან-დამცემი ამბავი, ჩვენში კერავინ ასხენებს ერთად ამ ორს ყოველად მოუწყობელს, ყოველად შეუფერებელს სიტყვებს — «გაბრიელი და სიკვდილი». ეს ორი სიტყვა



არასოდეს არ მოთავსდება ერთად ჩვენს წარმოდგენილობაში. ჩვენი  
 ბრწყინვალე გაბრიელი, ჩვენი ანგელოზი და საეკდილი,—ეს სამ  
 საშინელებას, თავზარ-დამტკიან, გამაჭკვებელას!! ჩვენი ყოფნა და შე-  
 ნი არ-ყოფნა, ჩვენი უშენობა საშინელია, აუტანელია! უზომოა და  
 გამოუთქმელი ჩვენი მწუსარება, მაგრამ რამდენადაც ეს მწუსარება  
 დიდია, იმდენად სანუგეშებელი საბუთიც ჩვენ სსვასე მეტი მოგვე-  
 ჰობა ამ საერთო უბედურებაში. ჩვენ სსვასე მეტად ნუგეშცემული  
 მითი ვართ, რომ შენ ხარ ჩვენი საწყალი სოფლის შვილი, ჩვენი  
 ბატონი გაბრიელი, ჩვენი საუნჯე, ჩვენი დიდება; ჩვენ თვით ამ  
 უბედურებაშიაც ბედნიერი ვართ მით, რომ შენს დიდებულ უკვდავ  
 სახელთან ჩვენი საწყალი სოფლის სახელიც უკვდავი ხდება; ამით  
 ვიამყებთ ჩვენ და ჩვენი მომავალი შთამომავლობა, რომელიც, რა-  
 საკვირველია, ჩვენზე უფრო შეიძლებს შენს დაფასებას, ჩვენი სო-  
 ფლის უკვდავ და დიდებულ შვილს!



# სალიტერატურო მიმოხილვა

(საკრიტიკო და საპოლემიკო შენიშვნები)

„ფირალი დავლადე“. —საქმე შინაარსი არ არის. —ერთი ჩვე-  
ნი საჭირ-ბოროტო საგანი. —ახალი ტიპი. —ერთიანი შთაბე-  
ჭდილება. —ეგ. ნინოშვილის მემკვიდრე. —მშვენიერი ქართუ-  
ლი. —ფარ-ხმალის დაყრა. —ერთი ძველი სალიტერატურო ეპი-  
ზოდი. —განკიცხულნი მოჩხუბარიძე და ილია ჭავჭავაძე. —გა-  
დასხვაფერება მოპირის-პირეს აზრისა. —ხელ-ჯოხიანი უსტაბა-  
ში ლიტერატურაში. —რისთვის იღვწოდნენ? —Pro domo sua. —  
განდიდებისა თუ ენის ქავილი? —„ივერიის“ ბიბლიოგრაფი. —  
„ცოდვასა შინა გვშვა დედამან ჩვენმან“.

აჩა მკონია დაკვირვებადი გქონდეთ მოთხრობა «ფირალი და-  
ვლადე ბ-ნის ლაღონისა, დაბეჭდილი წარსულის წლის «მოამბეში»  
№№ 4 და 5. «ფირალი დავლადე» ისეთი მოთხრობა არ არის, რომ  
ასე ადვილად შეიძლებადეს მისი დაკვირვება. შესაძლოა თვით ამბა-  
ვი აღარ გახსოვთ, ის არაჰი ვეღარ მოიგონოთ, რომელსედაც და-  
ფუძნებულა მოთხრობა; შეიძლება თვით ფირალ დავლადის სასეც  
განჭქა, ცოტად თუ ბევრად, თქვენს ხსოვნაში, მაგრამ ვერ დაგიჭა-  
რებ, რომ სრულიად აღარ გახსოვდეთ, ვეღარ მოიგონოთ თითო-  
ეორლა სტენა მანც ამ მოთხრობისა, იმიტომ რომ ის ორიოდე  
სტენა მეტად დიდის სელაგნებით არის დაწერილი.

გაგახსენებთ მთლად მოთხრობის შინაარსს, რაც შეიძლება  
მოკლედ.

ერთს ღარბს, ბედავლათს გურულს ახნაურშვილს, ივანე და-  
ვლადეს, რომელმაც სწავლაში ვერ ისეირა და ახლა მსოფლად დროს



გატარებს მისდევს, შეუყვარდება, ანუ უკეთ ვსთქვათ, თვალში მო-  
უყვანინო ბედაძისა. ტურფა ნინოს შერთვას სცდილობს ივანეს მე-  
ზობელი ნიკო, ოდესმე გლესი ივანესი, სოლო დღეს გამდიდრე-  
ბული გაჭრობითა. ივანეს ჭგონია, რომ ნინოს ვერ შეირთავს, თუ  
ფული არ იშოვავ, რომ ნიკო თავის სიმდიდრენ არ დაჭროვავს,  
ოღონდ კი ნინო ხელთ იგდოს და ამიტომ ივანე უპირველეს ყო-  
ველის იმასა სცდილობს, როგორმე ფული ვიშოვო და ნიკო არ  
გავასაროვო. ამ აზრით ივანე გასცარცავს ერთს ვიღაც ფულიანს  
კაცს, მაგრამ ეს ავანავობა გამოაშვარავდება და ივანეს შეიპყრობენ.  
ივანე გაქვცევა წარუღებს და გავარდება ფირადღა სასჯელის ასა-  
ცდენად. ივანე გაბოროტებულია, რადგან ნინო უკვე მისთხოვებია  
თვისდა უნებურად ნიკოს, ჭმითაუბობს დიდს ბრბოს ავანავებისა,  
სცარცავს ბრადიანსა და უბრადოს და მთელს გურიას შიშის წა-  
რსა სცემს. ეგზეკუტია სულსა ჭხუთავს სოფლის მკვიდრს, რად-  
გან ივანე თან-და-თან უფრო მკინავარებს და ჭკლავს ნიკოს, სჭრის  
მის ცოლს ნინოსაც და სიცოცხლეს უსპობს სხვას ბევრსაც. ბო-  
ლოს თვით იმასაც მოჭკლავს მდეკარი და ამით ბოლო ეღობ მის  
ყნალობსაც და თვით მოთხრობსაც.

ეს არის შინაარსი ბ-ნის ღაღიანის მოთხრობისა; ეს არის  
არავი, ანუ ფაბულა; მაგრამ საქმე შინაარსი და ფაბულა კი არ არის,  
საქმე ქარვა კი არ არის, საქმე ის არის, ამ ქარვავედ რა მოუქარვავს  
მწერადს, რა სახე-ხასიათის კაცი აუფერავებია, რა დაუსურათებია  
ზედ. პირველივე სცენა მოთხრობისა თვალ-წინ უშლის მკითხველს სა-  
სიამოვნო სურათს — ღზინსა და ცეკვა-თამაშს გურიის სოფლის მკვი-  
დრთა. მეორე და მესამე სცენაში დასურათებულია ემაწვილობა და აღ-  
ზრდა ივანე დავლადისა. ივანეს საუბედუროდ, ისე ზრდის დედ-მამა ამ  
საცოდავს თვისის უცოდინრობისა და გაუგებრობის გამო, რომ თუნდ  
წინადაც მოხსენებული არა ყოფილიყო გაკვრით, ივანე ხელებ-გა-  
კრული ჩაატარესო, მანც ადვილად მიჭხვდებით, რა სათოკეც გა-  
მოვას შემდეგ ასეთ უგუნურ მწურთხველების ხელში ჩავარდნილი  
პატარა ვანო.

«— რას ატირებ, ბიჭო, ამ ბაღანს? — გაუყვარდა გიორგი (მა-  
მა ივანესი).

«— ა, ბატონო, დოჟაკების სელში ამ სელს დანს და უჩინებებს ეოლიფერს, — დაიწყო მოსამსახურემ: — რომ რამე იწინოს, მერე მე გამიწერებით, რეი...»

«— უი, შე დილენჯო, შენ! — გაწყვეტინა სოფიომ (დედამ). — ამისა აატირე მერე? ხელტანის მუნიანი უსილარო სომ არ გგონია?!

«— ბატონო, რაკა? დანა გამოკართვი ბაღანას, სსკაი აფერი დამიშვებია, მგონია. აკრასა აი დანა, და რაკაც გინდებიენ, ისე ქენათ!

«— ნუ ტლიკინობ ბეკრს! — შეუტია სოფიომ მოსამსახურეს. მოდი, ნენა, შენი ჭირიმი, ვინ გავიბედა შენ ატირებს? — მიუაღერსა შვილს და მიაწოდა დანა. — მაც გადარეულს ვან კითხავს, ნენა!

«— აა, შენ გლასაკ... — მუტბუტებდა ბავშვი, დედის სიტყვებით წაქეზებული და, დანით სელში, მოსამსახურესაკენ იწვედა, დარტყმას ემუქრებოდა. ბავშვის ასეთის საქციალით კმაყოფილი სოფიო მივარდა შვილს, სელში აიყვანა და დაყინებით გონს დაუწყო; შემდეგ, როცა გული აკვრა, ტანტრედ დასო და მსრუნველობით შუბლზედ სელი გადაუსვა.

«— დედაკ, ცხელია ბაღანაი, რა დიქარათა, დმერთო, მომკალი! რა ტივა, ნენა, შენი ჭირიმი! — მოქცეულის კილოთი დაკეითსა დედა.

«— რაკა! ბაღანაი ამ დღეი სად დეიარებს, დმერთის მეტმა კარმა არ იცის და, აბა, ავით გასდება, კანი რაკა დაქმარება მითამ, — უკმაყოფილოდ შენიშნა გიორგომი.

პატარა ხანს შემდეგ დედა საწერ-კაღმისთვის ჯგზავნის ბიჭს მესობელთან და პატარა ბავშვიც ატყდება, მეც წავალო.

«— მეც წავუობი, ნენა! იქინეი პაწია კეკულებია (კითომ ლეკვებო).

«— არა, ნენა, შენ ავით ხარ, შენი ჭირიმი, — დაუყვავა შვილს სოფიომ.

«— აბა, მე მინდა, — ტირილით ამბობდა ბავშვი და თავის განთავისუფლებას სცდილობდა.

«— კი, ნენა, ბატონო, კეკულას აქანაი მუაყვანიე, შენი ჭირიმი. კამფეტი გინდა, ნენა, კამფეტი?



«მაგრამ ბავშვს აღარ ესმოდა-რა დედისა და გაანხლებული ჭკვიანობა, ხელებს ასაკსავებდა.

«— აბა... აბა, არ მინდა... წაყუობი,—სულ ამას გაიძნობდა.

«დედ-მამა კერას გასდნენ: ბავშვმა თავისი გაიტანა». (შოთაშვილი 1895 წ. № 4, გვ. 6 და 7).

ამ სტენას განმარტება აღარ ეჭირვება, ისე ცხოვლად, ისე სინამდვილით ჭსატავს ივანეს დედ-მამის უგუნურებას, მათს გონებრივს სიბრძნევს და უძლეურობას შვილის აღზრდის საქმეში. ძლიერება და მნიშვნელობა ამ სტენისა ის არის, რომ ასეა არა მარტო ერთისა და ორის აზნაურშვილისა, გინა თავადის ოჯახში, არა მარტო გურიასში, არამედ ბეგრვან, ბეგრს ოჯახში, მთელს საქართველოში. ეს არის ჩვენი ჭიარი და ვარამი და აი სწორედ ამ ჭიარსა და ვარამს შეესა აქ სამსატვრო კალამი ახალგაზდა ბელეტრისტისა თავის პირველსავე სადებეუტო თხზულებაში.

«...მშობლები თავს ეკლებოდნენ ზატარა ვანოს და ნებეგრობაში ზრდიდნენ. ბავშვს რომ თავი წამოსტკენოდა, ერთს აღიქმის ასტენდნენ, ათას რამეს «შემოარებდნენ თავზე», წირვას გადაუხდიდნენ, «ნაბრალევი არ იყოსო».

შემდეგ კიდევ უფრო ნათლად გვიხურობებს ავტორი ამ ჩვენს საჭირ-ბორბოტო საგანს, როცა აღაზარებებს დედ-მამას შვილის სკოლაში გაგზავნის შესახებ.

როცა ვანო რვა წლისა გახდა, მამას უნდოდა დროებით სსოფლო სკოლაში მიეზარებინა, მაგრამ სოფიო ამის წინააღმდეგი შეიქმნა: «რა დროს მაგის სტავლას ჟერ, ბაღანამ ერთ ცანკე წამეზარდოსო».

აღარ ამოვიწერ აქ იმ საუცხოო აღაზარავს, რომელიც აქვთ გამართული ვანოს დედ-მამას და ერთს მათს ოზურგულ ნათესავს ქალს ვანოს სწავლის გამო «სახორციელო და ხუნის კლასის» შესახებ; ვიტყვი მხოლოდ, რომ მთლად ის სტენები, რომელიც შეესება ბავშვის აღზრდას ამ მოთხოვნაში ცხადად ამტკიცებს ავტორის დაკვირვების უნარს, არა-მცირედს სამსატვრობო ნიჭს და ქვეყნისათვის დიდს გულის-ტკივილს. მთელს ჩვენს საბელეტრისტო მწერლობაში, თუ ხსოვნა არ გვალაატობს, პირველად შეესვდით



ასეთის ხელაგნებით დასტურეს სურათის ბავშვის უგუნურის წიქ-  
 თუნა-აღზრდისას. მაგრამ მარტო ამ სურათებით არ შემოქმედობს  
 ძლიერად მკითხველზედ შიშველი სტენები ლალიონის მოთხრობი-  
 სს. აკტორი სხვათერაგად დიდის სინამდვილით და ჭეშმარიტის სა-  
 მსატრო ხელაგნებით ასურათებს განოს დედ-მამის. გიორგიცა და  
 სოფიოცა, აგრედვე მათი შორეული ნათესავი ოსურგელი ქალიც,  
 ნამდვილი, ცხოველი ტიპებია ჩვენის ჯერ ისეკ შავითა და ბნელით  
 მოსილის პრკინციანურის ცხოვრებისა, სოფლის თავად-ანხაურთა  
 უგულმართობისა, ჩამომავლობითა და გვარიშვილობით ამაყობისა,  
 საზიზღარის წიქილმანისა ჯიბრისა და ქიშხობისა მესობელთ შო-  
 რის, წოდებრივის განხეთქილებისა. დავანებოთ თუნდა თავი იმ სტე-  
 ნას, საცა აწერილია ჩხუბი და ვაი-ვაგლასი დავლამანთა და მესო-  
 ბელ გლეხის ტიმოთე კალაძეს შორის და გავისხენოთ ის საურ-  
 ხოგო სტენა ნათლობისა, როცა ჩხუბი მოსდით სადილზედ ტიმო-  
 თეს შვილს ნიკოსა და ახალგაზდა ივანეს. უკეთესად დასურათებს  
 გამდიდრებულის ბურჟუასი, კაჭარ ნიკოს ბღინძვისა და სიმდიდრით  
 თავ-მოწონებისა და გავარბებულ ივანეს უძღურის ყოყონობისა  
 ახნაურშვილობით, სწორედ რომ აღარ შეიძლება.

ნიკო, როგორცა ვთქვით, კაჭრობით გამდიდრებულნი ყმაწვი-  
 ლი კაცია. რაკი ჯიბე გაუსქელებია, ათასის გაჭირვებითა, სხვის და-  
 რცვითა და ყვლეფით ფული შეუძენია, ცა ქუდად აღარ მიანნია და  
 დედა-მეფა—ქალამნადა. იბღინძება, თავი მოაქვს, მაგარ-მაგარ სიტ-  
 ყვას ისვრის და აღარავის არ კრიდება. ნიკო ტიპია ჩვენებურის  
 «კულაკისა», კოლუზაკისა, ანუ ბურჟუასი, რომელსაც ყველაფრის  
 თავი და ბოლო ფული ჰგონია. იმის ფიქრით, თუ ფული გაქვს,  
 კაცი სარ; თუ არა და—გრამად არა ჰღირსარ. ამისთანა კაცი უნ-  
 და მოიკიდოს ნათლიად შეძლებულმა გლეხმა სამსონ ტარაძემ. სტუ-  
 მრები ბლომად არიან მის სახლში. ივანე დაულაძე იქ არის. იქვეა  
 ნინოც. ელიან ნიკოს. ივანეს ძალიან ეჯავრება ნიკო. ეჯავრება უფ-  
 რე იმიტომ, რომ უშინიან, ვაი თუ სამსონ ტარაძეს უნდა თვისის  
 ცოლის ნათესავი ნინო იმის გაურბოლოს. აკერ ნიკოც მოდის. ნა-  
 თლიდედა მაკრინე მიეგება.

«— ჩემს სტუმრებს ყველას კერც ქე იცნობ შენ!—მისაღმების  
 შედეგ უთხრა მან ნიკოს.



« — ვასაც ვერ ვიცი, იმასთან რეკამანტიას გამოვიკეთ, დაიდა. — მიუგო ნიკომი.

« — კი, ბატონო, შენი ჭირიძე! — წარმოთქვა მკვრივად და სტუმარი ნინოსთან მიიყვანა: — ეს ჩემი დასწული ვასაც.

« ნიკომ თავი დაუგრო და ხელი ჩამოართვა ნინოს. მერე სხვებსაც სალაში მისცა.

« — რა ამბავია, კაცო, ამდენს ხანს რომ გგატოი! ჰაჰა ადრე არ გეკადრებოდა მოსულა, სიღოური დიდი კაცი ხარ შენ? — ძაღდატანებულის ხუმრობის კილოთი უთხრა ნიკოს ავანემ.

« — შენთან კი ვარ უგატრავად! — მიუგო მას ნიკომ ისეთი მუდღუროს დიმილით, რომელსაც ზოგოერთები სმარობენ, როცა უნდათ ვისიძე დამტირება. ეს დიმილი კარვად შეამჩნია ვანომ და ჰილ-ჰილივით აწიოა.

« — უგატრავად კი ხარ, ყამსო, მეტი თუ არაფერი! — წარმოთქვა ავანემ გაბრახვებით.... »

გათავდა ნათლობა და სტუმარნი სუფრას შემოუსდნენ. ნიკოს საპატოე ალაგი დაუთმეს. გაიმართა საუბარი, მუსაიფი სტუმართა შორის.

« — ახლანდელ დროში ფული ვასაც აქვს, კაციც ივია, — სთქვა ერთმა.

« — ოჸო, ცარიელი ფულიც აფერი არაა, თუ კაცი თვითონ არ კარვად და ჰაჰა განათლება არ ახლავს! — შენიშნა მეორემ.

« — «ნეუქელი» შენ უფულოდ გააკეთებ რამეს, კია განათლებულიც რომ იყო? — თავ-მომწონედ დაიწყო ნიკომ: — შეძლება თუ გაქ, განათლებულიც მაშინ ხარ. რავა, რას უძახი შენ განათლებას? იგი კაცი ვას ჭამს, ვას სვამს, კარვით აცვია და ასურავს, მტერს რიგინად დაუხვდება და მოყვარეს. ერთის სიტყვით, განათლებული ცნობრება აქ. ფული რომ არ ქონდეს, ამას ხომ ვერც ერთს ვერ იწამს? ბევრი ვიცი მე იმისთანა კაცი, რომ განათლებულად მოაქ თავი და მჭადი ქე ენატრება!

« — აბა, მე ვატივი შენ, — დაიწყო ავანემ ათრობლებულის ხმით: — კაცი თუ ჩამომავლობით ჯალაბია, იმას ვერც ფული მოარჯულებს და ვერც ვერაფერი. ვისრამდი ოქროში რომ ჩასვა იმისთანა კაცი, მანც თავის წნეს არ შეიშლის!

«— გი მარა ამ ცარიელმა, გაფსეკილმა აზნაურშეაღობამ ზე მორტანა კინმეს? კინ უყურებს ახლა ჩამამაღლობას? რამდენია იმის-თანაი აზნაური, რომ მჭადს არ წაუტეხს კაცი, რომ კანკიკონა ცოლ-შვილს დაწინდრებს. კაი ხანია წვეიდა უწინდელი დროი! ახ-ლა კაცი ივია, კინც თეითონ კარგა, კასაც რამე გაანხნა; მარტუაი აზნაურშეაღობა სულ ავერი არაა. იგი ტყუული არ თქვას კინმე! — ცხარობდა ნიკო».

გაცხარდა ივანეც და ბოლქს ჩხუბიც გაჩნდა. ივანემ დალია ოთხი ჭიქა ღვინო და მივიდა ალაკედს ნიკოსთან.

«— მე კერ გიანლები მაგ ღვინოს, ტყუული ირჯები! ახლა აღარ მწყურია, — სთქვა ნიკომ.

«— მე კი მწყურადა, რომ დავლი?»

«— ავი არ ვინც მე! ალბად გინდოდა და იმიან დალიე. მე სკალეც ვიშონი ღვინოს და, კისაც ენატრება, იმან ჩეიწვეს შით!

«— ბერს ნუ ახმარაკობ, თვარა მაგ ჭიქებს დაგაფხსენი თავზე! — შეუტია ბრახ-მორეულმა ივანემ».

და მართლაც «დაფხსენია» თავზე, სოლო არა ჭიქები, არა-მედ ბოთლი.

თქვენი არ ვინც, მკითხველო, და მე კი მგონია, რომ ასე ცხოვ-ლად, ასეთის კაღმის მოსმით დასურათება ორის სხვა-და-სხვა ხასია-თის ადამიანისა, ორისავე ქარაფშუტა, უზრდელის და უწვრთნელის კაცისა, რომელთან შუღლი აქვთ ერთმანერთში, ჰმოწმობს ავტორის უტკველს ნიჭს, უტკველს უნარს დაკვირვებისასა და ადამიანთა ბუ-ნების ცოდნისას.

ნიკო სულ ახალი ტიზია. მართალია, ნიკოსთანა ტიზი შე-გვხვდება ე. ნინოშვილისა და გ. წერეთლის მოთხრობაშიაც, მა-გრამ აქ ამ ტიზის ცოტა უფრო განსხვავებული ხასიათი აქვს. ე. ნინოშვილის «სიმონაში» დროივე სოფლის მკვიდრია, სოფელში გასუქებული ცარცვა-ყვლეფით, უფრო ფრთხილია, უფრო დინჯი, უფრო დარბაისელი, მბილი, сь бархатными лапами, როგორც რუსები იტყვიან. გ. წერეთლის მოთხრობაში — «ზარკელი ნაბიჯი» — ფუფავა სოფლის ცხოვრების ნიადაგსეკვას აღმოცენებული და, თუმი-ცა ქალაქშიაც ახმარეობს, მანც არც იმისა აქვს ის ბრწყინებები,





ის თავსედობა, ის ქალაქური ღირებობა, რომელიც ნიშნობდა თვისებას ნიკო კალამისა.

ამ მხრით ბ-ნ ლალიანის მოთხრობაში ვხვდებით არა თუ ძველებურს ტიპებს, როგორც არის, მაგალითად, ივანეს დედ-მამა, დასურათებულს იმ სისხით, რა სახეც დღეს მიუღიათ ამ ღირსეულთ შთანძომაკალთ ღუარსაბ თათქარბისასა და დარეჯანისასა, არა თუ თვით ივანეს, რომლისთანა სსსიათების ახალგაზდანი ზოგს სხვა ჩვენს ბელეტრისტსაც აქვს დასურათებული, აი თუნდა ეგ. ნინო-შვილს (ქრისტინეს გამაუზტიურებელი, ტარიელ მკლავაძე და სხვ.), არამედ იმისთანა სრულიად ახალს ტიპსაც, როგორც არის ნიკო კალამი. ამას გარდა ვხვდებით ისეთს სიყვარს, რომელიც ჯერ ჩვენს საბელეტრისტო მწერლობას არ დაუსურათებია, არ გაუხდია საგნად თვისის სამხატვრობო დაკვირვებისა, შესწავლისა. ასეთია სიყვარ ბავშვის აღზრდისა დღევანდელს ჩვენს ღარბის თავად-ახსნურთა ოჯახში.

ძალიან კარგია და არა ნაკლების ორიგინალობით სავსე ის ადგილი, საცა ნინოს გათხრობას ახერხებს მისი დეიდა მკვრივ-

რაცა შეეხება სწოვადოდ მოთხრობას, მის ზოგადს აგებულებასა და შთანძუდილებას, უნდა ვსთქვათ, რომ თუმიცა ფაბულა, ჩონჩხი მისი არ ახლდა, ძველია და ბერს სხვასაც გამოუყენებია თვისთა ქმნილებათა დასაწერად, მაინც მოთხრობას დიდის ხალისით ვითხროლებს ადამიანი იმ ადგილამდე, ვიდრე ივანეს შეიპყრობენ და ნინოს მიათხრობენ ნიკოს. ხალხი შემდეგ მოთხრობას ცოტად თუ ბერად ხალისი ეკარგება და მთლად ბოლოს მელოდრამატული ხასიათი სძიებს. სტრატეგიო სტენები, რომელიც ნამდვილად არავითარს ტრაგიზმს არ შეიცავს, ზედი-ზედ მოსდებს შემდეგ ერთმანეთს და მკითხველის გულს ნაკლებად-და სძრავს. ეს ნაკლებეკანება—ერთიანის შთანძუდილების სისუსტე, —წარმომდგარია, ჩვენის აზრით, იმის გამო, რომ ავტორს ყოველ მხრივ, სრულიად და სავსებით არა ჭეკვს დასურათებული უმთავრესნი მომქმედნი თვისის მოთხრობისანი, როგორც არიან: ივანე, ნიკო და ნინო. მისი უურადლება რამდენადაც ამათ დასურათებას მოჭნდომებია, იმდენადვე წაუღია სხვა, მეორე ხარისხიანი მომქმედთა. საჭირო იყო, რომ მთელს მოთხრობაში ზირველ ზღანზედ მდგარიყვნენ სახელ-

დობრ ზემოსსენებულნი ზირველ-სარისსოკანნი მომქმედნი და სტორას უფრო ღრმად ჩაკვედებინეთ იმათის გულის ვითარებაში. ყოველი ნაწერი, რომელშიაც უმთავრესი ნაკლებად განიხილეს არა-უმთავრესისაგან, ნაკლებად არის განსაზღვრული ერთმანეთში, ძლიერს საერთო შთაბეჭდილებას ვერ სტოკებს მკითხველის გულსა და გონებაში. ძირითადი განზი, უზირველესი მოთხრობილება სამსატერო შემოქმედობისა არის, სხვათა შორის, დაცვა ზერსპექტივისა, ჩრდილ-სინათლისა, გაშუქება და წინა ზლანზედ დაყენება იმისი, რაც ზირველ ზლანზეა, — უგან დაყენება იმისი, რასაც ჩრდილი ეფინება, რაც უგან უნდა იდგეს. ეს არის მიზეზი, რომ ეს მოთხრობა, რომელშიაც იმდენი საუკეთესო ადგილებია, ისეთი საუცხოო ტიპებია გაკვრით, ხშირად ერთის კადმის მოსმით დასურათებულად, ძლიერებით ვერ მოქმედობს ადამიანზედ. კაცს ახსოვდება თითო-ორჯო ცხოველი სტენა, ამა თუ იმ ხასიათის მომქმედა კაცი და ქალი მოთხრობისა, გარნა მთლად მოთხრობის ძარღვი, მისი დედა-აზრი არა რჩება მის გონებაში, იმიტომ რომ ეს დედა-აზრი, ეს ძარღვი უფრო ნათლად უნდა ყოფილიყო გამონასკული, უფრო მეტის ძლიერებით უნდა ყოფილიყო ჩაწული მოთხრობაში და თავიდან ბოლომდე ერთიანობით გატანილი.

მხოლოდ მაშინ ჩაკვმოდა მოთხრობას ის სული, ნაწილად უკვდავებისა, რომელიც აცხოველებს სამსატერობო ქმნილებას და დიდ ხანს აძლებინებს დრო-ყამის ცვალებადობასა და დაუდგრომელობაში.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვკვრინა, რომ ბ-ნი ლალიანი უკვკვლის ნიჭის ზატრონია. მით უფრო ვკვრინა ესა, რომ «თიარალი დაჯლამე» მისი ზირველი ნაწერია, ზირველი სადებიუტო ქმნილება და ადვილად შესაძლოა ამას მეორე და მესამეც მოქყეს და უფრო უკეთესი, ვიდრე ზირველი. თუ ეს ასრულდა, მაშინ შესაძლოა იქნება მიუფლოცოთ ჩვენს საზოგადოებას, რომ განსკენებულს კვ. ნინოშვილს ნამდვილი მემკვიდრე გამოუჩინდა, რომელმაც ისევე ზედ-მიწევრით იცის ყოფა-ცხოვრება და ბუნება ქართველისა, მეტადრე გურულისა, როგორც განსკენებულმა კვ. ნინოშვილმა იცოდა და რომ მისი უნარი დაკვირვებისა, ნიჭი შემოქმედობისა,



საზოგადო სათუარო მომზადება ბევრით აზარტით არის ნაკლებად ნინოშვილისაზე. რამდენადაც გაკვივონია, ბ-ნი ლალიონი მასწავლებლობს თურმე სადღაც შორს, რუსეთისა და სპარსეთის სამზღვარზედ, რადუბათსა თუ ნახეკანსა. შესაძლოა, რომ ასე შორს გადაკარგულმა, სათათრეთში მეოფმა ადამიანმა, მოკლებულმა მშობელ საზოგადოებას, სულაც დაჭკარვოს საღისი სამხატვრობა მწერლობისა. ჩვენს საზოგადოებასა და ლიტერატურას რომ შეეძლოს ჯეროვანად უზრუნველ ჰქონს ლალიონი და პტივეტემულს მწერალს სხვა საქმე და საზრუნავი არა ჰქონდეს-არა საბელეტრისტი თხზულებათა წერის მეტი, დარწმუნებულნი ვართ, ნინოშვილს თუ არ გადააჭარბებს, იმასეც ნაკლები ბელეტრისტი არ დადგება. ისე რომ, თუ ლალიონმა «ფერადი დაკლამის» მეტი აღარა შესძინა-არა ჩვენს მწერლობას, ან შეჭმნა იმასეც უარესი, ეგ ჩვენს თავს უნდა დავაბრალეთ, ჩვენის ლიტერატურის უილაჯობას და საზოგადოების მისდა გულგრილობას და არა თვით ლალიონს. მით უფრო მეტის გაბედვით კამბობთ ყოველსავე ამას, რომ ენა ბატონის ლალიონის მოთხოვნისა მშენიერია, ხოლო შეკნიერება ენისა პირველი და აუცილებელი საქმეა სიტუა-კანშიულს მწერლობაში. ჩვენს მწერლობაში იშვიათია, რომ მწერალი სასხარეზოდ გამოსუდიყოს და მის პირველსავე ნაწერს ეს დიდი ღირსება ჰქონდეს.

ბ-ნი Plebs-ი მანც თავისას არ იშლის, დაყანგებულს ფარხმალს თავს არ ახებებს და, თავ-პირ დალეწილი, ძირს გართხმული, ნიშნის მოგებით შემოგვიძახის ჭკემოდან: «ჰე, მოგხვდა, გაკმოლტა «ივერის» კრიტიკოსმა ამ თხუთმეტის წლის წინადა!» საცოდავს, თხუთმეტის წლის ამბავი მოგონდა სამწართა და თხუთმეტის დღის წინად მომხდარი გი სულ გადაავიწყდა. სულ გადაავიწყდა, რომ მართლაც ამ თხუთმეტადე დღის წინად ბათუმელმა კატომ გველივით აჭრელა ჩვენი ბრძენი Plebs-ი, რაც სივრძე ჰქონდა, ის სიპრტეე მისცა და, ერთის მაგიერ, რჩი შოლტი ტყავი ააძრა.

არა, ცოტა არ იყოს, ენა მოიკენიტა გი ახლას ბ-ნმა Plebs-მა, იმ რიხითა და კილოთი აღარა ფაროვაშებს, რეგორც პირველად, თუძცა გუზიანს გი, აბა, რა გასწორებს, სამართის მეტი. ქედ-მოს-

რელი და ზვიადობა-შემუსვრელი იხსენიებს ასევე ჩვენს მუშაკობას ლიტერატურაში და, თითქმის სალიტერატურო გვირგვინისადაც, მოწოდებით გვეუბნება: «კარგი კორექტორი ხარ და ხელნაწერების მარდი მსწორებელი, ქართული ენა საფუძვლიანად იცის, მშენებელად სთარგმნი, იყავ შენს ქვეყნში და დასჯერდი ამას, ნუ ეპოტინები მალღს ფარდებს, იმ სფერას, საცა ჩემი სამოღობოა. თუ მასხარად აგიგდე, სასაცილოდ გამოგიყვანე, იმიტომ კი არა, რომ შენი მტრობა მქონდა, იმიტომ რომ... აი სხვადაც მასხარად აგიგდე... გახსოვს?... ამ თხუთმეტი წლის წინადაც. ესთქვით, იმ სხვამ თხუთმეტის წლის წინად მართლს საბუთიანად ამიგდო მასხარად; ესთქვით ისიცა, რომ მამინდელი ჩემი ნაწერი სწორედ სასაცილო და სასტიკად გასაკიცხი იყო, განა ეს საბუთი იმისი, რომ დღევანდელი ნაწერიც სასაცილოდ სასაღობს და გასაკიცხი? ან სადაური ღოღიკაა, ამა და ამ დროს «ივერის» კრიტიკისმა მასხარად აგიგდო და მეც იმიტომ გამომიყვანარ სასაცილოდ მოედანსედა. ამას გარდა, შენ მამინ «უარ-ჭეჯე კეროზული მეცნიერება და დაამყარე სამშობლო სტიქიონებო». წაუსდა კი აქაც საქმე ბ-ნს Plebs-ს და ტუეილად შერჩა ასე შორს მოგზაურობა, უურნალ «იმედისა» და «ივერის» ძველის ნომრების ჩსრკა.

გავარკვიოთ მცირედ მაინც ეს ძველი ამბავი. მე მამინ ვამბობდი, რომ ჩვენი სტუდენტობა არ არის მომზადებული და აღზრდილი კროზნულს ნიდაგზედა-მეთქი, ქართული ენაც კი არ იცის და უმრავლესობა მისი არც დაუძებს სამშობლო ისტორიის შესწავლას, სამშობლო ლიტერატურის შეთვისებას-მეთქი. უთუოდ სტუდენტობაში უნდა იქმნას შეესებული ეს ნაკლი და თან შეთვისებული კეროზული მეცნიერება-მეთქი. თუ სასაღვარდობამ თავისი ენა, ისტორია და ლიტერატურა არ იცის, საკეროზიო მეცნიერებასაც ვერ შეითვისებს, ხოლო თუ შეითვისებს, ჩვენდა სასარგებლოდ ვერ გამოიყენებს-მეთქი.

აი მამინდელი ჩვენი სიტყვები:

აღზრდა ახალგაზრდობისა საშინლად ცუდად არის დადგენილი. მისი გზა და კვალი უგვანოა და არ შეეფერება საღის გონების მოთხოვნილებას. სკოლიდან გამოდგენილია სამშობლო ისტორია, დედა-ლიტერატურა და



ახალგაზდობა, მიკლებული მშობლიურს სტიქიონებს, მახინჯდება გონებით და ირყენება ზნეობით და... მშობლიურის პოეზიითაც ვეღარა სტკებება... მცირე და საუკეთესო ნაწილი ახალგაზდობისა, რომლის გადაგვარება და გადაჯიშება ვერ მოახერხა ამ საშინელმა სისტემამ, არ ჰყარავს იმედს, არ იმაგებს მეცნიერებას და სწავლას, სტდილობს განაგრძოს ეგ სწავლა...

### ანუ კიდევ:

საჭიროა ჩვენის ქვეყნის შესწავლა და დამყარება ისტორიულის, ეტნოგრაფიულის და ეკონომიურის მეცნიერებისა ჩვენში... და ეს მოვალეობა უნდა იტვირთოს იმ ახალგაზდობამ, რომელიც უმაღლეს განათლებას იღებს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში.

### ან კიდევ:

... ოთხს წელიწადს თუ ახალგაზდამ (სტუდენტმა) სასურველს მიმართულებას (ეროვნულს) არ უღალატა, ეცადა და ნიადაგი მოიმზადა ფეხმოსამაგრებლად სამშობლო ლიტერატურის, არა თუ ყურის გდებით, არამედ შესწავლითაც; თუ ახალგაზდობა ეკროპიულს მეცნიერებას შეიგნებს, მის დედა-აზრებს მისკდება და შეითვისებს... დიდს ღვაწლს დასდებს თავის ქვეყანას... („იმედი“ 1881 წ. № 5, გვ. 101, 105, 116 და 117).

ეს «ეკროპიულ მეცნიერების უარ-ყოფა», ბატონო Plebs-ო? უარ-ყოფა თუ მოწოდებაა სწორედ ამ მეცნიერების შესასწავლად, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ახალგაზდამ მსარ-და-მსარ თავისი სამშობლო ლიტერატურაც ისწავლოს? რად დაგჭირდათ ასეთი გადასხვათერება ჩემის წერილის ცხადად, კათეგორიულად გამოთქმულის აზრისა? რად მოინდომეო ასეთი შეუწყნარებელი გადამხინჯება მოკამათეს აზრისა?

კინდათ ვითომ დაამტკიცეთ თქვენი სიძარტლე და ამისათვის იმეწმებთ «ივერიის» მაშინდელ კრიტიკოსსაც, მაგრამ, ჩვენის აზრით, ტყუილად შეგიწუხებიათ ის პატივცემული კაცი. ვინ ამბობს? უოკლად დინსეული კაცია, მაგრამ მაშინ კი მწერლობაში არა ერთი და ორი შეცდომა მოუვიდა. შეცდომა იყო არა მარტო ჩემის წერილის აზრად აგდება და გაკიცხვა ლიტონისა და მაგარ-მაგარის სიტყვებით, არამედ შეცდომა იყო გაკიცხვა მოჩხუბარიძისაც, მაშინ უკვე «ელგუჯას» სახელოვანის ავტორისა. შეცდომა იყო აგრე-

საქართველო  
საქართველო

დეკი გაკიცხვა ილია ჭავჭავაძის «ცხოვრება და განზრახვა» იმ დრო-  
ლისა, სადა ავტორს მოეჩვენა თვისი მოსაზრებანი სასოფლო თვით-  
მმართველობის შესახებ. მეცა და ილია ჭავჭავაძემაც შესაფერი ზა-  
სუხია მივეცით ბ-ნს კრიტიკოსს. მე თითქმის მასწინე, ხოლო ილია  
ჭავჭავაძემ სუთის წლის შემდეგ (იხ. მისი მეთაური წერილები გავ.  
«ივერიაში», თუ არა ვსცდები, 1887 წ. ესრედ-წოდებულ კესეს-  
ლონი კოლესტრედ და ჩემი ზასუხია 1882 წლის ივერიაში» № 6).  
ყოველსავე ამას ჰქმდავს ბ-ნი Plebs-ი, — ნებისთ თუ უნებელიად, მე-  
ცნიერებით თუ უმეტრებით, — ეგ არ ვიცი, და მხოლოდ ამას ჰქმდა-  
დებს, ზი რაგორ გაშოლდა იმ კრიტიკოსმა გრ. ყიფშიძემ. ეს  
უაღაგო-აღაგად გახსენებული ეპიზოდის სალიტერატურო პოლე-  
მიკისა ბ-ნის Plebs-ის მიერ; ეს გადასხმავერებაზე ჩემგან თხუთმე-  
ტის წლის წინად გამოთქმულის აზრისა, ეს ჩქმდა-მაღვან იმი-  
სი, რა ზასუხიან მიიღო კრიტიკოსმა ან მასწინე ან შემდეგ თვი-  
სის წერილების დაწერისა, ზედ-მიწეკნით სასათაებს Plebs-ის სა-  
პოლემიკო ზნე-ჩვეულებას. და ზი რაგრა ამისთანა ვაცს ვეუბნევი, რომ  
პირადობა გაქვს, მტრობა გაბრძევის-მეთქი, სწინს, ფარისეულურის  
გულის-წირობით გაიძახის: ეგ სალიტერატურო უზრდელობაა, ჩემს  
გულში ხელების ფათურიაო, მე შენი პირადი მტრობა არა მაქვსო  
და სსკ. დმერთი ჭკუით იცნეს, ბ-ნო Plebs-ო. ეგ ფიცი თქვენი ვი  
გეწამს და ბოლო ვი გეკვირვებს. ხოლო ბოლო ის არის, რომ  
შენი ორივე მასწავლით, ჩემ და საწინააღმდეგოდ დაწერილი, გამს-  
ჭვალულია საოცარის მძინვარებით, რომელიც მანცა და მანც არ  
უნდა გამოეწია ჩემს იანვრის «სალიტერატურო მიმოხილვას», თუ  
სამართალია სადმე. შეიძლებადა, სულ დაგერღვიათ და გაკეტვე-  
რებინათ ის მიმოხილვა, მაგრამ იმ მძინვარებით ვი ყოველ შემ-  
თხვევაში პირადად მე ნება არა გქონდათ შემსებოდით და თავს-და-  
მსხმოდით. ხოლო, რაკი ასე მოაქვეცით, რაკი «საქმემან თქვენმან  
გამოგანინათ თქვენ», ნიღბ-ჩამოფარებულად დეკ-გმირად, ჩემთვის  
სრულიად აღარ იყო საჭირო ხელების ფათური სსკვის გულში, მე-  
რე ისიც Plebs-ის გულში, რომელიც მუროთა და მჭვარტლით თუა  
საკვე, თორემ სსკა საკეთე იქ არა იქნება-რა. თუ არ ასეთ სათავიდან,  
მასმ საიდან, რომელ დაბრალებულ მდინვარიდან წამოვიდოდა ის ანკა-



რს წყარო, რომელმაც, მისლასათის სახით, დაამშვენა «ივერიის» ფურცლები.

ასეთის ქველობით საკვებ ეკუთვნის გამოსულს და მწერლობაში უსტაბაშობასა ჩემულობს, მწერლობის შენობის აგების საქმეში კალატონობას და ხურთო-მოდღერების დამლას იკრავს შუბლზეკინ დაგლოცა, რომ საზუბლიცისტო და საკრიტიკო წერილებსა სწერავო. ჰხედავო, რა ამბავშია ბ-ნი Plebs-ი? როგორც ეტყობა, ამიერიდან კელარავინ კელარ უნდა გაჭბადოს კალამს ხელი მოჭკიდოს, თუ ბ-ნმა Plebs-მა, ან სხვა მისთანამ, თვისი ნება-რთვას და ლოცვა-კურთხევას არ დართო. საცოდავი, იმისაც ვერ მიმხვდარა აქამდე, რომ მწერლობა მოხლეობა არ არის, საცა კანცელარიის ყოველს მხსანბელს გაგარდა აქვს შუბლზედ მიკერებული; რომ მწერლობაში მუშაობისა და შენობათა აგებისათვის ჯეროვანს ნება-რთვას და უსტაბაშის დალოცვას ადგილი არა აქვს. არც ნიჭიერი და მომხადებული და არც უნიჭო და მოუმიხადებელი მწერალი არავისგან დალოცვასა და ლოცვა-კურთხევას არა თხოულობს, როცა გამოდის სამწერლობო ასპარეზზედ და ჰმოღვაწეობს, თვისის შეძლებისა და გვარად. დრო თვითონ უგებს ანდერძს უნიჭოს და აჭიდდოკებს ნიჭიერს. ქურუმნი და უსტაბაშნი აქ საჭირონი არ არიან, მერე ისიც Plebs-ისთანები. ეს ჩვენი საუკუნე იმითია, სხვათა-შორის, დიდებული, რომ მან აღიარა და განასოცოცელა კიდევ მოძღვრება სიტყვისა და წერის თავისუფლებისა, აზრების თავისუფლად აღებ-დაღებისა და მსჯელობისა და უარ-ჰყო ყოველივე საზოლიციო, საინსპექტორო შესუთვა-შებოკილება ადამიანის აზრისა და ფიქრისა. საზრისტო, საზრუგურორო რეპრესიებს ამ საქმეში ხელი არა აქვს და აზრს, სიტყვას ვერ შეაშანებს ვერც თითის დაქნევა უფროსისა და ხარისხოვანისა, ვერც მედიდური მუქარა და ლანძვარ-გინება, ვერც ტანჯვარ-წამება და ვერც აღზნებული გოცონი.

«განდიდების ქავილი გაქვს ატენილიო, თილასოფოსობის სურვილს შეუპერისარო, მაღალ ფარდებში ფრენას ეტრფივალბიო!» — ჰროშავს ბ-ნი Plebs-ი ფშაურის წისქვილივითა და არც საბუთი, რომელიც ამას ამტკიცებდეს, არც ერთი არც მეორე. შირ-იქით, ის ატესტაციბა, რომელსაც მოწყალეობით მძღვეს ბ-ნი Plebs-ი და რა-

შელიც ზემოთ მოკიხსენიე, სრულად სხვასა ჳმოწმობს. თუ მართლად ისეა, როგორც Plebs-ი ბრძანებს, თუ მართლად აკორექტურსადაც ვაკეთებ, ხელთ-ნაწერებსაც ვასწორებ, ქართულიც საფუძვლიანად შევისწავლე და შენიგურადაც ვსთარგმნი», სადაც უნდა მქონდეს განადრო, რომ ამავე დროს საფილასოფოსო საგნებსაც კეზოტინებოდე მწერლობაში და მალაფ ფარდებსაც კეტრფიალებოდე? ვსთჳათ, ისეთი მსხე ვარ, რომ ვზოულვბ ვიდეე დროს ამისთანებისათვის, მერე განა ეს ვარქმოვბა ამტიციებს, რომ ვანდიდების ქავილი მსქეს ატეხილი? საიდან უწეით, ხვენო გულთამხილვა და მწერლობის ხელჯობნიანო უსტახაშო, რომ, თუ ხემს სალიტერატურო მუშაკობის ვანძავლობაში რამდენიმე წარილი დამწერაა ზოგოერთას საგნის შესახებ, ევ წარს უსათუოდ «ვანდიდების ქავილით» იეო ვამოწვეული? ან რადა გვონიათ, რომ საკრიტიკოსი და საზუბლიცისტო წერილების დწერა, ისიც სშირად ხელ-მოუწერლად, უფრო მეტს დიდებს და სახელს შესძღვინს ვითომ მწერალს, ვიდრე სხვა ვვარი მწერლობა, ბელეტრისტობა, მგონობა, ვარგი მთარგმნელობა. რა საჭირია ეს საზოლიციო დანომრვა და დიდების დავკვარა მწერლების შუბლზედ, შენ საფილასოფიო საგნების შესახებ სწერ, დიდებს შეიძობს, თუ უნარი ვამოხინეო, შენ მოთხრობასა სწერ, რომანსა, დრამასა სთარგმნი, ევ დიდებს ვერ შეგძენსო. ვითომ რატომ არ შეიძლება, რომ მოთხრობის მწერალიც, რომელისამე შესანიშნავის თხზულების ვარგი მთარგმნელიც ისეთივე დიდებული შეიქმნეს, როგორც საფილასოფიო საგნების შესახებ მწერალი. ვითომ რით არის ნაკლებ დიდება-მოსილი ზუშენი, ან გოგოლი, ან ტურკენევი ბელინსკისა, დობროლიუბოვისა, გროტსა და სოლოვიოვზედ. ყუგოვისა და გნდინი უფრო მთარგმნელნი იევენ, მაგრამ სახელი და დიდება მინც მოხსევეს; გოვარი მთაწმინდელმა, ლიუტოვმა და კირილე-მეთოდემ რომ «ვახადებანი» სთარგმნეს, ნაკლები სამსახური ვაუწიეს თავ-თავიანთ ქვეყანას და ნაკლები სახელი შეიძობს საკუთრად ამ ღვაწლით, ვიდრე საფილასოფიო საგნების წერით სხვა მწერლებმა? იქნება Plebs-სა ჳგონია, რომ, რავი მე საფილასოფიო საგნების შესახებ ვსჯლბავ და ხან ქალების ემანსიპაციას წავწვდები და ხან სხვა მალაფ ფარდეს, იმიტომ, სწორედ





მარტო იმიტომ დიდებსაც შევიძინებ?! შესაძლოა, ვინ იცის: გინა და გუნება—თავში ებრახუნება.

უნდა უნდა სანამ კიდევ ის არის, რომ ჩვენს ხარკებულს ჭკუის გოლოფს ჰგონია, ვინცა მწერლობს, მწერლობაში ჰმოდვასწობს, უთუოდ ის აზრი ასუფლებს, იმით ჰხელმძღვანელობს, რომ ამით იქნება დიდების გვირგვინი დაგიდგას თავზედა. რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სშირად და, იქნება უმეტეს ნაწილად, ვინც მწერლობს, იღვწის, იმიტომ მწერლობს და იღვწის, რომ არ უნდა ფუჭად გაატაროს თავისი სიცოცხლე, არ უნდა უსარგებლოდ დალიოს თავისი დღე და სცდილობს მცირედი რამ შემწობა აღმოუჩინოს მწერლობით საზოგადოებას, თავის ქვეყნას და არა იმიტომ რომ სასული მოხსენებებს, დიდება შეიძინოს. რამდენი მწერალი და მოღვაწე ყოფილა, რომ დეკანოსა და წევვა-გორულის მეტი, სიმშვილისა და ტანჯვის მეტი არა უნახავს—რა, მაგრამ თავისი მანინ არ დაუშლია, არა იმიტომ, რომ ამით სასულს შევიძინებ, დიდებას მოვიპოვებ, არამედ იმიტომ, რომ ბუნება ჰქონია ისეთი, იმიტომ რომ სსკაფრივ მისი სიცოცხლე არ მოხერხდებოდა. ზოგს სწავაძენ, ჯვარზედ აცვაძენ და ის კიდევ მანინ თავისას არ იშლიდა, თავისას ჰქადაგებდა და ჰმოდღვრობდა, არა დიდების გული-სათვის, არამედ იმიტომ რომ ჰქმნარიტების, ქვეყნად სიკეთისა და სასუფილის დამყარება უნდოდა. ბერძნა მოღვაწემ ისე დაჰლია სული, რომ მხოლოდ ასისა, ორასისა და ათასის წლის შემდეგ შეიძლება გაცნობრობამ იმისი დიდი ღვაწლი და დამსახურება გაცნობრობისათვისა ვინაშე. და ნუ თუ ასეთი ღვაწლ-მოხილნი განდიდების რცხებით იყვნენ გაცნობრობნი? მხოლოდ Plebs-ისთანა გულ-ნამცუცანი ჰგონებენ, რომ თუ შრომობს ვინმე, უთუოდ პირადის ინტერესით, სასულის მოხსენებლად და განდიდების სურვილითა თუ ჰაილით აღმოჩენი.

რაცა შემესება მე, ჩემთვის დიდად საზოგადოება, მაგრამ მანინ უნდა ვსთქვას, რომ, თუმცა სსკებთან ფესს ვერ გავიწვდენ, თუმცა შესაძლოა ყველა სსკა ჩვენს მოღვაწეზედ შორსა ვარ ჩამორჩენილი, შესაძლოა არც დიდი მომზადება და უნარი მაქვს წერისა, მაგრამ მანინ იქნება მეც მიღვიოდეს გულში მცირე სურვილი, მცირე

რე ნაპერწკალი ქვეყნისათვის გულშემატკივრობისა და მეტ ვნდობაზე, ჩემის მცირე ძალ-ღონით მისს სამსახურს და არა ჩემის სასჯელის განდიდებლსა. ბ-ნი Plebs-ი გერაფორთ ვერ დაამტკიცებს, ვერც ერთს საბუთს ვერ წამომიყენებს, რომ თუ ვმუშაობ მწერლობაში, ვათამ სასჯელის მოსახვეჭდა ვმუშაობ, განდიდების ქაილის დასაცხრომად ვიდეკა წილებზედ ფებს. არსად, არც ერთსეულ, არც ერთს ჩემს ნაწერში არავითარი საბუთი არ მომიბუნება ამისი და არც რამ ლაზარაკი მქონია არც კერძოდ, არც ლიტერატურაში, რომ სასჯელის მოხვეჭა მინდა, განდიდება მსურს-მეთქი. ასეთის ცილის დაწამება შეუძლიან მხოლოდ იმისთანა ობობეტრესა და წვრილმან ადამიანს, რომელიც თვისის ჯაბითა ჭზომიკს ყველას.

სიტყვას მოაქვს და—მეტი ღონე არ არის—ვიტყვი, რომ აგერა თვრამეტი წელიწადია, რაც თითქმის განსაკუთრებით საღიტერატურა შრომას ვადგევარ და იმითი ვცხოვრობ, —ხოლო რასაც აძლევს ჩვენი მწერლობა საღიტერატურა მუშავს, ეს ყველას კარგად მოესხენება,—მაგრამ მე არცა ვჩივი ზოგაერთივით, არც ვამდლებ ვისმე, არც ბედს ვემდური და არც თავი მომძქვს ამითი. თუ ვამბობ ამას, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ თვრამეტს წელიწადში უმეტესი ნაწილი ჩემის დრო-მოცალებისა უნდებოდა, როგორც ამბობს Plebs-იცა, ისეთს სარკდაქციო და საღიტერატურა მუშაობას, გაზეთში თუ ჟურნალში, რომელსაც რუსები შავს, სამურებსო მუშაობას ეძსიან. ასეთი, მაგალითად, კორექტურა, სხვის ხელ ნაწერების სწორება და ენის გაშალაშინება, თარგმნა ამბებისა, რუსულ განცხადებადებუშისა და პატარ-პატარა წერილებისა, საადმინისტრაციო მუშაობა და სხვა ამ გვარი სარკდაქციო საქმე. ხოლო ასეთი მუშაობა, ყველას დამეთანხმება, ყოვლად უმადურიც არის, თავ-მოსახეზრებელიცა და, რაც უფრო უმთავრესია ამ შემთხვევაში, ყოვლად უზინარიც. აკეთებ საქმეს, მუშაობ დღეს, თვეს, წელიწადს და შენი მუშაობა თითქო არა სჩანს, შენს გაკეთებულს საქმეს გერავინა ჭხედავს, ორიოდ-სამიოდუ შენის ამხანაგისა და იმათ მეტი, ვინც შენთან ერთად აბა შენს უღელშივე, რკდაქტორია იგი გაზეთ-ჟურნალისა, თუ რკდაქციის გამკებულ-თანამშრომელი. და აბა, ერთი ვკითხოთ ახლა ჩვენს ბრძენს პუბლიცისტს, ბ-ნს Plebs-ს, შესაძლოა



განა ამისთანა კაცზედ, რომელმაც, სულ ცოტა, თოთხმეტ-თხუთმეტი წელიწადი გაცატარა ასეთს უზინარს მუშაობაში, სთქვას ვინმე, თუ არ მარტო Plebs-ისთანა გუელჯარბღიანმა, რომ ამ კაცს «განდების ქავილი აქვს ატეხილია?» ეგ კი არა და, — თვით ბ-ნს Plebs-ს რომ ენის ქავილი ასტეხია, ეს ცხადზედ უცხადესია. სხვის გულში უწმინდურის ხელის ფათურნიც სწორედ ეს არის.



ერთი ორი სიტყვაც «ივერიის» დღეებზედ კრიტიკოსსა და ბიბლიოგრაფს და გავათავებთ. ამ წლის «ივერიის» 69 ნომერში შემოხსენებული კრიტიკოს-ბიბლიოგრაფი არჩევს «მამბეს» თებერვლის ნომერს და, სხვათა შორის, ამბობს ჩემ «სალიტერატურო მიმოხილვის შესახებ, რომ ვითომ მე მთქვას, მწერლობა კერ გადასწვევტს კერავითარს სავანს ცხოვრებისასა. ბ-ნი ბიბლიოგრაფი ბრძანებს: რაინა შეეხება გრ. ყიფშიძის აზრს საზოგადოდ მწერლობაზედ, რომ იგი კერ გადასწვევტს კერავითარს სავანს ცხოვრებისას და ისიც მწვანეს სავანს და სხვ...» ეს სრული გადასხვაფერება ჩემის აზრისა და, იმედია, ბ-ნის ბიბლიოგრაფს დაუფიქრებლობით მოსულა, უუურადღებობით და არა განზრახს. მე მქონდა ნათქვამი მხოლოდ შედეგი, რომ ...«პოეზიასა და ბელეტრისტიკას არ შეუძლიან გადასწვევტოს რომელიმე სავანი ცხოვრებისა და ისიც მწვანე-მთქი და არა «საზოგადოდ მწერლობასა» — (ის. «მამბე» № 2. გვ. 102.) საზოგადოდ მწერლობა, ლიტერატურა სულ სხვა საქმეა და პოეზია და ბელეტრისტიკა — სულ სხვა.

თუმცა არა ასე მეტი-მეტად, გარნა მანაც შესამჩნევად გადასხვაფერებული იყო ჩემი სიტყვები «ივერიაში» (№ 14), მოყვანილი გაზ. „Нов. Об.“-დან შესახებ ბახანა-ვაყა-ფშაველას პოეზიისა. სადა მე მქვს ნათქვამი: ნაკლებ გასაგებია ჩვეულებრივის მკითხველისათვის სულა და გული ამ პოეტების მიერ დასურათებულ გმირებისა-მთქი — мало понятень весь внутренний миръ изображаемыхъ поэтами героевъ, «ივერიაში» ნათქვამია, ვითომ მე ვამბობდე, რომ ჩვენის მკითხველისათვის უცხოა მთელი ის ქვეყანა, რომელსაც აკვირებენ ბახანა და ვაყა-ფშაველა. სულ სხვაა: «უცხოა» და სულ სხვაა: ნაკლებად გასაგებია — мало понятень. ან ნაირი გადასხვაფერება ორგან არის

«იკერიის» ერთს ციტირებს ნარკვევი. ამას გარდა არის კიდევ ერთი გადასხვაფერებაც. საცა მე ვამბობ: «გემო ამ ჰოეტის ლექსების კითხვისას ჯერ არ გაუღია, არ განუვითარებია არა თუ დიდს საზოგადოებას, არამედ ინტელიგენციასაცა-მეთქი» — *вкусъ къ чтенію стихотворныхъ произведеній этого поэта не развился еще не только въ большой публикѣ, но даже среди интеллигенціи, ასეა ქართულად მოყვანილი: ...«ამ ჰოეტის ლექსებს არ ჭკითხულობს არა თუ მდაბიო ხალხი, თვით ინტელიგენციის წითომადგენელნიც-კი.» «არ ჭკითხულობს» სულ სხვაა, ბატონო, და გემო კითხვისას ჯერ არ გაუღია, ჯერ არ განუვითარებია და განუძლიერებია — სულ სხვაა.*

მასთან არ მივაქცევ ამ გარემოებას ყურადღება და ვიფიქრე, რომ შენიშვნის დამწერს ალბად ვერ მოუხერხებია ზედ-მიწევნით რუსულის გადათარგმნა-მეთქი და ახლაც კი, როცა ქართულად დაწერილ «სალიტერატურო მიმოხილვიდან» «იკერიის» ბიბლიოგრაფის ისეთის გადასხვაფერებით მოჭყავს ჩემი სიტყვები, რომ სხვა, ყოვლად უხამსი და შეუსაბამო აზრი გამოდის, არ შემოძლიან ამ გარემოებას ყურადღება არ მივაქციო. ვიმეორებ, ეს შეცდომა უნდა იყოს, უყურადღებობით წარმომდგარი და არა განზრახ მოხერხებული. ამიტომ ვსთხოვ პატივცემულს ბიბლიოგრაფს, თუ ამ შეცდომის გასწორება დაგვიანებულია და ან მოუხერხებელი გაზეთშია, შემიძებ მანც გაუთხოვდი და სხვის აზრი სწორად ისე მოიყვანოს, როგორც სწორია მის წერილში. თუ არა და, თქვენ თვითონ იფიქრეთ, რასა ჭკავს, ბატონო, როცა მათქმევინებთ იმისთანა უჯერო და შეუწინარებელს აზრს, რომელიც თქადაც არ მომსკლია?! თუ საზოგადოდ მწერლობაც (აქ იგულისხმება სამეცნიერო და საზოგადოებრივი მწერლობაც) ვერ გადასწევს ვერავითარს საგანს ცნობებისას, მაშ სხვამ რაღამ უნდა გადასწვიტოს, მეტადრე დასავლეთ ევროპის განათლებულ და წარმატებულ სახელმწიფოებში? ვერავითარი განზრახვა, რომელიც შემოსაღებია და შემცველი ცნობების წეს-რიგისა, ვერ იქმნება იქ შემოღებული, თუ მწერლობამ (საზოგადოებრივმა და სამეცნიერომ) არ განიხილა მისი პრაქტიკა, არ ასწონ-დასწონა და სხვ. ამისთანა სისულელე არც მითქვამს და



აზრე კიტეოდი და შინცა და შინც რა საჭიროა ის დანაშაული მოძე-  
წეროს, რაზ არ მომიქმედნია? დავით წინასწარმეტყველისა არ იყოს,  
ისეც «ცოდვასა შინა გვშვა დედამან ჩვენმან» და რაღა ახალ-ახალის  
მომატება გვინდა!

გრ. ყიფშიძე



## უსხოეთის მიმოხილვა \*)

ეროვნული მოძრაობა ავსტრო-უნგრეთის იმპერიაში.—სტარო-ჩეხნი და მათი მეთაური დოქტორი რიგერი.—მლადო-ჩეხნი.—ჩეხიის ახალი, პროგრესიული მოძრაობა და „მესამე დასი“.—საეტნოგრაფიო გამოფენა პრაგაში.—გალიცია, მისი აღორძინება და სწავლა-განათლების საქმე.—ხორვატია და სტარჩევიჩი.

ვინც კი გულ-მოდგინედ თვალ-ყურს ადევნებს ავსტრო-უნგრეთის საპოლიტიკო ცხოვრებას, ადვილად შეჰქნიშნავდა, რა დიდი ცვლილება მოჰხდა ჰაბსბურგების მონარქიაში და დღესაც რა დიდად და განუწყვეტლივ ცვალებადობს იგი ცხოვრება. მრავალთაგან მრავალი ერი და ტომი ამ სახელმწიფოსი, ამ ერთის საუკუნის წინად მოკლებული ყოველგვარ საპოლიტიკო უფლებას, დედამიწასთან გასწორებულს და განიორწყლებული გაბატონებულ ნემენცებისაგან, გონება დახშული და ნივთიერად გადატაკებული, დღეს საკვირველის სიმხნევით ფეხზე წამოდგა, წელში გასწორდა და საპოლიტიკო უფლებანი შეიძინა. ზოგი ამ დაჩაგრულ ერთაგანი თითქმის სრულიად

\*) მასალო: 1, Меттернихъ и европейская реакція, В. К. Надлера; 2, От. Записки, 1867 г. Май. статья „Францъ-Владиславъ Ригеръ“, 3, Рус. Богатство за 1896 г. № 2. изъ Австріи, А. В. Василевскаго; 4. იმავე ვასილევსკის სამი წერილი ჟურნალ „Міръ Божій“-ში №№ 1, 2, 3 ამა 1896 წ. „изъ культурной жизни мелкихъ народностей“, 5, Русскія Вѣдомости за 1895 г. № 247, Чешско-славянская этнографическая выставка въ Прагѣ, 6. Новое Время за 1896 г. № 7185, „изъ жизни Австрійскихъ Славянъ“. 7. Національний вопросъ въ Австріи, проф. М. М. Ковалевскаго. 8, Лекціи проф. Дринова о чешской Литературѣ. აქ განხილულია სალიტერატურო და სამეცნიერო მოღვაწეობა პალაცკისა, შაფარიკისა და რიგერისა.



განთავისუფლდა და თავისს ბედსა თვითონვე განაგებს სხვის დაუკითხავად; ზოგიც ისე დაწინაურდა და წინ წავიდა, რომ მათი სრული განთავისუფლება მონობისაგან სადღე-სახვალიო საქმედ გადაიქცა. ავსტრი-უნგრეთის მცირე ტომნი და ერნი ამასაც არ დაკმაყოფილდნენ, ისეთი კულტურული ძალა და ნიჭი გამოიჩინეს, რომ ლამის გუშინდელი დამჩაგვრელნი და ბატონნი, ესე იგი ნემცები დღეს უკან ჩამორჩნენ ნაყმევებს ყოველისფერში, კულტურულ განვითარებას აიღებთ, თუ სწავლა-განათლებას. დღემდე ნემენცები მასხარად იგდებდნენ ჩეხებს და სხვებს, სიცილად არა ჰყოფნიდათ მათი ჩხირ-კედელაობა ეროვნობის აღდგენისა და საპოლიტიკო უფლებათა მოპოვების გამო, დღეს კი სხვა გუნებაზე არიან და მწარე საგონებელს მიეცნენ. როგორც წყალ-წალბეული ხავსს ებლ-უჭებოდა, ეგები როგორმე სიცოცხლე შევიწროვდნენ, ისე ნემენცები იქცევიან. ერთს ვაი-ვაგლახს ასტეხენ ხოლმე ნემენცები, როგორც რეისტაგში, აგრედვე ჟურნალ-გაზეთობაში, როცა რომელიმე სლავიანთა ტომი მოითხოვს ისეთსავე უფლებას, რაც დიდი ხანია თვით ნემენცებს აქვთ მინიჭებული. შარშან, მაგალითებრ, კინალამ თავი მოიკლეს ნემენცებმა, როგორ თუ სლოვენები თხოულობენ ცილლის გიმნაზიაში სწავლა სლოვენურად სწარმოებდეს და არა ნემენცურადაო. ეს ხომ მეტი-მეტი თავ-გაულობაა და ჩვენთა უფლებათა შეზღუდვაო. ბევრი იხაზხავეს ნემენცებმა, მაგრამ ვერას გახდნენ და იძულებულნი შეიქმნენ დაეთმოთ სლოვენთათვის და მათი სურვილი აესრულებინათ.

რასაც დღეს სლავიანთა მონათესავე ტომნი დაუღალავის შრომით და საკვირველის ენერგიით იძენენ, ის დიდი ხანია შეიძინა ავსტრიაში უნგრეთმა. უნგარნი, რაკი ნება-ყოფლობით ვერას გაჰხდნენ და პირჯვარი ვერ დააწერინეს ავსტრიის ნემენცებს, რომ მიეცათ მათთვის ავტონომია, იარალი აისხეს 1848 წელსა და ხმლით მოისურვეს საპოლიტიკო უფლებათა შეძენა. ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგან გაჭირვებულ ავსტრიელებს მიეშველა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირ-



ველი და ამბობება უნგართა ჩააქრო. იმპერატორი ნიკოლოზის დიდი მოტრფიალე იყო მონარქიულის პრინციპისა და მუდამ ჟამს მზად იყო, ჯარი ეფრინა იქითკენ, სადაც კი რაიმე ში-ში მოელოდა ამა თუ იმ გვირგვინოსანსა. მას აქეთია უნგრე-ლებმა საშინლად შეიძულეს რუსეთი და, ვგონებთ, ამ ჟამადაც არ გამქრალა ეს მძულვარება. მაგრამ მახვილით შეჩერებული საქმე სამუდამოდ გამქრალი არ არის. 1866 წ. პრუსიამ ისე ღონივრად შეებრტყა ავსტრია და დააუძღურა, რომ წინააღ-მდეგობას ვეღარ გაუწევდა უნგრელებს და 1867 წ. მან მია-ნიჭა უნგრეთს სრული ავტონომია. ამას შემდეგ უნგრეთი სრუ-ლი გამგებელი შეიქმნა ჰაბსბურგის მონარქიის მეორე ნახევ-რისა. უნგრეთი ხშირად ამასაც არა სჯერდება და არ უკად-რისობს დასჩაგროს ავსტრია. საზოგადო საჭიროებისათვის უნ-გრეთი გაცილებით ნაკლებს ხარჯს იხდის, ვიდრე ავსტრია. წელს ახალი ხელ-შეკრულობა უნდა დაიდოს ავსტრიასა და უნგრეთს შორის იმის შესახებ, ვინ რამდენი ხარჯი უნდა გაი-წეროს საზოგადო საჭიროებისათვისა. ავსტრიის მინისტრები მშვიდობიანი კილოთი არწმუნებენ უნგრეთის სახელმწიფო კა-ცთა, რომ საჭიროა თანასწორად გავიყოს ხარჯი, რომ ამას მარტივი სამართლიანობა მოითხოვსო, მაგრამ შენც არ მომი-კვდე, უნგრეთის მინისტრები ყურსაც არ იბერტყავენ. რა ხარ-ჯსაც წინადა ვსწევდით, ეხლაც იმას გადავიხდითო: თუ ეს არ გეპრიანებათ, თავი დაგვანებეთ, უთქვენოდაც ძალიან კარგადა ვგრძნობთ ჩვენს თავსაო. უნგრეთის მინისტრებმა ესეც არ იკ-მარეს ავსტრიელების გულის მოსაკლავად. ერთ ბედნიერ დღეს, არც აცივებს და არც აცხელეს, აიღეს და სახალხო სკოლიდან სრულიად განდევნეს ნემენცური ენა. იმდენი თავაზიანობაც არ გამოიჩინეს, რომ ავსტრიის იმპერატორი და უნგრეთის კარო-ლი ფრანც იოსები ნემენცია და დიდად ეწყინებოდა ასეთი სა-ქციელი. სახალხო სკოლაში რა ალაგი აქვს უცხო ენასაო, გაიძახოდნენ უნგარნი, როცა ვენის გაზეთებმა დაუწუნეს უნ-გრელებს ასეთი უზრდელობა; ხალხმა გონება უნდა განივითა-როს, სწავლა შეიძინოს, ცხოვრებასთან საბრძოლველად მოე-





მზადოსო. აი სახალხო სკოლის დანიშნულება და არა ისა, რომ სოფლის გოგო-ბიჭები ფილოლოგები გახდნენო. ამით დასრულდა ეს შეხეთქება ავსტრიელთა და უნგართა ამ საგნის გამო.



ამ საუკუნის დამდეგს, ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, ავსტრიის იმპერიას დიდი ქარი უქროდა დასავლეთ ევროპაში. ავსტრიის პირველი მინისტრი თავადი მეტერნიხი თითქმის მთელი ევროპის ბედს განაგებდა, სასტიკად სდევნიდა, საცა კი იჩენდა თავსა, თავისუფალ მოძრაობას და დღეს უზნელებდა თავისუფალ მოაზრეთა. ევროპის მონარქნი ისე უცქეროდნენ თ. მეტერნიხს, როგორც მოციქულსა და ყველაფერს უგონებდნენ. რასაც თავადი შეუთვლიდა, დაუყოვნებლივ ასრულებდნენ. თ. მეტერნიხი მართლაც მოციქული იყო, მხოლოდ მოციქული ქრეშმარტებისა, სიყვარულისა და პროგრესისა კი არა, არამედ საშინელის რეაქციისა. ნაპოლეონის მიერ განდევნილნი მთავარნი და მეფენი, ვენის კონგრესის შემდეგ, ხელ-ახლა დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სამფლობელოებში და გახარებულნი, რომ ტახტი დაიბრუნეს, მეტერნიხის ჩაგონებით, ერთგულად მიჰყვეს ხელი, რათა ძირიანად აღმოეფხვრათ საფრანგეთის რევოლიუციის-მიერ განთესილი სალიბერალო აზრები. განუწყვეტელ წინა ომების შემდეგ დაღლილ-დაქანცული მკვიდრი ევროპისა წინააღმდეგობას ვერ უწევდა რეაქციის მოტრფიალეთ და ქედი ადვილად მოიხარა. თითო-ორიოლა თავისუფალ მოაზრეს მეტერნიხმა მზე დაუბნელა, შეჰხუთა უნივერსიტეტებში მეცნიერება, განსაკუთრებით გერმანული ლიტერატურა. მკვიდრს არა ეკითხებოდა-რა იმის მეტი, რომ უნაკლულოდ ეძლია ჯარის კაცნი და ეხადა ხარჯი. მეტერნიხმა ნება მისცა მხოლოდ, ესწავლათ სანსკრიტული ენა, მუსიკა, სამკურნალო მეცნიერება და ბუნების მეტყველება. ჰუმანურ მეცნიერების სახსენებელიც კი მოისპო ამ დროს მაშინდელ თვალგადუწვდენელ ავსტრიის იმპერიაში. ასე გაშინჯეთ მეტერნიხმა სამზღვარ-გარედ მოგზაურობაც კი აუკრძალა ავსტრიელებს.



რეაქციის სადავე რომ ხელიდან არ გამოსცლოდა, მეტერნიხისთვის საჭირო იყო ძლიერი და ერთგული პოლიცია, როგორც ხილული, აგრეთვე საიდუმლო. კიდევ გაიჩინა ასეთი პოლიცია პირველმა მინისტრმა, რიცხვით 40,000 კაცი. ამ ჯაშუშების წყალობით მეტერნიხმა ყველაფერი იცოდა, სად რა ამბავი იყო. საკვირველი აქ მხოლოდ ისაა, რომ საუკეთესო ჯაშუშებად თ. მეტერნიხს ჩეხები მიაჩნდა. ამიტომაც მათ შორის შეპკრიფა ეს აუარებელი ჯარი უზნეო და სულით-ხორცამდე დაცემულ ჯაშუშებისა.

ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ ეს სამწუხარო გარემოება ჩეხების ცხოვრებისა. დიდის ხნის საპოლიტიკო მონობამ ისე გახრწნა და დააძაბუნა ჩეხია ზნეობით, რომ ბრწყინვალე მამულიშვილთა მაგიერ, მხოლოდ ჯაშუშობის აღმოცენება შეეძლო და მერე იმდენისა, რომ თითქმის მთელს დასავლეთ ევროპასა ჰყოფნიდა სადარაჯოდ და თავისუფალ აზრის შესახუთავად. ამ შავ-უკუღმა დროს, როდესაც ჩეხიას ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა ეროვნულის თვით-ცნობიერებისა, სწავლა-განათლებისა და ნივთიერის კეთილ-დღეობისა და სახელი გაითქვა მართლაც მით, რომ საუკეთესო ჯაშუშებს უმზადებდა ავსტრიის იმპერიას, სოფელ სემილში, 10 დეკემბერს 1818 წელს დაიბადა სახელოვანი მამულისშვილი ფრანცისკ-ვლადისლავ რიგერი.

ფრანც რიგერის ცხოვრება და მოღვაწეობა ისე მჭიდროდ აქვს ჩაწნული ჩეხიის აღორძინების ისტორიას, რომ შეუძლებელია მათი განცალკევება და კერძოდ განხილვა. რიგერის ბიოგრაფია წარმოადგენს სავსებით ჩეხიის აღორძინების ამბავს, ტანჯვა და წვალება ამ დაუღალაის ადამიანისა არის ტანჯვა და წვალება ჩეხიისა ამ საუკუნეში, გამარჯვება და სიხარული მისი გამარჯვებაა მისი სამშობლოსი. ფრანც რიგერი დღესაც ცოცხალია და მხოლოდ შარშან დაუთმო საპოლიტიკო მეთაურობა ახალ თაობას, მლადო-ჩეხებს, რადგან მისის საპოლიტიკო დასის, სტარო-ჩეხების არსებობა აღარ შეეფერებოდა დროსა და ვითარებას. ღრმად მოხუცებულმა, თითქმის



ოთხმოც წელს მიღწეულმა მოხუცმა თვალი რომ გადაეღო  
 თვის ხანგრძლივ წარსულს, უეჭველია, განცვიფრდება და თვით  
 მისთვისაც კი ძნელი დასაჯერებელი იქნება, სულ მცირე ხანს,  
 სულ რაღაც ორმოც, ორმოც და ათ წელს ასე შესამჩნევად  
 და საკვირვლად როგორ იცვალა ფერი და იერი მისმა სამშო-  
 ბლომ. მის სიყმაწვილის დროს ჩეხური ენა განდევნილი იყო  
 სკოლიდან, სასამართლოდან და ადმინისტრაციიდან. პრაგის  
 უნივერსიტეტის პროფესორებმა რიგერის დისერტაცია, დაწე-  
 რილი ჩეხურად, არ განიხილეს და ავტორს გამოუცხადეს, ჩე-  
 ხური ჩვენ არ ვიცით და ან რა წესი და რიგია ამ ენაზედ სა-  
 მეცნიერო თხზულების დაწერაო. დღეს კი ჩეხებს საკუთარი  
 უნივერსიტეტები აქვთ, როგორც პრაგაში, აგრედვე სხვაგა-  
 ნაც, საცა მარტო ჩეხურად იკითხება ლექციები; თაბორში სა-  
 კუთარივე სამეურნეო აკადემია აქვთ, სადაც ნემენცურს ას-  
 წავლიან, როგორც საგანს. ჩეხიის მაღალ სასწავლებლებში  
 სტუდენტი ნემენცები ჩეხურ ენაზე დაწერილ დიპლომებს  
 იღებენ და ეს გარემოება აღარავის აკვირვებს, აღარავის აო-  
 ცებს. მორავიის ქალაქები ძველის-ძველადავე განემენცდნენ  
 და ამის გამო საქალაქო თვით-მართველობა ქალაქებისა ხელს  
 არ უწყობდა, რომ მორავიის უმთავრეს ქალაქ ბრიუნში უნი-  
 ვერსიტეტი დაარსებულიყო. ჩეხური უნივერსიტეტი არ ეპი-  
 ტნავებოდათ და ნემენცურის უნივერსიტეტის თხოვნა ხომ უნა-  
 მუსობა იქნებოდა, რადგან მორავია ჩეხების მკვიდრი სამყოფე-  
 ლია, სადაც ნემენცები მხოლოდ ერთ მეხუთედს მკვიდრთა შეა-  
 დგენენ და სცხოვრებენ მარტო ქალაქებში. რაკი ბიურგერნი  
 ასე აფერხებდნენ უნივერსიტეტის საქმეს და განძრახათას და-  
 მბარკოლებელ მიზეზებს ეძებდნენ,—ეს ფული არ არისო, ეს  
 მთავრობა ნებას არ მოგვცემსო,—ჩეხიის ჟურნალ-გაზეთებმა  
 ხელი მოჰკიდეს უნივერსიტეტის დაარსების საქმეს ბრიუნში.  
 მორავიის ჩეხებმა დაავალეს თავის დეპუტატებს შეეკითხეთ  
 რეიხსტაგში სწავლა-განათლების მინისტრს გაუჩს, რა მიზეზია,  
 რომ აქამდისინ მორავიას უნივერსიტეტი არ აღიარესო. უფუ-  
 ლობა რომ არ დაიხვიოს გაუჩმა ხელზე, ჩეხელები წინადავე

შეუდგნენ ფულის შეგროვებას და კიდევ გამოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც სწირავენ ამ დიდებულ საეროვნო საქმეს ასი-ათას გულდენობით. ეხლანდელი ჩეხია არაფერს ჰზოგავს საეროვნო საქმისათვის. ამის მაგალითი მრავალთაგან-მრავალია. საკმარისია გავიხსენოთ ამ ჟამად მხოლოდ ერთი მაგალითი. ამ ხუთის წლის წინად პრაგაში დაიწვა საეროვნო თეატრი. ნემენცებს დიდად ესიამოვნათ, ეს არის ჩეხები თეატრს ვეღარ აიშენებენო, მაგრამ მოსტყუდნენ. თეატრის დაწვა ჩეხებმა ისე ჩასთვალეს, როგორც დიდი საეროვნო და საზოგადო უბედურება, ტანთ ძაძა ჩაიცივს ნიშნად მწუხარებისა, ხოლო გულზე ხელები კი არ დაიკრიფეს, მხნედ შეუდგნენ ფულის შეგროვებას და სულ მცირე ხანს ხუთ მილიონ გულდენზე მეტი შეჰკრიბეს. ამ ფულით უფრო მშვენიერი და დიდებული თეატრი აიშენეს, ვიდრე იყო ის, რომელიც გადიწვა. საყურადღებო აქ ერთი გარემოებაა. გადაგვარებული არისტოკრატია, თავად-აზნაურობაც დაეხმარა დემოკრატ-მამულიშვილთ და ამ სახით დიდის ხნით მოწყვეტილი და ხშირად სამტროდ მომართული, ვითარცა უძღვები შვილი, დაუბრუნდა თავისს სამშობლოს. ასე ყოველად შემძლებელია დრო და ვითარება! ვიდრე ვენა პარპაშებდა და თავად-აზნაურობა მხოლოდ იქიდან მოელოდა წყალობას, სულით და გულით თვისს დამჩაგვრელს მიემბრო, ასე გაშინჯეთ, მამა-პაპათა ენაც კი დაივიწყა. ხოლო როცა ქარმა სხვა მხრიდან დაჰბერა და ვენას ლილა-ხანა გაუცვდა, იგივე არისტოკრატია ნელ-ნელა პირს იბრუნებს თავისს ქვეყნისკენ და, უეჭველია, ეს წოდებაც სულ მცირე ხანს შეუერთდესა სხვა დანარჩენ წოდებათა და ყველანი შეერთებულის ძალით, ძმურად გაირჯებიან სამშობლოს საბედნიეროდ.

ღიად, ვიმეორებთ, ჩეხია წინანდელი, ამ საუკუნის დასაწყისისა, და ეხლანდელი, სრულებით არა ჰგავს ერთმანეთსა. ეს განსხვავება უფრო ნათლად გამოჩნდება, როდესაც მოვისმენთ ფრანც რაგერის ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით მოთხრობილ ბიოგრაფიას.



ფრანცი იყო შეძლებულის მეწისქვილეს შვილი. ექვსი წლისა ფრანცი მიაბარა მამამ წიგნის სასწავლებლად მოძღვარს ივანე კრამორს, ფრანცის ნათლიას. აქედან ფრანცი გაჰგზავნეს ნემენცურ ენის შესასწავლად სახელოვანთქმულ მასწავლებელ კარასკთან, რომელთანაც ერთის წლის განმავლობაში ისე შეისწავლა ნემენცური, რომ გაუჭირვებლად დაიჭირა ეგზეამენი მთავრობის გიმნაზიაში. გიმნაზიაში რიგერმა დიდი ნიჭი გამოიჩინა, მშვენივრად სწავლობდა საგნებს და ამასთანავე გატაცებით კითხულობდა ჩეხურად დაწერილს წიგნებს, თუ კი რამ ამისთანა მოიპოვებოდა. განსაკუთრებულის სიყვარულით და ტრფიალებით რიგერი სწავლობდა ჯერ ისევ გიმნაზიაში სამშობლო ისტორიას. მაღალის განათლების მისაღებად რიგერი გაემგზავრა პრაგას, სადაც დაუახლოვდა ახალგაზდა ლიტერატორთ, რომელნიც სცდილობდნენ აღედგინათ სახალხო ლიტერატურა. პრაგაში რიგერმა გაიცნო სახელოვანი შაფარიკი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა ჩეხიის ლიტერატურის წინაშე. შაფარიკი ჰბეჭდავდა ამ დროს ჟურნალს სვეტოზარში და რიგერმაც პირველად ამ ჟურნალში დაიწყო მუშაობა. სთარგმნიდა და სწერდა აგრედვე საკუთარ წერილებს. თავისუფალ დროსა და უქმეებში რიგერი მოგზაურობდა სლავიანთა ქვეყნებში მათ გასაცნობად და შესასწავლად. 1836 წელს თავის ამხანაგით შემოიარა სლავონია, მორავია და გალიცია; იყო ვენგრიაში, სადაც გაიცნო სლავიანთა სახელოვანი ახალგაზდა მამულისშვილნი, ვენაში, ბრიუნში და კრაკოვში. საფილოსოფიო კურსის დასრულების შემდეგ რიგერი დაბრუნდა მამასთან ოჯახის საპატრონოდ, მაგრამ მეწისქვილეობა, რაღა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებდა ახალგაზდა რიგერს და მამის დაუკითხავად ვენას გაიპარა და შევიდა უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, როგორც თავისუფალი მსმენელი. ერთის წლის შემდეგ მამასთან დაბრუნდა და აჩვენა მოწმობა უნივერსიტეტისა, რომ მეორე კურსზე გადავედიო. მაშინ მამამ უთხრა: „გატყობ, რომ შენგან რიგიანი მეწისქვილე არ გამოვა. ისე მოიქეცი, როგორც შენა გსურს და წადი იქ, სადაც გული მი-

გწევსო.“ ვენაში რიგერმა გაიცნო სლავიანთა სხვა-და-სხვა ტომთა წარმომადგენელნი, პოლონელნი, რუსები და სამხრეთის სლავიანები. რიგერი კარგადა ჰხედავდა, რომ ახალი სიო იზადება სლავიანთა შორის და რომ მართა ლიტერატურის აღორძინება ვერ დააკმაყოფილებს ამ ერთა მოთხოვნილებასაო. საქიროა საპოლიტიკო უფლებათა მოპოვება და ეს საქიროება, რიგერის აზრით, აუცილებელი საქმე იყო. უამისოდ ვერც ლიტერატურა იხეირებდა და ვერც სხვა რამე. იურიდიულის განათლების დასამთავრებლად რიგერი დაბრუნდა პრაგაში, აქ თავისს საუკეთესო ახალგაზდა მეგობრებთან იმის ფიქრსა და ზრუნვაში იყო, როგორ მოეპოვებინა ეს სანატრელი უფლებანი.

მამის სიკვდილს შემდეგ (1841 წ.) რიგერი შეიქმნა სრული პატრონი სემილის წისკვილისა. რალა თქმა უნდა ეს გარემოება ხელს ვერ აადებინებდა რიგერს საყვარელ საქმეზედ. სტუდენტობის უკანასკნელ ჟამს რიგერი ცდილობდა ცნობიერებაში მოეყვანა ჩეხიის ერი, რადგან ამ დროს ჩეხიის ენა და თვით ხალხოსნობაც ისე იყო მივიწყებული, მასხარად აგდებული, ისე მდელიდურად და გულგრილად უცქეროდნენ ძალითმოსულნი, რომ ძალიან საძნელო იყო თურმე გეთქვა ხმა-მალა, ჩეხიის ენა და ჩეხები, როგორც ხალხი, არსებობს ნამდვილად, რომ მათი არსებობა ფაქტია და ფანტაზია კი არ არის, გატაცებულ პატრიოტთა მოგონილი, არამედ ნამდვილი შეუწყველი ფაქტიაო.

რიგერმა ამხანაგებითურთ განიზრახა გაემართა ხოლმე ჩეხური ბალები და საუბარნი. ამისათვის დაიჭირავეს საზოგადო სახლი, სადაც მოაწყეს კერძო ბიბლიოთეკა. აქ იკრიბებოდნენ ახალგაზდა ლიტერატორნი და კითხულობდნენ სლავურსა და ნემენცურ ჟურნალ გაზეთობას. ამას ის მოჰყვა, რომ სხვა-და-სხვა სლავიანთა ტომთა წარმომადგენელნი უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და მსჯელობდნენ საერთო საქმეთა შესახებ. პრაგის პოლიციის უფროსი აზნაური პეტრე მუტი (ჩეხი), რომელსაც ჭირზედ უარესად სძულდა ჩეხები, ათას ღონესა ჰხმარობ-



და, რომ ხელი შეეშალა ყმაწვილ-კაცობისთვის და ჩაეშალა განძრახული საქმე. ასე გასინჯეთ, ნებასაც არ აძლევდა, აფიშები დაებეჭდათ ჩეხურად. მაგრამ მხნე ახალგაზდობამ თავისი გაიტანა და მოხერხებით ჰმართავდა გასართობებსა, საუბრებსა და საცეკვაო საღამოებს. პრაგელებს წაჰბაძა პროვინციელმა ყმაწვილ-კაცობამაც, განსაკუთრებით სტუდენტობამ და ამ სახით მთელ ჩეხიაში გახშირდა სასაუბრო-საცეკვაო საღამოები, სადაც ხშირად მღეროდნენ პატრიოტულ ლექსებს და უკრავდნენ სამუსიკო პიესებს. მცირეს ხანს იმოდენა სალიტერატურო მასალა შეგროვდა, რომ რიგერის ამხანაგმა ტილმა დააარსა პატრიოტული გაზეთი, რომელსაც სახელად „მამულის-მოყვარე ქალი“ უწოდეს. რიგერი ამ გაზეთისათვის წერილებს სთარგმნიდა ინგლისურისა და პოლონურის ენით. ამავე დროს რიგერმა გაათავა იურიდიული ფაკულტეტი და სამსახურშიც შევიდა, მაგრამ იძულებული იყო სამსახურისთვის მალე თავი დაენებებინა. რიგერს პოლიციამ დააბრალა, რომ შენტან იმალეობდა პოლონელი ემიგრანტი და სატუსალოში უკრეს თავი. ეს მოხდა 1842 წ. რიგერმა მალე იმართლა თავი და საპრობილედან გაანთავისუფლეს. ამავე დროს რიგერი შეუდგა მზადებას სადოქტორო ეგზემენისათვის, მაგრამ რადგან მეტის-მეტმა შრომამ საშინლად მოჰღალა, ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. მეტი ჯანი არ იყო, შინ, დედასთან, დაბრუნდა და სოფელში უნდა აღედგინა დაძაბუნებული ძალ-ლონე. მოიკეთდა თუ არა რიგერი, ისევ მხნედ შეუდგა საზოგადო მოღვაწეობას. მეცადინეობდა დაეარსებინა საზოგადოება სასარგებლო კოდნათა გასაფრცელებლად, წესდებაც დასწერა, მაგრამ პოლიციამ ჩაჰფუშა საქმე. პოლიციის სისასტიკე გულს არ უტეხდა არც რიგერს და არც მის ამხანაგებს. რაკი განძრახული საზოგადოება ვერ დაარსეს, დაჰმართეს მრავლად სახალხო ბიბლიოთეკები და იწყეს ბეჭდვა მდაბიო ხალხისათვის ადვილად გასაგების წიგნებისა.

რიგერისავე წყალობით დაარსდა პრაგაში სახალხო ტეატრი. 3 მაისს 1846 წელს შეჰკრიბა საზოგადოება და აქ გა-

დასწყდა დაეარსებინათ სახალხო თეატრი. რიგერს დიდი დახმარება და შემწეობა აღმოუჩინეს ჩეხის განთქმულმა მეცნიერებმა და ლიტერატორთა, პალაუკიმ, იუნგმანმა და შაფარიკმა. მსწავლულთა თანაგრძნობა წინააღმდეგ მოსალოდნელი იყო, ეს არაფერს გაჰკვირვებია, საკვირველი ის იყო, რომ რიგერმა მიიმხრო გადაგვარებული არისტოკრატნი, როგორც, მაგალითებრ, რაინდი ნეიბერგი, გრაფი ნოსტიცი, ვურმბრანდი, მათე ტუნი, თავადნი გუგო—სოლმანი, რაგანი და სხვა. მთელის საუკუნის განმავლობაში ეს პირველი შეკრებილება იყო, სადაც საეროვნო საქმისათვის ერთად შეიყარნენ წარმომადგენელი არისტოკრატისა, მოქალაქეთა და მღაბიოთა. თავმჯდომარეობდა კრებას მათე ტუნი, მდივად არჩეულ იქმნა რიგერი. სჯა და ბასი იყო ჩეხურად და ნემენცურადაც, რადგან სამშობლო ენაზედ ლაპარაკი არ შეეძლოთ მაშინდელ არისტოკრატთა. ოქმი კრებისა და პროტოკოლი მდივანმა რიგერმა ჩეხურად დასწერა. ჩეხურად დაწერილ პროტოკოლის ამბავმა მთელი ჩეხია აალაპარაკა.

რიგერმა, ტრაიანმა და პერნერმა განიზრახეს დაეარსებინათ ხალხის გასანათლებლად სახელოსნო, სამრეწველო და საკვირაო სკოლები. ფული არა ჰქონდათ საქმის დასაგვირგვინებლად და მიჰმართეს ხალხს მოწოდებით. ქვეყანამ თითქო ეხლა გამოიღვიძაო, ისეთი აღტაცება და სიხარული გამოიჩინა, რომ მიყრუებული კუთხეებიდანაც კი მოდიოდა შეწირულება; ყველაზე უხვად თვისი წვლილი მოჰქონდათ ღარიბებს; ქვრივი და უბრალო ხელოსანი არ იშურებდნენ დაბებრებულ ხელით ნაშოვნ გროშსა ამ წმინდა და კეთილ საქმისათვის. მდიდარ და შეძლებულ მემამულეთაც აღმოუჩინეს უხვი დახმარება ახალგაზდობას, მხოლოდ მთავრობამ შეჰხედა მტრულის თვლით ახალგაზდების განზრახვას და აღკრძალა ფულის შეკრება. მოხელე ტრაიანს საყვედურიც უთხრა და დასტუქსა ასეთის საქციელისათვის. რამდენჯერმე ითხოვეს საქმის მეთაურთა, ნება მოგვეცით დავაარსოთ განზრახული სკოლები, დაგვიტკიცეთ წესდებანიო, მაგრამ ასეთს თხოვნას ვენაში





წითელ მაუდ ქვეშ ამოსდებდნენ ხოლმე. მაგრამ არც გაზდანი ასვენებდნენ მთავრობას და ბოლოს ძლივს, 1848 წელს ელირსნენ წესდების დამტკიცებას. საზოგადოებას დაერქვა სახელად „გენდოტა“. ამ საზოგადოების წყალობით შემდეგ მრავალი საკვირაო სახელოსნო სკოლები დაარსდა ჩეხის სხვა-და-სხვა კუთხეებში.

ათას საქმეში გართული რიგერი მეცნიერებასაც არ ივიწყებდა და ენერგიულად მუშაობდა, რომ ეგზამენი დაეჭირა და დოქტორის ხარისხი მიეღო. 1846 წელს დაიჭირა ეგზამენი და მიიღო იურიდიულ მეცნიერების დოქტორის ხარისხი. შესანიშნავია ეს ამბავი რიგერისა და ჩეხის ერის ცხოვრებაში იმით, რომ პირველად რიგერმა გაჰბედა დისპუტის დროს ციტატები ჩეხურ ენაზედ მოეყვანა. ახალგაზდა სწავლულის გამბედაობამ ისე მოხიბლა ოპონენტი პროფესორი სტრობახი, რომ ამანაც ციტატები ჩეხურად წაიკითხა. ამ მცირე გარემოებას მთელმა ჩეხიამ დიდი საპოლიტიკო ამბის ხასიათი მისცა. მაშ ჩვენს ენაზედაც შეიძლება მეცნიერება, მაშ ჩეხურადაც შეიძლება აუდიტორიებში ლექციების კითხვა, გაიძახოდნენ პატრიოტნი; თუ ასეა, მაშ რა უფლების ძალით დაგვცინიან ნემენცები, ენა არა გაქვთ, ვის ეკადრება ჩეხურად დაწერილი სამეცნიერო თხზულება, რა თხზულება უნდა იყოსო. სხვა ფრივაც არის შესანიშნავი ეს სამეცნიერო დისპუტი. რიგერი მეხივით დაეცა თავს ავსტრიის ცენზურას. მაცხოვარს თვისი მოძღვრება განსახილველად რომ გარდაეცა პილატესთვის, ან კაიაფესთვისაო, სთქვა რიგერმა, მაშინ, ვინ იცის, რა დემარტებოდა საქრისტიანო სწავლა-მოძღვრებასაო. მრავლად შეკრებილმა ხალხმა იგრძნო, ვინა ჰყავს სახეში რიგერს, და ასტეხა საშინელი ტაშის-კვრა და ძახილი: „გაუმარჯოს რიგერსაო!“ ასე რომ ფაკულტეტის დეკანი იძულებული შეიქმნა შეეწყვიტა დისპუტი, რადგან ავსტრიის მთავრობის წინააღმდეგ მანიფესტაცია, შესაძლებელია, უფრო გაძლიერებულიყო.

რადგან რიგერი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულიყო ავადმყოფობისაგან, მეგობარმა ექიმმა ჩეხმა ურჩია ემოგზაურ-



ნა იტალიაში. რიგერმა დაუჯერა მეგობარსა, მაგრამ პირდაპირ კი არ წავიდა, გაიარა უნგრეთი, რამდენიმე ხანი იცხოვრა პრეს-ბურგსა, პეშტში, საცა დაუახლოვდა შესანიშნავ სლავისტ კალაის, აქედან შეიარა კარლოვიცსა და ზემუნში და შემდეგ მივიდა ბელგრადსა. აქ რიგერი წარუდგინეს თავად ყარაგეორგიევიჩს, ოსმალოს ფაშას და გაიცნო სერბიის მრავალნი სახელმწიფო კაცნი, სხვათა შორის, გარაშანინი. ბელგრადიდან მოვიდა სლავონიას და ხორვატიის დედა-ქალაქ ზაგრებში (აგრამი) რამდენიმე ხანი დაჰყო, აქედან წავიდა ფიუმისა და ტრიესტის გზით, ჰნახა ვენეცია, პადუა, ვიჩენცა, ვერონა, მანტუა, პარმა, მოდენა, ბოლონია და ფლორენცია და შემდეგ მივიდა თვით „საუკუნო ქალაქ“ რომსა. ამ დროს იტალია აღელვების ცეცხლით იყო მოდებული და რიგერმაც თავის თვალთ ჰნახა, როგორ ეკვეთებოდა ნეაპოლში საგროვნო გვარდია ნეაპოლელ მეფის ჯარებსა და მოსყიდულ მათხოვარ-გლახებსა. იტალიიდან რიგერი აპირებდა ალჟირში გადასვლას და მადრიდისა და პარიჯის გზით შინ დაბრუნებას, მაგრამ შეიტყო თუ არა, რომ ვენასა და პეშტში აღელვება მოჰხდა და რომ ავსტრიას კონსტიტუცია ებოძა, საჩქაროდ დაბრუნდა ვენაში, სადაც შეჰხვდა თავის შემამულეთაგან გამოგზავნილს მეორედ დეპუტაციას. დეპუტაციას მოლაპარაკება ჰქონდა სამინისტროსთან, თუ როგორ გაეწყოთ ცენტრალურ მართვა-გამგეობის საქმე ჩეხიაში და აგრედვე სხვა ჩეხიის საქიროების შესახებ. რიგერმა მიიღო მონაწილეობა დეპუტაციასა და სამინისტროს შორის მოლაპარაკებაში და იმპერატორის მიერ ბოძებული პატენტი 8 აპრილს 1848 წ. რიგერმა დასწერა.

ნურავის გაუკვირდება, რომ ამ ხანად ავსტრიამ დაუთმო ჩეხიას და მრავალი შეღავათი მიანიჭა. გაჭირვებამ ყოველთვის ასე იცის. ვენისა და ჰაბსბურგების ბედი ამ დროს ბევრზედ ეკიდა. აღელვებული უნგრეთი ჩანთქმას უპირებდა მონარქიას, თვით ვენელებმა რევოლიუცია მოახდინეს და აბა ასეთ გაჭირვების დროს, რა ჭკუაში მოსასვლელი იქნებოდა, ავსტრიას ურჩობა და ჯიუტობა დაეწყო და ჩეხების სახით ახალი მტე-



რი გადაეკიდნა. მართალია, ბევრი არა მისცეს რა ჩეხებს, მაგრამ ისიც დიდი წყალობა და ბედნიერება იყო ჩეხთათვის, რომ 8 აპრილის საიმპერატორო პატენტის წყალობით ჩეხიას ჩეხაა დაერქვა და ამ დღიდან ამოირიცხა სხვა დანარჩენ ავსტრიის ოლქთა და პროვინციების სიიდან. სატერიტორიო და საეთნოგრაფიო განცალკევება ჩეხიისა 8 აპრილის პატენტის წყალობით დიდი ბედნიერება იყო და თვით ჩეხები ისე უცქეროდნენ ამ პატენტს, როგორც წინამორბედს უფრო სრულის ავტონომიისას.

რიგერი და ტრაიანი გაემგზავრნენ პრაგას. გზაში შეიარეს ქ. ოლმიუცში. აქაც, როგორც სხვაგან, სტუდენტების სარევოლიუციო მღელვარება გაჩაღებული იყო. რიგერსა და ტრაინსა სთხოვეს, მოელაპარაკეთ ნემენცის სტუდენტებს ჩვენს საერთო სლავთა საქიროების შესახებ და აგრედვე რომ მორავია ჩეხიას შეუერთდესო. ნემენცის სტუდენტებმა თავი მოიკლეს, ეს რომ გაიგონეს, როგორ თუ ამისთანა სისულელეს გველაპარაკებითო. რევოლიუციის ბაირალის ამაფრიალებელნი, ნემენცის სტუდენტნი, ისე გაბრაზდნენ, რომ დაიმკლავეს და ეცნენ დეპუტატებს. საბედნიეროდ რიგერისა და ტრაიანისა, კრებაზე ბლომად იყვნენ სლავთა სტუდენტები; ამათაც ხელი გამოიღეს და ისეთი ძლიერი ალყა შემოარტყეს საყვარელ დეპუტატებს, რომ გაათარებულმა ნემენცის სტუდენტებმა ბუზიც ვერ აუფრინეს. რიგერი და ტრაიანი მხრებზედ შესვეს სლავთა სტუდენტებმა და ისე ციმ-ციმ მიიყვანეს მახლობელს სასტუმროში.

ამ დროს რიგერი სრულის ოცდა ათი წლისა არც კი იყო. ახალგაზდა მამულიშვილთ ასეთი უსიამოვნება მიაყენეს გზაში რევოლიუციონერთა ნემენცებმა და კინალამ თავპირი არ ჩამტვრიეს, როგორ თუ გაჰბედეთ და მორავიის ჩეხიასთან შეერთებას თხოულობთო. ასე უკმებად დახვდნენ მოციქულთ გზაში, მაგრამ რა სიხარულია და აღტაცებით მიეგებნენ პრაგელები რიგერსა და ტრაიანსა, ძნელია სიტყვით გამოისახოს, ან კალმით დაიწეროს. სასურველი პატენტი წაკი-

თხუთ იქმნა საყარაულო კოშკიდან, რომ ყველას, დიდსა და პატარას, მოესმინა მისი შინაარსი. რიგერს ხალხი ისე უცქეროდა, როგორც მხნე და დაუღალავს დამცველს თავისუფლებისას და ჩეხიის ერის უფლებათა. ამას შემდეგ რიგერი ამოირჩიეს სახალხო კომიტეტის წევრად.

1848 წლიდან იწყება მოღვაწეობა რიგერისა, მოღვაწეობა სავსე მღელვარებითა და მოუსვენრობითა. მას აქეთ, ეს კაცი შეიქნა ჩეხიის ერის სათაყვანებელი; ამის იმედი ჰქონდა ერს, რომ ჩეხიის თავისუფლება ძველებურად დათრგუნვილი არ იქნებოდა. ამგვარი იმედები ერისა ერთი ათად ამწვავებდა და აძნელებდა რიგერის მოვალეობას. მის მოუთქმებელს სიტყვას, აჩქარებით დაწყებულ საქმეს შეეძლო სულ ერთიანად დაედუბა ძვირფასი საქმე, საქმე სამშობლოს აღორძინებისა. ნემენცებიც საჭიროდ აღარა სთვლიდნენ თავაზიანად მოპყიდებოდნენ ჩეხებს და საქვეყნოდ გაიძახოდნენ, რომ ჩეხები და საზოგადოდ სლავები უნდა ემორჩილებოდნენ ნემენცებსა და ფრანკფურტის კავშირსაო. ვენაში დაარსდა განსაკუთრებული კომიტეტი (КОМИТЕТЪ БЕЗОПАСНОСТИ), რომელიც ასისიანებდა ერთ რომელსამე ტომსა მეორეს წინააღმდეგ, სცდილობდა სლავთა შორის განეთესა შური და მძულვარება. ჩეხები კი თითოეულს ტომს სლავებისას ამას ეუბნებოდნენ, ვიცხოვროთ ძმურად, თქვენ ჩვენ დაჩაგვრას ნუ იწებებთ და ჩვენ კიდევ—თქვენსასაო. ნემენცები არა სცხრებოდნენ და მოისურვეს გაეუქმებინათ 8 აპრილს პატენტი, რომელიც ჰპირდებოდა ჩეხებს საკუთარს სეიმს და საერო თვით-მართველობას. რაკი ასე გამოაშკარავდა ნემენცების გულის აქამდე დაფარული სურვილი ჩეხიის დაღუპვისა, მეტი ჯანი არ იყო, რიგერსაც და იმის ამხანაგთაც ხმა უნდა ამოეღოთ. რიგერმა შეადგინა მოწოდება მორავიის ხალხის მიმართ, რომელსაც გაახსენა რა წარსული ერთობა, ერთსულობა და ერთგულობა, წარსული ან დაკარგული საისტორიო უფლებანი, სთხოვდა მორაველებსა, შევერთდეთ და ერთად ვებრძოლოთ ნემენცების ზღვის ტალღებსა, ჩვენდა ჩასანთქავად აზვირთებულსაო. ამ მოწოდე-



ბას ხელი მოაწერეს: პალაცკიმ, გრაფმა მ. ტუნმა, რაინდმა ნეიბერგმა და სხვათა. მოწოდება დაიბეჭდა ჩეხურ ჟურნალ „მატიჩიეში“. ამ დროს პრაგაში მოვიდნენ ფრანკფურტის კავშირის დეპუტატნი და ურჩევდნენ ჩეხებს, მიიღეთ მონაწილეობა ამ კავშირის საქმეებშიო. რიგერმა და პალაცკიმ პირდაპირ გამოუცხადეს ფრანკფურტელ მოციქულთ, ჩვენ რა საქმე გვაქვს ნემენცების „კავშირთან“, ავსტრია სრულიად განცალკევებული და მოშორებული უნდა იყოს ნემენცების კავშირისაგან, რადგან ავსტრიის ბურჯად და დედა-ბოძად სლავები არიანო. რასაკვირველია ასეთის პასუხის შემდეგ ყოველივე ერთობა მოისპო და მორიგებაზე ლაპარაკიც გათავდა.

ფრანკფურტის სეიმის მოციქულნი დარწმუნდნენ, რომ ჩეხები არ შეიწყნარებენ ნემენცების პარლამენტსაო. შინ რომ დაბრუნდნენ, ყოველივე მოახსენეს კრებას და სიტყვა ასე დამთავრეს: „მახვილით მოვიპოვეთ იმათ შეერთებასაო“. როცა რიგერმა საერო კრებაზედ წაიკითხა ფრანკფურტის სეიმის ოქმი, ეს სიტყვები წარმოსთქვა: „ამისთანა საბუთებს ბერკეტებით მივცემთ პასუხსაო“. ამ სიტყვების გაგონებაზე ისეთი ყვირილი და ტაშის ცემა ასტეხეს გალერეიაზე, რომ თავმჯდომარე კრებისა იძულებული შეიქმნა შეეწყვიტა კრება. მთავრობაც და ნემენცობაც გულზე სკდებოდა ჯავრითა, დახე როგორ გათამამდნენ ჩეხები, რეებს გვიბედავენო და შეადგინა პროექტი ავსტრიის ორად გაყოფისა, ერთი იქნებოდა ნემენცებისა, ხოლო მეორე—უნგრელებისა. სლავებს შუაზედ გაიყოფდნენ ნემენცები და უნგრელები. ჩეხები უნდა ჰრგებოდათ ნემენცებს, ხორვატელები და სერბები—უნგრელებს.

რაკი საქმე ასე გამწვავდა, რაკი სამინისტრო ასე ცხადად მიემხრო ფრანკფურტის სეიმს და ნემენც-შოვინისტებს, საჭირო იყო, როგორმე გადაერჩინათ 8 აპრილის პატენტი. ჩეხიის მთავარ-მართებელს, ახლად ამორჩეულ გრაფ ლევ ტუნს, ურჩიეს თავად-აზნაურობამაც და საერო კრების წარმომადგენელთაც, ნუ დაემორჩილები სამინისტროს და შეადგინე დროებითი ჩეხიის მმართველობაო. ტუნმა აასრულა რჩევა და 29 მაისს



პრაგაში დაარსდა დროებითი მმართველობა, რომლის წევრებად არჩეულ იქმნენ: პალაცკი, რიგერი, ბრაუნერი და სტრობახი. დროებითს მმართველობას აზრად აჰქონდა, სამინისტროს დაუკითხველად, მოეწყო შინაური საქმენი და სისრულეში მოეყვანა მ აპრილის პატენტის დაპირებული რეფორმანი, ესე იგი დაარსებულ იყო ჩეხიის საკუთარი სეიმი. ამ დროს იმპერატორი ავსტრიისა იმყოფებოდა ინსპრუკში. რიგერი და გრაფი ნოსტიცა საერო კრებამ გაჰზახენა იმპერატორთან, რათა ეთხოვნათ, ნება მოგვეცი დავაარსოთ დროებითი მმართველობა ჩეხიისთვის და საქმეები განვაგოთ სამინისტროს დაუკითხველად. ნოსტიცმა და რიგერმა პირნათლად შეასრულეს საერო კრების მინდობილება, იმპერატორმა თხოვნა აღუსრულა მოციქულთ. დიდი დახმარება და შემწეობა აღმოუჩინა დეპუტაციას გრ. ფრიდრიხ ტუნმა. ამავე დროს რიგერმა წარუდგინა იმპერატორს დაწვრილებით შედგენილი Promemoria, ანუ წერილები შესახებ ჩეხიის ისტორიულ უფლებათა და მის საჭიროებათა. იმპერატორმა ესეც აუსრულა დეპუტატებს და თვით მიიღო სახელწოდება ჩეხიის მთავარ-მართველისა. გახარებულნი მოციქულნი დაბრუნდნენ პრაგას. ამასთანავე თან მოიტანეს ნება-რთვა იმპერატორისა სეიმის მოსაწოდებლად.

სამწუხარო ამბები დახვდათ მოციქულთ პრაგაში. ხალხი აჯანყებულ იყო და ქალაქს გარს შემორტყმოდა ჯარებით ვინდიშგრეცი ბევრი ეხვეწა რიგერი ვინდიშგრეცს, ზარბაზნებს ნუ დაუშენ ქალაქს, მაცალე, როგორმე დავამშვიდო ხალხიო, მაგრამ არა გამოვიდა-რა. ვინდიშგრეცმა გადაჭრით უთხრა, ქალაქი ნებით თუ დამნებდება, ხომ კარგი, თუ არა—ქვას ქვაზე არ დავტოვებ, ისე დავანგრევო. მეტი ჯანი არ იყო, რადგან ქალაქს ბრძოლა არ შეეძლო, დაჰმორჩილდა ვინდიშგრეცსა. ამავე დროს შეშინებულმა მთავარ-მართველმა ტუნმა გააუქმა დროებითი მმართველობა და აღარც ნება მისცა, შეკრებილიყო ჩეხიის სეიმი, თუმცა დეპუტატები უკვე აერჩიათ. ამ ხანებშივე შეიკრიბა ვენაში სახელმწიფო სეიმი და რიგერიც სხვა დანარჩენ დეპუტატებთან ერთად ვენას წავიდა.



ვენაში რიგერს სიცოცხლე გაუმწარეს, ქუჩის ბრბო ააჯანყეს და გამძვინვარებულმა ხალხმა კინალამ მოჰკლა იქ მისულნი ჩეხიის მოღვაწენი. ვინ იცის, რას არ აბრალებდნენ რიგერსა და სხვათა შორის დაჟინებით გაიძახოდნენ, რომ რიგერი და პალაცკი სლავურად ილაპარაკებენ სეიმზეო. თითო ოროლა ისე გაბრაზდა ამგვარის წაქეზებით, რომ რიგერს პარლამენტის გაღერეიდან თოფს უმიზნებდა მოსაკლავად. მაგრამ ვერც პალაცკი და განსაკუთრებით ვერც რიგერი მუქარამ ვერ შეაშინა. საკვირველის მქვერ-მეტყველებით ჰქუხდა და ჰგრგინავდა სეიმში რიგერი და ამტკიცებდა, რომ ავსტრიის ორად გაყოფა დაღუბვა სახელმწიფოსი, რომ ყველა ეროვნებას ერთნაირი და თანასწორი უფლებანი აქვთ და რომ სახელმწიფომ თვისი ძალღონე ერში უნდა ეძებოსო. ავსტრია მხოლოდ მაშინ იქნება ძლიერი, როცა მოისპობა ბატონობა ერთის ტომისა მეორეზე, როცა ჩამოვარდება ძმობა, თავისუფლება აზრისა, ერთის სიტყვით, როცა ძალ-მომრეობის მაგიერ გამეფდება სიმართლე, სიყვარული და ქეშმარიტება. ამ დროს ვენაში მოვიდა უნგართა დეპუტაცია და თხოულობდა, ნება მოგვეცია მონაწილეობა მივიღოთ სეიმის კრებაზეო. რიგერი მიუხვდა დეპუტაციას, რა საძაგელი განძრახვა ჰქონდათ უნგრებს. იმათ სურდათ დაჩაგვრა სერბიელებისა და ხორვატებისა, სურდათ ავსტრიის ორად გაყოფა. რიგერი ნამდვილის ორატორულის მხნეობით წინააღმდეგა უნგართა დეპუტაციას და აღფრთოვანებული დაჩაგრულთა სიყვარულით, სულ ცეცხლს აფრქვევდა სეიმში. მისი სიტყვა ისეთი ძლიერი იყო, რომ სეიმმა შეისმინა ეს მოწოდება და უნგართა დეპუტაციას უარი უთხრა, ვერ მიგიღებთ კრებაზეო. მაღიართა მოტრფიალე დეპუტატებმა და ნემენცებმა ამის გამო ისე გააბრაზეს ბრბო, რომ რიგერი ამხანაგებით იძულებული შეიქნა წასულიყო ვენიდან.

იმპერატორის ჯარმა ჩააქრო რევოლიუცია და პოლიციური რეჟიმი სრულიად გამეფდა ვენასა და მის მიდამოებში, კონსტიტუცია ამ დროს მხოლოდ სახელით-და არსებობდა. 1850 წლამდე რიგერმა ბევრჯელ ისახელა თავი, როგორც

მხნე ორატორმა და სიტყვის თავისუფლების დამცველმა. ბევრი სამსახური გაუწია თვით ავსტრიის სამინისტროს, როცა მთავრობას უჭირებდნენ საქმეს თავ-გასულნი უნგარნი. აუტანელი დრო დადგა ჩეხისათვის. ავსტრიის მთავრობა წელში გაიშალა, უნგარნი დაამარცხა რუსის ჯარების შემწეობით და ჩეხების თხოვნას ყურადღებას აღარ აქცევდა. რაკი გაჭირვება თავიდან აიცილა, მთავრობამ თამამად დაიწყო მოქმედება; სასტიკად სდევნიდა იმას, ვისაც გუშინ თავს უკრავდა, მოწიწებით სალომს აძლევდა და დახმარებას სთხოვდა. რაღა თქმა უნდა, გალაღებული მთავრობა რიგერსაც პირს არ დაუკოცნიდა. ეს ხომ ის კაცი იყო, ვინც საქვეყნოდ ჰქადაგებდა, მთავრობამ ძალა ხალხისაგან უნდა მოიკრიფოს, რომ ავსტრიის ყველა ტომნი თანასწორნი უნდა იყვნენ და თვითონ განაგონ თავიანთი ბედი, რომ საუკეთესო ფორმა მმართველობისა ფედერაციაა და სხვა. მეტი ჯანი არ იყო, დროებით რიგერი სამშობლოს უნდა გასცლოდა და გაეცალა კიდევ. 18 აპრილს 1850 წ. დაიწყო თვისი საყვარელი მოგზაურობა და პარიჟს მიატანა სასოფლო მეურნეობის შესასწავლად.

პარიჟში რიგერმა გაიცნო სახელ-განთქმული პოლონელი ემიგრანტი ადამ ჩარტორიისკი. ნემენცებმა დააბრალებს, ვითომ რიგერს ჩარტორიისკთან ელაპარაკოს, რომ საჭიროა სლაფთა და უნგართა შეადგინონ კონფედერაცია ნემენცების წინააღმოევად. ამის გამო რიგერი სახელმწიფო მოღალატედ დასახეს და სამშობლოში დაბრუნება აღუკრძალეს.

პარიჟიდან რიგერი გადავიდა ინგლისს, სადაც გულ-მოდგინედ აკვირდებოდა და სწავლობდა იქაურ ცხოვრებას. სულ მცირე ხანში რიგერმა ორი შესანიშნავი თხზულება დასწერა და მით უფრო დიდად გაითქვა სახელი. დიდ ხანს ვერ გასძლო უცხოეთში რიგერმა, სული და გული სამშობლოსკენა ჰქონდა და ემუდარებოდა სამინისტროს პრეზიდენტს თ. შვარცბერგენს, ნება მომეცით დავბრუნდე და განმსაჯეთ კანონისამებრო. მე ადვილად დავმტკიცებო, სწერდა რიგერი თავადსა, ჩემს უდანაშაულობასაო. შვარცბერგენი გულკეთილ კაცად აღმო-





ჩნდა და ურჩია რიგერს, გამოეცხადე შინაგან საქმეთა მინისტრს ბახსა, რომელთანაც ბარათს მიგიწერო. ბახი და რიგერი ოდესმე ერთად მოღვაწეობდნენ სეიმში და, მეტი ჯანი არ იყო, აპატივა თავის საპარლამენტო მეგობარს ის დანაშაული, რასაც ნემენცების გაზეთები და ავსტრიის პოლიცია აბრალებდა.

დაბრუნებისათნავე სამშობლოში რიგერმა პრაგის უნივერსიტეტს წარუდგინა ჩეხურად დაწერილი თხზულება, რათა მიეღო უფლება დოცენტობისა. ამ დროს პრაგის უნივერსიტეტში პროფესორებად ნემენცები იყვნენ და წარდგენილი თხზულება თავში ახალეს, ჩვენ ჩეხურად დაწერილ წიგნს მსჯავრს ვერ დავდებთო. რიგერმა საერო განათლების მინისტრთან იჩივლა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ასე რომ რიგერს პროფესორობა ვერ ეღირსა და ძალა-უნებურად ისევ ლიტერატურას დაუბრუნდა, რადგან ამ ხანებში დებუტატის წოდებით მოღვაწეობა შეუძლებელი იყო.

რიგერი ისეთი კაცი არ იყო, რომ გულზე ხელები დაეკრიფა, რაკი პროფესორობა ვერ იშოვნა და დებუტატობაც შეუძლებელი გახდა, რადგან სეიმის ნასახიცი აღარ დარჩა პრაგაში. ამ დროს რიგერმა შეირთო ცოლად თავის საუკეთესო მეგობრის და მეცნიერის, პალაცკის ქალი და დაულალავად მიჰყო ხელი ლიტერატურას, რადგან სხვა გზა არ იყო სამოქმედოდ. სთარგმნიდა სხვა-და-სხვა წერილებს ინგლისურიდან, ფრანგულიდან, პოლონურიდან; სწერდა საკუთარ გამოკვლევათა, მუშაობდა საყმაწვილო ჟურნალებში, ჰბეჭდავდა სახალხო წიგნებს და, ასე გაშინჯეთ, რამდენიმე ლექსიც კი დასწერა. ერთი მათგანი „მჭედლოური“ ღღესაც თურმე საუკეთესო სახალხო ლექსად ითვლება და სიამოვნებით მღერის ჩეხელობა.

რიგერმა კარგად იცოდა, რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ახლად გაჩენილ ჩეხიის ლიტერატურისა, მეცნიერებისა და სალიტერატურო ენისათვის, სამეცნიერო ლექსიკონს და მხურვალედ შეუდგა საქმესა. რასაც კი რიგერი ხელს მოჰკიდებდა, ჩეხიის საზოგადოება ინსტიტუტურად ჰგრძობდა, რომ

ჩვენის ერისათვის ახალ საქმეს უსათოოდ დიდი მნიშვნელობა აქვსო, თორემ რიგერი ხელს არ მოჰკიდებდაო, მაგაზე დროს არ დაჰკარგავდაო და მაშინვე გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებდა. ეხლაც ასე მოჰხდა. როგორც საზოგადოება, აგრედვე ლიტერატორნი, სიხარულით მიეგებნენ რიგერის მიერ დაწყებულ საქმეს და ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინეს ფულით, შრომით და სწავლა-ცოდნით. რიგერმა იმუშავა ლექსიკონზე, ვიდრე ხელმეორედ არ მიეცა საშუალება საპოლიტიკო მოღვაწეობისა.

მთელი ათი წელიწადი ეწვალა რიგერი, არაფერ ღონეს არ იშურებდა, რომ მიეღო ნებართვა საპოლიტიკო გაზეთის ბეჭდვისა. ხან თვითონ თხოულობდა, ხან მეგობრებს ათხოვნიებდა ხოლმე, მაგრამ არ იქნა, ვერ დაიყოლია სამინისტრო. ბოლოს მისცეს ნება მილლერს გაზეთის გამოცემისა, მაგრამ, გაიგეს თუ არა, რომ რიგერის მეცადინეობით ითხოვა მილლერმა გაზეთიო, რომ ამ გაზეთის სული და გული იქნება რიგერიო, გაზეთი აღკრძალეს და რედაქტორს გამოუცხადეს, გაზეთის ბეჭდვის საშუალება არა გაქვსო. ბოლოს 1860 წ. დეკემბერში მისცეს რიგერს ნება საპოლიტიკო გაზეთის ბეჭდვისა და მას შემდეგ კარგა ხანს „Narodni Listy“ რიგერის ორგანად ითვლებოდა.

1860 წლებში შეიკრიბა ახალი სახელმწიფო სეიმი. ამ სეიმზედ არც ერთი ჩიხელი დეპუტატი არ მიიწვიეს. მაშინ რიგერმა შეადგინა სია იმისი, რაც ესაჭიროება ჩიხიას და თორმეტის კაცის ხელმოწერილი წარუდგინა იმპერატორს. აქვე იყო მოხსენებული, რომ ავსტრიის ერნი და ტომნი ერთნაირს საპოლიტიკო უფლებით უნდა იყვნენ აღჭურვილნი და რომ ჩიხისათვის აუცილებლად საჭიროა საპოლიტიკო ჟურნალიო. იმპერატორმა მთხოვნელნი მოწყალებით მიიღო და აღუთქვა აღსრულება ნათხოვნისა, მაგრამ როგორც ბევრჯელ, ამ ხანადაც სამინისტროს პორტფელებში ჩაინთქა „სახელოვანი სია ჩიხთა საჩივრებისა“. რამდენადაც რიგერის დაუცხრომელობა მატულობდა, იმდენად იზრდებოდა ნემენცების მძულვარება მის-



დამი. რა არ დააბრალებს საწყალ რიგერსა! ცილსა სწამებდნენ, მოლაღატეს ეძახდნენ, არ დაინდვეს მისი შინაური ცხოვრება და უწმინდურის ხელით იწყეს ფათური მის სულსა და გულში, შეჭბლალეს მისი მამულისშვილობა და ისიც კი მოუვონეს, რომ თავად-აზნაურობას და მღვდლებს ეკედლებო, რომ მდაბიო ხალხი ადვილად დასჩაგრონო და სხვა. მომეტებულის დამცირებისათვის დაარქვეს მეტი სახელი „საღიაკვნო აგიტატორი“. მაგრამ იმისთანა კაცს, როგორც იყო რიგერი, რას დააკლებდა ნემენცთა ლაშ-მოხეული და უნამუსო ლანძღვაგინება, ცილისწამება და მძულვარება. ლანძღვა-გინება ფარხმალია სულმდაბალ, ქვემძრომელო არსებათა და აბა დიდებულ მამულისშვილს, რომლის გულ-შკერდშიც განუწყვეტლივ ღვიოდა მამულისადმი სიყვარული, რას ავნებდა მასხარად აგდება ცრუ პატრიოტთაგან.

ფრანც რიგერმა მალე დაუმტკიცა ნემენც შოვინისტებს და ცრუ პატრიოტებს, რომ მართალია სამასხარო სახელით მომნათლეთ, ღიაკვნების მოტრფიალეთ დამსახვით, მაგრამ აი ამ თქვენგან ყბად-აღებულს ღიაკვანს რა შეუძლიანო. პირველსავე სემის კრებაზე, რომელწინადაც ჩეხიის დეპუტატთაც ნება მისცეს დასწრებისა, თავმჯდომარის ამორჩევის დროს რიგერმა სიტყვის უფლება მოითხოვა და მკაფიოდ, გარკვევით, რიხიანად მოითხოვა, რომ იმ ჩეხების დეპუტატთა, რომელთაც ნემენცური არ იციან, ჩეხურად მიიღონ ფიცო. როგორც მეხი ისე დაეცათ თავზედ ნემენცებს რიგერის სიტყვა. შეიქნა საშინელი ღრიანცელი, ასე რომ თავმჯდომარის ამორჩევა მეორე დღისთვის გადიდო. რიგერი ამასაც არ დასჯერდა. დეპუტაცია შეადგინა, თვითონაც შიგ ჩაერია და სთხოვეს იმპერატორს ჩეხიის მეფედ დაგვირგვინდო. იმპერატორი ხელახლა შეჰპირდა, სურვილს შეგისრულებთო. ასეთმა დიდმა გამარჯვებამ გონება დააკარგინა ნემენცებსა და, როგორც შეეფერება სულ მდაბალთ, მოჰყვნენ უშვერ ლანძღვას, არა თუ მარტო რიგერისას, არამედ თვით წმინდა ვიაჩესლავის გვირგვინიც შეჭბლალეს.



რიგერის მოღვაწეობა ისე ფართო და მრავალ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ იმედი დავკარგეთ სავსებით ჩამოვთვალოთ ყოველი იმის ნამოქმედარი. წერილი გავვიგრძელდა და ნახევარიც ვერ ავწახსებთ. ამისათვის ძალა-უნებურად მოკლედ უნდა მოვჭრათ სიტყვა. 1862 წ. რიგერმა წარმოსთქვა სეიმში შესანიშნავი სიტყვა ნაფიც-მსაჯულთა შემოღების შესახებ. სეიმის უმრავლესობამ არ შეიწყნარა ეს წინადადება, იმიტომ კი არა, რომ არ მოეწონათ, არა, მოეწონათ, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი რომ შემოეღოთ, მაშინ ჩეხების მოსამართლენი ჩეხურად ილაპარაკებდნენ და ნემენცური განიდევნებოდა ჩეხიის სასამართლოებადან. რიგერის მეცადინეობით პრაგის პოლიტექნიკუმს უტრაკვისტული ხასიათი მიეცა, ესე იგი ნახევარი საგნები უნდა ესწავლებინათ ნემენცურად და ნახევარი ჩეხურად. ბევრს ეხვეწნენ ნემენცები, ოთხის საგნის სწავლება გეყოფათ ჩეხურადაო, მაგრამ რიგერი უარს ამბობდა.

რიგერი ცდილობდა შეეერთებინა ჩეხიის სხვა-და-სხვა წოდება. დიდი იმედი ჰქონდა წვრილფეხა აზნაურშვილებისა და სიტკბოებით ეკიდებოდა ამ წოდებას. როცა რიგერი შეუდგა სახალხო თეატრის შენობის აგებას, საქმეში ჩაითრია წვრილფეხა აზნაურშვილობა და იმათაც მიანდო ფულის შეგროვება. მალე აზნაურებს შეეშინდათ, მთავრობას ეწყინება ჩვენი მოღვაწეობაო და უარი სთქვეს. მაშინ ასტყდა საშინელი პოლემიკა ჩეხურ გაზეთებში, განა არ ვიცოდით, რაც შეილება არიან აზნაურებიო. მდიდრებმა სულ დაივიწყეს ჩეხური ენა, თაკილობენ ჩეხობას, იმათი იმედი დავკარგეთ და ეგ წვრილფეხობაც უეჭველია იმათს ფეხის ხმას აჰყვებო. რიგერი არ ეთანხმებოდა ამათა და იმას ჰქადაგებდა, რომ ეგენიც ჩეხები არიან, უბედურმა ისტორიულმა გარემოებამ მოგვწყვიტა და დღეს კი დრო დადგა, რომ შევერთდეთ და ერთად ვიღვაწოთ. პოლემიკა ისე გამწვავდა, რომ რიგერმა თავის ორგანს „სახალხო ფურცელს“ თავი დაანება და ცალკე გაზეთი „Naroda“ დაარსა. ამ პოლემიკამ ხელი ვერ შეუშალა სახალხო თეატრს. რიგერმა შეაგროვა 100,000 ოქრო და ექვს თვეში ააშენა დროებითი საერო სახალხო თეატრი.



სული და გული იყო აგრედვე რიგერი მრავლისაგან მრავალ საზოგადოებისა, რომელნიც ამ დროს საშინელის სისწრაფით არსდებოდნენ. ამავე დროს წარმოსთქვა რიგერმა ერთი შესანიშნავი სიტყვა, რომ პრაგის უნივერსიტეტში სწავლამეცნიერება სწარმოებდეს ორს ენაზედ, ჩეხურად და ნემენცურად. მთავრობამ სრულიად ვერ შეიწყნარა რიგერის წინადადება, მაგრამ ცოტა რამ კი დასთმო. ჩეხიის სინარულს სამზღვარი არა ჰქონდა, მეცნიერება ჩვენს მივიწყებულ ენაზედაც შეიძლება იყოს, გაიძახოდნენ ალტაცებულნი.

1866 წელს ჩეხიას დიდი უბედურება ეწვია. პრუსიამ ომი გამოუცხადა ავსტრიას და პრუსაკებით აიესო ჩეხია. ისედაც განადგურებული, გაღარიბებული ორმოცის წლის ბრძოლით ავსტრიელ ნემენცებთან საპოლიტიკო უფლებების მოსაპოვებლად, უფროა გაღარიბდა და განადგურდა პრუსიელთა შემოსევით. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ სიკვდილით სიკვდილივე დაითრგუნა. ამ უბედურებამ დიდი ბედნიერებაც მოუტანა ჩეხებს. ეს უბედურება უკანასკნელი-და იყო. შებერტყილმა ავსტრიამ ამპარტავნობა დაჰკარგა, თავი დაიმდაბლა, ხვეწნა-მუდარა დაუწყო დამორჩილებულ სლავთა სხვა-და-სხვა ტომთა, ოლონდაც გაჭირვებაში დამეხმარეთ და, რაც გინდათ, იმას გიწყალობებთო; მართალია დანაპირვეი სავსებით არ დასრულა ავსტრიამ, მაგრამ სლავთა თვით-მართველობა მიანიჭა და ჯერჯერობით, აბა, მოცადინე და მხნე ერს ამის მეტი რაღა უნდოდა?

რიგერის საუკეთესო სურათი გამოვიდა 1849 წელს. სურათს ქვეშ აწერია: „Nadejme se“. — იმედი გვქონდეს.

(შემდეგი იქნება)

## საბიბლიოგრაფიო მსჯელობა

(წერილი „ივერიისადმი“ \*)

საბიბლიოგრაფიო წერილი „ივერიის“ უკანასკნელის ნომრისა იწყება ასე: „ჩვენდა სამწუხაროდ, „მოამბის“ მეორე ნომერი და „ჯეჯილის“ მესამე მოკლებულნი არიან ინტერესსა“. — საბავშვო ჟურნალის შესახებ თავის ასეთ მსჯელობას კრიტიკოსი არაფრით ამტყუნებს შემდეგ სტრიქონებში, მაგრამ „მოამბეზედ“ გამოთქმულს აზრს კი თვითონვე არღვევს, უსაფუძვლოდ გამოაჰყავს მეტ-ნაკლებობით, როცა ფაქტებზედ, ჟურნალის ცალ-ცალკე წერილების დაფასებაზედ გადადის. მოისმინეთ:

„აღსანიშნავია წერილი ბ. კ. ბ.—ძისა: „სარწმუნოება, ზნეობა და მეცნიერება“. სასურველია ასეთი წერილები ხშირად იბეჭდებოდეს „მოამბეში“. რადგანაც იგი საინტერესოა ყოველ ქართველ მკითხველისათვის, ვისაც ცოტათი არის მაინც გაეგება რამე“, ბძანებს კრიტიკოსი. — წიგნში, რომელსაც კრიტიკოსმა დაარქვა „უინტერესო“, თვითონვე აღმოაჩინა წერილი, საინტერესო ყველა ქართველისათვის და სანატრელი. ეს ერთი.

---

\*) ეს შენიშვნა მიიღო „მოამბის“ რედაქციამ ბ. იაკობ გოგებაშვილისაგან შემდეგ წერილთან ერთად:

„ბატონო რედაქტორო! ეს შენიშვნა გავგზავნე „ივერიაში“ დასაბეჭდად, მაგრამ თანამშრომლებმა უხერხულად ჩასთვალეს ადგილი დაეთმოთ მისთვის გაზეთში: საყვედურის კილოზე დაწერილიო. თვითონ რედაქტორს არ მიემართე, რადგანაც აპელიცია და კასსაცია საზოგადოდ არაფრად შეპიტნავენა. ამის გამო გთხოვთ თქვენ დაბეჭდოთ იგი თქვენს პატივცემულს ჟურნალში“.

იაკობ სიმონიძე



„დიდად საყურადღებოა წერილი დეკანოზი კონჩიაშვილისა ქართული დაბადების შესახებ“, განაგრძობს კრიტიკოსი... სრულს სიმართლეს აღიარებს იგი, სწორედ რომ ეს წერილი ყველასაგან დიდი პატივცემულის ავტორისა ფრიად საინტერესოა; მაგრამ ეს ყველასათვის ფრიად საყურადღებოა რომ კბილსა სჭრის უინტერესოსა. ეს ორი.

„ამ ნომერში დამთავრებულია პ. ჭარაიას მეტად საინტერესო წერილი: „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“, გვაუწყებს კიდევ კრიტიკოსი. აქაც სრული ჭეშმარიტება დადადებს ავტორის პირით, რადგანაც ჭარაიას წერილი განძად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ფილოლოგიურს ლიტერატურაში. მაგრამ ეს ფრიად საინტერესოა რომ ანდერძს უგებს უინტერესოსა? ეს სამი.

თუნდაც ჟურნალის ერთს წიგნში სამის ფრიად საინტერესო წერილის მეტი არა იყოს-რა, მაშინაც კი უსამართლობა და უსაფუძვლოება იქნება ამ წიგნს დაარქვათ უინტერესო. გარნა ამ ნომერში სხვა კარგი რამეებიც მოიპოვება.

კრიტიკოსისაგან დაწუნებული მოთხრობა არბოელისა „სამფეხა ამირანა“ წარმოადგენს ხელოვნურს პატარა ეტიუდს, დასურათებულს ნამდვილი ნიჭით და დაწერილს მშვენიერი ქართული ენით. მართალია, ავტორს რომ უფრო ცხოვრებაზედ დაახლოებული თემა, საგანი აერჩია, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ პოეტებს და ბელეტრისტებს მინიჭებული აქვთ ბარონების და მარკიზების უფლება, დაკანონებული ანდაზებით: ყ всякаго барона своя фантазія, всякій маркизь имѣеть свой капризь. საქმე მხოლოდ ის არის, რომ ფანტაზიასა და „კაპრიზს“ ნიჭის ბეჭედი აჯდეს.

ამ პატარა ეტიუდს მისდევს ვრცელი მოთხრობა ეკატერინე რევაზის ასულის გაბაშვილისა „გამარჯვებული ნიკო“. მოთხრობა ამოღებულია ჩვენი ცხოვრებიდან, სავსეა ცოცხალი ინტერესით და მდიდარია ხელოვნურად დაწერილი ადგილებით.

შემდეგ ვკითხულობთ „იულიოს კეისარს“, დრამას შექსპირისას, ნათარგმს თ. ი. მაჩაბლის მიერ საუცხოვო, წმინდა ქართული ენით.

თითქმის ამისთანავე ერთ არის ნათარგმნი ბ-ნი გ. ყიფშიძის მიერ ფრიად ნიჭიერად დაწერილი რომანი სენკევიჩისა „ცეცხლითა და მახვილითა“; ჩვენდა სასიამოვნოდ, მთარგმნელის ენა განთავისუფლდა ზოგიერთა რუსიციზმებისაგან, რომელნიც წინა ნომერში აქა-იქა ამღვრევდნენ მისს ქართულს ენასა. მაგალითად, ბ-ნი ყიფშიძე სწერდა: ხუთი რაზმი ხმელნიცკისა სულ შეჰკრთნენ.—ორასი ათასი კაცი, შეიარაღებულნი ფერხით თხემამდე, მზად იყვნენ.—ამ დროს რაედენიმე გუნდი ყიჟინით ღ ღრიალით გაექანნენ მტრისაკენ.—უკანასკნელს ნომერებში აღარ შეგვხვედრია ამისთანა უგრამატიკო ფრაზები.

სხვა წერილები, მიმოხილვანი ცოტა ღარიბნი არიან; მაგრამ როგორ მოვთხოვოთ ქართულს ჟურნალს ყოველივე ბაწარ-აღებითი სიმდიდრე, როდესაც ჩვენში ყველა სფერა საზოგადოდ და ინტელიგენცია კერძოდ ჯერ-ჯერობით ღარიბია. ისიც მართალია, რომ პოლემიკა ცოტა დამლაშეუბულია; მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ცოტათი მლაშე მტუტეს პასუხია. სამწუხაროდ, უკადრისად მოხსენება ერთმანეთისა—ჩვეულებრივი სენია ჩვენის ინტელიგენციისა. საპოლემიკო წერილებს ყველა ამტუტებს, ამლაშებს, სხვა სტატიებს კი ან სულ უმარილოდ სწერენ, ან ძლიერ ნაკლებად უშვრებიან მარილსა. პირველებს რომ მარილი მოაკლონ და მეორეებს მიუმატონ სწორედ კარგს იზამენ ჩვენი ლიტერატორები ყველა ბანაკისა.

საზოგადოდ, მეორე ნომერი „მოამბისა“ საინტერესოც არის და შინაარსიანიც. ეს სჩანს არა მარტო ჩვენი ნათქვამიდან, არამედ თვით კრიტიკოსის ქებიდან, რომელიც მან უძღვნა რამდენსამე სტატიასა.

რასაკვირველია, ეს მცირე შენიშვნა გასაფრთხილებლად დაესწერე, და არა საპოლემიკოდ, რომლისათვის დროსაც და წადილსაც მოკლებული ვარ.

იაკობ სამონიძე.





რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1) მ. გ. ჯანაშვილი—შოთა რუსთაველი, ტფ. 1896 წ. I—IV, 1—183, ფასი 40 კ.

2) А. Хахановъ—Къ вопросу объ иновемномъ вліяніи на грузинскую культуру, გკ. 132—140 (ამოღებული „Этнографическое обозрѣніе“-დან).

3) А. С. Хахановъ—Грузинская рукопись поэмы „Барсова кожа“, изъ Московскаго главнаго архива Минист. Иностр. дѣлъ. Москва 1895 г. 1—29 стр.

4) ღ. თათიაშვილი—სიუკარული, ქუთაისი 1896 წელს ფასი 1 მანეთი.

5) კეთილი ძაღლი—თარგმნილი ტატიშვილის-მიერ, ტფილისი 1896 წელს, ფასი 20 კაპ.

6) ვაჟა-ფშაველა—მოხუცის ნათქვამი, ჰოემა, სსსაღსო წიგნი № 8, ტფილისი 1896 წელს, ფასი 5 კაპ.

7) იუღ. ლიპერტი—კულტურა, გადმოქართულებული კონ. დიმ. უიფიანისაგან, ტფილისი 1896 წ. ფასი 1 მან. 50 კ.



# „მ ო ბ მ ბ მ“

წელიწადი მესამე

გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

7—10 თაბახი (224—320 გვ.)

## ფასი ჟურნალისა გაზაფხვით:

1 წლით 6 თვით 3 თვით

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 10 მან. 6 მან. 4 მან.  
საზღვარ-გარედ . . . . . 13 მან. 7 მან. 5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანონ: პირველად—4 მან., 1 აპრილამდე—3 მ., და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა ადრესის გამოცვლისათვის ათი შაური უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакция „Моамбе“

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოაკლებულ და ან შესწორებულ იქმნება. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში, — მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერა, დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

ხელ-ნაწერები, რომლებზედაც არავითარი პირობა არ იქმნება აღნიშნული, რედაქციისაგან მიღებულ იქმნებიან როგორც უფასონი.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უბეჭვლად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოთქვას, მათ ორ-ოლი ეგზემპლიარი უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდინ ნაშუადღევს.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, რომელითაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი  
ბლექსანდრე ჭეენაია

გამომცემელი  
ალექსანდრე ჯაბადაანი